დიმიტრი ბაქრაძე

არქეოლოგიური მოგზაურობა ეურიასა და აფხაზეთში

(აღლასითურით)

63.4 (2 Г — 6 Ад.)
ბ 32

რეცენზენტები: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი **დ. ხახუტაიშვილი**, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ი. სიხარულიძე.**

ქართველი მკითხველი მშობლიურ ენაზე პირველად მიიღებს გამოჩენილი ისტორიკოსისა და საზოგადო მოღვაწის დიმიტრი ბაქრაძის წიგნს „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში", რომელიც 1878 წელს დაისტამბა სანკტპეტერბურგში, საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის განკარგულებით.

დ. ბაქრაძემ იმოგზაურა 1874 წელს, ჯერ კიდევ მაშინ, როცა აჭარაში ბატონობდნენ დამპყრობლები. უშუალო, ცოცხალი შთაბეჭდილებები, მდიდარი ფაქტობრივი მასალა და დოკუმენტები წიგნში ისეთი მაღალი მეცნიერული დონით არის გადმოცემული და გაანალიზებული, რომ უთუოდ დააინტერესებს მკითხველებს.

რედაქტორი ხარიტონ ახვლედიანი

თარგმნა არჩილ ტოტოჩავამ

© გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა", 1987

0507000000 — 00
ბ ——————————24 — 1987
М 621 (08) — 1987

ᲐᲛ ᲜᲐᲨᲠᲝᲛᲡ ᲕᲣᲫᲦᲕᲜᲘ

ᲡᲐᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲝ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔ-
ᲛᲘᲘᲡ ᲝᲠᲓᲘᲜᲐᲠᲣᲚ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡᲡ ᲛᲐᲠᲘ
ᲘᲕᲐᲜᲔᲡ ᲫᲔ ᲑᲠᲝᲡᲔᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲛᲢᲙᲘ-
ᲪᲔ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲘ ᲩᲐᲣᲧᲐᲠᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ
ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲣᲪᲜᲝᲑᲘ ᲓᲐ ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲐᲓ
ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲬᲧᲐᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡ�წᲐᲕᲚᲐᲡ.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ
ᲬᲔᲕᲠᲗᲐᲒᲐᲜᲘ
ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲑᲐᲥᲠᲐᲫᲔ

წინასიტყვაობის მაგიერ

1873 წელს საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიას ასეთი შინაარსის „ბარათი“ წარვუდგინე:

„კავკასიის მხარე მეცნიერული თვალსაზრისით უდაოდ დედამიწის უშესანიშნავეს კუთხედ უნდა ვცნოთ. მისმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ ევროპისა და აზიის შესაყარზე, ნაირგვარმა კლიმატურმა პირობებმა, მდიდარმა მცენარეულმა და მინერალურმა სამყარომ, ეთნოგრაფიულმა და ისტორიულმა ნიშანდობლივმა თავისებურებებმა — ყოველივე ამან შეუძლებელია უაღრესი ინტერესი არ აღგვიძრას. და, ალბათ, არსად ასე მკაფიოდ არ შენახულა შორეული წარსულის კვალი; ძველი ქვეყნის ადამიანთა რასები, აზიიდან ევროპისაკენ რომ მიედინებოდნენ, კავკასიაზე ან მის გვერდით ჩაიქროლებდნენ და აქ ტოვებდნენ თავიანთ ახალშენებს, რომლებიც შემდეგ ერთმანეთსა და ადგილობრივ მოსახლეობაში ითქვიფებოდნენ და უამრავ ცალკეულ ეროვნებას ქმნიდნენ. სწორედ ამიტომ ეწოდა კავკასიას „ხალხთა ჭიანქველების ბუდე“. ძველი დროის ძლიერი და განათლებული ერები — ეგვიპტელები, ფინიკიელები, ბერძნები, რომაელები კავკასიისაკენ მოისწრაფოდნენ, აარსებდნენ აქ თავიანთ ახალშენებს, გაცხოველებით ვაჭრობდნენ მკვიდრ მცხოვრებლებთან, ავრცელებდნენ მათში თავის ენებს, ზნე-ჩვეულებასა და ცივილიზაციას. მათი პოეტები და მწერლები დაინტერესებული იყვნენ კავკასიით: მათ დაგვიტოვეს ცნობები მის მდებარეობასა და ადგილებზე, ჰავასა და ბუნებრივ ნაწარმზე, მის მცხოვრებლებსა და მათი ცხოვრების ხასიათზე. ისინი მოგვითხრობენ მათს მეომრულ სულისკვეთებასა და თავისუფლებაზე, განსაკუთრებით კოლხეთს იხსენიებენ როგორც მდიდარ, განათლებასა და ვაჭრობაში საგრძნობლად დაწინაურებულ ქვეყანას[1].

შუა საუკუნეებშიც კი კავკასიაზე ფრიად პოეტური შეხედულება ჰქონდათ: იმ დროს ზოგიერთებს კავკასია მიაჩნდათ საერთოდ ყველა ხალხის წარმოშობის კერად, სხვები კიდევ ცდილობდნენ აქედან

---

[1] История землевед К. Риттера, Спб., 1864 г., стр. 52-54, 80-81.

გაეყვანათ ინდოევროპელთა განსახლების გზები. აი საიდან გაჩნდა სახელწოდება კავკასიური რასა, რომელსაც ევროპისა და აზიის მეტ წილ მცხოვრებთა მიმართ ხმარობენ. აქვე ეგულებოდათ განათლებისა და რელიგიურ რწმენათა დასაბამი. ფიქრობდნენ, რომ აქედან გავრცელდა როგორც თქმულება წარღვნაზე, ასევე სხვადასხვა ხელობა და გაუმჯობესებული ცხოვრება[2]. ჩვენი აზრით, ეს თქმულებები კავკასიაზე ბევრი რამით მოგვაგონებს კოლხეთის ოქროს საწმისის ზღაპარს, რომლის გამოცნობასაც ცდილობს მეცნიერება.

„თუ საერთოდ კავკასია ღირსია მეცნიერების განსაკუთრებული ყურადღებისა, მაშინ ამ მხრივ უპირატესობა უნდა მიენიჭოს ამიერკავკასიის იმ ნაწილს, რომელსაც საქართველო შეადგენს. საქართველოს სახელით ძველთაგანვე ცნობილი იყო ამიერკავკასიის ის ტერიტორია, რომლის შემადგენლობაში შედიოდა ალბანეთის ნაწილი, იბერია, კოლხეთი, მესხეთი და სტრაბონის ტაოხოი, ანუ ქართული ტაოსკარი. ამ ტერიტორიას ეჭირა მტკვრის აუზის ზემო სანახები ხეობებითურთ — ჩრდილოეთით არაგვის, სამხრეთით ხრამის ანუ ქციის, დებედისა და აღსტაფის, აღმოსავლეთით ალაზნის, დასავლეთით ჭოროხის, ჩრდილო-დასავლეთით რიონისა და მისი შენაკადებისა თვით გაგრამდე. ამ ტერიტორიაზე ბატონობდა ქართული ენა და მისი მონათესავე დიალექტები — სვანური, მეგრული და ლაზური*[1]. სვანები ჯერ კიდევ შორეულ წარსულშიეე ცხოვრობდნენ იქ, სადაც ახლაც მოსახლეობენ. მეგრელებს შავი ზღვის მთელი სანაპირო ყუბანიდან მოკიდებული ტრაპიზონამდე და თვით ტრაპიზონი, ე. ი. ის ზოლი, — მთლიანად თუ არა, არ ვიცით, — სადაც გვიანდელ ხანაში ჩერქეზები და აფხაზები, გურულები, ჭანები ანუ ლაზები დასახლდნენ. ამათგან ლაზები მეგრელების მახლობელი შტოა. ქართველი ერი ოდითვე გამოირჩეოდა თავისი ტიპის დახვეწილობით. დაკვირვებულმა ევროპელმა მოგზაურებმა შეამჩნიეს, რომ ქართული და ჩერქეზული სისხლის სიწმინდეს უნდა უმადლოდნენ სპარსელები თავის, ბუნებით უხეში, ტიპის გაუმჯობესებას, რასაც ხელს უწყობდა უძველესი დროიდანვე მომდინარე არაერთგზისი გასახლება საქართველოდან და ჩერქეზეთიდან[3]. ქარ-

---

[2] К. Риттера, стр. 81-82. Èthnogénie caucasienne, par Moreau de Jonnès. Paris. 1827, p. 292-293, 301-340.

* ვარსკვლავიანი შენიშვნები მთარგმნელისაა, იხ. წიგნის ბოლოში (სარედ. კოლეგია).

[3] Mémoire sur l'ethnographie de la Perse. Paris, 1866. Extrait du recueil de Voyages et de Mémoires publiés par la société de Géographie, p. 47-48.

თველთა ისტორიული ცხოვრება უაღრესად ჭკუის სასწავლებელია: ამ ერს, რომელიც თავის საუკეთესო ხანაში (X-XIII სს.) გაზვიადებული ანგარიშით 4 მილიონს აღემატებოდა[4], ხოლო შემდეგ სულ უფრო მცირდებოდა და უკვე XV საუკუნეში 2 მილიონამდე ჩამოვიდა[5], ისეთი მძიმე გასაჭირი გამოუვლია, რომ სწორედ საოცარია, როგორ არ აღიგავა პირისაგან მიწისა; ის კი ყველაზე ძლიერი ერების მოსპობას მოესწრო. იგი გარემოცული იყო უამრავი და სისხლისმსმელი ბარბაროსებით; არაერთგზის წაულეკავთ და დაუმონებიათ; მის მიწა-წყალს ულმობელად აოხრებდნენ, მის წმიდა-თაწმიდას ბილწავდნენ; მის მცხოვრებლებს ზოგს ადგილზეევე ულეტდნენ და ზოგსაც ასახლებდნენ. და მან მაინც მოახერხა ორგანიზება: ჰქონდა მართვა-გამგეობის თავისი სისტემა, თავისი კანონ-სამართალი, წოდებრივად ჩამოყალიბებული მოსახლეობა, თავისი, ძველთაგანვე დამკვიდრებული სოციალური და ეკონომიკური ყოფა, თავისი სკოლებიც კი. განუწყვეტელ ჭირსა და უბედურებაში ქართველმა ხალხმა არაჩვეულებრივი გამძლეობა გამოიჩინა და ცივილიზაციისადმი სწრაფვაც ცხადყო. მან თავისი მიწა-წყალი მოფინა უამრავი არქიტექტურული ძეგლებით; მათგან საეკლესიო შენობები ახლაც გვაოცებს ორიგინალური თავისებურებითა და დახვეწილი სტილით. მან მნიშვნელოვნად სრულყო თავისი ენა. ვინც იცნობს ევროპულ ენებსა და ქართულ ენას, ის შეუძლებელია არ განაცვიფროს ქართული ენის მოქნილობამ, მისი კონსტრუქციების სიმდიდრემ, ფორმების დახვეწილობამ, მისმა უნარმა — თავისუფლად გამოთქვას განყენებული, მეცნიერული ჭეშმარიტებაც კი, რისთვისაც არც ერთ ლიტერატურულად განუვითარებელ ენას არ მოეპოვება ფორმები. ქართველებმა ორი ანბანი შექმნეს, ეგრეთ წოდებული მხედრული (საერო) და ხუცური (საეკლესიო). პირველის გამოგონებას მიაკუთვნებენ III ს. ქ. წ., ხოლო მეორისას — V ს. ქ. შ., თუმცა უეჭველია, რომ მხედრულის კვალს ჯერჯერობით XI საუკუნემდე ვერ ვხვდებით, და იგი, როგორც სამართლიანად შენიშნა ბროსემ, მხოლოდ შეცვლილი ანუ გამარტივებული ხუცურია[6]. ქართული ანბანის ბგერითს სისტემაზე ფრიად დადებითი აზრი გამოთქვა საუკეთე-

---

[4] Histoire de la Géorgie, par Brosset, I, p. 551, n. 2.

[5] Rapports sur un Voyage archéol., par Brosset, S-Petersb., 1849. Résumé, p. 15. რამდენად შეეფერება ეს ორივე ციფრი ჭეშმარიტებას, გადაჭრით ვერაფერს ვიტყვით.

[6] Chronique Géorgienne, Paris, 1830, Paléographie, 129. იხ. კიდევ ლ. ზაგურსკის «Кавказско-горские письмена», კავკასიელ მთიელთა შესახებ ცნობების კრებულში, ტფილისი, 1871 წ., V, გვ. 2-5.

სო კავკასიელმა ლინგვისტმა უსლარმა. „თუ, — ამბობს იგი, — ქართულ ანბანს თვითქართულ ენასთან მიმართებაში განვიხილავთ, უნდა ვაღიაროთ, რომ იგი ყველა პირობას აკმაყოფილებს: არსებული ალფაბეტებიდან თითქმის ყველაზე სრულყოფილია. მასში ყოველი ბგერა განსაკუთრებული ნიშნით გამოიხატება და ყოველი ნიშანი მუდამ ერთსა და იმავე ბგერას გამოხატავს. ყველა ევროპულ ენაში არსებობს ლოდი შებრკოლებისა — ეს არის ორთოგრაფია. ქართველებისათვის, მათი ანბანის სრულყოფილების წყალობით, ეს სიძნელე თითქმის არ არსებობს“[7]. ორივე ქართულ ანბანს თავისი დანიშნულება ჰქონდა — ხუცური თითქმის მხოლოდ საეკლესიო და კლასიკური ქმნილებებისათვის იხმარებოდა, მხედრული — საერო, სახალხო ნაწარმოებებისათვის. ანბანის მსგავსად ქართული ენაც, ასე ვთქვათ, გაორდა. ხუცურის ენას, რომელიც ათონის მთაზე და პალესტინის მონასტრებში შეიქმნა, სადაც წიგნები ითარგმნებოდა, ბერძნული ენის კონსტრუქციის გავლენით ამ უკანასკნელის მსგავსი ელფერი დაჰკრავს. წმინდა ქართული კონსტრუქციები შემოინახა საერო ლიტერატურის ნაწარმოებებმა. ამ ლიტერატურის ენა ყოველთვის სასაუბრო, საზოგადოების ენა იყო. ამ ენითაა დაწერილი იგავ-არაკები და რომანები, ლირიკული ლექსები და თარგმანები სპარსული ენიდან. ამ ნაწარმოებთაგან საუკეთესოთა ენა ძალზე ახლოსაა თანამედროვე სასაუბრო ენასთან, მაგალითად, „ქილილა და დამანას“, თამარ მეფის დროინდელი „ვისრამიანისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ ენა. საეკლესიო და საერო ლიტერატურული ქმნილებები თანაბრად იყო გავრცელებული ქართველი ხალხის მაღალ ფენებში და თანაბრად იკითხებოდა, ორივემ განუვითარა ქართველ ხალხს — პირველმა ბიზანტიური მსოფლმხედველობა და გემოვნება, მეორემ სპარსული მსოფლმხედველობა და გემოვნება, რაც ამჟამადაც შესამჩნევია.

„ჩვენამდე მოღწეული ძველი ქართული წერილობითი ძეგლებიდან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ისტორიოგრაფიულ მასალებს: ადგილობრივ ქრონიკებსა და არქეოლოგიურ მონაცემებს, მაგალითად, საეკლესიო შენობებისა და ხატების მოჭედილობის წარწერებს, ძველ ხელნაწერთა მინაწერებს, მონასტრებისა და თავად-აზნაურებისათვის ბოძებულ სიგელ-გუჯრებს (გუჯარი საეკლესიო აქტია, სიგელი — საერო). საქართველოს რომ თავისი საკუთარი ქრონიკები ჰქონდა, ეს დიდი ხანია ცნობილი იყო, მაგრამ

---

[7] Записка Услара о составлении азбук кавказских языков, помещенная в 1861 г. в летописи Записок Кавк. Отд. Георг. Общ., стр. 43.

რომელ ეპოქას ეკუთვნოდნენ ისინი და რამდენად სარწმუნო იყვნენ, ახლო წარსულში ცოტა ვინმემ თუ იცოდა. საერთოდ დიდი მატიანე ანუ „ქართლის ცხოვრება“ მეფე ვახტანგ მეექვსის (1675-1737) სომხური და სპარსული ქრონიკებიდან უხეიროდ შეკოწიწებულ თხზულებად მიაჩნდათ. თუ ცნობილ რუს მწერალს სენკოვსკის შეეძლო გადაჭრით განეცხადებინა, რომ თვითონ ქართველები არ არსებობდნენ XII საუკუნემდე, რომ იბერების სახელით ცნობილი იყვნენ სხვადასხვა ტომის მთიელები, რომ მთელი ქვეყანა მტკვარს გაღმა, სადაც ახლა ტფილისი და საქართველოს ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი მდებარეობს, ყოველთვის სომხებს ეკუთვნოდათ და დასახლებული იყო სომხებით, მიდიელებით, მასაგეტებით ან თურქებით და ალბანელთა ზოგიერთი ტომით[8], მაშინ გასაგებია რა აზრისა უნდა იყვნენ საქართველოს ისტორიაზე უფრო უვიცი მასები. მართალია, რამდენიმე ევროპელმა მეცნიერმა, მათ შორის ორიენტალისტმა ჟან-სენ მარტენმა, დიუბუა დე მონპერემ და ვივიან დე სენ-მარტენმა ასე თუ ისე სწორი შეხედულება გამოთქვეს საქართველოს ისტორიის ხასიათზე, მაგრამ მათი შეხედულება მეტ-ნაკლებად საეჭვო ვარაუდად უნდა მოსჩვენებოდათ, რადგან მათ დროს უამრავი მასალა, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა ქართული ქრონიკების ჭეშმარიტი შეფასება, ჯერ კიდევ ცხრაკლიტულში იყო. ნამდვილი შეხედულების შემუშავება ამ საგანზე შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ ამ ქრონიკების გამოქვეყნების შემდეგ. ამას კი აკადემიკოს ბროსეს უნდა ვუმადლოდეთ.

„ბროსეს დამსახურება ამ მხრივ ფასდაუდებელია: გარდა იმისა, რომ მან მოასწრო ფრანგულად გამოეცა ვახტანგ VI-ის „ქართლის ცხოვრების“ დიდტანიანი ტომები, ვახუშტის ისტორია მისივე საქართველოს გეოგრაფიითურთ და სხვა ცალკეული ქრონიკები, მან ქართული ქრონიკების ცნობებს შეადარა როგორც მის მრავალრიცხოვან „Additions et éclaircissement à l'Histoire de la Géorgie“-ში შესული უცხოური ცნობები, ასევე მის მიერ 1847-1848 წ.წ. საქართველოში შეგროვებული წარწერებისა და საბუთების ცნობები და ამის საფუძველზე, აგრეთვე თვით მატიანეებში თავისი სტრიქონქვეშა შენიშვნებით საქართველოს ისტორიის ბევრი სადავო საკითხი განმარტა და მათში ბევრი წინააღმდეგობა და შეუსაბამობა აღმოფხვრა.

---

[8] Некоторые сомнения касательно истории Грузии в «Библиот. для чтения» за 1838 г., стр. 151-178.

„აჟამად ჩვენ საკმაო ცნობები მოგვეპოვება ქართული ქრონიკების ისტორიის განსამარტავად და მათი ნამდვილი ხასიათის გასარკვევად და ეს სავსებით აბათილებს ისეთ შეხედულებას, როგორიც სენკოვსკიმ გამოთქვა. კიდევ მეტი: ამ ცნობების გულმოდგინე ანალიზი უეჭველს ხდის მათს დიდ მნიშვნელობას და, ვფიქრობთ, მართალი იყვნენ ჟან სენ-მარტენი, დიუბუა დე მონპერე და ვივიან დე სენ-მარტენი, როცა ფიქრობდნენ, რომ ქართული მწერლობის ძველი გადმოცემები ისე მნიშვნელოვანი წყაროებია, რომლებიც შუქს ჰფენენ არა მარტო კავკასიურ ტომებს, არამედ აზიის ისტორიასაც[9]. თუმცა დიდ ქრონიკას „ქართლის ცხოვრებას“ ვახტანგ VI-ის მატიანეს უწოდებენ, მაგრამ თვით მასში ძნელი არ არის ვიპოვოთ ისეთი ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ იგი სხვა არაფერია, თუ არა ცალკეული ქრონიკების კრებული, რომლებსაც ძველთაგანვე ადგენდნენ ხან თანამედროვენი, ხანაც ადამიანები, რომლებიც არც ისე დაშორებული იყვნენ აღწერილ ამბებს; რომ ზოგიერთი ქრონიკის ავტორიც ცნობილია; რომ ამ ქრონიკებს ზოგჯერ იგივე სახელი „ქართლის ცხოვრება“ ერქვა, რომელიც ვახტანგ VI-ის მატიანესაც ეწოდა; რომ სომხური ტექსტი Chronique arménienne, რომელიც ფრანგულად თარგმნილი შევიდა „Additions et éclaircissements à l'Histoire de la Géorgie“, 1851 p. 1-61. სხვა არა იყო რა, თუ არა 1279-1311 წ. სომხურად თარგმნილი ქართული ქრონიკა.[10] ქართველების, სომხებისა და კავკასიელების წარმომავლობის შესახებ წყაროებად „ქართლის ცხოვრებას“ გამოუყენებია, როგორც ადგილობრივი ხალხური თქმულებები, ასევე ებრაელების, სპარსელების, ბერძნებისა და სომხების გადმოცემები, ან ზღაპრული ხასიათისა ან ეთიკურად სარწმუნო. ამ მხრივ „ქართლის ცხოვრების“ თქმულებაში გატარებულია ქართველთა ინდოევროპული წარმომავლობისა და სომხებთან მათი ნათესაობის აზრი, რასაც ამჟამად უარყოფს შედარებითი ლინგვისტიკა. „ქართლის ცხოვრება“ არ თვლის ადიღეს ტომებსა და ოსებს კავკასიის უძველეს აბორიგენებად, არამედ მიაჩნია, რომ ისინი დაღესტნის ავარიელებთან ერთად უფრო გვიან მოვიდნენ კავკასიაში სკვითების ანუ ქართული ხაზარების გამოჩენის გამო, რაც მართლაც დასტურდება. ასეა თუ ისე, ქართული

---

[9] S. — Mart., Hém. sur l'Arm., II, p. 190. — Dubois de Montp., Voyage aûtour du Caucase. I, p. 62-63. Viv. S. — Mart., Recherches sur les populat. du Caucase, p. 78-79.

[10] Brosset, Voyage archéol. 3 me Rapp., p. 6. — Hist. de la Géor. II, 2-e livre, Introd. et tables, p. XVII-XVIII.

გადმოცემა ოსების შესახებ, მიუხედავად მისი აბნეულობისა, კრიტიკულად გაცხრილული, ეთანხმება ჰეროდიტეს თქმულებას აზების ანუ ასების მიდიური წარმომავლობის შესახებ. შემდეგ, „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ძველთაგანვე მოქმედი ორმაგი გავლენა საქართველოზე, ერთი მხრივ, სპარსეთისა და, მეორე მხრივ, საბერძნეთისა; სპარსეთში შექმნილი დინასტიების გავლენით საქართველოში ახალი დინასტიების გაჩენა, ჯერ არსაკიდებისა, შემდეგ სასანიდებისა; საქართველოს ურთიერთობა სომხეთთან, სირიასთან, რომთან; ქართველთა წარმართობის ხასიათი; საქართველოში ქრისტიანობის თანდათანობით გავრცელება პირველი საუკუნეებიდან და მისი განმტკიცება IV საუკუნეში წმ. ნინოს დროს; არაბების გამოჩენა და მათგან საქართველოს ნაწილის დაპყრობა; სომხეთის გზით საქართველოში ბაგრატიონთა დინასტიის თანდათანობით გავრცელება — ყოველივე ამას მოგვითხრობს „ქართლის ცხოვრება“, რომელსაც ავსებს და განმარტავს უცხოური ცნობები და რომელიც თავის მხრივ, თვითონაც ავსებს და განმარტავს მათ.

„ამრიგად, „ქართლის ცხოვრების“ ცნობები საქართველოს ისტორიის ადრეული ეპოქების შესახებ, ბ-ნ ბროსეს გამოკვლევების წყალობით, არსებითად ცოტათი განსხვავდება მეცნიერების მიერ დადგენილი ფაქტებისაგან. რაც შეეხება ცნობებს მომდევნო ეპოქების შესახებ, საქართველოს ტახტზე ბაგრატიონთა ასვლამდე, ისინი მით უფრო ნაკლებ საეჭვოდ უნდა მივიჩნიოთ. მართალია, ამ ცნობების წვრილმანებში არის უთანხმოება, წინააღმდეგობა და ხარვეზები, მაგრამ ეს გარდაუვალია რომელიც გნებავთ ხალხის ყოველ ქრონიკაში; ისიც მართალია, რომ ქართული ქრონიკების ძველი წელთაღრიცხვაც ფრიად აბნეულია, მაგრამ ამ შემთხვევაშიც იგი იზიარებს ყველა ხალხის წელთაღრიცხვის ხვედრს, თანაც სინქრონიზმის საშუალებით მათი ანალიზი ადვილია. შემდეგ, „ქართლის ცხოვრების“ ცნობები ბაგრატიონთა გამეფებიდან მოკიდებული სულ უფრო ნათელი და ზედმიწევნითია. გასაგებია რატომაც: იზრდება როგორც საკუთარი, ისე უცხოური მასალების რაოდენობა; ასეთ მასალებს შეიცავს ბიზანტიელების, არაბების, სომხების, სპარსელების, იტალიელებისა და ბოლოს რუსების თქმულებები; გამოჩნდებიან ევროპელი მოგზაურები, რომლებიც გვაცნობენ მათი დროის საქართველოს; საქართველოში იპრება მონეტები, რომლებზეც აღნიშნულია მეფეთა სახელები და მათი მეფობის წლები; ტაძრები, რომლებიც ყველგან შენდება, იფარება ამოკვეთილი ან al-fresco წარწერებით, რომლებიც საბუთებთან და მრავალრიცხო-

ვანი ხატების წარწერებთან, ხელნაწერთა მინაწერებთან ერთად შეადგენს სხვა სახის მასალებს, რომლებიც ავსებენ და განმარტავენ ქრონიკების მონათხრობს.

„ამ ბარათის მიზანია აღნიშნოს ამ უკანასკნელი სახის ცნობათა მნიშვნელობა საქართველოს ისტორიისათვს და მათი საფუძვლიანად შესწავლის აუცილებლობა, ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია შევეხოთ მათ.

„თუ ვინმეს შემთხვევა ჰქონია ემოგზაურა ამიერკავკასიის მხარეში, განსაკუთრებით შარაგზიდან დაშორებით, იგი შეუძლებელია არ დაინტერესებულიყო უამრავი ხუროთმოძღვრული ძეგლებით, როგორიცაა ციხე-კოშკები და ტაძარნი ღვთისანი. მათ უპირატესად მთის მწვერვალებზე და ხეობებში შეხვდებით. ზოგი გადარჩენილა, ზოგიც სანახევროდ დანგრეულია, ბევრ მათგანს სურო შემოხვევია, კედლებისა და სახურავების ნაპრალებში ხეები ამოზრდილა. ბევრი მათგანი განმარტოებით დგას უდაბურ ადგილებში, მაგრამ საცხოვრებლის კვალი გვამცნობს, რომ ოდესღაც იქ ცხოვრება დუღდა და გადმოდუღდა. ეს ძეგლები მიმოფანტულია კახეთში, ქართლში, სომხეთში, ახალციხის მაზრაში, ოსმალოს საქართველოში, იმერეთში, სვანეთში, აფხაზეთში და რაც უფრო მიიწევს მოგზაური აღმოსავლეთი საქართველოდან შავი ზღვისაკენ, ძეგლებიც მატულობს და მათს ხუროთმოძღვრულ ხელოვნებაშიც მეტი შნო და ლაზათი იგრძნობა. თუ მოგზაური ამ მხარის ისტორიასაც იცნობს, მაშინ მასიურ ციხე-კოშკებში ხშირად იპოვის ისტორიამდელი საქართველოს ძეგლებს, შეამჩნევს ბერძნული ახალშენების გავლენას, რომლებსაც დასავლეთ საქართველო ეკავათ VI საუკუნიდან ჩვენს ერამდე, ხოლო საეკლესიო შენობათა გარეთა და შიგნითა კედლების ძველ წარწერებში ამოიკითხავს აშენების დროს, მშენებელთა, იმდროინდელ მეფეთა და გამგებელთა სახელებს, ზოგჯერ კი ხალხის პოლიტიკური, ხოლო ნაწილობრივ შინაური ცხოვრების ამბებს.

„ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ეკლესიების და ხატების წარწერები, ხელნაწერთა მინაწერები, საერო-საეკლესიო სიგელ-გუჯრები ავსებენ და აშუქებენ ქართულ მატიანეებში გადმოცემულ ფაქტებს. მართლაც, საქართველოს არქეოლოგიური შესწავლის გარეშე აკადემიკოს ბროსეს არ შეეძლო შესდგომოდა „ქართლის ცხოვრების“ ფრანგული თარგმანის გამოცემას. ამ შესწავლის ნაყოფი იყო მისი ცნობილი თხზულება: Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie, exécuté en 1847-1848, S.-Pétersb., 1849. ეს თხზულება იმის საუკეთესო დადასტურებაა,

თუ რა უამრავი არქეოლოგიური მონაცემებია საქართველოსა და სომხეთში. წიგნში თავმოყრილია ყველა წარწერა, რაც ბროსემ ამ მხარეში ერთი წლის ექსკურსიების დროს მოასწრო და გადმოიღო ძველი ტაძრებიდან და ხატებიდან; მასში აგრეთვე შეეიდა ბევრი ისეთი წარწერა, რომლებიც სხვადასხვა პირმა გადმოწერა და აცნობა მას. დიუბუას, ბროსეს, მელგინეთუხუცესის, ბაქრაძისა და სარგისიანის მიერ გადმოღებული ამ წარწერების რიცხვს ბროსე 2000-ზე მეტით განსაზღვრავს[11]. თავის Voyage archéologique-ში ბროსე გვაცნობს, როგორც წარწერათა ტექსტს, ასევე მათ ისტორიას მხარის ისტორიასთან დაკავშირებით. ასევე განგვიმარტავს XI-XIX საუკუნეთა ქართული საბუთების შინაარსს. ეს საბუთები საგანია Quatrième rapport-ისა მის Voyage-ში, p. 1-50 და XVI Addition მის Histoire de la Géorgie-ში, II-e partie, 2-e livr., 1857, p. 450-562. ბროსეს სიტყვებით, „ეს საბუთებია: საეკლესიო გუჯრები, რიცხვით 3000, ამჟამად ინახება მთავარ სამმართველოში ტფილისში, წამოღებულია საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორიდან; თავად-აზნაურთა სიგელები, დაცულია თავად-აზნაურთა არქივებში ტფილისსა და ქუთაისში, ასევე საბუთები, რომლებიც ახალციხის მაზრასა და სამეგრელოს ეხებიან. მათში ასახულია: კერძო პირთა სოციალური ცხოვრება და მდგომარეობა, მხარის რელიგიური, სამოქალაქო და სამხედრო დაწესებულებანი (ინსტიტუტები): კანონმდებლობანი საკუთრების უფლებაზე, ყიდვა-გაყიდვაზე, მემკვიდრეობასა და გასხვისებაზე; გადასახადების სისტემა; მოქალაქეთა ურთიერთობა ერთმანეთს შორის და სახელმწიფოსთან; ყველა ის თავისებურება, რომლებიც განაპირობებენ ხალხის ახლანდელ ხასიათს და მის მომავალ განვითარებას. ასეთია, განაგრძობს ბროსე, ქართული საბუთები, რომლებიც მაინც, ჯერჯერობით, არ არის გარჩეული და განმარტებული, და თუ ვინმე ხელს მოჰკიდებდა ამ საქმეს, მრავალი წლის კეთილსინდისიერი და ბეჯითი შრომის შემდეგ მისი ჯილდო იქნებოდა საქართველოს უტყუარი და კრიტიკული ისტორია“[12].

„ეს აზრი სრულიადაც არ არის გადაჭარბებული, და თუმცა უეჭველია, რომ ბ-ნ ბროსეს მიერ მცირეოდენი საბუთებიდან ამო-

---

[11] Mém. de l'Acad. imp. des scien. de S. — Pét., VII série, t. VIII, № 10 — Inscrip. géorg. et autres, recueillies par le Père Nersès Sargisian, p. I.

[12] Hist. de la Géor. II, 2-e livr. p. 441-442, 450-562. Voyage archéol. IV, p. 2-50.

ნაწერებმა საკმაოდ გაარკვია საქართველოს საშინაო ცხოვრება, მაგრამ ეს როდია საკმარისი. ამჟამად, როგორც ცნობილია, ხალხის ისტორიად, ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით, მიიჩნევა არა საგარეო ამბების აღწერა, არა ცალკეულ პიროვნებათა ბიოგრაფიები, არამედ ხალხის საშინაო ცხოვრების, მისი სოციალური და ეკონომიური ყოფის სწორი და საფუძვლიანი გამოხატვა. ასეთი ისტორია მხოლოდ მაშინ შეიქმნება, როცა სწორად იქნება გაგებული და გამოვლენილი საშინაო ცხოვრების ყველა მხარე, როცა გულმოდგინედ შევაგროვებთ და შევამოწმებთ ყველა შესაძლო ცნობას ამ ცხოვრების შესახებ. უძველესი საქართველოს საშინაო ცხოვრება, კაცმა რომ თქვას, ჩვენთვის უცნობია. ამის შესახებ ცნობები ან ცოტა გვაქვს, ან სულაც არ მოგვეპოვება. ქრონიკები მეტწილად, თუ არა მხოლოდ და მხოლოდ, საქართველოს საგარეო ამბებს მოგვითხრობენ — მტრების თავდასხმებსა და მათ მოგერიებას. საშინაო ცხოვრებას კი ან დუმილით უვლიან გვერდს, ან უხალისოდ, გაკვრით ეხებიან. ყველაზე ადრეული საბუთები უცნობია. ჯერჯერობით უძველეს და უეჭველ საბუთად ითვლება ორი: ერთი 1020 წლისა, მეორე 1258 წლისა,[13] თუმცა სარწმუნო წყაროებიდან ვიცით, რომ სიგელ-გუჯრები ცნობილი იყო უფრო ადრეც, საქართველოში ქრისტიანობის პირველი საუკუნეებიდანვე;[14] მაგრამ ვიპოვით თუ არა მათ, ძნელი სათქმელია. ამ ორი საბუთის გარდა, დანარჩენები, რომლებიც ხელთა გვაქვს, განეკუთვნება XIV და მომდევნო საუკუნეებს. ეს საბუთები, რომელთა რიცხვი სულ უფრო მატულობს, ძვირფასი მასალაა საქართველოს საშინაო ცხოვრების აღსადგენად XVI-დან XIX საუკუნის დამდეგამდე. თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვთ მათ, ამას მოწმობს საქართველოს სოციალური ორგანიზაციის „ნარკვევი", რომელიც ბროსემ მოხაზა მის განკარგულებაში არსებული საბუთების საფუძველზე.[15] და მიუხედავად ფრაგმენტულობისა და ნაკლულობისა, ეს „ნარკვევი", ჩვენი აზრით, ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი ნაშრომია მის მრავალტომიან ნაშრომთაგან. ამიტომ სიგელ-გუჯრებს განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ.

„მეორე მხრივ, სასურველია ყველაფერი ვიღონოთ ყველა ქართული წარწერის შესაგროვებლად. საფუძველი გვაქვს ვამტკიცოთ,

---

[13] Hist. de la Géor. Innod., p. 450, 452.
[14] Hist. de la Géor. I, p. 241, 243, 301, 315, 325. — Mém. sur l'Arm. II, p. 63, 79, 103, 107, 111, 137. — Hist. de la Siounie, I. p. 221, 231.
[15] Hist. de la Géor. Introd., p. LXXIX-CCXIV.

რომ ეკლესიებისა და ხატების წარწერები გაცილებით ნაკლებია გადმოღებული, ვიდრე ნამდვილად არის. თვითონ ბროსეს არ მოუვლია საქართველოს მთელი არქეოლოგიური რაიონი. ამ მხრივ მას არ გამოუკვლევია: სიღნაღისა და ალექსანდროპოლის მაზრები, ახალქალაქის, ტფილისისა და ბორჩალოს უბნების განაპირა ადგილები; ტფილისის გუბერნიის ნაწილი, რომელიც არაგვის მარჯვენა მხარეზე მდებარეობს საქართველოს სამხეღრო გზის გასწვრივ; ქუთაისის გუბერნიის ნაწილი, რომელიც ყვირილას მარჯვენა მხარეზე და რიონის იქითა მხარეზე მდებარეობს; გურია; მტკვრის ზემოწელის ხეობა და ჭოროხის მთელი აუზი ოსმალოს საქართველოში.[16] ამ რაიონში არქეოლოგიური თვალსაზრისით ყველაზე მდიდარია ოსმალოს საქართველო. საქართველოს ეს ნაწილი ჩვენი ახალციხის მაზრითურთ ქართულ მატიანეებში ცნობილია მესხეთის, ზემო ქართლისა და სამცხე-საათაბაგოს სახელით. იგი უფრო ახლოს იყო ბერძნული ცივილიზაციის ცენტრთან და ამიტომ თავისი კულტურით გაუსწრო საქართველოს ყველა სხვა კუთხეს. საქართველოს საუკეთესო საერო მწერლები, ძველი და ახალი აღთქმების საღვთო- და საეკლესიო წიგნების მთარგმნელთა უმეტესობა წარმოშობით ზემო ქართლიდან იყვნენ. ყველაზე განვითარებული ქართული ენა ზემოქართლური იყო. ქართული ენა დღემდე ისმის მთელ ოსმალეთის საქართველოში ბაიბურთამდე და ტრაპიზონის საზღვრამდე. ზემო ქართლი VIII საუკუნეში ქართველ ბაგრატიონთა დინასტიის აკვანი და ის ცენტრი იყო, რომელმაც საქართველოს მიანიჭა ერთიანობა და ძლიერება აფხაზეთ-საქართველოს მეფეების დროს X-XII საუკუნეებში. ქართული მატიანეები აქ აღნიშნავენ ყველაზე ძველ დიდძალ ქართულ საეკლესიო ხუროთმოძღვრულ ძეგლებს, რომლებსაც, რამდენადაც ვიცით, დღემდე იცავს სანახევროდ მუსულმანი, სანახევროდ ქრისტიანი ადგილობრივი მოსახლეობა. ოსმალეთის საქართველოს ის მცირერიცხოვანი წარწერები, რომლებიც სხვათაშორის გადმოწერეს ა ბ ი ხ მ ა, ს ა ნ ი კ ო ვ მ ა, კ ო ხ მ ა, ნ ე რ ს ე ს ს ა რ გ ი ს ი ა ნ მ ა, IX, X, XI და XII საუკუნეებს განეკუთვნება. მ ხ ი თ ა რ ი ს ტ ი ს ა რ გ ი ს ი ა ნ ი, რომელმაც 1843-1853 წლებში მოიხილა ჭოროხის აუზი, მწუხარებით ამბობს: „საშუალება არ მქონდა გადმომეწერა უამრავი ქართული წარწერები, რომლებიც იქ ვნახე“.[17]

---

[16] Voyage archéol... Resumé, p. 2. — Mélanges Asiatiques... t. I. p. 155 et suiv.

[17] Mém. de l'Acad... VIII-e série, t. VIII, N 10. — Inscript. Géorg., p. 2.

„ჩვენში ყოველგვარი მეცნიერული წამოწყების წარმატება შესაძლებელია მხოლოდ მთავრობის უშუალო მონაწილეობით; კავკასიის ყოველმხრივ შესწავლას ჩვენ სწორედ მთავრობის დახმარებას უნდა ვუმადლოდეთ; ასე, მაგალითად, რაინეგსის, გიულდენშტედტის, კლაპროთის, შეგრენის, ბროსეს, აბიხის, ნაწილობრივ დიუბუა დე მონპერეს ნაყოფიერი მოგზაურობა კავკასიაში მთავრობის ინიციატივითა და ხარჯით ძოეწყო. კავკასიის გეოლოგიის, ენების, სამხედრო ისტორიის, ადმინისტრაციული საქმიანობის შესწავლა რომ დაიწყო, შეუწყვეტლად გრძელდება. საქართველოს არქეოლოგიური შესწავლა კი, რომელსაც სათავე დაუდო აკადემიკოსმა ბროსემ მეოთხედი საუკუნის წინათ, როგორც ჩანს, მისივე შრომით დამთავრდა. ამასობაში, თუ გავიხსენებთ, რომ მეცნიერთა წრეში ცნობილ ჟან სენ-მარტენს, დიუბუა დე მონპერესა და ვივიან დე სენ-მარტენს ქართული მწერლობის ძეგლები არა მარტო კავკასიის, არამედ აზიის ისტორიის მნიშვნელოვან წყაროდ მიაჩნიათ, შეუძლებელია სინანული არ გამოვთქვათ, რომ ცხოვრება, დიუბუას სიტყვით რომ ვთქვათ, „ძველი ქართული ერისა, რომელიც უხსოვარი დროიდან სდარაჯობდა კავკასიის ყელს და პირდაპირი ურთიერთობა ჰქონდა ყველა ცნობილ ხალხთან“, დღემდე არასაკმაოდ არის შესწავლილი მისი საუკეთესო და ყველაზე სარწმუნო ძეგლების, მისი ეკლესიებისა და ხატების მრავალრიცხოვანი წარწერების ხელნაწერთა მინაწერებისა და უამრავი საბუთის მიხედვით. უაღრესად საშიშია დაყოვნება; ისიც კმარა, რა დროც დავკარგეთ. თუმცა ტფილისსა და ქუთაისში შენახული საბუთები[18]

---

[18] ეს საბუთებია: 1) აღმოსავლეთ საქართველოში: ა) საქართველო-იმერეთის სინოდის კონტორის გუჯრები, რომელთაგან 3 000 ქონებრივი გუჯარი 1852 წელს გადაეცა ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონების სამმართველოს. სწორედ ეს გუჯრები დაამუშავა ნაწილობრივ აკადემიკოსმა ბროსემ 1847-1848 წლებში. ეს ცნობები ამოვკრიფე ნუსხიდან «Реестр актам Грузинской церкви, данным на различные имения и рассмотренным Комиссиею, для разбора их учрежденною в 1552 г.» ეს ნუსხა შედგება 650 გვერდისაგან in folio, დაწერილია კომისიის ერთ-ერთი წევრის ხელით, დამოწმებულია ყველა წევრის ხელმოწერით, თუმცა იგი შავად ნაწერია. ეს ნუსხა გადმომცა უკვე გარდაცვლილ შემდგენელი წევრის ოჯახმა; ბ) ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურობის სიგელთა პირები, დამოწმებული 1820 წ., შეადგენს 87 ფოლიანტს, ამჟამად ინახება ტფილისის საგუბერნიო სამმართველოს არქივში. 2) დასავლეთ საქართველოში: ა) საეკლესიო გუჯრები, რომელთა შესახებ მხოლოდ ის ვიცით, რომ მათგან ქონებრივი გუჯრები ქუთაისის გუბერნიის სახელმწიფო ქონების სამმართველოს განკარგულებაშია; ბ) ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის სიგელთა პირები, დამოწმებული — იმერეთისა 1820, ხოლო სამეგრელოსი — 1853-1863 წლებში. ისინი დაცულია ქუთაისის საგუბერნიო გამგეობის არქივში. შეადგენს 379 დავთარს, აქედან 334 საკუთრივ იმერეთს ეხება, ხოლო 45 სამეგრელოს.

დაცულია გაფუჭებისა და დაკარგვისაგან, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით იმ მრავალრიცხოვან საბუთებზე, რომლებიც, როგორც მე პირადად ვიცი, მოიპოვება სამრევლო ეკლესიებსა, მონასტრებსა და ოჯახებში და რომელიც დაუდევარი მოპყრობის გამო იკარგება ან ლპება. ასეთსავე ხვედრს იზიარებენ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ოჯახებში გაბნეული ძველი ხელნაწერები. ამასთან უნდა შევნიშნოთ, რომ ბევრი ხელნაწერი საქართველოდან გაიტანეს და ალბათ კიდევ გაიტანენ, და მაშასადამე, მეცნიერებისათვის დაკარგულად უნდა ჩაითვალოს. რაც შეეხება წარწერებს, მათი ბედი კიდევ უფრო სავალალოა. ამ ბარათის ავტორს ამ მხარეში მოგზაურობისას შემთხვევა ჰქონდა დარწმუნებულიყო, რომ აკადემიკოს ბროსეს მიერ 1847-1848 წლებში გადმოწერილი ზოგიერთი წარწერა ან აღარ გაირჩევა ან სამუდამოდ გაქრა. ამ მხრივ ერთად მოქმედებს დროც და ადგილობრივ მცხოვრებთა უმეცრებაც. სვანეთში, სადაც ოდესღაც უამრავი ძველებური ხატი იყო, მათი უმეტესობა განძარცულია: ოქროს და ვერცხლის შეჭედილობა, რომელზეც წარწერები იყო, შემოცლილია და დარჩენილია მხოლოდ შიშველი ფიცრები, სვანთა თაყვანისცემის საგანი. ახალციხის მაზრაში მოსული მოსახლეობა ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში იყენებს თავისი სახლების ასაშენებლად ეკლესიების ქვებს, ამასთან, ბუნებრივია, არც მათ წარწერებს ინდობს.

საქართველოს არქეოლოგიური შესწავლისათვის ხელი რომ შემეწყო, ვისურვებდი ადგილზე განმეგრძო საქმე, რომელიც აკადემიკოსმა ბროსემ დაიწყო აკადემიის ინიციატივით, ამ მოსაზრებით საქართველოს შესწავლა და გამოკვლევა, ჩემი შეხედულებით, შემდეგი პროგრამით უნდა დავიწყოთ:

1) არქეოლოგიური ექსკურსიები მიემგზავრებიან იმ ადგილებში, რომლებიც არ მოუხილავს აკადემიკოს ბროსეს, იმ ინსტრუქციის მიხედვით, რომელიც აკადემიის ნებართვით შეადგინა მან დიმიტრი მეღვინეთუხუცესისათვის და რომელიც მოთავსებულია Mélanges Asiatiques t. I, I-re livre, p. 155-163; ამასთან იმ ოჯახებში, სამრევლო ეკლესიებსა და მონასტრებში, სადაც ძველი ხელნაწერები და საბუთები აღმოჩნდება, გადმოიწერენ პირველთა მინაწერებს და საჭირო ადგილებს ამოიწერენ მეორეთაგან.

2) არქეოლოგიური ექსკურსიები ეწყობა ზაფხულობით, ნაწილობრივ შემოდგომაზე. ტფილისში დაბრუნების შემდეგ შეკრებილი მასალები ზამთარში მოჰყავთ წესრიგში: შემდეგ შეადგენენ ანგარიშს, რომელიც მოკლედ უნდა მოიცავდეს მოხილული პროვინციის ტოპოგრაფიის, ფიზიკური თვისებების, ეთნოგრაფიისა და

ისტორიის დამახასიათებელ თავისებურებებს. ანგარიშში ყურადღება უნდა მიექცეს არქეოლოგიურ, ნუმიზმატიკურ და სხვა საგნებს. ისტორიული თვალსაზრისით შესანიშნავი ხუროთმოძღვრული ძეგლები — ციხეები და ტაძრები აღიწერება; მათი წარწერები საფლავის ქვების, საეკლესიო იარაღისა და ხატების წარწერებთან ერთად უნდა გადმოწერონ ან გადმოხატონ მთელი პალეოგრაფიული სიზუსტით, შეიტანონ ანგარიშში ზუსტად და სიტყვასიტყვით თარგმნილი რუსულ ენაზე, ამასთან უნდა გაარკვიონ მათი ქრონოლოგია, უმნიშვნელოვანესი წარწერების შინაარსი შეადარონ ისტორიულ ცნობებს და კრიტიკულად გაარჩიონ.

3) ზამთარში თავისუფლად ხელმისაწვდომი უნდა იყოს მხარის მთავრობის დაწესებულებებში დაცული ზემოთ აღნიშნული სიგელ-გუჯრები. საბუთები ჯერ უნდა გამოირკვიონ და შემდეგ აქციონ გახსაკუთრებული ანგარიშების საგნად. ამ ანგარიშებში ისინი უნდა განიხილონ ეპოქების მიხედვით, ამასთან საეჭვო და ნაყალბევის ნიშნის მქონენი ცალკე გამოყონ. საბუთები ანგარიშში უნდა შეიტანონ ამონაწერების სახით ტექსტში და რუსული თარგმანით, შემდეგ განიხილონ კრიტიკულად. ანგარიშის დასასრულს უნდა შედგეს მოცემული საბუთების საერთო კრებული და შეუპირისპირდეს ისტორიულ ცნობებს".

ჩემი „არქეოლოგიური მოგზაურობა" შედეგია იმ ექსკურსიისა, რომელიც საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის ინიციატივითა და მისი უმაღლესობის დიდი მთავრის კავკასიის მეფისნაცვლის ნებით მოეწყო 1873 წელს, მხოლოდ ნაწილს მოიცავს იმ რაიონისას, რომელიც აკადემიის „ინსტრუქციით" მქონდა მითითებული. თუ როგორ შევასრულე დავალება, ამაზე პასუხს იძლევა ჩემთვის ფრიად სასიამოვნო აზრი ანგარიშისა ჩემი ნაშრომის გამო, რომელიც 1876 წლის 2 (14) მარტს წარუდგინა მეცნიერებათა აკადემიას საქართველოს სიძველეთა საუკეთესო მცოდნემ აკადემიკოსმა ბროსემ (Bulletin de l'Acad...., t. XXII, p. 264-277, და Mél. Asiat., t. VIII, p. 1-20).

თუმცა ჩემ მიერ მოვლილი ადგილებიდან ჩურუქსუ და აჭარა არქეოლოგიურად ღარიბი გამოდგა, მაგრამ სამაგიეროდ მათ მოგვცეს მათი მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის საინტერესო ფაქტები და ასევე იმის დამამტკიცებელი საბუთები, რომ ამ კუთხეების მოსახლეობა გურიის ქართველთა მონათესავეა და არა ლაზებისა, რომლებიც ახლო ნათესავები არიან მეგრელებისა. რაც შეეხება გურიას, საქართველოს ამ პატარა კუთხეს, მისმა არქეოლოგიური მასალების სიუხვემ გადააჭარბა, როგორც ჩემს, ისე

ბროსეს მოლოდინს. „En 1848, ამბობს ბროსე თავის ანგარიშში, lors de mon séjour en Mingrélie, je n'avais pas fait entrer le Couria dans mon plan, parce que le peu de données fournies par les auteurs géorgiens ne m'inspirait qu'un faible attrait pour une contrée trop peu connue, dont l'histoire, exclusivement moderne, ne m'aurait donné, à ce que je pensais, qu'une faible quantité de renseignements concernant les origines de la Géorgie".

მართლაც, გურიის ისტორია თავს ვერ მოიწონებს სიძველით: აქ არ არის ხუროთმოძღვრების ძველი ძეგლები; მისი უძველესი ეკლესიები XI საუკუნეზე ადრეული არ არის, ამასთან ისინი გვანცვიფრებენ სტილის უაღრესი უბრალოებით, ასე რომ ამ მხრივ აჭარა უფრო საინტერესოა, თუ სხალთაში შემორჩენილი ეკლესიის მიხედვით ვიმსჯელებთ. მაინც გურიის არქეოლოგიურმა შესწავლამ მნიშვნელოვანი შედეგები მოგვცა. გურიაში აღმოჩნდა ძველი ხატები, რომლებიც იქ სამცხე-საათაბაგოდან გადაუსვენებიათ მას შემდეგ, რაც ეს მხარე ისლამმა დაიმორჩილა. ამ ხატების წარწერები შუქს ჰფენს მის სახელოვან საგვარეულოებს, როგორიცაა ხურსიძე, კავკასიძე და სხვ., აღმოჩნდა ძველი ხელნაწერებიც, რომლებიც სამეგრელოდან და საქართველოს სხვა კუთხეებიდან მოხვედრილან იქ. ასევე საინტერესოა მათი ისტორიული მინაწერები. გურიის ეკლესიებისა და ხატების წარწერები, ასევე მისი სიგელ-გუჯრები ნათლად წარმოგვიდგენენ გურიას. მათი ცნობებით ჩვენ ახლა ვიცნობთ თითქმის ყველა სამღვდელო და საერო პირს, ვისაც რაიმე როლი კი შეუსრულებია გურიაში, — ჯუმათელებს, შემოქმედელებს, მონასტერთა წინამძღვრებს, ერისთავებს, სახლთუხუცესებსა და სხვა მოხელეებს. დამტკიცდა ვახუშტის მოსაზრება გურიის ერისთავთა აფხაზი შარვაშიძეებისაგან წარმომავლობის შესახებ,*[2] თუმცა მათი საგვარეულო სიგელები ვერ მოვიძიეთ; დამტკიცდა ვახუშტის სხვა მოსაზრებაც, რომ გურიელები ვარდანიძეებისაგან წარმომავლობენ, რომლებიც ჯერ კიდევ XI საუკუნეში სვანეთის ერისთავები იყვნენ; გარდა ამისა, მეტ-ნაკლებად სარწმუნო გახდა მათი ნათესაობა სამეგრელოს დადიანთა პირველ დინასტიასთან. ფრიად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა გურიის საბუთები გურიელთა საგვარეულოს შემთხვევით შეკრებილ გურულ სიგელ-გუჯრებში, რომლებიც ცხადყოფენ ქართული მატიანეებისა და ვახუშტის ზოგ მნიშვნელოვან ხარვეზს, ერთხელაც არ წყდება ხსენებული საგვარეულოს გენეალოგიური კავშირი დაწყებული როსტომ გურიელით, რომელიც 1564 წელს გარდაიცვალა, და დამთავ-

რებული უკანასკნელი გურიელით დავითით, რომელიც ახულგოსთან მოკლეს 1839 წელს. გარდა ამისა, ამ საბუთებმა გურიის მდივანბეგების განჩინებათა ოქმებთან ერთად, რომლებიც 1818 და 1822 წლებს განეკუთვნებიან და რომლებიც განადგურებას გადავარჩინე თავად დათო ერისთავის ოჯახში, სრულად გვისურათებენ გურიის მოსახლეობის გონებრივი განვითარების დონეს, მის სოციალურ წყობილებას, მისი რელიგიური, სამოქალაქო და სამხედრო დაწესებულებების (ინსტიტუტების) ხასიათს.

აღარ გავაგრძელებ, მხოლოდ შევნიშნავ, რომ წინამდებარე ნაშრომი უეჭველად ადასტურებს ჩემს ზემოთ მოყვანილ „ბარათში“ გამოთქმულ აზრს, რომ ჩვენი მხარე მდიდარია არქეოლოგიური მასალებით და ისინი თანდათანობით იკარგება, და ამიტომ მეცნიერების ინტერესებისათვის სერიოზული ღონისძიებების მიღება მათ გადასარჩენად და დასამუშავებლად ეკისრება მთავრობას, ისევე როგორც თვით ქართველ საზოგადოებას.

ჩემს „მოგზაურობაში“ გეოგრაფიულ ნომენკლატურასა და საერთოდ ადგილობრივ სახელწოდებებს უპირატესად ადგილობრივი ფორმით გადმოვცემ, იმ სახელთა გამოკლებით, რომლებმაც საყოველთაოდ ხმარებულ რუსულ ტრანსკრიფციაში უკვე მოიპოვეს მოქალაქეობრივი უფლება: ამასთან უნდა შევნიშნოთ, რომ დაბრკოლებას მიქმნის იმ სახელწოდებათა გადმოცემა, რომლებიც განსაკუთრებული, ქართული ენისათვის დამახასიათებელი ბგერებით გამოითქმება. ქართულ ანბანში არის ცხრა ბგერა, რომლებიც სრულიად უცხოა რუსული ენისათვის, ასეთებია: თ, ფ, ქ, ყ, ძ, წ, ჭ, ჯ, ჰ. მათგან მხოლოდ სამს მოეპოვება შესატყვისი ბგერები ფრანგულ ანბანში: ჰ — h aspiré, თ — th, ფ — ph; დანარჩენთა აღნიშვნა მიღებულია, — ამ წესს ვიცავ მეც, — : ქ — к (ასპირაციით), ყ — к (ღრმად ხორხისმიერი), ძ — дз, წ — тс ან дц, ჭ — тч, ან — дч: ჯ — дж; მაგრამ ეს ბგერები ვერ გამოხატავს მათს ნამდვილ თვისებას და უცნაურად ჟღერს ქართველის სმენისათვის. ამიტომ მე წესად დავიდე. ტექსტში რომ არ აჭრელდეს, „საერთო ანბანურ საძიებელში“ იმ სახელწოდების გვერდით, რომელიც შეიცავს ერთ-ერთს ამ სამი ბგერიდან, ფრჩხილებში დავწერო იგივე სიტყვა ქართული ასოებით. თქმა არ უნდა, რუს მკითხველს, რომელიც არ იცნობს ქართულის ბგერობრივ სისტემას, ესეც არ უშველის, მხოლოდ მიახვედრებს, რომ ესა და ეს სახელწოდება ქართულად სხვანაირად გამოითქმის, ვიდრე რუსულად იწერება.

ტფილისი, 1878 წლის 11 მარტი.

ჩურუქ-სუ, აჭარა და გურია
1873 წელს

I

თბილისიდან გამგზავრება ფოთი-თბილისის რკინიგზით. ქუთაისი. არქეოლოგიური ნაპოვნი. აჭარელი ესმა. გზა გურიისაკენ. ოზურგეთი. ჩურუქ-სუ. ზოგიერთი ცნობა ჩურუქ-სუს შესახებ. ბათუმი. მისი აღწერა. ლაზი ხასან-აღა მურადოღლი. ძველი ძეგლები ბათუმის სანახებში. სამების ეკლესია. ლაზების შესახებ. ორი საბუთი — თურქული და ქართული.

გასულ 1873 წელს საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიამ დამავალა არქეოლოგიური ძიებანი გურიაში ანუ ოზურგეთის მაზრაში და ყოფილი ახალციხის საფაშოს ანუ ეგრეთწოდებული ოსმალოს საქართველოს სამხრეთ ნაწილში. უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ მატიანეებში მოიპოვება ზოგიერთი ცნობა როგორც გურიის, ასევე ოსმალოს საქართველოს შესახებ, რომლის შემადგენლობაში შედის თურქეთის მმართველობის დროს საქართველოსაგან მიტაცებული ახლანდელი ჩურუქ-სუ, აჭარა, ლაზისტანი, ჭოროხის აუზი და მტკვრის ზემოწელი. ამ ცნობების მიხედვით აღნიშნულ ტერიტორიაზე მიმობნეულია ქართული ხუროთმოძღვრების ძველი ძეგლები. თუმცა ეს ცნობები დღემდე საგანგებოდ არავის შეუსწავლია ადგილზე. მაგრამ მათ დასადასტურებლად შეგვიძლია ზოგი რამ უწყება ვიპოვოთ იმ ევროპელ მოგზაურთა თხზულებებში, რომლებმაც გურია და ოსმალოს საქართველო მოიხილეს. ასე, მაგალითად, შვეიცარიელმა მეცნიერმა დიუბუა დე მონპერემ 1833 წელს მხატვრულ ნარკვევში აღწერა გურიის ორი-სამი ძეგლი; მხითარისტმა ნერსეს სარგისიანმა 1843-1853 წლებში მეცნიერებათა აკადემიას აცნობა ჭოროხის აუზის ოთხი ტაძრის წარწერები, რომლებიც X, XI და XII საუკუნეებს განეკუთვნებიან; და ბოლოს, ვინმე ერმაკოვმა ამას წინათ გადმოიღო ოსმალოს საქართველოს, გურიის, იმერეთისა და სვანეთის ზოგიერთი ეკლესიის ხედები და წარწერები. ამგვარად, ყველა ეს ცნობა, თუმცა ნაწყვეტ-

ნაწყვეტი და ზერელე, იმის თავდები იყო, რომ არქეოლოგიური ძიება იმ მხარეში, რომელიც უნდა მომევლო, უხვ ნაყოფს გამოიღებდა. ჩემი პროგრამით, უნდა მომევლო მთელი ეს მხარე, გამესინჯა ყველა მისი ძველი ნაგებობა, უმთავრესად ტაძრები და მონასტრები, გადმომეღო ყველა მათი წარწერა; დამეთვალიერებინა, სადაც გადავეყრებოდი, ყველა ძველი ხელნაწერი და გადმომეწერა მათი ისტორიული მინაწერები; ეკლესიებსა და ოჯახებში შემეკრიბა სიგელ-გუჯრები, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს წარსული ცხოვრების შესასწავლად. ეს პროგრამა, გარდა არქეოლოგიისა, ამ ადგილების ეთნოგრაფიის შესწავლასაც ითვალისწინებდა.

სამსახურის საქმეებმა მთელი გაზაფხული და ნაწილობრივ ზაფხული თბილისში დამაყოვნა და იმედი აღარ მქონდა, რომ 1873 წელს მოვივლიდი მთელ გათვალისწინებულ არქეოლოგიურ რაიონს. ამჯერად ჩემი მარშრუტი გურიასა, ჩურუქ-სუსა და აჭარაში მოგზაურობით შემოვფარგლე. ამასთან, თუმცა თავდაპირველად ზაფხული მშრალი იყო და მეგონა ხელს შეუწყობდა ჩემს ექსკურსიებს, მაგრამ ნამდვილად ისე მოხდა, რომ მთელი ჩემი მოგზაურობის დროს, რაც მთელი აგვისტო, სექტემბერი და ოქტომბრის პირველ რიცხვებში გაგრძელდა, ზღვის სანაპიროზე და მთებში კოკისპირულად წვიმდა და გზაში მაყოვნებდა. თბილისიდან 28 ივლისს გავემგზავრე. გარდა საჭირო წიგნებისა, თან მქონდა კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის სამხედრო-ტოპოგრაფიული განყოფილების მიერ გამოცემული კავკასიის რუკა. თან მახლდა თბილისელი მოქალაქე შაქრო აბრამიშვილი, შუახნის მამაკაცი, რომელსაც თითქმის მთელი კავკასია ჰქონდა მოვლილი და რუსულად, ქართულად, სომხურად და თურქულად ლაპარაკობდა. გამგზავრების დღეს ჩვენს მხარეში პირველად მომიხდა რკინიგზით 12 საათში 208 ვერსის ანუ თექვსმეტი სადგურის გავლა ქუთაისამდე. ამ მანძილზე ლიანდაგი ნაწილობრივ ძველ საფოსტო გზას მიჰყვება, ნაწილობრივ კიდევ ახლად გაჭრილ ადგილებში გადის. სურამის უღელტეხილზე გაცხარებული მუშაობა იყო: აფეთქებდნენ მის გრანიტის კლდეებს; ვაკისი აქა-იქ ღრმა ხრამის პირას მიიკლაკნებოდა და სამ ადგილას გაჭრილი იყო სამი გვირაბი. ცხელი დღე იდგა, მაგრამ ვაგონები მაინც გაჭედილი იყო მგზავრებით. ბევრ მათგანს რკინიგზის ნახვა აინტერესებდა და ისე, უსაქმოდ მგზავრობდა. ფოთი-თბილისის რკინიგზის მოსამსახურეთა საგრძნობი ნაწილი იმერეთის მკვიდრნი იყვნენ. მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მიუხედავად

სარკინიგზო საქმის სიახლისა კავკასიაში, ისინი მალე შეეჩვივნენ თავიანთ მოვალეობას და, როგორც მითხრეს, საზრიანი, მკვირცხლი და გერგილიანი აღმოჩნდნენ. ასეთ შემთხვევებში იმერეთის მოსახლეობა მკვეთრად განირჩევა ქართლისა და კახეთის მონათესავე მოსახლეობისაგან. იმერელი უყოყმანოდ ტოვებს თავის კუთხესა და ოჯახს, საშოვარზე მიდის საქართველოში, კავკასიის ხაზზე და უფრო შორსაც. ამას მხოლოდ უბრალო ხალხზე როდი ვამბობ, არამედ თავადაზნაურობაზეც. ქართლელი აზნაური ქედმაღალია, იმერელი კი არა. პირველს თავის დამცირებად მიაჩნია ხელი მოჰკიდოს რაიმე სამუშაოს ან ვაჭრობას, მეორე არაფერს ამას არ თაკილობს: დაურცხვენლად ბარავს მიწას, ხსნის დუქანს სამშობლოში თუ უცხოეთში, დგება ნოქრად, მზარეულად, ხელზე მოსამსახურედ.

საღამოს რვა საათზე უკვე ქუთაისში ვიყავი, სადაც სადგურ ქუთაისიდან, რომელიც ქალაქს რვა კილომეტრითაა დაშორებული, პირდაპირ სასტუმრო „კოლხიდაში" მიმიყვანეს. სასტუმრო ფრიად იაფი და სუფთა იყო. ქუთაისში უკანასკნელად 1867 წელს გახლდით. მას შემდეგ ქალაქი საგრძნობლად გაზრდილა. მისი ბულვარი, რომელიც, როგორც მახსოვს, ქუთაისის პირველი გუბერნატორის, თავად გაგარინის დროს გააშენეს, ტევრად ქცეულა, ხეებს ხარბად აუყრიათ ტანი. ქუთაისის ყველა ქუჩა მოკირწყლულია. აუშენებიათ ბევრი ორსართულიანი სახლი, ებრაელთა სინაგოგა და ლამაზი ტაძრები — სომეხთა, კათოლიკეთა და მართლმადიდებელთა. ყველა ისინი აგებულია მშვენიერი ადგილობრივი საშენი ქვით, რომელსაც ქალაქის ახლოს ტეხენ. მართლმადიდებელთა ტაძარს იმავე თავად გაგარინის დროს ჩაუყარეს საფუძველი, დამთავრებით კი მხოლოდ რამდენიმე წლის წინათ დაუმთავრებიათ და უკურთხებიათ. იგი საუკეთესო ადგილას დგას, ქალაქის შუაგულში, ზედ ბულვართან და განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს: თავისი რვასარკმლიანი გუმბათით, გრძელი ნიშებითა და ჩუქურთმებიანი ჯვრით აღმოსავლეთის ფასადზე. სწორი სფერული კამარებით შიგნით და კვადრატული, კუთხეებში ამოღარული სვეტებით საკმაოდ მარჯვე მიბაძვაა ძველი ქართული ტაძრებისა, რომელთა საუკეთესო ნიმუში იყო ბაგრატის ტაძარი XI საუკუნის დამლევისა ქ. ქუთაისის ზემო ნაწილში. იგი დღესაც აოცებს მნახველს თავისი შელახული ნანგრევებით.

ქუთაისი იმ იმედით მოირთო და მოიკაზმა, რომ ფოთი-თბილისის რკინიგზა მასზე გაივლიდა, მაგრამ, სამწუხაროდ, გზამ გვერდი აუარა ქალაქს. აი, რატომ მოუწყენია მას და შესამჩნევად ქვეით-

დება. აქ სამი დღე დავყავი. საშინელი სულისშემხუთველი სიცხეები იყო. ამასთან ამოიჭრა ONO ქარი, რომელსაც აქ ზენას ეძახიან. იგი ზაფხულში ქართლ-იმერეთის ქედიდან უბერავს, ცვლის ორთქლით გაჟღენთილ ატმოსფეროს, ავსებს მას გახურებული ჰაერით და 6-8 დღეში ახმობს იმერეთ-სამეგრელოს მთელ საუცხოო მცენარეულობას და ხშირად სპობს ხეებსა და პურეულს.[1] საბედნიეროდ, ეს ქარი მეორე დღესვე ჩადგა. შემდეგ გაწვიმდა, რაც ხანგრძლივი თქეშის დასაწყისი იყო, მე რომ ასე დაჟინებით მდევდა თან.

ქუთაისში ჩემს ნაცნობთაგანს ცოტა ვინმეს მივუსწარი: სიცხეს ვანრიდებოდნენ და წასულ-წამოსულიყვნენ. აქ, იმ სახლის პატრონთან, სადაც სასტუმრო „კოლხიდა" არის მოთავსებული, პირველად ვნახე ერთი იმ ძველი საეკლესიო წიგნთაგანი, რომლებიც ვახტანგ VI დროს, XVIII საუკუნის დამდეგს დაიბეჭდა, სახელდობრ „კონდაკნი იოანე ოქროპირისა და დიდისა ბასილისა და გრიგოლი დიოლაღოსისა... კიდევ კურთხევანები წიგნისა მკითხველისა და მგალობელისა. და კერძო დიაკონისა, და მღვდელისა და მღვდელთ მთავრისა და დღესასწაულთა". წიგნი კარგად შენახულა. მას დართული აქვს, როგორც ბაგრატიონთა გერბი რვატაეპიანი შაირით წინასწარმეტყველ დავითისაგან მათი წარმომავლობის შესახებ, ასევე თვით ვახტანგის პორტრეტი. ვახტანგს გამომეტყველი სახე აქვს, მოკლე წვერი, სპარსულად აცვია და ფეხმორთხმული ზის. „კონდაკში" განსაკუთრებით საინტერესოა შემდეგი ბეჭდური მინაწერები:

1. სადიდებელად წმიდისა სამებისა მე გვარტომობით ძირმოდგმობით დავითიანმან, ძის ძემან სახელგანთქმულის მეფის ვახტანგისამან, ძმისწულმან ქებულის მეფის არჩილისამან და დიდად სახელოვანის ქართველთ მეფისა გიორგისამან, და ძემან დიდად პატიოსნის ლევანისამან, განმგებელმან ქართლისამან, ბატონის შვილმან ვახტანგ მოვიყვანე მესტამბე ვლახეთით და გავაკეთე სტამბა სახსრად სულთა წინა თქმულთა მეფეთასა, მამისა და დედისა ჩემისა გურიელის ასულის თუთასათვს, სალხინებლად 'სულისა ჩემისა და მეუღლისა ჩემისა ჩერქეზის ბატონის ასულის რუსუდანისა... ძეთა და ასულთა ჩემთა აღსაზრდელად.

2. ვინადგან სამღდელონი მამანი ქართველთანი დაკნინებულ იყვნეს სამღდელოთა წიგნთაგან და ვერ წარემართებოდა ნაკლულევანთა მღდელთაგან მღდელობა თვნიერ ამისა წიგნისა, ამისთვს

---

[1] Записки Кавк. Отд. Русск. Геогр. Общ., 1853. II, 6-8.

განიცადა ესეცა და გულის-ჴმაჰყო პატრონმა და განმგებელმა ქართველთამან ბატონის შვილმა ვახტანგ, ვითარმედ დიდად სახმარ არს დაკლებულთა მღვდელთათვს წიგნი ესე წმიდისა მსხვერპლისა შესაწირავისა, ამისთვს დაშვრა ამასა ზედაცა, ვითარცა სხუათა წიგნთა ზედა, რომელიცა დავბეჭდეთ თქუენ ქართველთა ენასა ზედა, რათა ამასაცა დაბეჭდვასა ჴელ-ვჰყოთ და დავსდგათ სანთელი სასანთლესა ზედა. . . ამისთვსცა მას უწმიდესნო მღვდელთ მთავარნო და განკრძალულნო მღვდელნო, რაოდენთა გენებოსთ მიღებად ჴელად წიგნი ესე, გევედრები ყოველთავე, რაჟამს სწირვიდეთ და იმსახურებოდეთ წიგნითა ამით უსისხლოთა მსხვერპლთა ზედა, ხსენებასა ჰყოფდეთ და ილოცვიდეთ სიმრთელისა და ცხოვრებისათვს, ამის საფასეთა წარმგებელისათვს და გამმართველისა და დამბეჭდველისათვს...

ქ: თქუენი სულიერი შვილი მესტამბე მიხაილ სტეფანეს შვილი უნგროვლახელი.

3. დაიბეჭდა ქალაქსა ტფილისსა ხელითა მესტამბე მიხაილ სტეფანეშვილისა უნგროვლახელისათა ქორონიკონსა ქრისტეს აქეთ ათას შვიდას და ათსა.

ქ: პრეკუმ ჩეი სტრეინი დორესკ: მოშია სეშვა ზე:
კინდ სინტინტრალტე ცარე: დენუპოტსეშა ზე:
ქ: ში კაჩეი ჩეს პრე მარე: ბატუწ დე ფურთუ ნა:
ში როაგა პრე დუმნეზეუ: დე ლინიშტე ბუ ნა:
ქ: აშა ში ტიპოგრაფი: დო კერცეი სფერში რე:
ლაუდა ნენჩეტატა: დაუ: ში მულცემი რე:

აქ მოყვანილი ექვსტაეპიანი ლექსის ენა, როგორც ჩანს, ტრანსილვანიელი რუმინელების ენაა. ისინი თავის თავს უნგროვლახელებს უწოდებენ, ისე როგორც ჩვენი მიხაილ სტეფანეს შვილი. მაშასადამე, ეს უკანასკნელი ტრანსილვანიელი იყო. იგი ლექსში სხვათა შორის თავის თავზე ლაპარაკობს როგორც უცხოელზე, რომელიც ბედმა უცხო ქვეყანაში გადატყორცნა, და პოეტური ფორმით გამოთქვამს სამშობლოს სევდას. მომყავს ეს ლექსი ვლახური ანბანით.[2]

„Precum çei streini dorescû' mosia sesvaze:
Cĕndû sint intra altá táre: de nu potû se sàde:

---

[2] ამ ლექსის შესახებ ცნობებს უნდა ვუმადლოდე ტრანსილვანიის მკვიდრს ლუიზა ბაკალოვიჩს, ნატურალისტ ბაიერნის დას. იგი შენიშნავს, რომ როგორც ლექსის ენის ტონი ცხადყოფს, ჩანს, სტეფანე ბერძენი ყოფილა.

Si catcei çes pre mare: batuti de furtuna
Si róga pre Dumnedeu: de liniste buna:
Asa si tipografi: doe certei sfersire:
Lauda n'ençetata: dau si multemire:

რაც შეეხება სხვა მინაწერებს, მათ შესახებ შემდეგს ვიტყვი: ქართული მატიანეების მოწმობით, ვახტანგ VI-ძის ძე ვახტანგ მეხუთისა, ძმისწული გიორგი მეთერთმეტისა და არჩილისა, ძე ლევანისა და ქაიხოსრო გურიელის ასულის თუთასი, 1694 წელს ჩერქეზის ბატონის ასულ რუსუდანზე დაქორწინებული", ქართლის გამგებელი იყო 1703-1711 წლებში,[3] და ამ დროის შუალედში მან თბილისში მოაწყო ქართული სტამბა,[4] რომელიც ვლახეთიდან გამოიწერა. სტამბამ მოქმედება შეწყვიტა ვახტანგის მეფობის შემდეგ და კვლავ განაახლა მუშაობა მხოლოდ ერეკლე II დროს. ვახტანგის მაგალითისამებრ იმერეთში მეფე სოლომონ II დროს დაარსდა საგანგებო სტამბა, რომელიც საეკლესიო წიგნებით ამარაგებდა იმერეთის სამრევლოებს. ვახტანგის სტამბის როგორც გამართვის, ასევე სამუშაოთა მთავარი გამრიგებელი იყო ვინმე, „ვლახელი მიხაილ სტეფანოვიჩი". აი ზოგიერთი ცნობა, თუ სახელდობრ რა წიგნები დაიბეჭდა ვახტანგის დროს. მატიანეთა ცნობით, ეს იყო „საეკლესიო წიგნები",[5] რომელთაგან, გარდა „კონდაკისა", ჩვენთვის ცნობილია „სახარება", „სამოციქულო" და „კონდაკი". იმ დროსვე დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსანი",[6] რომელსაც ჩვენამდე თითქმის არ მოუღწევია.[7] სხვა გამოცემები კი მნიშვნელოვანი რაოდენობით გადარჩა. მარტო გურიაში ვნახე ვახტანგისდროინდელი „სახარებისა" და „სამოციქულოს" საკმაოდ ბევრი ეგზემპლარი.[8] აქ არ შეიძლება ჯეროვნად არ მივუზღოთ მაშინდელი ასოთჩამომსხმელის ხელოვნებას: ვახტანგისეული თეტის ჰარტი გამოირჩევა იშვიათი სიმტკიცით: როგორც ასომთავრული, ისე ნუსხური უაღრესად სუფთა და მკაფიოა. ასე რომ, ჩემი აზრით, მათ ამ მხრივ ჩამოუვარდება თანამედროვე ქართული საეკლესიო ასოები.

---

[3] Histoire de la Géor., II, 2-e livr., 99, 627.

[4] 1709 წ. ერთი სახარების მინაწერის მიხედვით, რომელიც გურიაში ვიპოვე.

[5] Hist. de la Géor., II, I-re livr., 101, S-e livr., 23, 140.

[6] 1941 წ. გამოცემული „ვეფხისტყაოსნის" წინასიტყვაობა, გვ. XI-XII.

[7] ალბათ იმიტომ, რომ ამ პოემის, როგორც სამღვდელოების თვალსაზრისით „უზნეო" ნაწარმოების ბევრი ეგზემპლარი ერეკლე მეორის დროს დაწვეს ანტონ კათალიკოსის განკარგულებით. იხ. არქიეპისკოპოს ტიმოთეს „მიმოხილვა წმიდათა ადგილთა", 1852 წ., გამოც. გვ. 154, შენიშვნა 90.

[8] ამბობენ, რომ ერეკლე II დროს დაიბეჭდა ფსალმუნი, თვენი და მთელი წყება საეკლესიო წიგნებისა.

ქუთაისიდან გამგზავრების წინ კნეინა ესმა ჯაიანმა გადმომცა სარეკომენდაციო წერილები ზემო აჭარის ცნობილი ბეგის შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილისა და ზოგიერთი მისი ნათესავისადმი. ესმას ნა-ამბობიდან ჩანდა, რომ იგი შერიფის ახლო ნათესავია. ესმას სიტყ-ვით,დედამისი კესარია, გურიის მთავრის სვიმონის ასული. XVIII საუკუნის მიწურულს აკვანში დანიშნეს ახმედ ფაშა ხიმშიაშვილის, შემდგომში ახალციხის ფაშის მცირეწლოვან ძმაზე აბდი-ბეგზე. კე-სარია მაშინვე გაგზავნეს ახმედ-ფაშის ოჯახში, სადაც იგი მუსულ-მანურ სარწმუნოებაზე აღზარდეს. აბდი-ბეგს მისგან ოთხი ვაჟი შეეძინა: დედე-ბეგი, ქამილ-ბეგი, ნარი-ბეგი და შაქირ-ბეგი და ერ-თი ქალი, ჩვენი ესმა. ასე რომ, ესმა შერიფ-ბეგს, როგორც ახმედ-ბეგის ვაჟს, ბიძაშვილად მოხვდება. როცა კესარიას ძმა და სვიმო-ნის ვაჟი, გურიის უკანასკნელისწინა მთავარი მამია გურიის მართვას შეუდგა, კესარია გურიაში გადავიდა, თან წაიყვანა ძუძუთა ქა-ლიშვილი ესმა, აჭარაში დატოვა ყველა თავისი ვაჟი, სამუდამოდ დარჩა აქ და უარყო ისლამი. ესმას მამა გარდაიცვალა 1859 წელს, ხოლო დედა — 1861 წელს. მისი ძმები ყველა ცოცხალია და, თუმ-ცა იშვიათად, მასთან მიმოწერა აქვთ. აი რა მიამბო ესმამ. როცა ტფილისში დაბრუნების შემდეგ მისი ნაამბობი გურიის შესახებ არსებულ ოფიციალურ აქტებს შევადარე, ესმას ნაამბობი ძირი-თადად დადასტურდა.[9] ამასთან ესმას მამა აბდი-ბეგი რუსეთ-თურ-ქეთის 1828-1829 წლების ომში ცნობილი პიროვნება აღმოჩნდა. ყოველ შემთხვევაში გრაფ პასკევიჩის მიერ ახალციხის აღების შემ-დეგ აბდი-ბეგი რუსეთის რაზმების წინააღმდეგ მოქმედებდა ახალ-ციხის, აწყურისა და ოლთისის სანჯაყებში.[10]

ქუთაისიდან გურიაში მიმავალს სამტრედიასა და ორპირში უნდა გამევლო. ორპირი სავაჭრო პუნქტი იყო, მაგრამ ფოთი-ტფილისის რკინიგზის გაყვანის შემდეგ, რომელსაც ექვსი ვერსით შორავს, მან სავსებით დაკარგა თავისი წინანდელი მნიშვნელობა: მისი შენო-ბები ბაზრითურთ უკვე ინგრევა. ამჟამად მასზე მხოლოდ იმერეთი-დან გურიაში მიმავალი საფოსტო გზა გადის. ორპირის მოპირდაპი-რე ნაპირზე გადასასვლელად რიონზე ხიდი არ არის, მხოლოდ სა-ხაზინო ბორანი დადის. აქ რიონი ძალზე მდორედ მიედინება, წყა-ლი სავსეა შლამით და მუდამ ამღვრეულია; მდინარეს აქ საკმაოდ დიდი სიღრმე და განი აქვს. ასე რომ, გემები ფოთიდან თავისუფ-

---

[9] Акты Кавказс. Археограф. Комиссий, II, 541.

[10] История военных действий в Азиатской Турции в 1828-1829 гг., 11, 17, 25, 33, 238.

ლად აღწევდნენ ამ პუნქტამდე, მაგრამ ამას იქით კი ვეღარ მიდიოდნენ. აქ რიონში ერთმანეთისაგან დაშორებით მოჩანდა წყლიდან ამოშვერილი უამრავი ჭოკი, ზუთხის დასაჭერი. საერთოდ, რიონის ზუთხს დიდი სახელი აქვს საქართველოში. მდინარეზე გადასვლისას, რასაც ნახევარ საათს მოვუნდი, ხალხს გამოვკითხე და მოვასწარი ზოგი ცნობა შემეკრიბა ამ რეწვის შესახებ. ზუთხის ჭერა თითქმის ორპირს იწყება. ორპირიდან ფოთამდე ზუთხს იჭერენ ნაპირის მფლობელნი, ყოველი მათგანი თავისი სახლკარის წინ, ხოლო ფოთში ჭერის უფლება ქალაქს ეკუთვნის და იჯარით იძლევიან. ზუთხს ბადით კი არ იჭერენ, არამედ ანკესების დაყრით: ჩვეულებრივ. გრძელ თოკზე დამაგრებულია ანკესები აყიროსთან ერთად, რომ ანკესი ძალიან ღრმად არ ჩაეშვას; თოკი წყალში დამაგრებულია მდინარის ფსკერზე ჩარჭობილ ჭოკებზე. პატრონები დილას და საღამოს ნავით გასინჯავენ ანკესებს და თუ ზუთხი წამოეგო, ამოიყვანენ და გაყიდვამდე ნაპირთან უბიათ. ზუთხს იჭერენ მხოლოდ ზაფხულში და შემოდგომაზე. ჩაზამთრებაზე ზუთხი ზღვაში მიდის. მისი წონა ორ ფუთამდე აღწევს, ფასი — 3-დან 7 მანეთამდე. საფოსტო გზა ორპირიდან ოზურგეთამდე მოხრეშილია; წვიმებისა და ნამზღვლევისაგან იგი გაფუჭებული იყო მხოლოდ პირველ სადგურამდე ხევისწყლის ვიწრო ხეობაში. სამტრედიიდან ოზურგეთამდე გზა 12 საათში გავიარე და მიუხედავად წვიმისა, ძალზე გამიტაცა ადგილმდებარეობამ. გურიის ბუნება იმერეთისაზე უფრო ლამაზი და მდიდარი მეჩვენა; მდინარეები, რომლებზეც ჩემი გზა გადიოდა. მთისაა და ამიტომ ანკარა და ბროლივით გამჭვირვალეა. აქ თიხიანი ნიადაგი ჭარბობს და მაინც ძალზე ნოყიერია. ამ დღეს, 1 აგვისტოს, პირველად ვნახე მაღალი ჯიშის სიმინდი, რომელიც სექტემბერში, ზრდას რომ დაამთავრებს, საკენნახევარი სიმაღლისაა. ხეებიდან აქ ჭარბობს ხელოვნურად გაშენებული მურყანი, რომელიც ადვილად და სწორად იზრდება, და უპირატესად სწორედ მასზე უშვებს ვაზს იმერეთის, სამეგრელოს და გურიის მოსახლეობა. ვაზი, როგორც გავიგე, გაცილებით უფრო თავისუფლად გადის მურყანზე, ვიდრე რომელიმე სხვა ხეზე. სოფლები აქაც ისე გაბნეულია, როგორც ყველგან დასავლეთ საქართველოში.

ოზურგეთში ნაშუადღევის ოთხ საათზე ჩავედი და ქალაქის ცენტრში გავჩერდი ერთადერთ ძალზე ბინძურ სასტუმროში, რომელიც ქუთაისელ თუმანოვს ეკუთვნის. ოზურგეთს უჭირავს მდ. ბეუჟის შენაკადის ბაზრისწყლის ორივე ნაპირი. მისი აღმოსავლეთი ნახევარი ოდნავ შემაღლებულია. აქედან მოჩანს ერთი მხრიდან

ქართლ-იმერეთის ქედის ჩახატაურის განტოტება, რომელიც ჯერ აღმოსავლეთით გამოყოფს იმერეთიდან გურიას, შემდეგ გადაკვეთს მის ჩრდილოეთ ნაწილს ზღვის მიმართულებით, ხოლო მის იქით შორს მოჩანს ბუმბერაზი კავკასიონის მთაგრეხილი; მეორე მხრით აღმართულია აჭარა-ახალციხის მთები, რომელთა თხემებს გასდევს რუსეთ-თურქეთის სასაზღვრო ხაზი; ქალაქის სამხრეთ-დასავლეთით გადაშლილა ტალღოვანი ვაკე, ირგვლივ მთელი მიდამო დაფარულა ხშირი ტყეებით, შიგადაშიგ გაშენებულია ღომისა და სიმინდის ყანები. ოზურგეთი ჰავის მიხედვით გურიის ერთ-ერთ საუკეთესო ადგილად ითვლება. როგორც ცნობილია, იგი გურიის მთავართა საზამთრო რეზიდენცია იყო. მათი ყოფილი სასახლე ახლა სამხედრო ლაზარეთს უჭირავს. აქ, გარდა ორი სკოლისა, საეროსი და სასულიეროსი, არის სამაზრო მმართველობა და დგას ერთი ბატალიონი, რომელიც კორდონთან ერთად იცავს ქალაქსა და გურიის საზღვრებს. ოზურგეთში საინტერესო ვერაფერი ვნახე: მისი ორი მართლმადიდებლური ეკლესია უბრალო ხუროთმოძღვრებაა გურიისათვის ჩვეულებრივი უშნო ხის გუმბათებით. დიდი ხანი არ არის, რაც აშენდა; კერძო სახლები და ბაზრები თითქმის ყველა ხისაა. ოზურგეთის შენობებიდან განსაკუთრებული ყურადღების ღირსია მხოლოდ ერთი, სახელდობრ, თავად დიმიტრი ქაიხოსროს ძე გურიელის ორსართულიანი სახლი, რომელიც ამ ბოლო დროს აუშენებიათ ევროპულ-თურქულ ყაიდაზე.

ოზურგეთში ცოტა ხანს დავრჩი. ყველა ნაცნობმა, ვინც კი იქ ვნახე, სრული დახმარება აღმითქვა გურიის არქეოლოგიურ შესწავლაში. მათგან, როგორც შემდგომ ვნახავთ, განსაკუთრებული დახმარება გამიწიეს: გურიის ეპისკოპოსმა გაბრიელმა, თავადებმა გრიგოლ დავითის ძე და დიმიტრი ქაიხოსროს ძე გურიელებმა და ჩემმა სასულიერო სემინარიის მეგობარმა და ამხანაგმა, დეკანოზმა სვიმონ ქიქოძემ, გურიის მკვიდრმა, რომელმაც ყველაზე მეტი დაწვრილებითი და საფუძვლიანი ცნობები მომაწოდა როგორც გურიის ძველ ტაძრებსა და მათს იშვიათ ნივთებზე, ასევე განსაკუთრებით ამ მხარის ეთნოგრაფიაზე. სანამ ოზურგეთს ჩავიდოდი, ჩემი გეგმა ასეთი იყო: ჯერ გურია უნდა შემომევლო, მერე კი აჭარა და ჩურუქ-სუ. აქ ეს გეგმა უნდა შემეცვალა: მირჩიეს ჯერ აჭარას მორჩი, რადგან მის ზემო ნაწილში ადრე აცივება იცის და ხშირად შემოდგომის დამდეგს აჭარა-ახალციხის ქედზე თოვლს დაყრისო. ამიტომ სექტემბერში მთიან აჭარაში მგზავრობა შეიძლება გაჭირდესო. აჭარაში სამი მხრიდან შეიძლებოდა შესვლა: ახალციხიდან

ქვაბლიანის ხეზე გავლით, გურიიდან სუფსის შენაკადების — ბახვისწყლისა და გუბაზეულის აყოლებით სომლიასა და ზოტიმერიაზე და, ბოლოს, ბათუმიდან აჭარისწყლის ხეობით. ეს უკანასკნელი გზა ყველაზე მარჯვე იყო, თანაც მე ვერ დავიწყებდი არქეოლოგიურ ძიებას აჭარასა და ჩურუქ-სუში, თუ წინასწარ არ მივიღებდი ბათუმის ფაშის ოფიციალურ ნებართვას. ამრიგად, გადაწყდა გავმგზავრებულიყავი ხმელეთით ჩურუქ-სუზე გავლით. კორდონის უფროსის პოლკოვნიკ თავად გრიგოლ გურიელის განკარგულებით ბათუმამდე გამყოლად დამინიშნეს მილიციის ოფიცერი ფირან ბერიძე, რომელსაც სახლიკაცები და ბევრი ნაცნობი ყავდა თურქეთის ფარგლებში და, საერთოდ, ერთგვარი სახელი ჰქონდა ჩურუქსუს მთელ მოსახლეობაში.

ოზურგეთიდან სამ აგვისტოს გავემგზავრეთ. ცრიატი დილა კარგ დარს არ გვიქადდა. ჩვენი გზა დაბლობზე გადიოდა ჩოლოქის სასაზღვრო საგუშაგომდე, რომელიც ოზურგეთიდან 10 ვერსზე მდებარეობს პატარა მდ. ჩოლოქის მარჯვენა ნაპირზე. ამ მდინარეს სათავე ჭახათის მთებში აქვს და, ვიდრე ზღვას შეერთვოდეს, შეკვეთილში რუსეთ-თურქეთის სახელმწიფო საზღვრის გაგრძელებას შეადგენს. მის მარცხენა ნაპირზე, ჩვენი საგუშაგოს პირდაპირ, თურქეთის საგუშაგო იდგა. აქ მიგვიღო მისმა უფროსმა, გადმოსახლებულმა ჩერქეზმა, რომელიც ცოტას ლაპარაკობდა რუსულად. ჩოლოქს გაღმა ადგილმდებარეობა შეიცვალა: დაახლოებით ოც ვერსზე სოფელ გვარამდე გზა გორებზე გადიოდა, რომლებიც ჭახათის ქედის განშტოებებს შეადგენენ; შემდეგ იგი ქობულეთში კვლავ გავაკდა, სოფელი გვარა ტევრში მიმოფანტულა, ქობულეთი კი ზღვისპირას მოქუჩებულა, მდ. აჭყვის შესართავთან. ქობულეთი პატარა სავაჭრო ქალაქია, თურქეთის მუდირის (უბნის უფროსი) რეზიდენცია და შტაბსადგომი ერთი ბატალიონია, რომლის შემადგენლობაში როგორც ადგილობრივი მცხოვრებნი, ისე ჩერქეზებიც აღმოჩნდნენ. ქობულეთში შესვლისას გვერდით ჩავუარეთ ორ ორსართულიან სახლს, რომლებიც თადგირიძეების ანუ თავდგირიძეების გურიის ძველი საგვარეულოს ადგილობრივ მემამულეებს ეკუთვნით: ალი-ფაშას, ოსმან-ბეგს, ხუსეინ-ბეგსა და მურად-ბეგს; ჩვენ იმედი გვქონდა, რომ მათთან გავათევდით ღამეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერც ერთ მათგანს ვერ მივაკვლიეთ. ჩვენ ეს ადგილი ბოლოს ვეწვიეთ, ოღონ მათი ცოლების შეწუხებას მოვერიდეთ, თუმცა ქმრების შინ არყოფნისას მათ უფლება აქვთ ისტუმრონ ვინც უნდა იყოს. მიუხედავად იმისა, რომ ჩოლოქიდან მოკიდებული შეუჩერებლივ წვიმ-

და, გზაში 6 საათს ვიყავით. ღამე ერთ ვიწრო დუქანში გავათიეთ ადგილობრივი ვახშმობისა ქმაყოფილი დავრჩით [illegible] ბორ-ლის პური, რომელსაც აქ ჯარისკაცებს აქმევენ, ერთად შემზადე-ბული ყველი, კვერცხი და ერბო. ყურძნის ღვინისა და არაყის ნა-ცვლად, რაც თურქეთის ფარგლებში აღარ იყიდება. გეახელით სას-მელს, რომელსაც აქ მასტიკას ეტყვიან. ვახშმისათვის ჩვენი ფული გადავიხადე, რომელიც, როგორც ოქრო და ვერცხლი, ისე საკრე-დიტო ბილეთები, აქ ბათუმში ხმარებაშია; შემდეგ მას აღარ იღე-ბენ, მხოლოდ ოქროსა და ვერცხლის მონეტები გადის. აქ საჭიროდ ვრაცხ მკითხველს გავაცნო ადგილობრივი მონეტები და საწყაო-საზომები. აქაური ფული: სპილენძისა — ფარა, რომელიც სხვათა შორის თითქმის აღარ არის მიმოქცევაში და რომელიც ჩვენი ფუ-ლით $^1/_4$ კაპიკს შეადგენს. არის 5-ფარიანი, 8-ფარიანი, 10-ფარიანი სპილენძის ფული; ვერცხლისა — მეჯიდიე ანუ 24 ყურუში (1 მან. 40 კაპ.); არის $^1/_4$ მეჯიდიე და $^1/_2$ მეჯიდიე; ოქროსი — ყირმიზი, რომე-ლიც 120 ყურუშს შეესაბამება. გარდა ამისა, აქ ხმარებაშია განყუ-ნებული ფული ანუ ქისა, რომელშიც იგულისხმება 50 მან. ვერ-ცხლით. საწყაოებია: ბათმანი ($^1/_2$ ფუთი), რომელიც 6 ოყას შეად-გენს, ოყა — 400 დრამას, დრამა — 4 დანგს; ქილა — 3 პინას, პი-ნა — 10 ოყას. რაც შეეხება მანძილის საზომს, იგი განისაზღვრება იმ დროით, რომლის უმთავრესი ერთეულია ცხენოსნის ან ქვეითის ერთი საათის სავალი. ცხენით მგზავრობის ერთი საათი მთაგორიან ადგილებში შეესაბამება 6 ვერსს, ხოლო ქვეითად სიარულის ერთი საათი — 5 ვერსს; დღიური გადასავალი კი — 30-40 ვერსს უდრის.

მეორე დღეს დავიცადეთ, ვიდრე წვიმა, რომელიც მთელ ღამეს შეუჩერებლივ ასხამდა, მოკლე ხნით გადაიღებდა და განვაგრძეთ გზა. ეს გზა ზღვის ნაპირს გასდევდა და ძნელად სავალი იყო მხო-ლოდ ორ ადგილას — ციხისძირსა და მახინჯაურში, სადაც პერან-გას ქედის ტოტები ზღვამდე ეშვება. სწორედ ამ ტოტებზე მიიკ-ლაკნება გზა კლდეებსა და ტყეებს შორის. იმ მრავალი მდინარი-დან, რომლებიც ჩვენს გზას კვეთდნენ, შედარებით ყველაზე მნიშ-ვნელოვანი იყო აჭყვა, კინტრიში და ჩაქვისწყალი, რომლებზეც, მიუხედავად იმისა, რომ წვიმებისაგან მოდიდებულიყო, ჩვენ ყველ-გან ფონს გავდიოდით. ჩავუარეთ სოფელ ციხისძირს, რომელიც ემიგრანტი ჩერქეზებით არის დასახლებული. როგორც ამბობენ, ახლომახლო მიდამოები მათგან არცთუ მთლად უსაშიშროა. ეს სო-ფელი ძველ სიმაგრეს ციხისძირს აკრავს, რომელიც თავისი მასი-ური კედლებით ზედ ზღვისპირას აღმართულა კლდეზე და ცნობი-

ლია ჩვენი უშედეგო ალყით თურქეთთან ომში 1829 წ.[11] სოფელ ჩაქვში წვიმისაგან თავი შევაფარეთ ფლეთილი ქვის დიდ ორსართულიან სახლს, რომელიც კრამიტით იყო დახურული, როგორც საუკეთესო ადგილობრივი სახლების უმეტესობა. უცნაურია, რომ აქ სოფლის მოსახლეობა აგურს არ ხმარობს. კრამიტი კი ფრიად გავრცელებულია. ამ სახლს დატანებული ჰქონდა ხის ჟალუზიანი და დარაბებიანი მრავალი მაღალი ფანჯარა, ეს სახლი ეკუთვნოდა ადგილობრივ მემამულეს ხუსეინ-ბეგ ბეჟან-ოღლის ანუ ბეჟანიშვილს, რომელიც მთელი თავის ოჯახით სადღაც წასულიყო. სახლის ახლოს იყო მდიდარი და საკმაოდ ვრცელი ჩელტიკის, ანუ ბრინჯის ყანა, რომელიც, როგორც გვითხრეს, ხუსეინ-ბეგს წლიურად 300 ქისა შემოსავალს აძლევს. სახლში ვნახეთ რამდენიმე ვიწრო დერეფანი, რომლებიც საქალებოში გადიოდა; უამრავ მაღალ დიდსა თუ პატარა უბუხრო ოთახებში, სადაც ერთი რკინის ღუმელი ედგათ, იატაკი ხისა იყო, ბინძური, რწყილებით გატენილი; სახლის მცველად ერთი ნახევრადუსინათლო მოხუცი და მისი ახალგაზრდა ლამაზი ვაჟი დაეტოვებინათ. მათ არაფერი აღმოაჩნდათ, რომ დავნაყრებულიყავით, გარდა კეფალისა, რომელსაც ჩვეულებრივ ზაფხულში და შემოდგომაზე იჭერენ მდინარისა და ზღვის შესართავთან. მისი თეთრი ხორცი განსაკუთრებით გემრიელად ითვლება.

ბათუმში საღამოს 6 საათზე მივედით. ის ადგილი, რომელიც თურქეთის ფარგლებში გავიარე, ორ ოლქში შედის: ჩურუქ-სუს ოლქში ჩოლოქიდან ციხისძირამდე და ბათუმისაში ციხისძირიდან. ჩურუქ-სუს ოლქი მცირეა; მისი საზღვრებია — ჩრდილოეთით გურია, დასავლეთით — შავი ზღვა, სამხრეთით და აღმოსავლეთით — პერანგას ქედი, რომელიც ზემო ხინოს ზევით აჭარა-ახალციხის ქედს გამოეყოფა, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ მიემართება და სხვადასხვა მხარეს მრავალ ტოტად იყოფა. ერთი მათგანი, რომელიც ჩურუქ-სუსა და აჭარის ოლქების საზღვარია, ზღვაში ეშვება ციხისძირთან. ერთადერთი ხეობა, რომელიც თითქმის მთელ სიგრძეზე კვეთს ჩურუქ-სუს, კინტრიშის, ანუ ისტორიული ხინოსწყლის ხეობაა. ჩანაწერის Notice sur Batoumi მტკიცებით, რაც თავაზიანად მაცნობა ჩვენმა ვიცეკონსულმა ბათუმში. ჩურუქ-სუში 3592 ქართველი მუსულმანი ცხოვრობს, ამას წინათ დასახლებული 538 ემიგრანტი ჩერქეზის ჩაუთვლელად, ჩურუქ-სუს ბუნება ისეთივეა, როგორიც გურიისა; აქ არ არის

[11] История военных действий II, 287-289.

მღვრიე მდინარეები, არც ჭაობები. მთელი არე-მარე ირგვლივ საუცხოო მწვანეშია ჩაფლული. ტყეები აქ ისეთი უღრანია, რომ შიგ ახლოსაც კი ძნელად შეამჩნევ სახლებს, ძველ ციხე-კოშკებსა და ტაძრების ნანგრევებს; თვით მინდვრებზე, სადაც სიმინდი და ბრინჯი არ უთესიათ, — ღომი აქ ცოტაა, — მაღალ გვიმრას, შავი ზღვის სანაპიროს ამ ჭირს, სულერთიან დაუპყრია ნიადაგი.

გურიის საზღვრიდან ბათუმამდე მოსახლეობა მხოლოდ ქართული ელემენტისაგან შედგება (ჩერქეზების გამოკლებით) და მათი ენა არაფრით არ განსხვავდება გურული კილოსაგან. მცხოვრებთა ტიპი, ტანსაცმელი, ზნე-ჩვეულება ასევე გურულია. ჩურუქსუელებს ძალიან კარგად ახსოვთ თავიანთი ქართული წარმომავლობა და თურქული სახელები ჰქვიათ, მაგრამ ამასთან კვლავ ხმარობენ თავის ძველ ქართულ გვარებს; თანაც ყველა მათგანს შეუძლია დაგისახელოს თავისი სახლიკაცები გურიასა და იმერეთში, და ისლამმა მაინც უკვე დაასვა მათ თავისი დაღი, ქალს თვალს ვერსად მოჰკრავ; ისინი ჩაკეტილი არიან და გამოჩენას ვერ ბედავენ. ამ მხრივ ჩურუქ-სუ და, როგორც შემდეგ დავრწმუნდი, მთელი აჭარა მეზობელი გურიის სრული კონტრასტია. არც ეკონომიურად, არც გონებრივად ადგილობრივ მცხოვრებთ ნაბიჯიც არ წაუდგამთ წინ. ისინი, შეიძლება, ითქვას, უარეს უმეცრებაში არიან, ვიდრე მათი წინაპრები იყვნენ, სანამ თურქები დაიპყრობდნენ. მათში უაღრესად მძვინვარებს შურისძიება, რის კვალიც არც წინათ და არც ახლა არ ეტყობათ მათს მონათესავე გურულებს. აქ არის შეძლებული გვარები, როგორც, მაგალითად, თავდგირიძეები და ბეჟანიშვილები, მაგრამ მათში არავინაა ისეთი, რომ შვილების აღზრდა შეეძლოს: მათ არა აქვთ არც ერთი სასწავლებელი, გარდა მეჩეთებთან არსებული უბადრუკი სკოლებისა. ერთი სიტყვით, განვითარების გზა მოჭრილი აქვთ. ჩურუქ-სუ სულ ერთიან გამუსულმანებულია, თუმცა ქრისტიანობის კვალი ჯერ კიდევ შემორჩენილა: გზაში მაჩვენეს რამდენიმე ქრისტიანული ეკლესია, სახელდობრ სამებაში, ვარჯანულში, ხუციისუბანსა და გვარაში. გვარას ტაძარი ცნობილია თეთროსანის სახელით და განსაკუთრებით განთქმულია ჩურუქსუსა და მთელ გურიაში. იგი, ერთი მინაწერის მიხედვით, რომელიც გურიაში ვიპოვე, წაართვეს გურიას ბეჟან დადიანის გარდაცვალების წელს[12] და მისი ღვთისმშობლის მდიდრული ხატი ამჟამად ინახება მაცხოვარში (აკეთში), რომელიც გურული თავდგირიძეების საძვალეა. ჩურუქ-სუს ტაძრები ნანგრევებად ქცეულა, მაგრამ მაინც

[12] ვგონებ, 1728 წ. Hist. de la Géor., II, 2-e livré, p. 648.

ადგილობრივი მცხოვრები, ვერ ვიტყვი, პატივს სცემენო, უბრალოდ ეშინიათ: ჩვეულებრივ ავადმყოფობას, ყოველგვარ უბედურებას ოჯახში, საქონლის გაწყდომას ისინი ხშირად მიაწერენ მათ მიერ მიტოვებული ტაძრებისა და მათი ხატების რისხვას. ამიტომ არის, რომ დროდადრო მათ სწირავენ ცხვრებს, ქათმებს და სხვ. განსაკუთრებით ბევრ მლოცველს იზიდავს თეთროსანის ღვთისმშობლის ხატი მაცხოვარში.

ჩურუქ-სუ, ანუ ქართული ქობულეთი წარსულში გურიის შემადგენლობაში შედიოდა და მისი მოსახლეობა, როგორც ეს შემდეგ იქნება ნაჩვენები, არც ისე დიდი ხანია მოიქცა მუსულმანობაზე. ქართულ მატიანეებში გურიის ამ ნაწილზე ვერავითარ ცნობას ვერ ვნახულობთ. მასზე მოგვითხრობს მხოლოდ XVIII საუკუნის მწერალი ბატონიშვილი ვახუშტი თავის ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა". მისი თქმით, „ოზურგეთის სამჯრით დის მდინარე ხინოსი, გამომდინარე აჭარა-გურიის მთისა. მიდის აღმოსავალ-სამხრეთის შუადამ, ჩრდილო-დასავლეთს შუა, ლეხეურის ციხემდე. მერმე დის აღმოსავლეთიდამ დასავლეთად, მიერთვის ზღვას აღმოსავლიდამ... ხინოს მდინარის სამჯრით, მთის ძირს, არს აჭვს ციხე კარგი; და ხინოს მდინარის შესართავთან ზღვაზედ არს ალამბარი, სასახლე შენი, გურიელთა. ... ალამბრისა და აჭვის სამჯრით დის მდინარე ქობულეთისა. გამოსდის ხინო-აჭარის მთასა, მოდის დასავლით, მიერთვის ზღვასა ეგრეთვე. ზღვის პირს ამ წყალზედ არს ქობულეთი, მცირე ქალაქსავით და ნავსადგური ფრიად კეთილი. ამის სამჯრით დის ჩაქვისწყალი. გამოსდის აჭარის მთას, მოდის დასავლით, ერთვის ზღვას სხვებთაებრ. ამ წყალზე, ზღვის კიდეს, არს ციხე ქაჯეთისა, მაგარი, მაღალს კლდესა ზედა შენი. აქუს გვირაბი — კლდე გამოკვეთილი გზად. ამას ზევით არს ამ წყალზე ჩაქვი".[13] თუ ამ ცნობებს შევადარებთ ახლანდელი რუკების ცნობებს, პირველი სწორი აღმოჩნდება მხოლოდ თავისი გეოგრაფიული ნომენკლატურით. ხოლო რაც შეეხება თვით ტოპოგრაფიას — მდინარეების მიმართულებას, სოფლებისა და ციხეების ადგილმდებარეობას, ამ მხრივ ვახუშტი საერთოდ სცოდავს ჭეშმარიტების წინაშე.

აჭვში, ანუ სხვანაირად აჭში არ არის ციხეები, არის მხოლოდ ერთი ციხე სოფელ ლიხაურში, აჭის მეზობლად, რომელიც დიუ-

---

[13] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941, თბილისი, გვ. 175-176. (დ. ბაქრაძე მიუთითებს ფრანგულ თარგმანს — Descr, géorg).

ბუა დე მონპერემ აღწერა.[14] აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ვახუშტის, როცა თავის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ ადგენდა, როგორც ჩანს, ხელთ ჰქონდა მეტ-ნაკლებად ზუსტი ცნობები მხოლოდ ქართლის, კახეთის, იმერეთისა და საათაბაგოს ნაწილის შესახებ; ხოლო მისი ცნობები ძველი საქართველოს სამეფოს სხვა მხარეთა შესახებ საერთოდ მეტისმეტად აბნეულია. ამიტომ გასაგებია, რომ იგი მეგზურობას ვერ გაგვიწევს არათუ ჩურუქ-სუს, აჭარისა და ჭოროხის აუზის, არამედ თვით გურიის შესწავლის დროსაც.

კიდევ ერთი შენიშვნა. უეჭველია, ვახუშტი ქაჯეთის ციხედ გულისხმობს ახლანდელ ციხისძირს, ასეა თუ ისე, მითითებულ ადგილას ციხისძირი ერთადერთი შესანიშნავი ციხეა, და მაინც მას არ ცნობს არც ვახუშტი და არც იმერეთის მეფე ალექსანდრე (XVIII ს. დამდეგი); ციხისძირის ნაცვლად, როგორც ვახუშტის რუკაზე, ასევე ალექსანდრეს რუკაზე აღნიშნულია ქაჯეთის ციხე.[15] გარდა ამისა, საქართველოში ფიქრობენ, XII საუკუნის დამლევის პოეტს რუსთაველს, „ვეფხისტყაოსანში“ ქაჯეთის ქალაქს რომ აღწერდა, მხედველობაში ჰქონდა ვახუშტის ქაჯეთის ციხე, ანუ ახლანდელი ციხისძირი. ამასთან ქაჯეთის ციხის ვახუშტისეულ აღწერას თე შევადარებთ რუსთველის მიერ აღწერილ ქაჯეთის ქალაქს, პირველი მეორისაგან ნასესხები ჩანს.[16]

ბათუმში ზედ ნავმისადგომთან დავბინავდი ახალციხელი სომხის სტეფანე დადებოვის მაღაზიის ზედა სართულზე. სტეფანე 15 წელიწადზე მეტია, რაც აქ ვაჭრობს ნაირ-ნაირი ევროპული სასმელებით. მეორე დღეს, დილის 9 საათზე ბათუმის მუდირმა, წარმოშობით ლაზმა, რომელიც თავისუფლად ლაპარაკობდა ქართულად, წამიყვანა ფაშასთან, 70 წლის მოხუცთან, კონსტანტინოპოლელ თურქთან, რომელიც აგერ ორი წელია განაგებს ლაზისტანის საფაშოს. მან ალერსიანად მიმიღო და ყავით გამიმასპინძლდა. საინტერესო საუბარი გავაბით. მის შეკითხვაზე, რისთვის ჩამობრძანებულხართო, ავუხსენი: ჩურუქ-სუს, აჭარისა და ჭოროხის აუზის ძველი ძეგლების შესასწავლად გამომგზავნეს-მეთქი, გაიოცა, რომ ჩვენ ასეთი წვრილმანები გვაინტერესებს.

„მერე მაქედან რა სარგებლობა გექნებათ?“ — მკითხა ფაშამ.

„ჩვენ გვინდა ვიცოდეთ, — ვუპასუხე მე, — როგორია ეს ძეგლები და შემორჩა თუ არა მათზე წარწერები. ეს წარწერები სა-

---

[14] Voyage autour de Caucase, III, p. 101-105.

[15] Carte de Wakhoucht, N 5. — Carte d'Alexandre Gamba, Voyage dans la Russie Méridionale, t. I.

[16] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 176; „ვეფხისტყაოსანი“, 1966, 1287.

შუალებას მოგვცემს ვიმსჯელოთ, როდის და ვინ ააშენა ისინი; გარდა ამისა, მათ შეიძლება გაგვიმჟღავნონ რაიმე მნიშვნელოვანი ფაქტები. ისტორიისათვის ნაკლებად, ან სულაც უცნობი. საერთოდ, — დავძინე მე, — ძველი ციხეების, მეჩეთებისა და ეკლესიების წარწერები ისტორიის მასალაა და ამიტომ ევროპელი მეცნიერნი ქვეყნის ყველა კუთხეში აგროვებენ მათ.

ამ პასუხმა ვერ დააკმაყოფილა ფაშა.

„ასეა თუ ისე, თქვა მან, ნებას ვერ მოგცემთ ჩემს საფაშოში იმოგზაუროთ, რადგან არა მაქვს ამის ნებართვა კონსტანტინოპოლიდან". მე ავუხსენი, თუ დავალების შეუსრულებლად მომიხდა აქედან წასვლა, ამის მიზეზი უნდა ვაცნობო მეცნიერებათა აკადემიას სანკტ-პეტერბურგში და იქ რას იფიქრებენ-მეთქი. თურქეთი ევროპულ სახელმწიფოთა ოჯახს ეკუთვნის, ევროპაში კი მეცნიერები თავისუფლად მოგზაურობენ სხვის სახელმწიფოებში და მათ ყველგან ხელს უწყობენ კერძო და მთავრობის პირები. კაცმა რომ თქვას, ის, რისთვისაც მე ჩამოვედი, თურქი მეცნიერების მოვალეობაა, ისინი კი არავითარ ცნობებს არ გვაწვდიან თქვენს იმპერიაში არსებულ ძველ ძეგლებზე და ამიტომ ჩვენ, უცხოელებს, უფლება გვაქვს მოვითხოვოთ, რომ ნება მოგვცეს ხელი მოვკიდოთ ამ საქმეს-მეთქი".

„როგორც უნდა იყოს, მიპასუხა მოხუცმა, როცა მისტუმრებდა, მოველაპარაკები თქვენს ვიცე-კონსულს და შემდეგ ამ საკითხს განსასჯელად გადავცემ მეჯლისს".

ერთი დღის შემდეგ მე ვიცე-კონსულ ჯუდიჩისთან ერთად კვლავ შევუარე ფაშას, მაგრამ ამჯერადაც მისი პასუხი ასეთი იყო: თქვენი საქმე მხოლოდ მეჯლისის სხდომაზე შეიძლება გადაწყდესო.

ბათუმი ზღვის ნაპირზე მდებარეობს. ერთ მხარეს მას გარს აკრავს პერანგას ქედის ტყიანი ტოტების კალთები, მეორე მხარეს მოსდგომია ლაზისტანის ანუ პონტოს მთაგრეხილი, რომელიც ბათუმიდან 13 ვერსის დაშორებით მიმდინარე ჭოროხს ებჯინება. ეს მთაგრეხილი იმ გრძელი ქედის გაგრძელებაა, რომელიც ანტიტავრის სახელით არის ცნობილი.[17] ბათუმს მშვენიერი ნავსაყუდელი აქვს, რომელსაც ქმნის აღმოსავლეთიდან ზღვაში შეჭრილი კონცხი, ხოლო დასავლეთიდან — მონალექი ნიადაგის ვრცელი ზოლი. ნავსაყუდელი თითქმის 5 ვერსზეა გადაჭიმული და ნაპირის ახლოს 10 საჟენი სიღრმე აქვს და თვით ნაპირამდეც ღრმა არის. ერთადერთი

---

[17] Vivien de Saint-Martin, Histoire des découvertes géographiques... 1845, III, 378. Геологические очерки Кавказа. Шуровского в «Русском Вестнике» 30 марта 1862 г., 95.

ძლიერი სამხრეთ-დასავლეთის ქარი სრულიადაც არ არის საშიში გემებისათვის, თუ საიმედო ღუზა და მაგარი ბაგირები აქვს.[18] მაგრამ ამასთან ბათუმის ნავსაყუდელი, როგორც ამტკიცებენ, ვერ არის გემების კარგი საზამთრისი, ვინაიდან შავმიწის რბილგრუნტიან ფსკერზე უხვად მრავლდებიან მწერები, რომლებიც დიდ ზიანს აყენებენ გემებს.[19]

ბათუმი ადრეული ეპოქებიდანვე ცნობილი იყო Bathy-ს სახელწოდებით. იგი რომაელთა სამხედრო სადგური იყო და 11-ე საუკუნეში ქრ.შემდ. იმპერატორ ადრიანეს დროს, აქ რომაელთა გარნიზონი იდგა.[20] შემდგომში იგი გურიელის სამფლობელოში შედიოდა. ქართული მატიანეები მოწმობენ, რომ თურქებმა როსტომ გურიელს, რომელიც 1564 წელს გარდაიცვალა, წაართვეს როგორც ბათომი ანუ ბათუმი, ისე გონია, სადაც მაშინვე ააგეს სიმაგრეები.[21] შემდეგ იგი აქციეს ბათუმის ლივანის ანუ სანჯაყის დედაქალაქად და სხვა სანჯაყებთან — ტრაპიზონსა და გონიასთან — ერთად ტრაპიზონის გუბერნატორს დაუმორჩილეს.[22] XVIII საუკუნეში ვახუშტი მას მოიხსენიებს მცირე ქალაქად და კარგ ციხედ,[23] მაგრამ ადრიან დიუპრეს დროს, რომელმაც 1807 წელს მოიხილა ბათუმი, აქ თუმცა 2000-მდე მცხოვრები იყო მათი აქა-იქ გაფანტული სახლებით, იგი უფრო დიდ სოფელს ჰგავდა, ვიდრე ქალაქს. არავითარი სიმაგრე არ იცავდა მის რეიდს. ქვის საძირკველზე აგებული ერთადერთი ხის კოშკი, თხრილშემოვლებული და უქვემეხო, აღმართულიყო ბაზრის შესასვლელთან. ბაზარში 50-მდე უხეირო დუქანი იდგა უმნიშვნელო საქონლით. დიუპრეს სიტყვით, „ამ ქვეყანაში უხვად მოდის ხილი, პური(?) და განსაკუთრებით ბრინჯი; მაგრამ ბათუმის ვაჭრობა უმნიშვნელოა, რადგან პატარა გემებსა და ხომალდებს, რომლებიც აქ შემოდიან, მხოლოდ რკინა, მარილი, საპონი და ზოგი რამ ფართლეული შემოაქვთ მოსახლეობის საჭიროებისათვის. ბათუმის კომენდანტის სახლი, რომელიც ახალციხის ფაშის გამგებლობაშია, მაღლობზე დგას მეოთხედ ლიეზე ქალაქიდან ჩრდილოეთით და დაცულია ქვის კოშკით“.[24]

---

[18] Notice cur Batoum.

[19] Lebeau, Histoire du Bas-Empire, XX, 501, n. 4. История Воен. действий в Азиатской Турции в 1828—1829 гг., III, I, 133.

[20] Histoire du Bas-Empire, XX, 501. Rottiers, Itinéraire de Tiflis à Constantinople, 174-176.

[21] Hist. de la Géor., II, I-er livr, 257-258.

[22] Géographie turque par Hadji-Khalpha. Hist. des découv. géogr... III, 655.

[23] აღწ. სამეფ. საქართვ. 156.

[24] Gamba, Voyage dans la Russie mérid., I, 399-401.

ამჟამად ბათუმი ლაზისტანის საფაშოს დედაქალაქია, მას მართავს მუთასარიფი ანუ გუბერნატორი, რომელიც უშუალოდ ემორჩილება პორტას და არაპირდაპირ ტრაპიზონის გენერალ-გუბერნატორს.

ამ საფაშოში შედის 11 კაზა, ანუ ოლქი: ბათუმი, ჩურუქ-სუ, ზემო აჭარა, ქვემო აჭარა, მაჭახელი, ლივანი, გონია, ხოფა, არხოვე, ემშინა და ათინა.[25] ყოველ ოლქს განაგებს ოლქის უფროსი ანუ კაიმაკამი, რომლის ხელქვეითაა 2-3 მუდირი, ჩვენს უბნის უფროსს რომ შეესაბამება. გარდა ფაშისა, ბათუმში არის: მეჯლისი ანუ საგუბერნიო საბჭო, კაიმაკამი, სასამართლო, საბაჟოს სამმართველო და შტაბსადგომი ბატალიონისა, რომელიც, სხვათა შორის, სიმაგრეებს აგებს. არის ორი სკოლა — თურქული და ბერძნული, სამი მეჩეთი და წმიდა ნიკოლოზის მართლმადიდებლური ეკლესია, რომელიც ახლახან აიგო რუსეთის ვიცე-კონსულის ოფიციალური ჩარევის წყალობით. ქალაქის საუკეთესო ნაწილია ნავმისადგომი, სადაც განლაგებულია ბერძნებისა და სომხების მაღაზიები და რამდენიმე საკმაოდ რიგიანი კერძო შენობა; მათგან განსაკუთრებით საყურადღებოა ჩვენი ვიცე-კონსულის ორსართულიანი სახლი ევროპული გემოვნებით, გაშენებული ბაღით და ლაზი მახმუდის ევროპულ-თურქული ყაიდის სასტუმრო მისი შადრევნით, აბანოთი, ყავახანითა და საბილიარდოთი. ქალაქის ამ ნაწილს აკრავს ვრცელი ადგილობრივი ბაზრები, რომლებიც 800-ზე მეტი დუქნისაგან შედგება, ხოლო ამას იქით იწყება გარეუბანი, ისევე მიმოფანტული, როგორც დიუპრეს დროს იყო. ბათუმში, შედარებით, მოსათმენი ჰავაა; ირგვლივ ჭაობები ცოტაა და ამიტომ, თუ თავს გაუფრთხილდები, აქ შეიძლება ისე იცხოვრო, რომ ციების შიში არ გქონდეს. ქალაქს კარგი ჭის წყალი აქვს. ქალაქი დაყოფილია გასაყიდ ნაკვეთებად და მათი ყიდვის უფლება ყველას აქვს, უცხოელებსაც კი. თუმცა, ამბობენ, თავისუფალი ნაკვეთები ცოტაღა დარჩა და ამ ბოლო დროს მათმა ფასმა აიწიაო; ნაკვეთების მეტი ნაწილის ყიდვა უკვე მოასწრეს ლაზებმა და იქ დუქნები და სახლები ჩადგეს. ბათუმს ბლომად ეტანებიან ჩურუქსუელები, აჭარლები და ლაზები. მათ ყველას ერთნაირად აცვია. მათ ტანსაცმელს შეადგენს თურქული თავსახვევი ანუ ჩალმა, მოკლე კურტაკი, ადგილობრივი მაუდის ვიწრო შარვალი და ფართო სარტყელი, რომელიც წელზე აქვთ შემოხვეული. ყველანი შეიარაღებული არიან ადგილობრივ ნაკეთები თოფებით; სარტყელში გაჩრილი აქვთ ორლესული ხანჯლები და

[25] Notice sur Batoum.

ინგლისური წარმოების პისტოლეტები, ანუ, როგორც აქ ეძახიან, ფიშტოები. მკვიდრი მოსახლეობა ხმალს არ იცნობს. ბათუმში გაიგონებთ ბერძნულ, თურქულ და ქართულ ენებს. აქ ყველაზე უფრო გავრცელებულია ქართული ენა, რომელზეც თავისუფლად ლაპარაკობს ბევრი ლაზიც კი.

ბათუმი უმნიშვნელო ვაჭრობას ეწევა. საერთოდ, ლაზისტანის საფაშოში შემოაქვთ: ინგლისიდან და შვეიცარიიდან — ბამბის ნაწარმი, ალეპოდან და დამასკიდან — აბრეშუმის ქსოვილები, რუსეთიდან — ზოლოვანი რკინა, ყირიმიდან და საქართველოდან — მატყლი; გარდა ამისა, სხვადასხვა ადგილიდან იღებენ შაქარს, ყავას, პილპილს და სხვა კოლონიურ ნაწარმს, ფოლადს, კალას, ნიშადურსა და ნაირ-ნაირ სასმელებს. აქაური ვაჭრების მოწმობით, ადგილობრივი მოსახლეობა ნაკლებად ეტანება შემოტანილ საქონელს. რაც შეეხება გატანას, ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროების დაკმაყოფილების შემდეგ შეიძლება გატანილ იქნეს შემდეგი ადგილობრივი პროდუქტების ნამეტი: 300(!) კილოგრამი სიმინდი, 18 000 ოყა ბრინჯი, 300 ოყა ყვითელი ცვილი, 10 000 ოყა თაფლი, 12 000 ოყა თევზის ქონი, 50 თოფი ტილო და ბადე და 5-6 ტვირთი საშენი და საშეშე ხეტყე.[26] თუ ჩვენ მიერ ციტირებულ Notice sur Batoum-ს ვერწმუნებით, ლაზისტანის საფაშოს წლიური შემოსავალი დაახლოებით 1 900 000 თურქულ პიასტრს (168 571 მან.) აღწევს, აქედან 1 200 000 პიასტრი ადგილობრივი მმართველობის შენახვაზე იხარჯება. თუმცა, ვფიქრობთ, მისი მცენარეული სამყაროს სიმდიდრის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ამ მხარეს ფრიად მნიშვნელოვანი შემოსავლის მოცემა შეეძლო, მას რომ ჯეროვნად მართავდნენ და მისი მოსახლეობა მიჩვეული რომ იყოს რაციონალურ შრომას. ამ მხარეში ყოვლად ძვირფასი ნაყოფი მოდის: ლიმონი ლაზიკის სანაპიროზე ღია ცის ქვეშ ხარობს და რიზული ლიმონი ცნობილია თავისი ხარისხით. ბრინჯი და ბამბა კარგად ხარობს ზღვის მიმდგომ მინდვრებზე, ამასთან ადგილობრივ ბამბას ავადმყოფობა არ უჩნდება და ადგილზე $6^1/_2$-7 მან. ღირს ფუთი. ლივანური სელი ფუთი მანეთად გადის. ბათუმური, ჩურუქსუული და განსაკუთრებით ართვინული აბრეშუმი ფუთი 100 მანეთამდე ფასობს. აქაური ცვილი, რომელიც ფუთი 18 მან. ღირს, ოდესასა და კონსტანტინოპოლში გააქვთ. ლივანური ზეთისხილი, რომელსაც მთელ ახალციხის მაზრასა და ტფილისშიც კი ხმარობენ, ფუთი 3 მანეთად ფასობს. ლაზისტანის საფაშოს ტყეები სავსეა ძვირფასი საშენი და

[26] Notice sur Batoum.

სადურგლო მასალით: ასე, მაგალითად, ჩურუქ-სუ იძლევა ჩინეპულ მუხას, რომელიც საკადონედ გააქვთ კონსტანტინოპოლში; ჭოროხის ხეობა და აჭარა — საუცხოო ხარისხის ბზას, რომელიც ადგილზე ოყა 1 ყურუშად იყიდება; ჭოროხზე აცურებენ საკმაოდ ბევრ წიფლის, ფიჭვის, კაკლისა და წაბლის მორებს. ადგილზე ერთი მორი 30-50 კაპიკი ღირს.

მოლოდინის საწინააღმდეგოდ ბათუმში საკმაოდ დიდხანს დავყოვნდი — 4-დან 10 აგვისტომდე. ამის მიზეზი იყო, ჯერ ერთი, წვიმა, ყოველდღე ან დღეჩაგდებით რომ მოდიოდა, მეორე, ფაშის მიერ აღძრული საკითხი, შეიძლებოდა თუ არა ჩემი გამგზავრება აჭარაში. ეს საკითხი ჩემ სასარგებლოდ რომ გადაწყდებოდა, ეჭვი არ იყო, რადგან ფაშამ ბ. ჯუდიჩის გავლენით უკვე შეიცვალა თავისი პირადი აზრი ჩემს საქმეზე, ეს კი ბევრს ნიშნავდა. მეორე მხრივ, თუმცა მეჯლისში რამდენიმე კაცი წინააღმდეგი იყო — უმაღლესი ხელისუფლების განსაკუთრებული ნებართვის გარეშე უფლება არა გვაქვს უცხოელს თურქეთის ფარგლებში მოგზაურობის მოწმობა მივცეთო, — მაგრამ მეჯლისის უხუცესი წევრი ხასან-აღა მურადოღლი, ჩემი ძველი მეგობარი, მტკიცედ მაიმედებდა, საქმე კეთილად დამთავრდებაო. ამის მოლოდინში შევუდექი ჩემი დღიურის შევსებას ამ მხარის შესახებ საჭირო ცნობებით. და ამაში მცირე სამსახური როდი გამიწია ხასან-აღამ. ხასან-აღას 1860 წლიდან ვიცნობ. იგი წარმოშობით ლაზია, ორთახოფელი და თავისი გვარი საქართველოდან დიდი ხნის წინათ გამოსულად მიაჩნია. თავის ქართულ გვარად ასახელებს მოურავიშვილს და თავისთავს ლაზისტანის უმაღლეს კლასს აკუთვნებს. ხასან-აღა შუა ხნის კაცია, თავისუფლად ლაპარაკობს ქართულად. ოდესღაც კაიმაკამად ყოფილა სამსონში, ხოლო რუსეთ-თურქეთის უკანასკნელ ომში 400 მოხალისე ლაზს მეთაურობდა ყარსში. შემდეგ თურქეთის ვიცეკონსულად იყო ფოთში და კონსულად ტფილისში. ამჟამად, როგორც ვთქვით, არჩეულია ბათუმის ფაშასთან არსებული მეჯლისის უხუცეს წევრად. ცნობები, რომლებიც ხასან-აღამ მომაწოდა, ეხება თურქული მმართველობის სხვადასხვა დარგს, ძველებურ ძეგლებს ბათუმის სანახებში და მისი თანამემამულე ლაზების ცხოვრებას. აქვე უნდა შევნიშნო, რომ ხასან-აღა თუმცა საღი გონების კაცია, მაგრამ უბრალო, არავითარი განათლება არა აქვს, ისევე როგორც ყველა მკვიდრ მცხოვრებს და ამიტომ მისი ცნობები ადგილობრივ ადმინისტრაციაზე, სასამართლოზე, საგადასახადო სისტემასა და მათს ხასიათზე საეჭვოდ მიმაჩნია და ამიტომაც არ ვეხები ამ საკითხებს. რაც შეეხება მის სხვა ცნობებს, ისინი თავისთავად საინ-

ტერესოა და ამიტომაც საჭიროდ მიმაჩნია შეეჩერდე მათზე. ამასთან ზოგი შევამოწმე, ზოგიც შეიძლება მომავალში შემოწმდეს.

ხასან-აღას სიტყვით, წარსულში ბათუმი მდებარეობდა დიდ მოვაკებულზე, ყოროლისწყლის მარცხნივ. ამ ადგილზე დღემდე შემორჩენილია დიდი კედლისა და ექვსი-შვიდი ეკლესიის ნაშთები. იქ, სადაც ყოროლისწყალი ზღვას შეერთვის, აღმართულია პატარა გორაკი, რომელზეც ახლა სარაიად წოდებული ბეჟანოღლის სახლი დგას, ხელოვნური გორაკია, რომელიც თამარ მეფემ გააკეთებინა იმ დროს, როცა დიდი ლაშქრით ბრუნდებოდა ტრაპიზონიდან.[27] მასზე თამარმა მაშინვე ააგო ციხე, რომლის ნაშთი დღესაც ჩანს. საერთოდ, ბათუმის მიდამოებში ბევრი დანგრეული ტაძარია. ზოგი მათგანი ხასან-აღას თვითონ უნახავს. ასე მაგალითად, სარაიას ზემოთ ოთხი ეკლესიაა, ერთი მათგანი ზედ ყოროლისწყლის სათავესთან. იგი კარგა დიდი იყო და გუმბათოვანი. იქ ვერ მიხვალ, თუ ტყე არ გაკაფე. ახლანდელი ბათუმის ახლოს, მაღალ გორაზე, დგას მოზრდილი ეკლესია სამებისა, ჩამოვარდნილი გუმბათით. სამებაში იყო წარწერებიანი საფლავის ქვები, ორი მარმარილოსი, ერთ მათგანზე ეწერა: „ღმერთო აცხოვნე მარიამ“, მაგრამ ეს ქვები გაზიდეს და საშენად გამოიყენეს. უფრო ახლოს, ახალშენსა და კვესელაურში არის ეკლესიების ნაშთები.

მე შემთხვევა მომეცა ამ ეკლესიებიდან მენახა მხოლოდ ერთი, სახელდობრ სამებისა. მთა, რომელზეც ეკლესია მიმითითეს, ბათუმიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს საათნახევრის სავალზე. ჯუდიჩისა და ხასან-აღას ხელისშეწყობით მეგზურად მომიჩინეს სივარი (სუვარი) ანუ ურიადნიკი ალამბრელი ისმაილ გოგიტიძე. მე დავიქირავე კიდევ ერთი გლეხი, ადგილის მცოდნე, მაგრამ სამწუხაროდ, როგორც კი ქალაქიდან გავედით, იგი ჩამოგვრჩა და მერე სულაც გაიპარა. თვითონ გოგიტიძემ გზა არ იცოდა და ამიტომ 6 საათზე მეტ ხანს დავეხეტებოდით. დიდი შარაგზიდან მარჯვნივ გავუხვიეთ, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ ყოველ ნაბიჯზე გზას გვიღობავდა გვიმრამოდებული ჭანჭრობები, სიმინდისა და ბრინჯის ყანებისათვის გაყვანილი ღრმა თხრილები, ასე რომ იძულებული შევიქენით უკან გამოვბრუნებულიყავით და ბეჟანოღლის სახლისაკენ აგვეღო გეზი. ეს სახლი დგას მომცრო განმარტოებულ კონუსისებურ გორაკზე, რომელიც თითქოს ხელოვნურ ყორღანს ქმნის. იგი უკაცრიელი იყო, დანგრევის პირას მიწევნილი; მისი ზემო სართული ხისა იყო, ქვემო ქვისა, ბნელი ვიწრო დერეფანი ბოსელ-

[27] თუ ეს გადმოცემა სწორია, ეს ამბავი უნდა მომხდარიყო 1204 წ. Hist. de la Géorgie, I, I-er livr., 465. ეს გორა ბუნებრივია (სარედ. კოლ.).

ში გადიოდა. სახლთან იდგა ძველი ქვიტკირის გვირგვინიანი ჭა. ბეჟანოღლის სახლიდან თვალი გავადევნე მასიური კედლის ნაშთს, რომელიც ალაგ-ალაგ წყდებოდა. შემდეგ სამხრეთ-დასავლეთით გავემართეთ, სოფელ ერგეს ქვემოთ, რაღაც ტყემოდებულ კვადრატულ ნანგრევებს ჩავუარეთ, მაგრამ კვლავ აგვებნა გზა და იქვე მთის ძირას ყანაში მომუშავე ჩერქეზი რომ არ მოგვშველებოდა, სულაც ხელი უნდა აგვეღო გზის გაგრძელებაზე. მან ციცაბო ტყიანი ფერდობებით წაგვიყვანა, ჩერქეზების — ადლერელი ემიგრანტების ორ საცოდავ სოფელში გაგვატარა. ეკლესია მაღალი მთის სულ ზედა ბაქანზე იდგა, საიდანაც სანახების მშვენიერი სურათი გადაიშალა: მარჯვნივ საფეხურებად მიიწევდა მაღლა პერანგას ტოტეპი, ხოლო მის იქით — ჭახათის ტოტები. წინ ჩამავალი მზის სხივებში ცისარტყელას ფერებით ლივლივებდა ზღვა; მარცხნივ მკაფიოდ ინაკვთებოდა მდ. ჭოროხის შესართავი სამმაგი დელტის ფორმისა, ჭოროხსა და ბათუმს შორის მდებარე ტბა. ეკლესიას 5 საჟენი სიგრძე ჰქონდა, იგი შედგებოდა ჩრდილოეთის კედლისა და დასავლეთის ფრონტონიანი ფასადისაგან, მისი სხვა ნაწილები დანგრეული იყო, შიგა ნაწილი ამოეხერგათ. გარედან იგი მოპირკეთებული იყო წმინდად გათლილი რუხი პორფირით, რომლითაც სავსეა მთელი მთა. ქვებზე არავითარი ჩუქურთმა არ აღმოჩნდა. კედლებს შიგნით დატანებული ჰქონდა ყალბი ნიშები, რომლებიც ერთმანეთისაგან გამოცალკევებული იყო ოდნავ გამოშვერილი პილასტრებით. კედლებს არათუ მხატვრობის, ბათქაშის კვალიც არ ეტყობოდა: საფიქრებელია, რომ იგი წვიმამ ჩამორეცხა. ეკლესია, ჩანს, დიდი ხანია დაინგრა, ვინაიდან მისი კედლების ნაპრალებში და გარშემო ხშირი ტყე გაზრდილა, რის გამოც ახლოდანაც კი ჭირს ამ ნანგრევების დანახვა. ბევრი ვეძებე, მაგრამ საფლავის ქვები ვერსად ვიპოვე. გარდა ამისა, ძნელი სათქმელია, ჰქონდა თუ არა სამებას გუმბათი. ვფიქრობ — არა, რადგან, როგორც ჩურუქ-სუსა და აჭარაში, ასევე გურიაში გუმბათიანი ეკლესიები ფრიად იშვიათი გამონაკლისია.

რაც შეეხება ჭანეთს ანუ ლაზისტანს, ხასან-აღას სიტყვით, „მისი საზღვრებია: ერთი მხრიდან მდ. ჭოროხი, მეორედან — მთები, მესამედან — ზღვა, მეოთხედან — ქემერი რიზესა და მაფავრს შორის, რაც ლაზურად „ამოღრუტნულ ქვას“ ნიშნავს. ქემერი ზღვიდან ამოშვერილი უზარმაზარი ფრიალო კლდეა, თვით ბუნების მიერ გახვრეტილი.[28] იგი ძველადვე იყო ლაზისტანისა და საბერძნე-

[28] ალბათ, ამიტომაც ჰქვია ქემერი — ბერძნული Kamapa (კამარა, თაღი).

თის საზღვარი. სწორედ ამ საზღვრებშია გავრცელებული ჩვენი ენა. იგი დაჯაბნილია მხოლოდ გონიასა და რიზეში, პირველში თურქულის, მეორეში ბერძნული ენის მიერ და, გარდა ამისა, ხოფასა, არჰავესა და ათინაში მასზე გავლენა მოუხდენია ბერძნულ ენას. ლაზური ენა წმინდად შემოინახა მხოლოდ სოფლის მოსახლეობამ. იგი ძალიან ჰგავს მეგრულს, მეგრელები და ლაზები თავისუფლად უგებენ ერთმანეთს. „საერთოდ, ჩვენებური თქმულებით, ჩვენ, ლაზები, მეგრელებთან ერთად ერთ ტომს შევადგენდით. ამბობენ, რომ ამ ტომს ოდესღაც შავი ზღვის მთელი სანაპირო ეკავა ქემერიდან ბიჭვინთამდე და რომ რომელიღაც ქართველი მეფე ჯარით თავს დაესხა ლაზებს, გაყო ისინი და შუაში ქართველები ჩაასახლაო“.

„კვეხნაში ნუ ჩამომართმევ, და, — განაგრძო ხასან-აღამ“, ამ მხარეში ჩვენ ყველაზე მეომარი ხალხი ვართ. ჩვენში ყველა იარაღასხმულია და, გარდა ამისა, ყოველი შემთხვევისათვის თითოეულ ოჯახში 5-6 თოფია. ჩვენ ძალიან მარჯვედ ვისვრით და სირცხვილადაც მიგვაჩნია მტრისათვის ზურგის ჩვენება, როგორც უნდა გვჭარბობდნენ რიცხობრივად. განსაკუთრებით მეომარი ხალხი არიან ჩვენი ბეგები. მათი საგვარეულოები წინათ შეძლებული იყო: ბევრი მიწა ჰქონდათ და ბევრი გლეხი ჰყავდათ; ჰქონდათ გამაგრებული ციხეები, შიგ ზარბაზნები ედგათ, ჰქონდათ გემები და ყირიმამდე, ოდესამდე და დუნაიმდე დაცურავდნენ; შავ ზღვაზე ყველას შიშის ზარს სცემდნენ, ხანდახან ბათუმსა და ფოთსაც კი იკავებდნენ. ახლა გაცილებით სუსტი არიან; მიწა თუმცა ახლაც აქვთ, მაგრამ ამ მიწების მეტი ნაწილი ამ 30 წლის წინათ წაართვათ სულთანმა, რომელიც ცდილობს უბრალო ხალხს გაუთანასწოროს ისინი. ჩვენმა ბეგებმა თითქმის ყველამ იცის ქართული; ქართულად უპირატესად მათი ცოლები კითხულობენ და წერენ; ეს იმიტომ, რომ მათ ძველთაგანვე ნათესაობა აქვთ ჩურუქსუელ და მეგრელ მაღალ საგვარეულოებთან. ლაზისტანელი ბეგები არიან: ზვანბაიები და მანელიშვილები მაკრიალსა და ლიმანში; მურადოღლები ანუ მოურავიშვილები ბუჯაღსა, ორთა-ხოფასა, დიმიტრეთსა და სუნდურში; სუნდურშივე ცხოვრობენ შალოღლები ანუ შალიკაშვილები; ჟორდანიები ქისასა, ფერონითსა და არხოვეში; ფოთური ანუ ფოთურია კაფისრაში; ბალთაშვილები ბელევსა და ათინას შორის.

„ლაზისტანში საკმაოდ ბევრია ძველი ეკლესიები, თუმცა მათი უმეტესობა დანგრეულია. ასე, მაგალითად, სარფის ტყეში დგას

ერთი ოლილი ქვის ეკლესია. მაკრიალში, ზვანბაიას სახლის მახლობლად, მაღლობზე დგას მშვენიერი დიდი გუმბათიანი ტაძარი, ირგვლივ მაღალი გალავანი ავლია, მასში არც წარწერებია, არც მხატვრობა. იქვე დგას სვეტებზე შემდგარი ორსართულიანი სამრეკლო. ტაძარი იმიტომ გადარჩა, რომ მას ხან თავლად იყენებდნენ, ხანაც კაზემატად. იმავე სოფელში მახსოვს ძველი მომცრო ეკლესია. იქვე მინახავს ტყეში მიმობნეული ნანგრევები სხვა ეკლესიებისა. აბუ-ისლამში ეკლესია მაღალ მთაზე დგას, მას ოხვამეს ეძახიან. მგონია, მონასტერი უნდა ყოფილიყო. ძველი ჩვეულებისამებრ გვალვის დროს იქ იკრიბებიან სოფლელები და წვიმას ევედრებიან. ქვემოთ კიდევ იყო მოხატული ეკლესია. ერთ დროს შიგ დუქანი გამართეს, მაგრამ ამ ცოტა ხნის წინათ დაანგრიეს. ორთახოფაში მაღლობზე ეკლესია იდგა. იგი დანგრეულია, მაგრამ საძირკველი ჩანს. დიმიტრეთშიც არის დანგრეული ეკლესიები, ერთ მათგანს ბალუქლის ეკლესიას ეძახიან. ქისის მთებში კლდეზე დგას ეკლესია, რომელსაც ჯიხას ეძახიან. ფერონითში, ჟორდანიას მამულში, გუმბათმონგრეული ეკლესია ახლაც ყველას შიშის ზარსა სცემს და ახლოს მიკარებას ვერავინ ბედავს. უნდა დავძინოთ, რომ ლაზისტანის ზოგიერთ ეკლესიასთან არის ქვის საწნახელი და მიწაში ჩაფლული ქვევრები, ხოლო მათს აკლდამებში მიწაში პოულობენ სხვადასხვა საგნებს, მაგალითად, მონეტებს და სხვ. ბალუკლის ეკლესიაში ოთხი წლის წინათ ვერცხლის აკვანი იპოვეს, რომელიც ვიღაც ბერძენმა იყიდა".

მე სიტყვა-სიტყვით გადმოვცემ ხასან-აღას ნაამბობს ლაზების შესახებ. შეიძლება, ეს ნაამბობი ზოგ რამეში სწორი არ იყო, ანდა აზვიადებდეს რამეს, მაგრამ, ჩემი რწმენით, მან მკითხველის ცხოველი ინტერესი უნდა გამოიწვიოს..... ლაზები რომ „ჩინებული მსროლელი არიან და პატივისცემის ღირსი მეომრული სულისკვეთებით გამსჭვალულნი", ამას ყოვლად სანდო წყაროები ადასტურებენ.[29] მაგრამ მათ მხარეში ქრისტიანობის რაიმე ძეგლები რომ შემორჩენილიყოს, ეს არ იყო საგულვებელი. მიუხედავად იმისა, რომ ლაზები მეცნიერული თვალსაზრისით განსაკუთრებული ყურადღების ღირსი არიან, ჩვენ მათ თითქმის არ ვიცნობთ; არ მოგვეპოვება არც მათი მოსახლეობის მიახლოებითი ციფრები და არც რაიმე

---

[29] История военных действий... I, 133-134; II, 279-280.

ცნობა მათი ცხოვრების ნირზე,[30] მათი ველური ზნის შიშით ჯერ არც ერთ ევროპელ მოგზაურს არ გაუბედავს მათს შეუცნობელ მთიან ხეობებში შეღწევა და მათი შესწავლა ადგილზე. ერთადერთი სერიოზული ნაშრომი ლაზებზე — ეს არის „Über die Sprache der Lazen", 1844, როზენისა, რომელიც საყოველთაო შიშის გავლენით ლაზისტანის რამდენიმე სანაპირო პუნქტის მონახულებას დასჯერდა.[31] ამის გამო მან ვერაფერი მოგვცა, გარდა ლაზური გრამატიკისა. ამიტომ საეჭვოა მართალი იყოს, როცა ამტკიცებს, რომ „ლაზებმა, როგორც დიდი ხნის გათურქებულებმა, არაფერი იციან იმისა, თუ რა რელიგია ჰქონდათ და რანი იყვნენ", რომ „მათ არა აქვთ არავითარი ძეგლები, არა აქვთ საერთო ენა, ყოველი მათი ხეობა თავის განსაკუთრებულ კილოზე ლაპარაკობს, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვებისაგან".[32]

ლაზური ენის გრამატიკის გამოკვლევის შემდეგ თუმცა ეჭვი აღარ გვეპარება, რომ ლაზები ქართველთა მონათესავენი არიან, მაგრამ ჩვენ ჯერჯერობით არაფრის თქმა არ შეგვიძლია მათს გეოგრაფიულ საზღვარზე დასავლეთით. მართალია, ამ მხრივ საერთოდ მიღებულია ხასან-აღას მიერ გამოთქმული შეხედულება; ასეთივე აზრისა არის ვახუშტიც, რომელიც ლაზისტანის დასავლეთის საზღვრად დებს რკინის პალოდ წოდებულ ადგილს რიზესთან.[33] მაგრამ ასეა კი? ყოველ შემთხვევაში, ამ საკითხის გადაწყვეტისას მხედველობაში უნდა ვიქონიოთ შემდეგი მონაცემები: ჯერ კიდევ ჰეროდოტესა და სტრაბონის დროს ლაზები დასახლებული იყვნენ შორს დასავლეთით ტრაპიზონიდან მდ. ღალისამდე ანუ ახლანდელ ყიზილ-ერმაკამდე.[34] ქსენოფონტეს ტრაპიზონი მდებარეობდა კოლხთა (ლაზთა) ქვეყანაში.[35]. თავის მხრივ, ქართული მატიანეები I საუკუნეში ქ. შ. მას უწოდებენ ეგრისის სოფელს.[36] XVII საუკუნის პირველი ნახევრის თურქ გეოგრაფს ჰაჯი-ჰალფას ტრაპიზონის მცხოვრებთა უმეტესობა ლაზებად მიაჩნია.[37] ზოგიერთი გვიანდელი

---

[30] თუმცა თურქეთის შესახებ ნაშრომის ცნობილი ავტორი Ubicini თავის Lettres sur la Turquie, t. I, p. 26. აღბათ თურქეთის ბიუროს სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე ლაზების რიცხვს 1853 წელს 20 CCO-ით განსაზღვრავს, მაგრამ ეს ციფრი ნაკლებად სარწმუნოა.

[31] როგორც მისი წინამორბედი პროფესორი კოხი. იხ. მისი „Die Kaukasischen Länder und Armenien", 1855, p. 96-106.

[32] P. 1-4.

[33] აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 122.

[34] Histoire des découvertes géograph., II, 295, 305, 308.

[35] Ibid. 324.

[36] Histoire de la Géor., I, 55-56.

[37] Hist. des découvertes géograph., III, 655.

ბნერლის, მაგალითად, ფონტანიეს (1830-1833 წ.), აზრითაც კი ლაზური მოსახლეობა შეჭრილია ტრაპიზონიდან დასავლეთით, თვით ჩალდირამდე, „თუმცა, — შენიშნავს იგი, — ბერძნული ენა აღწევს ტრაპიზონიდან აღმოსავლეთით მაფრაკამდე ქემერის კონცხთან“.[38]

ჩვენ ვეთანხმებით ხასან-აღას იმაში, რომ ლაზთა ტომს მეგრელებთან ერთად მიჯრით ეკავა შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპიროს მეტი ნაწილი; ვეთანხმებით იმაშიც, რომ ქართველები ძალად შეიჭრნენ სოლივით მათ მხარეში და, ამგვარად, ერთმანეთისაგან განაცალკევეს ისინი; მაგრამ როდის და რა ვითარებაში, — აი რა არის დაფარული განუჭვრეტელი წყვდიადით. გარდა ამისა, თუ ჩემი მოსაუბრის მიერ აღნიშნული გადმოცემა ნამდვილად არსებობს ლაზებში, იგი უაღრესად ჭკუის სასწავლებლად უნდა ვცნოთ; მაგრამ მეტად საეჭვოა, რომ ეს გადმოცემა უძველესი დროიდან შემოენახა ამ ტომს. მე უმალ იმას ვფიქრობ, რომ ხასან-აღამ იგი ვიღაცისგან გაიგონა, როგორც პირადი შეხედულება, და ლაზების გადმოცემად მომასაღა. საერთოდ, ეს საკითხი, ისე როგორც სხვები, მხედველობიდან არ უნდა გამოგვეპაროს ლაზთა ეთნოგრაფიის ადგილზე კვლევისას.

ხასან-აღას უნდა ვუმადლოდე, რომ მან გამაცნო ორი ძველი საბუთი, ერთი თურქულ, მეორე ქართულ ენაზე. პირველი ეკუთვნის ახალგაზრდა კაცს, აიდარ-ბეის, რომელიც აქვე გავიცანი. მისი სიტყვით, მისი საგვარეულო ახალციხელი ათაბეგების შთამომავალია და ცხოვრობს, თუმცა არ იცის რა დროიდან, ლივანში. აიდარ-ბეიმ ამიხსნა, რომ ოდესღაც მთელი ლივანა მისი წინაპრების საკუთრება იყო. იგი ქართულად არ ლაპარაკობს და თავის საბუთს უფრთხილდება. ბიძამისს, რომელიც არზრუმში მსახურობს, სხვა საბუთებიც ჰქონია, მათგან ქართული საბუთები უკვე დაკარგულიაო. მე მივიღე აიდარ-ბეის სიგელის პირი. იგი თურქეთის სულთანს მუსტაფას მიუცია ვიღაც ხოსროვისათვის, მემედ-ბეგის ძისათვის 1050 წ. ჰიჯრით. თუ არ ვცდები, ჰიჯრის აღნიშნული წელი შეესაბამება ჩვენი ერის 1640 წ., მაშინ კი, რამდენადაც ცნობილია, თურქეთში მუსტაფა კი არ მეფობდა, არამედ იბრაჰიმ I, რომელიც 1648 წელს მოკლეს;[39] მაინც სიგელის შინაარსი საყუ-

---

[38] Voyage en Orient, p. 299. — იხ. კიდევ Rottiers, Itinéraire... 181. და მისი რუკა Atlas de l'Hist. des découvertes géograph., № 3.

[39] Hammer, Histoire de l'Empire Ottoman, Paris, 1844, II, 591. მე თურქულს ვერ ვკითხულობ და ამიტომ შეიძლება აიდარ-ბეის საბუთის ჰიჯრის თარიღი სწორად არ გადმოუციათ. საბუთის ნამდვილობაში ეჭვი არ მეპარება, ხოლო მისი პირი გადაღებულია ბათუმის ფაშის კანცელარიაში. იხ. დამატება.

რადღებოდ მეჩვენა და ამიტომ გადმოვცემ მის [illegible] ისე, როგორც მე გადმომცეს. „არზრუმის ბეგლარ-ბეგმა [illegible] ხუთქვამეტ მასში. — მოახსენა ჩვენს ბედნიერ სამეფო კარს, რომ ჩვენი წინაპრის მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობის შემდგომ მემედ-ბეგმა უადრეს ყველა ქართველი ბეგისა გამოგვიცხადა მორჩილება და განინათლა თავი ისლამის ნათლით და რომ ჩვენი განსვენებული წინაპრების სულთნების სულეიმან-ხანისა და სელიმ-ხანის დროიდან. მათი უმაღლესი ბრძანების თანახმად. მემკვიდრეობით ფლობდა მის ხელთ მყოფ სანჯაყს. ამჟამად. მისი მამის გარდაცვალების გამო, ძე მისი ხოსროვი, მაღალღირსება ემირების სიქადული, მაღალი ღმერთის მადლის ყოვლად ღირსი, ხსენებული სანჯაყის მფლობელი, შიშობს, რომ მთავრობის განკარგულება საქართველოს ოლქის აღწერის შესახებ, მიუხედავად მის ხელთ არსებული უმაღლესი ფირმანისა, არ გავრცელდეს მის სანჯაყზეც. და შუამდგომლობს განახლდეს მისი უფლება იმ სანჯაყზე და დასძენს, რომ ასეთი განახლება უკვე მოხდა ჩვენი განსვენებული მამის მურად-ხანის დროს...[40] ამის გამო მე ვინებე ამ უმაღლესი ფირმანის გაცემა. ამასთან ვბრძანებ, დაე, ფლობდეს ამიერიდან ხოსროვი თავის სანჯაყს იმავე საფუძველზე, როგორც ქართველი ბეგები ფლობენ თავის მამულებს, და სანამ იგი ერთგული იქნება ჩვენი და სარწმუნოებისა, დაე. განაგებდეს მემკვიდრეობით და შეუცილებლად მის კუთვნილ ციხეებს, სოფლებსა და გლეხებს და სარგებლობდეს თავისი მამულების შემოსავლით. მაღალმატებულებას ვაზირთა, ბეგლარ-ბეგთა, სანჯაყ-ბეგთა და სამხედრო ჩინთაგან ნურვინ მიეკარება ხოსროვის სამფლობელოს ხარკის ასაღებად: წინააღმდეგ შემთხვევაში ამ ჩვენი უმაღლესი ნების დამრღვევი მიჩნეულ იქნეს დამნაშავედ უზენაესი ღმერთის წინაშე“.

ქართული სიგელი კი ასეთია:

„ქ: ესე: წყალობის: წიგნი: დაგიწერე: მტკიცე: უქცეველი: მიზეზ: შამოუღებელი: დრო პატრონობასა: შინა: შეუცვალებელი: იაჯე: და გაჯებინე: შეგიწყალე: და გიბოძე: ჩვენ: პატრონმან: იესე: ცინცაძემან: შენ: მიქელას: ფაყვაძეს: შენსა: შვილსა: გიორგის: და ოვანეს: და გაბრიელს: მოგვიცემია: ერთი: საყანე: ხვანიაური: გიბედნიეროს: ღმერთმან: ჩვენსა: ერთგულად: სამსახურში: აწ: ამისნი: მოწამენი: არიან: იესე: ფირანიშვილი: ბერიძე: ბეჟიტაი: ლაშვარაძე: სხვა: ჩვენი: კარის, მდეგნი: უზედაესნი: და უქვედაესნი:“

რა დროს ეკუთვნის ეს სიგელი, არ არის ცნობილი; იგი დაწე-

---

[40] მურად VI, იბრაჰიმის მამა, გარდაიცვალა 1640 წ. 8 თებერვალს. Ibid.

რილია ნაგლეჯ ქაღალდზე, დასმული აქვს ბეჭედი, რომელზეც ამოკვეთილია ჯვარი და გვარი ცინცაძე. ამჟამად ცინცაძეები გლეხები არიან და გურიაში ცხოვრობენ. მათ „სამხრეთიდან მოსულებად" თვლიან. სიგელში მოხსენიებული სხვა გვარებიდან, ხასან-აღას მოწმობით, ფაყეაძეები დღემდე ცხოვრობენ ბეჟანოღლის სახლის მახლობლად. იქვე მდებარეობს ხვანიაურად წოდებული ნაკვეთი.

ბოლოს და ბოლოს, ჩემი აჭარაში გამგზავრების საკითხი გადაწყდა. ეს მაშინვე მაცნობა ხასან-აღამ და თანაც გამაფრთხილა, თუ მომავალში თურქეთში მოგზაურობას დააპირებ, უსათუოდ იშოვე განკარგულება პირდაპირ კონსტანტინოპოლიდანო. დაუბრკოლებლად რომ მემგზავრა, მომცეს ოფიციალური მოწმობა ფაშის სახელით, ხოლო უშიშროებისათვის, ხასან-აღას მითითებით, გამყოლად დამინიშნეს ჩვენთვის ცნობილი ისმაილ გოგიტიძე, რომელიც განუყრელად ჩემთან უნდა ყოფილიყო თვით რუსეთის საზღვრამდე. თავის მხრივ, ბ-ნმა ჯუდიჩიმ მომცა სარეკომენდაციო წერილები ქედის კაიმაკამისა და ხულოს მუდირის მურთაზა-ბეგ ხიმშიაშვილის სახელზე. მე ცხენები დავიქირავე. ერთ-ერთის პატრონი იყო ვინმე ქედელი მოლა-ალი, როგორც გამოირკვა, გვარად გივიშვილი, თუმცა თვითონ აჭარაში ცნობილი ბეგების გვარს შერვაშიძეს ჩემულობდა. იგი ძალიან მხიარული და დიდი ოხუნჯი კაცი გამოდგა და ისე შემეთვისა, რომ დიდხანს არ მომშორებია. მოლა-ალიმ გზაში მისივე შეთხზული ბევრი სიმღერა მიკარნახა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს სიმღერები იმდენად უწმაწურია, რომ მათი გამოქვეყნება არ შეიძლება. გარდა ამისა, ამემგზავრა ახალციხელი კათოლიკე, ვინმე იოსებ ნიგაშვილი, რომელიც ჩემთან მგზავრობდა აჭარისწყლისა და ჭოროხის შესართავამდე, იქიდან კი არტანუჯისაკენ გასწია, სადაც 20 წელზე მეტია ცხოვრობს და ვაჭრობს. ბათუმსა და გზაში ზოგი საინტერესო რამ მაცნობა ჭოროხის ხეობაზე. მათ მომდევნო თავში გავაცნობ მკითხველს.

ტფილისი, 1874 წ. 8 აპრილი.

II

ბათუმიდან აჭარაში გამგზავრება. მდ. ჭოროხი. დიდი შარაგზა, რომელიც ბათუმიდან ჭოროხის ხეობით ართვინში და იმას იქით მიდის. ზოგიერთი ცნობა ჭოროხის მოსახლეობის ისტორიისა და ცხოვრების შესახებ. ჩემი შემდგომი გზა აჭარისწყლის აყოლებით და აჭარის ბუნება. სოფლების საღო-

რეთის, ქედის, შუახევის, დონდალოს ნარკვევი და აჭარელთა ცხოვრება. სხალთა. ძველი აჭარული ხიდები და სხალთაში გადარჩენილი ეკლესია. ხულა. ხასან-ბეგი და მემედ-ბეგი. აჭარელ ხიმშიაშვილთა საგვარეულო. ზოგადი შეხედულება აჭარის ტოპოგრაფიასა და ისტორიაზე. დანართი.

ბათუმიდან 10 აგვისტოს, დილის 7 საათზე გავედით. მშვენიერი ამინდი იდგა და არც შეცვლილა, ვიდრე ხულას მივაღწევდი. აჭარისწყლისა და ჭოროხის შესაყარამდე სამხრეთ-აღმოსავლეთით ვიარეთ სოფლებზე კახაბერსა და ელგეზე გავლით.[1] ბათუმს რომ გავცდით, ერთი კახაბრელი დაგვემგზავრა, იგი წმინდად ლაპარაკობდა გურულს, ჩემი აჭარლის გივიშვილის მოტლანქო გამოთქმა კი მის მთიელობას ამჟღავნებდა. კახაბრელს სარტყელში გაეჩარა ინგლისური პისტოლეტი, ანუ, როგორც აქ ეძახიან, ფიშტო, რომელზეც ამოტვიფრული იყო ფაბრიკანტ Homar-ის გვარი. უნდა ითქვას, რომ ინგლისური პისტოლეტები, საერთოდ, საკმაოდ გავრცელებულია ლაზისტანის საფაშოში. თვალწინ გადაგვეშალა მშვენიერი ვაკე, მწვანეში ჩაფლული და ყოველი მხრიდან მაღალი მთებით შემორკალული, რომელთა უღრან ტყეებში ჭარბობდა მუხა, რცხილა, თელა, ცაცხვი და ლეღვი. ეს ადგილი ნაყოფიერია: მინდვრად და ფერდობებზე მიმობნეული იყო ვრცელი სიმინდის ყანები, ყანებში კი ოთხ ბოძზე შესკუპებული წნელის ნალიები მოჩანდა, სადაც გურიაში, ჩურუქ-სუსა და აჭარაში სიმინდს ინახავენ. კახაბერი და ელგე ტყეებში მიმალულიყო და ამიტომ სახლების დანახვა ჭირდა. ბათუმიდან 4-5 ვერსზე გამოჩნდა მდინარე ჭოროხი, რომელიც მდორედ და უხმოდ მიაგორებდა მღვრიე წყალს და რომელზეც დატვირთული ნავები აღმა-დაღმა მიმოდიოდნენ. გზა, რომლითაც ჩვენ მივდიოდით. საუკეთესოა ლაზისტანის საფაშოში. ალაგ-ალაგ იგი დამუშავებული იყო, ზოგან კიდევ ამუშავებდნენ. ეს გზა ჯერ ჭოროხის მარჯვენა ნაპირს მიჰყვება და შემდეგ აჭარისწყლის მარჯვენა ნაპირსავე გასდევს; შემდეგ სოფელ დოლოგნის ქვემოთ გადადის ჭოროხის მარცხენა ნაპირზე და მას არ ტოვებს, როგორც ამიხსნეს, ზემო მარადიდამდე; მაგრამ აქ კვლავ მარჯვენა ნაპირზე გადადის, გაივლის სოფელ ბორჩხაზე (ვახუშტის ფორჩხა) თვით ართვინამდე. აქედან იგი გაჰყავთ ბაიბურთამდე, სადაც შეუერთდება უკვე არსებულ დიდ შარაგზას, რომელიც არზრუმსა და შემდეგ ყარსში მიემართება ხასან-კალეს ანუ ძველი ბასიანის გავ-

---

[1] ვახუშტის ერგე, ლივანის ხეობის საზღვარი. აღწ. სამეფ. საქართველოსა, 136.

ლით. ჩემ დროს მუშაობა გაჩაღებული იყო სხვადასხვა ადგილას. ორგან უამრავ მომუშავე ხალხს გადავეყარე. სამუშაოს თურქი ინჟინრის მეთვალყურეობით განრიგით ასრულებენ ახლო თუ შორეული სოფლების მცხოვრებნი. ჩვეულებრივ, ყოველი კომლი გზაზე სამი დღით გზავნის ერთ კაცს და ამისათვის იღებს 10 ყურუშს.

მდინარე ჭოროხი სათავეს იღებს მთებში, რომლებიც ახლა ლაზისტანისა და არზრუმის საფაშოთა სასაზღვრო ხაზია. მისი აუზი ქმნის უზარმაზარ ტაფობს, რომელიც თითქმის ყოველი მხრიდან შემოზღუდულია მაღალი ჭიუხებით. ყველაზე მნიშვნელოვან შენაკადებს ჭოროხი მარჯვნიდან იერთებს. ეს არის თორთომისწყალი, ოლთისწყალი, არტანუჯისწყალი, აჭარისწყალი და სხვ. მდ. ჭოროხი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ, როგორც ამბობენ, მასში ართვინსა და შესართავს შორის 200-მდე ბრტყელძირა ნავი ანუ კაიუკი დაცურავს. ნაოსნობა მთელ წელიწადს შეიძლება. გარდა გაზაფხულისა, როცა თოვლი დნება და დინება ძალზე სწრაფია, ამ დროს კაიუკები წყვეტენ ცურვას. ნავები ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებთ ეკუთვნით. მათ ჩვეულებრივ ნაძვის ან ფიჭვის ხისგან აკეთებენ. ნავი 1500 ყურუშამდე ღირს, ნავის სიგრძე 50 ფუტამდეა, განი შუაში 4-5 ფუტი. ზევით ასვლას 3-4 დღე სჭირდება, ხოლო ქვევით ნავმისადგომამდე — 8-10 საათი; იტევს 300 ბათმანამდე ტვირთს. ამ ნავებით ეზიდებიან ყველა ადგილობრივ ნაწარმს: ერბოს, ხილს, ტყავს, დახერხილ ფიცრებს, თიხის ჭურჭელსა და კრამიტს, რომელთა საუკეთესო ქარხნებია ბორჩხაში. თიხის ჭურჭელი და კრამიტი მიაქვთ ბათუმში, ხოფაში და უფრო შორს ტრაპიზონამდე.

მდ. ჭოროხი და მისი აუზი ისტორიული თვალსაზრისით განსაკუთრებული ყურადღების ღირსია და მასზე უნდა შეეჩერდეთ. ამ მდინარის უმთავრესი ტოტი, რომელიც ყველა ახლანდელ რუკაზე ჭოროხად არის აღნიშნული, კლასიკურ მწერლებთან ცნობილი იყო აკამფსისად, ზოგიერთი მათგანი ფაზისთან რომ ურევდა,[2] ხოლო ქართველი გეოგრაფი ვახუშტი მას ისპირისწყალს უწოდებს; ეს არის ქართული მატიანეების მდ. სპერი,[3] მაშინ როცა ჭოროხის სახელით ისინი უპირატესად მის უმნიშვნელოვანეს მარჯვენა შენაკადს, ახლანდელ ოლთიჩაის იხსენიებენ.[4] ქართველ მწერალთა მტკიცებით, ჭოროხის აუზი საქართველოს ეკუთვნოდა და ძველადვე შეადგენდა ეგრეთ წოდებული ზემო ქართლის, შემდგომში სამ-

---

[2] Lebeau, Hist. du Bas-Emp., VIII, 102, n. 4. — Addit. et Éclairciss. à l'Hist. de la Géor., 1851. 94.

[3] Hist. de la Géor., 1, 33, 369, 467, 621 და 645.

[4] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 136.

ცხე-საათაბაგოს ნაწილს. სრულიად საწინააღმდეგო აზრისა არიან სომეხი მწერლები: ისინი ამტკიცებენ, რომ როგორც ეს აუზი, ისე მტკვრის ზემო წელი დიდი სომხეთის შემადგენლობაში შედიოდა და განაწილებული იყო მის სამ პროვინციას — ზემო სომხეთსა, ტაიკსა და გუგარქს შორის; პირველს ისინი აკუთვნებენ ისპირსა და ბაიბურდს, მეორეს — ტაოსკარს, ბორჩხის ხევს, ლიგანის ხევს, შავშეთს, ერუშეთსა და აჯარას. მესამეს — არტაანს, სამცხესა და ჯავახეთს, გარდა სომხითისა.[5] ამ ადგილების სომხეთისადმი კუთვნილების აზრი ძველადვე გამოთქვეს სომხებმა, თითქოს მემკვიდრეობით გადმოიცემოდა, შეითვისეს ევროპელმა გეოგრაფებმა და მას დაჟინებით იცავენ ახლანდელი სომეხი მწერლებიც.[6] ნამდვილად კი, არც ადგილის ტოპოგრაფიული ხასიათი, რომელიც კავკასიონსა და ტავრის მთებში მკაფიოდ მოხაზავს ხოლმე თითოეული ტომის ფარგლებს, არც ისტორია ასეთი აზრის არავითარ საფუძველს არ იძლევა. საქმე ის არის, რომ საქართველოს ტერიტორია სომხეთის მხრიდან ქედით ბოლოვდება, რომელიც ტრაპიზონის საზღვრიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ მიემართება და რომელსაც სტრაბონი სკიდისეს სახელით იცნობდა, ხოლო შემდეგ მიდიოდა ჩრდილო-დასავლეთით რკალისებრი უზარმაზარი მოსხური ქედის სახელით, რომელიც ერთი მხრივ ჭოროხისა და მტკვრის, ხოლო მეორე მხრივ, ევფრატისა და არაქსის წყალგამყოფია.[7] ამ ქედის სამხრეთ-აღმოსავლეთი მხარეები დასახლებული იყო სომხებით, ხოლო ჩრდილო-დასავლეთი — ქართველებით. როგორც ჭოროხის აუზის ქართველები, ასევე ქართველთა მონათესავე ტომი ლაზებისა, რომლებიც შავ ზღვაზე გადამდგარ მთებში მოსახლეობენ, ამ ადგილების უძველესი მკვიდრნი არიან: ისინი მოხსენიებული ჰყავს ჰეროდოტეს (V ს. ქ. წ.) და სტრაბონს (I ს. ქ. წ.) სხვადასხვა სახელით. პირველის აზრით, მათგან იბერიასა და ალბანეთთან ერთად შედგებოდა სპარსეთის იმპერიის მეცხრამეტე სატრაპია, ხოლო მეორის მითითებით, ლაზები აღწევდნენ ტრაპიზონიდან შორს დასავლეთით მდ. თერმოდონამდე ანუ ჰალისამდე, ახლანდელ ყიზილ-ირმაკამდე.[8]

---

[5] A. J. Saint-Martin, Mémoires sur l'Arménie, I, 66-86.

[6] მაგ. ემინი მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორიაში", 1858 წ., 340-344; ხუდობაშევი, „სომხეთის მიმოხილვაში", 1859 წ., 21-27; ერიცოვი „კავკასიის სიძველეებში", 1872 წ., № I, გვ. 20.

[7] Lebeau, Hist. du Bas-Emp., V, 491-492; Viv. de Saint-Mart., Histoire des découvertes géograph., II, 387, 388; — Géographie de Strabon, traduct. nouvelle par Amédée Tardieu, Paris, 1873, II, p. 398-399, 447, 457, 497.

[8] Viv. de S.-Mart., Hist., des découv., II, 295, 305, 327, 328, 329, 383, 387, 388-390. Er. Lenormant, Manuel d'Hist. ancienne de l'Orient, Paris, 1869, II, 445.

ქართველები მეომრული სულისკვეთებით გამოირჩეოდნენ და მათი განდევნა მშობლიური ადგილებიდან შესაძლებელი იყო მხოლოდ მათზე ძლიერი მტრის ხანგრძლივი შეტევით; ქართველები როგორც რიცხობრივად, ისე ფიზიკური ძალით, თუ არ აღემატებოდნენ, არ ჩამოუვარდებოდნენ მაინც სომხებს, ამიტომ სომხებს შეეძლოთ მხოლოდ დროდადრო მიეტაცათ მათთვის მიწა-წყალი, დაესახლებინათ მათს ტერიტორიაზე თავისი მოახალშენეები, მაგრამ ძალა არ შესწევდათ საბოლოოდ წაეგლიჯათ მათთვის მიწა-წყალი. ასე შეხედა ამ საკითხს სომხეთის ისტორიის საუკეთესო მცოდნემ, ცნობილმა ორიენტალისტმა იოან სენ-მარტენმა, რომელიც, მიუხედავად სომხებისადმი ერთგვარი მიკერძოებისა, იძულებული იყო ეღიარებინა, რომ ჭოროხის, მტკვრის, ევფრატისა და არაქსის წყალგამყოფი ქედი, ორი ერის, სომხებისა და ქართველების, მუდმივი საზღვარი იყო, და რომ სომხები, მათი მწერლების მტკიცების მიუხედავად, თუ გადასცდებოდნენ თავიანთ ბუნებრივ საზღვრებს, მხოლოდ დროებით, მაგრამ არ შეეძლოთ შემოემტკიცებინათ დაპყრობილი მიწა-წყალი.[9] სენ-მარტენის ეს შეხედულება სავსებით ეთანხმება ქართულ ცნობებს, საიდანაც ჩანს, რომ სომხები ზოგჯერ მართლაც წააგლეჯდნენ საქართველოს ზოგიერთ კუთხეს, მაგრამ ატყდებოდა ბრძოლა და საქართველო კვლავ იბრუნებდა თავისას.[10]

მთელი ჭოროხის აუზი და მტკვრის ზემოწელი, მოკლე შუალედის გამოკლებით, ყოველთვის საქართველოს ხელში რომ იყო, ამას ცხადყოფს შემდეგი ცნობები: სახელები მთების, მდინარეების, ციხეებისა და მთელი უბნებისა, ჩვენს წელთ აღრიცხვამდე დიდი ხნით ადრე რომ წარმოიშვა, პირველი ქართველი მეფის ფარნაოზის (302-237 ქ. წ.) და შემდგომ, მიუხედავად ბედის უკუღმართობისა, დღემდე შემორჩა: ასეთებია, — აღვნიშნავთ მხოლოდ მდ. ჭოროხის აუზის უბნების სახელებს, — კლარჯეთი, ლივანის ხევი, ტაოსკარი, შავშეთი და აჭარა; მდ. მტკვრის ზემოწელში: კოლა, არტაანი, ერუშეთი, სამცხე და ჯავახეთი. ამ ადგილებში გაფანტულია უამრავი ქართული ტაძარი და მონასტერი, რომლებიც V-XIV საუკუნეებში შენდებოდა. მათგან ყველაზე ცნობილია: კოლაში — დადეში, არტაანში — ნაქალაქევი, სამცხეში — აწყური, ზარზმა და საფარა, ჯავახეთში — წყაროსთავი და კუმურდო, შავშეთში — ტბეთი, შავშეთსა და ლივანის ხევს შუა — ოპიზა და ანჩა, კლარჯეთში — ბანა,

---

[9] Lebeau, Hist. du Bas-Emp., XV, 484-492.

[10] Hist. de la Géor., I, 66, 71, 89; II, I-re livr., 199; Addit. et Éclairciss. à l'Hist. de la Géor., 1851, 72-74.

იშხანი, ექეჟი, ოშკი და ხახული, აჭარაში — სხალთა. ზოგიერთი ეს ტაძარი მეტ-ნაკლებად უკვე აღწერილია: მათი წარწერები, ისევე როგორც ზოგი მათი, ჩვენამდე მოღწეული ხატის წარწერები, ძველი ხელნაწერები სხვადასხვა ხანისა, ქართულია. გარდა ამისა, ეს ადგილები უხსოვარი დროიდან ქართველი ერისთავებისა და ქართული ეპარქიების გამგებლობაში იყო. ეპარქიების რიცხვი 13-მდე აღწევს. ჩემს ხელთაა ერთი საინტერესო მინაწერი, რომელიც განსაზღვრავს როგორც მათი იურისდიქციის საზღვრებს, ისე სამცხე-საათაბაგოს ზოგიერთ ძირძველ მფლობელ საგვარეულოს.[11] ხსენებული კათედრები იყო: აწყური, კუმურდო, იშხანი, ანჩა, ტბეთი, წურწყაბი, წყაროსთავი, ვალაშკერტი, ანი(?), ერუშეთი, კარი, ბანა, დადეში. ამასთან ნუ დავივიწყებთ, რომ კლარჯეთი, რომელშიც იგულისხმებოდა როგორც ისპირის ანუ ჭოროხის ყველა ხეობა, მისი მარჯვენა შენაკადების გამოკლებით, ასევე ახლანდელი ლაზისტანი,[12] VIII საუკუნეში ქართველ ბაგრატიონთა დინასტიის აკვანი იყო, რომ მან მიანიჭა საქართველოს ერთობა და ძლიერება X-XII საუკუნეებში, აფხაზ-ქართლელთა მეფეების დროს, რომ ყველაზე განვითარებული ქართული ენა იყო ზემოქართლური და რომ, ბოლოს, საუკეთესო ქართველი საერო მწერლები, ისევე როგორც საღმრთო წერილთა მთარგმნელების უმეტესობა, ზემო ქართლიდან იყვნენ.

ყოველივე ეს სრულიად უეჭველს ხდის, რომ ქართული ელემენტი უძველესი დროიდანვე იყო ჭოროხის აუზისა და მტკვრის ზემოთის თუ არა ერთადერთი, მნიშვნელოვნად უპირატესი ელემენტი მაინც. ამ მხარის ახლანდელი მდგომარეობის შესახებ ზუსტი ცნობები არა გვაქვს. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ქართველი მემატიანის მიერ დახატულ შავბნელ სურათს, თუ რა სასტიკად სდევნიდნენ თურქები XVII საუკუნის დამდეგიდან რელიგიასა და ყოველივე იმას, რაც ზემო ქართლის ქართველებს ეროვნულ სულს უნარჩუნებდა, ამ დევნას შედეგად ის მოჰყვა, რომ ასი წლის შემდეგ აქ „ქრისტიანები სულ უფრო ცოტანი იყვნენ და ისიც ჯავახეთის უბრალო ხალხში, და კიდევ უფრო ნაკლები გვხვდებოდა შავშეთში, აჭარასა და არტაანში“,[13] შეიძლება დარწმუნებული ვი-

---

[11] ეს მინაწერი ორ სხვადასხვა ხელნაწერში ვიპოვე. მისი მეორე ნახევარი დაცულია საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორის გუჯრების კრებულში № 507-ით, გვ. 180. როგორც მინაწერიდან ჩანს, იგი ძველი უნდა იყოს, თუმცა, რაკი ქრონიკონი არ უზის, დროის განსაზღვრა ძნელია. არა მგონია, იგი ცნობილი იყოს მეცნიერებისათვის და ამიტომ ამ სტატიის ბოლოში მომყავს დანართად.

[12] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 133.

[13] Hist. de la Géor., II. I-re livr., 228-229. 230, 235.

ყოთ, რომ ქართული ენა ამ მხარეში, ყველგან მოდებული ისლამის გაკლენილ, საგრძნობლად უნდა შესუსტებულიყო. თუმცა აჭარაში, სადაც, როგორც ადგილობრივ დავრწმუნდი, მოსახლეობა მხოლოდ და მხოლოდ ქართული იყო, ქართული ენა თითქმის დღემდე შეუბღალავად შემორჩა, ალბათ იმიტომ, რომ აჭარლებს არასოდეს არ შეუწყვეტიათ ურთიერთობა გურულებთან. მაგრამ, ამბობენ, რაც დრო გადის, მით უფრო საგრძნობლად სუსტდებაო. ეს აზრი დამიდასტურა ჩემმა თანამგზავრმა იოსებ ნეგაშევმაც, ახალციხელმა ქართველმა კათოლიკემ, რომელიც ოცი წელი იქნება ლივანაში ვაჭრობს. მისი სიტყვებიდან ჩანდა, რომ მას ლივანაში კარგად მისდიოდა საქმე, შოულობდა ფულს და საქმეში აბანდებდა 20 პროცენტად, რაც იქაურ ვაჭრობაში მიღებულია, თუმცა თურქული კანონი 8 პროცენტს აწესებს. მაგრამ ერთმა შემთხვევამ თითქმის გააკოტრა: 12 წლის წინათ იგი გაძარცვეს ართვინში და 20 ათასი ყურუში წაართვეს. მიუხედავად იმისა, რომ დამნაშავე, ვინც მისი ქონებით ისარგებლა, იმთავითვე აღმოაჩინეს, უბედური ნეგაშევი დღემდე ვერაფერს გახდა თურქ მოსამართლეებთან და ამიტომ იძულებული შეიქნა დახმარება ეთხოვა ჩვენი კონსულისათვის ტრაპიზონში. ნეგაშევი განსაკუთრებით კარგად იცნობს ლივანას, გოლას ანუ ძველ კოლას[14] და არტაანს. გოლა და არტაანი მტკვრის ზემო ნაწილში მდებარეობს, ხოლო ლივანის სახელით ცნობილია ჭოროხის ხეობა აჭარისწყლის შესართავიდან. როგორც ჩანს, ისპირის საზღვრამდე; ეს უნდა იყოს ვახუშტის ლიგანის ხევი[15] ანუ ქართული მატიანეების ნიგალი.[16]

„გოლა, ნეგაშევის თქმით, ყარსის საფაშოში შედის. იგი ფრიად მაღალი და მკაცრი ადგილია, იყოფა დიდ და პატარა გოლად. მისი მოსახლეობა უკლებლივ მუსლიმანია. ქართულად ძნელად ვინმე ლაპარაკობდეს. იქ, დორთ-ქილისეში და ახლო-მახლო ნეგაშევს უნახავს ოთხი ძველი ეკლესია; ერთი მათგანი მთელია, მაგრამ გუმბათი მორღვევია; დანარჩენები დანგრეულია. ეკლესიებია ორდანიგში, ორთაქილასა და ყარაბაღში. გოლაში ერთადერთი მდიდარი მეთამულეა აჭარელი შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი. გოლას ესაზღვრება არდაგანის კაზა, რომელიც სიდიდით ბათუმის კაზის ტოლია(?). აქ, არდაგანში, სადაც 600 კომლამდე მუსლიმანი ცხოვრობს, ვაკე ადგილზე დგას დიდი ძველი ციხე, რომელიც ამას წინათ განაახლეს გარნიზონისათვის. შიგვეა ეკლესია, რომლისგანაც ნატამალიღა

[14] ვახუშტი, 133.
[15] იქვე, 136.
[16] Hist. de la Géor., 1, 259, 263, 301, 559, 579, 590, 627.

რჩება და რომლის ადგილას მარხავენ მხოლოდ ქრისტიანებს, კათოლიკებსა და სომხებს, ლივანიდან და ახალციხიდან იქ სავაჭროდ დროებით ჩასულთ. საერთოდ, არტაანის კაზაში მოსახლეობის მეათედი თუ ლაპარაკობს ქართულად. მოსახლეობას მოჰყავს კანაფი, ხორბალი და ქერი, ჰყავთ დიდძალი შინაური ფრინველი და ძროხა. აქედან ძალზე ძნელი გზით ოლთისში, არსიანის მთაზე გადავლით ახალციხესა და სხვა მეზობელ ადგილებში გასაყიდად გაიქვთ პური, ქერი, ერბო, მიერეკებიან ცხვარს, ძროხასა და კამეჩს.

„რაც შეეხება ლივანას, იგი ყველაზე უფრო ნაყოფიერად ითვლება ლაზისტანის საფაშოს უბნებს შორის; აქ აწარმოებენ ცვილს, რომელიც ადგილზე 18 მან. ღირს ფუთი, აბრეშუმს, მოჰყავთ ზეთსხილი, ჩინებული მსხალი და ვაშლი; აქ ყველა ჯიშის ყურძენი მოდის. თეთრი და წითელი და მათ შორის მსხვილი ქიშმიში ანუ ჩუშ-უზუმი. ლივანაში ვაზი ხეებზეა გაშვებული, ადგილზე ფუთი ყურძენი 1 მან. და 40 კაპ. ღირს. მუსლიმანები მას მეტწილად ფოთსა და ახალციხეში ყიდიან, ქრისტიანები კი ღვინოს აყენებენ, წურავენ ქართულად — შიშველი ფეხებით საწნახელში და ინახავენ ქვევრებში, რომლებიც ბლომად შემორჩენილა. მისთვის ცნობილია ლივანის დასახლებული პუნქტებიდან ნეგაშევმა დაასახელა ისეთები, რომელთაგან ზოგი აღნიშნულია ახლანდელ რუკებზე, ზოგიც არა, და თითქმის ყველა მათი სახელწოდება წმინდა ქართულია. ასეთებია: მარადიდი, კათაფხია, ბორჩხა, მამაწმინდა, ბარი, სვეტი, ლომაშენი, სინგოთი. წყალოქრო, ართვინი, არტანუჯი, ბერთა, გვერდა, ორჯახი, ანჩა, ანაკერტი, ხოთი, პარხალი და უთავი. მათგან ართვინი ლივანის მთავარი ქალაქია, იქ 4 ათას კომლამდე ცხოვრობს: 2 ათასი კათოლიკე. 1 ათასი სომეხი და ბერძენი და 1 ათასი მუსლიმანი; ეს უკანასკნელნი სრულიად განცალკევებული არიან ქრისტიანული მოსახლეობისაგან. ართვინს სამი გარეუბანი აქვს: კოლორტო, ჰაიპეტი და კორძული. კორძულის ბოლოში ფრიალო კლდეზე ძველი ციხე დგას, 10 წლის წინათ იგი მთელი ყოფილა, ახლა კი დარღვეულია. ართვინის ეკლესიებიდან, სადაც ღვთისმსახურება აშკარად და თავისუფლად სრულდება, ოთხი ახალი ეკლესია, 20 წლის წინათ აშენებული, კათოლიკებს ეკუთვნით, ხოლო ერთი დიდი ეკლესია, რომელსაც ქართულწარწერიანი ქვა აქვს დატანებული, სომხურად უქცევიათ სომხებისა და ტრაპიზონელი ბერძნების დავის შემდეგ. სომხებს წარწერიანი ქვა დაუმალავთ და ეკლესიას იჩემებდნენ, ბერძნები კი უმტკიცებდნენ: ეს ეკლესია, როგორც ქართული, ქართველთა ერთმორწმუნეებს უნდა დაგვრჩესო.

საერთოდ ლივანაში ძალიან ბევრია ძველი ეკლესია. ზოგი მთელია და დღემდე შემორჩენია კედლის მხატვრობა. ბერთაში, არტანუჯის ახლოს. ართვინიდან რვა საათის სავალზე, არის თამარ მეფის დროინდელი ციხე ეკლესიითურთ, რომელშიც ოქროს აკვანი იპოვეს და დღეკმდე პოულობენ ნაირ-ნაირ ძველ ნივთებს. ბერთაში რამდენიმე სხვა ეკლესიაც არის, ერთ მათგანს ახლა მეჩეთად ხმარობენ. საკავრო პუნქტების გამოკლებით, სადაც დროებით ცხოვრობენ ქრისტიანები, დანარჩენი სოფლის მოსახლეობას მხოლოდ მუსლიმანები შეადგენენ. მათ შორის საკმაოდ ბევრია 1829 წელს ახალციხიდან გადასახლებული. ძველი გვარის ბეგები ცოტაღა დარჩენენ, მათი უმეტესობა ამოწყდა. ერთ ადგილას, სად არ მახსოვს, ამბობს ნეგაშევი. ყველა მცხოვრები, ქალი თუ კაცი, ჩიყვიანია. ლივანელ მუსლიმანებს შემორჩენიათ წარსული ქრისტიანული დროის მოგონება. 30-ოდე წლის წინათ მათში ქრისტეს ფარულ აღმსარებელსაც შეხვდებოდით; ახლა ასეთები აღარ არიან. ქართულად მთელ ლივანაში ლაპარაკობენ, თუმცა არც ისე წმინდად. ქართული ყველაზე მეტად გავრცელებულია სოფლის მოსახლეობაში ბათუმიდან ართვინამდე, იმის იქით კი თურქული და ნაწილობრივ სომხური ჰარბობს".

ჩვენ სულ უფრო ღრმად მივიწევდით აჭარის ხეობაში. აჭარისწყლისა და ჭოროხის შესაყართან ჩვენი გზა აღმოსავლეთისაკენ მიდიოდა, ოდნავ ჩრდილოეთისაკენ უხვევდა აჭარისწყლის მარჯვენა ნაპირზე. ხეობა აქ საკმაოდ ფართოა და მდინარე არც ისე სწრაფად მიედინება, მაგრამ მისი წყალი ჭოროხის წყლის საწინააღმდეგოდ ძალზე ანკარა და გამჭვირვალეა; დოლოგნის ხიდთან, რომელსაც, თუ მეხსიერება არ მღალატობს, ძველი ხიდის ნანგრევებზე აშენებენ. ნეგაშევი გამოგვეთხოვა და ლივანისაკენ გასწია, აქედან გზა ფრიად ძნელი სავალი გახდა: იგი გატკეპნილი ციცაბო ფერდობებზე, ფლატესა და ხრამებზე. აღმართ-დაღმართი ხშირად გვხვდებოდა და იქ, სადაც განსაკუთრებით საშიში იყო, გზა ხელოვნურად ამოჭრილ ან უზარმაზარი ლოდებისაგან გაკეთებულ საფეხურებზე გადიოდა, რომ ავდარში ცხენმა ფეხი მოიკიდოს. ასე მოკირწყლულ გზებს ყველგან შეხვდები ჩურუქ-სუსა და აჭარაში. ზოგი მათგანი ძალიან ძველი მეჩვენა, საერთოდ, მთელ ქვემო აჭარაში წარმოუდგენლად ცუდი გზებია და ამიტომ საათში 3-4 ვერსზე მეტს ვერ ვაივლი. უცხო მგზავრისათვის ძნელია აქ ღამით სიარული. თვით აქაურებიც, თუ საჭირო არ არის, ღამით მგზავრობას ერიდებიან. როცა გზად შეხვედრილ ბეგებს ვეკითხებოდი, საერთო ძალით რატომ არ აკეთებთ გზებს, ეს ხომ თქვენთვისვე იქნება ხელსაყრელი-

მეთქი, მიპასუხებდნენ, ამას განგებ არ ვაკეთებთ, რომ მთავრობამ საბოლოოდ არ ჩაიგდოს ხელში ჩვენი ქვეყანაო. იმ დღეს საშინელი პაპანაქება იყო, 12-დან 5 საათამდე სიცხემ მზეზე 40 გრადუსს მიაღწია რეომიურით, მაგრამ ხშირი მცენარეების ჩრდილში ნელდებოდა. აჭარული სოფლები ორივე ფერდობზეა შეფენილი და ხელისგულივით ჩანს თავისი სიმინდის და აქა-იქ ღომის ყანებით. სახლები ან გაბნეულია ან შექუჩებული. ჩვენ გავიარეთ სოფლები: კაპნისთავი, ჭალახმელა, ბაბუჩოღლები, მახუნცეთი და ზურა და მივადექით გრძელ ბოჭოხიდის ალმართს, რომელსაც ასე ეძახიან ძველი ხიდის — ბოჭოხიდის სახელის მიხედვით. ეს ხიდი თაღივითაა გადადგმული აჭარისწყალზე. მაგრამ მე არ შემიმჩნევია. ამ ხიდის ქვემოთ დამანახეს ძველი სახლი ერისთავთა გვარის ბეგებისა, რომლებიც უკვე ამომწყდარან. არ შემიძლია არ შევნიშნო, რომ მე იშვიათად შემხვედრია ასეთი საძაგელი ალმართი: გზა სულ ერთიან იკანკლურად მიდიოდა საშინელ ფრიალოზე, და ჩვენ ქვეითად საათნახევარს მოვუნდით, მის მწვერვალზე ასვლას, საიდანაც თვალწინ გადაგვეშალა — უკან დაკლაკნილი აჭარის ხეობა, ხოლო წინ — გრძელი ვიწრობი, რომელიც სოფელ საღორეთით ბოლოვდებოდა.

საღორეთი ყველაზე მკაცრ ადგილად მიიჩნიათ აჭარაში. ეს სხვა არაფერია, თუ არა ღრმა ძაბრისებრი ტაფობი, ყოველი მხრიდან მაღალი მთებით გარშემორტყმული. მარცხნივ, სოფლის უკან კლდეზე მოჩანს ციხის ნანგრევები. ამ ციხეს ცივასროლას ეტყვიან. მთელი ტაფობი შემოსილია მდიდარი მცენარეულობით, ჰავაც კარგია. ზამთარი არც ისე ცივიაო, ამბობენ, მაგრამ თოვლი დიდი იცის და 3-4 თვეს წყდება მიმოსვლა. სოფელი, სადაც ასი კომლია, ფერდობის ირგვლივაა შეფანილი. მისი მცხოვრებნი, საერთო აზრით, დიდი თავზეხელაღებული ხალხია: საღორეთელი არაფრად აგდებს უბრალო რამისათვის კაცის დაჭრას. სისხლის აღების ჩვეულება აქ ძალზე ფეხმოკიდებულია. ქვემო აჭარის მცხოვრებნი საერთოდ ყველა იარაღასხმული მგზავრობს, მაგრამ საღორეთელი შინიდანაც არ გამოვა, თუ ზედ არ ასხია თოფი, ფიშტო და იატაგანი. ამ მხრივ უფროსებს ბაძავენ ბიჭებიც 10 წლიდან მოკიდებული. ისინი თავს იწონებენ პატარა თოფებითა და იატაგანებით, რომელსაც აქვე აკეთებენ. ხშირად ვარჯიშობენ სროლაში და ამიტომ კარგადაც ისვრიან. ერთი 12 წლის ბიჭი დიდი რიხით მარწმუნებდა, გაფრენილ ჩიტს არ ავაცდენო. ჩვენ, როგორც ბათუმში გვირჩიეს, ვინმე მუთაოღლის სახლისაკენ გავწიეთ. მან აქაურებისათვის ჩვეული გულითადობით მიგვიღო. თვითონ ციებცხელებიანი იწვა, ეს სენი

ბათუმში შეპყროდა. ბოდიში მოგვიხადა, რომ თავად არ შეეძლო მოგვმსახურებოდა, და ჩვენზე ზრუნვა თავის ლაპაზ ქერათმიან ახალგაზრდა ვაჟებს მიანდო.

მუთაოღლის სახლი აღმოსავლეთ ფერდობის ზედ თავზე იდგა. გზა ძნელ აღმართზე ადიოდა. ყორეშემოვლებულ ეზოში ხეხილი ხარობდა. ხეებზე გაშვებული იყო ვაზი, ეზოს გარეთ სიმინდი ეთესა. სახლი წაბლის ხისა იყო, ქვედა სართული ბოსელი იყო, ზედა — საცხოვრებელი. იგი იყოფოდა საქალებოდ და სასტუმროდ, რომელსაც წინ დერეფანი ეკრა, სადაც ჩვეულებრივ სრულდება ნამაზი და სადაც არის განსაკუთრებული ხის დაზგა; მას ძირი გახვრეტილი აქვს, საიდანაც გაედინება წყალი ყოველი განბანვის შემდეგ. ფანჯრებსა, კარებსა და თვით ბუხარზე საკმაოდ ღვლარჭნილი ჩუქურთმები იყო ამოკვეთილი. საერთოდ, ასე აწყობენ საუკეთესო სახლებს მთელ აჭარასა და ჩურუქ-სუში. ყოველ სახლს აუცილებლად აქვს სასტუმრო ოთახი. სტუმართმოყვარეობა აქ წმინდა საქმედ ითვლება,[17] რა ეროვნებისა და რჯულისაც უნდა იყოს სტუმარი, საიდანაც უნდა მოდიოდეს და როდესაც უნდა მივიდეს, დღისით თუ ღამით, უფლება აქვს პირველსავე შეხვედრილ სახლში გაჩერდეს. ოჯახის უფროსიც რომ არ იყოს სახლში, თუნდაც სახლში მარტო ქალები იყვნენ, ვალდებული არიან მიიღონ, გაუმასპინძლდნენ და სუფთა ლოგინი გაუშალონ, რომელსაც საგანგებოდ ინახავენ ასეთი შემთხვევისათვის. დიახლისი თავის ნახევარში ფუსფუსებს და ამზადებს საჭმელს, თქვენ გესმით მისი ლაპარაკი, მაგრამ სახით ვერ ხედავთ, თუმცა თვითონ ყურადღებით გითვალთვალებთ ჭუჭრუტანიდან. სუფრაზე ოჯახის პატრონი და ან ვინმე უფროსთაგანი გემსახურებათ, წესი არ არის ისინიც თქვენთან ისხდნენ. თუმცა ამ ჩვეულებას უფრო უბრალო ხალხი იცავს, ვიდრე ბეგები. კერძები ერთფეროვანია, მაგრამ საკმაოდ სუფთა და გემრიელი; ყოველ შემთხვევაში, მე ყველგან გულაზიზად შევექცეოდი: მჭადი, ერბოკვერცხი, რძეში მოხარშული ყველი, არაყანი, ცხვრის ხორცი სხვადასხვა საკაზმითა და წიწაკით ცხარედ შეზავებული. ჩვენებური სასმელები აქ არ იციან. თუ უამისოდ გიჭირთ, თან უნდა იქონიოთ. აქაური მუსლიმანები ისე მტკიცედ იცავენ ყურანის წესებს სასმელების შესახებ, რომ არსად ჩურუქ-სუსა და აჭარაში არც ერთი ჩემი მასპინძელი არ უცდუნებია კონიაკს, რომელსაც ჩაისა და ყავასთან ერთად ყოველთვის ვთავაზობდი. მათ ჩემთვის რომ ესიამოვნებინათ, ვახშმად რამდენიმე ახლო მეზობელი

[17] Ubicini, Lettres sur la Turquie, I, 395.

მოიწვიეს. იმ საღამოს საუბრისას ზოგი საინტერესო რამ გავიგე. სხვათა შორის, სიტყვა ჩამოვარდა აჭარლების ეროვნებაზე, მათს ენასა და მათს ძველ ეკლესიებზე. ეკლესიას აჭარაში ყველგან ქილისეს ეძახიან, ეს დამახინჯებული ქართული ეკლესიაა. საღორეთში ჩემმა თანამოსაუბრეებმა ეკლესიის ვერც ერთი ნანგრევი ვერ დამისახელეს, ალბათ, იმიტომ, რომ იგი ხისა იყო, როგორც სოფლების უმეტესობა აჭარაში, ჩურუქ-სუსა და თვით იმერეთში, და ამიტომ მისი კვალი დიდი ხანია გამქრალა. სიტყვა „ქართველი" აჭარის მცხოვრებთათვის უცნობია და ისინი თავის თავს მხოლოდ აჭარლებს ეძახიან, ხოლო თავის ენას გურჯი ენას. როგორც მუთაოღლის ოჯახში, ისე ყველგან ამ მხარეში ქალები ქართულად უფრო წმინდად ლაპარაკობენ, ვიდრე მამაკაცები. საღორეთულ კილოში პირველად შევამჩნიე ძველი ქართული სიტყვებიცა და ახლანდელი ქართული სიტყვების შეცვლილი ფორმებიც და ხმარებაში შემოსული თურქული ფრაზები.[18] ჩემი მასპინძლის ერთმა ვაჟმა გაიოცა, რომ მე ასე წმინდად და თავისუფლად ვლაპარაკობდი გურჯულად. „გასაგებია, რატომ, ვუთხარი მე: მეც და თქვენც, აჭარლები, ერთი ხალხი ვართ, ქართველები"; მაგრამ არ შეიძლება არ შეამჩნიოთ, რომ აჭარლების შეგნება მათ გვარტომობაზე მეტისმეტად აბნეულია ისლამის გავლენით: შეხედულება ამ საკითხზე, ისე როგორც ბევრ სხვა საკითხზე, სარწმუნოების თვალსაზრისიდან გამომდინარეობს, და ზოგიერთ მათგანს თუ დაარწმუნებ, რომ სარწმუნოება

---

[18] მაგალითად:

ქართული	აჭარული
ჯარი	ესკერი
ჩხუბი	ყაველა
მძევალი	ძევალი
ციხე	ყალე
საზღვარი	სირონი
ურემი	არაბა
კრამიტი	ქერამიტი
სამარხი	მეზერლუღი
სასაფლაო	მეზერი
მოხუცი, ბებერი კაცი	მამა-ბერი
მოხუცი, ბებერი დედაკაცი	დედა-ბერი
გასათხოვარი ქალი	გოგო
წითელი	ყირმიზი
ნასყიდი	აღებული
ღარიბი	ფუხარა
მოტანტალე	ბოშა
უწინ	უმალ
ძალიან	ზოლ
სველი	სობელი

სხვაა და გვარტომობა სხვა, და რომ ჩვენი ენის ერთიანობა საუკეთესოდ ამტკიცებს, რომ ჩვენც და აჭარლებიც ერთი ხალხი ვართ. თავის მხრივ, ისინი მარწმუნებდნენ, ოდესღაც ჩვენი წინაპრები გურჯები იყვნენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც ჩვენში ისლამი შემოვიდა... თუმცა გურჯულად ვლაპარაკობთო. მხოლოდ მათს მოხუცებში შევხვდი ადამიანებს, რომელთაც ესმით, რომ გურჯები არიან და რომ აჭარა ენითაც და ისტორიითაც გურჯისტანის ნაწილია. ამას ისიც დავძინო, რომ აჭარლები შინ, ახლობლებთან, უფრო გულახდილნი არიან, ვიდრე ხალხში, სადაც საეკვო პირები ეგულებათ და ეშინიათ მათი. გზაში ისინი მაინცა და მაინც კეთილი თვალით არ მიყურებდნენ. და რაკი ჯერ კიდეც არ იცოდნენ, რომ მათი ენა მესმოდა, მკაცრად მეკითხებოდნენ თურქულად: ვინ ხარ, ჩვენთან რატომ მოხვედი, რა გინდაო. მათ რამდენადმე გული მოულბებოდათ ხოლმე, როცა გურჯის ენაზე დაველაპარაკებოდი. მაინც ვერ გავაგებინე მათ აჭარაში ჩემი მოგზაურობის მიზანი და მაინც თავის აზრზე იდგნენ, რომ ჩემი ნამდვილი მიზანი სულ სხვა იყო. აი ამიტომ მეტწილად მათი საუბარი ჩემთვის საჭირო თემაზე ფრთხილად უნდა გადამეტანა, ფარულად შემემოწმებინა ჩემი რუკა და ჩამეწერა დღიურები, როცა მარჯვე დროს მოვიხელთებდი.

მეორე დღეს დილით ჩემს მასპინძელს მადლობა გადავუხადე გულითადობისათვის, ცხენები ქვემოთ აჭარისწყლისაკენ პირდაპირ გზაზე ჩავგზავნე და მუთაოღლის უფროსი ვაჟისა და ისმაილ გოგიტიძის თანხლებით გავემართე მარცხნივ პატარა ცივა-სროლის ციხისაკენ ძნელადსავალი ბილიკით, რომელიც თოკივით მიიკლაკნებოდა ფერდობზე შქერის ხშირ ბუჩქებში. ცივა-სროლა საღორეთისწყლისა და აჭარისწყლის შესართავთან განცალკევებით აღმართულ გრანიტის კლდეზე დგას. აშენებულია ნამტვრევი ქვითა და კირით; ახლა დანგრეულია, შემორჩენილია მხოლოდ ორი კედელი, რომლებსაც ჟამთასვლისაგან ნაპრალები გასჩენია და ძლივსა დგას. ციხეს მისადგომი არა აქვს, თუმცა ბიჭები ზოგჯერ ცნობისმოყვარეობის გამო კლდის შვერილებზე მიცოცავენ მის ვიწრო ბაქანზე. ბარგს ცივა-სროლას ძირში მივეწიე ერთი უმნიშვნელო ძველი კოშკის მახლობლად. ჩვენი გზა სულ აჭარისწყლის მარჯვენა ნაპირს მიჰყვებოდა. ადგილმდებარეობის ხასიათი შეიცვალა; ხეობა დავიწროვდა; ფერდობები უფრო დამრეცი გახდა; აჭარისწყალი ნამდვილ ზათქიან მთის მდინარეს დაემსგავსა; აჭარისწყალში აქა-იქ ვიწრო ღარტაფებიდან ჩამოქუხდა ანკარა ღელეები, რომლებიც საღსეა გემრიელი კალმახით. ამ ღელეებს სათავე უდევთ ან პერანგაძ ან შავშეთის მთებში. ფოთლოვანი ტყე, რომელსაც ფერდობებსა და

დაბლობზე მოდებული კორომები ცვლიდა, გამოირჩეოდა დიდრონი-
რცხილებით, მუხებით, წიფლებით, თხილით, მურყნებითა და წაბ-
ლის ხეებით. ხშირი ფოთლოვანი აძლიერებს ნესტსა და ჩრდილს
და ამიტომ ხეები ძირიდან წვერომდე ლამაზად შემოსილიყო ნაირ-
ნაირი სუროებით, მათ ქვეშ კი მარადმწვანე შქერისა და განსაკუთ-
რებით წყავის ბუჩქები $^1/_2$-2 საჟენი სიმაღლის ხეებად ქცეულა.
უფრო სამხრეთული წიწვოვანი ჯიში, ნაძვი, სოფელ ვაიოსთან გა-
მოჩნდა ჯერ ცალ-ცალკე ხეებად, შემდეგ ჯგუფ-ჯგუფად და ბოლოს
კიდევაც დასჯაბნა ფოთლოვანი ტყე. ბზა გაქრა. სოფლების ახლოს
და თვით სოფლებში ხარობდა დიდრონი ხეხილი, ვაშლი და მსხა-
ლი, რომელიც აქ განსაკუთრებით გავრცელებულია, ვაზი კი ისევე,
როგორც ბარში, გაშვებულია მურყანსა და ხურმაზე, ანუ, როგორც
აქ ეძახიან, ხუმრაზე, რომელიც დახუნძლული იყო წერილი გულის-
ამსუყებელი გემოს ნაყოფით, რომელიც გვიან შემოდგომაზე მწიფს
და რომელსაც გამხმარს შეექცევიან მთელ საქართველოში. ღომი
აღარ გვხვდებოდა, თუმცა ქვემოთაც ცოტა იყო; აქ, როგორც ჩუ-
რუქ-სუში, სამეგრელოსა და იმერეთში, გურიის გამოკლებით, იგი
სიმინდმა განდევნა. სიმინდს დაბლობში უკვე ტეხდნენ, უფრო მაღ-
ლა ფერდობებზე და ზღვის ზოლში კი მისი აღება არ შეიძლება
აგვისტოს დამლევამდე და სექტემბერშიც კი. ამის მიზეზი ის არის,
რომ ის მხარე, სადაც მე შევდგი ფეხი, მნიშვნელოვნად უფრო მაღ-
ლაა. მაგრამ ვიწრო ხეობების სიღრმეში მეტი სითბო გროვდება და
მზის სხივები უფრო აცხუნებს. და მართლაც, ხეობის ფსკერზე აუ-
ტანელი სიცხე იდგა, ასე რომ, როგორც დღიურში მიწერია, მზეზე
თერმომეტრში სინდიყი ზოგან, დილის ცხრა საათზეც კი, რეომიუ-
რით 32 გრადუსს აღწევდა, მზის ჩასვლის შემდეგ კი 12 გრადუსამ-
დე ეცემოდა. საღორეთის ზემოთ მოსახლეობა მეტია და სოფლებიც
უფრო ხშირია. ყოველ სოფელში სახლის წინ ბოსტანი აქვთ, სადაც
უთესიათ მწვანილი, ხახვი, ბარდა, ლობიო. კიტრი და სხვა ბოს-
ტნეული. სახლები ისეთივე უდგათ, როგორც საღორეთში, ხისა,
მეტწილად წაბლისა, მხვდებოდა ქვისაც, მკვრივი რუხი პორფირისა,
რომელიც ყველაზე მეტად გავრცელებული საშენი მასალაა აჭარა-
ში. ქვის სახლები შეძლებულ ხალხს ეკუთვნოდა. სახლებს პატარა
ფანჯრები აქვს — ან გისოსიანი ან ქაღალდგაკრული. როგორც მი-
თხრეს, აქ არა მხოლოდ სოფლებია ერთმანეთისაგან გამიჯნული,
არამეც ყოველ მოსახლეს თავისი საკუთარი ნადელი აქვს სოფლის
აგარაკ.ი და სხვისი ნაკვეთის დაჭერას ხშირად მკვლელობა მოსდევს.
ტყე აგარის ფარგლებში მცხოვრებთა საერთო კუთვნილებაა. რაც

შეეხება ტყეს აგარის ფარგლებს გარეთ, მთის მწვერვალებზე, იგი არავის არ ეკუთვნის და ამიტომ ყველას უფლება აქვს გამოიტანოს იქიდან, რაც სურს როგორც ყოველდღიური საჭიროებისათვის, ასევე გასაყიდად.

სოფლებიდან განსაკუთრებით მაინტერესებდა ქედა, ერთადერთი დასახლებული ადგილი აჭარაში, რომელსაც ვახუშტი აღნიშნავს და რომელიც, მისი სიტყვით, „არს მცირე ქალაქის მზგავსი დაბა... მოსახლენი არიან ვაჭარნი".[19] ქედა სავაჭრო პუნქტია გარეშემო მცხოვრებთათვის: აქ არის 20-30 დუქნიანი ბაზარი, სადაც იშოვება ყავა, ჩაი და სხვა წვრილმანი. ქედა აჭარისწყლის ორივე ნაპირზე მდებარეობს და ოთხი უბნისაგან შედგება: საკუთრივ ქედა, ასანური და ორცვა მარცხენა და ვულები მარჯვენა ნაპირზე. აქ ვერაფერი საინტერესო ვერ მიმასწავლეს. რაკი ვფიქრობდი, რომ ქედაში, რომელსაც ვახუშტიმ ჯერ კიდევ XVIII საუკუნის დამდეგს განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო, რაიმე არქეოლოგიური ძეგლი უნდა ყოფილიყო, გადავწყვიტე გამომეკითხა კაიმაკამ ხუსეინ-აღასათვის, რომელთანაც, სხვათა შორის, ჯუდიჩიმ სარეკომენდაციო წერილი გამომატანა და რომელიც ზაფხულს ციცაბო მაღლობზე ატარებს ორცვაში, თუმცა მუდმივი რეზიდენცია გულებში აქვს. ძლიერ ცხელოდა და ძლივს ავაღწიე მასთან ცხენით, მეც დავიღალე და პირუტყვიც გავასავათე. ხუსეინ-აღამ მიმასწავლა, და ისიც გაურკვევლად, ეკლესიების ნანგრევები ზენდიდსა და გულებში. ყავა დამალევინა, გამომისტუმრა და შემომთავაზა, თუ დათვალიერებას შეუდგები, ღამე ჩემს კანცელარიაში გაათიეო. ასანურში დავეშვი და ძალა რომ მომეკრიბა, გადავწყვიტე იმ დღეს ფეხი არ მომეცვალა, თუმცა დაღამებამდე 5 საათი იყო. ასანურში ოცი კომლია; სახლები ლამაზ ფერდობზე უდგათ. აქ კონუსისებრ ოდნავ დამრეც ბორცვზე დავათვალიერე პატარა ძველებური ნაგებობის, როგორც ამბობენ, ეკლესიის, საძირკველი. ჩვენ ქვემოთ ზედ მდინარესთან იდგა პატარა კვადრატული ციხე თავდგირიძის გვარის ბეგებისა, რომელთაც უკვე მიუტოვებიათ ქედა. მოპირდაპირე ფერდობზე, სოფელ ზენდიდში ლამაზად მოჩანდა მეორე ბეგის ბეჟანოღლის ანუ ბეჟანიშვილის დიდი ორსართულიანი თეთრი სახლი. კიდევ უფრო ზევით, გულებისწყლის სათავესთან, პირქუშად იდგა დაკბილული კლდის მსგავსი ძველებური ციხის ნანგრევები, სადაც ახლა ავდარში მხოლოდ მწყემსები და მონადირეები აფარებენ თავს. ჩვენ დავბინავდით ერთ მოხუცთან, გვარად დიასამიძესთან. იგი ხე-

[19] ვახუშტი, აღწ. სამეფ. საქ., გვ. 134.

ლობით დალაქია, ახლახან ამოსულა ბათუმიდან, სადაც, ისე როგორც ბევრ აჭარელს, აქვს სახლები და დუქნები და სადაც ცხოვრობს შემოდგომაზე და ზამთარში. მისი საქონელი, წლის დროის მიხედვით, ხან ბარში ძოვს, ზღვის სანაპიროზე, ხან აჭარის მთის საძოვრებზე. დიასამიძემ ამიხსნა და ეს სხვებმაც დაუდასტურეს, რომ არც ზენდიდსა და არც გულებში არავითარი ძველი ეკლესიების ნანგრევები არ ეგულება; ასეთი ეკლესიები, თამარ მეფის აშენებული, იყო ზემო სოფლებში — დონდალოში, ჭვანასა და შვახევში. ისინი დიდი ხანია დაშალეს და თუ მათი ნაშთი დარჩენილა, უკვე ტყეთაა დაფარული. მხოლოდ ერთ სოფელში — სხალთაში შემორჩა ეკლესია. ასეთივე ეკლესია იყო ხულაში, მაგრამ მისი ქვები ხიმშიაშვილებმა შენობებსა და თვით მეჩეთზე, ანუ ჯამეზე გამოიყენეს. „ჩემს ახალგაზრდობაში, დასძინა მოხუცმა, ჩვენ ვლოცულობდით მათს ნანგრევებში ძველი ჩვეულებისამებრ, ვიცოდით, რომ ჩვენი მამა-პაპანი ერთ დროს ქრისტიანები იყვნენ და რომ ჩვენ თვითონ მოდგმით გურჯები ვართ. ახლა აჭარლებს მხოლოდ შიშსა გვრით ის ადგილები, სადაც ოდესღაც ეკლესიები იდგა, და ბევრი მათგანი ვერ ბედავს მიუახლოვდეს მათ. ძველი ქრისტიანული ჩვეულებიდან ზოგი რამ დღემდე შემორჩენილა. მაგალითად, კვერცხის შეღებვა სააღდგომოდ. აქ ახსოვთ წინანდელი ქრისტიანული დღესასწაულებიც. თუმცა ყველაფერი ეს დავიწყებას ეძლევა“. ჩემს შეკითხვაზე: დიდი ხანია რაც აქ თურქული ენა გავრცელდა და რამდენად ახლა უკეთ ცხოვრობთ თუ არა-მეთქი, დიასამიძემ მიპასუხა, რომ „ასე 30 წლის წინათ აჭარაში თურქულს მხოლოდ ვაჭრობის მიმდევარი ხალხი ლაპარაკობდა, ვისაც თურქეთის ქალაქებში ჰქონდა საქმე, ჩვენმა დანარჩენმა მოსახლეობამ მხოლოდ გურჯი ენა იცოდა. ჩვენი ქალები კი ახლაც არ ლაპარაკობენ თურქულად. რაც შეეხება ახლანდელ მამაკაცებს, თითქმის ყველამ იცის თურქული. გურჯი ენაზე წერა-კითხვა თითქმის დავიწყებულია: იგი ჯერ კიდევ შემორჩენიათ ზოგიერთ ბეგსა და განსაკუთრებით მათ ცოლებს. გარდა ამისა, რაც დრო გადის, ცხოვრება აჭარაში მით უფრო უარესდება. წინათ მეტი შეძლება გვქონდა; მოსავლის მხოლოდ მეათედს გვახდევინებდნენ; ახლა კი, ტყის გარდა, ყველაფერს გადასახადი აქვს: მოსავალზე წინანდელი ათისთავი დარჩა, ძროხაზე 5 ყურუში მიაქვთ, ცხვარზე — 3 და სხვ. ძალიან გვიჭირს მარილი; წინათ იგი თქვენი ქვეყნიდან მოჰქონდათ, ახალციხიდან და შეკვეთილიდან, 10 ყურუშად ოყა; ახლა მისი ყიდვა მხოლოდ ბათუმში შეიძლება, სადაც სამ-ოთხჯერ უფრო ძვირად გვიჯდება“.

ამ საუბრის დროს ქართული მაყრული მომესმა. და მართლაც, ზენდიდელი ბეგი თურმე შავშეთელი ბეგის ქალზე ქორწინდებოდა და შავშეთიდან მას სიმღერით მოაცილებდა კარგა მოზრდილი მაყრიონი. აქ ბეგები ჩვეულებრივ ძველთაგანვე მხოლოდ ერთმანეთს უმოყვრდებიან. აჭაური საქორწინო წეს-ჩვეულება ბევრ რამეში ჰგავს ქართულს: მაგალითად, წინასწარი მოლაპარაკება მშობლებს შორის შუამავლის მეშვეობით, მზითვის პირობა და თვით მზითევი, დაწინდვა და მისი ცერემონია, სიძე-პატარძლის სახელები ქორწინების დროს — მეფე, დედოფალი, ასევე სიძე-პატარძლის მხლებელთა სახელები — მაყრები, სიმღერა, რომელსაც ამ დროს ასრულებენ — მაყრული, მისი სიტყვები და კილო, თვითონ ქორწინების ზეიმი სამ დღეს—ქორწილი,—ყველაფერი ეს წმინდა ქართულია და იგი შემონახულია არა მარტო აჭარაში, არამედ ყველგან ამ მხარის ქართველ მუსლიმანებში. აქ მზითევს შეადგენს სხვადასხვა მოძრავი ქონება და მასში დიდი წილი უდევს ლოგინს, რომელიც შეძლების კვალობაზე 6 წყვილამდე აღწევს; ლოგინში შედის აბრეშუმისა და ჩითის საბნები, მატყლის ლეიბები, მუთაქები და სხვა მოწყობილობა. საუკეთესო ლოგინს სტუმრისათვის ინახავენ. თითქმის ყველა ოჯახში ახალთახალ ლოგინს მიშლიდნენ. თითქოს ეს-ეს არის გაამზადესო. ამასთან რაგინდ მიჩვეული არ იყო საკუთარ ქვეშაგებს, მასპინძელს აწყენინებთ, თუ ლოგინზე უარს ეტყვით. აჭარაში, ისევე როგორც თითქმის ყველგან მუსლიმანურ ქვეყნებში, ქალების მდგომარეობა მშობლების ოჯახშიც და ქმრის ოჯახშიც ძალზე სავალალოა. მართალია, ოჯახი მის ხელშია: იგი ამზადებს საჭმელს, კერავს, მუშაობს ყანაში, მაგრამ მაინც უუფლებო არსებაა, უუფლებო არა იმდენად ყურანის მოძღვრებით,[20] რამდენადაც უმეცარი მოსახლეობის შეხედულებით, მას წართმეული აქვს შესაძლებლობა იფიქროს და იმოქმედოს თავისი შეხედულებისამებრ; ვერ გამოჩნდება უცხო მამაკაცთან, ამიტომ იყო, გზაში რომ შეგვხვდებოდნენ, არა მარტო ქალები, გოგონებიც კი შეჩერდებოდნენ, ჩადრში გაეხვეოდნენ და ზურგს შეგვაქცევდნენ ხოლმე. მამაკაცს უფლება აქვს ოთხი ცოლი იყოლიოს. თუმცა ამ უფლებით აჭარაში უპირატესად ზოგი ბეგი სარგებლობს; მას შეუძლია თვითნებურად გააგდოს ქალი ოჯახიდან, ქალს თან მიაქვს მთელი თავისი მზითევი, შეუძლია შვილები თავისთან იყოლიოს 7 წლამდე. ქალს მეჩეთში შესვლაც კი არ შეუძლია, გარდა, როგორც ამბობენ, ერთი დღისა წელიწადში. შინ განცალკევებულია მამაკაცებისაგან; მისი მონახულება შეუძლიათ, და

[20] Ubicini, Lettres sur la Turquie, I, 159-162, 503-511.

ისიც განსაკუთრებულ დროს, მხოლოდ მშობლებსა და ახლო ნათესავებს. როცა ხულაში ახალგაზრდა მურთაზბეი ხიმშიაშვილს, საკმაოდ განვითარებულს კაცს, რომელიც სარწმუნოებასაც სხვებზე უფრო ფხიზლად უყურებს, ვკითხე, ისეთი რა დაგიშავა ცოლმა, გამოკეტილი რომ გყავს-მეთქი? აი, რამდენიმე დღეა თქვენსას ვცხოვრობთ, მას კი მალულადაც არ შეუძლია შეგვხედოს; თქვენ, როგორც ჩანს, სუფთა ჰაერსაც კი არ ასუნთქებთ-მეთქი, — მან მიპასუხა: მესმის რა საძაგლობაცაა ეს, მაგრამ ხვედრს ვერ შევუმსუბუქებ: საყოველთაო ჩვეულებას რომ გადავუხვიო, ერთ აურზაურს ატეხენ, საყვედურით ამავსებენ, თავლაფს დამასხამენ, შემარცხვენენო.

მეორე დღეს, 12-ში, დილაადრიან ქვის ხიდით გადავედით მოპირდაპირე ნაპირზე და განვაგრძეთ გზა. გადავწყვიტეთ, თუ გავძლებდით, ასე 30 ვერსი გაგვეკლო, რომ ღამე შვახევში გაგვეთია. მე კიდევ არ ვიცოდი, წინ რა მელოდა, რომელ პუნქტებში უნდა მივსულიყავი, მეშინოდა დარი არ შეცვლილიყო, ამას კი მოასწავებდა ჰაერის სრული მყუდროება და საშინელი პაპანაქება. პირადად მე შეჩვეული ვარ მთას და საერთოდ ცუდი გზები არ მაშინებს, განსაკუთრებით როცა ადგილობრივი ცხენების ალღოსა და მუხლმაგრობის იმედი მაქვს; მაგრამ ვიცოდი, თუ მთებში, უპირატესად შავი ზღვის მიმდგომ მთებში, წვიმები დაიწყება, თავსხმა დიდხანს გრძელდება, და ამიტომ ავდარს შეეძლო ერთსა და იმავე ადგილას დავეყოვნებინეთ გაურკვეველი დროით; მე კი მინდოდა კარგ ამინდში დამეთვალიერებინა სხალთის ეკლესია მაინც, რომელსაც გზაში მიქებდნენ, და ხულამდე მიმეღწია, სადაც რამდენიმე დღეს ვაპირებდი დარჩენას ჩემი დღიურის შესავსებად. საბედნიეროდ, ისე მოხდა, როგორც მსურდა: ამინდს თვით ხულამდე არ უღალატია. ქედის ზემოთ ხეობა კიდევ უფრო დავიწროვდა, სიცხემ თითქოს იმატა. ტყეები უფრო გრანდიოზული გახდა. აქ გამოჩნდა ფიქვი, რომელიც ზემო ზოლში იშვიათად გვტოვებდა. ხშირად გვხვდებოდა ცივი გემრიელი წყაროები, და ჩვენ, თუმცა დაღლილი და გაოფლიანებული ვიყავით, ყოველ ნაბიჯზე ვჩერდებოდით, ხარბად ვეწაფებოდით წყალს და ვიკლავდით წყურვილს, მაგრამ ცუდი არაფერი შეგვმთხვევია. გავიარეთ სოფლები ზვარე, ვარჯანისი, აბუქეთი, ცხმორისის პირდაპირ, სადაც დავათვალიერეთ ძველი ხიდი და შემდეგ, დაახლოებით ნაშუადღევის 6 საათზე, მივედით ჭვანაში, რომელიც ძველი ხიდითვე უკავშირდება დონდალოს. დონდალო მდებარეობს ტაფობში, რომელიც საკმაოდ ვრცელ ველს

წარმოადგენს. აქ სოფლის განაპირას აღმოსავლეთით, ჩვენს პირდაპირ, ტყიან მთის განშტოებაზე მოჩანდა ციხე კავიანის (კავი) ყომრალი ჩონჩხი. ამბობენ, ამ ციხეს კავიანი იმიტომ ჰქვია, რომ დიდი გაჭირვებით და მხოლოდ კავით შეიძლება ასვლაო. ციხესთან მისასვლელი გზა აღარ არსებობს; დიდი ხანია მიტოვებულია და ირგვლივ ტყეა მოდებული. ციხეში გადარჩენილია საცხოვრებლები, რომლებიც წყალს მხოლოდ ღარტაფიდან იღებდნენ. დონდალო კიდევ საინტერესოა შემდეგით: მის ქვემოთ ყველა აჭარელი შეიარაღებული დადის, ზემოთ კი არა. აქედან იწყება უფრო მოხერხებული გზები, რომლებიც დამუშავებულია ზემო აჭარის ძლიერი და გავლენიანი მფლობელის შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის განკარგულებით. დონდალო ახლა ქვედა აჭარისა და ზედა-აჭარის საზღვარია. ალბათ, ძველადაც იგი მიჯნავდა აჭარის ორივე ნახევარს. ყოველ შემთხვევაში, „მინაწერი", რომელზეც მე უკვე მივუთითე[21] და, რომელიც ცნობილი არ არის რა დროს ეკუთვნის, ადასტურებს, რომ აჭარა სოფელ დონდალოს ზევით შავშეთთან ერთად მტბევარის ანუ ტბეთის ეპისკოპოსის, რომელსაც შავშეთის ტბეთში ჰქონდა კათედრა, სამწყსოში შედიოდა, დონდალოს ქვემოთ კი ქუთათელი ანუ ქუთაისის ეპისკოპოსი განაგებდა.

დონდალოს იქით ჩვენი გზა მართლაც გამოკეთდა: ეტყობოდა, დამუშავებული იყო და დროდადრო ასწორებდნენ. იგი იმდენად ფართო იყო, რომ ორ მხედარს თავისუფლად შეეძლო მხარდამხარ ევლო. საერთოდ, ასეთი გზით ვიმგზავრე ზემო აჭარაში თვით ხულამდე. მითხრეს, ზევით კიდევ უკეთესი გზაა თვით ქვაბლიანის უღელტეხილამდეო. არ ვიცი, რამდენად მართალია, რაც აქ მითხრეს — თურქეთის მთავრობას თითქოს სასტიკად აეკრძალოს შერიფ-ბეგისათვის გზების დამუშავება საკუთარი თაოსნობითა და განკარგულებით. შვახევში საკმაოდ გვიან მივედით. იგი მიმოფანტულია ტაფობში. ამბობენ, აქედან ყველაზე მარჯვე სამი დღის სავალი გზა მიდის აჭარიდან არტაანამდეო. მეორე დღეს დილაადრიან გავწიეთ სხალთისაკენ. სოფელ ფურტიოს პირდაპირ სხალთისწყლის მარჯვენა ნაპირზე გადავედით, იქ, სადაც იგი აჭარისწყალს ერთვის, და ფრიად შემოზღუდულ ვიწროებში შევდგით ფეხი. აქ უნებლიეთ თვალი მოგვწყვიტა როგორც მშვენიერმა ფიქვნარმა მთების მწვერვალებზე, ასევე ჩვენს ზემოთ ტანაყრილმა დიდებულმა ფოთლოვანმა ტყემ, სადაც ნაირ-ნაირი ჯიშები ან ერთმანეთს ენაცვლებო-

---

[21] ციხის სახელწოდება შეიძლება ამგვარად აიხსნას: ალბათ ქავიანი ერქვა, ქავი კი ციხის გალავანს ჰქვია.

და, ან ერთმანეთში იყო შერეული. აქ ჩვენ პირველად ვიხილეთ გიგანტური წიფლები. როცა გავზომეთ, აღმოჩნდა, რომ მათი დიამეტრი ძირში $2^1/_2$ არშინს უდრიდა, სიმაღლე კი 20 საჟენზე მეტს. ამ ზოლში კულტურულ მცენარეთაგან გაბატონებული იყო ისევ სიმინდი, რომელიც მხოლოდ სხალთის ზემოთ გაქრა. ხორბალი ძნელად იზრდება და, როგორც მითხრეს, მასაც ჭია აფუჭებს. მე ვისარგებლე ერთი აჭარლის სამსახურით და ჩემი მოსვლის ამბავი ვაცნობე ხულის მუდირს მურთაზ-ბეგ ხიმშიაშვილს, გავუგზავნე მას ბათუმის ვიცე-კონსულის სარეკომენდაციო ბარათი და ქედის კაიმაკამის ხუსეინ-აღას ოფიციალური მიწერილობა. ნაშუადღევის 2 საათზე სხალთაში მივედით, სადაც ძველი თაღიანი ხიდით გადავედით, რომელიც სხალთისწყლის ორივე ნაპირს აკავშირებს. უნდა აღვნიშნო, რომ ასეთი ხიდები აჭარაში ყველგან გვხვდება, სახელდობრ: საღორეთთან, ქედაში, ცხმორისში, დონდალოში, ჭვანასა და ფურტიოში და, გარდა ამისა, როგორც შემდეგ ვნახავთ, გვხვდება ჩურუქ-სუს მთიან ნაწილშიც. ასეთივე ხიდები აღნიშნულია ახლანდელი თურქული აზიის სხვადასხვა ადგილას.[22] აჭარის საუკეთესო ხიდებია: დონდალოსი და განსაკუთრებით სხალთისა. მათი სიგრძეა 40 და სიგანე 4 არშინი. ყველა მათგანის კონსტრუქცია ფრიად ორიგინალურია: ეს სხვა არაფერია, თუ არა ლამაზი წესიერი თაღები, გაბედულად გადატყორცნილი ერთი ნაპირიდან მეორეზე უმოაჯიროდ და უბურჯოდ, მხოლოდ ერთ მათგანს აქვს შუაში ბურჯი, სახელდობრ ქედის ხიდს. ისინი შედუღაბებულია კირით და ძირი და გვერდები შემოსილია დიდი ნამტვრევი, ოდნავ გათლილი ქვებით. ისინი კარგადაა შემონახული, საუკუნეების მანძილზე დგანან, როგორც ჩანს, სრულიად შეუკეთებლად. ხიდებს წარწერები არა აქვს. თურქეთის მთავრობამ შარშანწინ ააგო ასეთივე კონსტრუქციის უბურჯო ხიდი, თუ არ ვცდები, დოლოგანში, მაგრამ იგი მალე გაიბზარა. ჩემს შეკითხვაზე — ვისი აშენებულია-მეთქი, ყველგან მიპასუხებდნენ — თამარ მეფისაო. ადგილობრივი მცხოვრებნი მასვე მიაწერენ ყველა აქაური ეკლესიისა და ციხის აშენებას. საგულისხმოა, რომ თამარის სახელი ოსმალოს საქართველოს მუსლიმანურ მოსახლეობაში ისევე ფართოდ არის გავრცელებული, როგორც ჩვენს საქართველოში, და რომ ქართველი მეფეებიდან, თამარის გარდა, აჭარლები არავის არ იცნობენ.

---

[22] Тайлор, Путешествие по Армении, Курдистану и верхней Месопотамии, II том, «Известий» Кавказского отд. Русс. Геогр. Общ., Прилож. I, стр. 41 и Прилож. II, стр. 13 и 32; Фон-Мольтке, Географические заметки о Малой Азии, III том тех же «Известий», Прил. I, стр. 29.

სოფელი სხალთა უპირატესად სხალთისწყლის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს. ამ მდინარის სათავესთან არის ხირხათის ციხე, სადაც, როგორც გვიამბობენ, 1815 წელს სულთნის ბრძანებით თავი მოჰკვეთეს ახალციხის ცნობილ ფაშას სელიმ ხიმშიაშვილს. სხალთისწყლის ხეობა უხვია მდინარეებით და შედარებით მჭიდროდაც არის დასახლებული. კავკასიის 20 და 10-ვერსიანი ტოპოგრაფიულ რუკებზე ამ ხეობის სოფლებს შორის შეცდომით აღნიშნულია ტბეთი, რომელიც, როგორც აქ მითხრეს, შავშეთის ქედის გადაღმა მდებარეობს, მდინარე იმერხევის ზემოწელში. ეს ასეც უნდა იყოს, რადგან ტბეთის სახელით შავშეთში ცნობილია მხოლოდ ერთი პუნქტი, როგორც აღვნიშნეთ, წინანდელი რეზიდენცია ეპისკოპოსისა იმ საკათედრო ეკლესიით, რომელიც დღემდე გადარჩა. სხალთა საკმაოდ ლამაზია; მისი ხეობა მნიშვნელოვნად ფართოვდება მის ქვემო ნაწილში. ჰავაზე ციებ-ცხელებიანს ამბობენ. სხალთა ხეობის ფერდობებზე დაბურულია მდიდარი ფოთლოვანი და წიწვოვანი ტყით. ამ ტყეში, პირველად მთელ აჭარაში, შემხვდა შინდის ხე, რომელიც დამახასიათებელია საქართველოს ზომიერი სარტყლისათვის. შინდი წვრილ, მჟავე ნაყოფს ისხამს, მას ძალზე ეტანება ქართველი მოსახლეობა. აქ კარგად ხარობს საზამთრო და ნესვი. უხვადაა ყურძენი. აქაური მსხალი ძალზე გემრიელია და ამიტომაც დაერქვა სოფელს სხალთა, უფრო სწორად მსხალთა (ხომ არ არის შემოკლებული მსხალთა მთა?). სხალთაში ხორბალიც მოდის, რომელსაც როგორც აქ, ისე მთელ ზემო აჭარაში, სადაც კი თესავენ, ქართული წესით ლეწავენ — კევრით, ანუ მძიმე, წინა მხრიდან წაწვეტებული და ჭვინტწამოწეული ძელებით, რომლებიც კაჟის ნატეხებითაა მოჭედილი. კვერს წრიულად აბრუნებენ უღელში შებმული ხარები. ეს წესი ევროპელ მოგზაურებს შენიშნული აქვთ მცირე აზიაში.[23]. წინათ მთელი სხალთა შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილს ეკუთვნოდა, ახლა მას დაუტოვეს სხალთის აგარის მხოლოდ გარკვეული ნაწილი, ხოლო ჩამორთმეული ადგილების სანაცვლოდ, ამბობენ, თურქეთის მთავრობისაგან 80 ქისა წლიურ პენსიას იღებსო. სხალთა შერიფ-ბეგის საზამთრო რეზიდენციაა, სადაც ორი ქვის სახლია — ძველი, ანუ მისი ცოლებისა და მათი მსახური ქალების სახლი, და ახალი, მინიატურული, რომელიც 1873 წელს ააშენეს მისთვის და მისი სტუმრებისათვის; იგი მორთულია ლამაზად, თურქული გემოვნებით. მე რომ მივედი, შერიფ-ბეგი სხალთაში არ დამხვდა. ერთი თვით ადრე არტაანში წასულიყო და ცოლებიც თან

[23] Viv. de Saint-Martin, Hist. des découvertes, III, 402-403.

წაეყვანა. სახლი სულ ცარიელი იყო, მაგრამ ჩვენ დარაჯმა მიგვიღო, რომელიც, სხვათა შორის, ქართული შოთის მსგავსი ხორბლის პურით გაგვიმასპინძლდა, მაგრამ პური გამომცხვარი იყო არა თორნეში, რომელიც მხოლოდ ქართლსა და კახეთშია ცნობილი, არამედ კეცზე, რომელსაც ყველა მთიელი ქართველი და დასავლეთ საქართველო ხმარობს.

ერთ ხანს ხის ჩრდილში შევისვენეთ და მოლა-ალის თანხლებით გავწიე ეკლესიის დასათვალიერებლად, რომელიც შემაღლებულ ბაქანზე დგას, რამდენიმე ასეულ ნაბიჯზე შერიფ-ბეგის სახლიდან. ეკლესიის გარედან დათვალიერებას რომ მოვრჩი, შიგნით შევედი და როცა მოლა-ალი დამჭირდა, რომელიც გალავნის გარეთ იდგა, დავუძახე; ის კი, იმის ნაცვლად, რომ შიგნით შემოსულიყო, კისრისტეხით გაიქცა. როცა ზოგი რამ ჩავინიშნე, ბარგთან დავბრუნდი. როცა მოლა-ალის ვკითხე, ეკლესიაში რატომ არ შემოხვედიმეთქი, მიპასუხა, მე კი არა, აჭარაში ვერც ერთი მოლა ვერ გაბედავს სხალთის ეკლესიაში შესვლასო. და სერიოზულად მომიყვა, — ამას სხვებმაც დაუკრეს კვერი, — რომ როცა ასე, ათი წლის წინათ სხალთის ეკლესია მეჩეთად გადააკეთეს, ზევიდან ჩამოვარდნილმა ქვამ ჯერ ერთი მოლა მოკლა, შემდეგ, რამდენიმე ხნის მერმე, მეორე და, ბოლოს მესამე. ამიტომ მიატოვეს ეკლესიაო. მეც სერიოზულად მოვისმინე ეს ამბავი და ბოლოს ვკითხე: თუ თქვენი წინაპრების ეს სალოცავი ასე გსჯით მისი შებილწვისათვის, რატომ არ უფრთხილდებით მას, რატომ ანებებთ თქვენს საქონელს შევიდეს გალავანში და თვით ეკლესიაში და წაბილწოს იგი-მეთქი. ამაზე მოლა-ალიმ ვერაფერი მიპასუხა.

სხალთის ეკლესიას გარს ავლია ნამტვრევი ქვის ჩამოქცეული გალავანი, მას დასავლეთით, როგორც ჩანს, დატანებული ჰქონია კვადრატულ საძირკველზე აგებული ქვის სამრეკლო. გალავნის გარეთ ახლაც ჩანს ძველ საეკლესიო ნაგებობათა და მიწაში ჩაფლული ქვევრების ნაშთი. ეკლესიის აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი ფასადის პერანგი სახურავ ფიქალთან ერთად მეტწილად მოურღვევიათ. ამ პერანგის ქვებს ვნახულობდი როგორც მუსლიმანთა სასაფლაოზე, ასევე შერიფ-ბეგის შენობის გალავანში. ეკლესია აგებულია უგუმბათოდ საუცხოო რუხი პორფირით და პარალელოგრამის ფორმა აქვს. შენობის სიგრძეს 9 საჟენს ცოტა უკლია, განი 6-მდე აღწევს; კედლების სისქე ორ არშინამდეა. ეკლესიას აქვს მაღალი სამკუთხა ფრონტონი, დასავლეთით — სტოა და სამხრეთით — ეკვდერი; აღმოსავლეთი ნაწილი მთავრდება რვაწახნაგიანი

ნახევარწრით. ფრონტონისა და მთელი შენობის ლავგარდანი ღრმა-ღარიანია. ქვების თლა, მათი წყობა, კარ-ფანჯრის საპირეების ნაირ-ნაირი ჩუქურთმები, ხვეული სვეტები, სტოისა და ეკვდერის არაბესკები საქმის განსაცვიფრებელი ცოდნითაა შესრულებული. ეკლესიის შიგნით ნაოსის კედლები შედგება სამი ცრუ ნიშისაგან, რომლებიც ერთმანეთისაგან განცალკევებულია ოდნავ გამოშვერილი პილასტრებით. კანკელი აღარ არის. საკურთხეველის ნაწილში ორივე მხარეზე კედელში ღრმა ღრმულებია: ორი დიდი და ორიც პატარა, რომლებსაც სამკვეთლოდ (სამსხვერპლოდ პროსკომიდიის შესასრულებლად) და სალაროდ იყენებდნენ. იგი სულ ერთიან მოხატულია; ფრესკებიდან საკმაოდ კარგად შენახულა — იესო ქრისტე მთელი ტანით თხემის ადგილზე, გვერდით კი მარჯვნივ რომელიღაც წმინდანი, მარცხნივ — მთავარანგელოზი ასომთავრული წარწერით: ....ᲰᲦᲐᲠᲘᲜᲔ.... ᲮᲦᲔᲨ... [1] ქვემოთ მოცი-ქულთა მწკრივი სახელებით: ფილიპე, სვმეონი, ანდრია, ბარნაბა. შემდეგ, კონქში, რომელშიც დღემდე ნაკლებად ატანს წვიმა დასავლეთის მიმართულებით გამოსახულია: ჯვარცმა წარწერით: ᲒᲦᲔᲮᲘᲡᲔ ᲫᲦᲔᲮᲘᲨᲘᲐᲦᲔᲨ.... ღვთისმშობელი, იოანე ღვთისმეტყველი, ქრისტეს იერუსალიძად შესვლა და დაკრძალვა. ყველა ეს წარწერა, რომელთა მეტი ნაწილი აღარ გაირჩევა, შესრულებულია ლამაზი ასომთავრულით. ეკლესიის სხვა ნაწილებში ბათქაში მოხატულობითურთ ჩამოცვივნულა, დასავლეთ შესასვლელის გარდა, სადაც ფრიად მკაფიოდ ჩანს მარჯვნივ ღვთისმშობელი, ხოლო მარცხნივ მაცხოვარი ეკლის გვირგვინით, მათი წარწერა ბერძნულია. ΙΗΡ ΘΥ ΟΑΓΙΟΣ ΙΩ ΟΒΑΝΗΡΣ

მთელი მხატვრობა და განსაკუთრებით უკახასკნელი ფრესკები ოსტატურად არის შესრულებული; მათში ნატამალიც არ არის საღებავების იმ სიჭრელისა, და ბრჭყვიალისა, რაც ასე მაოცებდა შემ-

დეგ გურიის ძველ ეკლესიებში, რომლებიც, ჩემი აზრით, ხუროთ-მოძღვრული თვალსაზრისით სხალთის ტაძრის უხეირო მიბაძვაა.

საერთოდ უნდა აღვნიშნო, რომ სხალთის ეკლესია ერთ-ერთ შესანიშნავ ტაძრად მეჩვენა საქართველოში. სამწუხაროდ, მას არ შემორჩენია ისტორიული წარწერა და ამიტომ შესაძლებლობა არა გვაქვს გავარკვიოთ მისი აშენების დრო. ვფიქრობ, ასეთი წარწერა უნდა ყოფილიყო ერთ-ერთ მორღვეულ ქვაზე, მაგრამ რამდენიც არ ვეძებე სასაფლაოზე, გალავანსა და შერიფ-ბეგის შენობებში, რამდენიც არ გავიკითხ-გამოვიკითხე, სრულიად ამაოდ. მხოლოდ აღმოსავლეთ ფასადზე ქვემო ნაწილში აღმოჩნდა წითელი საღებავით შესრულებული წარწერა: ᲘᲝᲐᲜᲔᲡᲘ... ᲒᲠᲘ

„ღმერთო იესო... შეიწყალე ნიკოლოზი“. სხვათა შორის ეკლესიის სტილი მოგვაგონებს ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების საუკეთესო ეპოქას, სახელდობრ X-XIII საუკუნეებს. სხალთის ეკლესიის შესახებ ქართულ მატიანეებში ვერავითარ ცნობას ვერ ვნახულობთ და ჯერჯერობით ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ მეფე ალექსანდრე I (XV ს.) გუჯრით სოფელი სხალთა მცხეთის საპატრიარქო კათედრის კუთვნილებად იყო აღიარებული.[24] გარდა ამისა, ზოგი ადგილობრივი მოხუცი მარწმუნებდა, თითქოს სხალთის ეკლესია საეპისკოპოსო ყოფილიყოს, მაგრამ ამის დამამტკიცებელი არავითარი ცნობა არ მოგვეპოვება; ყოველ შემთხვევაში, ქვემოთ დანართში მოთავსებული „მინაწერი“ ამაზე არაფერს ამბობს. დასასრულ არ შემიძლია დავდუმდე, რომ, როგორც ყური მოვკარი, განზრახულია ამ ეკლესიის დანგრევა, რომ მისი მასალით მეჩეთი ააგონ. ასეთ განზრახვას, უეჭველია, ადრე თუ გვიან შეასრულებენ.

ეკლესიის დათვალიერებას დიდხანს მოვუნდი და ამიტომ ღამის გათევა სხალთაში მომიხდა. მეორე დღეს ჩვენი გზა ხულასაკენ, — ის გზა ისეთივე იყო, როგორიც დონდალოს ზემოთ, — პირდაპირ ჩრდილოეთისაკენ მიდიოდა. სხალთიდან გასვლისთანავე ჩვენ უნდა ავსულიყავით საკმაოდ მაღალ ქედზე, რომელიც ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ მიემართება და დიდაჭარის-წყალსა და სხალთისწყალს ყოფს ერთმანეთისაგან. მოწმენდილი ამინდი იყო, როგორც წინა დღეებში. აქ თავისუფლად ჰქროდა სუფთა მთის ნიავი და ჩვენ ხარბად ვსუნთქავდით მის ნაკადს. სანახაობა დიდებული იყო: მარცხნივ შორეთში იკლაკნებოდა აჭარის

[24] Hist. de la Géor., II, 2-re livr., GXVIII.

ხეობა გამქვირვალე ოხშივარში; მარჯვნივ აღმართულიყო მაღალი ქედი — ახალციხის მაზრისა და აჭარის საზღვარი; წინ ასეთივე ქედი აჭარას გამოყოფდა ოზურგეთის მაზრისაგან. ორივე ქედის ზედა ნაწილები შემოსილი იყო ალპური ბალახით, ხოლო მათი დამრეცი ფერდობები ქმნიდა უზარმაზარ ტაფობს, სადაც როგორც ხულა, ისე სხვა, დიდაჭარისწყლისაა და მისი შენაკადების გასწვრივ მდებარე სოფლები ცალკეულ დასახლებებად დაჯგუფებულიყვნენ და ნათლად გამოკვეთილიყვნენ. ჩვენ გავიარეთ ხანძრით განადგურებული ფიქვის ტევრი. წიწვოვანი ტყეების ხანძარი კავკასიაში ხშირია, რადგან ოდნავ გაუფრთხილებლობას ტყეში ცეცხლის დანთებისას გვალვიან ამინდში მოსდევს ამ ტყეების განადგურება. ასე, მაგალითად, ათიოდე წლის წინათ ცეცხლმა გადაწვა საუცხოო ფიქვის ტევრები ზეკარის უღელტეხილის ორივე მხარეზე თვით აბასთუმნამდე. ვისაც ეს აყვავებული ტყეები უნახავს, ახლა ამ ნახანძრალის დანახვა გულს უკლავს. შარშანწინ თვენახევარში საუკეთესო ტყეები განადგურდა უზარმაზარ სივრცეზე საციციანოს მთებში (ქართლში) და თვით ახალციხის მაზრაში. ამბობენ, რომ სწორედ მაშინ დაიწვა აჭარაში ჩემ მიერ ნახული ეს ფიქვის ტევრიც. აქაც და იქაც მთავარ მიზეზად მიაჩნიათ ხანგრძლივი სიცხეები, რამაც ჰაერი გაავარვარა და ნიადაგქვეშა ტენი გააშრო. ჩვენი გზა სოფელ ჩაოსა და ალმეზე გადიოდა; ხორბალი უკვე მოემკათ და ორივე სოფელში ქალები და ბიჭები ლეწავდნენ კევრით.

ხულაში ნაშუადღევის ორ საათზე მივედით. მურთაზ-ბეგი ხულაში არ დაგვხვდა. დილითვე გამგზავრებულიყო რამდენიმე დღით ფოცხოვში. იმ ქაღალდებისა, მე რომ გზიდან გავუგზავნე, არავინ არაფერი იცოდა. მისმა იქ არყოფნამ ერთგვარ გასაჭირში ჩამაგდო; ვწუხდი, რომ ვერ შევხვდებოდი ცნობილი აჭარული საგვარეულოს ვერც ერთ წარმომადგენელს, ვერც შერიფ-ბეგს, ვერც მის ვაჟს, რომლისგანაც იმედი მქონდა, ზოგიერთ სასარგებლო ცნობასაც მივიღებდი. მიმიღო ვინმე მემედ-აღამ, პატივცემულმა მოხუცმა, რომელიც მუდირობას ასრულებდა მურთაზა-ბეგის მაგივრად. მე სურვილი გამოვთქვი, რომ მეორე დღეს განვაგრძობდი გზას, მაგრამ მემედ-აღამ გადაჭრით გამომიცხადა, პატრონის დაბრუნებამდე ვერ გაგიშვებო: იგი მუდამ მოხარულია სტუმრებისა, განსაკუთრებით საქართველოდან მოსული სტუმრებისაო. მან დასძინა, რომ თვითონ ხანუმი (ანუ მურთაზა-ბეგის ცოლი) გთხოვს დარჩენასო. აღარ ვიცოდი, რა გადამეწყვიტა. მურთაზა-ბეგი შეიძლება ფოცხოვში დაყოვნებულიყო, მე კი ზემო ხინოსა და გურიაში მიმეჩქარებოდა, სადაც ბევრი საქმე მელოდა, და ხულას დასათვალიერებლად წა-

ვედი. ამ დროს მომიტანეს ქართულად დაწერილი ბარათი. ჩემი წერილი აჭარელს თურმე გზაში გადაეცა მურთაზა-ბეგისათვის. წერილს მწერდა ახალგაზრდა გურული ეპიფანე კალანდაძე, ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი, რომელსაც, როგორც ვიცოდი, სურდა არდადეგებით ესარგებლა და ჩემთან ერთად წასულიყო ოზურგეთიდან აჭარაში, მაგრამ მე რომ აღარ ჩავედი, მარტო წავიდა მთებზე გადავლით და ჩემამდე ერთი კვირით ადრე ესტუმრა მურთაზა-ბეგს. მურთაზა-ბეგი კალანდაძის მეშვეობით სინანულს გამოთქვამდა, რომ არ გააფრთხილეს, როდის მივიდოდი ხულას, თუ არა ეს, დაგელოდებოდით და კალანდაძესთან ერთად წაგიყვანდით ფოცხოვშიო, სადაც იგი სამი დღით მიეშურებოდა ერთი საგანგებო საქმის გამო. იგი მთხოვდა, თავი ისე იგულეთ, როგორც საკუთარ ოჯახში და ჩემს დაბრუნებამდე არ წახვიდეთო. მე დავრჩი.

ადგილი, სადაც ხულა მდებარეობს, საკმაოდ ვრცელი უსწორ-მასწორო ვაკეა, დაქანებული დიდაჭარისწყლისაკენ, რომელსაც აქ კლდეებში ღრმა კალაპოტი გაუჭრია. ხულაში 100 კომლზე მეტი არ იქნება. მისი სახლები, უპირატესად ხისა ქვის საძირკვლებზე, თავმოყრილია შერიფ-ბეგის რეზიდენციასთან. ხულა მთავრდება დიდაჭარისწყლის ხრამთან ციხით ძველი ქვის სახლითა და საუცხოო აბანოთურთ, რომელსაც გუმბათი აგვირგვინებს. ყველაფერი ეს სანახევროდ დანგრეულია და მათს ჩუქურთმიან ქვებზე, რომელთა მეტი წილი აბანოს შენობაშია ჩაშენებული, ამოკვეთილია ყურანის ლექსები, ხოლო საცხოვრებელი სახლის კარზე იკითხება თურქულად:



„ეკუთვნის მირ-მამუდ შარიფს. 1254 წ. (1838). ო, ღმერთო, კართა განმხმელო, განგვიღე კარი უკეთესი“.

„ჰოი, შენ უსპეტაკესო, უწმინდესო, და მარადისო, დაგვიცავ უბედურებისაგან. შენ, ყოვლისშემძლევ, გვიხსენ ჩვენ მრისხანებისაგან შენისა დღესა მას გასაჭირისას. 1249 წ. (1833)". ეს შენობები, ამბობენ, ცნობილი ახალციხელი ფაშების, სელიმისა და ახმედის. სამყოფელი იყოო. შერიფ-ბეგის ან უფრო სწორად მურთაზა-ბეგის, რადგან შერიფ-ბეგი აქ თითქმის არ ცხოვრობს, ახლანდელ რეზიდენციას ამ ვაკის უკიდურესი ჩრდილოეთი ნაწილი უჭირავს; მას აღმოსავლეთის მხრიდან ბაზარი აკრავს ოციოდე დუქნით, სადაც ბათუმიდან მოტანილი წვრილმანი ევროპული და თურქული საქონლით ვაჭრობენ. რეზიდენციას შეადგენს: ჩრდილოეთიდან ორსართულიანი ქვის სახლი, რომელიც მურთაზა-ბეგის ცოლს, ფოცხოვის ბეგის ასულს, უჭირავს თავისი მოახლეებით. მის გვერდით, დასავლეთის მხრიდან, ქვის მედრესე, მის გრძელ ბნელ დერეფანში დატანებულია პატარა სენაკები ყმაწვილებისათვის, რომლებიც თურქულ წერა-კითხვას სწავლობენ, ხოლო მის შესასვლელთან ქვაზე ამოკვეთილია წარწერა თურქულად:

صاحبی صور نظفر ایلا رحب
انعام ایله احسانیه اویازوره جراغی
هرمراوین ویره خلاق رحب

„წარემართოს მფლობელსა ამისასა გამარჯვებითა და ზეიმით, აღანთოს ღმერთმა ლამპარი მისი მადლითა და წყალობითა, აღასრულოს ყოველი სურვილი მისი. შესწირა ესე ახმედ თოიფიკ-ფაშამ. 1249 წ. (1833)". მედრესეს ქვემოთ, მარცხნივ, საგვარეულო სასაფლაოა, მოვლებული აქვს თლილი ქვის ლამაზი კვადრატული ზღუდე, საფლავზე დაყუდებულია მოკაზმული საფლავის ქვები. სამხრეთით დგას ერთოთახიანი სახლი. იგი მურთაზა-ბეგის კანცელარიაც არის და სასტუმროც. აქ მე ვნახე რამდენიმე ნაბეჭდი თურქული წიგნი რელიგიური შინაარსისა, ტრაპიზონს გამომავალი თურქული გაზეთის ნომრები და ლაზისტანის საფაშოს რუკა — ოფიციალური გამოცემა, რომელიც მთავრობამ სახელმძღვანელოდ გამოგზავნა, მაგრამ რომელსაც მე ვერაფერი გავუგე. ახლა კანცელარიის აღმოსავლეთით დგას დიდი ხის მეჩეთი ანუ ჯამე სუფთად გათლილი ქვის ცოკოლით. ეს ქვები ძველი ეკლესიის ნაშთი უნდა იყოს. მათში ბევრი იყო ფაქიზი ჩუქურთმებითა და სვეტებით, იმის მსგავსი, სხალთის ეკლესიაში რომ არის. ჯამეს შესასვლელზე მე წამიკითხეს წარწერა:



„წმინდა მეჩეთის წელი 1233 (1817)" ბოლოს, ორსართულიან სახლსა და კანცელარიას შორის არის თლილი ქვით საგულდაგულოდ მოპირკეთებული აუზი, რომელიც გადახურულია სვეტებზე შემდგარი მოჩუქურთმებული ჩარდახით. ამ აუზში გამოყვანილია წყაროს წყალი შერიფ-ბეგის ოჯახისათვის.

ხულიდან ახალციხეში მიდის შერიფ-ბეგის მიერ დამუშავებული გზა. იგი ჯერ ზემო აჭარის სოფლებზე გავლით უღელტეხილისაკენ მიემართება, იქიდან კი ქვაბლიანის ხეობით. ამ გზით შეგიძლიათ მოხვდეთ ახალციხეში, საკმაოდ ადრე, მეორე დღეს. იგი ერთადერთი გზაა, რომლითაც აჭარლები ზამთარ-ზაფხულ უკავშირდებიან ახალციხის მაზრას. ამ გზით 1829 წ. ახალციხიდან ხულას შეიჭრა ჩვენი რაზმი ბარონ ოსტენ-საკენის სარდლობით და დიდი ზარალით დაბრუნდა უკან.[25] ხულას ჰაერი მთისაა, საღი. ჩემი მისვლის დღეს, 14 აგვისტოს, საღამოს ისე ციოდა, რომ თბილი პალტო ჩავიცვი, ხოლო 15-ში, დილის 9 საათზე, სინდიყი თერმომეტრში 11 გრადუსს აჩვენებდა, და იძულებული იყვნენ ბუხარი გაეჩაღებინათ; კოკისპირულად წვიმდა, ისევე გაბმით, როგორც ბათუმში. ხულაში მთელი ჩემი ყოფნის მანძილზე ხანდახან თუ გადაიღებდა. აქ ყოველდღე ახლო-მახლო სოფლებიდან საქმეზე ჩამოსულ უამრავ ხალხს ვხედავდი. საერთოდ ასეთი თავშეყრილობა იყო ყველგან ჩურუქ-სუსა და აჭარაში კაიმაკამებისა და მუდირების ადგილსამყოფელში, როგორც ადმინისტრაციისა და სასამართლოს დაბალი ინსტანციების რეზიდენციაში. მიამბობდნენ, რომ აჭარის სასამართლოებს უმთავრესად საქმე აქვთ მსხვილფეხა საქონლისა და ცხენების ქურდობასთან, რომ ზემო აჭარაში ეს დანაშაული, ისევე როგორც სისხლის აღება, შერიფ-ბეგის ძლიერი გავლენის წყალობით საგრძნობლად ნაკლებია, ვიდრე ქვემო აჭარასა და ჩურუქ-სუში, და რომ აქ ქურდობა განსაკუთრებით ზაფხულობით ხდება, მთის საძოვრებზე, და ამაში მეტწილად ჩურუქ-სუელების ხელი ურევია. აჭარლებს რომ აკვირდებით, უნებლიეთ გაოცებთ მათი წმინდა ქართული ტიპი. ამ მხრივ მე ვერავითარ განსხვავებას ვერ ვხედავ გურულებისა და აჭარლების ფიზიონომიასა, აგებულებასა და ხასიათში. ისინი ტანადნი არიან, მკვირცხლნი და საზრიანები. სხაპასხუპით

[25] История военных действий в Азиатской Турции, II, 243—248.

ლაპარაკობენ, მხიარული და ოხუნჯები არიან. ყველა აჭარელი გურულად იცვამს, თუმცა ამ ტანსაცმელმა თვით გურიაში, განსაკუთრებით ეს უბრალო ხალხზე ითქმის, თითქმის ადგილი დაუთმო იმერულ ჩოხას ანუ „ჩერკესკას“. ხულას ორივე ენას გაიგონებ — ქართულსა და თურქულს; მაგრამ ახალი თაობის ქართული აქცენტი როგორც აქ, ისე საერთოდ ყველგან აჭარაში, თურქული ენის გავლენით უკვე ღალატობს წმინდა გურულ წარმოთქმას. ხულას ვნახე ორი ახალგაზრდა მოლა, რომლებიც ძვლივძლივობით კითხულობდნენ იქ შემთხვევით შეტანილ ტფილისში გამოცემულ ქართულ ბროშურებს: მათ მოეწონათ ჩემი ქართული წერა და მთხოვეს მიმეცა მათთვის ჩემი ხელწერის სრული ანბანი. აქ ბევრ მოხუცს ახსოვს ხულის ეკლესია. იგი ახლანდელი მეჩეთის ადგილას იდგა და სხალთის ეკლესიაზე დიდი იყო. იგი ამ 40 წლის წინათ დაარღვია ახმედ-ფაშამ; თვით სხალთის ეკლესიაზე იგივე გავიგონე, რაც მოლა-ალიმაც მითხრა, სახელდობრ, თითქოს იგი მეჩეთად აქციეს, მაგრამ შემდეგ მიატოვეს იმის გამო, რომ ჩამოვარდნილმა ქვებმა რამდენიმე მოლა მოკლა. მაცნობეს, აჭარის ბეგების ოჯახებში, შერიფ-ბეგთან და მის დასთან, ნიგოზეულში, ძველი ქართული ხელნაწერები და სიგელ-გუჯრებიაო, მაგრამ მე ისინი არსად არ მინახავს, ამიტომ ამ საგანზე ჯერ ვერაფერს ვიტყვი. აჭარაში მანძილის ჩვენებური საზომები უცნობია. აქ, ისე როგორც საერთოდ თურქეთში, მანძილს ყოველთვის და საკმაოდ სწორად ზომავენ საათობით: დღის ნაწილებს აღნიშნავენ ნამაზის საათებით, ნამაზს კი ხუთჯერ ასრულებენ.[26] დღეების სახელები, გარდა ერთისა, ქართულია: შაბათი, კვირე, ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი, ჯუმა. ასევე თვეების სახელები: მარტი, აპრილი, მაისი, ივანობისთვე, კვირიკობისთვე, მარიამობისთვე, ენკენისთვე, წიფობისთვე, გიორგობისთვე, ქრიშობისთვე, იანვარი, თებერვალი. წელთაღრიცხვა მუსლიმანურია.

ხულას ჩემი დღიური ამ მხარის შესახები ცნობებით უმთავრესად ორი პირის — ზემოთ ხსენებული ქედელი ხასან-ბეგისა და ჩაოელი მემედ-აღას დახმარებით შევავსე. ხასან-ბეგი 60 წლისა იქნება, მემედ-აღა კი — 80 წელს გადაცილებული. ორივენი აჭარელი ბეგების შერვაშიძეთა საგვარეულოს ეკუთვნიან. ბეგები თურქეთის საქართველოში არიან სანჯაყ-ბეგები და უბრალოდ ბეგები. პირველნი ჩვენს თავადებს შეესაბამებიან, მეორენი — აზნაურებს. თუმცა მთავრობის განკარგულებით მათ ჩამორთმეული აქვთ როგორც

[26] Ubicini, Lettres sur la Turquie, II, 75, n. 2.

უძრავი ქონება, გარდა გარკვეული ნადელებისა, ასევე წინანდელი წოდებრივი უფლებები, თუმცა განათლებით სულაც არ გამოირჩევიან უბრალო ხალხისაგან, მაგრამ მიუხედავად ამისა, მათი საგვარეულოების ისტორიული მნიშვნელობისა და ხალხზე ძველი გავლენის გამო, სამსახურში ისინი უფრო ადვილად წინაურდებიან და მთავრობა, როცა ხალხთან აქვს საქმე, მათი მეშვეობით მოქმედებს. ბეგების უმეტესობა სულთნის სამსახურს ასრულებს ნიზამში: მათ შეხვდებით მოლაშქრეებითურთ ბოსნიაში, ჰერცოგოვინაში, ალბანეთში, დიარბექირში, ქურთისტანსა და თურქეთის სხვა პროვინციებში. თვითონ ხასან-ბეგმა აჭარული მილიციის ათასეულით 8 წელი დაყო ბოსნიაში, სადაც შეისწავლა ადგილობრივი ენა. „საქმეში, თქვა მან, აჭარლები და ქობულეთელები ანუ ჩურუქსუელები ყველაზე შესანიშნავი მეომრები არიან, ხოლო უკანასკნელნი ჩამოუვარდებიან პირველთ“. ამჟამად ხასან-ბეგი თავის კომისიასთან ერთად მთავრობის დავალებით აზუსტებს აჭარის და, ვგონებ, ჩურუქ-სუს ქონებას საინვენტარო წიგნების შესადგენად. მისი სიტყვით, აქ ღარიბ გლეხს 5-მდე, შეძლებულს 40 ნაკვეთი სახნავსათესი მიწა აქვს, ხოლო ბეგებს მეტი. ასე, მაგალითად, ქობულეთელ თავდგირიძეს, შერიფ-ბეგის შემდეგ ყველაზე შეძლებულ კაცს ამ მხარეში, თაფის, ანუ დავთრის მიხედვით 1600 ნაკვეთი აქვს. ნაკვეთის სიგრძე და განი 40-40 ნაბიჯია. ნაკვეთები ერთმანეთისაგან გამიჯნულია ქვის სამანებით, ამიტომ სასაზღვრო დავა ადვილად წყდება. ხაზინა ახდევინებს: სიმინდის, პურის, ქერისა და ლობიოს ნათესებზე $^1/_{10}$ ნაწილს, რომელიც ფულად ბეგარად გადაიქცევა, ძროხაზე — 5, ცხვარზე — 3 ყურუშს. ხასან-ბეგის აზრით, მარტო აჭარას შეუძლია მთავრობას წელიწადში 200 ათას ყურუშამდე მისცეს. აქ აკრძალულია კრედიტორებისაგან მოვალის მიწის გაყიდვა: ჩვეულებრივ, იყიდება მოძრავი ქონება და სახლიც კი, ან მოვალე ვალდებულია შრომით აანაზღაუროს ვალი. აქ არ არის აკრძალული საგვარეულო უძრავი ქონიბის გასხვისება პირდაპირ მემკვიდრეთა გვერდის ავლით. საერთო საკუთრების წილის გაყიდვისას მოზიარეს უნდა ჰქონდეს თანამფლობელთა თანხმობა, თუ არა გაყიდვა ბათილია. აქ მოქმედებს ათი წლის ხანდაზმულობა.

რაც შეეხება მემედ-აღას, იგი ხიმშიაშვილის ოჯახის ძველი და ყველაზე ერთგული მსახურია. სამსახური ჯერ კიდევ სელიმ-ფაშასთან დაიწყო. მან გააცილა მისი რძალი კესარია ქალიშვილ ესმათი გურიაში, სადაც ისინი სამუდამოდ დარჩნენ. იგი 6 წელიწადს მართავდა ჯავახეთის სანჯაყს, როცა ჯავახეთის სახელგანთქმული ტა-

ძარი კუმურდო სრულიად მთელი იყო და როცა, როგორც ვარძიაში, ისე თურქეთის საქართველოს სხვა ეკლესიებში ხატობაზე წინანდელი ჩვეულებისამებრ იკრიბებოდნენ მუსლიმანები შესაწირავით. მამედ-აღას არაერთხელ წაუყვანია ლეკები და თავს დასხმია ქართლს, დაურბევია ქართული სოფლები და ტყვე წაუსხამს. ერთხელ 6 ათასი ლეკით შეეყარა რუსთა ჯარს სურამის ახლოს; მისი ბრბო გაფანტეს, თვითონ კი გაქცევით ძლივს უშველა თავს. ახმედ-ფაშის დროს მემედ-აღა კიდევ უფრო დიდ როლს ასრულებდა: ხაზინადრის საპატიო თანამდებობა ეჭირა და 1829 წლის ივნისში ახმედ-ფაშის სახელით მიმოწერა ჰქონდა ახალციხის საფაშოს უფროს თავად ბებუთოვთან რუსეთის ქვეშევრდომად აჭარის გადაცემის თაობაზე, ხოლო შემდეგ, იმავე წლის აგვისტოში, უშუალოდ მონაწილეობდა ბარონ ოსტენ-საკენის რაზმთან ცხარე შეტაკებებში ზემო აჭარას, ამასთან ამ კუთხის ზოგიერთი სოფელი და მათ შორის დიდაჭარა, თვით მემედ-აღას რომ ეკუთვნოდა, გადაწვეს.[27] სწორედ მაშინ გადასახლდა თაგოში, 6 ვერსზე ხულას სამხრეთით, და მის შემდეგ არ დაუტოვებია ხიმშიაშვილის ოჯახი. მემედ-აღა, როგორც ყველა მოხუცი აჭარელი, წმინდად და თავისუფლად ლაპარაკობს ქართულს. მან, გარდა თურქულისა, იცის სპარსული და ლეკური ენები. იგი შუა ტანის კაცია, ჩასკვნილი და, მიუხედავად ღრმა მოხუცებულობისა, ფრიად მხნე და საქმიანია. გულკეთილია და ხათრიანი. ჭეშმარიტი მუსლიმანი ჩანს: არც ერთ ლოცვას არ გამოტოვებს, თანაც ყოველთვის ჯამეში ლოცულობს. კესარიამ გურიაში მისი ყოფნის დროს უარყო ისლამი და ამან ისე აღაშფოთა მემედ-აღა, რომ უმალვე გაიქცა აჭარაში. სარწმუნოების ღალატი დანაშაულად მიაჩნია, ისევე, როგორც ოჯახისა და მეგობრების ღალატი. მისი სიტყვით, იგი დაახლოებული ყოფილა გურიელ მამია მეხუთესთან და ბიძამის ქაიხოსროსთან, პირველ მათგანს მკაცრ ადამიანად გვიხატავს, ხოლო მეორეს გულჩვილად, თუმცა თვით გურიაში პირიქით ამბობენ.

ჩემი ხულას ამოსვლის მეორე დღეს მურთაზა-ბეგი დაბრუნდა: იგი ცხენოსანთა ამალით მოაცილებდა მასთან სტუმრად მომავალ ცოლისდას, რომელიც აზიურად იჯდა ცხენზე. იგი თავით ფეხამდე თეთრ შალის ჩარშაბში იყო გახვეული, მიდიოდა ამალის შუაგულში, მამაკაცებისაგან მნიშვნელოვნად დაშორებული. თვითონ მურთაზა-ბეგს ევროპულად ეცვა, ფესი ეხურა და მწყაზარფაფრიან

[27] История военных действий в Азиатской Турции, II, 194-195, 245.

ლამაზ არაბულ ცხენზე ამხედრებული მოუძღოდა ამალას. ფოცხოვს, საიდანაც ჩვენი მხედრები მოდიოდნენ. ძველი ფოცხოვისწყლის,[28] ახლანდელ ფოცხო-ჩაის ზემოწელი უკავია, დასავლეთიდან აჭარასა და შავშეთს ესაზღვრება, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან კი ქვაბლიანისა და ახალციხის უბნებს. ჯერ კიდევ 1828 წ. იგი სანჯაყი იყო,[29] ახლა კი კახა-ფოცხოვია. იქ ძალიან ცოტანი ლაპარაკობენ ქართულად. ასე მითხრეს როგორც აჭარლებმა. ისე ერთმა ჩემმა ბათუმელმა მეგობარმა. ახალციხელმა სომეხმა სტეფანე დადებოვმა, რომელიც 1828-დან 1835 წლამდე ცხოვრობდა ფოცხოვში და მას შემდეგაც არაერთხელ ყოფილა ვაჭრობის საქმეზე ამ მხარეში. ფოცხოვში საკმაოდ ბევრი ეკლესიაა, რომელთა უმრავლესობა დანგრეულია. აი ის ადგილები, სადაც ეკლესიებია: ხეოთი, მერე, ოხთელი, არილა, საღირი, ხეოსმანი, ინჯიგოლა, დიდჭარალი, ცეკა, ვარხანი, მარცვალეთუბანი, გინია, პეთობანი, სათლელი და დიჯვარი, სადაც დაკრძალულია დადებოვის მამა, რომელიც 1852 წელს, აღდგომა დღეს, გარდაიცვალა. ყველაზე დიდი ეკლესიებია წურწყაბსა[30] და ალში. ეს უკანასკნელი გუმბათიანია, სრულიად მთელი. გარდა ამისა, დადებოვმა ეკლესიაზე მიმითითა ზედ ჩვენს საზღვართან ჯაყისმანზე,[31] ხოლო ერთი მთა კოხისჯვარად მოიხსენია, რომელსაც ასე იმიტომ დარქმევია, რომ მასზე, როგორც თქმულება ამბობს, ანდრია მოციქულს ჯვარი აღუმართავს.

მურთაზა-ბეგი ახალგაზრდაა, 25 წლისა, მაღალი, ფრიად თავაზიანად შემხვდა, მომიბოდიშა, ალბათ, ვერ გასიამოვნებთ, რადგან ქართულად ლაპარაკი მიჭირსო. მართლაც, სერიოზული საუბრისას იძულებული იყო თარჯიმანი დაეხმარებინა. ამბობენ, მამამისი კარგად ფლობს ქართულ ენას, მან კი სუსტად იმიტომ იცის, რომ არც დედამისი, არტაანის ბეგის ასული, არც მისი ცოლი არ ლაპარაკობენ ქართულად, თანაც ახალგაზრდობა კონსტანტინოპოლსა და ტრაპიზონში გაატარაო. მურთაზა-ბეგი აჭარის ყველაზე საპატიო საგვარეულოს ეკუთვნის. ეს საგვარეულო ახლად ითვლება, ყოველ შემთხვევაში მისი არაფერი ვიცით XVIII საუკუნის მიწურულამდე. აჭარელ ხიმშიაშვილთა პირველი ცნობილი წინაპარი, როგორც ამტკიცებენ, უბრალო მწყემსი აბდულა-ბეგი ყოფილა, რომელიც თავისი ენერგიულობით დაწინაურებულა. ერთი გურული წარწერის

---

[28] ვახუშტი, აღწ. სამეფ. საქ., გვ. 126.

[29] Ист. воен. дейст. II, 72.

[30] ალბათ, წურწყაბელი ეპისკოპოსის ყოფილი კათედრა. იხ. დანართი I.

[31] ჯაყელების რეზიდენცია, შემდეგ ახალციხის ათაბეგებისა.

მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, იგი 1782 წელს მოუკლავთ სოფელ აკეთ-ზე თავდასხმისას. თავის გვარი განსაკუთრებით ასახელა აბდულა-ბეგის ვაჟმა სელიმ-აღამ. თავად ციციანოვის, მარკიზ პაულიჩისა და გენერალ რტიშჩევის საქართველოში მთავარსარდლობის დრო-ინდელი ჩვენი ოფიციალური აქტების მიხედვით, კაფუჯი-ბაში სე-ლიმ ხიმშიაშვილი 1803 წელს ახალციხიდან აძევებს შერიფ-ფაშას და ხდება მუსელიმი ახალციხის ახალი მმართველის, რეჯებ-ფაშის გამგებლობაში, მაგრამ შემდეგ სულთანი თვითონ მას ანიჭებს ახალ-ციხის სამთუღიანი ფაშის ხარისხს.[32] გურიის მთავარი სვიმონი უმოყვრდება სელიმს*[1] — მის მცირეწლოვან ძეს ცოლად აძლევს თავის ხუთი წლის ქალს კესარიას.[33] ამიტომაა, რომ სელიმ-ფაშა სვიმონის ვაჟსა და მემკვიდრესთან მამია მეხუთესთან მიმოწერაში მას „საყვარელსა და ერთგულ შვილს“ უწოდებს.[34] იმერეთის მეფე სოლომონ II 1804 წელს დაიყოლიებს სელიმ-ფაშას მალულად წაიყვანოს კონსტანტინოპოლში გარდაცვლილი დავითის ვაჟი, მე-ფისწული კონსტანტინე.[35] ტახტწართმეული იგივე სოლომონი 1814 წელს სელიმ-ფაშის დახმარებით იმედოვნებს მეფობის დაბ-რუნებას.[36] აჭარა, ისევე როგორც მთელი ახალციხის საფაშო, და-ღესტნელი ავაზაკების — ლეკების თავისუფალ ბუნაგად გადაიქცა, „რომლებიც დაღესტნიდან ქურდული ბილიკებით გაიპარნენ და სა-ქართველოს მეზობელი თურქეთის ფაშების ჯარში მსახურობ-დნენ“.[37] სელიმს თავი დამოუკიდებელ მთავრად ეჭირა და ნაკლებ ემორჩილებოდა პორტას. ამის გამო სულთნის რისხვა დაატყდა თავს: 1815 წლის დამდეგს არზრუმის სერასკირმა ბაბა-ფაშამ, რო-მელიც ფეხლევანის სახელით იყო ცნობილი და ერთ დროს რუ-სეთში ტყვედ ნამყოფი, სულთნის ბრძანებით უზარმაზარი ლაშქრის თანხლებით ახალციხიდან განდევნა სელიმ-ფაშა და მის ადგილას ფაშად დასვა თავისი ძმისწული გაით-ბაში მემედ-შირინი. სელიმ ფაშამ თავი შეაფარა აჭარას, „თავის საგვარეულო მამულს, რო-მელიც თავისი ადგილმდებარეობით ფრიად მაგარია, და დიდი ზა-რალით იგერიებს თურქეთის ჯარს, რომელმაც რამდენჯერმე სცადა მისი შეპყრობა ამ თავშესაფარში“. ბოლოს, სელიმის რომელიღაც საყვარელმა ადამიანმა, რომელიც მისი სრული ნდობით სარგებ-ლობდა, მუხანათურად გაუღო სერასკირის ჯარს ციხის კარები, სა-

[32] Акты Кавказской Археограф. комиссии, II, 894, 895-904.
[33] იქვე, 541.
[34] იქვე, V, 510.
[35] იქვე, II, 418, 425.
[36] იქვე, V, 478.
[37] იქვე, V, 790-794, 822.

დაც სელიმი თავისი ჯალაბით იმყოფებოდა. სელიმ-ფაშას თავი მოჰკვეთეს და თავი კონსტანტინოპოლში გაგზავნეს, ოჯახი კი ახალციხეში გადაიყვანეს, გარდა მისი ორი ვაჟისა — ახმედ ბეგისა და აბდი-ბეგისა, რომლებიც უკანასკნელის ცოლისძმასთან, რუსეთის სამსახურის გენერალ-მაიორთან, გურიის მთავარ მამია მეხუთესთან გაიქცნენ. სელიმ-ფაშა სიცოცხლეს გამოასალმეს 1815 წლის ივნისში.[38] აჭარელთა მტკიცებით, ხარხათის ციხეში მდ. მერეს სათავესთან.

საქართველოს მთავარსარდალმა რტიშჩევმა მფარველობა გაუწია ახმედ-ბეგსა და აბდი-ბეგს, ნება დართო მათ „მხოლოდ და მხოლოდ მამიასთან მათი ნათესაობის გამო ჰქონოდათ მასთან თავშესაფარი".[39] შემდგომში, სახელდობრ 1828-1829 წლებში, ისინი ორივენი მონაწილეობდნენ რუსეთ-თურქეთის ომში. რუსების მიერ 1828 წელს ახალციხის აღების შემდეგ ახმედ-ბეგი ახალციხის ფაშა ხდება, რათა ახალციხის სანჯაყებში მოაგროვოს ძლიერი ლაშქარი და წაართვას რუსებს ახალციხე, მაგრამ იგი დაამარცხა პოლკოვნიკმა ბურცოვმა — მარტში აწყურის ციხესთან, ხოლო აპრილში, სოფელ წურწყაბთან ფოცხოვში და იძულებული შეიქნა აჭარისა და შავშეთის გზით გაქცეულიყო.[40] შემდეგ, აგვისტოში მასთან მოლაპარაკება გამართეს რუსეთისათვის აჭარის გადაცემის თაობაზე, მაგრამ წარუმატებლად; ამას ის მოჰყვა, რომ აჭარაში თავისი რაზმით შეიჭრა ბარონი ოსტენ-საკენი, რომელმაც, თუმცა ხულამდე მიაღწია, მაგრამ უკან დაბრუნებისას მას მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენეს ახმედ-ფაშამ და აჭარლებმა.[41]

დასასრულ, აქ ვურთავ ხიმშიაშვილების გვარის გენეალოგიას:

ხულას 6 დღეს დავრჩი. და თუმცა მურთაზა-ბეგი შესაძლებლობას მაძლევდა მომეხილა შავშეთი, ხოლო შემდეგ არდაგანიც, სადაც შერიფ-ბეგსაც გავიცნობდი, მაგრამ რაკი ფაშისაგან მხოლოდ აჭარისა და ჩურუქ-სუს მოვლის ოფიციალური ნებართვა მქონდა, ამ ექსკურსიაზე უარი ვთქვი და გავწიე ხინოსაკენ ანუ ახლანდელი ზემო ხინოსაკენ, რომელიც ჩურუქ-სუს, ანუ კინტრიშის ხეობაში აღმოსავლეთის მხრიდან უკიდურესი დასახლებული პუნქტია. ხულადან ზემო ხინოში ორი გზა მიდის: ერთი ყველაზე მთიანი ინწკირვეთისწყლის აყოლებით პერანგას ქედზე, მეორე სოფელ ჭვანასა და პატარა სოფელ ხაბელაშვილებზე გავლით იმავე ქედზე. მე ინწკირ-

---

[38] იქვე, 819, 821, 825 და 840.
[39] იქვე, 513-514.
[40] Ист. воен. действ., I, 337, II, 12-34, 53-54.
[41] იქვე, 194-195, 243-247. აბდი-ბეგის მოქმედებაზე იქვე, 17, 25, 33, 238.

ა ბ დ უ ლ ა-ბ ე გ ი

მოკლეს აკეთზე თავდასხმისას 1782 წ.

(ჩემი ჟურნ., 42, 2.)

I

ს ე ლ ი მ-ფ ა შ ა

ადგილობრივი ცნობით, მოკლეს 60 წლისა ხარხათის ციხეში და დაკრძალულია ნიგოზეულში, ზემო აჭარაში

- **ფ ა რ ხ ა დ-ბ ე გ ი** — ახალქალაქის ციხის უფროსი 1828 წ., მოკლეს ივლისში, რუსთა რაზმის მიერ ამ ციხის ალყისას Ист. воен. действ. I, 262. მასზე აჭარაში არაფერი არ გამგონია.
- **ა ხ მ ე დ-ფ ა შ ა** — ადგილობრივი ცნობებით, გარდაიცვალა არზრუმის სერასკირად 1836 წ. 55 წლისა. დაკრძალულია ლალაფაშის ჯამეში არზრუმში.
- **ა ბ დ ი-ბ ე გ ი** — ცოლად ჰყავდა სვიმონ გურიელის ასული კვესარია. მისი ქალიშვილი ესმას ნაამბობის მიხედვით გარდაიცვალა აჭარაში 1859 წ., ცოლი ქრისტიანულ სარწმუნოებაში გარდაიცვალა 1861 წ., დაკრძალულია კულაშს.
  - **შ ე რ ი ფ-ბ ე გ ი** — ცოცხალია, ჰყავს სამი ცოლი, ერთი მათგანი არტანის ბეგის ქალიშვილია.
    - **მ უ რ თ ა ზ ა-ბ ე გ ი** — ცოლად ჰყავს № . . . . , ფოცხოვის ბეგის ასული.
  - **ქალიშვილი № . . .** — გათხოვილი იყო ლივანის ბეგზე; ახლა ნიგოზეულში ცხოვრობს, ჰყავს ორი ვაჟი.
- **დ უ რ ს უ ნ-ბ ე გ ი** — თავსკერის მემამულე.

- **დ ე დ ე-ბ ე გ ი.**
- **ქ ა მ ი ლ-ბ ე გ ი.**
- **ნ ა რ ი-ბ ე გ ი.**
- **შ ა ქ ა რ-ბ ე გ ი.**
- **ესმა** — ცოლად ჰყავს თავად ჯაიანს.

ვეთისწყლის ხეობით მინდოდა მგზავრობა, მაგრამ ხულას იგი ძალზე ძნელ და საშიშადაც კი დამიხატეს და ამიტომ გადაწყდა ჭვანაზე გაგვევლო...

რაკი აჭარის მოსახლეობასთან, ალბათ, აღარ მექნება საქმე, ამიტომ ჩემი აჭარული ნარკვევების სისრულისათვის საჭიროდ მიმაჩნია ზოგადად მიმოვიხილო ამ მხარის ტოპოგრაფია და ისტორია.

აჭარას ჩრდილოეთითა და დასავლეთით საზღვრავს ჯერ ახლანდელი ახალციხე-იმერეთის, სხვანაირად აჭარა-ახალციხის ქედი,[42] ანუ ვახუშტის გურიის მთის ზემო ნაწილი,[43] ხოლო შემდეგ მთაგრეხილი, რომელიც ადგილობრივ პერანგას სახელითაა ცნობილი და, რომელიც ხინოს მთის მწვერვალთან გამოეყოფა აჭარა-ახალციხის ქედს, იკლიკანტურად მიემართება სამხრეთ-დასავლეთისაკენ და აჭარისწყლისა და ჭოროხის შესაყართან წყდება. იგი მთელ თავის სიგრძეზე მიჯნავს ჩურუქ-სუსა და ბათუმის კაზების მოსახლეობას აჭარის მოსახლეობისაგან. ეტყობა, ეს საზღვარი წარსულში არ არსებობდა და მთელი კინტრიშის ხეობა აჭარაში შედიოდა, ზღვამდე აღწევდა და ბათუმსაც მოიცავდა. აღმოსავლეთით აჭარას აკრავს არსიანის ქედი, რომელიც ვახუშტის მიხედვით, ჯერ კოლას, არტაანსა და ერუშეთს გამოყოფს არტანუჯის, ფანასკერტისა და შავშეთისაგან და შემდეგ აჭარის მთების სახელით უერთდება ერთი მხრივ გურიის ქედს, მეორე მხრივ ფერსათს ანუ ღადოსა და ლომსიას.[44] არსიანის მთა, რომელსაც ვახუშტის მიხედვით არტაანში ქვაყრილი ჰქვია, ხოლო კოლაში — ყალნუ-მთა,[45] ძველ ეპოქებში ის სასაზღვრო ხაზი იყო, რომელსაც არ გადმოსცდებოდა საბერძნეთის სამფლობელოები.[46] სამხრეთიდან აჭარას საზღვრავს შავშეთის ქედი, რომელიც არსიანის განშტოებაა. იგი დასავლეთით გასდევს მდ. ჭოროხს და ისტორიული დროიდან თავის სახელს აძლევს განსაკუთრებულ კუთხეს — შავშეთს.[47] ახლანდელი აჭარის განფენილობა, მგონი დანამდვილებით შეიძლება გამოვთვალოთ: სიგანე ზემო ნაწილში 60, ქვემო ნაწილში — 20-მდე, ხოლო სიგრძე — 80 ვერსამდე. აჭარა-ახალციხისა და არსიანის ქედები, რომლებიც ჩრდილო-აღმოსავლეთიდან გარს ეკვრიან ზემო აჭარას და დაფა-

---

[42] Филипова Топограф. Описание. Тифл. Губернии в сборнике материалов, т. I, выпуск II, Тифлис, 1871, стр. 42.

[43] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 134.

[44] ვახუშტი, 122, 128; Филипова, Топогр. опис. Тиф. губ.,

[45] ვახუშტი, 128.

[46] Hist. de la Géor., I, 141, 147, 229.

[47] ვახუშტი, 121, 130.

რულია ხშირი წვნიანი ალპური ბალახით, კავკასიაში ყველაზე მდიდარი საძოვრებია, სადაც ზაფხულობით აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოდან მოერეკებიან მრავალრიცხოვან ცხვრის ფარებს და რქიანი პირუტყვის ჯოგებს. ეს ქედები კვებავენ აჭარისწყლის უამრავ სათავეებს, რომელიც მდ. ჭოროხს უხდის ხარკს. ერთადერთი მდინარე, რომელიც მტკვრის სისტემას ეკუთვნის და რომლის ზემოწელი აჭარის ფარგლებშია, — ეს არის ქვაბლიანის წყალი, რომელიც ფოცხოვ-ჩაის მიერთვის ახალციხის მაზრაში.

თუმცა აჭარა ახლოსაა ბათუმთან, ჯერ არც ერთ ევროპელ მეცნიერ მოგზაურს არ დაუდგამს ფეხი აჭარის მიწაზე და არ აღუწერია იგი; და მაინც ჩვენ აჭარაზე თითქმის სანდო ტოპოგრაფიული ცნობები გვაქვს კავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო-ტოპოგრაფიული განყოფილების რუკებზე, რომლებიც ჩვენში, კავკასიაში, სამწუხაროდ, მეცნიერების ერთადერთი დარგია და, რომელიც სასურველი წარმატებით დაწინაურდა, შემიძლია დავადასტურო, რომ ყველგან, სადაც მომიხდა ამ რუკების შემოწმება, მანცვიფრებდა ჩვენი ტოპოგრაფების უაღრესი კეთილსინდისიერება მათი ძნელი მოვალეობის შესრულებისას: ადგილმდებარეობის რელიეფი, ქედებისა და მთების ,მდინარეებისა და მათი შენაკადების, გზებისა და ბილიკების მიმართულება შესანიშნავი სიზუსტითაა აღნიშნული. მხოლოდ ის, ვინც აჭარაში ყოფილა, გაიგებს, რა სიძნელეების გადალახვა უხდებოდათ მათ, და მაინც გააკეთეს თავისი საქმე და ამის გამო არ შეიძლება მადლიერებით არ მოვეპყროთ მათ. მხოლოდ ერთ რამეს ვურჩევთ, სახელდობრ, ყურადღება მიაქციონ ადგილობრივ ნომენკლატურას, წესად გაიხადონ, რომ რუკებზე აღნიშნავდნენ საქართველოში ხმარებული ადგილობრივ და არა თურქულ სახელწოდებებს, რომლებსაც, მართალი გითხრათ, არ იცნობენ, ყოველ შემთხვევაში იქ, სადაც მე ვყოფილვარ.

თურქეთის ადმინისტრაციული დაყოფის მიხედვით, ახლა აჭარა შედგება ქვემო ოლქისაგან — სუფლია და ზემო ოლქისაგან — ულია. Notice sur Batoum-ი პირველში აღნიშნავს 38 სოფელსა და 11 სოფლის უბანს 9670 მცხოვრებით. ხოლო მეორეში — 22 სოფელსა და 85 სოფლის უბანს 5810 მცხოვრებით; ესე იგი, სულ მოსახლეობა 15.480 სულია. საიდან აიღეს ეს ციფრები, არ არის ცნობილი, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ საერთოდ თურქეთის მოსახლეობის შესახებ არათუ ზუსტი, არამედ ასე თუ ისე, საეგებისიო სტატისტიკური ცნობებიც არ არსებობს, Notice sur Batoum-ის ციფრებს ძნელად თუ ვინმე ენდობა. არ არის ნაჩვენები, აჭარის

მოსახლეობის საერთო ციფრში ქალებიც თუ შედიან; თუ არა, მაშინ, მგონია, 15 480 ციფრი იმდენად უმნიშვნელოა, რომ საეჭვოა მცხოვრებთა ნახევარსაც შეადგენდეს. ამასთან ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს, რომ აჭარის ტოპოგრაფიული ხასიათის გამო, მისი ზემო ნაწილები უფრო მჭიდროდ უნდა იყოს დასახლებული, ვიდრე ქვემო. ამასთან მე სავსებით ვიზიარებ Notice sur Batoum-ის აზრს იარაღის დამზადების ადგილების შესახებ. მართლაც, თოფებს, იატაგანებსა და სხვა ცივ იარაღს ქვემო აჭარაში ამზადებენ — მაჭახელში (მის საზღვარზე), ცხმორისსა, საღორეთსა და ახოში. ეს იარაღი, განსაკუთრებით თოფები, ცნობილია მაჭახელას სახელით და განთქმულია არა მარტო აჭარაში, თვით იმერეთშიც.

ეს მხარე ქართულ მატიანეებშიც და მოსე ხონელთანაც ცნობილია აჭარის სახელწოდებით.[48] ამ სიტყვის ეტიმოლოგიური მნიშვნელობის გამოცნობას არ ვკისრულობთ. მის ისტორიაზე ცოტა რამ ვიცით. ძველი ნაწყვეტი ცნობების მიხედვით უნდა ვიგულისხმოთ, რომ იგი ძველთაგანვე ზემო ქართლთან ერთად ერთ ბედქვეშ იყო. საქართველოს პირველი მეფის ფარნაოზის დროს (300-237 წ. ქ. წ.) აჭარა სამცხესთან ერთად შეადგენდა მისი სამეფოს მეექვსე საერისთავოს ნაწილს.[49] იგი ალბათ, ქრისტიანობაზე მოაქცია ანდრია მოციქულმა სამცხესთან ერთდროულად. IX საუკუნის მიწურულს ქართული ქრონიკა აჭარას, ისე როგორც მის მოსაზღვრე შავშეთს, ადგილ-ადგილ მჭიდროდ დასახლებულად წარმოგვიდგენს. ბიზანტიელი მწერლები მას იცნობენ აგარის[50] სახელით და X საუკუნეში, კონსტანტინე პორფიროგენეტის მოწმობით, შეადგენდა მისთვის ცნობილი იბერიის ოთხი პრეფექტურიდან ანუ ოლქიდან ერთს.[51] XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან, სახელდობრ ჯაყელთა საგვარეულოს, შემდგომში ათაბეგების, გაძლიერების დროიდან აჭარა მთელ ზემო ქართლთან ერთად, ჭანეთის ანუ ახლანდელი ლაზისტანის ჩათვლით, მის გამგებლობაშია.[52] 1465 წელს ათაბეგი ყვარყვარე გიორგი მეფესთან ბრძოლაში კახაბერ გურიელს სთხოვს დახმარებას და მის გასამრჯელოს აჭარასა და ჭანეთს უთმობს.[53] მაგრამ თურქები ორივე ამ კუთხეს ართმევენ.[54] აჭარა და ჭანეთი ისევ როსტომ

---

[48] Saint-Martin, Mém. sur l'Arménie. II. 357.
[49] Hist. de la Géor., I, 41.
[50] Ibid., 276, № 3.
[51] Addit. et Éclairciss. à l'Hist. de la Géor., 1851, 105, 148.
[52] Hist. de la Géor., I, 590, 621, 622, 645, 648, II, 1 livr., 205.
[53] Ibid., I, 686, II, 1 livr., 208.
[54] Ibid., II, 1 livr., 213, 214.

გურიელის ხელში გადადის, რომელიც 1564 წელს გარდაიცვალა.[55] მის დროსვე, აჭბობს მატიანე, თურქები ეუფლებიან აჭარასა და ჭანეთს და ბათუმსა და გონიაში აგებენ ციხეებს,[56] თუმცა შემდეგ, 1609 წელს, მამია გურიელი შეიჭრება აჭარაში, გაჟლეტს თურქთა ჯარს და მათ ხელიდან გამოსტაცებს თავის წინანდელ სამფლობელოს, მაგრამ მცირე ხნით.[57]

აქედან ჩანს, რომ მას შემდეგ, რაც აჭარა ოსმალომ დაიპყრო, სულ ორ საუკუნენახევარმა განვლო. ამ ბარბაროსთა მმართველობის სისტემას ყველგან მათ მიერ დამორჩილებულ ქვეყნებში ერთი და იგივე მიზანი ჰქონდა: ისლამის გავრცელება და ეროვნული სულის ჩახშობა, და ჩვენ ვნახეთ, თუ რა ულმობელი ომი გამოუცხადეს მათ თავიდანვე. ზემო ქართლის ფარგლებში, ქრისტიანულ რელიგიას, ქართველთა ენასა და ზნე-ჩვეულებებს, ომი, რომელიც მეტნაკლებად თურქების სასარგებლოდ დამთავრდა. ზოგიერთი ცნობის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ ისლამმა ჯერ ლაზისტანში მოიკიდა ფეხი, შემდეგ ჭოროხის ხეობაში, შემდეგ ახლანდელ ახალციხის მაზრაში, შემდეგ შეაღწია აჭარაში და ბოლოს დაეუფლა ქობულეთს. საიდანაც გავრცელდა კინტრიშის ხეობის აყოლებით. ერთი სიგელი, რომელიც გურიაში ვიპოვე, ცხადყოფს, რომ ხინომ, სადაც ეპისკოპოსი იჯდა, მაჰმადიანობა მიიღო 1780 წლამდე ცოტა ხნით ადრე. თუმცა აჭარასა და ჩურუქ-სუში ქრისტიანული ტაძრები დიდი ხანია დაანგრიეს, მაგრამ მოსახლეობა მათ დღემდე შიშითა და კრძალვით ეპყრობა და მათი გარშემო კორომები ხელშეუხებლად მიაჩნია; ბევრი ადგილობრივი მცხოვრები, განსაკუთრებით მოხუცები, თავის ძველ ხატებზე ლოცულობენ თავისთავისა და თავისი ავადმყოფებისათვის, მსხვერპლად სწირავენ ცხვარსა და ქათამს, უნთებენ ცვილის სანთლებს და სხვ. ისინი ახლაც ჰყვებიან, სად და რომელი წმინდანის პატივსაცემად იყო აგებული ეკლესია, ვინ და რომელი გვარიდან იყო მისი უკანასკნელი მღვდელი, სად წაიღეს ხატები.

როგორი ბედიც ეწია ქრისტიანულ რელიგიას, ისეთივე ბედი ეწია ან ახლა ეწევა ქართულ ენას ოსმალოს საქართველოში. აქ მოსახლეობის უმეტესობისათვის იგი ან უკვე გამქრალია, ან ძალზე დაბეჩავებულია. ეს ენა, რომელიც აჭარასა და ჩურუქ-სუში თითქმის არ განსხვავდება გურული კილოსაგან, გარდა თურქული სი-

---

[55] Ibid., 256.
[56] Ibid., 257-258.
[57] Ibid., 266.

ტყვებისა, მის ლექსიკონში რომ შემოვიდა,[58] თავის უფლებაშია. იქ დღემდე ხმარობენ ქართულ დამწერლობასაც, მაგრამ იგი, თუ არ შეეჩვიე, ძნელად გასარჩევია. ყოველ შემთხვევაში ქობულურ-აჭარული წერილები, რომლებიც გურიაში მიჩვენეს, ძნელად იკითხება. მათი თავისებურება ის არის, რომ ზოგი ასოს ფორმა საგრძნობლად შეცვლილი ან დამახინჯებულია, გარდა ამისა, სიტყვებში თანხმოვნებს შორის მეტწილად ჩართულია სრულიად არასაჭირო ხმოვანი ი. თურქულმა ენამ აჭარაში ამ ბოლო დროს მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. 20-30 წლის წინათ, როგორც მითხრეს, აქ ცოტანი ლაპარაკობდნენ თურქულად, მაგრამ მას შემდეგ ამ ენამ ისე მოიცა ძალი, რომ უკვე აშკარად ებრძვის ეროვნულ ენას. უცნაურია, რომ აჭარა, როგორც ჩურუქ-სუ და გურია, სულ ერთიან ქართული ტომებითაა დასახლებული, უცხო თესლის შეურევლად, იქ ვერ შეხვდები თურქებს, და მაინც მათი ენა, თითქოს მოარულმა სენმა მოიტანაო, ემუქრება ადგილობრივი ენის არსებობას. შეუძლებელია ამ მოვლენას განსაკუთრებული ყურადღება არ მივაქციოთ. უეჭველია, თურქ დამპყრობთა ენის წარმატება იხლამის წარმატებას მოსდევს, რადგან მუსლიმანურ მოსახლეობაში საერთოდ რელიგია ისე ბოჭავს აზრს, რომ მართლმორწმუნენი სხვა არაფერზე ფიქრობენ, სხვა არაფერზე ლაპარაკობენ, თუ არა მხოლოდ რელიგიურ თემაზე. ყველაფერი, რაც რელიგიას არ განეკუთვნება, უგულებელყოფილია. იცხოვროს ყურანის მიხედვით — აი მუსლიმანის საზრუნავი, აი რა მიაჩნია მას სულისა და ხორცის ერთადერთ მოთხოვნილებად. რაზეც უნდა ჩამოუგდოთ ლაპარაკი, აჭარასა და ჩურუქ-სუში მაინც, იგი უსათუოდ რელიგიურ თემაზე გადაიტანს სიტყვას, ადგილობრივი მოლები და განსაკუთრებით ეფენდიები, რომლებსაც თურქეთის მთავარ ქალაქებში ამზადებენ, გულმოდგინედ ადევნებენ თვალყურს, რომ მთელი სიმკაცრით სრულდებოდეს განბანისა და ლოცვის წეს-ჩვეულება, რომ პარასკევობით ყველამ იაროს ჯამეში. აქ ყოველ მეჩეთთან არის სკოლა, რომელიც სავსეა ბიჭებით: ისინი თურქულად სწავლობენ, იზეპირებენ ლოცვებს. აი როგორ ამკვიდრებენ თურქულ ენას იმ ერებში, რომლებიც წარმოშობით, უცხო არიან თურქებისათვის. ისლამის ბრალია, რომ ქართული ენა სულ ერთიან დათრგუნულია, ხოლო ზოგგან სრულიადაც გაქრა თურქეთის საქართველოს იმ ადგი-

---

[58] ამ საკითხს დაუბრუნდები მომდევნო თავში, სადაც წარმოდგენილი იქნება აჭარული, ქობულური, გურული, იმერული და ქართლურ-კახური კილოების შედარებითი ლექსიკონი.

ლებში, სადაც მაჰმადის რელიგია ადრე დამკვიდრდა. აჭარაში, სადაც ისლამმა რაღაც ოთხი თაობა იქნება, რაც შეაღწია, თურქული ენა, როგორც აღვნიშნეთ, თავის ომს ეწევა; ჩურუქ-სუში სამი თაობაც არ იქნება, რაც ისლამი გამოჩნდა, ამიტომ დამპყრობთა ენას ნაკლებ ეტყობა სიცოცხლის ნიშანწყალი ხალხში, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ხალხს ხშირი ურთიერთობა აქვს გურიასთან, მაგრამ კიდევ ერთი-ორი თაობა და აქაც გარდაუვალი იქნება ასეთივე ბრძოლა, რომლის მოწამენიც აჭარაში ვართ, ამ ბრძოლას კი ადრე თუ გვიან ისეთივე შედეგი მოჰყვება, როგორიც ჭოროხის ხეობასა და მტკვრის ზემოწელის მოსახლეობის უმრავლესობაში.

თუ ახლანდელ აჭარლებს შევადარებთ ჩვენს მთიელ თვისტოშებს რუსეთის საქართველოში, სახელდობრ, სვანებს, ხევსურებს, ფშაველებს, თუშებსა და მთიულებს, შეუძლებელია კულტურის მხრივ უპირატესობა არ მივანიჭოთ პირველთ მეორეთა წინაშე. ეს მთიელი ქართველები მუდამ ცივილიზაციის გავლენის ფარგლებს გარეთ იყვნენ და ამიტომ რჩებოდნენ წინათ და ახლაც რჩებიან განვითარების უდაბლეს საფეხურზე. ამასვე ვერ ვიტყვით აჭარლებზე. ისინი ოდესღაც იმ ცივილიზაციის გავლენაში იყვნენ, რომელიც საბერძნეთიდან მოქმედებდა ძველ ზემო ქართლზე, ისე როგორც საერთოდ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებზე. აი, მაგალითად, ხუროთმოძღვრების ძეგლები, უხსოვარი დროიდან რომ შემორჩენილა აჭარაში: მისი ხიდები და ხსალთის ტაძარი. ეს ცხადყოფს, რომ აჭარლებს ჰქონდათ თავისი კულტურა, რომლის მსგავსს ვერ ვხედავთ ქართველი მთიულებით დასახლებულ მთებში. გარდა ამისა, აჭარელთა სტუმარ-მასპინძლობასა და ერთმანეთისა თუ უცხოელთადმი მოპყრობაში ნასახიც კი არ შეიმჩნევა იმ სიტლანქისა, რომელიც ასე თვალში საცემად ეტყობათ მთიელ ქართველებს. ამასთან აჭარლები გამგები და საზრიანები არიან, ადვილად, ძალდაუტანებლად ემორჩილებიან კეთილ გავლენას. ამის მაგალითია შერიფ-ბეგის გავლენა, რაც ფრიად შესამჩნევია ზემოაჭარლების ყოფაცხოვრებაში. ყველაფერი ეს ამტკიცებს, რომ აჭარლებს მთლად არ დაუკარგავთ ის თვისებები, რაც მათი ისტორიის უკეთეს ეპოქებში განუვითარდათ, მიუხედავად იმისა, რომ მათზე დამღუპველად იმოქმედა გვიანდელ საუკუნეთა ქართული მმართველობის აშლილობამ და ახლანდელი თურქული მმართველობის ყოვლისჩამხშობმა სისტემამ და ისეთი მანკი შესძინა მათ, როგორიცაა სისხლის აღება, ქურდობა და ტყვის გაყიდვა.

ტფილისი, 1874 წ., 18 ივლისი.

კათალიკოსის სამწყსო სამცხე-საათაბაგოს[59] არის მისის უწმინდესობის კათალიკოსის სამწყსო ზემო ქართლს, რომელ არს სამცხე-საათაბაგო, თავადნი და სოფელნი:

კ ა ვ კ ა ს ი ს ძ ე მისითა მამულითა: პ ა რ ხ ა ლ ი მისითა შესავლითა და აზნაურის შვილებითა საყმო სამწყსოთი.

ს ა მ ძ ი ვ ა რ ი მისითა სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკკლესიითა.

ა ვ ა ლ ი ს შ ვ ი ლ თ ა[60] და ს ლ ე ს ა რ თ ა აქუს ლონგისძენი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკკლესიითა.

ლ ა ს უ რ ი ს ძ ე თ ა აქუს ჴ ე რ ჴ ე მ ე ლ ი ს ძ ე სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკკლესიითა.

თ ა ქ თ ი რ ი ძ ე ს ა აქუს ჩ ო რ ჩ ა ნ ე ლ ი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკკლესიითა.

ერისთავთა ერისთავსა ხ უ რ ს ი ს ძ ე ს ა აქუს ღ ო ბ ე რ ნ ი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკკლესიითა.

დ ი ა ს ა მ ი ს ძ ე თ ა აქუს ა ბ უ ს ე რ ი ს ძ ე ნ ი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკკლესიითა.

ბ ო ც ო ს ძ ე ნ ი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკკლესიითა.

ო ლ ჲ დ ა ს შ ვ ლ თ ა აქუს ო თ ა რ ა სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკკლესიითა.

შ ა ლ ი კ ა ს შ ვ ლ თ ა აქუს ხ ე რ თ ვ ი ს ა რ ნ ი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკკლესიითა.

---

[59] ეს სიგელი, როგორც აღვნიშნე, მინაწერის სახით ვიპოვე ორ ხელნაწერში: ა) საჩხერეში იმერეთში, თავად ნესტორ წერეთელთან, საეკლესიო წიგნში, რომლის სათაურის გადმოწერა გამომრჩა და რომელიც გადაწერილია 1822 წ. დეკანოზ ოსე გაბაონის, მოძღვარ ზაქარიას ძის მიერ, და ბ) ტფილისში, ვახუშტის ხელნაწერ ისტორიაში, რომლის გადაწერა დამთავრებულია 1816 წ. 26 ივნისს ბაქოში ხელითა მღვდლისა დავით ინაშვილისათა. გარდა ამისა, სიგელის პირველი ნახევარი, სადაც აღნიშნულია ზემო ქართლის ძველი საგვარეულოები, დაცულია აგრეთვე „საქართველო-იმერეთის სინოდის კონტორის გუჯრების კრებულში“ № 507, ფურცელი 180, რომელიც ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონების სამმართველოს გადაეცა. ამ სიგელის სათაური საჩხერისა და ტფილისის ხელნაწერთა ვარიანტებში ერთნაირია. პირველში ახლავს მინაწერი: „ესე ვიხილე ძველთა მოთხრობათა და ისტორიათა საქართუ(ლოჲსა მეფეთასა და გადმოვსწერე, ვითარცა წერილ იყო“. „კრებულის“ ვარიანტში სიგელი ასეა დასათაურებული: „სამცხური სამწყსოს სიგელი საათაბაგოსა. — წისა და ცათა მობაძეისა კათოლიკე სამოციქულოსა საპატრიარქოსა ძუელითგან საქონელნი და სამწყსონი მცხეს თავადნი და სოფელნი“.

[60] საჩხერული ხელნაწერის ვარიანტში ავალიშვილთა ნაცვლად წერია: „გოგიბაშვილთა აქუს ბუნდელიძენი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკკლესიითა“.

ქამქამისა ეულზედა არიან: ამატაკიანთა აქუს თმოგუ ᲗᲚᲜᲘ სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკკლესიითა.[61]

შალიკასშვთა ელისბალსა და იოთამს აქუს ბულღადარისშვლნი[62] სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკკლესიითა.

რჩეულიანთა და ფროდიანთა აქუს ასპინძისძენი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკკლესიითა.

ხფირიდონს აქუს კალმახელი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკკლესიითა.

უზნასძეთა აქუს დუკისძენი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკკლესიითა.

მანასკერტელნი — სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკკლესიითა.

სპასალარნი სამითა სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკკლესიითა.

ნაზულარნი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკკლესიითა.

ანძაველნი სასაფლაოთა და კარის ეკკლესიითა მონასტრითურთ.

კოპასძენი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკკლესიითა.

თუხარელნი სასალფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკკლესიითა.

მინასტრიოშვლი მისითა შესავლითა.

დიდი და პატიოსანი ვარძიის მონასტერი მისითა შესავლითა და ეკკლესიის შვლებითა უნაკლულოდ.

სამცხე-საათაბაგოს მღუდელ-მთავარნი და მწყემსნი არიან:

მაწყუერელი გვრგვნ-ბისონიანი არს, ამისი სამწყსო ყვიბის[63] კორტანეთის შუა რომ წყარო Ჰსდის, იმას ზეით ნეევობა და სადგერი, სულ აწყუერი, დიასამიძის სახლი, ახალციხე და ახალციხის წყლის გაღმართი და გურიის წადგომამდის.

კუმურდოელის სამწყსო: ხერთვის ზევით სულ ჯავახეთი ხვეთამდი.[64]

---

[61] საჩხერული ხელნაწერის ვარიანტში თმოგველის ნაცვლად წერია: „გოდარაშვილნი".

[62] იმავე ვარიანტში ელისაბედი და იოთამ შალიკაშვილი არ იხსენებიან.

[63] ანუ ყვირბისი. აღწ. სამეფ. ᲮᲐᲥ. 124. ვახუშტისთან ყვირბისი არ გვხვდება, არის ყვიბი.

[64] ᲮᲐᲥᲔᲗᲘ, აღწ. სამეფ. ᲡᲐᲥ. 120, 131.

ი შ ხ ნ ე ლ ი ს სამწყსო: გურჯიბოღაზს აქეთ, სულა თორთომი, ტაოს ქვემოთი არტანუჯს თავის საკრულავი ჰქვიან იმას აქეთი, გაღმა ორჯოხის მთის აქეთი, სულა საკავკასიძო, ისპირ-ტრაპიზონის მთას გარდმოღმა.

ა ნ ჩ ე ლ ი ს სამწყსო: სამწყალს აქეთი სანცხას და ოპიზას შუა დახატულა, იმას ქვემოთი ნიგალის ხევი, გაღმა და გამოღ-მართი გონიას სამზღურამდინ.

მ ტ ბ ე ვ ა რ ი ს სამწყსო: დახატულას ზედათი ანაკერთს აქეთი სუ-ლა შავშეთი მიჭიხიანთ ბატონის კათალიკოზის, იმ ქვეყნის ეპისკოპოსის იასაულიც ის ყოფილა, აჭარა დანდალოთ ზეი-თი მას ჰქონია, დანდალოს ქვემოთი აჭარა ქუთათლის სამ-წყსო ყოფილა.

წ ო ო ბ ლ ი ს სამწყსო: ხურსიძის სახლი სულა, ბოცოთ ხევი ხერთვის ქვეით მისია.

წ ყ ა ო ს თ უ ბ ლ ი ს სამწყსო: ზეითი და იმას ზეით პალაკაციო კოლას სამზღურამდინ, მტკურარს აქეთი: აქ არტანი.

ე რ უ შ ნ ე ლ ი ს სამწყსო ტალაშოს ზეითი სულა, არტანი კოლის სამზღურამდინ.

ვ ა ლ ა შ კ ე რ ტ ე ლ ი ს სამწყსო ყაღზევანს ზეითი, ვალაშკეთს აქათ ხინუსი[65] და დევაბოინს[66] აქეთი.

ა ნ ე ლ ი ს სამწყსო სულა ზარიშტიანი და შირავოინი და მაღას-ბერეთი.

კ ა რ ე ლ ი ს სამწყსო სულა კარი და კოლისა და ოლთისის სამ-ზღურის გარდმოღმა ბგჩევანი და კაღზევანი.

ბ ა ნ ე ლ ი ს სამწყსო სულა ბანი, ტაოსკარი, ფანასკერტი, ჰარიზის ველობა, სულა, ოლთისი და ნამურაკანი.

დ ა დ ა შ ნ ე ლ ი ს სამწყსო სულა კოლა და ხორტევანი ყარასალ-ზედ მიდგმამდი.

ამ ეპისკოპოსებთ მაკურთხეველი და უფროსი ქართლის კათა-ლიკოზია:[67] იმის ველთ არის ყველა.

ეს სიგელი თავისი მნიშვნელობით ყურადღების ღირსია: მასში ჩამოთვლილია ზემო ქართლის გეოგრაფიული სახელწოდებანი, ქარ-თული მატიანეებისათვის ნაწილობრივ ცნობილი და ნაწილობრივ უცნობი; გარკვევით არის მითითებული ზემო ქართლის ეპისკოპოს-თა იურისდიქციის ფარგლები; სახელდებით ჩამოთვლილია სამცხე-

---

[65] ხომ არ არის ახლანდელი რუკების ხავნუსი ბაიბურთის ჩრდილოეთით?

[66] სომხეთისა და საქართველოს საზღვარი. აღწ. სამეფ. საქ. 122.

[67] საჩხერული ხელნაწერის ვარიანტში დამატებულია: და ოფხაზეთის კათა-ლიკოსი.

საათაბაგოს თუ ყველა არა, ყველაზე წარჩინებული გვარები მაინც, რადგან საქართველოში საერთოდ გვარის წარჩინებულობა, სხვათა შორის, იმით განისაზღვრებოდა, ჰქონდა თუ არა მას ცალკე აკლდამა. მონასტერი და ჰყავდა თუ არა აზნაურები. თუმცა სიგელს ქორონიკონი არ უზის, მაგრამ მისი სიძველე, ჩვენი რწმენით, უნდა ვცნოთ: მისი შინაარსიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ იგი მაშინ დაწერილა, როცა სწორედ აყვავებული იყო როგორც სამცხე-საათაბაგოს საეპისკოპოსო კათედრები, ასევე საერო გვარები ზოგიერთი, სიგელში დასახელებული, წევრით. კალმახელი და თმოგველი, რომლებიც ბაგრატ IV დროიდან, XI ს-ში, ერისთავები იყვნენ,[68] ჩვენს სიგელში ყმა აზნაურებად არიან მოხსენიებულნი, პირველი ფროდიანისა, მეორე ამატაკიანთა, რომლებიც ისტორიაში არსად არ იხსენიებიან. სიგელის წარმოშობა იმ ეპოქებს უნდა მივაკუთვნოთ, როცა ახლანდელი ოსმალოს საქართველოს საერთო სახელი იყო როგორც მესხეთი ანუ ზემო ქართლი, ისე კერძოობითი კუთხეების მიხედვით და როცა, ჩანს, მხოლოდ მცხეთის კათალიკოსი განაგებდა მთელ საქართველოს. სიგელის ზოგი სიტყვა, მაგალითად, სამცხე-საათაბაგო, აფხაზეთისა კათალიკოზი და სხვა, როგორც გვიანდელ ეპოქებში წარმოქმნილი, ვფიქრობ, გვიანდელი ჩანართები უნდა იყოს. ასევე ასო ф, რომელიც ქართულ ანბანში პირველად კათალიკოს ანტონ I-მა შეიტანა, სიტყვა ფანასკერტელში, უეჭველია, გვიანდელი გადამწერის ნახელავია.

აღსანიშნავია, რომ ჩვენი სიგელი იერარქიული მნიშვნელობის მიხედვით საეპისკოპოსო კათედრების ჩამოთვლით ეთანხმება მცხეთის ტაძრის გუჯარს, რომელიც მეფე არჩილის, სხვათა შორის, უცნობია, რომლის, და კათალიკოს მიქაელის დროს ეკუთვნის. ამ გუჯარზე აკადემიკოსი ბროსე მიუთითებს თავის ნაშრომში „Voyage archéologique dans Géor. et dans l'Arménie, IV Rapp., p. 4. ხოლო პლატონ იოსელიანმა მთლიანად მოიყვანა თავის „ქ. ტფილისის აღწერაში", 1866 წ., გვ. 59-63, სამწუხაროდ, მხოლოდ რუსული თარგმანი მნიშვნელოვანი შეცდომით; ასე, მაგალითად, „Эрушетский" ნაცვლად მას უწერია „Ербуниский", ხოლო ნაცვლად „Дадешский" — „Дманисский". ძნელია დანამდვილებით ითქვას, იცნობდა თუ არა ვახუშტი ამ სიგელს. ასეა თუ ისე, იგი თავის გეოგრაფიაში ზემო ქართლის საეპისკოპოსო კათედრების იურისდიქციის ფარგლებს არ განსაზღვრავს ისე დაწვრილებით, როგორც ეს სიგელი, ხოლო ზოგი მათგ ის საზღვრებზე სულაც

[68] შეადარე Hist. de la Géor. I, კალმახელზე, იხ. გვ. 250, 274, 322, თმოგველზე — 276, 302, 318.

არაფერს ამბობს. ამასთან იგი ათ[69] კათედრას აღნიშნავს, სიგელში კი მათი რიცხვი 13-ს აღწევს; ვახუშტი არ ასახელებს ანელს, კარელსა და ვალაშკერტელს. ამათგან იმ ადგილებს, რომლებსაც კარელი განაგებდა, მე არ ვიცნობ, ხოლო ვალაშკერტელს, როგორც ჩანს, ეჭირა მთის ზოლი ზემო ქართლისა და სომხეთის საზღვარზე.[70] ვახუშტის მიხედვით, ანჩელი აჭარის[71] სასულიერო საქმეებსაც განაგებდა, სიგელის მიხედვით კი აჭარა განაწილებული ჰქონიათ ორ ეპისკოპოსს — ქუთათელსა და ტბელს. ამას ისიც უნდა დავძინოთ, რომ ჭანეთი ანუ ახლანდელი ლაზისტანი არც ვახუშტისა და არც სიგელის მიხედვით არ შედის ზემო ქართლის საეპისკოპოსოს შემადგენლობაში. იგი, როგორც მატიანედან ჩანს, ტრაპიზონის მფლობელობაში იყო და ბექა ათაბაგის ხელში გადავიდა XIII საუკუნის მიწურულს.[72]

რაც შეეხება ზემო ქართლის ძველ საერო საგვარეულოებს, ვახუშტი მათგან უპირატესად მხოლოდ იმათ აღნიშნავს, რომლებსაც მატიანეებით იცნობდა, მაგალითად, სამძივარი, ავალიშვილი, დიასამიძე, შალიკაშვილი, ფანასკერტელი და სხვები.[73] ჩვენი სიგელის საგვარეულოებიდან განსაკუთრებული ყურადღების ღირსია სამძივარი, ფანასკერტელი, თაქთირიძე, ბოცოძე, კავკასიძე და ხურსიძე ანუ ხურციძე. სამძივარები სამცხეში თვალსაჩინო როლს ასრულებენ ჯერ კიდევ I საუკუნეში ანდრია მოციქულის დროს, შემდეგ XII საუკუნეში თამარის მეფობაში და XIII საუკუნეში დავით V დროს.[74] ფანასკერტელები, ფანასკერტის ციხის პატრონნი, მოხსენიებული არიან ქრონიკებში თამარ მეფის დროსვე, ხოლო XV საუკუნეში ზაზას სახით გადასახლდებიან ახლანდელ ქართლში, სადაც ციციშვილების მამამთავრები ხდებიან.[75] თაქთირიძეები ისტორიაში არ გვხვდებიან, მაგრამ უეჭველია, ისინი უნდა იყვნენ წინაპრები ახლა ცნობილი გურია-ქობულეთის თაგდირიძეებისა ანუ თავდგირიძეებისა, რომლებიც, ვახუშტის მოწმობით, სამცხიდან გადავიდნენ იქ.[76] ცნობებს ბოცოძეების ანუ ბოცოსძეების შესახებ ვპოულობთ თამარ მეფის, მისი ასულის რუსუდანისა და დავით V-ის

---

[69] აღწ. სამეფ. საქ. 124, 126, 129, 130, 132, 133, 135, 136, 137, 138.

[70] ვახუშტის მიხედვით ეს საზღვარი იყო დევაბიონისა და ირიჯლუს ქედი. აღწ. სამეფ. საქ. 121, 122, 139.

[71] აღწ. სამეფ. საქ. 135.

[72] Hist. de la Géor., II, 1 livr., 205.

[73] აღწ. სამეფ. საქართ. 20, 24, 25, 26; Hist. de la G. 1, 57, 141, 175, 318; II, I livr., 29, 208, 212, 215, 218, 220, 221, 227.

[74] Hist. de la Géor., I, 57, 408, 430, 582.

[75] აღწ. სამეფ. საქართ. 24; Hist. de la G., I, 430, II, 1 livr., 208.

[76] აღწ. სამეფ. საქ. 25, 26.

დროინდელ მატიანეებში.[77] შემდეგ კი XV საუკუნის, ათაბაგ ყვარ-ყვარე III-ის ერთ ხელნაწერში, რომელიც ალის წმინდა გიორგის ეკლესიას ეკუთვნოდა.[78] კავკასიძეებსა და ხურსიძეებზე ისტორიაში არაფერია ნათქვამი, მაგრამ მათ სხვა წყაროებით ვიცნობთ. ჩვენი სიგელის მიხედვით, პირველთა მამული საკავკასიძო იშხნელის სამწყსოში შედიოდა, ხოლო მეორეთა მამული წურწყაბელის ეპარქიაში მდებარეობდა. სამცხე-საათაბაგოდან გურიის შემოქმედში გადმოსვენებული ძველი ხატების წარწერებში მოხსენიებულია რამდენიმე კავკასიძე, ხოლო ერთი წარწერა მოიხსენიებს პეტრიკ კავკასიძეს დიდისა ბერძენთა მეფისა ასულ მარიამთან, ბაგრატ IV დედასთან ერთად; ესე იგი, ის X საუკუნის დამლევსა და XI საუკუნის დამდეგს ცხოვრობდა.[79] შემოქმედის ზარზმის წარწერაში აღნიშნული წინამძღუარი ზარზმისა გაბრიელ ხურსიძე, ეჭვი არ არის, სწორედ ისაა, რომელიც ზარზმის მონასტრის წარწერაში მ. ბროსეს საქართველოს ყოფილმა ეგზარქოსმა ევგენიმ აცნობა, არასწორად არის მოხსენიებული, როგორც პირადად დავრწმუნდი, ადგილზე, როგორც „წინამძღვარი ხუცის ძე გაბრიელ“[80] ამ წარწერებზე დაწვრილებით ვილაპარაკებ შემოქმედის მონასტრის აღწერისას...[81] რაც შეეხება ავალიშვილთან ერთად მოხსენიებულ სლესარს, იგი იმ საგვარეულოს უნდა ეკუთვნოდეს, რომელიც ცლესარის სახელით აღნიშნულია თისელის მონასტრის ძველი ხელნაწერის მინაწერებში. ეს მონასტერი, როგორც თვით მინაწერებიდან ჩანს, მდებარეობდა სამცხეში, დიასამიძეების მამულში.

III

ხულადან ჭვანაში გამგზავრება. ზემო ხინო. მისი ეკლესიის აღწერა. ჭახათის ქედით გურიაში. გურიის ზოგადი მიმოხილვა. არქეოლოგიური ძიებანი ქაქუთსა, ჭანეთსა, აჭსა და ლიხაურში. შემოქმედის მონასტერი და მისი ორი ეკლესია: მაცხოვრისა და ზარზმისა. მათი მდიდარი ძეგლების გარჩევა არქეოლოგიური თვალსაზრისით. დანართები.

ხულადან 21 აგვისტოს, დაახლოებით დილის 10 საათზე გავედით. ცა მოწმენდილი იყო, თბილოდა. ჩვენ დასავლეთით გავემართეთ, აჭარისწყლის ხეობის მარჯვენა ფერდობზე, და საათნახევრის

---

[77] Hist. de la Géor., I, 424, 425, 450, 482, 504, 570.

[78] Brosset, Voyage arch., II Rapp., 179-180; Hist. de la Géor., I, 482, n. 4.

[79] Voyage arch. II, Rapp., 185., Hist. de la Géor., I, 314, 340-341.

[80] Voyage arch., II, Rapp., 135.

[81] Chronique géorgienne. 1830, 119, 121, მე-2 ნაწ. 120, 122.

შემდეგ მოგვიხდა უზარმაზარი მიწის ჩამონაზვავის გადალახვა. მისი განი ნახევარი ვერსი იქნებოდა. როგორც თქვეს, შარშან ჩამოზვავებულა მაღალი მთიდან ძლიერი წვიმების შემდეგ. ასეთი შემთხვევები იშვიათი როდია დასავლეთ საქართველოში, სადაც ფაშარი ნიადაგებია. ასეთი ჩამონაზვავები თვით გურიაშიც მინახავს. ხეობის მოპირდაპირე ფერდობებზე ლამაზად მიმოფანტულიყო აჭარული სოფლები, მათ ზევით კი აღმართულიყო მუქი სილუეტი შავშეთის ქედისა, ნაოჭებში შარშანდელი თოვლი რომ შემორჩენოდა. ორი მომცრო სოფელი გავიარეთ — ჩანჩხალო და ნიგოზეული. პირველი საყურადღებოა მხოლოდ ძველი წმინდა ურთხლის კორომით, რომელიც ოდესღაც არსებული ეკლესიის ადგილს მიგვანიშნებს; მეორე საინტერესოა, ჯერ ერთი, შერიფ-ბეგის დის ორსართულიანი სახლით, ანუ რეზიდენციით. ეს ქალი ქმარს, ლივანის ბეგს, მიუტოვებია; მერე კიდევ კვადრატული ციხით, რომელიც წარმოადგენს აკლდამას შერიფ-ბეგის პაპისა, ცნობილი ახალციხის ფაშის სელიმისას, რომელსაც როგორც აღვნიშნეთ, სულთნის ბრძანებით თავი მოჰკვეთეს 1815 წელს. ნაშუადღევის 4 საათი იქნებოდა, ჭვანაში რომ მივედით. იგი საკმაოდ მნიშვნელოვანი სოფელია, ნაწილობრივ გაშენებულია ღრმა ღარტაფში, ნაწილობრივ მთის კალთებზე. ნამგზავრზე დაღლილები ვიყავით და გადავწყვიტეთ ღამე ჭვანაში გაგვეთია.

მეორე დღეს დილაადრიან შევყევით ჭვანისწყალს. ეს მდინარე, რომელიც აჭარა-გურიის ქედის ხინოს მწვერვალთან გამოედინება, აჭარისწყლის ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და სწრაფი შენაკადია. ჭვანიდან ზემო ხინომდე 40 ვერსის მეტი არ იქნება, მაგრამ მის გავლას კარგ ამინდში ზაფხულშიც კი მთელი დღე სჭირდება. ჭვანისწყლის აღმართი მაღალი მთების ძალზე დაქანებულ ფერდობებს მიჰყვება. ჩვენ მეტწილად ქვეითად გვიხდებოდა სიარული, ხშირად შევჩერდებოდით ხოლმე, რომ სული მოგვებრუნებინა და ცხენებიც შეგვესვენებინა. მოლა-ალის ცხენმა ვერ გაუძლო ამ გზას და გავუშვით. რაც უფრო წინ მივიწევდით, ჰაერი სულ უფრო ცივი ხდებოდა, გარს შემოჯარული მთები და ხეობები უფრო სურათოვანი, მოსახლეობა უფრო მეჩხერი და ღარიბი იყო. აქ საჭიროდ მიმაჩნია შევნიშნო, რომ ჭვანისწყლის ხეობის სოფლები რუკებზე სწორად არ არის აღნიშნული; ისინი უფრო ახლოს არიან ჭვანასთან, ასე რომ, მათგან უშორესი ხაბელაშვილები, რუკის მიხედვით პერანგას უღელტეხილზე რომ მდებარეობს, სულ რაღაც სამი საათის სავალზეა ჭვანიდან, ჩვენ კი ორი საათისათვის ძლივს ავაღწიეთ

უღელტეხილზე. აქ ცოტა შევისვენეთ აჭარისა და ჩურუქ-სუს სასაზღვრო ხაზზე, ამ ადგილებში საუკეთესო წყაროსთან, რომლის ტემპერატურა 5 გრადუსია. იგი უხვად ავსებს ხის აუზს. პერანგას ქედი აჭარა-გურიის ქედის მწვერვალებს — თაგანურსა და ხინოს შუა იწყება. შავი ზღვისაკენ მიემართება და აჭარას ჩურუქ-სუსაგან ყოფს. ჩვენი საკორდონო საგუშაგოები განლაგებულია უღელტეხილის ახლოს, რომელიც მეტწილად უზარმაზარი და ხშირი წიფლის ტყეებით არის დაფარული, მაგრამ წყაროსთან დამგზავრებული 15 კაცის სიტყვით, ეს უღელტეხილი ერთი ყველაზე უფრო საშიში ადგილია ჩურუქ-სუსა და აჭარაში — ყოველი ჯურის ბრბოთა ბუნაგია. მგზავრი თავს ვერ დაიცავს, თუ თავს დაესხნენ. მას მტრის ფიქრიც კი არა აქვს, ის კი შეიძლება მისგან რამდენიმე ნაბიჯზე იყოს.

აქ, არ ვიცი რატომ, მომეჩვენა, რომ უღელტეხილზე დამთავრდა ჩვენი მგზავრობის ყველა ჭირსახდელი, მაგრამ წინ თურმე უარესი გველოდა. წყაროს ცოტა გავცდით თუ არა, ჩვენს თვალწინ გადაიშალა პირქუშ მწვერვალთა მთელი ქაოსით შემოჯარული დაკლაკნილი კინტრიშის ხეობის ზემოთი. მაღალ და ფრიალო ნაპირებში ჩაჭედილი მდინარე კინტრიში, რომელსაც თვით პერანგაზე უდევს სათავე, ანკარა აქაფებულ წყალთან ერთად ყურისწამღები ზარით და ზათქით მიაქანებდა უზარმაზარ კაჭარ ლოდებსა და დასახიჩრებულ მორებს. ხინოს დაღმართი ისეთი დამრეცი იყო, რომ ბუჩქებს ვეჭიდებოდით, რადგან მუხლები გვეკეცებოდა. ავდარში მოხვედრილი მგზავრი რომ არ მოსხლტეს და არ დაგორდეს, ბილიკი იკლიკანტურად გაუყვანიათ და ხშირი საფეხურები დაუტანებიათ. 4 საათს ვეშვებოდით დაღმართზე. საბედნიეროდ, ამ დღეს, ისე როგორც წინა დღეებში, არ წვიმდა. უღელტეხილიდან მოკიდებული ტყეები ისეთი უსიერი იყო, მცენარეულობა ისე გალაღებულიყო, რომ გამოგიტყდებით, არაფერი ამის მსგავსი კავკასიაში აქამდე არ მენახა. წიფელი, მუხა, ნაძვი და სხვა ხეები, ხან ერთმანეთში შერეული, ხან მონაცვლეობით სულ ერთიან მოსდებოდა როგორც ხეობას, ისე მის ფერდობებსა და მთის მწვერვალებს. ხეებს კენარად აეყარათ ტანი, ზოგს 4-5 კაცი ვერ შემოაწვდენდა ხელს. ბევრ მათგანს ძირიდან წვერომდე ქსელივით შემოხვეოდა ნაირნაირი სურო და მრავალი სხვა პარაზიტი მცენარე და მათს ტოტებზე ჩამოკიდებულიყო გრძელი, 1-3 არშინი სიგრძის ძაფები ნაცრისფერი ქარაგოზისა, ხოლო მათ ჩეროში გაბარდული იყო მარად მწვანე სქელფოთოლა წყავის, შქერისა და სხვა მათი მსგავსი ჯიშე-

ბის ქვეტყე. ირგვლივ მეფობდა წარმოუდგენელი ნესტი და სამარისებური მყუდროება, რომელსაც მხოლოდ მთის ნაკადების ჩუხჩუხი არღვევდა. კაცის ჭაჭანება არსად იყო. მხოლოდ ზემო ხინოს რომ მივუახლოვდით, შევნიშნეთ წიფლებზე, 4-5 საჟენის სიმაღლეზე, შედებული როგორები, სადამდისაც გრძელი ხის კავებით აცოცდებიან თურმე თაფლის გამოსაღებად. კავები აქა-იქ ხეებზევე ეკიდა. მცხოვრებლებმა იციან, ვის ეკუთვნის ესა თუ ის როგორ, და პატრონის გარდა ხელს არავინ ახლებს. ამბობენ, ფუტკარი საუკეთესო თაფლს წიფლის ფოთლებისაგან იღებსო. როგორების წიფლის ხეებზე შედგმა, გარდა კინტრიშის ხეობისა, ჩვეულებად აქვთ აჭარასა და გურიაშიც. ასეთსავე ჩვეულებას აღნიშნავენ მცირე აზიის სხვა ადგილებშიც.[1]

ზემო ხინოში რომ მივედით, საღამოს ექვსი საათი იქნებოდა. ზემო ხინო, ანუ უფრო სწორად ხინო ხეობაში 7-8 ვერსზეა გაფანტული. როგორც ვარაუდობენ, აქ სულ ცოტა 300 კომლი იქნება. აქაური მოსახლეობის გამო გამაფრთხილეს: მათთან ფრთხილად უნდა იყოო. ასეა თუ ისე, მალე ჩვენ გარშემო კარგა ბლომად მოიყარა თავი ხალხმა და უცნაური ცნობისმოყვარეობით მიყურებდნენ. როცა სოფლის თავში, მდ. კინტრიშის მარჯვენა ნაპირზე, ოთხკუთხა ქვის გალავნის შიგნით მდგარი ეკლესიისაკენ გავემართე, ბევრნი შეეკითხნენ ჩემს თანამგზავრებს, ვინ არის და რას ეძებსო. ერთმა მათგანმა ყვირილიც კი ატეხა და მოითხოვდა, აქაურობას გაეცალეო. ეკლესიის შენობა ძალზე საწყლად გამოიყურებოდა: იგი გალავანთან ერთად დანგრეულია, ეტყობა, განგებ და, როგორც ამბობენ, 8-9 წლის წინათ. ვახუშტი ამტკიცებს, თითქოს ეს ეკლესია გუმბათიანი ყოფილიყოს,[2] მაგრამ გურიის სოფელ აპის მღვდელი სალუქაძე, რომელმაც ეს ეკლესია 1853 წელს ნახა, როცა იგი ჯერ კიდევ მთელი იყო, მარწმუნებდა, უგუმბათოდ იყო ნაშენი და თავისი კონსტრუქციით ახლანდელ აპის ეკლესიას მოგაგონებდაო. მასში მთელია მხოლოდ საკურთხევლის ნაწილი სალაროთი და ეკვდერით, სადაც ახალი ცვილის სანთლები ვნახე, რაც მოწმობს, რომ ამ მიყრუებულ სოფელში ჯერ კიდევ სავსებით არ გამქრალა ხსოვნა ოდესღაც გაბატონებული ქრისტიანული რელიგიისა. ბათქაში მხატვრობითურთ სულერთიან ჩაცვივნულა. ეკლესიის მოცულობა დიდი არ არის: 22 ნაბიჯი სიგრძით და 12 სიგანით. არც გალავ-

---

[1] Vivien de Saint-Martin, Histoire des déconvertes géographiques, t. III, p. 431.

[2] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 175.

ნის შიგნით და არც გარეთ აღარ ჩანს აღარც სამრეკლოსა და არც ეკლესიის მსახურთა შენობების კვალი: ეჭვი არ არის, ხისაგან იყო ნაშენი. ადგილობრივ მცხოვრებთა თქმით, მათი უკანასკნელი მღვდელი იყო ვინმე ქათამაძე. ეს გვარი ახლაც სახლობს ხინოში. ამ მღვდლის შვილიშვილი, 80 წლის ბერიკაცი, გურიაში ვაკისჯვრის ეკლესიის მნათე აღმოჩნდა. მარწმუნებდა, მაჰმადიანობა ხინოში მამაჩემის დროს შემოვიდა, ჩემს ბიჭობაშიო.

ცნობილია, რომ ხინოში იჯდა „ეპისკოპოზი, მწყემსი ხინოს-წყლის სამჯრეთის ჭოროხამდე".[3] ხინოს ეპისკოპოსნი ხინოწმინდელად იწოდებოდნენ. იმ სიგელების მიხედვით, რომლებიც მე გურიაში ვიპოვე, ჯერჯერობით რამდენიმე ხინოწმინდელს ვიცნობთ. ესენი არიან: მაქსიმე, ცხოვრობდა XVII საუკუნის მიწურულს, გურიელი გიორგი III-ის დროს, ექვთიმე ართუმელაძე, რომლებიც მოხსენებული არიან ორი გურიელის — მამია III-სა და გიორგი IV-ს ქარტიებში. ამ გურიელთაგან პირველი 1714 წელს გარდაიცვალა,[4] მეორე კი 1726 წელს. და ბოლოს იოანე, რომელიც მამია IV-ისა და გიორგი V-ის დროს ცხოვრობდა. სიაში უნდა ჩავრთოთ კიდევ დავით წერეთელი, რომელიც ქუთაისის მიტროპოლიტად გარდაიცვალა და რომელიც XIX საუკუნის დამდეგს ხინოწმინდელად იწოდებოდა, თუმცა, ალბათ, ერთხელაც არ უნახავს ხინო.[5] აქ საჭიროდ მიმაჩნია მოვიყვანო შინაარსი ფრიად საინტერესო სიგელისა, რომელიც 1780 წელს, იმერეთის მეფე სოლომონ II დროს, უბოძებია ხინოწმინდელ იოანეს გამოჩინებულის მონასტრისათვის, რომელიც გურია-იმერეთის საზღვარზე მდებარეობს. მასში, კერძოდ, ნათქვამია: „ხინოწმინდელ ეპისკოპოსმან იოანე შევსწირე წ~დასა ეკლესიასა შენსა (იგულისხმება წმინდა გიორგი) გამოჩინებულს ერთი მოსახლე კაცი მოწყობილი გაბრიელ და მისი შვილი იობა". — ეს გაბრიელიო, განაგრძობს სიგელი, „პირველ ჩვენსა ყოფილი ხინოწმინდელისაგან დახსნილი იყო და მერე, როდესაც ჩვენ ხინოწმინდლათ დავიდგინეთ, ის ხინოწმინდა და მისი შემავალი ერი თათართ მიიმძლავრეს და ქრისტიანობას განუდგენ და სრულად შეიქმნენ და მის ძალით ჩვენს ეკლესიაზედ მისვლა ვეღარ უძლეთ და ბატონი მეფის სოლომონის წყალობით გამოჩინებულს... დავიდგინეთ და რაოდენ შესაძლებელ იყო აქა ვსცხოვრობდით:

---

[3] იქვე, გვ. 115.

[4] გურიელების გარდაცვალების თარიღზე მითითებისას, როგორც აქ, ისე შემდგომშიც ქართულ მატიანეებს ვემყარები, თუმცა ყოველთვის სარწმუნოდ არ მიმაჩნია.

[5] Histoire de la Géorg., II, 2 livr., p. 311.

და ეს გაბრიელ მოწყობილი რათგან უსჯულოს შიშით იქ დგომის შემძლებელი არ იყო, აქ ჩვენთან იმყოფებოდა...“ შემდგომში გამოჩინებულის მონასტრის აღწერისას ამ გუჯარს მთლიანად მოვიყვანთ, აქ კი მხოლოდ იმას შევნიშნავთ, რომ ხინოს გამუსლიმანების დრო, რაც გუჯარის მიხედვით 178 წლის წინათ მოხდა, თითქმის ემთხვევა იმ დროს, რომელსაც, როგორც ვაკისჯვრის მნათე, ისე აკადემიკოს ბროსეს მიერ თავის წიგნში Histoire de la Géorgie, t. II, 2 livr., p. CCIX მოთავსებული სიგელი მიუთითებს.

ღამე ზემო ხინოში გავათიეთ და მეორე დღეს დილას გავწიეთ წინ. გზა გამოკეთდა. იგი უპირატესად კინტრიშის მარჯვენა ნაპირს მიჰყვებოდა. ამ გზაზე რამდენიმე ისეთი თაღოვანი ხიდი ვნახე, როგორიც აჭარისწყალზე. მათგან განსაკუთრებით ორმა გამაოცა — ხინოსა და ცხემლოვანში. ისინი აჭარის ხიდებზე უფრო ლამაზი მეჩვენა. ცხემლოვანის ხიდის სიგრძე 35 ნაბიჯია, სიგანე — 5. იმ დღეს ღამე სოფელ კობალაურში გავათიეთ. მეორე დღეს, ის იყო გასამგზავრებლად გავემზადეთ, რომ ცამ უცებ პირი შეიკრა და დაიწყო საშინელი თავსხმა, რამაც სამ დღეს დაგვაყოვნა ადგილზე. აქ პირველად მომივიდა აზრად შემედგინა ჩურუქ-სუს, აჭარის, გურიის, იმერეთისა და აღმოსავლეთ საქართველოს ყოფაცხოვრებაში სახმარ სახელწოდებათა მცირე შედარებითი ლექსიკონი. საბედნიეროდ, ჩემი მასპინძლები ძალზე თავაზიანი აღმოჩნდნენ, ჩინებულად იცოდნენ აჭარული ცხოვრების წესები. ახალგაზრდა გურული კალანდაძე, რომელიც, როგორც აღვნიშნე, ხულადან დამემგზავრა, და კარგად იცნობდა იმერეთს, რადგან ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა, მიხსნიდა გურულ და იმერულ სახელწოდებებს. ეს ლექსიკონი შემდეგ გურიაში შევამოწმე და შევავსე. მას აქვე ვათავსებ (იხ. დანართი I) ზოგი უმნიშვნელოვანესი სახელწოდების ეთნოგრაფიული განმარტებითურთ. მკითხველს უნდა მოვახსენო, რომ ეს ლექსიკონი მნიშვნელოვნად მიმაჩნია იმ მხრივ, რომ მარტო მისი მონაცემებიც კი, სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, სავსებით გვარწმუნებს, გარდაუვალი ფონეტიკური გადახრებისა და ერთი და იმავე სიტყვების სხვადასხვა მნიშვნელობით ხმარებაში ერთგვარი სხვაობის გამოკლებით, როგორც გურულ-ჩურუქსუული და აჭარული კილოების იგივეობაში, ისე აჭარელთა წმინდა ქართულ წარმომავლობაში, წინააღმდეგ გამოთქმული შეხედულებისა, თითქოს ისინი და გურულებიც კი იგივენი იყვნენ, რაც ლაზები, თუმცა ქართველთა მონათესავენი, მაგრამ მაინც თავისი ცალკე ენის მქონენი,

რომელიც ფრიად ახლოსაა მეგრულთან.[6] ამაშივე უეჭველად გვარწმუნებს ლექსიკონის სქოლიოებში მოთავსებული მოკლე ეთნოგრაფიული მონაცემებიც.

მეოთხე დღეს დილით გამოიდარა, თუმცა, როგორც ვნახავთ, ცოტა ხნით, და ჩვენ დავტოვეთ კობალაური და საკმაოდ მაღალი თხემით სოფელ ტყემაკარავისაკენ გავემართეთ. აქ ადგილობრივ სკოლაში შეგვიპატიჟეს. იქ ორმოციოდე ყმაწვილი იყო; ზოგი მათგანი თავისუფლად კითხულობდა და წერდა თურქულად, გარდა ამისა, მოლამასწავლებელს თურმე ქართული წერა სცოდნია. მას მოეწონა ჩემი ხელწერა და მთხოვა, ქართული ანბანი დამიწერეო, რაც სიამოვნებით შევუსრულე. ჩვენი გზა პატარა მდინარე ყილარას აჰყვა. ძალზე ძნელი აღმართი იყო. გარკვეული სიმაღლიდან თვალწინ გადაგვეშალა მდ. კინტრიშის ქვემოწელი და მისი ხეობის სოფლების უმრავლესობა. საერთოდ, ამ ხეობის მთელი მოსახლეობა ძალზე ღარიბად ცხოვრობს. აქ სახნავ-სათესი ისე მცირეა, რომ საწყალი ხალხი დიდი გაჭირვებით კაფავს სიმინდის საყანედ უღრან ტყეებს ციცაბო ფერდობებზე, ზოგჯერ სახლიდან 8-10 ვერსის დაშორებით. ამ სიღარიბემ აიძულა ორი წლის წინათ ჩურუქსუელები ხელში აეღოთ იარაღი და პროტესტი განეცხადებინათ მთავრობის განკარგულების წინააღმდეგ, — გაედიდებინათ გადასახადი ხაზინის სასარგებლოდ. ამას დაუმატეთ აქ ძველთაგანვე დამკვიდრებული სისხლის აღების ჩვეულება და სწორი წარმოდგენა შეგექმნებათ ჩურუქსუელი მოსახლეობის უკიდურეს დაქვეითებაზე. როგორც მიამბეს, უკანასკნელ ორ კვირაში შურისძიების ნიადაგზე ოთხი კაცი მოუკლავთ. აქ შურისძიება ყველაზე ახლო ნათესავებსაც არ ზოგავს. აი ახალთახალი მაგალითი. სოფელ სოდომურში, რომელიც ჩვენი გზიდან 3-4 ვერსზე მდებარეობს, ჩვენი მისვლის დღეს, უამრავი ხალხის თანდასწრებით ასაფლავებდნენ მთელ ჩურუქ-სუში ცნობილ მემედ-აღა თამაზოღლის. იგი საშინელი, მაგრამ დამსახურებული სასჯელის მსხვერპლი გამხდარა. რამდენიმე წლის წინათ, მეჯლისში პირველობისათვის წასჩხუბებია თავის ღვიძლ ბიძას ხასან-ოღლის. ეს იყო ერთადერთი მიზეზი იმისა, რომ მემედ-აღას მოსყიდულმა კაცებმა მოკლეს ხასან-აღა. ამ მკვლელობას კი ის მოჰყვა შედეგად, რომ სხვადასხვა დროს ორივე მხრიდან 10 კაცზე მეტი დაიღუპა. თვითონ თამაზოღლი გურიაში გაიქცა და თავად

---

[6] Gamba, Voyage dans la Russie méridionale, 1826, I, 122. Dubois de Montpéreux, Voyage autour du Caucase, III, 126. Brosset, Voyage archéol., VII Rapp., 72. Addit. et Éclaircissa à Hist. de la Géorgie, 1851, 82.

ივესე გურიელის ოჯახში იმალებოდა. ბოლოს, 1873 წლის ზაფხულში, დიდად გავლენიანმა ჩურუქ-სუს ბეგმა ალი-ფაშა თავდგირიძემ თავს იდო მისი შერიგება ხასან-აღას ოჯახთან, და თამაზოღლი დაბრუნდა ჩურუქ-სუში, მაგრამ ალი-ფაშის შუაკაცობას წარმატება არ მოჰყოლია. ხასან-აღას ქვრივმა რომ შეიტყო, მემედ-აღა შინ იმალებაო, განდობილი კაცების მონაწილეობით დაუწყო თვალთვალი და ერთხელ, ღამით, როცა მემედ-აღამ პირველად გამოყო თავი სახლიდან, სამმა ტყვიამ განგმირა იგი თავსა და გულში. თავისი წმინდა ვალი რომ აღასრულა, ხასან-აღას ცოლმა ძაძები გაიხადა, თუმცა ამავე დროს მწარედ დასტიროდა ქმრის ძმისწულს.

ნაშუადღევის სამ საათზე უკვე ჭახათის თხემზე ვიყავით, რომელიც აჭარა-გურიის ქედის გაგრძელებაა და რომლის უმაღლესი პუნქტი ზღვის დონიდან 3,310 ფუტზე მდებარეობს. აქ თავსხმა გაძლიერდა, წვიმა თან გვდევდა ტყემაკარავიდან გამოსვლის დროიდან საღამომდე. თანაც ძლიერ აცივდა. თავს გადაგვიარა ქარიშხალმა წვრილი სეტყვით. ამიტომ, გასაგებია, რომ ვერ მოვინახულეთ ელიას ციხე, რომლის ძირშიც გადიოდა ჩვენი გზა. ეს ციხე თუმცა ერთი უშესანიშნავესი პუნქტთაგანია მთელი ჭახათის სიგრძეზე, რიონის ველის თითქმის ყველა მხრიდან ჩანს, მაინც გამორჩენილია ყველა ჩვენს რუკაზე. მაშინ როცა უმნიშვნელო ციხე-კოშკები აღნიშნულია. საერთოდ, ჭახათის ქედიდან ზღვის, გურიისა და უფრო შორს თვალწარმტაცი სანახაობა მოჩანს, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი თვალთაგან მიგვეფარა ხშირ ნისლში. თავით ფეხამდე გალუმპულნი და გათოშილნი დავეშვით თურქეთის სოფელ ქაქუთში, ზედ საზღვართან. აქ სტუმრად მოვხვდით მასპინძელთან, რომელთანაც ვიპოვეთ თბილი და მყუდრო ბინა და რომელმაც გულღიად და თავაზიანად მიგვიღო. ეს იყო ოსმან-აღა ქარცივაძე, შეძლებული კაცი. მან ზოგი საინტერესო რამ მაცნობა ჩურუქ-სუს ძველი ეკლესიების შესახებ. იგი გამუდმებით სიკვდილის შიშშია და ღამით შინიდან გასვლას ვერ ბედავს, მას, როგორც ჩურუქსუელთა უმრავლესობას, შურისძიება ემუქრება სრულიად უბრალო საბაბის გამო: ქარცივაძის ვაჟი და მისი ახლანდელი შურისმაძიებელი ერთი ქალიშვილის გამო ეცილებოდნენ ერთმანეთს, ქალმა პირველი აირჩია. და აი, ახალგაზრდა ქარცივაძე უბედურების შიშით მუდმივად ცხოვრობს გურიაში თავად გრიგოლ გურიელისას.

მეორე დღეს გურიას გავემგზავრე ჩემი მკითხველებისათვის ცნობილი ჩოლოქის საგუშაგოზე გავლით, საიდანაც იმის ნაცვლად, რომ ოზურგეთისაკენ მექნა პირი, მარჯვნივ გავუხვიე აჭის, ჭანიეთის, ქაქუთისა და ლიხაურის ეკლესიების მოსახილავად; მაგრამ

ვიდრე მათ გამოვიკვლევდე, საჭიროდ მიმაჩნია ზოგი წინასწარი ცნობა მოგაწოდოთ საერთოდ გურიის შესახებ.

გურიის, ანუ ახლანდელი ოზურგეთის მაზრის დღევანდელი საზღვრებია: სამხრეთით აჭარა-ახალციხის სახელით ცნობილი ქედი, ჩვენი აზრით, უფრო სწორი იქნება, მას აჭარა-გურიის ქედი ეწოდოს. მისი უმაღლესი მწვერვალებია: თაგინური (8755 ფ.), სომლია (9306 ფ.) და ზოტიმერია (8769 ფ.); აღმოსავლეთით — ამ ქედის გაგრძელება, რომელიც მეფისწყაროს მწვერვალისაგან (9343 ფ.) გამოყოფს დაბალ ჩახატაურის მთის ტოტს, რომელიც ჯერ ჩრდილო-დასავლეთით, ხოლო შემდეგ დასავლეთით მიემართება, თანდათანობით დაბლდება და, ბოლოს, ზღვისპირა მხარეში იკარგება, შავი ზღვიდან 8 ვერსზე;[7] დასავლეთით — შავი ზღვა, ჩრდილოეთით — წინათ გურიის საზღვარი იყო მდ. რიონის მარცხენა ნაპირი, და ქ. ფოთი პალიასტომის ტბასთან ერთად მის შემადგენლობაში შედიოდა; ახლა საზღვარი მიჰყვება მდ. ფიჩორს, რომელიც სამხრეთიდან მიერთვის პალიასტომს. როგორც ცნობილია, აჭარა-გურიის ქედზე გადის სასაზღვრო ხაზი რუსეთსა და თურქეთს შორის, ხაზი, რომელიც ნაცვლად იმისა, რომ შავი ზღვისაკენ მიემართებოდეს იმავე ქედის გაყოლებით, ჭახათის მწვერვალიდან ჩრდილო-დასავლეთით უხვევს და ვაკეზე გადის, მიჰყვება უმნიშვნელო მდინარე ჩოლოქის დინებას, რომლის ნამდვილი სახელწოდება, მგონი, წინათ არ იყო ცნობილი. გურია ძალზე მდიდარია მდინარეებით, მათგან ყველაზე დიდია სუფსა და ნატანები მათი ურიცხვი შენაკადებით, რომლებიც აჭარის მწვერვალთა ღრმა ხეობებით ჩამოედინებიან. მეორე მხრივ, ჩახატაურის ქედი, რომელიც გურიას მის დასავლეთ ნაწილში კვეთს. იმ მდინარეთა წყალგამყოფია, რომელთაგან ზოგი სუფსას მიერთვის, ზოგი კიდევ რიონს. სუფსისა და ნატანების შენაკადების ხეობებში გადის მთის ბილიკები აღმოსავლეთ ჩურუქ-სუსა და ზემო აჭარის სოფლებისაკენ, სახელდობრ: აჭარისწყლის ხეობით ზემო ხინოსაკენ, ბზუჯის ხეობით თაგინურზე გავლით ფერსათის უღელტეხილზე, ხოლო ბახვისწყლისა და გუბაზეულის ხეობებით სომლიასა და ზოტიმერიაზე, სადაც განშტოვდებიან და მიდიან აჭარის ყველაზე ზემო სოფლებსა და ახალციხის მაზრაში ქვაბლიანის ხეობით. ამ ბილიკთაგან საუკეთესოა ის, რომე-

---

[7] Слацкаго, Очерк орографии и геологии Кавказа, в Зап. Кавк. Отд. Геогр. Общ., кн. VII, 56-57 — Филиппова, Топограф. Описание поверхности Тифл. губ., в «Сборнике материалов для описания Тифл. губер»., т. I, выпуск 2-й, 42-46.

ლიც სომლიაზე გადის და რომლითაც ზაფხულში შეიძლება ერთ დღეში მოხვდე ხულაში და დღენახევარში — ახალციხეში. ზემოაჭარლები გურიაში ზამთარ-ზაფხულ უპირატესად სომლიაზე გავლით ჩადიან და გურულებისათვის მისაყიდად მიაქვთ ყველი, ერბო, ყურძენი, მიჰყავთ ცხვარი და მსხვილფეხა საქონელი. სომლიაზე გავლით და ნაწილობრივ ვაკეზე გახსნილ ჩვენს და თურქეთის საზღვარზე წინათ გადაჰყავდათ მოტაცებული და საიდუმლოდ ტყვედ ნაყიდი გურული გოგო-ბიჭები, რომლებითაც ავსებდნენ თურქეთის ბაზრებსა და ჰარამხანებს. გურიაში მავნე ჰავით გამოირჩევა როგორც შავი ზღვის სანაპიროები, ასევე, განსაკუთრებით ჩახატაურის ქედის ჩრდილო მთისწინეთები, რომლებიც სავსეა ლიებითა და ჭაობებით და ხელს უწყობს ციების გავრცელებას. გურიის დანარჩენი ნაწილი აჭარა-გურიის ქედის მთისწინეთია და ამიტომ ზოგიერთი ადგილის ან ტაფობის გამოკლებით, ჭაობს არ აჩერებს თავის ნიადაგში. თუ ამ მთისწინეთებში დროდადრო მძვინვარებს ციება, ეს, მგონი, უპირატესად იმის ბრალია, რომ არ იციან როგორ დაიცვან თავი მეტისმეტად ტენიანი ჰაერისაგან. ვისაც აქაური წვიმები არ უნახავს, ვერ წარმოიდგენს მათს ძალასა და ხანგრძლივობას: კოკისპირული წვიმები გრძელდება დღეობით და კვირაობითაც კი. თანაც აქ სწრაფად ენაცვლება ერთმანეთს სითბო და სიცივე. გურიაში, ისევე როგორც აჭარასა და ჩურუქ-სუში, ბარშიც და მთაშიც, მე გამუდმებით ვადევნებდი თვალს თერმომეტრს და აღმოჩნდა, რომ ერთსა და იმავე დღეს სინდიყი ხშირად მაღლა იწევდა და ეცემოდა 20-30 გრადუსი რეომიურით. გურიის ჰავის ძლიერი ტენიანობა ხელს უწყობს მდიდარი მცენარეულობის განვითარებას. გურიის ტყეები იმავე ჯიშებისაგან შედგება, რითაც კინტრიშის ხეობისა გამოირჩევა, ოღონდ ეს უკანასკნელნი აღემატებიან პირველთ სიხშირითა და სიდიდით. პურეული მარცვლოვანებიდან გურიაში თითქმის ერთადერთია სიმინდი და ღომი, რომლებიც საუკეთესოდ ითვლება შავი ზღვის მთელ სანაპიროზე. ხორბალი და ქერი ან ცუდად იზრდება, ან სულაც არ ხარობს. აქ ბევრი ჯიშის ვაზი ხარობდა და ყურძნის ხარისხით გურულებს მუდამ თავი მოჰქონდათ, მაგრამ, საუბედუროდ, თითქმის მთელი ვენახები დაიღუპა ვაზის დაავადებით, რომელიც, როგორც ამბობენ, 1853 წლიდან მძვინვარებდა.

ზუსტი სტატისტიკური ცნობების უქონლობის გამო, ჯერჯერობით არ შეგვიძლია სწორად განვსაზღვროთ გურიის მოსახლეობის რაოდენობა. გურიის ფართობი, რომელიც ამჟამად ოთხი — ჩახატაურის, ბახვის, გურიანთისა და ლანჩხუთის უბნისაგან შედგება, 1940

კვადრატული ვერსია, ხოლო სოფლების რიცხვი ოზურგეთის მაზრაში 594 უდრის, 24.2 კვადრატულ ვერსზე ერთი სოფელი მოდის. რაც შეეხება მცხოვრებთა რიცხვს საერთოდ, ამ შემთხვევაში აქ აღნიშნავენ: 1865 წლის ყოვლად ქვეშევრდომული ანგარიშით მამაკაცების რიცხვია 51 719, ქალებისა — 51 731; ქ. ქუთაისის სტატისტიკური კომიტეტის მონაცემებით: მამაკაცები — 51 889, ქალები — 46 590; პოლიციის ცნობებით: მამაკაცები — 54 334, ქალები — 49 142. გურიაში ყოფილ ყმა მოსახლეობას 70 პროცენტს ითვლიან. ე. ი. მეტს, ვიდრე იმერეთში, სადაც მაზრების მიხედვით უჩვენებენ: ქუთაისის — 56%, რაჭის — 67%, შორაპნის — 66%. გარდა ამისა. 1850 წლის 6 დეკემბრის კამერალური აღწერით უმაღლესი ბრძანებით გურიაში დამტკიცებულია 40 თავადის და 229 აზნაურის ოჯახი. უცხოელები ოზურგეთის მაზრაში არ არიან, გარდა (ოზურგეთის მაზრის უფროსის ანგარიშის მიხედვით) ორივე სქესისა — ქ. ოზურგეთში გრიგორიანელი სომეხი 7 კაცი, კათოლიკე სომეხი 14 და მაზრაში 81 მაჰმადიანი.[8] ეს მაჰმადიანები, რამდენადაც ცნობილია, გურიის სოფლებში აჭსა და ნაცხავატევში ცხოვრობენ, თუმცა თურქეთის ქვეშევრდომებად ითვლებიან. ასეა თუ ისე, არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ გურიის მოსახლეობა რუსეთის ხელისუფლების დროს სწრაფად გამრავლდა. თუ აღნიშნულ რიცხობრივ მაჩვენებლებს შევადარებთ, ერთი მხრივ, გიულდენშტედტისას, რომელიც XVIII საუკუნის დამლევს*[1] ახლანდელ გურიაში ჩურუქ-სუთურთ 5000 ოჯახს ასახელებს,[9] ხოლო, მეორე მხრივ, შევუფარდებთ ევეკის ციფრს, რომელიც 1836 წელს ოზურგეთის მაზრაში 31 067 მამრობითი სქესის სულს უჩვენებს,[10] მაშინ პირველი მაჩვენებლები მოწმობს გურიის მოსახლეობის მნიშვნელოვან პროგრესს, მოსახლეობისა, რომელიც მცირდებოდა ორივე სქესის ტყვეთა თურქეთში გამუდმებული გაყვანის გამო, რაც ფრიად აწუხებდა ჩვენს მთავრობას ჯერ კიდევ საქართველოს მთავარსარდლის თავად ციციანოვის[11] დროს და, შეიძლება ითქვას,

---

[8] См. в «Сборнике статист. свед. о Кавказе». 1869 г. т. I: Деятельность Кутаисс, статист. комис, 44. Разбор сведений о численности народон. Кутаисс. губ. за 1864 г., 15, 32 и Прил. к ст. 20. Ведомости со сведениями о владельцах и крестьянах Кутаисс. губ., №№ 1 и 5.

[9] География и статист. Описание Грузии и Кавказа, 368-372, იხ. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, თბილისი, 1962, გვ. 315. (რედ. შენიშვნა).

[10] Обозрение русских владений за Кавказом, 1836, I, 22.

[11] Акты Археограф. Комиссий, т. II. стр. 367, 378, 400-410, 424, 425, 471.

რომელიც არც ისე დიდი ხანია შეწყდა, რადგან დიუბუას დროს 1833 წელს ჯერ კიდევ გრძელდებოდა ფარულად.[12]

გურიის ძველი ისტორიისა ჩვენ ძალზე ცოტა რამ ვიცით. ვახუშტის სიტყვით, „მზღვრის ამას გურიას: აღმოსავლეთით მთა ფერსათი, სამცხე-გურიას შორისი და საჯავახოს შორისი, სამჭვრით ჭოროხის მდინარე და მთა მცირე, ფერსათიდამ ჩამოსული დასავლით, აჭარა-გურიის შორისი; ჩრდილოთ რიონი გურია-ოდიშს შორისი და დასავლით შავი ზღვა“.[13] გურია, როგორც ცალკე პროვინცია ამ სახელით პირველად ცნობილი ხდება მე-7 საუკუნის მეორე ნახევრიდან, გურიელი კი პირველად მოხსენიებულია რუსუდან მეფის დროს XIII საუკუნეში. XV საუკუნეში გურიელებთან პირველი ისტორიულად ცნობილი პიროვნებაა ვინმე კახაბერი, რომელიც, ქართული მატიანეების ჩვენებით, 1483 წელს გარდაიცვალა. კახაბერს წარმოშობით ვარდანიძის საგვარეულოს აკუთვნებდნენ. ეს გვარი თამარის დროიდან განაგებდა სვანეთის საერისთავოს, მეფე გიორგი ბრწყინვალის დროს XIV საუკუნეში მას ებოძა გურია, სვანეთში კი მის ნაცვლად გელოვანთა სახლი დაადგინეს.[14] გურიის ისტორიის შესახებ ჩვენი ცნობების სიმწირე უმთავრესად იმით უნდა აიხსნას, რომ გურია დღემდე არ ყოფილა გამოკვლეული არქეოლოგიურად. დიუბუა დე-მონპერემ ფრიად მცირე ცნობები მოგვცა: მისი ადგილობრივი ნარკვევებიდან მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებულია და ისიც მხატვრული მხრივ, შემოქმედის და ვაშნარის, ანუ როგორც იგი შეცდომით უწოდებს, უჯენარის, ნარკვევი. აკადემიკოს ბროსეს საქართველოში თავისი არქეოლოგიური ექსკურსიების დროს შემთხვევა არ ჰქონია ამ მხარეს სწვეოდა. ჩემი ახლანდელი მივლინების მიზანი იყო ამ ხარვეზის შევსება საქართველოს არქეოლოგიაში. ამ შემთხვევაში ჩემი პროგრამა იყო: შემომევლო გურია ზემოთ მითითებულ საზღვრებში; მომეხილა ყველა მისი ტაძარი და მონასტერი და გადმომეღო მათი წარწერები; გამესინჯა ყველა მისი ძველი ხელნაწერი და გადმომეწერა მათი ისტორიული მინაწერები; შემეგროვებინა რაც შეიძლება მეტი საეკლესიო და საერო სიგელ-გუჯრები, რომლებიც საქართველოს არქეოლოგიური შესწავლისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. მე წარმატების იმედი მქონდა და ეს იმედი, გავბედავ და ვიტყვი, არ გამცრუებია, თუმცა უნდა შევნიშნო, რომ გურიის არქეოლოგიურ

---

[12] Voyage, III, 126-129.
[13] აღწ. სამეფ. საქართ. 174.
[14] Hist. de la Géor., I, 142, 244, 410, 647 და 668; I livr., 252; ვახუშტი, 26.

გამოკვლევას დროზე რომ შესდგომოდნენ, შედეგები სამ-ოთხგზის უხვი იქნებოდა. ჩემს წარმატებებს გურიაში უნდა ვუმადლოდე როგორც ადგილობრივი სასულიერო თუ საერო ხელისუფლების, ასევე გურიის თავად-აზნაურთა წრიდან ყველაზე გავლენიანი პირების ქმედითს დახმარებას. განსაკუთრებით ბევრს დამეხმარნენ: ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსი გურიისა გაბრიელი და თავადები ვრიგოლ დავითის ძე და დიმიტრი ქაიხოსროს ძე გურიელები, რომელთაც თავს მოვალედ ვრაცხ ჩემი ღრმა მადლობა გამოვუცხადო.

თუმცა გურიის ფარგლებში ჩემი შესვლის დღეს დროდადრო წვიმა მასველებდა და დიდი ტალახიც იყო, გზები აქ აჭარა-ჩურუქსუსაზე გაცილებით უკეთესი აღმოჩნდა. ღამე ლიხაურში გავათიე და მეორე დილას საურმე გზით აჭში გავემგზავრე. როგორც ლიხაურამდე, ასევე შემდეგ გზა გადიოდა წაბლის, თხილის, მუხის, წიფლის, ცაცხვისა და ვაზმიშვებული მურყნის ხშირ ტყეებში. აქა-იქ გვხვდებოდა ურთხელი, ასევე ბზა, რომელიც უხვად ხარობს განსაკუთრებით ხევებში და რომელიც შეკვეთილიდან თურქეთში გაიქვთ. ღომისა და სიმინდის ხშირი ყანები სიმწიფეში შედიოდა. აქ პირველად ვნახე ღომისა და სიმინდის სხვადასხვა ჯიში. ერთი სახეობის სიმინდის სიმაღლე საჟენ-საჟენნახევარს აღწევდა. ღომი აქ ორი ბათმანი ანუ ერთი ფუთი 70 კაპიკი ღირს, როცა ძვირობაა — 1 მანეთამდე; სიმინდი — ბათმანი 25-30 კაპიკი, ძვირობისას — 60 კაპიკი. აქაური ვენახები, სანამ ავადმყოფობა შეეყრებოდა, იმდენ ღვინოს იძლეოდა, რომ ყოველ გლეხს წელიწადში სულ ცოტა 200-300 საწყავი ჰქონდაო (საწყავი — 12 მათარა).

სოფლები ლიხაური ჭანიეთითურთ, ქაქუთი, აჭი, ნაცხავატევი, კვაჭალათი და ნიაბაური ახლო-ახლოსაა აჭისწყლის დაყოლებაზე და ახლანდელი ადმინისტრაციული დაყოფით შეადგენს ერთ სასოფლო საზოგადოებას ერთი სასოფლო მმართველობით და ერთი სკოლით ლიხაურში, სადაც 40-50 ყმაწვილი სწავლობს. ამ სოფლებში მცხოვრებთა რაოდენობა ასეთია: ლიხაურში ჭანიეთითურთ — 140 კომლამდე, ნაცხავატევში — 7, ქაქუთში — 20, აჭში — 30, ნიაბაურში — 40, და კვაჭალათში — 60. მათგან 27 კომლი (20 აჭში და 7 ნაცხავატევში) ხინოელი და ქობულეთელი მუსლიმანებია. დანარჩენი მოსახლეობა, როგორც აქ, ისე, საერთოდ, მთელ გურიაში, მართლმადიდებელი ქრისტიანია. ამ სოფლების კეთილშობილ წოდებას შეადგენენ შემდეგი აზნაურთა გვარები — თაყაიშვილი, ბებურიშვილი და გოგოლიშვილი. აქ, ისევე როგორც აჭარა-გურიის ქედისპირა სოფლებში, მთლად უშიშრად ვერ გრძნობენ თავს.

არქეოლოგიური თვალსაზრისით საინტერესო აღმოჩნდა: ჭანიეთი, ქაქუთი, აჭი და ლიხაური, განსაკუთრებით ორი უკანასკნელი სოფელი. ჭანიეთსა და ქაქუთში ახალი ხის ეკლესიებია, აჭსა და ლიხაურში ძველი, ქვისა.

ქაქუთის ეკლესიისაა მოოქრული ვერცხლის მოჭედილობით შემოსილი მაცხოვრის ხატი, რომელზეც მოცემულია ამობურცული გამოსახულება ქრისტესი მთელი ტანით. ქვედა არშიაზე იკითხება:

ᲮᲜ : ᲭᲜ : ᲝᲮᲚᲨᲜᲐᲰᲐᲜ ᲚᲜᲜᲜ :

ხოლო ვერცხლის ფეშხუმზე: „ესე ფეშხუმი დიდებულ თავარანგელოზისა:. ჩვენ მოსამან მისმან:. გვეჭდნ: ჩვენ ბატონმა გურიელმან სვიმონ:. გმიჭედია მე პატასა ბოლქვაძეს მიქელი და გიორგის ხელობანიდან:.“ არც ერთ ამ წარწერას არ უზის ქრონიკონი, მაგრამ ვვარაუდობ, რომ პირველი წარწერის პირი სწორედ ის გიორგი თაგდირიძე უნდა იყოს, რომელიც თვალსაჩინო როლს ასრულებდა XVII საუკუნის დასასრულს გიორგი III გურიელის დროს და რომლის შესახებაც დაწვრილებითს ცნობებს გვაწვდის მისი ეპიტაფია მაცხოვრის ეკლესიაში; მეორე წარწერის პირი, სვიმონ გურიელი, უეჭველია, გიორგი IV გურიელის შვილი და უკანასკნელის წინა მამია V გურიელის მამაა, რომელიც XVIII საუკუნის მიწურულს ცხოვრობდა. ბოლქვაძეები ახლა აზნაურები არიან გურიანთაში და გლეხები სოფელ ლიხაურში.

ჭანიეთის მთავარანგელოზთა ეკლესიის ხატებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ღვთისმშობლის ძველებური ხატი, რომელიც მოოქრული ვერცხლითაა მოჭედილი და არშიები წვრილადაა მოჩუქურთმებული. მასზე წარწერილია:

ᲮᲐᲜ : ᲐᲜᲥᲣᲠᲔ ᲐᲜᲥᲘᲚᲔ ᲭᲜᲐᲔᲘᲡ — ᲬᲐᲒᲔ ᲭᲔ ᲡᲐᲬᲔᲘᲠᲔᲒᲔᲠᲔ ᲭᲜᲭᲣᲠᲔ ... ᲬᲔᲜᲒᲘᲜ ᲙᲐᲠᲬᲭᲔ...ᲬᲜᲒ ᲭᲔ ᲭᲔᲠᲔᲒ ᲐᲜᲥᲣᲜᲔ ᲚᲜᲡᲐᲒᲔ ᲪᲐᲬᲜᲜᲔ ᲜᲪᲐᲠᲔᲒᲜᲣᲠᲔ : ᲭᲜᲐᲨᲮᲐᲜᲭᲜ : ᲭᲐᲨᲘᲔᲜᲜ : ᲡᲜᲜ. ᲜᲜ..... ᲔᲐᲜᲜᲜᲔ Ნ...ᲬᲨᲥᲭᲨᲜᲔᲠᲔ : ᲘᲒᲔ , ᲐᲠᲜᲜᲔ , ᲚᲔᲜᲨᲥᲨᲥᲜᲔ : ᲐᲬᲜᲠ , ᲐᲔᲒᲨᲜᲠᲔᲜ : ᲭᲜᲜᲐᲜᲔ , ᲜᲠᲜᲜᲔ, ᲚᲔᲜᲔᲜᲜᲭᲔᲒᲭᲠᲔᲭᲭ ᲔᲨ , ᲔᲒ ᲜᲪᲜᲔᲭ : ᲐᲠᲝᲭᲔ ᲚᲜᲭ ᲘᲒᲭᲔ : ᲘᲭᲭᲔᲒᲐᲭ ᲮᲭ ᲜᲔᲪᲜᲨᲭᲔᲒᲨᲐᲠᲔ ᲠᲨᲐᲠᲔᲨᲭᲐᲠᲔ ᲠᲨᲭᲐᲨᲭᲨᲐᲠᲔ ᲐᲜᲨᲜᲐ ᲭᲜᲭᲐᲨᲭᲨᲐᲠᲔ ᲐᲜᲨᲭᲔᲒᲔ :

ამ წარწერის დაწვრილებითი შინაარსის გადმოცემა ძნელია, მაგრამ მისი ზოგადი აზრი შემდეგია:

ამ ხატს, როგორც ჩანს, ტარზე აგებდნენ სატარებლად, დროშის სახედ, შეიძლება ჯარის წინ ან ჯვრით სვლისას. უცნობია, რომელ ეკლესიას შესწირეს. მხოლოდ ეტყობა, იგი ისევე შემთხვევით მოხვდა ჭანიეთში, როგორც ფეშხუმი ქაქუთში, და თავდაპირველად ალბათ ჭანიეთის წმ. მთავარანგელოზთა ეკლესიას ეკუთვნოდა. ხსენებულმა წარწერამ მომაგონა შინაარსი მთავრის სვანეთში ფხოტრერის იმ წარწერისა, რომელიც 1860 წელს გადმოვიწერე და რომელშიაც ლაპარაკია ჭანიეთის წარწერის რუსუდანზე. რუსუდანი XII საუკუნეში ცხოვრობდა, იყო დავით აღმაშენებლის ძის, აფხაზ-ქართველთა მეფის დიმიტრი I ასული, და დავით III-ისა და გიორგი III-ის და, სახელგანთქმული თამარ მეფის ღვიძლი მამიდა, ერთხანს ცოლად ჰყავდა ხორასნის სულთანს, რომლისგანაც, სხვათა შორის, შვილი არ ჰყოლია.[15]

ამ სოფელში პატარა მინდორზე, რომელსაც დღემდე ემჩნევა ირგვლივ შემოვლებული ღრმა თხრილის კვალი, მაჩვენეს მასიური ქვის ფილა. მისი სიგრძეა 1 საჟენი, განი 2 არშინი ერთ თავში და $1^1/_4$ არშინი მეორეში, სისქე 7 გოჯია. იგი ეყრდნობა მიწაში ჩასობილ ოთხ დაბალ სვეტს, რომლებიც თვით ქვისგანაა გამოთლილი. ქვის ირგვლივ არშიის გაყოლებით არის ნახევრად გადასული წარწერა: ქ: ეს ქ.· ე.... ყენა ggი ჩაბია შენდე, ღმთო" (ეს ქვა დააყენა გიორგი ჩაბიამ. შეუნდე ღმერთო). ვინ იყო ეს ჩაბია, არ იციან, თუმცა ამ მინდორს, სადაც ქვა დგას, დღემდე ჩაბიასეულს ეძახიან. გარდა ამისა, ეს გვარი, როგორც მარწმუნებდნენ, ახლა გურიაში არ გვხვდება, მაგრამ საინტერესოა, რომ ერთ სიგელში, რომელშიც მამია III გურიელის (+1714) და გიორგი IV (+1726) დროს ბეჟან ნაკაშიძეს მიუცია გაბრიელ თაყაიშვილისათვის და რომელიც მე ლიხაურში მოვიპოვე, „ჩაბიასოულ" მამულს, რომელიც ჯერ კიდევ განსვენებული გურიელის დროს დაუთმო მას (მოგაქრთამა) და შემდეგ წაართვა, ახლა ის, ბეჟანი, კვლავ უბრუნებს მას. აქ, უეჭველია, ლაპარაკია ჩვენს ჩაბიასეულზე, რომელიც ჯერ კიდევ XVIII საუკუნის დამდეგს ბაითალამი ყოფილა.

აჭის ეკლესია მდებარეობს 3-4 ვერსზე ჭანიეთიდან და 14-15 ვერსზე ოზურგეთიდან, სანისლობის მთის ძირში, აჭისწყლის მარჯვენა ნაპირზე. იგი შემაღლებულ ბაქანზე დგას, ერთ მხარეზე ხრამი აკრავს, რომელიც მდინარეზე ეშვება, მეორეზე — გრძელი თლილი

[15] Hist. de la Géorg., 395, 402, 403, 413, 421 და 422. „Сванетия" в запис. Кавк. Отд. Рус. Геогр. Общ. кн. VI, стр. 66.

ქვის კიბე ეკლესიის ეზოში ასასვლელად. ეკლესიის შენობა იმდენად დაუზიანებია ჟამთასვლას, რომ ბიჯგები აქვს შეყენებული. იგი გარედან შემოსილია საგულდაგულოდ გათლილი პორფირითა და ნიჟარისებრი კირქვით. ეს შენობა გეგმის მიხედვით სხვა არაფერია, თუ არა კვადრატი. მისი სიმაღლე 3 საჟენამდეა. აღმოსავლეთითა და დასავლეთით წესიერი ფრონტონები აქვს, რომელსაც კიდეებზე, ისევე როგორც მთელ შენობას ირგვლივ, ღარისებრი ლავგარდანი გასდევს. მისი ფანჯრები და სვეტებიანი ჯვარი აღმოსავლეთის ფასადზე დაფარულია საკმაოდ ღვარჭნილი, ფაქიზად ნაკეთები ჩუქურთმით, რომელიც, როგორც აღმოჩნდა, ერთი საუკეთესოთაგანი ყოფილა მთელ გურიაში. ეკლესიის მოცულობა დიდი არ არის: შიგნით სიგრძე 12 არშინია, სიგანე — 6. მას წინათ სამხრეთით კარიბჭე ჰქონია და ქვის ჩუქურთმიანი კანკელი, რომლის ნაშთი ამჟამად გამოყენებულია კვარცხლბეკად საკურთხევლის აღსავლის კარების შესასვლელში.

როდის აშენდა აჭის ეკლესია, არ ვიცით; ყოველ შემთხვევაში ძალზე ძველად უნდა მივიჩნიოთ გურიაში. იგი გიორგი მთავარმოწამის სახელობისაა. შიგნით სულ ერთიან დაფარულია ტლანქი ჭრელი მხატვრობით, მეტწილად ბერძნული წარწერებით. მის ფრესკებს შორის მოხსენიებულია ვიღაც „ონისიმე ტრაპიზონელი“, ალბათ, მხატვარი. აჭის ფრესკებიდან განსაკუთრებული ყურადღების ღირსია დასავლეთის შესასვლელიდან მარცხნივ: ჭაღარა წვეროსანი

მოხუცი, რომელსაც ასეთი ფორმის თეთრი ქუდი ჰხურავს, და მის გვერდით ბავშვიანი ქალია; მას ისეთივე ქუდი ახურავს, აცვია საკინძიანი პერანგი, ზემოდან ჯუბა, ახლანდელი ბეწვმოვლებული ქართული ქათიბის მსგავსი. შეიძლება, ეს ფრესკები თვითონ მშენებლებისა იყოს, მაგრამ, სამწუხაროდ, მათი სახელები წარწერებში გადასულია. წარწერიდან მხოლოდ ერთი რამ შეიძლება დავასკვნათ — ეს მამაკაცი და ქალი ცოლ-ქმარია. აი, რა სახითაა

შემონახული ეს წარწერა: ᲩᲘ ᲥᲜ ᲐᲢᲐᲠ

Ქ.. ᲩᲘᲠ.... ᲜᲩᲡᲔ ᲨᲔ ᲐᲢ Ე

ეკლესია ხატებით ღარიბია. მათგან ჯვარცმის ხატს, რომელიც ამობურცული ვერცხლის მოჭედილობითაა შემოსილი, ზურგზე აწერია:

Բ. ՀԵՇԱ ՏԷԱ ՅՊ ԱՆ ԲՆԲՇՀՈՒՆ ՆԱՆԿ
ԻԲ ՂԲԷԿԵԷ ԷԷՆ ՊՐ.Պ

წმ. გიორგის საეკლესიო ხატი მოჭედილია მოოქრული ვერცხლით, ზედ რელიეფურად გამოსახულია მთავარმოწამე, რომელიც გველეშაპს გმირავს. ხატის ზურგზე წარწერილია „ქ: ეშა:. შენ:. მბნეო:. ახოვანო:. შვიდ:. წილ:. უძლეველო:. დიდო:. წმინდაო:. გიორგი:. ჩვენ:. ცვა:. ფარვათა:. შენთა:. მონდობილმან:. თაყაისშვილმან:. იოსებ:. ვიგულეთ:. და ვიგულ:. მოდგინეთ:. ძველი:. ესე:. ხატი:. განვახლეთ:. სულისა:. ჩვენსა:. საოხად:. და დღესა:. მას:. განკითხვისასა:. წინაშე:. ქრისტესა:. რათა:. მეოხ:. მექნას:. ამინ:. ქორონიკონსა ჩღეგ“ (1763).

ცალკე: ქ:. ღმერთო:. მოიხსენე:. მხატვარი:. იობ:. და:. ოქრომჭედელი:. გრიგოლა:.

ეკლესიის შუაგულში პატარა ნახევრად მრგვალ ქვაზე, რომელიც სამოციქულოს მკითხველის კვარცხლბეკად იხმარებოდა, შემორჩენილია უსახური ნაკაწრები, რომელიც დაკვირვების შემდეგ ასეთი ეპიტაფია აღმოჩნდა:

ՔԱ ՂՆ ՅՊ ՔՇ ԱՆ ԲՆ ՆԱՆԿ.

ეს ქვა და თვით წარწერაც ძალზე ძველია და მასში ნახსენები იოსები აჭის სხვა წარწერების იოსებზე ძველი უნდა იყოს.

სოფელ აჭის მღვდელი მარწმუნებდა, თითქოს აჭის ეკლესიას ჰქონოდეს ვარდან და გიორგი გურიელების მიერ უძრავი ქონების ბოძების ძველი სიგელები, მაგრამ ამ ქონებას მათ ქაიხოსრო თაყაიშვილი ეცილებოდა, ეს საბუთები მას ჩაუვარდა ხელთ და დამალაო. აჭის ეკლესიას უძრავი ქონება რომ ჰქონდა, ეს სხვა სიგელებიდანაც ჩანს. ერთ მათგანში, რომელიც განსაკუთრებით საინტერესოა და რომლის პირი თავად გრიგოლ გურიელის ოჯახში ვნახე, — დედანი სახამართლო საქმეებში აღმოჩნდა, — გურიელი ქაიხოსრო I, რომელიც XVII საუკუნეში ცხოვრობდა, დაწვრილე-

ბით მოგვითხრობს, როგორ დაესხა მას გურიაში ვამეხ დადიანი და შემდეგ მასზე გამარჯვების გამო აჭის წმინდა გიორგის სწირავს სამ კომლ გლეხს, ამასთან ამტკიცებს წინანდელ შეწირულ ტყესა და წყალს. ამ სიგელში ქაიხოსრო აჭის ეკლესიას თავის სასაფლაოს და საწინამძღვრო მონასტერს, ხოლო მის წინამძღვარს იოსებ მეიერუსალიმეს უწოდებს. (იხ. ეს სიგელი და მისი ანალიზი II დანართში).

სწორედ ამ იოსებს იხსენიებს მეორე სიგელი, რომელიც თაყა სალუქაძისათვის უბოძებია „ჩრდილოსა და აფხაზეთისა კათალიკოსს შემოქმედელ ნევსაძეს, პატრონ დავითს". აჭის მონასტერი, ნათქვამია სიგელში, რომელიც ძველთაგანვე თქვენი სახლისთვის უბოძებიათ გურიელებს, ახლა წინამძღვარ იოსებს უჭირავს. მისი გარდაცვალების შემდგომად ამ მონასტრის წინამძღვრობა შენთვის და შენი შვილისათვის — მონაზონ ნიკოლოზისათვის მიბოძებიაო. დავით ნევსაძე, ანუ უფრო სწორად ნემსაძე, გურიაში ჩნდება ქაიხოსრო I-ის მემკვიდრისა და შვილის გიორგი III დროს, რომელიც 1684 წელს გარდაიცვალა.[16]

გურიელი გიორგის (+ 1726 წ.) და დედამისის ელენეს, აბაშიძის ქალის, სიგელით წინამძღვარ ნიკოლოზ თაყაიშვილს ებოძა დიაკონი გაბრიელ პატიასშვილი.

გურიელი მამია IV, რომელიც XVIII ს. პირველ ნახევარში ცხოვრობდა, სიგელით წინამძღვარ იოსებ თაყაიშვილს ათავისუფლებს ფულადი ბეგარისაგან — „სალიანისაგან".

გურიელი მამია III (+ 1714 წ.) შვილის შემოქმედელ მიტროპოლიტის ნიკოლოზის სიგელით წინამძღვარ იოსებ თაყაიშვილს ებოძა „რუსიეშვილის სოული ქონება. ეს იოსებ თაყაიშვილი, როგორც ვნახეთ, შემდგომში შემოქმედელი იყო, 1794 წელს გარდაიცვალა".

ამრიგად, აჭის მცირე წარწერების გურიის სიგელებთან შეპირისპირება ცხადყოფს, რომ აჭის მონასტრის წინამძღვრებად თანამიმდევრულად ყოფილა სამი წევრი სალუქაძე — თაყაიშვილის გვარებიდან: იოსებ მეიერუსალიმე (მას, რასაკვირველია, ასე იმიტომ ეწოდა, რომ იერუსალიმი მოილოცა), რომელიც ქაიხოსრო I და გიორგი III გურიელების დროს ცხოვრობდა, გიორგი I გურიელის დროინდელი ნიკოლოზი და იოსები, შემდგომში შემოქმედელი. მაშასადამე, აჭის 1763 წლის წარწერა გულისხმობს უკანასკნელ იოსებს, ხოლო ეპიტაფიანი საფლავის ქვა იოსებ მეიერუსალიმეს

---

[16] დავით ნემსაძის შესახებ იხ. Hist. de la Géorg., II, 1 livr., 280; II, 2 livr., 439, 440.

ეკუთვნის. თაყაიშვილები ახლა, როგორც აღვნიშნეთ, აზნაურები არიან აჭის მეზობელ სოფელ ლიხაურში.

ლიხაურის ეკლესია ოდნავ შემაღლებულზე დგას, იმავე სახელწოდების სოფლის შუაგულში, ლიხაური ოზურგეთიდან 7 ვერსითაა დაშორებული, ეკლესიის შორიახლოს კბოდოვან პორფირის თხემზე აღმართულია მასიური ციხე, რომელსაც ლამაზად შემოხვეოდა სურო, და რომელიც ისევე გამოიყურებოდა, როგორიც იხილა იგი 1832 წელს ფრანგმა მოგზაურმა დიუბუა დე მონპერემ,[17] ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ციხე უკაცრიელია და ფრიალო კლდეებზე უნდა აბობღდე, შესასვლელთან ჩვენი რაზმის მიერ თურქეთთან უკანასკნელი ომის დროს მიტოვებული ბრინჯაოს ზარბაზანი გდია. ლიხაურის ეკლესიის ეზო საკმაოდ ვიწროა, მას მხოლოდ ერთი მხრიდან იცავს ქვის გალავანი, რომელშიც დატანებულია თლილი ქვით ნაგები ოთხკუთხიანი სამრეკლო. მას ხის სახურავი აქვს, რომელიც ოთხ, ძალზე მსხვილ ქვის სვეტს ეყრდნობა. მის ქვეშ ორი ზარია, ერთი ძველია, თუჯისა, უენო და უწარწერო, მეორე ახალი, ბრინჯაოსი, იგი, უშნო წარწერის მიხედვით, ვინმე თითაძეს შეუწირავს. სამრეკლოს ორივე ფასადი, ეკლესიისაკენ პირშექცეული და გარეთაც, ყურძნის მტევნებისა და ხის ფოთლების სახეებითაა მოჩუქურთმებული. აქ გარეთა მხრიდან, ღარისებრი ლავგარდანის ქვეშ, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მოჩუქურთმებული ოთხქიმიანი, ქვემოთ წამახული ჯვარი და მის ქვემოთ ძალზე კარგად გასარჩევი წარწერა:

Ⴑ ᲮᲜ ᲧᲨ ᲩᲣ ᲠᲨᲜᲡ
ᲰᲦᲣᲧᲢᲣ ᲮᲢᲫᲣᲢ
ᲢᲜᲡᲩᲣ ᲭᲢ ᲥᲤᲜ ᲢᲣᲮᲢᲜ
ᲨᲩ ᲨᲨᲣᲪᲩᲢᲜ Ტ
ᲢᲩᲢ ᲩᲰᲜᲩ ᲨᲩ ᲜᲩ.

ქვემოთ, მარჯვნივ ოთხქიმიანი ჩუქურთმებიანი ჯვარია, უწარწერო.

თვით ეკლესიის შენობა იმავე ქვითაა ნაშენი, რითაც სამრეკლო. იგი კვადრატის ფორმისაა აღმოსავლეთ ნაწილში ხუთწახნაგიანი ნახევარწრით. ამ ნახევარწრეს დატანებული აქვს სამი ვიწრო ფანჯარა, რომლებიც საკმაოდ საგულდაგულოდ არის მოჩუქურთმებული,

[17] Voyage, III, 101-105.

დასავლეთიდან ეკლესიაზე მიშენებულია კარიბჭე. ეკლესია ღვთისმშობლის სახელობისაა. მისი სიგრძე 5½ არშინია, განი სამ საჟენამდე. შიგნით კედლები ტლანქადაა მოხატული. მისი ფრესკებიდან საინტერესოა ოთხი პორტრეტი ერისკაცებისა, რომლებიც ტანსაცმლითა და ქუდით აჭის ეკლესიის პორტრეტებს მოგვაგონებს. სამწუხაროდ, ფრესკები სანახევროდ გადასულია და მათი წარწერები სრულიად გამქრალა. აქ ინახება ორი ძველი ქართული ხელნაწერი: ერთი ასომთავრულ-ხუცურით ნაწერი ოთხთავი თავ-ბოლონაკლული, მეორე — ქაღალდზე ხუცური ასომთავრულით ნაწერი ჟამნი.

ლიხაურის ეკლესიის ხატებიდან განსაკუთრებული ყურადღების ღირსია:

1) წმინდა იაკობის ხატი, ძალზე ძველი, რადგან მისი გამოსახულება ხეზე აღარ ჩანს. მის ოქროს მოჭედილობაში ირგვლივ ჩასმულია 6 ხოშორი მარგალიტი, ხოლო მეორე მხარის ოქროსავე გარსამოსზე იკითხება (იხ. დანართი V, № 1) წარწერა:

ᲘᲐᲙᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲐᲛᲔᲑᲐ ᲛᲝᲡᲐᲬᲘᲚᲘᲡ
ᲡᲔᲡᲐᲛᲔᲑᲐᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ
ᲡᲘᲛᲔᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲚᲔᲑᲐ ᲐᲛᲐᲠᲘᲡᲐ ᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲛᲝᲜᲐ ᲐᲠᲘᲡᲔᲑᲐ ᲜᲘᲜᲐ ᲬᲐᲕᲘᲗᲐᲜᲘᲡ ᲐᲒᲠᲔᲑᲐ
ᲜᲘᲠᲘᲗᲘᲡ ᲐᲝᲐᲜᲔ ᲐᲡᲡᲘᲜᲘᲗᲔ ᲓᲔᲠᲗᲘᲗᲔᲡᲘᲡ ᲐᲜᲘᲡ
ᲐᲠᲗᲐᲕᲘᲗᲘᲠᲘᲡᲔ ᲔᲡᲐᲕᲘᲗᲔᲡᲔ ᲠᲔᲠᲗᲘᲗᲔ ᲠᲔᲠᲠᲘᲡᲔᲡ ᲔᲠᲘᲡ
ᲫᲠᲘᲡᲔ ᲐᲐᲙᲘᲜᲔᲗᲔ ᲡᲐᲕᲘᲗᲘ.... ᲡᲘᲗᲔᲑᲘ...

2) ხატი სიგრძით 8½, განით 6½ გოჯი, 9 თვალი უზის, მის ვერცხლის მოჭედილობაზე რელიეფურად გამოსახულია სახე ღვთისმშობლისა ხელში დაუსაბამო ჩვილით. ქვედა არშიაზე იკითხება წარწერა (იხ. დანართი V, № 2):

Ი . Ა . ᲙᲑ . ᲠᲐ . ᲐᲒᲐᲠ ᲑᲔ ᲛᲘᲗᲘᲗᲔ . ᲒᲘᲐ ..
ᲡᲠᲘᲐᲠᲘᲡᲔ . ᲙᲠᲙᲐᲡᲘ . ᲑᲔ . ᲐᲡᲡᲔ . ᲐᲠᲔᲡᲔ . ᲒᲘᲝᲜᲘᲡ
ᲘᲠᲘ . ᲑᲔ . ᲐᲡᲡ . ᲐᲫᲒᲘᲒᲘᲙᲔᲡ... ᲘᲡᲑᲔ... ᲐᲡᲐᲠᲘᲗᲘᲒ

ამ ხატის ზურგზე გაშავებული ვერცხლის გარსამოსზე წერია:

Ի ։ ՇՊՇԷԱ ։ ՈՒՆԷԱ ՀԱՈԱՎ ։ ՇԷ ՀՎԷՀԻՊՊԼ ։
ՊԵԲՊԲ ։ ԿՇԿԷ ՇՊՀՊԲՀՊ ՀԷՏԱԲԷՀՒՆԷԿԷ ։
ՇՈՊԿԷ ։ ՀԷԿ ։ ՂԷԲԿՒՆԻՎԻՆԿԷԿԷ ։ ՊԿՊ ՆԱՀԿՒՆԿԷ ։
ԴՊՀԱԱԿԻՆ ՀՒՆՒՆ ։ ՆԿԱ ։ ՇՊԿԷԲԱՆԿԷ ։ ՂՇՊՒ ։
ԺԷՀՅԿԷ ։ ՇԷՀՊԱՈՒԲՊԿԷ ։ ՀՒՆԿԷ ։ ՂԱԴՇՇԷՀԱԿ ։ ՅԲԿ
ՈԲ ։ ՀՊԿԷ ։ ՀՒՆԷ ։ ՆԿԷՀՒԱԲԿ ։ ՇԷ ՀՊԱՈՊՊԿԷ ։
ՀՒՆԿԷ ։ ՅԲ ։ ՈԲ ։ ԷՀԷ ։ ՆԱՀՊՂՒՆԷ ։ ՀԱՏՊՇՊՒՆ ։
ՀԱՀՏՒՀԲԿԷ ։ ՇՊԿԷԲԱՆԿԷ ։ ՆԷՀԷՀՒՀՒԷ ։ ԺԷՀՅԿԷ ։
ՇԷ ՀՊԱՈՊՊԿԷ ։ ՀՒՆԿԷ ։ ՊՊՒՆԷՂԿՊՇԿ ։ ՅԲԿ ։ ՈԲ ։
ԿՊԿԷ ։ ՀԷՇՊԿ Կ.Ա.Կ.Ա.ԿՊԷԿՀՀՊԿԷ ։ ՇԷՀՊԱՈՊԿՊԿԷ ։

ՀՒՆԿԷ ։ ՆՀՒԲՊԿ ։ ՇԷ ՀՊԿԷ ։ ՀՒՆԿԷ ։ ՒԲՊ ։ ՅԲԿ ։
ՈԲ ։ Ա.Ի.Հ.Ա ։ ՀՏՊՇՊՊԿԷ ։ ՀՒՒԷՊՊ ԲԱԴԿՀՊԿ ։
ՇԷՀԱՈՊԿՊԿԷ ։ ՀՒԿԿԷ ։ ՅԲ ։ ՈԲ ։ ԿՊԿԷ ։ ՀԱՀՈ-
ՊԷՀԿ ։ ՒԲՊ ԿՊՀԷՀՊԿԷ ։ ՅԲԿ ։ ՈԲ ։

3) Մշրջ սաղկլեսիոյ խաչ ղեթիսմշոնբլոսա, մոոմքրուլ ոերցխ-
լոթ շեֆեդոլ, նաֆլոլանոլ, թորմեթլ թոլլոթ, մաթգան սամ ֆի-
ռուֆ եա սամ լալոլա. խաչ ֆասոեոնեբուլոա թոլլեբոանք ոերցխլոլ
կուբոշոլ եա սասֆաուլմոքմեդաք ոթոլլեբա. մասֆ ոֆոցեբեդնոնք եա ոֆո-
ցեբոնք. ոգոլ ցնոմբոլոա քոգորք „սաֆարոլ“, մոլ կուբոֆ շոմեդոգ
ֆարֆոլեա:

Ի ։ ՈԱ ։ ՇԷՀԷՆԷՀԱՀԱՀԷ ։ ՈՒՆ ։ ՀՅԿՊԲԱ ։ ԷՇՒՇՊ
ԱՀՎԷԷԴՊ ։ ՅԷ ։ ԱԷՀԿԷՎԷ ։ ՂԱՀՒՊՊՒ ։ ՂՒ ։ ՇՎՒՆ ։
ՊԵՊԲՊ ։ ՇԷ ։ ՀՊԲՒ ՀՇՒ ։ ՇԷ ԷՀՒԼ ։ ՅՊՀՀԿԿԲԷՀԷ ։
ՇԷԿԱՇՊԿԱՈՊԵՀԷ ։ ՀՀՀՀԼ ։ ԼԼՎԴՊՊՒ ։ ԱԷՎԷ ։ ՇԷ-
ԱՀԿՎՒՇԷՀՊ ։

4) Մշրջ խաչ մաշեոոյրոլսա խոլ կուբոշոլ. մոլ ֆյքանա ոերցխլոլ
գարսամոսֆ ոլմաֆոլ ֆարֆոլեա (ոֆ. դանարթոլ V, № 3).

Բ. ԷՊԼՇԷ ։ ԷՀՒԱՇԷՀԷ ։ ԷՀՒԼՒՀԷ ։ ՈՀՀՀՀՒՒՀԷ ։
ՀՀՒՒՀԷ , ԱԷԲԲԷՀՒԱ։ ՈՀՀՀԱ ։ ՀՒԱ ։ ՒԳԼԱ ։ ԲՒԱՇՒ ։

[illegible] : [illegible] : [illegible] : [

ლებით ადრე, [21] სახელდობრ გურიის მფლობელ მისი სეხნია კა-ხაბერის დროს, 1352 წელს აშენდა ლიხაურის ეკლესია, ხოლო გი-ორგი გურიელისა და მისი მეუღლის ელენეს დროს 1422 წელს აი-გო ლიხაურის, ანუ რეხეულის სამრეკლო. შემდგომში ჩვენ არა-ერთგზის შევხვდებით ამ გურიელს ცოლ-შვილითურთ, ისევე რო-გორც ვარდანიძეთა ჩვენთვის უცნობ სხვა უძველეს წარმომადგენ-ლებს გურიაში, რომლებიც თავის თავს ხან სვანეთის ერისთავებს უწოდებენ, ხანაც გურია-სვანეთის ერისთავებს. და რაკი ამ საგანზე კიდევ ვისაუბრებთ, საჭიროდ აღარ მიგვაჩნია აქ სიტყვა გავაგრძე-ლოთ.

ჩვენ არ ვიცით, სახელდობრ როდის ცხოვრობდნენ ის პირები, რომლებზეც მოგვითხრობს ღვთისმშობლის ხატის ზურგის წარწე-რა. აქ შეგვიძლია მხოლოდ ვთქვათ, რომ მაჭუტაძეები ახლა ნიგო-ითში ცხოვრობენ, ჯაშები ქობულეთსა და ბასილეთში, ბაბუყვაძენი შემოქმედში, წულაძენი ჭანჭათში, ხოლო ბერიძეები ქაქუთსა და გურიანთაში და რომ პირველნი თავადები არიან, მეორენი აზნაუ-რები და გლეხები, დანარჩენები კი ყველანი გლეხები. რაც შეეხება „დიდი სახლთუხუცესის ბექას ძეს, სამცხის ათაბაგსა და სპასალარს შალვას“, არავითარი ეჭვი არ არის, რომ იგი მესამე შვილია ზემო ქართლის ანუ სამცხე-საათაბაგოს იმ მთავრისა, რომლის ძლიერე-ბასა და გავლენას ასეთი მკაფიო ფერებით გვიხატავს ქართული მა-ტიანე და რომელიც გარდაიცვალა ვახტანგ III-ის ან გიორგი IV-ის მეფობაში 1306 ან 1308 წელს. თუმცა, კაცმა რომ თქვას, შალვა არც ყოფილა ათაბაგი, მაგრამ თუ გავიხსენებთ, რომ იგი თავის უფროს ძმებთან, სარგისსა და ყვარყვარესთან ერთად ფლობდა „სრულიად სამცხესა და კლარჯეთს“,[22] გასაგები გახდება, თუ რა-ტომ თვლიდა იგი თავს უფლებამოსილად ათაბაგად და სპასალარად წოდებულიყო. ამასთან, ვფიქრობ, შალვას წარწერიანი მაცხოვრის ხატი თავდაპირველად სამცხე-საათაბაგოს რომელიმე ტაძარს ან მონასტერს ეკუთვნოდა და აქ ისევე მოხვდა, როგორც შემოქმედის მრავალი სხვა მნიშვნელოვანი ხატი, ათაბაგების სამფლობელოში მუსლიმანური რელიგიის გავრცელების დროს.

ლიხაურის წარწერების გარჩევას რომ მოვრჩი, იმ სიგელ-გუჯ-რების გადათვალიერებას შევუდექი, ლიხაურში კერძო პირთა ხელში

---

[21] ამასთან მხედველობიდან არ უნდა გამოგვეპაროს, რომ თვითმხილველის, ფინარეთის ერთი ტრაპიზონელი ქრონიკის ავტორის სიტყვით, 1373 წლის დამ-დეგს ტრაპიზონის მეფეს კირ-ალექსის საჩუქრებით შეხვდა ბათუმში რომელი-ღაც გურიელი. სამწუხაროდ, მისი სახელი არ არის მოხსენიებული. **Hist. du Ras-Emp., XX, 501-502.**

[22] **Hist. de la Géor., I, 590, 621-622.**

რომ აღმოჩნდა. აქ უპირველეს ყოვლისა უნდა შევნიშნო, რომ აჭის მღვდლის სიტყვები ქაიხოსრო თაყაიშვილზე თითქოს დადასტურდა, ვინაიდან ლიხაურში ბევრმა მითხრა, მის ოჯახში არის ძველი და მნიშვნელოვანი საბუთები, მაგრამ მათი ნახვა თითქმის შეუძლებელია, რადგან ისინი პირდაპირ ამხილებენ განსვენებულ ქაიხოსრო თაყაიშვილს, მგონი, საეკლესიო უწყებასთან ადგილ-მამულის თაობაზე დავაშიო. როგორც შემდგომში შევიტყვე, ასეთივე ბედი ეწია ყველა, რასაკვირველია, გურიის ისტორიისათვის უფრო მნიშვნელოვან შემოქმედის დ ა ვ თ რ ე ბ ს, რომლებიც ერთ კერძო პირს გადაუმალავს. ასეა თუ ისე, ქაიხოსროს ოჯახში, სადაც ფრიად გულითადად მიმასპინძლეს, მე ვერაფერს გავხდი, მაგრამ სხვა თაყაიშვილებმა ადვილად გამაცნეს თავისი სიგელ-გუჯრები. მე გადმოვიწერე ისინი, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მეჩვენა. ერთი მათგანი გაუცია ვახტანგ გურიელის (რომელიც 1587 წელს გარდაიცვალა) ცოლს, ათაბაგის ასულ თეკლეს; სამი — გიორგი III გურიელს (+ 1684.); ერთი — მამია III გურიელის (+ 1714 წ.) ცოლს, აბაშიძის ასულ ელენეს; სამი — გიორგი IV გურიელს (+ 1726 წ.) დედასთან, იმავე ელენესთან, და თავის ცოლთან, შარვაშიძის ასულ მარიამთან (იგი დასახელებულია ერთ სიგელში) ერთად; ერთი — ბოქაულთუხუცეს გიორგი თაგდირიძეს, ქაიხოსრო I გურიელის (+ 1658 წ.) სიძეს, ხოლო ერთი — შემოქმედელ არქიეპისკოპოს იოსებ (იაკობ) დუმბაძეს, რომელიც მთავრის მამია III გურიელის დროს ცხოვრობდა. ფრიად საინტერესოა ერთი ნაცრისფერი ქაღალდის ფურცელი, რომელსაც აშკარად ეტყობა ცეცხლის კვალი და რომელზეც გადმოცემულია სრული საბრალდებო აქტი ეგრეთ წოდებული შანთით გამოცდის დროს. მე ქვემოთ შევეხები ამ შესანიშნავ ნაპოვნს, ამასთან მას დავურთავ დედანში.

ლიხაურიდან ოზურგეთში წავედი, იქ ერთ კვირას დავისვენე და შევუდექი კვლევა-ძიებას შემოქმედის მონასტერში, რასაც ზუსტად 5 დღე მოვანდომე. შემოქმედი მდებარეობს მდ. ბზუჯის მარცხენა ნაპირზე, ოზურგეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 5 ვერსზე. შემოქმედის უბანი ერთი საუკეთესოთაგანია გურიაში როგორც ჰავით, ისე ნაყოფიერებით: ისევე, როგორც ლიხაურში, აქაც, საუკეთესო ჯიშის ღომი, სიმინდი და ყურძენი მოჰყავთ. როგორც ამბობენ, იგი განსაკუთრებით ცნობილია წვრილმარცვლიანი წითელი ყურძნის — ჩხავერის სიუხვით. ამ ყურძნისაგან სასიამოვნო და ყველაზე მაგარ ღვინოს აყენებენ. და მართლაც, ოზურგეთიდან შემოქმედს მიმავალი გზა, რომელიც ბზუჯის მარჯვენა ნაპირს მი-

ჰყვება სოფელ კვირიკეთზე გავლით, სადაც სხვა ვერაფერი ვნახეთ საინტერესო, გარდა ხის ეკლესიის გალავანში მდგარი დიდი ბზისა, რომლის დიამეტრი 1/2 არშინია, გადის ვაზებმიშვებულ ლამაზ მურყნალში. შემოქმედის უბანში 160 კომლია, რომლებიც განაწილებული არიან საკუთრივ შემოქმედში, გოგიეთსა, წითელმთასა და გორისფერდში, სადაც ჩუქურთმიანი ძველი ქვის ეკლესიის ნაშთია. მთელი ეს მამული, ერთიანად თავად დიმიტრი ქაიხოსროსძე გურიელს უჭირავსო.

მონასტერი მდებარეობს დაბალ მთაზე, სადაც ბზუჯის ნაპირიდან ფერდობზე მიიკლაკნება საცალფეხო გზა მშვენიერ ვენახებში, იგი გვერდით ჩაუვლის 1790 წელს სწორედ ამ ადგილას მოკლული პოლკოვნიკ პუზირევსკის ნეშტზე აღმართულ, ამჟამად დანგრეულ ქვაყრილის ძეგლს. მონასტერში წყალი არ არის და მდ. ბზუჯიდან იღებს. ირგვლივ, მთის ძირში და კალთებზე მიმოფანტულია გლეხთა სახლები. მონასტრის შიგა ეზოში შედიხართ მიწის სისწორივ ჩაყრილ ქვის გალავანზე დაშვებული ახალი სამრეკლოდან, რომელიც თლილი ქვით არის ნაგები. სამრეკლოს შიგნით ასეთი წარწერაა:

ᲐᲥᲔᲜᲓᲘᲡᲔ ᲔᲐ
Ს ᲨᲔ ᲐᲪᲘᲓᲮᲘᲚᲘᲡ ᲜᲔᲠᲝᲡ
ᲜᲔᲜᲐᲜᲘᲚᲘᲡᲐᲡ ᲜᲨ
ᲐᲔᲠᲗᲓᲘᲗᲘᲡ ᲜᲔᲐᲮᲘᲚᲘᲗᲔᲡᲐᲡᲔ
(ᲧᲘᲠ. ᲧᲘᲠ) ᲔᲐᲡ ᲔᲘᲠᲘᲚᲘᲡᲔ ᲧᲘᲐᲮᲝᲡᲘᲡᲝ

ᲩᲘᲜᲔᲪᲝᲐᲜᲘᲡᲘ ᲔᲮᲚᲘᲩᲘᲡ ᲔᲠ ,
ᲮᲔᲘᲜᲐᲔᲩᲔᲨᲮᲘᲚᲔᲘᲡ ᲧᲘᲡ
ᲩᲘᲚᲔᲔᲮᲘ ᲘᲝ ᲩᲔ ᲨᲘᲚᲔᲔ

ეს არსენი, როგორც ადგილობრივი ბერები მარწმუნებდნენ, ერკეთელი აზნაურების მგალობლიშვილების გვარიდან იყო.

მონასტერი ერთმანეთთან შეერთებული ორი ეკლესიისაგან შედგება. ერთი მათგანი, მაცხოვრის სახელობისა, უგუმბათო, ნამდვილი შემოქმედია, ხოლო მეორე, გუმბათიანი, უფლის ფერისცვალების სახელობისა, ცნობილია ზარზმის სახელით. ამ ეკლესიების გარეგნობა სულაც არ შეეფერება მათს ისტორიულ მნიშვნელობასა და სიმდიდრეს. ეკლესიები არ არის ვრცელი, ამასთან დასახიჩრე-

ბულია გვიანდელი მინაშენებით და უხეირო ყავრის სახურავით. მაცხოვრის ეკლესია კვადრატია სიმეტრიული ფრონტონით, მისი ლავგარდანი, ისევე როგორც ზარზმისა, ღარისებრია, ადგილ-ადგილ ჩამოცვივნული. დასავლეთი ფასადი შემკულია ფანჯრის ირგვლივ შემოვლებული ჩუქურთმით, რომელიც წნულებისა და სვეტების ორი მწკრივისაგან შედგება. მომცრო პორტიკს, რომელიც ამ ფასადს ებჯინება, შიგნით ვარსკვლავისებრი ჩუქურთმიანი კამარა აქვს. მაცხოვრის ეკლესიაზე ორი წარწერაა: ერთი წინა მხარეზე, გვიანმიშენებული, თეთრ ქვაზე, კარის ზემოთ, ცოტათი განზე:

ᲯᲗ: ᲧᲪ: ᲫᲬᲪᲐ
ᲫᲗ ᲔᲥᲯᲬᲘ
ᲩᲜᲜ: ᲣᲔᲜ: ᲐᲮᲡᲜ
ᲐᲗ: ᲔᲩ:

ამ სახელით ორი აფხაზთა კათალიკოსია ცნობილი: პირველი მაქსიმე მაჭუტაძე, რომელიც 1650 წელს მონაწილეობდა იმერეთის მეფე ალექსანდრე III ფიცში რუსეთის ქვეშევრდომობაზე, და მეორე — აფხაზეთის უკანასკნელი კათალიკოსი, რომელსაც XVIII საუკუნის მიწურულს ეპყრა პატრიარქის საყდარი და კიევში გარდაიცვალა 1795 წ.[23] წარწერა, ალბათ, პირველ მათგანზე მოგვითხრობს.

მეორე წარწერა აღმოსავლეთის ფასადზეა, ზედ ლავგარდანის ქვეშ, კიდეში, მაქსიმეს მინაშენს რომ ებჯინება და რომლის ქვის ზედა ფენა, რომელზეც ამოკვეთილია, უკვე ამობურცულა და, ალბათ, აქამდე ჩამოცვივდა. წარწერის შინაარსი ასეთია:

ᲐᲗ ᲥᲨ Გ.... ეს წარწერა, როგორც ჩანს, ნაშთია
ᲜᲘᲩᲜ ᲜᲔᲩᲧ

გამოფიტული წარწერისა, და იაკობი, უეჭველია, შემოქმედელი იაკობ დუმბაძეა, რომელიც მამია III გურიელის (+ 1714 წ.) დროს ცხოვრობდა და მასზე მომდევნო წარწერებშიც იქნება საუბარი.

ფერისცვალების ეკლესია მაცხოვრისაზე მცირეა, არსად არა აქვს ჩუქურთმა. იგი იმითაც განსხვავდება ამ უკანასკნელისაგან, რომ მისი აღმოსავლეთის ფასადი მთავრდება ხუთწახნაგოვანი ნა-

[23] Hist. de la Géor., II, 2 livr., 438-439.

ხევარწრით. მისი თხემი შედგება მომაღლო რვაკუთხოვანი გუმბათისაგან რვა ფანჯრის თავზე. დიუბუას იგი მიაჩნია, თუმცა, როგორც ვნახავთ, შეცდომით, მაცხოვრის ეკლესიაზე უძველესად. „იგიო, — ამბობს დიუბუა, — გარედან მოპირკეთებულია მოცისფრო პორფირის ტლანქი ქვით, რომელიც უკვე გამოუმულია ეამთასელისაგან და მას ხანდაზმულობის იერს სდებს". „ყველაზე დიდის და ამასთან ყველაზე ახლის (ე. ი. მაცხოვრის ეკლესიის) ნაირფეროვანი კოლორიტი, ზოგან მქრქალი ცისფერი, ზოგგან მუქი ცისფერი, ზოგგან კიდევ წითელ ან ყვითელშრეებრივი, მთელ შენობას ლამაზ იერს ანიჭებს".[24] მაგრამ საქმე ის არის, რომ ზარზმის ცისფერი პორფირი უფრო რბილია და ადვილად იფიტება. აი ამიტომ მოეჩვენა იგი დიუბუას მაცხოვრის ეკლესიაზე უძველესად. აქვე უნდა ვთქვა, რომ ორივე ეკლესიის საპერანგე ქვის ყველა ჯიში, როგორც მარწმუნებდნენ, ადგილზევე, თვით მონასტრის ახლოსაა მოტეხილი.

რაც შეეხება მაცხოვრისა და ფერისცვალების ეკლესიათა შიგა სივრცეს, პირველი მათგანი საკმაოდ ნათელია, მოპირკეთებულია ისეთივე ცისფერი ქვით, როგორითაც გარედან შემოსილია ზარზმა. მისი დასავლეთის კედელი გაბზარულია. იატაკი მეტწილად თეთრი მარმარილოსია. ეკლესიის შიგნითა სიგრძე $14^1/_1$ არშინია, სიგანე 18; იგი გაფართოებულია მაქსიმეს მინაშენით. შიგა ხედი ლამაზია. ეკლესიას ორი კარიბჭე აქვს მარჯვნივ და მარცხნივ. საკურთხევლისწინ დღემდე შემონახულია მიტროპოლიტის საყდარი ანუ ტახტი. იგი ბაზიან და ღვლარჭნილად მოჩუქურთმებულ კაპიტელიან ოთხ ბოძკინტს ეყრდნობა, აქვს სფერული გუმბათი, რომელზეც ქვის ჯვარია გამოკვეთილი. ეკლესია ერთიანად დაფარულია ფრესკებით: თხემზე დგას მაცხოვარი მღვდელმთავრის სამოსლითა და მიტრით, მარჯვენა ხელით აკურთხებს, ხოლო მარცხენა ხელში ბერძნულტექსტიანი გაშლილი სახარება უპყრია. მას აქეთ-იქით უდგანან დედა ღვთისა და იოანე ნათლისმცემელი. შემდეგ კამარაზე: ქრისტეს ამაღლება, ღვთისმშობელი ჩვილით კალთაში და სხვ. მაქსიმეს მინაშენის მოხატულობა ყველაზე ახალი და ლამაზია. მსხვილი და ლამაზი წარწერებიდან საინტერესოა თითქოს სამი ნიშის აღმნიშვნელი სამი ოდნავ გამოშვერილი სარტყლის მთელ სიგრძეზე გაყოლებული წარწერები: ეკლესიის დასავლეთ ნაწილთან ახლოს

---

[24] Voyage III, 106, 167.

Ჩ : ᲠᲘᲐᲜᲔᲓᲔᲜᲘᲣᲚᲘᲡ ᲐᲜᲘᲡᲘᲡ Თ..... ᲪᲮᲝᲠᲘ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲝᲠᲘᲡᲘᲡ.

შემდეგ: ᲩᲐᲜᲘᲡ Შ..... ᲝᲨᲘᲨᲘᲡ

ᲡᲘᲪᲮᲚᲘᲡ საკურთხევლის ნაწილში:

Თ ᲘᲨᲘᲨᲘᲡ: ᲘᲠ: ᲝᲪᲘᲪᲔᲓᲘ: ᲨᲘ: ᲝᲫᲝ ᲪᲮᲚᲘᲡ: ᲡᲘᲗᲔᲨ ᲝᲯᲘ: ᲔᲠᲔᲜᲘᲡᲘᲡ: ᲪᲜᲘ ᲡᲔᲪᲘᲡᲘ: ..Რ.....

შემდეგ დარჩენილია მხოლოდ ასოთა თავები, მაგრამ შეიძლება გამოვიცნოთ, რომ ლაპარაკია მალაქიაზე. გარდა ამისა, უგუმბათო ეკლესიის წინ, მარჯვენა კარიბჭეში ღვთისმშობლის გამოსახულებისაკენ ხელაპყრობილი პორტრეტის ქვეშ იკითხება:

ᲡᲘᲗᲐᲮᲐᲜᲔᲚ ᲐᲮᲚᲘᲡᲘᲡ Შ

ამგვარად, ყველა ზემოთ მოყვანილი წარწერიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ გვიანდელი მინაშენი, რომელზეც ზემოთ ვილაპარაკეთ, მოხატულია თვით მისი მშენებლის მაქსიმეს დროს, ხოლო ეკლესიის დანარჩენი ნაწილი რესტავრირებულია იაკობის მიერ. მაცხოვრის ეკლესიაში დაკრძალულთაგან, გარდა მამია V გურიელისა და დედამისის მარინესი, მიუთითებენ კიდევ ორ უცნობ შემოქმედელზე; დანარჩენი შემოქმედელები მონასტრის ეზოში განისვენებენო. ეპიტაფიები მხოლოდ ორ მარმარილოს საფლავის ქვაზეა, სახელდობრ:*[2] 1)მთავრად ყოფილ პოლკოვნიკ ქაიხოსრო გურიელის მეუღლის ელისაბედ ერისთავის ასულის ნეშტზე. იგი გარდაცვლილა ტფილისში, დაუკრძალავთ შემოქმედში იმავე წლის (?) 17 ივნისს მიტროპოლიტებს — დიმიტრი ქუთათელსა და ანტონი ჭყონდიდელს. საფლავის ქვა დაუდვია მის უმცროს ქალს, დედოფალ პელაგიას 1844 წლის 26 მაისს.[25]

---

[25] ერთ მინაწერში აღნიშნულია: „1844 წლის 26 მაისს ელისაბედ ერისთავის ასული გარდაიცვალა ქალაქ (ტფილისში).“

2) გურიის ყოფილი მთავრის ქაიხოსროს ასულის და მეფისწულ ტარიელის მეუღლის დესპინეს ნეშტზე. იგი 45 წლისა გარდაცვლილა 1865 წლის 4 იანვარს. საფლავის ქვა დაუდვია მის ძმას დიმიტრი გურიელს. არის მესამე მარმარილოს ქვაც, უწარწერო, დიმიტრის ძმის მალაქია გურიელის საფლავზე. იგი 1858 თუ 1859 წელს გარდაცვლილა.

ფერისცვალების ეკლესიაში უფრო ბნელა, ვიდრე მაცხოვრისაში, თუმცა გუმბათში 8, ხოლო ქვემო ნაწილში 4 სარკმელია დატანებული. ამ ეკლესიის სიგრძე 13 არშინია, სიგანე $10^1/_2$. იგი ნაწილობრივ აგურითაა მოპირკეთებული, ნაწილობრივ კიდევ დაუდევრად გათლილი ქვით. მასში მაცხოვრის ეკლესიის ძველი ტილოს კანკელი დგას. მის კარიბჭეში, რომელიც სალაროში გადის, ერთი ლუსკუმაა, რომელიც რუხი ფილაქნის სადგარზე დგას. მასში, როგორც ამბობენ, ვახტანგ გურიელის, ალბათ ვახტანგ I, ნეშტი განისვენებს. ამ ვახტანგის გამო, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ფრიად საინტერესო სიგელია გაცემული. ამავე კარიბჭეში არის საფლავის ქვა, რომლის ხავერდის გადასაფენზე ასეთი წარწერაა: „გურიის ატრიადში გარდაცვალებულის თ-დი ზაქარია იოსების ძის ანდრონიკოვისა ვარ. წელსა 1854 ივლისის 4“. ფერისცვალების ეკლესიის კედლის მხატვრობის დიდი ნაწილი უკვე გადასულია, მაგრამ ის რაც გადარჩენილა, მაცხოვრის ეკლესიის მხატვრობაზე ტლანქია. მისი ფრესკებიდან განსაკუთრებით საინტერესოა შესასვლელიდან მარცხნივ დახატული სანახევროდ ჩამორეცხილი პორტრეტები — მამაკაცისა და ქალისა. პირველ პორტრეტზე გამოსახულია გამხდარი სახე, გრძელი ხიფთანი ფართო, ბალთებიანი სარტყლით, ბალთები უნგრული ქურთუკის ბალთებსა ჰგავს. ქალის პორტრეტზე გამოსახულია ტლანქი სახე განიერი წარბებითა და დიდრონი თვალებით. თავზე გვირგვინი ადგას. ზედა სამოსზე მოჩანს საკინძიანი პერანგი; სარტყელი მოფონებულია, სარტყელში გაჩრილია პატარა მოხრილი ხანჯალი, ჩურუქ-სუსა და აჭარაში რომ შეხვდებით, იმის მსგავსი. მათ ქვეშ გადარჩენილია მხოლოდ ეს წარწერები — პირველის ქვეშ:

[illegible] ... [illegible]

მეორის ქვეშ: [illegible] ... [illegible] ...

შესასვლელის მარჯვნივ კიდევ ქალის პორტრეტია, პირველის მსგავსი, წარწერით:

ᲒᲐᲨᲢᲘᲜᲘ ᲐᲚᲘᲜᲘ ᲠᲐᲩ...
ᲜᲘᲜᲐᲪᲘᲜᲘ...ᲚᲔ...ᲜᲔ

ᲫᲐᲡ კიდევ პორტრეტი მოსდევს წარწერით:

შემოქმედის მონასტერი რამდენჯერმე გაუძარცვავთ, გაუცლიათ და მაინც, ჩემი აზრით, მნიშვნელოვანი ნივთებითა და წარწერებით იგი გურიის ყველაზე მდიდარ ეკლესია-მონასტრებს უნდა მიეკუთვნოს. ზოგი ამ ნივთთაგანი მაცხოვრის ეკლესიას ეკუთვნის, სხვები შემოქმედში გადმოუტანიათ .სხვადასხვა ადგილიდან, უპირატესად სამცხე-საათაბაგოდან. საფიქრებელია XV საუკუნის მიწურულის შემდეგ, როცა სამცხე-საათაბაგოში ფეხს იკიდებდა თურქეთის ხელისუფლება და როცა სვეგამწარებული ქრისტიანები იძულებული შეიქნენ გაქცეოდნენ თურქთა ფანატიკურ დევნას და თან წაეღოთ „წმინდა ნივთები, ხატები, ჯვრები და წმინდანთა ნაწილები“.[26] ქვემორე არქეოლოგიურ გამოკვლევაში შემოქმედის წმინდა ნივთები ოთხ ჯგუფად არის დაყოფილი: 1) საკუთრივ მაცხოვრის ეკლესიისა ან გურიის სხვა ეკლესიების კუთვნილი, მაგრამ ამჟამად აქ დაცული; 2) ზარზმისა, მეტწილად გადმოტანილი ზარზმის მონასტრიდან, რომელიც ახლანდელ ახალციხის მაზრაშია; 3) საათაბაგოს სხვადასხვა ადგილიდან გადმოტანილი და 4) უამრავი ნაგლეჯ-ნაფლეთი სხვადასხვა საეკლესიო ნივთებისა, რომლებიც ამ სახით წაართვეს აჭარა-გურიის მთებში აჭარლებს 1861 წელს, მას შემდეგ, რაც მათ მონასტერი გაძარცვეს.

I

1) მაცხოვრის ხატი ოქროსი, ჩასმულია 1 არშინი და 4 გოჯის სიგრძისა და 1 არშინი სიგანის მეორე დიდ ხატში, რომელიც მოჰედილია მოოქრული ვერცხლით და რომელზეც რელიეფურად გამოსახულია წმინდანები. დიდი ხატის ქვემო არშიაზე არის წარწერა:

ᲥᲔᲥᲐ: ᲘᲗᲥᲜᲘᲚᲘᲐ· ᲫᲗ
ᲛᲜ: ᲣᲐᲮᲜᲔᲜ: ᲨᲔ ᲝᲔ: ᲰᲗᲰᲗᲨᲗ: ᲰᲔᲠᲮᲜ: ᲨᲗᲨᲝ..
ᲠᲔᲜᲔ: ᲗᲔᲩᲗ: ᲨᲔ: ᲰᲗ: ᲰᲔᲠᲮᲗ: ᲰᲔᲰᲔᲜ: ᲘᲗᲘᲜ ᲩᲜ-
ᲩᲔᲰᲐᲰᲘᲗᲰᲔᲩ: ᲒᲗᲰᲔᲜᲘᲐᲩ: ᲰᲔᲡᲝᲐᲩᲔᲰᲗᲰᲩ: ᲫᲗᲨᲔ-
ᲰᲜᲐᲜᲩᲗᲨ: ᲥᲔᲩᲜ: ᲗᲜᲗ: ᲘᲰᲐᲮᲔᲗᲜᲘᲚᲘᲔ: ᲔᲨᲐᲰ-
ᲰᲗᲩᲔᲨ: ᲚᲔᲝᲨᲗᲐᲨᲔ: ᲰᲔ: ᲰᲗᲝᲩ: ᲣᲗᲨᲰᲩᲜ:
ᲨᲘᲗᲜᲔ: ᲰᲔᲜ: ᲣᲔᲩᲜᲩᲨᲔᲜᲔᲜᲔ: ᲨᲔ ᲫᲗᲰᲰᲰᲔᲩᲐ:
ᲰᲗ: ᲰᲔᲰᲰᲩᲗᲨᲔ: ᲨᲔᲩᲩᲔ: ᲔᲩ:

[26] Histoire de la Géorg., II, 1 livr., 209, 213, 217, 228-229, 230.

თვით მაცხოვრის ხატზე არის შემდეგი ანაბეჭდი უკვე აძრობილი არშიის ხეზე: „მაცხოვარო მეუფეო და ხატო ღთაებისაო, მოწყალე ექმენ და იხსენ ყოვლისა სატანჯველისაგან ძე გურიელისა პ[ა]ტ[რონ]-ისა მამიასი ფრიად ცოდვილი შემოქმედელ მიტროპოლიტი ნიკ~ლ~ზ, რომელმან განაახლა ხატი ესე შენი და დაასვა თავსა ზ~ა მრავალფასი თვალი“.

ზურგის მხარეზე ვერცხლის გარსამოსზე იკითხება:

Ի ։ ԿԾ ՀԻՆՊ-
ՄԱ ։ ՈՅ ։ ՇԸ ՏՆՋՊԸԱ ՈՅԱ ։ ԻՅԱ ։ ՋԲԱ ։
ՈՄԸՊԿԸԱ ։ ՄԸԿԻՄ ՊԲԿԻՄՋԿԻԲՊՊԿԱՎԱ ։ ՋՋԱ
ՈՄԿԼԸԱ ։ ՅՇԿՋԴՄԱ ։ ՆՄԱ ։ ՈՄՆԼԸԱ ։ ՇԸ ԱՊԴ ։
ԱՄՄԸԻԻ ։ ԿԸ ։ ԱՋՄԿԼԸՄԸ ։ ԼՇՆՄ ։ ՇԸ ԿՄՄՆՄ ։
ԲՊՅԻՄՅՇՆ ։ ԿԲՊՆԼ ։ ԸՊԻԿՆ ։ ԿՋԲՆ ։ ՅԻԿԿՆԸ ։

ՄՆՆԸ ։ ԿՄՄԲԿՆՄԿ ։ ՅԱՆՆՊՇԸ ։ ՆԱՄԿՆ ։ ՊԼՊ ։
ՆՋԿՆԱՅՅՆԼԸ ։ ՋԲՆԼԸ ։ ՍԲՆԼԸ ։ ԸԼԼ ։ ՇԸ ԿԼԿ ։ ԻՄԸԿԿԸ-
ԼԸ ։ ՋՅԻ ։ ՇՇԼԸ ՆՄԼԿՊԻԼԸ ։

ზურგის ქვემო ნაწილზე: „ღვთაებისა უცვალო ხატო, იხსენ წახდენისაგან და წაწყმენდისა შემოქმედელ მიტროპოლიტი იაკობ დუმბაძე და ძმა მისი კანდელაკი იესე მეუღლითურთ და ძით და რძლით და ასულითურთ, ამინ“.

ზურგის არშიაზე იკითხება:

ՈԱ ։ ԶՊ ՊԱԴԵՄԸԲ ։ ԱՊԱԱԲԿԸՀԱՆՆ ։

ԸՆԱԴՆ ։ ԸԲ ։

!

გიორგი გურიელი და მისი მეუღლე ელენე პირველად მოხსენიებული არიან ლიხაურის 1422 წლის წარწერაში. აქ მათ ერთი შვილი — მამია ჰყავთ, შემდგომში მათ შევხვდებით ორი შვილითურთ — მამიათი და ქეყობაღით, რომლებმაც შემოქმედის მონასტერი საეპისკოპოსო საყდრად აქციეს. შემოქმედის წინამძღვარი სერაპიონ მაჭუტაძე ამის მეტად აღარ გვხვდება და იგი ჩვენთვის უცნობია. რაც შეეხება მალაქიას, აკადემიკოსი ბროსე მას ქაიხოსრო I გურიელის (ქ. 1658 წ.) ძედ მიიჩნევს და თვლის, რომ ქორო-

ნიკონი 346 (1658 წ.) შეცდომით ზის 386 (1698 წ.)[27] ნაცვლად. მე, ჩემი მხრივ, ვფიქრობ, რომ იგი სწორედ ის მალაქიაა, რომელიც ქაიხოსრო პირველისეულ ერთ ჩემს სიგელში დასახელებულია „ჯუმათელ-შემოქმედელ კათალიკოსად", ე. ი. გიორგი II გურიელის (ქ. 1600 წ.) ძეა, „ცაიშელ-ჯუმათელი კათალიკოსია", რომელიც აფხაზეთის კათალიკოსად დაადგინეს 1619 წელს.[28] იაკობ დუმბაძეზე ქვემოთ ვილაპარაკებთ.

2) ღვთისმშობლის ხატი ჩვილით, ოქროს ამობურცულ შეჭედილობაზე, ჩასმულია სამი ხოშორი თვალი: ფირუზი, ლალი და იაგუნდი. უკანა მხარის ვერცხლის გარსამოსზე წარწერა: ქ:. ეშა:. საშინელო:. და შვიდთა ცათა:. უმაღლესო ქერობინთა უწმინდესო:. და სერობინთა:. უზეშთაესო:. ყოველთა წინასწარმეტყველთაგან:. დედა ღთისად:. მოსწავებულო:. ქალწულო:. დედოფალო:. ღთის:. მშობელო: მოგიჴედინეთ:. ხატი:. სახისა: თქვენისა: ოქროთა: მურასად: თვალითა: და მარგალიტითა ჩვენ:. სასოებით მონდობილმან:. ცვა: ფარვათა:. თქვენთამან:. დედოფალმან:. ათაბაგის: ქალმან: ბატონმან თამარ: თანა: მეცხედრემან: გურიელისა:. ვახტანგისამან:. და დავასვენეთ: შემოქმედს: საფლავსა: ზედან: გურიელისა: ვახტანგისასა:. დახსნად: სულისა: მისისათვის: დღესა: მას: დიდსა:. განკითხვისათვის: და შესანდობლად: და ძისა: ჩემისა: გურიელისა:. ბატონისა:. ქაიხოსროსათვის: სადღეგრძელოდ:. მხედრობისა:. და ჴელმწიფობისა:. მისისა: წარსამართებლად: და დასამკვიდრებლად:. შეიწირე: შენ: ყოვლად: წმიდაო: დედოფალო: ღთის მშობელო: ვითარცა:. ძემან:. შენმან:. სამნი:. იგი: მწვლილნი:. ქვრივისანი:. და გვასმინე: ჴმა: იგი: სანატრელი: მოვედით:. კურთხეულნო: მამისა: ჩემისანო:. ამ წუთს: სოფელსა: დღე: გრძელობა: და სინანული: მაღირსე: და დაუსრულებელი: დღე: აბრაამის:. წიაღთა: შინა: დამიმკვიდრე:.

ამ წარწერაში მოხსენიებული ვახტანგი და მისი მეუღლე ათაბაგის ქალი შემოქმედის მხოლოდ ერთ წარწერაში ჩანს და კიდევ ჩემთან დაცულ მის ერთადერთ სიგელში, რომელშიც იგი მიიწერს 1572 წელს ზარზმის აშენებას შემოქმედში, იგი თავის მამას გიორგიდ ასახელებს, ხოლო მთავარ გურიელად თავის ძმას მამიას. მაშასადამე, ისტორიკოს ვახუშტის მიერ Hist. de la Géor., II, 1 livr., 261 და თვით გურიელების გენეალოგიაში, Ibid 650, ვახტანგის შთამომავლობის შესახებ დაშვებული შეცდომა უნდა გასწორდეს.

---

[27] Voyage archéol., II Rapp., 184.
[28] Ibid., VII Rapp., 29-35.

ძნელია დანამდვილებით იმის თქმა, თუ სახელდობრ რომელი ათაბაგი იყო თამარის მამა; ცნობილია მხოლოდ, რომ ვახტანგის გარდაცვალების შემდეგ იგი 1592 წელს ცოლად გაჰყვა მანუჩარ დადიანს.[29] მეორე მხრივ, ვახტანგის ძე ქაიხოსრო — ეს სწორედ ის ქაიხოსრო I, რომელიც მას შემდეგ, რაც ბიძამისი მამია გურიელი ამ უკანასკნელის შვილმა სვიმონმა მოკლა, მატიანის მიხედვით 1625, ხოლო შემოქმედის კვინკლოსის მიხედვით 1627 წელს, მთავარი გახდა.[30] აკის ეკლესიას უბოძებს საინტერესო სიგელს, რომელიც ზემოთ უკვე ვახსენეთ.

3) დიდი ხატი, სიგრძე 1 არშინი და 4 გოჯი, სიგანე 1 არშინი, მოოქრული ვერცხლის მოვედილობაზე 12 მოციქულის რელიეფური გამოსახულებით. ამ ხატის შუაგულში არის მცირე ჩასადგმელი ხატი ღვთისმშობლისა ოქროს შეკედილობით, 14 ძვირფასი თვლით, მათგან 1 კაკლის ოდენა იაგუნდია და 4 ცოტათი მომცრო ფირუზი. მის ქვედა არშიაზე წერია:

....ᲫᲘᲜᲬᲐᲔ ᲧᲠᲔᲜᲐᲔ ᲐᲜᲘᲠ ᲐᲓᲐ
ᲠᲣᲨᲗᲣᲜᲐᲔ ᲘᲔᲜᲐᲔ ᲨᲘᲨᲕᲬᲔᲜᲐᲔ ᲝᲘᲜᲔᲠᲗᲘᲜᲔ ᲠᲣᲘ....
ᲩᲫᲘᲜᲘ ᲨᲠ ᲐᲘᲣᲧᲘᲨᲘᲗ ᲠᲔᲜ ᲧᲐᲨᲗᲘᲜᲠ ᲝᲨᲘᲜ
ᲐᲧᲣᲬᲜᲘ ᲘᲔᲜᲘᲠ ᲡᲬᲘᲜᲠ ᲡᲠᲘᲠᲔᲗᲨ ᲠᲔᲔ.

და კიდევ:

ᲠᲐ ᲘᲐᲨᲨᲘ ᲠᲔᲔᲡᲠ ᲧᲬᲘ ᲠᲔᲔᲬ ᲔᲨᲬᲘᲠᲗᲨᲘ
ᲧᲔᲘᲐᲔᲗᲗᲔᲔ ᲐᲜᲠᲘᲜᲨᲔᲧᲬᲨᲔ ᲨᲠ ᲐᲨᲗᲐᲨ ᲨᲗᲠᲔᲨᲘ

ᲘᲧᲠᲔ ᲠᲐᲠᲨ ᲨᲠᲠᲘᲨᲔᲨᲧᲬᲨᲔ ᲨᲠ ᲔᲘᲐ ᲐᲘᲣᲧᲨᲘᲠᲔ
ᲠᲘᲨᲨᲘᲘᲠᲘᲠᲘᲠᲘ ᲘᲘᲨᲨ

მარცხნივ უფრო მაღლა კიდეზე:

ᲩᲧᲔᲘᲠ ᲘᲠᲗᲘ ᲘᲨᲗᲔᲐᲘᲘᲨᲠ ᲘᲠᲗᲠᲘᲠᲔ

ᲘᲘ

ამ წარწერაში ნახმარი სიტყვა ᲐᲧᲘᲐᲨᲗ საქართველ-

[29] Hist. de la Géor., II, 1 livr., 264, 391.
[30] Ibid, 268, 391.

ლოში, მგონი, არსად არ არის ცნობილი, გარდა გურიისა. აქ იგი დღემდე ნიშნავს ხელში ხატით ახალი წლის მილოცვას. ამ ჩვეულებას განსაკუთრებით მტკიცედ იცავენ მთელ გურიაში და იგი ახალწლის მხოლოდ მეორე დღეს სრულდება. ამ ჩვეულების წვრილმანები ფრიად საინტერესოა: წარწერაში აღნიშნულ მთავრის ჩვეულებას აქამდე დიდი ზეიმით იცავენ ყოველ წელს მხოლოდ დიმიტრი ქაიხოსროსძე გურიელის ოჯახში, ოზურგეთში, ამასთან შემოქმედიდან მოასვენებენ ღვთისმშობლის ხატს. ეს ზეიმი დიმიტრი გურიელ[ის] აღწერა თვითმხილველმა გაზეთ „კავკასიის" 1870 წ. 15 და 20 ნომრებში.

ზემორე წარწერის მამია და მისი მეუღლე თინათინი ,გარდა შემოქმედის წარწერებისა, კიდევ გვხვდება ჯუმათისა და ციხის (გურიანთაში) წარწერებში, მაგრამ მისი სახელით ბოძებული არც ერთი სიგელი არ მოგვეპოვება. მატიანეებიდან ცნობილია, რომ იგი მამამისის გიორგი II მემკვიდრე გახდა 1600 წელს და მოკლა მისმა შვილმა სვიმონმა 1625 წელს.[31] ესე იგი, წარწერის წელი — 1601 სავსებით ემთხვევა მამიას მთავრად ყოფნას გურიაში. ჯუმათის წარწერებიდან დავინახავთ, რომ თინათინი ათაბაგის ასული იყო, მაგრამ სახელდობრ რომლისა, არ ვიცით.

4) წმინდა დიმიტრის ხატი მთელი ტანით, ერთ ხელში შუბი უჭირავს, მეორეში ფარი. ეს გამოსახულება რელიეფურია მოოქრული ვერცხლის ფონზე. ხატი გადმოსვენებულია მონასტრის ახლოს მდებარე პატარა სოფელ გოგიეთიდან, როგორც ამას თვით წარწერა ცხადყოფს:

ᲥᲔ ᲨᲘᲜᲘᲔᲮᲘ ᲦᲐᲦᲘᲜᲗᲘᲜ.

შემდეგ: Თ ᲐᲔᲐᲮᲔ. ᲡᲗᲨᲗᲔᲐ. ᲘᲐ ᲧᲘᲜ. ᲫᲐᲗᲐᲨᲗᲐ. ᲐᲗᲔᲮᲔ ᲫᲗᲐᲡᲘᲡᲘᲜ. ᲨᲨᲘᲜᲔ. ᲗᲐᲡᲮᲗᲘᲡᲔ ᲪᲘᲜ. ᲧᲘᲨᲮ ᲗᲔᲮᲗᲘᲗᲐ ᲐᲘᲐᲐᲘᲔᲘᲗᲔᲘᲜᲔ. ᲡᲗᲘᲜ ᲨᲔᲐᲮᲘᲜᲘ. ᲨᲐᲘᲡᲔᲘᲔᲘᲜᲘ. ᲡᲚᲚᲐᲗᲮᲔᲮᲐᲗᲐᲨᲘᲜ. ᲘᲐᲐᲡᲔᲘᲔᲮᲔ. ᲔᲘᲗᲘᲜ. ᲔᲘᲒᲐᲜᲗᲨᲘᲜᲚᲔ. ᲪᲘᲜ. ᲫᲐᲗᲐᲨᲔ ᲐᲔᲐᲗᲘᲜᲔᲔ. ᲔᲚᲐᲔᲐᲗᲮᲔᲗᲔ ᲨᲘᲜᲔᲔᲜ. ᲐᲔᲗᲮᲔ ᲐᲫᲐᲚᲗᲔᲔᲜ ᲐᲘᲜᲔᲔᲜ. ᲔᲚᲐᲔᲐᲗᲮᲔᲗᲔ ᲨᲔ ᲫᲐᲔᲨᲔᲗᲔᲔ ᲧᲔᲜ ᲪᲔᲗᲔᲔᲜ ᲐᲔᲗᲮᲔᲜ. ᲚᲔᲚᲔᲜᲔᲔᲜᲔᲔ. ᲜᲘᲔᲚᲗᲘ. ᲨᲔ ᲮᲗᲐᲔᲨᲘᲜᲔᲔᲜᲔᲔ. ᲔᲨᲘᲜ. ᲚᲘᲐᲗᲘᲗᲔ. ᲦᲔᲚᲚᲘᲐᲗᲘᲜ ᲨᲔ ᲪᲘᲜᲔᲔᲜᲔᲔᲜᲔᲔᲜ ᲐᲔᲗᲮᲔᲚᲘᲡᲔ.

[31] Hist. de la Géor., II, 1 livr., 264, 268.

ამ წარწერაში მოხსენიებული შემოქმედელი, იგივე იაკობ დუმ-ბაძეა, რომელიც მის ძმასთან იესესთან ერთად შეგვხვდა ზემოთ № 1 წარწერაში.

5) მოოქრული ვერცხლით შეკედილი ხატი ღვთისმშობლისა, სპილენძის გარსამოსით უკანა მხარეზე. მის ქვემო არშიაზე წერია:

Ⴑ. ᲧᲐᲜ . ᲦᲐᲦᲧᲜ :
ᲨᲜ ᲰᲘᲐᲜ ᲰᲘᲜᲜ : ᲰᲜᲡᲡ : ᲨᲜ : ᲰᲘᲜ. ᲰᲘᲜ . ᲦᲐᲠ : ᲧᲬᲜ :
ᲘᲬ : Ნ (?)

ამ წარწერის შინაარსის აღდგენას ვერ ვიკისრებ.

უკანა მხარეზე: „სპონიეთისა ღვთის მშობელო შეიწყალე შემოქმედის კანდელაკი გაბრიელ და მეუღლე მისი კვერღელიძის ქალი ხვარამზე, რომელმან აღვაშენე საყდარი ესე და დავასვენე ჯატი ესე საოხად სულისა ჩემისა ამინ“.

უეჭველია, ამ წარწერის გაბრიელი იგივე გაბრიელია, მიტროპოლიტ იაკობის ნათესავი, რომელზეც მოგვითხრობს ზემოთ მოყვანილი წარწერა. კვერღელიძეების ვვარი ახლა, როგორც ამბობენ, აღარ არის,*3 მათი სამშობლო იყო დუაბზუ ჩურუქ-სუში. სპონიეთის სახელით ცნობილია ადგილი, რომელსაც ახლა ვაშნარი ჰქვია, სახელგანთქმული ანტიკური ნაშთებით, რომლებიც მეცნიერმა მოგზაურმა დიუბუა დე მონპერემ აღწერა.[32]

6) ლამაზი ღვთისმშობლის ხატი, ოქროთი შეკედილი, ღვთისმშობლისა და მიქელ და გაბრიელ მთავარანგელოზების რელიეფური ფიგურებით. მის ზედა არშიაზე წერია:

ᲧᲨ ᲩᲘᲐ ᲘᲚ ᲰᲨᲘᲐᲦᲩᲘᲐ : ᲨᲘ : ᲧᲘ.
ᲘᲬᲜᲰᲘ ᲦᲐᲨᲠᲜᲜᲜ

ისევ ქვემო არშიაზე

ᲨᲜ : ᲝᲜ : ᲰᲘᲘᲐᲠᲨᲰᲘ : ᲰᲝᲜ : ᲨᲘᲚᲜᲜᲩᲜᲜᲐᲝᲐᲩ : ᲜᲩ '

7) მოოქრო ხატი წმიდა გიორგისა ამაღლებიდან (ჩურუქ-სუ) წარწერა: „წმიდაო გიორგი ამაღლებისა“ და ქვემო არშიაზე: „ღმერთმან:. პავლეს შეუნდოს“:.

ქ. გიორგი:. მწობილი:. ღდლ:. დავთ:. ვრლძე:. სს:. ხვე:.... გვკთბიე“.*4

---

[32] Voyage, t. III, p. 86-96.

8) მომცრო ხატი წმ. გიორგისა ოქროს მოჭედილობით და წარწერით:

ᲮᲐᲢᲐ ᲬᲛᲘᲜᲓᲘᲡ.. ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲪᲮᲝᲠᲪᲘᲡ ᲐᲛᲘᲡ.

9) ოქროს სასაყდრე ბარძიმი 46 ძვირფასი თვლით. მის ფეხზე წარწერილია: „ქ. ხატო ღ~თაებისაო, შეიწყალე წმიდისა ამის ბარძიმისა განმაახლებელი ფრიად ცოდვილი ძე გურიელისა მამიასი შემოქმედელი მიტროპოლიტი ნიკოლოზ და მომხსენებელნიცა მისნი. ქორონიკონსა ქრისტეს აქეთ ჩღიგ“ (1713).

10) მასიური ჯვარი ჯვარმტვირთველის მიერ სამწყსოში. გამოსასვენებლად ეკლესიისათვის ყოველწლიური შესაწირავის შესაგროვებლად. ჯვრის ბუდეა მოოქრული ვერცხლის ბურთი 46 ხოშორი ძვირფასი თვლით; თვით ჯვარზე ჩასმულია 11 თვალი, მათგან ყველაზე დიდ იაგუნდზე არის წარწერა (იხ. დანართი № V).

ჯვრის ზურგზე წარწერაა: „ახლად შემამკობელი და განმაახლებელი ჯვარისა ამის პატიოსნისა ძე გურიელისა მამიასი შემოქმედელ — მოტროპილიტი ნიკოლოზ. შე: ჯვარო და მალზედა ჯვარცმულო ქრისტე ღმერთო“. ბურთის ფეხზე: „ამ დროშის . . . . ე . . . . მე . . . . თედ . . .

ქვემოთ:

+ ᲦᲚᲝ ᲯᲐᲜ ᲜᲔᲜ ᲧᲝᲐᲮᲝᲨᲜᲡ ᲔᲐ ᲧᲐᲜᲧᲝᲔᲜᲔᲚᲝᲨᲡᲝ
ᲧᲐᲜᲝᲚᲘᲐᲡᲝ
ᲐᲚᲜᲡᲜᲨᲜᲝᲚᲔᲡ ᲔᲔᲐᲮᲐ ᲜᲔᲔᲜᲐᲠ

11) ოქროს ფეშხუმი, რომლის ძირზე წარწერილია: „ქ ხატო ღთაებისაო, შეიწყალე შემოქმედელი მიტროპოლიტი ნიკოლოზ“.

სამ წინა წარწერაში მოხსენიებული „ძე მამიასი შემოქმედელი ნიკოლოზი“ გურიის ბევრ წარწერასა და სიგელში გვხვდება; სიგელთაგან იგი დასახელებულია: მამია III (+ 1719) მეუღლის, აბაშიძის ასულ ელენეს სიგელში როგორც მისი შვილი; გიორგი IV გურიელის (+ 1726 წ.) სიგელში როგორც მისი ძმა; გურიელების სიგელებში: მამია IV, რომელიც გურიაში გამთავრდა 1720 წელს, და გიორგი V, რომელმაც მამია შეცვალა 1744 წელს, როგორც ორივეს ბიძა. ნიკოლოზის გარდაცვალება აღნიშნულია გიორგი V დროს მის სიგელში, რომელიც გაცემულია 1755 წელს.

12) მომცრო ხატი წმ. გიორგისა მოოქრული ვერცხლის მოჭე-

დილობით, ოთხი ხოშორი ძვირფასი თვლით. ზურგის მხარეზე წარწერა: „ქ. ღმერთო და წმინდაო გიორგი, შენ მოიხსენე ორთავე ცხოვრებასა ხატისა ამის შემამკობელი დეკანოზი ამისი ბერი სიმონის შვილი სიმონ, ამინ“.

13) მასიური ოქროს დაფარნა. მის მკლავებზე წარწერაა:



14) მოოქრული ვერცხლის ხატი იერუსალიმად შესვლისა და ქვემო ნახევარში ჯვარცმის ამობურცული გამოსახულებით. ზედა ნაწილში:



ამ წარწერაში იკითხება მხოლოდ „დიდება . . . ხუასრო მეფე“.*5 ხატის ქვემო ნაწილზე:



II

1) მაცხოვრის ხატი, სიგრძე 1 არშინი და 3 გოჯია, სიგანე 1 არშინს 3 გოჯი აკლია. მოჭედილობა ოქროსია. ზედა არშიაზე

ⲧ ⲁⲛ ⲩⲁⲥⲓⲛⲩⲃⲁⲣ ⲩⲑⲁⲣⲁⲣ
ⲁⲣⲁⲛⲣ . ⲫⲑ ⲉⲓⲑⲧⲃⲁⲣ ⲑ ⲟⲣⲁⲁⲉⲓⲥⲩⲑⲥⲟⲩⲁⲣ ⲣⲣⲁⲣ
ⲛⲑⲓⲣⲁⲣ ⲟⲛⲣⲟⲛⲣ ⲁⲉⲧⲣⲧⲩⲑⲛⲣⲩⲟ . ⲩⲗⲩ ⲥⲑⲛ ⲗⲣⲩ-
ⲗⲟⲣⲑ ⲑⲣ ⲗⲣⲉⲉⲣⲑ : ⲗⲉⲧⲛⲗⲣ ⲣⲣⲛⲗⲣⲟⲧⲛⲗ . ⲑⲡⲩ-
ⲗⲣ ⲁⲣⲗ : ⲑⲛⲑⲗⲣ . ⲁⲩⲉⲟⲩⲑ ⲁⲉⲗⲧⲃⲧⲛⲗⲣ : ⲩⲩⲣⲛⲗⲣⲗⲣ .
ⲣⲁⲣ ⲑⲣ ⲩⲗⲣ : ⲁⲉⲧⲣⲩⲑⲩⲟ . ⲁⲗ ⲩⲣ . ⲉⲑⲩⲗ :
ⲩ̈ⲃ ⲩⲩⲣⲧⲛⲟ ⲣⲡⲩⲩⲣⲩⲣ ⲣⲫⲉⲟⲛⲗⲣ ⲣⲁⲛⲗ

ამავე ხატზე წმ. ნიკოლოზის გამოსახულების მარჯვენა მხარეზე:

ⲧ ⲗⲓⲣ	მარცხენა მხარეზე:	ⲧⲟⲩⲩⲣ
ⲩⲧⲛⲗ·		ⲛ ⲛⲩⲟ.
·ⲡⲑⲗⲣⲣⲛ		ⲗⲑ.
ⲟ·ⲣⲩ		
ⲩⲛⲧ		
ⲁ.ⲥⲩⲗ		
ⲁ.ⲣⲁ.		
ⲣⲓ.ⲣⲩ		
ⲧ.ⲛⲓ.ⲧ		
ⲩ.ⲣⲓ.ⲣ		
ⲩⲫⲧⲟⲁ.ⲣ		
ⲣⲣⲩⲩ		
ⲛⲛⲟⲧⲣ		
ⲛⲧⲣⲩ		
ⲁⲟⲥⲛ		
ⲗ.ⲁⲛⲓ.ⲣ		
ⲟⲣ		

ამ წარწერაში ლაპარაკია ზარზმის ფერისცვალების ეკლესიის აშენებაზე შემოქმედში, რასაც ადასტურებს გოგიტიძეების საგვარეულოს კუთვნილი სიგელი. ეს სიგელი იმდენად საინტერესოა, რომ საჭიროდ მიმაჩნია მოვიყვანო აქ:

„. . . . ნებითა და ჯერ-ჩინებითა ღ~თისა ყოლისა მპყრობელისათა, აწ ᲩᲙᲩᲔ მონამან შენმან გიორგის შვილმან პატრონმან გური-

ელმან ვახტანგ გაიღუ̈ᲨᲜ შენ მთასა წდ~ასა მთაბორს განბრწყინვებულსა ხატსა ღ~თაებისასა ოდეს ცოდვათა ჩუ̈ᲨᲜთა და უსჯულოებათათვის ჩუ̈ᲨᲜთა შემცირდა ჭეშმარიტებანი ძეთა კაცთანი და უმეტეს ჩუ̈ᲨᲜ ქრისტეანეთანი. მას ჟამსა შინა, ოდეს პატიოსანი და დიდი სათაბაგო საქრისტიანო უსჯულოთაგან და ულმრთოთა აგარიანთა მიერ განირყუ̈ნა, იწყო მოკლებად ᲰᲡᲯᲣᲚᲛᲐᲜ ჩუ̈ᲨᲐᲜᲛᲐᲜ და აღორძინებად სჯულმა მახმედისამან, მაშინ მას ჟამსა საათაბაგოს ურწმუნოთა და ბილწთა თათართაგან განირყუ̈ნა ზარზმის საყდარი, მონასტერი მოიშალა და მოოხრდა და აიშალა და ზარზმის ხატი შენი ძლიერი მთაბორსა განბრწყინვებული აქ გურიას ჩამოასვენეს, ვითარცა ექსორია ქმნილი და ვითარცა ქრისტე დღეთა ᲰᲔᲠᲝᲓᲔᲡᲗᲐ, ვითარცა ეტყოდა ანგელოზი იოსებს: აღდეგ და ივლტოდე ეგიპტედ. მას ჟამსა შ~ა აღვაშენეთ და შევამკვეთ ზარზმის საყდარი შემოქმედს და დავასვენეთ საძუ̈ალესა ჩუ̈ᲨᲜსა წდა ხატი ესე შენი მეოხებად ცოდვილისა სულისა ჩუ̈ᲨᲜისა და ძმისა ჩუ̈ᲨᲜისა გურიელისა მამიას გასამარჯვებელად და ძეთა და ასულთა მისთა საოხად და აღსაზრდელად. გაგვიწყვია ჩუ̈ᲨᲜდა სასაფლაოდ. ოთხმოცი კვამლის კაცით აზნაურისშვილებითა და ამ საწინამძღვროზედ კანდელაკად მათე წინამძღვრის ძმისწული იოანე მგალობელი გოგიტიძე გვირჩენია და ამა ტაძრისა შენისა კანდელაკობა მისთვის მიგვიცემია ხუთის კომლის კაცით ..... ამ კაცებით მირჩენია და შენთვის შემოგვიწირავს ჩუ̈ᲨᲜის ცოდვილის სულის საოხად და საცხოვნებელად და გურიელის ჩემის ძმის პატრონის Შამიას გასამარჯვებელად და საცხოვნებელად ... და ამა შენისა კანდელაკისათვის შენის მონასტრის მუდამ გაუყრელობისათვის წირვა-ლოცვისა და სამსახურისათვის წელიწადშიდ ჯამაგირი გაგვიჩენია ათი გვერდი ღომი და ხუთი ქილა მარილი წელს მიეცემოდეს .... ამის მოწამენი არიან შემოქმედელ მთავარ-ეპისკოპოსი ბატონი ბესარიონ, სახლთუხუცესი მაჭუტაძე რამაზ, ართომელაძე ისაკ, ნაკაშიძე მამუკა და სხუ̈ანი ჩუ̈ᲨᲜნი დარბაზის ერნი და ყ~ლნი უზედაესნი და უქვედაესნი. აწ ჩუ̈ᲨᲜსა შემდგომად ყლ~ნო ბიჭვიტისა კათალიკოსნო თქუ̈ᲨᲜცა ასრე დაუმტკიცეთ ყლნო მიტროპოლიტნო და მთავარ-ეპისკოპოსნო,[33] თქუ̈ᲨᲜცა ასრე დაუმტკიცეთ, ჯუმათელნო, ხინო-წმინდელნო, თქუ̈ᲨᲜცა ასრე დაუმტკიცეთ, არქიმანდრიტნო, წინამძღვარნო, ქორეპისკოპოსნო, თქუ̈ᲨᲜცა ასრე დაუმტკიცეთ, ხელოსანნო, ჭელის-უფალნო, ნაცვალნო,

[33] მთავარეპისკოპოსნი გურიაში ცნობილი არიან სხვა სიგელებითაც.

მოხელენო, ჩუჱნნო კარის-გამგებელნო, თქუჱნცა ასრე დაუმ-
ტკიცეთ“.

აქ მოყვანილ სიგელს აქვს ვახტანგ გურიელის ხელრთვა და მი-

ნაწერი: სა. ზარზმის საყდარი რომ აღუშენებიათ, ეს ქო-

რონიკონი ყოფილა“. ეს თარიღი, ალბათ, ზემოთ მოყვანილი წარ-
წერიდან არის აღებული.

შეუძლებელია, ჩვენი სიგელის ცნობები შევუთანხმოთ ქართული
მატიანეების ცნობებს: უკანასკნელთა ჩვენებით, ვახტანგი არ ყო-
ფილა გურიელი გიორგი II ძე; იგი მამია დადიანის დახმარებით
1583 წელს კონსტანტინოპოლში აძევებს გიორგის და თვითონ ეუფ-
ლება გურიას; გიორგი მხოლოდ ვახტანგის გარდაცვალების შემ-
დეგ, 1586 წელს, ბრუნდება თავის სამფლობელოში და 1600 წელს
გარდაიცვლება, მემკვიდრედ ტოვებს თავის ძეს მამიას. ამ მამიას
ჰყავდა ასული, რომელიც ცოლად ჰყავდა იმერეთის მეფის გიორ-
გის ძეს ალექსანდრეს, და ძე სვიმონი, რომელმაც იგი 1625 წელს
მოაკვდინა. მამ.ა ცნობილია იმით, რომ 1609 წელს თურქებს აჭარა
წაართვა,[34] ჩვენი სიგელი ვახტანგს გიორგის შვილად და მამიას ძმად
თვლის. იგი პირველს თითქოს ნომინალურ მთავრად ცნობს, უკა-
ნასკნელს კი ნამდვილ მთავრად. სიგელის აზრი ყოველ შემთხვე-
ვაში ასეთია. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ 1572 წელს, როცა ზარ-
ზმა აშენდა, გურიას ვახტანგი მართავდა, და მაშინ არ იქნება წინა-
აღმდეგობა, თუ ზარზმის აშენებას ერთსაც მივაკუთვნებთ და მეო-
რესაც.

ასეა თუ ისე, საფუძველი არა გვაქვს ეჭვი შევიტანოთ სიგელის
უტყუარობაში. გოგიტიძეების გვარი, რომლებმაც საგვარეულო გად-
მოცემით, ზარზმის მონასტრიდან გადმოასვენეს მისი ხატები გუ-
რიაში, ძველთაგანვე ფლობს შემოქმედში მათთვის ბოძებულ უძრავ
ქონებას და, როგორც ჩანს, დღემდე სარგებლობს იმ პრივილეგიით,
რომელზეც ლაპარაკია ვახტანგის სიგელში. ეს სიგელი დაუმტკიცე-
ბიათ: ვახტანგის შვილს ქაიხოსრო I „სიგელი ბოძებულია ჩვენთა
ძველთაგან“ და ზოგიერთ სხვა გვიანდელ გურიელსა და შემოქმე-

---

[34] Hist. de la Géor., II, 1-re livr., 261, 264, 267, 268.

დელს. სხვათა შორის, სიგელში, რომელიც გურიის უკანასკნელი მთავრის დავითის დედამ სოფიომ უბოძა 1828 წელს აზნაურებს — მღვდელ იოანე გოგიტიძეს, მის ძმას იესესა და მათს შთამომავლობას, ნათქვამია: თქვენ გოგიტიძეებს გქონდათ ჩემი მეუღლის მთავრის მამია გურიელისა და ზოგი ჩვენი წინაპრის გურიელის ბოძებული სიგელი. თქვენ შემოგვეხვეწეთ მის განახლებას და ჩვენც განგიახლეთ იგი, გიბოძეთ შემოქმედის მონასტერში წმიდა მაცხოვრის კანდელაკობა. თქვენ გეძლევათ უფლება ინახვიდეთ ეკლესიის გასაღებს, დაასვენოთ ხატი, გამოასვენოთ იგი შემოქმედის სამწყსოში (ჯვარმტვირთველობა), აიღოთ შემოსავლის ათისთავი და მონასტრის აგარის ტყეში ნანადირევის გარკვეული ნაწილი"...

2) ღვთისმშობლის წელსზევით გამოსახულება ოქროს მოჭედილობით და ვერცხლის გარსამოსით უკანა მხარეზე. სიგრძე $5^1/_2$ გოჯი, სიგანე 4 გოჯი. მასში ჩასმულია 87 სხვადასხვა ძვირფასი თვალი. აქვს შემდეგი წარწერა:

Բ : ՀԱԴՏՊՇՊԱ : ՇԸ : ՅՊԴԸՀԱԿԴՊԱ : ԺԸՐՅ ՊԼՊ : ԿԱԴԴԸՇ : ԲՀՆՇՆԼԸ : ԻԴՊՌ : ԺԱՀԵՆՀՆՆ ԻԴՀԸՌ : ԿԸՐՉԱՌՀԸ : ՈԸՀԸՀ : ԻՀԸՀՄՅԴՆԴՈԸ ԼԸՇՈՊԿՀԱՊԱՇ ՇԸ ԼԸԺԼԵՀԸՈ ԼԱԴՆԼԸ ԻԴՊՌՆԼԸՈԴՆ։

3) ჯვარი, 1 არშინი და 5 გოჯი სიმაღლის, სულ ერთიანად ვერცხლით შემოსილი. მასზე წარწერა:

Ի։ ԸՀՆԼԸ։ ՀԱՀՏՊՇՊՆԼԸ։ ԺԱՀԵՆՀՊԼԸ։ ՆԸ-Ժ·ՆՀՆԼԸ։ ԲՆՌԸՀՀՈԴԸՀԼԸ։ ԴԿԴԼ ՅՌ ՈՌ։

არ მეეჭვება, რომ ეს გაბრიელ ხურციძე სწორედ ის პირია, რომელიც მოხსენიებულია ახალციხის მაზრის ზარზმის მონასტრის წარწერაში, როგორც მისი ეკვლერის აღმაშენებელი. ეს წარწერა დამახინჯებული სახით მიაწოდეს აკადემიკოს ბროსეს. (იხ. მისი Voyage archéologique... II Rapp., p. 135) და ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია მოვიყვანო აქ იმ სახით. როგორც ვნახე ადგილზე 1865 წელს. აი ისიც:

ԸՀՆԼԸ : ԸՈՀՀ-

ᲡᲛᲘᲗᲚᲔᲜᲘ : ᲒᲘᲠᲯᲐᲜᲘᲗᲚᲔᲜᲘ : ᲛᲝᲐᲛᲒᲘᲜᲐᲗᲚᲔᲜᲘ : ᲚᲔᲥᲘᲗᲔᲑᲔᲚᲘ : ᲡᲛᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲠ : ᲯᲘᲚᲔᲜᲘ : ᲗᲝᲠᲔᲚᲔᲜᲘ : ᲜᲘᲠᲘᲡᲛᲘᲚᲘ : ᲡᲚᲐᲒᲝᲡᲔᲯᲐ : ᲛᲘᲐᲠᲘᲗᲔᲚᲔᲜᲘ : ᲛᲔᲜᲔᲠᲒᲘᲡ : ᲡᲛᲝᲠᲔᲑᲘᲡ : ᲛᲘᲠ : ᲯᲘᲚᲔᲜᲘ : ᲯᲘᲯᲘᲚᲔᲜᲘ : ᲟᲘᲐᲠᲘ ᲛᲘᲐᲠᲘᲜᲔᲚᲔᲜᲘ : ᲡᲘᲜᲐᲚ : ᲡᲛᲝᲠᲔᲑᲘᲡᲐ : ᲛᲘᲠ :

ალბათ, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ როგორც თამარი, ისე გაბრიელ ხურციძეები ეკუთვნოდნენ „ერისთავ ხურციძეთა“ სწორედ იმ საგვარეულოს, რომლებიც ამ თხზულების II თავს დართულ ძველ სიგელში (გვ. 82) მოხსენებული არიან სამცხე-საათაბაგოს თავადებს შორის, და რომლებიც შედიოდნენ წურწყაბელი ეპისკოპოსის, სამწყსოში და რომლებიც, ალბათ, მეფე გიორგი I (1014-1027 წ.) დროს ცნობილი ერისთავის ხურსის შთამომავალი იყვნენ.[35]

4) მოოქრული ვერცხლის ჯვარი. ირგვლივ არშიაზეა:

ᲚᲜᲘᲗ ᲜᲔᲚᲜᲘᲜ ᲘᲠᲜᲘᲗᲘᲗ ᲗᲗ ᲐᲜᲔᲜᲠᲚᲔᲗ ᲜᲗᲚᲚᲔᲗᲗᲗ ᲐᲨᲚᲔᲗᲗ ᲗᲗᲐᲐᲗᲗ ᲘᲐᲗᲗᲗᲘᲡ ᲗᲗ ᲚᲔᲗᲗ ᲜᲔᲚᲜᲘᲜ ᲘᲠᲜᲘᲜ ᲚᲐᲗᲗᲗᲘᲜᲚᲔᲚᲔᲚᲔᲚᲔᲗᲗᲗᲘᲡ ᲗᲗᲗᲚᲔᲚᲔᲚᲘ ᲠᲗ ᲑᲗᲚᲗᲜᲐᲡ ᲜᲐᲜᲐᲡ ᲐᲗᲐᲚᲔᲜᲘᲗ ᲘᲐᲜᲗ ᲠᲚ ᲔᲠᲔᲜ ᲠᲚᲚᲚᲔᲚᲔᲚᲔᲚᲔ

სმანი ხომ არ არის ის პირი, რომელიც ზარზმის მონასტრის სამრეკლოს წარწერაში 1045 წელს მოხსენიებულია მის მშენებლად.[36] ასეა ეს თუ არა, მაგრამ ვინმე ლაკლაკიძე მოხსენიებულია ახლანდელი ახალციხის მაზრის მცხოვრებად თისელის მონასტრის ძველი სვინაქსარის გრძელ მინაწერში (იხ. Chronique géorgienne, ქართული ნაწილი, გვ. 117), რომელზეც ვილაპარაკე ამ თხზულების II თავის დანართში. აქ საჭიროდ მიმაჩნია შევნიშნო, რომ იმ დანართში ჩემი ვარაუდი თისელის ღვთისმშობლის მონასტრის გეოგრაფიული მდებარეობის შესახებ დაადასტურა ამას წინათ ტფილისში ჩამოსულმა ახალციხის ეკლესიების კეთილმოწესემ, დეკანოზმა გაძრეკელმა. მისი სიტყვით, თისელის მონასტერი მდე-

---

[36] ამ წარწერის მეორე ნახევარი Voyage archéol., II, Rapp., 132. მთლად ზუსტად არ არის მოყვანილი. იგი იკითხება:

ՀՂԵՐտ ԱՀՈտ : Ն՝ԱԻՆ : ՇՆ-
ԱՆԱՓԻՍՆԵՆ : ՀԱՐԱՆԱՆՆ : ՆԱՆՆԵՆ : ՔԵՆՆԵՆՈՒՆ : ԵՆ .
ՅՆԱՆ , ՊԱՆԵԼ : ՇՆ : ՅԱ : ՌԵ : ԱՌՈՇԵՔՈ : ԱՐԴԱՒՈ :
ՅՈՎՀԱՆ : ՀԱՐԱՆԱՆՆ : ՆՆՆ...

ვსარგებლობ შეშთხვევით, ვაესებ ბარეეზს, რომელიც აღმოჩნდა (Voyage archéol., II, 135) ზარზმის მონასტრის არქეოლოგიური აღწერისას. წარწერები, რომლებიც აკადემიკოსმა ბროსემ ვერ გაარჩია, ასეთია: ასეთი ფორმის

გვირგვინიანი პორტრეტის ზეშით იკითხება:

ՅՈՎՀԱՆ ԱՂՈՂ ԿԱՂԱՀԷ ՅԱՆ

სეთ ქუდიანი პორტრეტის ზემოთ:



შემდგომ ასეთი ფორმის ქუდიანი პორტრეტების ზემოთ ერთზე ხოლო მეორეზე

ԹՕՐՍԱՆԿՆ ՀՅԱԿ

აქ ნახსენები ბაგრატი ხომ არ არის „გურგენის ძე, მეფეთა მეფე ბაგრატ III“, რომელიც 980-1006 წლებში მეფობდა, ხოლო ჩორჩანელის ანუ ჩორჩოვანელის სახელით ხომ არ იმალება ის ჩორჩოვანელ-პატრიკოსი, მატიანეებით ესოდენ ცნობილი თორნიკე მონაზონის ძმისწული, რომელიც თვალსაჩინო როლს ასრულებდა დავით კურაპალატისა და ბაგრატ III დროს? (Additions et éclairciss. à l'Hist. de la Géor., 1851, 177-187). იხ. P. S. III თავის დასასრულს.

ბარეობს აწყურიდან 5-6 ვერსზე სამხრეთ-აღმოსავლეთით, მომცრო მდინარის მარჯვენა ნაპირზე, სოფელ თისელში,[37] სადაც სამი კომლი ქურთი სახლობს. ეს ეკლესია საკმაოდ დიდი იყო, გუმბათიანი, და თუმცა ახლა დანგრეულია, მაგრამ კედლებზე შემორჩენილია მხატვრობა.

5) ფერისცვალების ხატი, ოქროს მოჭედილობით, მაცხოვრის რელიეფური გამოსახულებით. ხატის სიგრძეა $1^1/_2$ გოჯი, სიგანე 6. ზურგის მხარეზე:

Ჩ ᲡᲔᲰᲗ ᲜᲔᲘ : ᲡᲮᲘᲜᲘᲘ : ᲰᲜᲘᲮᲘ : ᲘᲘ : ᲨᲔ ᲔᲔᲔᲘ : ᲪᲗᲮᲘᲜᲘᲜᲔᲜᲗᲜᲘᲜᲔᲘ : ᲧᲗ : ᲘᲜ : ᲚᲔᲨᲜᲔ-ᲚᲜ ᲜᲗᲚᲗ : ᲨᲔᲨᲔᲜᲘᲜᲨ : ᲘᲮᲘᲨᲗᲗ : ᲧᲔ : ᲘᲔᲮᲨᲔ-ᲨᲔ : ᲚᲗᲨᲜᲜᲔᲨ : ᲰᲜᲨ : ᲨᲔᲚᲘᲘᲜᲨ : ᲨᲔᲰᲗᲘᲘᲗᲨ-ᲮᲨ : ᲮᲩ : ᲚᲩᲔᲔᲔᲜᲔ ᲔᲔᲔᲘ : ᲗᲚᲗ : ᲨᲔᲰᲘᲘᲗᲨᲜᲔᲔ : ᲰᲗᲘᲮᲗᲗᲨ : ᲰᲔᲰᲔ . ᲰᲧᲘᲮᲗᲜᲨᲔ : ᲰᲜᲚᲨᲔ : ᲧᲗᲘᲩᲨ-ᲩᲗᲚ . ᲘᲩ : ᲔᲩ : ᲨᲔᲚᲚᲩ :

ამ წარწერის პირი შემოქმედელი იაკობ დუმბაძის სწორედ ის ძმაა, რომელზეც უკვე გვქონდა საუბარი.

6) ვერცხლის სასაყდრე ბარძიმი. მის ფეხზე წარწერილია: „ქ. წმიდა ესე და სულთა განმანათლებელი ბარძიმი და ორი ფეშხუმი შემოქმედს განსვენებულის ზარზმის საყდრის მთაბორს განბრწყინვალებულს ფერისცვალების ხატის არის. ჯუმალი მათი სამოცი მარჩილის წონა არის“.

III

1) მოოქრული ვერცხლის ჯვარი ორი წარწერით:*[37] პირველი: მეორე:

. Ყ.ᲚᲔ ᲡᲔᲡᲚᲔᲜᲔ
ᲡᲔᲥᲩᲚᲡᲔᲧᲗᲚᲜᲨᲔ
ᲨᲗ
ᲨᲔᲜ
ᲡᲔᲰᲨᲔ
Ო.ᲫᲨᲝ.ᲰᲡ

ᲔᲰᲚᲗᲩᲐ
ᲜᲚᲐᲜᲚᲔ ᲰᲜᲚᲔ
ᲩᲚᲜᲔᲨᲜᲔᲩᲔᲜᲔ ᲚᲐ-
ᲨᲚᲐᲚᲜᲩᲔᲜᲚᲔᲜᲔ
ᲗᲜᲚᲔᲔᲩ. „...

[37] იხ. კაკკასიის მხარის 5-ვერსიანი რუკა.

ᲐᲡᲢᲠᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲔᲑᲘ.

ამ წარწერების სახელები — ბაგრატი, სარგისი და ლიპარიტი — არც გურიის წარწერებსა და სიგელ-გუჯრებში, არც დღევანდელ ყოფა-ცხოვრებაში არ გვხვდება, ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ჯვარი გურიაში შემოტანილია.

2) ფრიად ფაქიზი ნახელავი ხატი ღვთისმშობლისა ჩვილით; მოპედილობა ხალასი ოქროსი, ჩასმულია 32, მეტწილად ხოშორი ძვირფასი თვალი. ირგვლივ ფართო არშია აქვს, მის ფერდზე — ზემო ნაწილში იკითხება:

ᲙᲐᲨᲬᲠᲘᲡᲐᲰᲔᲚᲘᲡᲬᲘᲡ... ᲜᲘᲨᲘᲜᲘᲜ

ᲘᲠᲘᲜᲘᲡᲘ შემდეგ ვერტიკალურად მარჯვნივ:

ᲗᲘᲗᲘᲡᲬᲘᲠᲔ- მარცხნივ —

ᲠᲘᲡᲐᲒᲘᲠᲔᲚᲘᲡᲐ ᲡᲐᲠᲬᲛᲘᲡᲘ; - ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ ᲬᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐᲡᲐᲠᲬᲛᲘᲡᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲡᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ-ᲝᲜᲐᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ამ უცნაური წარწერის აზრი, როგორც ჩანს, განზრახ გაბუნდოვანებულია, რადგან მისი ზოგიერთი სიტყვა ისეა შემოკლებული, რომ ან შუაში წყდება, ან რამდენიმე ასოთია წარმოდგენილი: ჩანს, ხარვეზებიც არის. სიტყვები ᲠᲔᲚᲘᲡ და ᲯᲕᲠ.

ორ-ორჯერ მეორდება, ხოლო ᲐᲮᲘᲜ სამჯერ. გაუგებარია,

ᲐᲮᲘᲜ მირიანს ნიშნავს თუ მარინეს, ᲫᲙᲜ ხურციკს, ხოლო

ᲫᲙᲜᲐᲠᲔ ხურციკიძეს. გაირჩევა წარწერის მხოლოდ დასაწყისი და ბოლო:

ᲩᲘᲨᲗᲞᲔᲚᲘ ᲐᲯᲣᲠᲘᲐᲜᲘ ... ᲜᲘᲠᲔ ᲗᲔ ᲘᲜᲘᲠᲔ ᲘᲠᲘᲜᲘ ..... ᲐᲠᲘᲣᲠᲙᲜᲘᲐᲜᲘ ᲜᲔᲒᲘᲔᲗ ᲙᲔᲗ ... ᲜᲣᲠᲙᲔᲗ ᲜᲘᲜᲘᲜᲘ.

3) მღვდელმთავრის კვერთხი, სიგრძე 2 არშინი და 3 გოჯი, ოქრო-ვერცხლისა, დაგვირგვინებული ექვსწახნაგიანი ცილინდრით, რომელიც მოოქვილია მსხვილი ძვირფასი თვლით, მათგან შემორჩენილია 117.[38] შესანიშნავი სიფაქიზით ნაკეთები წვრილმოზაიკური ჯვარცმით. მასზე არის შემდეგი წარწერები:

ᲐᲒᲝᲕᲘᲝᲡᲘᲡ ᲘᲓᲔᲰᲛᲠᲪᲔ ᲧᲘᲔᲗᲘᲙᲘᲔᲠᲘ

ᲬᲔᲜᲘᲐᲠᲘ

მაწიეთის მშვენიერ მარხვის სამ საგალობელში, რომელიც გადაწერილია 1566 წელს, არის გრძელი მინაწერი ანუ კანონი, რომელსაც ეგრეთ წოდებულ მართლმადიდებლობის კვირაში კითხულობენ და ჩამოთვლიან მართლმადიდებლობის მოღვაწეებს, საქართველოს მეფეებსა და სხვა ისტორიულ პირებს და მათ შორის აფხაზთა და ქართველთა მეფე გიორგი დასახელებულია კესარიოსად. იგი, იმ ადგილის მიხედვით, რაც მას მეფეთა სიაში უკავია, უნდა იყოს ბაგრატ IV ძე, გიორგი II, რომელიც 1072-1089 წლებში მეფობდა.

4) ღვთისმშობლის ძველი ხატი, რომლისგანაც შემორჩენილია ვერცხლის შეპედილობის მხოლოდ ზედა ნაწილი. მის კუბოზე მთე-

[38] მათ შორის 3 ხოშორი ფირუზია.

ლი ტანით გამოსახულია ღვთისმშობელი ამობურცული მოოქრული ვერცხლის სახით, ხელში უპყრია ჩვილი, მის გვერდებზეც რელიე-

ფური პორტრეტებია: მარჯვნივ ᲜᲘ ᲥᲐᲯᲘᲢᲘᲜᲘ

მარცხნივ ᲨᲝᲨᲐᲕᲔ. ᲜᲘ ᲛᲔᲠᲩ

გიორგი გამოხატულია ფორმის გვირ-
გვინით, გრძელი ულვაშებით, სამოსელი მთელ ტანს უფარავს, უკე-
თია სარტყელი და სამკლავურები. ელენესაც ასე აცვია, მისი თავ-
საბურავი დღევანდელ იმერულ თავსაბურავს ჩამოჰგავს. კუბოზე
33 თვლის ბუდეა, რომლებიც, როგორც ამბობენ, ამოუგლეჯიათ
1861 წელს. კუბოს ზედა ფიცარზე შიგნითა მხარეზე წარწერაა:

Რ ᲬᲔᲥᲜᲘᲗ ᲘᲗ ᲐᲜ ᲧᲜᲧᲜᲘᲜ ᲐᲧᲐᲠ ᲥᲘ ᲐᲨᲜᲯᲘᲜᲨᲘ ᲘᲨᲘᲜᲘᲗᲘᲜᲘᲜ ᲨᲘᲜᲘᲗᲘᲜᲘᲜ ᲨᲘᲜᲘᲗᲘᲜᲘᲜ

ქ:. ღმერთო:. მოიხსენე:. უს- ტა:. ამის მხატვარი: და ოქრო-
მჭედელი:. გრიგოლ. ამინ:.

სამწუხაროდ, მე ადგილზე ყურადღება არ მიმიქცევია, რა ხელით იყო მიწერილი გურიელისა და ელენეს სახელები, და ამიტომ ახლა არ შემიძლია დანამდვილებით ვთქვა, ერთსა და იმავე დროსაა თუ არა შესრულებული როგორც ეს, ისე გრძელი მინაწერი კავკასიძის შესახებ; მაგრამ ის გარემოება, რომ გიორგისა და ელენეს ბიუსტები და კავკასიძის შესახები წარწერა ერთსა და იმავე კუბოზეა, თითქოს უნდა ადასტურებდეს, რომ ისინი ყველანი თანამედროვენი იყვნენ. გიორგი გურიელისა და მისი მეუღლის ელენეს ცხოვრების დრო ჩვენ უკვე ვიცით ლიხაურის წარწერით: ისინი XV საუკუნის პირველ ნახევარში ცხოვრობდნენ. მაგრამ უცნაური ჩანს, რომ გიორგი გურიელი გვევლინება საათაბაგოს კუთვნილ ხატზე. ჩვენ არ ვიცით, სად მდებარეობდა წარწერაში ნახსენები ადგილი ბერედევნი, და ვერ ვიტყვით, იქიდან მოასვენეს თუ სხვა ადგილიდან მიძინების ხატი. მხოლოდ შეგვიძლია შევნიშნოთ, რომ კავკასიძეთა საგვარეულო, რომელიც კიდევ შეგვხვდება მომდევნო წარწერებში, საათაბაგოს ფრიად სახელოვანი გვარი იყო; როგორც ქვემოთ დავინახავთ, ეს გვარი აღზევებული იყო XI საუკუნეში — სწორედ იმ ძველ სიგელში, რომელიც ამ ნაშრომის II თავის დანართში მოვათავსეთ, აღნიშნულია, რომ მისი ვრცელი მამული „საკავკასიძო“ იშხნელის სამწყსოში შედიოდა და რომ პარხალი, სადაც დღემდე შემორჩენილია დიდებული ტაძარი (იხ. დანართი III), კავკასიძეთა საგვარეულოს ეკუთვნოდა. როგორც ეს, ისე მიძინების ხატების მომდევნო წარწერები ცხადყოფს, რომ ეს ხატები ფრიად სახელგანთქმულ ტაძარს ეკუთვნოდა. და ამიტომ შეიძლება ვიკითხოთ: პარხალის ტაძრიდან ხომ არ მოხვდნენ ისინი გურიაში?

წარწერის გამოთქმა „პა... მამა ჩვენის გურიელის ქაიხოსროს“ მთლად ნათელი არ არის, მაგრამ მე არცთუ უსაფუძვლოდ ვკითხულობ მას „პაპას მამა ჩვენის გურიელის ქაიხოსროს“, ვინაიდან ეს უკანასკნელი მართლაც იყო 'ძემოქმედელი ნიკოლოზის მამის პაპა ანუ პაპის მამა, სახელდობრ: ქაიხოსრო I (+ 1658 წ.) ქაიხოსროს ძე გიორგი III (+ 1684 წ.). გიორგის ძე მამია III (+ 1714 წ.) და მამიას ძე ნიკოლოზი. ჩვენთვის უკვე ცნობილი შემოქმედელი იაკობ დუმბაძე სიგელების მიხედვით მამია III დრო ჩანს და თვით ნიკოლოზის წინამოადგილე უნდა ყოფილიყო.

5) ფეშხუმის ვერცხლის დაფარნა წარწერით:

ՀՈՎՍԳԻ
ՕԼԻՆ ԿԻՆ ԿԷՄԻՒՒՆ ՆՊՆԻՆ ԿԻՆ ԿԱԿԻՆԻՆ ԿԻՆ ԿԱԿԻՆԻՆ ՍԻՒՆ ՊՐ-
ՅԻՆ ԶՐԹԱՎԿՆԻՆ ՆՍԴԻՆԻՆ ԿԱԿԱՆԻՆ ՍԻՒՆ ՈՐ.
ՅԻՆ ՀՂԱՍԻՍՅԱՆԻՆ ԷՒԷՆ ՍԻՒՆ ՈՐ ԷՒ : ՀՆԻՆ ՀՈՆԻՆ
ՕՆ ՍԱՀԻՆՂԱՆԻՆ ՆՍԴԻՆԻՆ ՀՆՂՏԿԿՆԻՆ ՍԻՒՆ ՈՐ
ԷՒ :

ზემოთ მოხსენიებული მაწიეთის სამარხვო სამსაგალობლის კანონში გარდაცვალებულად არიან დასახელებული ყოვლად ღვთის მოსავი პატრონი ყვარყვარე და თანამეცხედრე მისი პატრონი ანა და ძენი მათნი მზეჭაბუკ და ქაიხოსრო. ქართულ მატიანეებში ვკითხულობთ, რომ საათაბაგოს მთავარს ყვარყვარე III, აღბუღას ძეს, რომელიც ათაბაგად იყო 1417-1500 წლებში, მეუღლე დედისიმედისაგან ჰყავდა შვილები: ბაადური, ქაიხოსრო, მზეჭაბუკი და თამარი.[39] უეჭველია, რომ სწორედ ესენი არიან მოხსენიებული როგორც ჩვენს წარწერაში, ისე 1566 წელს გადაწერილ სამარხვო სამსაგალობელში და რომ დედისიმედი თვითონ ანა იყო; რადგან გურიაში იშვიათი არ არის, როცა ერთსა და იმავე ადამიანს ორი სახელი ჰქვია, ერთი ნათლობისა, და ერთიც შერქმეული. თანაც, ყვარყვარე III ცოლი, ანა, ქაიხოსროსა და მზეჭაბუკის დედა, მოხსენიებულია ერთი ხატის წარწერაში, რომელიც განსვენებულმა პეტრე ქებაძემ აცნობა აკადემიკოს ბროსეს.[40]

IV

ზემოთ ვახსენეთ უამრავი დამახინჯებული საეკლესიო ნივთები. ესენია: დამტვრეული ჯვრები, გაპობილი ხატები; მათგან აგლეჯილი ძვირფასი თვლები და წარწერიანი გარსამოსი; მრავალზე მრავალი ნატეხები ძველებური მოზაიკური ნამუშევრისა. ამ ნივთებით სავსეა უზარმაზარი ხის ზანდუკი, რომელსაც მაცხოვრის ეკლესიის საკურთხეველში-თვალისჩინივით უფრთხილდება მონასტრის მოლარე. ყველაფერი ესო, ამბობენ, 1861 წელს გაიტაცეს, როცა შემოქმედი გაძარცვეს. გამტაცებლებს დაეწივნენ და შეიპყრეს აჭარის უღელტეხილზე, როცა მათ წმინდა ხატები და ჯვრები გაეძარ-

[39] Hist. de la Géor., II, 1-re livr., 639.
[40] Ibid., 211 n. 2.

ცვნათ და შინ აპირებდნენ წასვლას. ამ დროს, ცხადია, ბევრი რამ სამუდამოდ დაიკარგა; დანარჩენი უკან დააბრუნეს იმ სახით, როგორც მე ვნახე. ამ ზანდუკში მთელი დღენახევარი ვიქექებოდი, ნამუსრევს ერთმანეთს ვუსადაგებდი, და ყველაფერი, რაც მეტნაკლებად საინტერესო მეჩვენა, დღიურში ჩავინიშნე. მე საინტერესოდ მეჩვენა შემდეგი ნივთები:

1) ვერცხლის ფირფიტის რამდენიმე ნამტვრევზე, რომელიც, ეტყობა, მაცხოვრის ხატის ზურგის გარსამოსი იყო. მას აქვს წარწერა:

Ⲧ. ⲄⲈⲀ ⲚⲀⲒⲞⲨⲂⲒⲚⲈ
ⲀⲨⲀⲄ ⲞⲈ ⲀⲪⲒⲦⲨⲂⲒ
ⲨⲦⲀⲨⲈ ⲨⲒⲚⲈⲞⲈⲒⲒⲞ ⲨⲒⲚⲈⲞⲈ
Ⲟ ⲞⲈ ⲖⲈⲈⲞ ⲨⲞⲈ ⲂⲀⲒⲚⲨⲂⲒ
Ⲉ ⲔⲈⲄⲄⲂⲒ .. ⲈⲈⲈ ⲀⲨⲄⲄⲄⲞⲒⲨⲂⲒ...
ⲀⲚⲚⲈ ⲈⲈⲈⲈⲚ ⲞⲈ ⲈⲀⲚⲈ ⲪⲨⲂⲂⲂⲂⲚⲈ
Ⲉ ⲄⲀⲒⲂⲚⲈ ⲀⲀⲔⲦⲨⲂ ⲀⲀⲔⲦⲚⲒⲒⲂⲚ ⲄⲨⲂⲀ

ამ წარწერაში სიტყვა ⲪⲨⲂⲂⲂⲂⲚⲈ მე არ მესმის (პინაკი ან ფეშხუმი ხომ არ არის?). გარდა ამისა, მისი ბოლო საინტერესო ადგილას წყდება და არ ვიცით, სიტყვის დასაწყისი ⲄⲨⲂⲀ (რას ნიშნავს — შემიწყალეს თუ შემოქმედის წინამძღვარს, ან კიდევ შემოქმედელს. ასეა თუ ისე, არა მგონია, ამ წარწერის ბოლო ისეთი ყოფილიყოს, როგორც ის აცნობეს აკადემიკოს ბროსეს,[41] ვინაიდან, ჯერ ერთი, ⲀⲀⲔⲦⲚⲒⲒⲂⲚ მოჰყვება ⲄⲨⲂⲀ.. „ხოლო“ და სხვა, როგორც ეს უკანასკნელ წარწერაშია, და, მეორეც, მე ვერ ვივარაუდებ, რომ წარწერაში მოხსენიებული ერისთა-

[41] Voyage archéol., II Rapp., 183.

ვის დროს შემოქმედში ყოფილიყოს ეპისკოპოსის ან მიტროპოლიტის კათედრა, რომელიც, როგორც ამას ქვემორე ვიხილავთ, უფრო გვიან დაარსდა. ამასთან შევნიშნავ, რომ ამ წარწერის კახაბერი სწორედ იმ კახაბერად მიმაჩნია, რომელიც აღნიშნულია ლიხაურის 1352 წლის წარწერაში.

2) დამტვრეული მოოქრული ვერცხლის ჯვარი შემდეგი წარწერით:

+ ՀԿՈՐՀ։
ՅՍՅՐՈ ։- ՈՐ։
ԲԱՀ ։- ՆԲՀՄԱՀ։-
ՂՄ ՀՀ ։- ՂՂ։-
ՆԲՄՀ ։- ՊԵՍՊ
ՇՀՊՈՐՀ ։- ԻՈՐԼ ՆՀՀՆՀ ՇԺԻՆԿԿՇ ։- ՇԴԼՈՐ։-
ՍՊՀԺՇԼ։- ՊԿԼԿՆԼՆ։- ՇՇԴՈՐ ։- ԱՎՄՀՆ։- ՇՀ՝ՏՇՀՀՈՐ ։-
ՆԲԱԼՀՆ։- ՅՄՀՆ ։- ՀԼ՝ՎԵԼՈԴ՝ՇՇՍԵՈՐ ։- ԻՀՀՈՐԼ։-
ՇՈՊ ..
ՀԼԼԱԿՀՈԱԼ ։
ԼԿՄԼՄՇ ։- ԼԱԴ
Ն ։- Ս ։- ԻՊՀՈՆ։
ՈՐՀՀ ։- ՅՀՀՀԿԿ
ԵՀ ։- ԿՄՄՈՒԼ
ՈՀ ։-

ორივე ამ პირზე ჩვენ ზემოთ ვილაპარაკეთ. ამ წარწერაში ისინი ამბობენ: „დავსვით შემოქმედს ეპისკოპოსი და დავდევით ომფორი“. სიტყვები „დავდევით ომფორი“ ამ აზრით უნდა გავიგოთ: „დავაარსეთ საეპისკოპოსო კათედრა“, ვინაიდან შემოქმედის ჯინკლოსშიც, როგორც თავის ადგილზე გამოჩნდება, 1525 წლის თარიღით აღნიშნულია: „აქა გელათს ომოფორი დადვეს“, ე. ი. საეპისკოპოსო დააწესესო. ეს მართლაც მოხდა იმ დროს, თუმცა მატიანე 1519 წელს დებს.[42]

3) მომცრო მოოქრული ვერცხლის ხატი მაცხოვრისა, რომელიც მარჯვენა ხელით აკურთხებს, ხოლო მარცხენაში გადაშლილი სა-

[42] Hist. de la Géor., II, 1-re livr., 254.

ხარება უჭირავს. მასზე წარწერილია: [illegible]

ხოლო ქვემოთ [illegible]

4) ხეზე ჩამოკონწიალებულ ვერცხლის ფირფიტის ნაგლეჯზე:

[illegible] მარკოზ: მახარებელი: ქრისტეს: მირქმული: ეგნატი: ანდ-

რია: მოციქული: ვლასი: და სხვანიც: + ყოვლის:

დაბადებულის: ღ~თო: ამათ: წმიდათა: შენთა: მადლითა: და მეო-ხებითა: შეუნდვენ: ყოველნი: ცოდვანი: მისნი: მიტროპოლიტს: დუმბაძეს: იაკობს: დამმსარებელთა მისთა:"

5) კარის მოოქრული ვერცხლის ნახევარზე, რომელზეც გამოსახულია ქრისტეს იერუსალიმად შესვლა, და მის ქვემო ნაწილზე:

[illegible]

[illegible] ᲙᲝᲜᲘ ᲓᲘᲓᲘᲡᲝᲜᲘ ᲛᲘᲠᲘᲗᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲙᲐᲠᲘᲡ [illegible]

6) კიდევ ვერცხლის ფირფიტის ნაგლეჯზე: „ქ: არტემი: სვიმონ: მესვეტე: პანტელეიმონ: პეტრე: და ანდრია: მოციქული: მაკაბელთ: დედ[ა]: ევპოლო: დიაკონი: ლუკა: და მათე: მახარებელი: და სხვა-თა ღთო: და ამათო: მადლო: შეიწყალე: მამა: დედითურთ: კანდე-ლაკი: იესე: ამინ:"

7) ვერცხლის ფირფიტის რამდენიმე ნაგლეჯზე: „მაცხოვარო მეუფეო და ხატო ღმთაებისაო: მოწყალე ექმენ: და იხსენ: სატან-ჯველთაგან: ძე გურიელისა: პატრონისა მამიასი: ფრიად: ცოდვილი: შამოქმედელ მიტროპოლიტი: ნიკოლოზ: რომელმ [ან] [და] სვა თავსა ზედა: მრავალ ფ [ასითა] ხატი ესე შენი: და და..."

8) ვერცხლის ფირფიტაზე: „ქ:. ჯვარო: ქრისტესო: რაჟამს: გპყრა: სიმრავლეს: მას ანგელოსთასა: მას: ჟამსა: მეოხ ეყავი: შე-

მოქმედელ: მიტროპოლიტს: ნიკოლოოზს: ძეს პატრონისა: გურიელისა: მამიასასა: რომელმაც განაახლა ხატი ესე:

9) ვერცხლის კანდელზე: „ქ. მე შემოქმედელს ნიკოლოზს ღვთაება შემოქმედისათვის შემიწირავს ესე კანდელი“.

უკანასკნელ შვიდ წარწერაში მოხსენიებული პირნი უკვე ცნობილი არიან წინა წარწერებიდან.

10) არ ვიცით, მიძინების რომელ ხატზე იყო XI საუკუნის ცნობილი წარწერა, რომელშიც ლაპარაკია ბერძენთა დიდი მეფის ასულ მარიამზე და პეტრიკ კავკასიიძეზე, მაგრამ ეს წარწერიანი ვერცხლის ფირფიტა შემოინახა და ეს წარწერა სავსებით ზუსტად არის მოყვანილი Voyage arch., II, Rapp., 285-Planche XLIII N 1 ამ წარწერის ისტორიული მნიშვნელობით დაინტერესებულთ მიმართონ Hist. de la Géorgie, I, 314, 339-341, ასევე ჩვენი მეცნიერის, აკადემიკოს ბროსეს განმარტებას იმავე Voyage arch., II, 186 Bullet. de l'Acad. de Cciences, A VIII, p. 465-ში. ჩვენ მხოლოდ შევნიშნავთ, რომ ეს წარწერიანი ხატი, უეჭველია, გურიაში იქიდანვე მოხვდა, საიდანაც გადმოასვენეს მიძინების ხატი. როგორც ზემოთ მოყვანილი და ისე ქვემორე წარწერით:

11) ვერცხლის ფირფიტაზე:

ⴷ. ⵄⵓⵅⵓⵏⵜⵓⵏ : ⵅⵏⵄⵄ : ⵜⵓⵓ : ⵜⵏ . ⵅⵏⵅⵏⵓⵜ
ⵅⵏⵓⵏⵏ ⵄⵓⵅ : ⵄⵓⵜⵓⵏⵏ : ⵏⵜⵏⵏⵜⵜ : ⵅⵏⵜⵏⵜⵜⵅⵜⵜⵏⵏ : ⵅⵏ-
ⵓⵏⵏ : ⵅⵏ ⵜⵏ · ⵅⵓⵅⵏⵄⵏ ⵅⵜⵓⵏⵏ : ⵅⵜⵜⵜⵅⵅⵜⵜ :
ⵅⵄ : ⵅⵜⵅⵏⵅⵜⵅⵏⵏ : ⵅⵓⵄⵏⵏ : ⵏⵄⵏ : ⵅⵜ : ⵅⵏⵅⵏⵏ :
ⵅⵜⵅⵏⵏ : ⵅⵏ : ⵄⵏⵅⵓⵅⵏⵅⵓⵜⵅⵏⵏⵜ : ⵅⵄⵏⵄⵏ : ⵅⵏⵏ :
ⵏⵅⵏⵅⵓⵅⵏ : ⵅⵓⵅⵄⵏⵜⵜⵏⵏⵜ ⵓⵅⵏⵏⵄⵅ : ⵄⵓⵅⵄⵏⵏⵏ
ⵏⵏⵄⵏⵏ . ⵅⵓⵅⵅ ⵄⵓⵅⵓⵏⵏⵏⵄ . ⵏⵓⵄⵅⵅ : ⵅⵅⵄⵅⵅⵅ :
ⵜⵏⵄⵜⵜⵅⵅ : ⵅⵄⵅⵅⵅ : ⵄⵅⵅⵅⵅ : ⵄⵅⵅⵅ : ⵄⵅⵅⵅⵅ : ⵅⵅⵅⵅⵅ :
ⵅⵄⵅⵄⵅ ⵅⵅⵅⵅⵅ

12) ღვთისმშობლის ხატი მორღვეული ქვედა ნაწილით; მის ოქროს მოჭედილობაში ჩასმულია რვა ხოშორი ძვირფასი თვალი, ხოლო ზურგის გარსამოსზე ვკითხულობთ:

ᲥᲨ ᲩᲝ : ᲥᲣᲨᲗᲣᲜᲔᲜ : ᲘᲨᲜ ᲐᲠ
ᲐᲚᲣᲜᲐ , ᲐᲣᲝᲠ : ᲨᲔ ᲐᲧᲤ
ᲗᲤᲜ : ᲣᲐᲣᲗᲔᲠ ᲜᲔᲜᲐᲣᲚᲨᲗ ᲐᲝᲜ
ᲢᲨᲔ : ᲠᲣ
ᲩᲨᲔ : ᲣᲣᲜᲜ : ᲐᲔᲚᲗᲜᲜᲐᲣᲜᲔ : ᲩᲨᲜᲜ :
ᲨᲔ : ᲐᲣᲨᲔ ᲮᲨᲔ : ᲐᲔᲚᲗᲜᲐᲣᲜᲔ :
ᲐᲚᲗᲜᲜ : ᲗᲗᲨᲝ.ᲚᲜᲔ ᲨᲔ . ᲜᲜᲨᲢᲜᲔᲜ :

ამ ხატის ერთ-ერთი თვალი, სახელდობრ ზურმუხტი ასეთი სიდიდისაა და აქვს წარწერა: (იხ. დან. V № 9). გრიგოლ მაკრისძეს ჩვენ არ ვიცნობთ; მაკარი მაწყვეტელი აწყურის ერთ-ერთი ეპისკოპოსი უნდა იყოს. აწყური სამცხეში ანუ ახლანდელ ახალციხის მაზრაშია; ქურციკი და სეფედავლე გვხვდება აწყურის ახლოს მდებარე თისელის მონასტრის სვინაქსარის გრძელ მინაწერში;[43] ვიღაც ქურციკი, როგორც ვაჩვენეთ, იხსენიება აგრეთვე ზარზმის მონასტრის ერთ-ერთ წარწერაში. ასე რომ, ეს ხატი სამცხეს ეკუთვნის.

13) ვერცხლის ფირფიტაზე:

...ᲝᲜ: ᲗᲔᲗᲝᲨᲐ : ᲔᲧᲗᲔᲦᲔᲐᲜᲡ ᲧᲐᲔᲗᲜᲜᲔᲐ : ᲜᲣ-
ᲡᲣᲜ : ᲐᲜᲗᲜᲝ : ᲔᲠᲘᲐᲜᲡᲗᲐᲜᲔᲐ : ᲗᲔᲜᲔᲩᲐᲜᲔᲐ : ᲐᲔᲐ-
ᲧᲧᲜ : ᲣᲜ : ᲧᲩᲜᲜᲔ : ᲐᲜ : ᲧᲩᲜᲜᲔ : ᲐᲗᲔᲗᲗᲣ : ᲧᲩᲔ :
ᲨᲔᲜᲐᲣᲣᲜ : ᲐᲔᲐᲐᲗᲣᲧᲜᲔ : ᲐᲜᲔᲔᲣᲜ ᲧᲣᲩᲜ : ᲧᲣ-
ᲗᲣᲨᲗᲣᲧᲜ : ᲣᲩᲐᲗᲗᲔᲜᲔ : ᲨᲔ : ᲧᲩ : Ჯ : ᲧᲨ : ᲩᲐ :
ᲘᲗᲜᲜ : ᲐᲧᲐᲔᲧᲣᲩᲔᲐ : ᲧᲣᲜᲩᲜᲗᲣ : ᲐᲔᲜᲗᲣ : ᲣᲩ-
ᲔᲐᲜᲔᲐᲗᲜ : ᲨᲔ : ᲨᲔᲜᲐᲣᲣᲨᲗᲣ ᲐᲗᲔᲔᲣᲣ : ᲔᲐᲐᲗ-
ᲗᲣᲧᲜᲔ : ᲧᲩᲔ : ᲐᲔᲜᲔᲗᲣᲜ : ᲨᲔ : ᲐᲔᲨᲜᲨᲣᲧᲣᲩᲜ : ᲧᲣ-

ᲩᲜ : ᲣᲜᲐᲜᲗᲜᲔ : .. ᲝᲔᲩᲩᲔ ; ᲐᲣᲔᲐᲣᲧᲨᲗᲣ ᲐᲝᲜ , ᲗᲣ
ᲝᲔ..0...

ამ წარწერის ელმირზა უცნობია.

---

[43] Chronique géorg., ქართ. ნაწილი, 124-127.

14) გატეხილი ჯვარი და მის ქვემოთ: „ქ:. ღმერთო:. და:. ძ-ელო:. ცხოვრებისაო:. წარმართე:. მეფობა ბატონის:. ლეონისი:. ამინ“.

ეს ლეონი, შეიძლება იყოს, კახეთის მეფე ლეონ II, რომელიც XVI საუკუნის პირველ ნახევარში ცხოვრობდა და ცოლად ჰყავდა გურიელი მამია I-ს ასული თინათინი.[44]

15) ოქროს ჯვრის ნატიფად ნაკეთები ოქროს ბურთულა 13 ზურმუხტითა და 28 ფირუზით და მის გარშემო წარწერა: „ქ მეფისა დავითის და დედოფლის ქეთაონის საფლავისა ალავერდს ყ~დ წმიდის საყდრისა. ვინცა გამოგწიროს, რისხავსმცა ღმერთი“.

ეს პირნი ცნობილნი არიან; ეს არის კახეთის მეფე დავით II და მისი მეუღლე წმიდა ქეთევანი, რომელიც სარწმუნოებისათვის აწამეს სპარსეთში XVII საუკუნის პირველ ნახევარში.[45]

16) გაპობილი ოქროს ხატი 21 თვლით, მათ შორის ერთი ფირუზი და 7 მარგალიტია.

17) ხატებზე აგლეჯილ უამრავ თვლებს შორის აღმოჩნდა ძალზე ბევრი ხოშორი იაგუნდი, ფირუზი, ალმასი, მარგალიტი და სხვ. ყველაზე მსხვილი იაგუნდი საგრძნობლად დიდია. ამ თვლებიდან, რასაკვირველია, ყველაზე საინტერესოდ უნდა ჩაითვალოს შემდეგი ქვები ჩემთვის უცნობი ანბანით შესრულებული წარწერებით. (იხ. დანართი V, № 10).

არ ვიცი, ჰქონდა თუ არა შემოქმედის მონასტერს ძველი ქართული ხელნაწერების წიგნთსაცავი, რომლებიც ხშირად შეიცავენ ისტორიულ მინაწერებს, მაგრამ ასე იყო თუ არა, ამჟამად აქ დაცულია ორი შესანიშნავი ხელნაწერი, რომლებსაც უნდა შევეხოთ. ეს არის, ჯერ ერთი, გულანი და, მეორე, „ფუთკარი“, ანუ ლოცვანი და ბერძნული ეკლესიის ზოგი წმინდანის ცხოვრებათა კრებული.

გულანის სახელით საქართველოში ცნობილია მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წლის ყველა დღისა და დღესასწაულისათვის დადგენილი საეკლესიო საკითხავებისა და ლოცვების კრებული. ყველა გულანი, რომელიც კი მე მინახავს, ნუსხა-ხუცურით ნაწერი უზარმაზარი ფოლიანტებია. თვით გურიაში სამი გულანი ვნახე; ციხეში, რომელიც გურიანთაში მდებარეობს, ერკეთსა და შემოქმედში. ერკეთის გულანი გადაწერილია XVII საუკუნის დამდეგს, კათალიკოს ეკვთიმე საყვარელიძის დროს, ხოლო ციხისა და შემოქმედისა, რომელთა დედანსაც პირველი წარმოადგენდა, XVIII საუ-

---

[44] Hist. de la Géor., II, 1 livr., 334, 335, 634.
[45] Ibid., 634.

კუნის პირველ ნახევარში, გურიელი მამია IV დროს. თითოეულ მათგანში არის სრული ქართული საპასექო ციკლი, სხვანაირად, ქორონიკონი, ანუ, როგორც აქ უწოდებენ, კვინკლოსი (χυκλος) ციკლი). კვინკლოსი გაყოფილია ოთხ გრაფად, პირველში აღნიშნულია დიდმარხვის პირველი დღე, მეორეში ებრაული პასექი, მესამეში ქრისტიანული აღდგომა, ხოლო მეოთხეში ზედ-ნადები. ასეთი რიგითაა წარმოდგენილი ყველა წელიწადი ქორონიკონისა, რომელიც 532 წლისაგან შედგება, და დასასრულ ნათქვამია: „ოდეს ესე ქორონიკონი დაესრულოს, კუალად თავითვე დაიწყე". სამწუხაროდ, ერკეთისა და ციხის გულანებში კვინკლოსიდან მხოლოდ რამდენიმე ფურცელიღაა შემორჩენილი, და ისიც პირველი გვერდები. ისტორიული მინაწერები წლებს ქვემოთ თითქმის გამქრალია. შემოქმედის გულანის კვინკლოსი კი ყველა მისი მინაწერით სრულად შენახულა.

შემოქმედის გულანი 1004 ძალზე სქელი ქაღალდის ფურცელს შეიცავს და ზუსტად ორ ფუთს იწონის. მასში მრავლადაა სხვადასხვა ფერის საღებავით საკმაოდ მკაფიოდ შესრულებული ნახატი, რომლებზეც გამოსახული არიან წმინდანები. გადამწერთა სახელები მიწერილია გულანის სხვადასხვა ადგილას. ისინი არიან: ათანასე ქავჯარაძე, მთავარდიაკვანი იოანე, მდივანი იოანე, მღვდელი საბა და იოსებ ტუსკია, რომელიც ჯერ მღვდელმონაზვნადაა დასახელებული, შემდეგ არქიმანდრიტად. ერთგან ციხის გულანში, რომელიც, როგორც ჩანს, იმათვე გადაუწერიათ, ვისაც შემოქმედის გულანი, მღვდელი საბა ამბობს: „მე და ჩემმა თაბუნმა" ამ გულანზე 18 წელიწადს ვიმუშავეთო. გულანი დამთავრებულია 1749 წ. საკმაოდ დამახასიათებელია შემოქმედის გულანის ზოგი მინაწერი. ორგან მამია გურიელი საკუთარი ხელით წერს: „ამაზედ მეზვერე და ფარისეველი დახატე", „აქ გარდამოხსნა დახატე". კიდევ: „უფალო, მოიხსენე ბატონი გურიელი მამია ორთავე შინა ცხოვრებასა და ამის მწერალი მთავარდიაკვანი იოანე, არსების ხატო, მელანი აკეთე და მე ხელი მომიმართე, ამინ". — „კურთხევანი ძალითა ღმრთისაჲთა ახლად თარგმნილი ბერძნულისაგან ქართულად კვიპრიანე სამთავნელისაგან".

შემოქმედის გულანში ყველაზე მნიშვნელოვანი მინაწერია ისტორიული ამბების ნუსხა კვინკლოსის წლებს შორის, რომლებიც მოიცავენ ხანას XVI საუკუნის დამდეგიდან XVIII საუკუნის მიწურულამდე. ეს წარწერა არაზუსტად აცნობა მაიორმა ტრეასკოვსკიმ აკადემიკოს ბროსეს და მანაც ამ სახით შეიტანა თავის Voyage

archeologique, II, Rapp., 188-189. აი, ამიტომ ჩემი მხრივ საჭიროდ მიმაჩნია მოვიყვანო მისი ორიგინალი.

Ն	200-1512.	აქა მოვიდნენ თათარნი, ქუთაისი და გელათი დასწვეს.
ՆՆՂ	213-1525.	აქა გელათს ომოფორი დასდვეს.
ՆԿՆ	227-1539.	აქ შვიდწილ წყეულნი სომეხნი შეიბილწნეს.
ՆԱԿ	272-1584.	აქა მეფე გიორგი მოკვდა და ძე მისი ლეონ მეფედ დაჯდა.
ՆՆՂ	286-1598.	აქა გურიელი ბატონი გ~ი მიიცვალა და ძე მისი დაჯდა ხელმწიფედა.
ԶԾ	304-1616.	აქა აფხაზეთის... მიიცვალა და კ~ზ ად გურიელის შვილი დაჯდა.[46]
ԶՆՂ	315-1627.	აქა გურიელს მამიას უღალატეს და მოკლეს.
ԶԿԳ	392-1704.	აქა მოვიდა გურიას ხალი-ფაშა და აააოხრა ქვეყანა.
ԶԿՆ	327-1639.	აქა ჯუმათელი კათალიკოსი მიიცვალა.
ԶԿԲ	328-1640.	აქა ჯუმათელი ნიკზ მანველიშვილი დაჯდა.[47]

---

[46] ერკეთის გულანის კვინკლოსის მიხედვით.

[47] ჯუმათელი ნიკოლოზ მანველიშვილი მოხსენიებულია ერკეთის მაცხოვრის წარწერაში.

ՋՆԿ.	342-1122.	აქა მიიცვალა დავით აღმაშენებელი.[48]
ՀԱՐ.	349-1661.	აქა მეფემან ალექსანდრე გურიელს მოუხდა, გურიელი ქაიხოსრო გარდააგდო და დიმიტრი გურიელი გურიელად დასვა.
ՋԱՂ.	373-1685.	აქა ჯუმათელი შარაშიძე მიიცვალა.
ՋԱՂ	375-1687.	აქა ჯუმათელი ინე ბერიძე დაჯდა ჯუმათლად.
ՋԿԿ	326-1106.	აქა დავით გელათი დაიწყო.
ՋԿՀ	394-1706.	ამა ქორონიკონსა აფხაზი და მეგრელი მოუხდა ჩოჩხათს და ჯუმათელს შარვაშიძეს მაქსიმეს გაემარჯვა.
ԱՆ	407-1719.	აქა მეფე გიორგი მოკლეს იმერეთს მარტსა იგსა (13)
ԱՆԴ	416-1728.	აქა დადიანი ბეჟან მოკლეს თათართა.
ԱՂԼ	437-1749.	ამა ქორონიკონსა დაიწერა წ~ა ესე გულანი.
ԱՃԴ	446-1758.	ამა ქორონიკონსა იმერეთს თათრის ლაშქარი მოვიდა, მეფეს სოლომონს გაემარჯვა, ლევან აბაშიძე მოკლეს, გოპა-ფაშა და შჰშალი დაირჩინეს და მერე მოკლეს თვესა დეკემბერსა იდსა (14) ამასავე ქრკსა იმერეთს ლეკის ლაშქარი

[48] ქართული მატიანეების მიხედვით დავით აღმაშენებელმა მეფობა დაიწყო 1089 წელს და გარდაიცვალა 1125 წელს (Iist, I, 345).

მოვიდა, მრავალი სული ქრნი (ქრისტიანი) იშოვეს, გელათი და სოსჯუნის საყდარი დასწვეს ი-სა (10) აგვისტოსა.

ԱՃԻ. 448-1760. ამას ქორონიკონსა მზე დაბნელდა თვესა ივნისსა ბ-სა (2), დღესა პარასკევსა.

ԱՃՀ 451-1763. ამას ქორონიკონსა იმერეთს სერასკირი და ახალციხის ფაშა პ(80) ათასი კაცით მოვიდენ, ღთის ნებით ტყუილათ გაიქცნენ და მრავალი იშოვეს იმერელმან.

ԱՃԴ. 456-1768. ამას ქორონიკონსა მეფეს სოლომანს, თათარს და აბაშიძეს ლევანს შეება ოკრიბას დღესა კვირიაკესა თვესა დეკენბერსა იდ-სა (14). აბაშიძე ლევან მოკლეს, თათარი ქემხა დაირჩინეს, სხვა მრავალი დაირჩინეს და მოკლეს.

ԱՃԿ. 462-1774. ამას ქკსა გურიას სერასკირის ლაშქარი მოვიდა, ასკანა, ლეხაური და ბუკისციხე ეიღეს. — ამასავე წელსა მეფე სოლომონ და გურიელი მამია გურიას მივიდენ და ბუკის და ასკანის ციხე აიღეს.

ԱՕԼ 472-1784. გურიელი მამია მიიცვალა თვესა ივლისსა.

მომდევნო ნუსხა მოვლენებისა მაცნობა შემოქმედელმა მღვდელმა, რომელმაც იგი თითქოს რომელიღაც ხელნაწერიდან გადმოწერა. ვფიქრობ, ეს ნუსხა ნამდვილად იქნება შემოქმედის მონასტრის კუთვნილ რომელიმე ხელნაწერში, მაგრამ დამალულია მის დავთრებთან ერთად.

ჩღპდ (1784) წელსა მაისის კთ-სა (29) აბდულაღა ხემშიაშვილი მოკლეს აკეთს.

ჩღკდ (1794) წელსა შემოქმედელი იოსებ გარდაიცვალა.

ჩლკე (1795) წელსა მაისის 8-სა (7) საშინელი მიწის ძვრა იყო.

ჩყი (1810) წელსა პირველად აიღო რიონის ციხე რუსმა, ისევ დაუბრუნა თათარს.

ჩყიბ (1812) წელსა დიდი შიმშილი იყო და შემდგომ ჟამი გამოჩნდა იმავე წელშიდ.

ჩყიდ (1814) წელსა მარტის დ-სა (4) წერეთლის ქალი დედოფალში გარდაიცვალა.

ჩყიზ (1817) წელსა გურიანთის ციხე მოსტეხეს.

ჩყკ (1820) წელსა გენათელი და ქუთათელი რუსეთშიდ წაიყვანეს და შემოქმედს კუზურენცსკი: (Пузыревский) მოკლეს და შემოქმედის ციხე მოსტეხეს და შემოქმედი მოსწვეს.

ჩყკვ (1826) წელსა აგვისტოს ბ-სა (2) დიდი წყლობა იყო და იმავე თვეში მკალი მოვიდა, ნამუშევარი შეშჭამა. ამავე წელს გურიელი მამია გარდაიცვალა ნოენბრის კ-სა (20) დღესა.

ჩყკᲩ (1828) წელსა ივლისის თვეშიდ რიონის ციხე აიღო რუსმა მეორედ.

ჩყკთ (1829) წელსა სრულიად ქობულეთის სიმაგრე აიღო რუსმა და გურულებმა.

ჩყლზ (1837) წელსა მობრუნდა ზღვით ხელმწიფე ჩვენი ნიკოლოზ ყულევს და ზუგდიდს და დადიანთან გაიარა და იქიდგან ქუთაისს გაიარა და ახალციხეს წაბრძანდა.

ჩყმა (1841) წელსა გურიაშიდ ბუნტი მოხდა.

ჩყმდ (1844) წელსა მაისის კვ-სა (26) დღესა ელისაბედ ერისთვის ქალი (ქაიხოსრო გიორგის ძე გურიელის ცოლი) გარდაიცვალა ქალაქს (ტფილისს).

ჩყნა (1851) წელსა ივლისსა 15-სა საღამოს მზე დაბნელდა.

ჩყნგ (1853) წელსა ოკდომბრის იდ-სა (14) შეკვეთილი აიღო თათარმა და მოხდა დიდი ჩხუბი. იმა რიცხვიდგან მოკიდებული მეოთხე წლამდინ ჩხუბი იყო.

II. მეორე შემოქმედური ხელნაწერი „ფუთკარი", როგორც ჩანს, შემოქმედელ იაკობ დუმბაძეს ეკუთვნის, რადგან მის მინაწერში ნათქვამია: „ეჰა, შენ დიდსა და ზესთა აღმატებულსა, ცათა მობაძავსა საყდარსა შემოქმედისასა, ერთარსებით ქებულსა, სამებით დიდებულსა ხატსა ღთაებისასა ჩვენ მსასოებელმან თქვენმან, შენმავე მიტროპოლიტმა დუმბაძემან იაკობ შემოგწირეთ წა ესე „ფუთკარი". ხელრთვა „იაკობ დუმბაძე", რომელსაც ჩვენ უკვე ვიცნობთ შემოქმედის რამდენიმე წარწერით, ასევე XVIII საუკუნის დამდეგს გარდაცვალებული გურიელი მამია III დროინდელი გურიის სიგელებით. საქართველოს კათალიკოსი ანტონი I თავის „წყობილ-სიტყვაობაში" მას უწოდებს მაღალი გონების კაცს, მრავალგანსწავლულს და საქებარ მოლექსეს. ჩვენ არ ვიცით, საიდან ისესხა ბ-ნმა იოსელიანმა თავისი ცნობები იაკობ დუმბაძის შესახებ, რომლებიც მას მოჰყავს მის მიერ გამოცემული „წყობილ-სიტყვაობის" შენიშვნაში, სადაც გვარწმუნებს, რომ იაკობ დუმბაძე აღი-

ზარდა ტრაპიზონში და შემოქმედელად აკურთხა იმერეთის კათალიკოსმა დავითმა (ნემსაძემ) 1682 წელს, რომ 1687 წელს იმოგზაურა რომში, სადაც დიდი პატივით მიიღო პაპმა ინოკენტიმ, და საიდანაც დაბრუნდა შვიდი კათოლიკე მისიონერის თანხლებით, რომლებიც შემდეგ განდევნეს; რომ სიბერეში იმოგზაურა ათონის მთაზე და შემდეგ იერუსალიმში, სადაც კიდევაც დაასრულა თავისი დღენი. იაკობ დუმბაძემო, ამბობს იგივე იოსელიანი, დაგვიტოვა ორი ტრაქტატი ლექსად: „უარყოფა მუსლიმანთა აღმსარებლობისა“ და „შვიდთა საიდუმლოთათვის“.[49]

„ფუთკარი“, როგორც აღვნიშნეთ, გარდა წმინდანთა ცხოვრებისა, შეიცავს: 1) უცნობი ავტორის დაწვრილებითს თხრობას 30 გვერდზე კონსტანტინოპოლის წმ. სოფიის ეკლესიის აგების შესახებ. მასში განსაკუთრებით საინტერესოდ მეჩვენა ტექნიკური სიტყვები, რომლებიც ხუროთმოძღვრულ ხელოვნებას ეხება და რომლებიც ახლა თითქმის აღარ იხმარება; 2) მოკლე განმარტება ქარ-

თული სააღდგომო ციკლის ზედნადებისა — „თუ რაჲსათვს ԹՒԿ

(532) წელსა იქცევის ქორონიკონი“, და ბოლოს, 3) საკმაოდ ვრცელი ტრაქტატი „თქმული წმიდისა მამისა ჩვენისა არსენისა მცხეთელ კათალიკოზისა, რომელი იყო სანახებთაგან სამცხისთა, საფარით, განყოფისათვის ქართლისა და სომხითისა“.[50] ამ ტრაქტატში მოთხრობილია ქართული და სომხური ეკლესიების განხეთქილების ამბავი VI და VII საუკუნეებში ქალკედონის კრების შემდეგ, რომელიც 451 წელს გაიმართა. ორი მეზობელი ერის ცხოვრების ამ საინტერესო ეპიზოდს დაწვრილებით მოგვითხრობენ ძველი სომეხი მწერლები: უხტანესი X საუკუნეში (Abbit. et Eclaiciss a l'Hist. de la Géor., 1851, p. 109-125) და სტეფანოს ორბელიანი XIII საუკუნეში (Hist. de la Siounie, 1863, I, 63-80). კათალიკოსი არსენი სტეფანოსის მსგავსად თავის ტრაქტატში, ალბათ, უხტანესის ცნობებით ხელმძღვანელობს. სამწუხაროდ, ჩვენ დრო არ გვქონდა მთლიანად გადმოგვეწერა ეს ტრაქტატი და ამიტომ მის ერთ მოკლე

---

[49] წყობილ-სიტყვაობა, ტფილისი, 1853, გვ. 224-225.

[50] ეს იყო წმ. არსენი მცხეთის კათალიკოსი, რომელიც, როგორც ამბობენ, X საუკუნეში ცხოვრობდა, თუ არსენ იყალთოელი, დავით აღმაშენებლის ცნობილი მოძღვარი, რომელიც XII საუკუნეში მოღვაწეობდა (Addit ét Eclairciss. à l'Hist de la Géor., 1851, p. 126.) ქართლ. ცხ., ჩუბინოვისა, 1854; XX, თუ სხვა კათალიკოსი არსენი XIII საუკუნისა (წყობილ სიტყვ., 213), დანამდვილებით ძნელი სათქმელია.

ამონაწერს უნდა დავჯერებოდით. არსენის სიტყვით, გრიგოლ განმანათლებლის დროიდან მოკიდებული ქართველებსა და სომხებს შორის სრული სარწმუნოებრივი ერთიანობა სუფევდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც „ბერძენთა იმპერატორმა არკადიმ, თეოდოსის ძემ“ უარი უთხრა სომხებს სპარსთა წინააღმდეგ დახმარებაზე და სომეხთა ქვეყანა სპარსეთის მეფემ პეროზმა (ხოსრო-ფარვიზმა) დაიმორჩილა, სომხებმა, იმის შიშით, რომ ვაითუ პეროზმა თავისი მუქარა აღასრულოს და გაგვასახლოს, თუ მის მოთხოვნას არ შევასრულებთ და ბერძნულ აღსარებაზე ხელს არ ავიღებთო, იძულებული იყვნენ თავიანთი მეფისა და კათალიკოსის ნერსესის რჩევით დათანხმებულიყვნენ მიეღოთ იაკობთა მოძღვრება. მაშინო, ამბობს არსენი, სპარსთა მეფემ სირიიდან სომხეთს მიავლინა 9 იაკობელი მქადაგებელი, რომელთა შორის განსაკუთრებულ როლს ასრულებდა აბდიბო, და მათ გულმოდგინედ იწყეს თავისი მოძღვრების გავრცელება სომეხ ხალხში. ამან განხეთქილება ჩამოაგდო ქართველებსა და სომხებს შორის და მის აღმოსაფხვრელად თანამიმდევრულად მოიწვიეს რამდენიმე საეკლესიო კრება. არსენის მიხედვით, ეს კრებებია: დვინის პირველი, რომელიც მოხდა აბრაამ სომეხთა კათალიკოსისა და კვირიონ მცხეთის კათალიკოსის დროს, მას შემდეგ, რაც კვირიონმა ცურტავის საეპისკოპოსოდან განდევნა ეპისკოპოსი მოსე; დვინის მეორე, რომელიც მოიწვიეს ნერსეს პატრიარქობის დროს, იმპერატორ იუსტინიანეს მეფობის მე-14 წელს, სპარსთა მეფის ხოსროს მე-2 წელს და წმინდა იზადბუზიტის მოწამეობის წელს. და, ბოლოს, კარნუ ქალაქისა იმპერატორ ჰერაკლეს დროს. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ საეკლესიო კრებაზე სომეხთა ერის წარმომადგენლებმა აღიარეს ქალკედონის კრების მოძღვრება და თითქოს უთანხმოების მიზეზი აღმოიფხვრა, სარწმუნოებრივი განხეთქილება ხულ უფრო ძლიერდებოდა, რასაც მოჰყვა ორი ეკლესიის — სომხურისა და ქართულის საბოლოო განყოფა.

მე ვამთავრებ ამ გრძელ თავს, მაგრამ დასასრულ საჭიროდ მიმაჩნია ორიოდე სიტყვა ვთქვა ერთ ფრიად საინტერესო კაცზე, რომელსაც შემოქმედში შევხვდი. ეს არის შემოქმედის მკვიდრი მღვდელი გიორგი დუმბაძე, რომელიც 90 წლისაა, მაგრამ სრულად შემორჩენია როგორც ფიზიკური მხნეობა, ისე საღი გონება. 40-50 წლის წინათ, როცა ჩურუქ-სუში ქრისტიანობა ჯერ კიდევ ცოცხლად ახსოვდათ და აქაური ეკლესიები ყველა მთელი იყო, გიორგი დუმბაძე იქაური მოსახლეობის მოწვევით სხვა გურულ მღვდლებ-

თან ერთად დადიოდა იქ ქრისტიანული საეკლესიო წესების აღსასრულებლად. 1820 წლის აპრილში მან საკუთარი თვალით ნახა პოლკოვნიკ პუზირევსკის მკვლელობა შემოქმედში და მისი მკვლელობის ვითარებას ისე ჰყვება, რომ სავსებით ეთანხმება ჩვენს ხელთ არსებულ ოფიციალურ ცნობებს.[51] მაგრამ მისი ნაამბობი უფრო დაწვრილებითია. 1828 წელს იგი მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის ომში და გენერალ გესენის რაზმთან ერთად ულაშქრია ჩურუქ-სუსა და ციხისძირში. დუმბაძეს კარგად ახსოვს უკანასკნელი შემოქმედელი იოსები, რომელიც, მისი სიტყვით, თაყაიშვილების გვარიდან იყო. ზოგიერთი მისი ცნობა, განსაკუთრებით გურიის მთავრების — სვიმონისა და მისი შვილის, უკანასკნელის წინა გურიელი მამია V-ის ეპოქის დამახასიათებელი, აგრეთვე ეთანხმება ჩემ მიერ შეგროვებულ წერილობით სიგელებს, ასეთია, სხვათა შორის, მისი ცნობები ტყვით ვაჭრობაზე გურიაში; ამ დანაშაულში მხილებულთა ცოცხლივ დაწვაზე; ეგრეთ წოდებულ ღვთის სამართალზე ანუ ორთა ბრძოლით, მდუღარითა და გახურებული რკინით გამართლებაზე, რომელსაც დასაბამი მიეცა ჯერ კიდევ ძველ არიელებში, რომელიც ინდო-ევროპელებში ცნობილია სახელწოდებით Ordalium, ordala, Urtmel, Urtheil gestatio ferri, ienordal და სხვ. (იხ. Ordalie ნაშრომში Littré, Dictionnaire de la lange francaise. — Er. Lenormant, Manuel d'Hist. ancienne de l'Orient, 1869, II, 286-287, III, 595), რომელიც ძველთაგანვე მოქმედებდა მთელ საქართველოში და XVIII საუკუნის დამდეგს შეევიდა ვახტანგ VI ძეგლისდებაში, მუხ. 37, 38, 39 და 62. შევეხები დუმბაძის ნაამბობს სამართლის იმ ფორმის დაწვრილებითს აღწერაზე, რომელიც გურიასა და მთელ საქართველოში ცნობილია „შანთის" სახელით (სომ-

ხური ջանէ გახურებული რკინა).

„შანთი და მდუღარე, დუმბაძის თქმით, საყოველთაოდ გავრცელებული საშუალება იყო მხოლოდ სერიოზული დანაშაულის — მკვლელობის, ტყვის გაყიდვისა და სხვათა — გამოსამჟღავნებლად. ბრალდებულის ნება იყო შანთს აირჩევდა თუ მდუღარეს. გამოცდის ამბავს წინასწარ მოახსენებდნენ მთავარს, ხოლო შემდეგ შეუდგებოდნენ თვით პროცესს. ბრალდებულს მისი მოძღვარი ზეთს უკურთხებდა, ესწრებოდა მის შვიდდღიან ლოცვას და აღსარებას

[51] Акты Кавказ. Археогр. Ком., т. VI, ч. I, стр. 670-674.

ათქმევინებდა. თუ აღსარებისას იგი დანაშაულში გამოტყდებოდა, გამოცდა, რა თქმა უნდა, ზედმეტი იყო და დამნაშავე ისჯებოდა; მაგრამ თუ არ აღიარებდა, მაშინ ნიშნავდნენ გამოცდის ადგილს, მეტწილად იქ, სადაც იმჟამად მთავარი იმყოფებოდა, ოზურგეთში, შემოქმედში ან დუაბზუში. გამოცდას ესწრებოდნენ, თუ მთავარი არა, ყოველ შემთხვევაში თანამდებობის პირნი: მდივანბეგი, სახლთუხუცესი და ბოქაულთუხუცესი. შანთი 1 ოყას (3 გირვანქას) იწონიდა, სიგრძით 7 გოჯა იყო, სიგანით — კაცის ხელისგულის სიფართე. შანთს სამჯერ გაახურებდნენ ვაზის და არა სხვა ხის ნაკვერცხალზე, მაშიდ დადებდნენ მიწაში ჩასობილ ორ ლატანზე, ბრალდებულს ხელზე ჩამოაცმევდნენ ქაღალდის ფურცელს, რომელზეც ეწერა შემდეგი ფორმულა: „ღმერთო მამაო, ღმერთო ძეო და ღმერთო სულო წმინდაო, თუ მართალი ვიყო ამ რკინის ცეცხლიდან უვნებელი გამომიყვანე, თუ არა და დაიწვას ხელი ჩემი“. იგი იდებდა შანთს, სამჯერ გადახტებოდა და დაადგებდა. შემდეგ მას აცმევდნენ გურიელის ბეჭედდასმულ სუდარას და მიჰყავდათ ერთ-ერთ მახლობელ ციხე-დარბაზში, სადაც მას განსაზღვრული დროით ამყოფებდნენ საზოგადოების ხარჯზე. ვადის გასვლის შემდეგ გაუსინჯავდნენ ხელს და თუ დამწვარი აღმოჩნდებოდა, დამნაშავედ თვლიდნენ და მართლმსაჯულებას გადასცემდნენ, თუ არა და უდანაშაულოდ გამოაცხადებდნენ და სანუგეშებლად გურიელისა და თანამდებობის პირთა ხარჯზე ასაჩუქრებდნენ თოფით, ტანსაცმლით და სხვ. არავის საეჭვოდ არ მიაჩნდა ამგვარი გამოცდის უტყუარობა. ამ წესითო, დასძინა მოხუცმა, ყოველთვის მეღავნდებოდა დამნაშავე და მართლდებოდა უდანაშაულო. მე თვითონ ბევრჯერ ვყოფილვარ იმის მოწმე, რომ მართალი კაცის ხელი უვნებელი დარჩენილაო.

მე შესაძლებლობა მომეცა მეშოვა ერთი, აქვე დართული (იხ. დანართი IV) ფურცელი ქაღალდი, რომელიც გამოცდის დროს უხმარიათ: მას მართლაც აქვს ნახვრეტი ხელზე ჩამოსაცმელად და ატყვია შანთის კვალი. ამ ფურცელზე გადმოცემული ფორმულა, რომელიც რამდენადმე ჰგავს ვახტანგ მეფის სჯულდების მე-7 მუხლში გადმოცემულ ფორმულას, შეიცავს მთელ საბრალდებო აქტს ბრალდებულის დანაშაულის რაობისა და თვითონ ბრალდებულის გიორგი თაყაიშვილის მითითებით, რომელიც, როგორც ქაღალდის მეორე გვერდი გვიჩვენებს, 1811 წელს ცხოვრობდა. ამ ქაღალდის შინაარსი ასეთია: „სასწორო და სამართალო: ღმერთო: მამაო: ღმერთო ძევო: ღმერთო სულო წმინდავო: ღმერთო: გეაჯები მე საწყალობელი აბდურამან ქათამიძე: მე რომ გიორგი თაყაიშვილი მეწა-

მება, იორდანე ლომჯარია და მისი ცოლ-შვილი: შენი სიტყვით და საქმობით თათრებმა მოთხარავო, თუ იორდანე ლომჯარია და მისი ცოლ-შვილი ჩემი სიტყვით და საქმობით მოთხრილიყოს ან თავ-შიდ ან ბოლოშიდ, გამამტყუნე და რაც მტყუანს უნდოდეს, ის მი-ქენი: თუ ჩემი სიტყვით და საქმობით არ მოთხრილიყოს იორდანე ლომჯარია და მისი ცოლ-შვილი: გამამართლე და ამ რკინის ცე-ცხლიდამ უვნებელათ გამომიყვანე და სხვას ცოდვას ამაშიდ ნუ მკითხავ. შენი სწორ-მიუფერებელი სამ (ართალი) გამოაცხადე ჩემს ცოდვილს თავზე . . . უფალო: ამინ".

ტფილისი, 1874 წ. 25 დეკემბერი.

აქ საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო ერთი ფაქტი ჩორჩანელის შე-სახებ. ათონის ივერთა მონასტრის XI საუკუნის ხელწერაში, რო-მელიც ახლა ხელთა მაქვს და რომელიც შეიცავს როგორც იოვანე და ექვთიმე მთაწმინდელების ცხოვრებას, რომელიც, როგორც ჩანს, ცნობილ მთარგმნელს გიორგი ათონელს აღუწერია, ასევე X და XI საუკუნეთა იმ პირთა Mémentos ანუ აღაპებს, რომელთაც მიუციათ შეწირულობანი ივერიელი ბერებისათვის ათონზე, არის ორი აღა-პი — 381 გვ. სულა, ფარსმან, მამა ჩორჩანელსა და ქონქოძეზე, ხოლო 385 გვ. ფარსმანის ძმა გიორგი ჩორჩანელზე. აღაპში ნა-თქვამია: „რ~ი ესე მამისა არსენისთანა ჩვენ ყოველთა ძმათა დავა-წესეთ დიდთა განძთა მათთათვის, რომელნი სიცოცხლესაცა და შემ-დგომად აღსრულებისა ჩვენ ზედა წაეგნეს". საგულისხმოდ მიგვაჩ-ნია ზარზმის წარწერების ზოგიერთი პირის აღაპში მოხსენიებულ: სულას, ფარსმანისა და იოანეს დამთხვევა, ერთი და იგივენი ხომ არ არიან? თვითონ თორნიკეს აღაპებში ცოტა ზემოთაა შეტანილი, სახელდობრ ხელნაწერის 376 გვერდზე.

დ ა მ ა ტ ე ბ ა 1

ქართლურ-კახური, იმერული, გურული, ქობულური (ჩურუქსუული) და აჭარული კილოების მოკლე შედარებითი ლექსიკონი+8

1. ასაკი, ნათესაობა და თვისება.

ქართლურ-კახური	იმერული	გურული	ქობულური	აჭარული
შვილი, ვაჟი	ვაჟიშვილი	ვაჟიშვილი	ვაჟიშვილი	ვაჟიშვილი
ქალი, ქალიშვილი	ქალიშვილი[52]	ქალიშვილი	ქალიშვილი	ქალიშვილი
ქალი (გასათხოვარი), ქალწული	ქალი (გასათხოვარი), ქალწული	გოგო, ციცა მამაბერი	გოგო, ციცა	გოგო, ციცა
მოხუცი, ბებერი, ბერიკაცი	მოხუცი, ბერიკაცი	დედაბერი	მამაბერი	მამაბერი
მოხუცი, ბებერი დედაკაცი	დედაბერი		დედაბერი	დედაბერი
ბებია	ბებია	დედა-მანია[53]	ბებია	ბებია
ქვრივი	ქვრივი	ქვრივი	ქვრივი	ქვრივი
პაპის მამა	პაპა	პაპა	პაპა	პაპა
პაპა	ბაბუა	ბაბუა	ბაბუა	ბაბუა
მამა	მამა	მამა, ბაბა	მამა, ბაბა	მამა, ბაბა
დიდი-დედა, ბებია	ბებია	ბებია	დინე	დინე
დედა	დედა	დედა, დედაი, ნენა	დედა, ნენე	დედა, ანა
ძმა	ძმა	ძმა	ძმა	ძმა
და	და	და	და	და
ქმარი	ქმარი	ქმარი	ქმარი	ქმარი
ცოლი, მეუღლე	ცოლი, მეუღლე	ცოლი, მეუღლე	ცოლი	ცოლი

[52] ასე ეწოდება გათხოვებამდე.
[53] მანია, ალბათ, ლათინური manus-დან მოდის, ბებიაქალობის ხელობიდან.

ქართლურ-კახური	იმერული	გურული	ქობულური	აჭარული
სიძე	სიძე	სიძე	სიძე	სიძე
მამამთილი	მამამთილი	სიმაური	?	?
დედამთილი	დედამთილი	დედამთილი	დედამთილი	დედამთილი
მაზლი	მაზლი	მაზლი	?	?
მული	მული	მული	?	?
ძალუა	ბიცოლა[54]	ბიცოლა, მუსადია	მუსალია, აბლა	მუსალია, აბლა

2. ტანსაცმელი

ტანისამოსი	ტანისამოსი, ტანფეხი	ტანისამოსი, ტან-ფეხი	ტანფეხი	ტანფეხი
ქუდი	ქუდი	ქუდი, ყაბალახი[55]	ყაბალახი	ყაბალახი
ჩოხა	ჩოხა	ჩოხა	ჩოხა	ჩოხა
არ არის	ჟილეტკა	ელეღი[57]	ელეღი	ელეღი
საკინძი	პერანგის შესაბნევი	გულისპირი	საკისური	საკისური
ღილი	ღილი	ღილი	ღილი	ღილი
ახალუხი	ახალუხი	ახალუხი	სათბური[58]	სათბური
არ არის	არ არის	ზუპუნა, კახთანი	ზუპუნა	ზუპუნა[59]
შალვარი	შალვარი	შალვარი	შალვარი	შალვარი
პერანგი	პერანგი	პერანგი	პერანგი	პერანგი
ნიფხავი	ნიფხავი	ნიფხავი	ნიფხავი	ნიფხავი
სარტყელი[55]	სარტყელი	სარტყელი	სარტყელი	სარტყელი
ქამარი	ქამარი	ყაიში	ყაიში	ყაიში
ქალამანი	ქალამანი	ქალაბანი	ქალაბანი	ქალაბანი

---

[54] ბი-ცოლა შემოკლებული ბიძის ცოლი.

[55] ნაქსოვი.

[56] ყაბალახს ჩაჩის ფორმა აქვს. გურული ყაბალახი — ეს არის მრგვალი ქუდი შალისა ან მატყლისა, გამოკრული აქვს ყონაშზი. იგი უკვე გადავარდნაზეა. ასეთი თავსახურავი გვხვდება ეკლესიებში ისტორიულ პირთა ფრესკულ პორტრეტებზე.

[57] ელეღი ჩითისაა, უსახელო, წელამდე. იცვამდენ ჩოხის ქართლსა და კახეთში.

[58] სათბურის მსგავსია, წელამდე, იმავე ქსოვილისა.

[59] სათბური მუხლებამდეა, ჩითისა, დაბამბული, სახელოიანი,

ქართლურ-კახური	იმერული	გურული	ქობულური	აჭარული
ნაბადი, ბაფინჯი	ნაბადი	ნაბადი	ნაბადი	ნაბადი
პაპიკი	პაიკი	პაიკი	პაიკი	პაიკი
ტყავის საცვეთი	საცვეთი	საცვეთი	ზანკალი	ზანკალი
თხილამური	თხილამური	თხილამური	თხილამური	თხილამური
ლეჩაქი	ლაჩაქი	ლაჩაქი	ლაჩაქი	ლაჩაქი
ჩადრი	?	ჩარჩაბი[61]	ჩარჩაბი	ჩარჩაბი
,,ბა	,,ბა	,,ბა	,,ბა	,,ბა
ჩაპრახტი[60]	?	ჩაბრასტი	ჩაბრასტი	ჩაბრასტი
8. ბარალი				
ქარქაში	ქარქაში	ქარქაში	ქარქაში	ქარქაში
ბარალი	ბარალი	სილალი	სილალი	სილალი
საქონე	საქონე	საქონე	ბალდანი[63]	ბალდანი
	ჩანთა[62]	ჩანთა	ბამბულია (ლ. ლანეული)	ჩანთა, სილალეული
ქილა	ქილა, ჩანთარ-ქილა	ქილა, ყანთარ-ქილა	ყანთარ-ქილა	ყანთარ-ქილა
კვესი	კვესი	კვესი	კვესი	კვესი
ტალი	კაჟი	,,აჟი	,,აჟი	კაჟი
ტყვია	ტყვია	ტყვია, ყურშუმი	ყურშუმი	ყურშუმი
თოფის წამალი	თოფისწამალი	თოფისწამალი	თოფის წამალი	თოფისწამალი
თოფი	თოფი	თოფი	თოფი	თოფი[64]

[60] ჩაფრასტი დიდი ხანია აღარ იხმარება გურიაში. იგი გვხვდება გურიის ეკლესიების ფრესკებზე. ჩაფრატი სხვა არაფერია, თუ არა ღილების მწკრივი გულსაფარზე (ქართ. განმარტ. ლექს. მიხედვით: ლითონის (ჩეეულებრივ, ვერცხლის) ერთგვარი შესაკრავი, დუგმის მსგავსი. ა. ტ.).

[61] ჩადრი ანუ ჩარჩაბი ახლა არ იხმარება არც იმერეთში და არც გურიაში, მხოლოდ ქართლსა და კახეთში შეხვდები აქა-იქ და ყველგან ჩურუქ-სუსა და აჭარაში. გურიაში იგი ახსოვთ 40-იან წლებამდე უბრალო ხალხში, მაგრამ ჩადრის ხმარებისას სახეს არ იფარავდნენ, ისევე როგორც ქართლსა და კახეთში.

[62] ჩანთას ქამარზე იკიდებენ. მასში დებენ ბარალის სხვა დასხვა მოწყობილობას.

[63] ბალდანი ბრინჯაოსია. მასში ინახავენ საპმელ ზეთს ბარალის საწმენდად.

[64] აჭარაში, ჩურუქსუსა და გურიაშიც კი ცნობილი თოფებია: მაკახელა, ხვეული, ლულიანი, ამზადებენ მაკახელაში; დამბაჩა, ამზადებენ ცხორში; თოფ-ხანა, ხვეულლულიანი; ახოში; ყირიმი, ამბობენ, ათას ნაბიჯზე ისვრისო; შემდეგ თოფ-ხანა, შემდეგ კლდაევა. საუკეთესო ხარისხის ყირიმი 4-5 ქისად ფასობს, ვერცხლით მოჭედილი კი — 10 ქისად.

ქართლურ-კახური	იმერული	გურული	ქობულური	აჭარული
ჩახმახი	ჩახმახი	ჩახმახი	ჩახმახი	ჩახმახი
კონდახი	კონდახი	კონდახი	კონდახი	კონდახი
ზუმბა	ზუმპა	გეზი	გეზი	გეზი
სალტა	სალტა	სალტე	სალტე	სალტე
დამბაჩა	ტამბაჩა, ფიშტო	ფიშტო, ტამბაჩა	ფიშტო, ტამბაჩა[67]	ფიშტო, ტამბაჩა
ხანჯალი	სატევარი, ხანჯალი	სატევარი, ყამა	ყამა	ყამა
ხმალი	ლეკური, ხმალი	ლეკური[68]	ლეკური	ლეკური
დანა	დანა[65]	დანა	დანა	დანა
სამართებელი	სამართებელი	სამართებელი	სამართებელი	სამართებელი

4. ცხენის აკაზმულობა

უნაგირი	უნაგირი	უნაგირი	უნაგირი	უნაგირი
კეხი	კეხი	კეხი	კეხი, ორთუღი	ალეღი
მოსართავი	მოსართავი	მოსართავი	ყოლანი	მოსართავი
საძუე	საძუე	საძუე	კუსენი	საძუე
საოფლე	საოფლე	საოფლე, ქეჩა	ქეჩა	ქეჩა
თეჭალთო	თოჭალთო	თოჭალთო	თოჭალთო	თოჭალთო
სამკერდული	სამკერდე	სამკერდე	სამკერდე	დოშლუღი
აღვირი	აღვირი	აღვირი	არ არის(?)	არ არის(?)
აუშარა	აფშარა	აუშარა	აუშარა	აუშარა

[65] იმერეთში, გურიაში, ჩურუქსუსა და აჭარაში დანას სარტყელზე იკიდებენ.

[66] ჩურუქსუსა და აჭარაში ხმალი არ იციან. გურიაში კი, პირიქით, ძალზე გავრცელებულია, ხანჯლებს კი უკვე ნაკლებად ხმარობენ. ძველებური გურული ხანჯლები, რომლებიც გურიის ეკლესიათა ფრესკულ გამოსახულებებზე ვნახე, მოხრილია, სარტყელში გარჭობილი, სწორედ ისეთი, როგორსაც დღემდე ხმარობენ ჩურუქსუსა და აჭარაში, ხოლო იშვიათად გურიაში.

[67] აჭარაში საზღვარგარეთული პისტოლეტებია, ინგლისური წარმოებისა, ბევრ მათგანზე ვნახე მარკები London, Homar. ჩურუქ-სუში ხმარობენ თუ არა საზღვარგარეთულ პისტოლეტებს, არ ვიცი.

ქართლურ-კახური	იმერული	გურული	ქობულური	აჭარული
უზანგი	აბქანდა, უზანგი	აუქანდა, უზანგი[68]	აქქანდა, უზენგი	აქქანდა, უზენგი
ყაჯარი	ასალი	ასალი	ბორდა	ბორდა
რახტი	რახტი	რახტი	რეშმე	?
თოფრა	თოფრა	თოფრა	თორბა	თორბა
მათრახი	მათრახი	მათრახი	ყამჩი	?
დეზი	დეზი	დეზი[69]	არ არის	არ არის
ნ. სახლი და მისი მოკაზმულობა				
სახლი	სახლი, ოდა[70]	სახლი, ოდა	ოდა, კონახი	ოდა, კონახი
დერეფანი* 9	დერეფანი	დეფანი	დეფანი	დეფანი
ბანი	სახურავი	ნაბურავი	ნაბურავი	ნაბურავი
		სარაი-ბაღი[71]	სარაი-ბაღი	სარაი-ბაღი
არ არის	ბალკონი	პარმაღი	იაზლუღი[72]	იაზლუღი
ყაევარი	კვალი* 10	ყაევარი	მერთეხი	მერთეხი
არ არის		ოღო-ჯირე	ოღო ჯირე	ოღოჯირე
ჯარი	ჯარი	ჯარი	ჯარი	ჯარი
ჭერი	ჭერი	ჭერი	ჭერი	ჭერი
ბუხარი	ბუხარი	ფუხარი	ოჯახი	ოჯახი
ქანდარა	ქანდარა	ქანდარა	მუსანდარი	მუსანდარი
თარო	თარო	თარო	თარო	თარო
თახჩა ლოლაბი	თახჩა	თახჩა	ლოლაბი[73]	ლოლაბი

[68] უზანგი პატარაა, აქქანდა დიდი, წვეტიანი, რომელსაც ლეზადაც იყენებენ, უპირატესად მგზავრობისას ხმარობენ.

[69] გურიასა და იმერეთში დეზს ჯორზე ჯდომისას ხმარობენ.

[70] იმერეთსა და გურიაში სახლში პატრონი ცხოვრობს, ოდა კი სასტუმრო შენობაა სახლთან.

[71] სიტყვა თურქულია. იგი ეხება არა იმდენად კერძო სახლებს, რამდენადაც საეკლესიო შენობებს. (რუსულ შესატყვისობად კი ბაქრაძეს მოჰყავს Карниз).

[72] იაზლუღიც, ეგონებ, თურქული უნდა იყოს. იგი ნიშნავს აივანს ან სახლის შესასვლელთან ღია დერეფანს, კვადრატულს ან მოგრძოს.

[73] იმერეთსა და გურიაში ლოლაბს ეძახიან დიდ, კარგად გამართულ წისქვილს.

ქართლურ-კახური	იმერული	გურული	ქობულური	აჭარული
კიდობანი[74]	არ არის	კიდობანი	კიდობანი	კიდობანი
სკივრი, ზანდუკი[75]	ზანდუკი, სკივრი	ზანდუკი, სკივრი	სკივრი	სკივრი
კიბე	კიბე	კიბე[79]	კიბე	კიბე
ბეღელი	ბეღელი	ბეღელი	ბეღელი	ბეღელი
საკუჭნაო	ბეღელი, ხული	ბეღელი, ხული	ხული	ხული
სასიმინდე, ზარი	ნალია	ნალია	ნალია	ნალია
	კარავი[7]	კარავი	კარავი	კარავი
თაველა, საჯინიბე	თაველა საჯინიბე	თაველა, საჯინიბე	ახორი[80]	ახორი
კალო[76]	კალო	კალო	კალო	კალო
კევრი	კევრი	არ არის	არ არის	კევრი
საბძელი	საბძელი	არ არის	არ არის	საბძელი
ჭა	ჭა	ჭა	ჭა	ჭა
სკამი	სკამი	სკამი	სკამი	სკამი
კუნძი	კუნძი	ჯორკო	ჯორკო	ჯორკო
ხალიჩა	ხალიჩა, ნოხი	ნოხი, ხალიჩა	ორხოა	ნოხი
ტახტი	ლოგინი[78]	ლოგინი	ლოგინი	ლოგინი
ნაბადი	ქვეშსაგები ნაბადი	ნაბადი	ჭილობი	ჭილობი

---

[74] ქართლსა და კახეთში კიდობანში გამომცხვარ პურს ინახავენ, ქობულეთსა და აჭარაში ფქვილს, გურიაში საჭმელსა და ჭურჭელს.

[75] ინახავენ ტანსაცმელსა და სხვადასხვა საოჯახო ნივთებს.

[76] ქართლში, კახეთში, ზემო იმერეთსა და ზემო აჭარაში კალოზე ხორბალს ან ქერს ლეწავენ, გურიაში, ქობულეთსა და ქვემო აჭარაში კალოს ეტყვიან იმ ადგილს, სადაც მოტეხილ სიმინდს აქუჩებენ.

[77] დგამენ ყანებში, მეტწილად თავში, რათა ნათესები დაიცვან საქონლისა და ნადირისაგან. იგი თითქმის ყველა ყანაში უდგათ.

[78] ლოგინი ქართლსა და კახეთში ქვეშაგებია. ტახტს დასავლეთ საქართველოში არ ხმარობენ.

[79] გურიაში, ქობულეთსა და აჭარაში კიბეს ეძახიან დირეს, რომელზეც საფეხურებია ამოკვრილი, ხოლო ორ დირეზე გადებულ ხარიხებიან კიბეს ბწკალას ეტყვიან.

[80] ახორი, ახური თურქულია. გურიაში, იმერეთსა და თვით საქართველოში თავად-აზნაურობაში საჯინიბოს ამბობენ, უბრალო ხალხში ბაგას. ზოგჯერ პარმაღის ან იაზლუღის ქვეშ აკეთებენ.

ქართლურ-კახური	იმერული	გურული	ქობულური	აჭარული
არ არის	სუფრა	სუფრა	სუფრა, ფეშხუმი[83]	სუფრა, ფეშხუმი
სტაქანი	სტაქანი	ჭიქა[81]	ჭიქა	ჭიქა
მაშრაფი	მაშრაფი	მაშრაფი[82]	მაშრაფი	მაშრაფი
არ არის	არ არის	კოპე	კოპე	კოპე
გოდორი	გოდორი	გოდორი	გოდორი	გოდორი
არ არის	გიდელი	გიდელი	გიდელი	გიდელი
კალათა	კალათი	კალათი	კალათი	კალათი
6. სამზარეულო და საჭმელი.				
სამზეარეულო	სამზეარეულო, სახაბაზო	სამზეარეულო,	მუთმაღი	მუთმაღი
ქერა	ქერია	ქერია	ქერიე	ქერიე
საკიდელი	საქვაბე	ჯაჭვი	საკიდელი	ჯაჭვი
—	—	ოჯენჯალი[85]	ოჯანჯალი	ოჯანჯალი
ქეცი	ქეცი	ქეცი	ქეცი	ქეცი
თაბახი, ხონჩა	გობი	გობი	გობი	გობი
ვარცლი	არ არის	ვარცხლი	ვარცხლი	ვარცხლი
ქვაბი	,ارდალი[84]	,ارდალი	,ارდალი	,ارდალი
ქოთანი	ქოთანი	ქოთანი	ქოთანი	ქოთანი

---

[81] ჭიქა ძველი ქართული სახელწოდებაა, ამჟამად აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთში ხმარებიდან გადავარდნილია.

[82] მაშრაფი აღარ იხმარება.

[83] სუფრა ქართლ-კახეთსა და თვით იმერეთში მაგიდის გადასაფარებელია, ფეშხუმი კი საეკლესიო ჭურჭელი. ქობულეთსა და აჭარაში მაგიდას ასე უწოდებენ, ალბათ, იმიტომ, რომ მას ფეშხუმის ფორმა აქვს.

[84] ,ارდალში ღომს ხარშავენ. ღომის სახელ ჯოხს გურიაში, ქობულეთსა და აჭარაში ჩოგანი ჰქვია, ხოლო რითაც ღომს ამოარიგებენ, ლაფერას ეძახიან, იმერეთში კი — პირიქით — ლაფერა ჩოგანია, ხოლო ჩოგანი — სუთი.

[85] ოჯენჯალი დირეა, რომელზეც ჯაჭვი კიდია.

ქართლურ-კახური	იმერული	გურული	ქობულური	აჭარული
კოკა	დოქი	დოქი	ბარდახი[90]	ბარდახი
თუნგი	თუნგი	თუნგი	გუგუნი	გუგუნი
კოვზი	კობზი	კობზი	კობზი	კობზი
ფილი, სანაყი	ქვი-ჯა, როდინი	ფილი	ფილი	ქვი-ჯა[94]
მარილი	მარილი	მარილი	მარილი[91]	მარილი
შამფური	შამფური	შამფური	შამფური	შამფური
მწვადი	მწვადი	მწვადი	მწვადი	მწვადი
ყაურმა[86]	არ არის	არ არის	ყაურმა	ყაურმა
მშრალი ხორცი	მშრალი ხორცი,	ციკი ხორცი,	სოგუშ	სოგუში
ფლავი	საციკო[87]	საციკო	სარმა[92]	სარმა
ერბო	ფლავი	ფლავი	ფლავი	ფლავი[95]
სადღობავი	ერბო	ერბო	იაღი	იაღი
ერბო-ქვერცხი	არ არის	არ არის	არ არის	არ არის
ყველი	ტაფამწვარი	ტაფამწვარი[88]	იახში	იახში
მაწონი	ყველი	ყველი	ყველი-ხარჩო[93]	ყველი-ხარჩო
კარაქი	მაწონი	მაწონი[89]	იაღურთი	იაღურთი
	არ არის	არ არის	იაღი	იაღი

[86] წვრილად დაჭრილი ხორცი, ხახეთან ერთად ერბოში მოხრაკული.

[87] თავისსავე ქონში ხრაკავენ და იმერეთსა, გურიასა, ქობულეთსა და აჭარაში დერგში ინახავენ.

[88] ტაფამწვარს იმერეთსა და გურიაში ერბოში არ წვავენ, რადგან იქ ერბოს არ აკეთებენ. ისე ან ყველთან ერთად წვავენ.

[89] მაწონს იმერეთსა და გურიაში იშვიათად ხმარობენ.

[90] მეტწილად ბარდახის სახელით ცნობილია ფართოყელიანი ჭურჭელი, ხოლო დოქი ვიწროყელიანია. პატარა დოქს გურიაში ლაგინა ჰქვია.

[91] მარილს ქობულეთსა და აჭარაში იშვიათად ხმარობენ სიძვირის გამო. ქვამარილი შემოაქვთ შეკეთილიდან, ყარსიდან და ჩალდირიდან. ორი ოყა ორი მარჩილი ღირს. ზღვის მარილს ოყას 1 მარჩილად ყიდულობენ. ქვამარილს იქ უმთავრესად შინაურ პირუტყვს აძლევენ.

[92] ხორცს წვრილად დაჭრიან, მხალის ფოთოლში გაახვევენ და ხარშავენ.

[93] ქობულეთსა და აჭარაში ყველს მეტწილად ერბოში წვავენ.

[94] ქვი-ჯა შემოკლებული ქვის ჯამია, იმას, რითაც ნაყავენ, იმერეთში ქვასანაყს ეძახიან, გურიაში — სანაყ ქვას.

[95] ფლავს ქობულეთსა და აჭარაში ერბოში მოხარშავენ და თაფლს მოასხამენ.

ქართლურ-კახური	იმერული	გურული	ჭობულური	აჭარული
ნაღები	ნადღელი	ნადღელარი	კაი-მაღი	კაი-მაღი
ლობიო	ლობიო	ლობიო	ლობიო	ლობიო
თევზი	თებზი	თებზი	თებზი	თებზი
ზუთხი	ზუთხი	ზუთხი	ზუთხი[96]	ზუთხი
ორაგული	ორაგული	ორაგული	ოლაგური	ოლაგური
ლოქო	ღლაკი	ღლანი	ღლანი	ღლანი[97]
ქალმახი	ქალმახი	ქალმახი	ქალმახი	ქალმახი[98]
წვერა	წვერა	წვერედა	წვერედა	წვერედა
ნაფოტა	ნაფოტა	ფრიტა	ნაფოტა	ნაფოტა
ღორჯო	ღორჯო	ღორჯო	ღორჯო	ღორჯო

7. ხაოჯახო მეურნეობა

წისქვილი	წისქვილი	წისქვილი, დოლაბი[99]	წისქვილი	წისქვილი
წისქვილის ქვა	წისქვილის ქვა	წისქვილის ქვა	წისქვილის ქვა	წისქვილის ქვა
ბორბალი+[11]	ბორბალი	ბორბალი	ბორბალი	ბორბალი
ღარი	ღარი	ღარი	ღარი	ღარი
ლაფერი +[12]	ლაფერი	ლაფერი	ლაფერა	ლაფერა
ღერძი	ღერძი	ღერწი	ღერწი	ღერწი
ლითონი	?	სიქლინჯი	სიქლინჯი	სიქლინჯი
ძელი +[13]	ძელი	ძელი	ძელი	ძელი
ლითონის ფეხი+[14]	?	სიქლინჯის ფეხი	სიქლინჯის ფეხი	სიქლინჯის ფეხი
ხუმირა	ხეიმირა	ხეიმირა	ხეიმირა	ხეიმირა
?	?	ჯამი +[15]	ჯამი	ჯამი
სარეკელა	სარეკელა	სარაკენა	სარეკელი	სარეკელი

[96] ზუთხი ზემო ჩურუქ-სუსა და აჭარაში ნაკლებ ცნობილია. იგი რიონსა და ჭოროხის ქვემო წელში ბინადრობს.

[97] ლოქო, ქობულეთსა და აჭარაში ნაკლებ ცნობილია. მას იჭერენ პალიასტომსა და მალთაყვაში ზღვის ახლოს.

[98] ქობულეთსა და აჭარაში მეტწილად ასე იქერენ: მდინარეში ჩაყრიან ახალი კაკლის დანაყილ წენგოს (ნაჭას ანუ ნყას), რომელიც თევზს აბრუებს და იგი ზედაპირზე ამოტივტივდება. ასე თევზაობენ ფერისცვალების წინ, როცა, როგორც ამბობენ, წყალში ყინული ჩავარდება. ფერისცვალება (6 აგვისტო) ჩურუქსუსა და აჭარაში ახლაც ახსოვთ,

[99] დოლაბი იმერეთსა და გურიაში დიდი წისქვილია, წისქვილი კი — პატარა,

ქართლურ-კახური	იმერული	გურული	ქობულური	აჭარული
ალა	საქბილე, ონჯარო	ჩიბო	ალა	ალა
მარანი	მარანი	მარანი	მარანი	მარანი
საწნახელი	საწნახელი	საწნახელი	საწნახელი	საწნახელი
ქვევრი	ჭური	ჭური	ჭური	ჭური
სარქველი	სარქველი	როგო	როგო	როგო
ურემი	ურემი	ურემი	ურემი, არაბა	ურემი, არაბა
ურმის თვალი	გოგორა	გოგორა	გოგორა	გოგორა
ღერძი	ღერძა	ლილვი	ლილვი	ლილვი
უღელი	უღელი	უღელი	უღელი	უღელი
აპეური	აპეური	აპაური	საყბაური	საყბაური
კონკილა	არ არის	წინ-სადგარი	წინ-საყენი	წინ-საყენი[101]
ქოფო	არ არის	არ არის	არ არის	არ არის
მარხილი	მარხილი	მარხილი	მარხილი	ციგა
ცული, წალდი	ცული, წალდი	ცული, წალდი	ცული	ცული
ნაჯახი	ნაჯახი	ნაჯახი	ნაჯახი	ნაჯახი
ხელეჩო	?	ხელეჩუა, თოხიჩუა	პიახ-ქესი	?
ეჩო	ეჩო	ეჩუა	ეჩო	?
ბარი	ბარი	ბარი	?	?
თოხი	თოხი	თოხი	თოხი	თოხი
წერაქვი	წერაქვი	ბირკაზმა	ბირკაზმა	ბირკაზმა
გუთანი[100]	—	—	—	—
სახნისი	?	სახნისი	ჯილღა	ჯილღა

8. ბოსტნეული, კულტურული და ველური მცენარეები

ბოსტანი	ბოსტანი	ბაღი, ბაღჩა	ბაღი, ბაღჩა	ბაღი, ბაღჩი
ლობიო	ლობიო	ლობიო	ლობიო	ლობიო

[100] დასავლეთ საქართველოში გუთანს არ ხმარობენ. გუთანს იქ კავი (Крюк) ცელის.
[101] კონკილა ასეთი ფორმისაა |, წინსაყენი კი — λ.

ქართლურ-კახური	იმერული	გურული	ჭობულური	აჭარული
გურული ლობიო, მსუქანი ლობიო	გურული ლობიო	ქონა ლობიო, მრგვალი ლობიო	ბამბა ლობიო	?
კახური ლობიო	?	მიწის ლობიო	მისირული ლობიო	?
?	ძაძა	წი-ლობიო	ელებაი	ელებაი
სარი	რჯღა	რჯღა	ღჯა	ხჯა, ხაშარი
კიტრი	კიტრი	კიტრი	კიტრი	კიტრი
საზამთრო, ყარფუზი	ყარბუზაკი	ხაბურზაკი	ყარფუზი, საზამთრო	ყარფუზი, საზამთრო
ნესვი	ნესვი	ნესვი	ნესვი	ნესვი
გოგრა	კვახი	ხაპი	ხაპე	ხაპე
ნიორი	ნიორი	ნიორი	ნიორი	ნიორი
ხახვი	ხახვი	ხახვი	ხახვი	ხახვი
სოღი ხახვი	ჭლაკვი	სოხვი	მსოხვი	მსოხვი
მხალი	ფხალი	ფხალი	ფხალი	ფხალი[102]
არ არის	არ არის	კეჯერა ფხალი	კეჯერა ფხალი	კეჯერა ფხალი
პრასა	პრასი	პრასი	პრასი	პრასი
პილპილი	სანელებელი	გორვალა	?	?
წიწაკა	პინპილა	პილპილა	—	?
ზაფრანა	ზაფრანა	ზაფრანა	?	?
ბადრიჯანი	პატრიჯანი	პატრიჟანი	ფათლიჯანი	ფათლიჯანი
თამბაქო	თუთუნი	თუთუნი	თუთუნი	თუთუნი[103]
ჭარხალი	ჭარხალი	ჭარხალი	ჭარხალი	ჭარხალი
ჯანაფი	ჯანაფი	ჯანაფი	ჯანაფი	ჯანაფი
სელი	სელი	ლერწამი	ლერწამი	ლერწამი
სელის თესლი	სელის თესლი	ლერწმის კაკალი	ლერწმის კაკალი	ლერწმის კაკალი
ხორბალი	ხორბალი	ხორბალი	ხორბალი	ხორბალი[104]

[102] ფხალად ითქმის ყოველგვარი მწვანილი, რომლისგანაც საკმელი მზადდება, როგორიცაა: კეჟერა ფხალი, ჭიკილაყას ფხალი, სიქილონჯას ფხალი, სვინტრის ფხალი.

[103] აღმოსავლეთ საქართველოში ამბობენ: თამბაქო მოვწიე, ხოლო დასავლეთში: თუთუნი ვსვი, დაველიე.

[104] ხორბალი დასავლეთ საქართველოს მხოლოდ მაღალ ადგილებში ითესება, დაბალ ადგილებში ცოტა ან სულაც არა. ზემო აჭარაში მას ისევე ლეწავენ, როგორც ქართლ-კახეთსა და ახალციხის მაზრაში.

ქართლურ-კახური	იმერული	გურული	ქობულური	აჭარული
ქერი	ქერი	ქერი	ქერი	ქერი[106]
ქვავი	?	ქვავი	ქვავი	ქვავი
ღვარძლი	ღვარძლი	ღვაზლა	კუდა	კუდა
ღომი	ღომი	ღომი	ღომი	ღომი[107]
?	ოქრო-ცოცხა	ხაზარულა	ხაზარულა	ხაზარულა[108]
სიმინდი	სიმინდი	სიმინდი	სიმინდი	სიმინდი[109]
ქომში	ბია	ბია	ბია	ბია
ვაშლი	ვაშლი	ვაშლი	ვაშლი	ვაშლი[110]
ატამი	ატამი	ატამი	ატამი	ატამი
ვაშლ-ატამა	?	ატამ-ვაშლა	ატამ-ვაშლა	ატამ-ვაშლა
მსხალი	მსხალი	მსხალი	მსხალი	მსხალი[111]
ყანა	ყანა	ყანა	ყანა	ყანა
სარწყავი.	არ არის	არ არის	არ არის	არ არის
ურწყავი				
ნეხვი, პატივი	ნეხვი, ნაკელი	ნაკელი	ნეხვი	ნეხვი
ნეხვ-მოყრილი	ნეხვ-მოყრილი, და-ნაკელებული	მომდვინებული	ნამსუქნი	ნამსუქნი
ნამსუქნი				
რ უ	?	თხრილი	რ უ	რ უ
არ არის	არ არის	მერე	მერე	მერე[112]
არ არის	არ არის	მოდულა[105]	?	?

[105] ნაკვეთი, რომელზეც ყანა ჰქონდათ და დიდხანს დაასვენეს, ბუჩქნარით დაიფარა და ისევ წმენდენ საყანედ.

[106] იმერეთსა, გურიასა, ქვემო აჭარასა და ქობულეთში ქერს ზოგჯერ თესავენ სიმინდის ნაყანებში და პურად ხმარობენ. იგი იმდენად ცოტა მოდის, რომ ცხენს ვერ აჭმევენ.

[107] დასავლეთ საქართველოში, გარდა გურიისა, ღომი უკვე განდევნა სიმინდმა. გურიაში ღომის ჯიშებია: საადრო, დიდი, მთა-ველი, ძირ-დაბალა.

[108] მცენარე, რომელიც წვრილ ლელქაშს ჰგავს, თესავენ ღომის ყანებში და ცოცხად ხმარობენ.

[109] გურიაში სიმინდის სამი ჯიში ენახე: ჯორიელი, რომელიც ადრე მწიფდება, დიდმაღალი, 1-1½ საჟენს იზრდება, იგი საზღვარგარეთიდან შემოიტანეს 1856—1857 წ. და თეთრი სიმინდი.

[110] ჩურუქსუსა და გურიაში ვაშლის ჯიშებია: შაქარ-ვაშლი, ნეფის ვაშლი, პანტა ვაშლი, რკინა ვული, კოპიზური; იმერეთში: შაქარ-ვაშლი, ბორა-ვაშლი, კიტრა-ვაშლი, პანტა-ვაშლი.

[111] ჩურუქ-სუში მე ენახე მსხლის შემდეგი ჯიშები: საენკენიო მსხალი, სატრი მსხალი, კაცისთავი (3 გირვანქამდე), ხეპეპურა (ყველაზე საგვიანო), ინჩქითური, სასელე (ყველაზე საადრეოა) ბია (გურიაში ბია-მსხალი, ყველაზე ტკბილი).

[112] ნაკვეთი, რომელზეც დიდი ხანია აღარ უთესიათ, მერედ იწოდება.

ქართლურ-კახური	იმერული	გურული	ქობულური	აჭარული
მიჯნა	საზღვარი	სირონი	სირონი	სირონი
ბაღი[16]	არ არის	არ არის	არ არის	არ არის
ვენახი	ვენახი	არ არის	არ არის	არ არის
ყურძენი	ყურძენი	ყურძენი	ყურძენი	ყურძენი[113]
ვაზი	ვენახი	ვენახი	ვენახი	ვენახი[114]
კრიკინა	კრიკინა	მორცხული	მორცხული	მორცხული
ღერი	?	კოტა	ტოღა	ტოღა
ბალანი	?	ფოჩვი	ქოჩორი	ქოჩორი[115]
ფურცელი	ფურცელი	ფურცელი	ფურცელი	ფურცელი
წაბლი	წაბლი	წაბლი	წაბლი	წაბლი
კაკლის ხე	ნიგოზი	ნიგოზი	ნიგოზი	ნიგოზი
წენგო	?	ნაყა	ნაჭა	ნაჭა
თხილი	თხილი	კარშალა	კარშალა	კარშალა[116]
შვინდი	?	შინდი	ყიზილ-ჯუღი	ყიზილ-ჯუღი[117]
ბროწეული	ბროწეული	ბრეწეული	ბრეწეული	ბრეწეული
ზღმარტლი	სხმარტლი	სხმარტლი	სხმარტლი	სხმარტლი
თუთა	ბეოლა	ბეოლი	ბეოლი	ბეოლი
ხურმა	ხუმლა	ხუმრა	ხუმრა	ხუმრა
ქუნელი	ქუნელა	კანჯუფა	კანჯუფა	კანჯუფა
მუხა	მუხა	მუხა	მუხა	მუხა
რკო	რკო	რკო	რკო	რკო
ბზა	ბზა	ბზა	ბზა	ბზა
მურყანი, რთხმელა	რთხმელა	თხმელა	თხმელა	თხმელა

113 ყურძნის ჯიშები ჩურუქ-სუში: ჩხავერი, კლარჯული, თეთრუშა, სამარხი, ხოფათური. გურიაში, გარდა ამ ჯიშებისა, კიდევ არის: საკმეველა, ხემ-ხუ, ტრედის-ფეხა, ორონა, მსხილა-თაობანი, მტევან-დიდი, კაბისტონი, აჯაინი; იმერეთში: მწვანე, ძველ-შავი, კუნძა საფერე, დონდ-ღდაბი (დიდი მტევანი, კამური).

114 დასავლეთ საქართველოში სიტყვა ვაზი სხვა მნიშვნელობით იხმარება, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში. იქ იგი რტოს ნიშნავს.

115 აღმოსავლეთ საქართველოში ქოჩორი კაცის თმაზე ითქმის.

116 კარშალი ახლად გამოსული კენკრაა.

117 შინდი გურიასა და აჭარაში ცოტაა, ამბობენ, ქობულეთის მხოლოდ ქვემო ნაწილში ხარობსო.

ქართლურ-კახური	იმერული	გურული	ქობულური	აჭარული
იფნი* [17]				
წიფელი	კოპიტი	კოპიტი	კოპიტი	კოპიტი
წიწიბო	წიფელა	წიფელა	წიფელა	წიფელა
ნაძვი		წიწიბო	წიწიბო	წიწიბო
ფიქვი	ნაძვი	ნაძვი	ნაძვი	ნაძვი
ურთხელა* [18]	ფიქვი	ფიქვი	სოჭი	სოჭი
ძელქვა	ურთხელა	ურთხელა	ურთხელა	ურთხელა
ვარდი	ძელქვა	ძელქვა	ძელქვა	ძელქვა
ასკილი	ვარდი	ვარდი	ვარდი	ვარდი
იელი	ასკილი	კურკანტელი* [19]	კურკანტელი	კურკანტელი
შქერი	იელი	იელი	ელაი	იელაი
?	შქერი	შქერი	შქერი	შქერი
	?	წყავი	მწყავი	მწყავი
		ბაძგარი	ბაძგარი	ბაძგარი[118]
გვიმრა	გვიმრა	გვიმრა	გვიმრა	გვიმრა
სკა	?	ბუკი	ბუკი	ბუკი
ფუთკარი	ფუთკარი	სკა	სკა	სკა[119]
ხის წვერი	ხის წვერი	კატარი	კატარი	კატარი
რტო, ტოტი	რტო, ტოტი	ჰაელი	ჰაელი	ჰაელი
9. შინაური და გარეული ცხოველები.				
ქათამი	ქათამი	ქათამი	ქათამი	ქათამი
ბატი	ბატი	ბატი	ბატი	ბატი
იხვი	იხვი	იხვი	იხვი	იხვი
კატა	კატა	კატა	კატა	კატა
ძაღლი, მყეფარი	ძაღლი	ძაღლი	ძაღლი	ძაღლი[120]
მეძებარი	მეძებარი	მეძებარი	მეძებარი	მეძებარი
მწევარი	მწევარი	მწევარი	მწევარი	მწევარი

[118] გვიმრიან ადგილს ეწერს უძახიან.
[119] ფუტკრის ნაყარს გურიაში ნამრავლი ჰქვია, ქობულეთსა და აჭარაში — მართვე.
[120] ძაღლს გურიასა, ქობულეთსა და აჭარაში კიდევ უძახიან: ფინო, ბაჩაი, გონბაქი (ქართ. ქოფაქი).

ქართლურ-კახური	იმერული	გურული	ჭობულური	აჭარული
შავარდენი	შავარდენი	შავარდენი	შავარდენი	
მიმინო	მიმინო	მიმინო	მიმინო	მიმინო
ქორი	ქორი	ქორი	ქორი	ქორი
ძერა	ძერა	ძერა	ძერა	ძერა
ყორანი	ყორანი	ყორანი	ყორანი	ყორანი
ჩხიკვი	ჩხიკვი	ჩხიკვი	ჩხიკვი	ჩხიკვი
ყვავი	ყვავი	ყვავი	ყვავი	ყვავი
შაშვი	შაშვი	შაშვი	შაშვი	შაშვი
გვრიტი	გვრიტი	გვრიტი	გვრიტი	გვრიტი
არწივ	ორბი	ორბი	ორბი	ორბი
?	ყანჩა	ყანჩა	ყანჩა	ყანჩა
მალაღური* [20]	მელაღური	მალაღური	მალაღური	მალაღური
მერცხალი	მერცხალი	მერცხალი	მერცხალი	მერცხალი
ცხენი	ცხენი	ცხენი	ცხენი	ცხენი
ჭაკი ცხენი	ჭაკი	ჭაკი	ყისრაღი	ყისრაღი
ულაყი	ულაყი, ვაყა	ულაყი, ვაყა	აიღირი	?
ვირი	ვირი	ვირი	ვირი	ვირი
ჯორი	ჯორი	ჯორი	ჯორი	ჯორი
კამეჩი	კამეჩი	კამეჩი	კამეჩი	კამეჩი[121]
ფურ-კამეჩი	ფურ-კამეჩი	ფურ-კამეჩი	ფურ-კამეჩი	ფურ-კამეჩი
ხარი	ხარი	ხარი	ხარი	ხარი
ძროხა	ძროხა	ძროხა	ძროხა	ძროხა
ცხვარი	ცხვარი	ცხვარი	ცხვარი	ცხვარი
თხა	თხა	თხა	თხა	თხა
გარეული თხა	გარეული თხა	გარეული თხა	გარეული თხა	გარეული თხა
შველი	შველი	შველი	შველი	შველი
ღორი	ღორი	ღორი	ღორი	ღორი
დათვი	დათვი	დათვი	დათვი	დათვი
მელა	მელა	მელა	მელა	მელა
ტურა	ტურა	ტურა	ტურა	ტურა

[121] კამეჩი არ ჰყავთ არც ჭობულეთში და არც აჭარაში.

ქართლურ-კახური	იმერული	გურული	ქობულური	აჭარული
კვერნა	კვერნა	კვერნა	კვერნა	კვერნა
კურდღელ•	კურდღელი	ყურდგელი	ყურდგელი	ყურდგელი
10. ოროგრაფია და ტოპოგრაფია; ზოგი ფიზიკური მოვლენა, სხვადასხვა ცნობა.				
მთა	მთა	მთა	მთა	მთა
მთის წვერი•	მთის წვერი	?	ყატარი	ყატარი[123]
მთის ზურგ•	მთის ზურგი	მთის ზურგი	მთის ზურგი	მთის ზურგი
ხეობა	ხეობა[122]			
ხევი, ღელე	ხევი, ღელე	ღელე	ღელე	ღელე[124]
მინდორი, ბარ•	მინდორი, ბარი	ბარი	ბარი	ბარი
ჭალა	ჭალა	ჭალა	ჭალა	ჭალა
ტყე	ტყე	ტყე	ტყე	ტყე
გატეხილი ტყე• [21]	გატეხილი ტყე	ხატეხი	ყაპეტი	ყაპეტი
მდინარე	მდინარე	დიდი წყალი	დიდი წყალი, ტანის წყალი	ტანის წყალი დიდი წყალი
სათავე	სათავე	სათავე	სათავანი	სათავანი[125]
შესართავ•	შესართავი	შესართავი	შესართავი	შესართავი
წყლის ადიდება	წყლის მომატება	რღნობა	ღმობა	ღმობა
წყარო	წყარო	საკვე	საკვე	საკვე
წვიმა	წვიმა	წვიმა	წვიმა	წვიმა
დიდი წვიმა	დიდი წვიმა	ღლოფო	ღლოფო	ღლოფო
თოვლი	თოვლი	თოვლი	თოვლი	თოვლი
ნისლი	ნისლი	ნისლი	ნისლი, დუმანი	ნისლი, დუმანი

---

122 სიტყვა ხეობას სრულიად არ ხმარობენ არც გურიაში, არც ქობულეთში და არც აჭარაში.

123 ქობულეთსა და აჭარაში ყატარს ხის წვეროსაც ეტყვიან.

124 აღმოსავლეთ საქართველოში პატარა მდინარეს მეტწილად ხევს ეძახიან, დასავლეთში კი — ღელეს.

125 სიტყვა მდინარე აჭარასა და ქობულეთში თითქმის არ იციან. იქ არ იტყვიან მდინარე აჭარა-წყალი, არამედ უბრალოდ აჭარისწყალი.

ქართლურ-კახური	იმერული	გურული	ქობულური	აჭარული
ქარიშხალი	ქარიშხალი	ქარიშხალი	ქარიშხალი	ქარიშხალი
სიტყვა	კოხი, სიტყვა	კოხი, ხოშკაკალა	კოხი, ხოშკაკალა	კოხი, ხოშკაკალა[125]
ყინვა	ყინვა	ყინვა	ყინვა	ყინვა
ნოტიო წელიწადი	წვიმიანი წელიწადი	ჭყიმორი	ჭყიეორი	ჭყიეორი
სოფელი	სოფელი	სოფელი	სოფელი	სოფელი
უბანი	არ არის	არ არის	არ არის	არ არის
მამული[126]				
ზარი	ზარა	ზარა	ჩანგი	ჩანგი
თამაშობა	თამაშობა, ცეკვა	ცეკვა	ცეკვა	ცეკვა
ჩილიკობა	ტაფარიკი	ჯაფარიკა	ბილაი	ბილაი
ქორწილობა	ქორწილობა	ქორწილობა	ქორწილობა	ქორწილობა
ერეკი	ერეკი	ბლიკვი	ბლიკვი	ბლიკვი
ბურთაობა	ბურთაობა	ბურთაობა	ბურთაობა	ბურთაობა
ბზრიალა	ბზრიალა	საბრუალა	საბეალა	საბეალა
ლოკვაობა	არ არის	არ არის	არ არის	არ არის
გუნდაობა	თოლაობა	თოლა-ბურთა	თოლა-ფუთა	თოლა-ფუთა
წელიწადი	წელიწადი	წელიწადი	წელიწადი	წელიწადი
ახალი წელიწადი	ახალი წელიწადი	ალანდა	ალანდა	ალანდა
თვე	თვე	თვე	თვე	თვე
მარტი[127]	მარტი	მარტი	მარტი	მარტი
აპრილი	აპრილი	აპრილი	აპრილი	აპრილი
მაისი	მაისი	მაისი	მაისი	მაისი
ივნისი	ივანობის თვე	ივანობის თვე	ივანობის თვე	ივანობის თვე
ივლისი	კვირიკობის თვე	კვირიკობის თვე	კვირიკობის თვე	კვირიკობის თვე

[126] სიტყვა მამულს დასავლეთ საქართველოში უფრო ვიწრო მნიშვნელობა აქვს, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში: პირველში იგი ნიშნავს მიწის ნაკვეთს, რომელზეც მოსახლეს გაშენებული აქვს ბაღი და ნათესები. აღმოსავლურ-ქართულ მამულს იქ შეესაბამება ქვეყანა. აღმოსავლეთში ამბობენ: მივდივარ ჩემს მამულში; დასავლეთში კი: მივდივარ ჩემს ქვეყანას, ჩემს სამშობლოს, უფრო ხშირად ჩემს ქვეყანას.

[127] ქობულეთსა და აჭარაში ახალი წელი მარტში იწყება.

[128] ხოშკაკალა პატარა სიტყვაა.

ქართლურ-კახური	იმერული	გურული	ქობულური	აჭარული
მარიამობის თვე	მარიობის თვე	მარიობის თვე	მარიობის თვე	მარიობის თვე
ენკენის თვე	ენკენის თვე	ენკენის თვე	ენკენის თვე	ენკენის თვე
ღვინობის თვე	ღვინობის თვე, წიფობის თვე	წიფობის თვე	წიფობის თვე	წიფობის თვე
გიორგობის თვე	გიორგობის თვე	გიორგობის თვე	გიორგობის თვე	გიორგობის თვე
ქრისტიშობის თვე	ქრისტიშობის თვე	ქრიშობის თვე	ქრიშობის თვე	ქრიშობის თვე
იანვარი	იანვარი	იანვარი	იანვარი	იანვარი
თებერვალი	თებერვალი	თებერვალი	თებერვალი	თებერვალი
ერთი კვირა	ერთი კვირა	ერთი კვირა	ერთი სწორი	ერთი სწორი[129]

[129] ქობულეთსა და აჭარაში კვირის დღეების სახელები იგივეა, რაც დანარჩენ საქართველოში, გარდა პარასკევისა, რომელსაც მუსულმანური ჯუმა ცვლის. დღის ნაწილები იქ აღინიშნება ლოცვის დროით: საბაჰნამაზი (ცისკრის ლოცვა), ეილე ნამაზი (შუადღის ლოცვა), იქინდი ნამაზი (მწუხრის ლოცვა), და იასი ნამაზი (ღამის ლოცვა).

დანართი II

ქაიხოსრო I გურიელის შეწირულების წიგნი

„შენ, დიდებულო ღუაწლისა მძლეველო მხედარო, მრავალთა სასწაულთა მოქმედო, რომელმან იცან ერთი სამებისაგანი ქრისტე უფალი ღმერთი ჩვენი, არცხვინე ურწმუნოთა და იწამე ქრისტესთვის და მან მოგცა სამას სამოცდახუთი სასწაული მოქმედება, ზღუათა და ხმელეთთა განთქმულო, მოწამეთა მთავარო, წ~ო გიორგი აჭისაო, გეეედრები მე გურიელი ქაიხოსრო. მას ჟამსა, ოდეს იქვენს საყდარს სიმაგრეშიდ ვიყავით, გამოგვიზახა დადიანმან ვამეხმან თავს დასასხმელი დიდი ლაშქარი — იმერელნი, ოდიშარნი, შარვაშიძე; ჩვენი საპატიო კაცებიც თან ახლდენ. მოგიხდენ და შუა გურია დაარბიეს და შენს მეტი ღონე აღარ მქონდა და შიგ თქვენს ტაძარშიდ შევიკაზმეთ, მოვედით ოზურგეთს; სასახლეში დამაგრდენ ისინი. დავესხით თავსა, გურული ჩვენი საპატიო კაცები დავირჩინეთ, წამოვიყვანეთ; მეორეს დღეს ციხე-დარბაზი ევიღეთ. გიორგი შოუსტანი, დადიანის ძმა ლიპარტიანი, ჭილაძე, მიქელაძე, ჯიჯავაძენი, ანჩაბაძენი, ჯუმათელი სესიასშვილი სარდალი იყო, — ესენი ყველა დავირჩინეთ. მოვედით თქვენს წინაშე გამარჯვებულნი ძალითა და შეწევნითა შენითა. შემოგწირეთ ერთი კუამლი კაცი მამუკა სალუქვაძე, მეორე კუამლი კაცი პატია სალუქვაძე, გეგიძე ბერთან რომ დგას, მესამე კუამლი კაცი მაკვანეთს პატია ანთელიძე. ეს სამი კუამლი კაცი ან ხარს იშოვნიდეს, ან სამს ცხვარსა; აპრილისა ოც და სამსა, გიორგობას, წინამძღუარი, მისი კრებული ხუცები ჟამს გვიწირავდენ ამ სამი კაცის ნაწირავად. სხუა ჩვენი ბაჟისაგან გაგვიჩენია ხუთი ოკა რკინა, ხოლო ჩვენის სასაფლაოს წინამძღუარი დაგვისვამს იოსებ მეიერუსალიმე, ჩვენის სასაფლაოს მეტოქად იყონ. შემოქმედს ჯიჯავაძის ჯაუვი, რხმალი და ლახტი შემოგვიწირავს. შეიწირე კანონიერი ესე შესაწირავი, დაგვიმკვიდრე გურია და აღზარდენ ძენნი ჩვენნი გიორგი ბატონის შვილი. და რამანცა ადამის ტომმან შენ ეს გამოგწიროს და მოგიშალოს, რისხაუს შენი ძალი და ღუთისა საშინელი, ხოლო დამამტკიცებელნი ამისანი აკურთხოს ღმერთმან. სხვა ამის დავთრები ძველს ჩვენს ნა-

თესავთაგან შემოქმედს შეწირული არის ტყე და წყალი, როგორც შეწირულია, ჩვენ ისე გაგვიახლებია და დაგვიმტკიცებია. ამინ".

ეს სიგელი XVII საუკუნის მეორე ნახევრისაა. მასში მოხსენიებულ პირთაგან, ქაიხოსროს გარდა ცნობილი არიან მხოლოდ აჭის წინამძღვარი იოსები და დადიანი ვამეხი. ჩვენი სიგელის პირში სასვენი ნიშნების დაუსმელობის გამო ძნელი სათქმელია, მისი სიტყვები „ჯუმათელი სესიაშვილი" ერთსა და იმავე პირს აღნიშნავს, თუ სხვადასხვას. ის ამბავი, რაზეც აქ ლაპარაკია, ჩანს, ერთი ეპიზოდია იმ დრამისა, რომელიც იმერეთის მეფის ალექსანდრე III დროს გათამაშდა და რომელსაც მოჰყვა როგორც დადიანი ლიპარიტის მოკვლა და მის ნაცვლად ვამეხის გამეფება, ასევე გურიელი ქაიხოსრო I განდევნა გურიიდან და გურიის დაკავება გურიელი სვიმონის ძის დიმიტრის მიერ. შეუძლებელია ერთმანეთს შევუთანხმოთ ის ცნობები, რომლებიც ამ საგანზე მოგვეპოვება. ქრონიკების მიხედვით, ალექსანდრე მეფის გამარჯვება ბანძასთან, რის შემდეგაც გურიელი ქაიხოსრო კონსტანტინოპოლს გაიქცა, 1658 წელს მოხდა და ქაიხოსროს გარდაცვალება 1658 და 1660 წლებს შორის მოდის (Hist. de la Géor. II, 1 livr., 275, 395; Chronique géorg., 80), მაშინ, როცა შემოქმედის კვინკლოსის მიხედვით, ალექსანდრე მეფე გურიას თავს დაესხა, ქაიხოსრო განდევნა და მის ნაცვლად დიმიტრი დასვა 1661 წელს. გარდა ამისა, დადიანი ვამეხის ერთი წარწერა ილორის ხატზე, სხვათა შორის, გვამცნობს, რომ „როცა ალექსანდრე მეფე გარდაიცვალა (1660 წ. Hist. de la Géor., II, 1 livr., 395); იგი ვამეყი, დაეპატრონა იმერეთს, ოდიშართა და იმერთა ლაშქრით თავს დაესხა გურიას, განდევნა გურიელი ქაიხოსრო და მის ნაცვლად გურიის მთავრად დასვა თავისი ცოლისძმა დიმიტრი" (Ibid., 278). ჩვენს სიგელში მოთხრობილი ამბავი, სახელდობრ ქაიხოსროს გამარჯვება ვამეყზე ოზურგეთში, არსად არ არის აღნიშნული და ამიტომ ვერ ვიტყვით, მართლა მოხდა თუ არა ის და როდის.

დანართი III

აქ დართული სურათები საათაბაგოს ძველი ქრისტიანული ძეგლებისა ადგილზე შეასრულა გ. ნ. ყაზბეგმა, რომელმაც ისინი ამ წლის ზაფხულში მოიხილა. მათგან სხალთის ტაძარი (№ 1) ზემო აჭარის სოფელ სხალთაში მდებარეობს, როგორც ეს შეიძლება ნახოთ ამ თხზულების II თავში; პარხალის ტაძარი (№ 2) მდებარე-

ობს პონტოს ანუ ლაზისტანის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე, ალთი-პარმახის მთის ძირას; ოპიზა (№ 3) — იმერხევის წყლის ხეობაში, კარჩხალის ტოტის ნაოჭში, ბათუმის დიდი გზიდან 20 ვერსზე, ხოლო ტბეთი (№ 4 და 5) — არსიანის ტოტის ერთ-ერთ ტერასაზე, სათლელის წყლის მარჯვენა ნაპირიდან 5 ვერსზე სოფლებს ვალესა და ციხისძირს შუა. პარხალი, ოპიზა და ტბეთი უკვე გადააქვთ ჩვენი სამხედრო-ტოპოგრაფიული განყოფილების რუკებზე, ხოლო მათი დაწვრილებითი აღწერა ყაზბეგის ცნობების მიხედვით შევა ჩემს თხზულებაში „კავკასია ქრისტიანობის ძველ ძეგლებში", „კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოების წერილების" პირველ ნაწილში, რომელიც მომავალ 1875 წელს უნდა გამოვიდეს. აქ კი საჭიროდ ვრაცხ, შევეხო იმავე ყაზბეგის მიერ ტბეთში ნაპოვნ ოთხ საბუთს. ეს არის:

I. საკმაოდ ლამაზი ხუცურით ნაწერი პერგამენტის სიგელი. ამ სიგელით „სახელითა წმიდისა სამებისა... და წმიდისა გიორგის ტბისა მთავარმოწამისათა" მახარობელი, ფირალა და კაკანა მაღლებაძეები გაბრიელა და ადამელა სომეღრიძეებზე ყიდიან პატარა მიწის ნაკვეთს ბანთაგერში. სიგელი ძველია, თუმცა არ ვიცით, ოა დროისაა.

II. ქაღალდზე ლამაზი ხუცურით ნაწერი სიგელი, რომლითაც „ილორისა და გორგოთისა, ვანისა მთორმოწმისათა და შავათისა ნისლსათა მთორმსათა თვსმდებობთა ტბისა მთორმოწმისათა და აგარასა ღვთისმშობელისთა და წმიდათ მოცქულთა მადლითა აწყ[უ]რისა და ვარძი-ისა ღმრთის მშობლისათა და ოღოროსა ღვთის მშობელისათა და ზღუდრისა და ქაშუეთისა მთორმწმისათა და მეოხებითა ცხრათა ნაწილთა სინაქოტისათა და წეფთისა მთორწმისათა და ჩიხორისა მთორმწმისთა თვისმდებობით, ათორმეტთა უდაბნოთა მადლითა და სამთა ძმათა მალღისა მთორმწმისათა" ვინმე ლაშქარი და დიმიტრი შარბაძეები აბრამ და ზაქარია კაფშაძეებზე 7 ვერცხლად ყიდიან მიწის ნაკვეთს „საჭალე ლოსიურისა".

აქ ჩამოთვლილი ადგილებიდან ზოგი უცნობია. სინაქოთი ახლანდელი სინგოთი უნდა იყოს, სადაც ყაზბეგმა ნახა და გადმოხატა რაღაც ძველი ნანგრევები. თორმეტ უდაბნოდ, ვგონებ, შპიზა უნდა ვიგულვოთ. (Hist. de la Géor., I, 577-578, ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 135).

III. რუხ ქაღალდზე მხედრულით ნაწერი სიგელი, რომლითაც „ათაბაგმა ვეზირმა ბატონმა რუსთემ ფაშა" მამედ კოპაძეს უბოძა

ორი კოშლი გლეხი მათი უძრავით. ბეჭედი თურქულია, სახელობითი, მასზე წელი არა ჩანს.

რუსთემ-ფაშა უნდა იყოს შვილისშვილი ათაბაგ ბექა III, ე. ი. ახალციხის პირველი ფაშის საფარ-ფაშისა, ან, ქართული მატიანეების ჩვენებით, როსტომ-ფაშა, რომელიც ახალციხეს საფაშოს განაგებდა 1647-1659 წლებს შორის. (Hist. de la Géor. II, 1 livr., 290) კოპაძეები სამცხელები არიან. (იხ. ამ თხზულების II თავის დანართი). კოპაძეები ახლაც ცხოვრობენ ქ. ახალციხეში.

IV. პერგამენტის რამდენიმე ნაჭრისაგან შეკერილი გრძელი გრაგნილი, 6 არშინი სიგრძისა, ორივე გვერდი დაწერილია სხვადასხვა ხელით, უპირატესად ხუცურით. მასში ჩამოთვლილია თავის თავის, გარდაცვლილ და ცოცხალ ნათესავთა მოსახსენიებლად შემომწირველთა გვარებით. ეს არის საქართველოში ეგრეთ წოდებული აღაპი. ეს გრაგნილი მოგვაგონებს თიხელის მონასტრის აღაპებს, რომლებიც მიწერილია ამ მონასტრის ხელნაწერ სვინაქსარზე (Chron. géorg., 107-125, ქართ. ნაწილი 113-128). ჩვენს გრაგნილში ტბეთი არ იხსენიება და უცნობია რომელ საუკუნეს ეკუთვნის იგი. გვარები დაჯგუფებულია ადგილების მიხედვით, რომელთაგან მასზე მხოლოდ ექვსი გავარჩიე; ზედვაკე, ჩიქუნეთი, ჩხუტუნეთი, აფხაზეთი, ევფრატი და ხერთვისი. ყოველ ჯგუფს წამძღვარებული აქვს ასეთი ფორმულა: „ყოველთა ზედვაკით შემომწირველთა ამის ეკლესიისათა შეუნდვენ ღმერთმან. — ყოველთა ხერთვისით შემომწირველთა ამის ეკლესიისათა შეუნდვენ ღმერთმან“ და ა. შ. არც ერთ ჯგუფში არ არის ისტორიული სახელები, მაგრამ სხვადასხვა ჯგუფში არის ისეთი გვარები, რომელთაგან ზოგი მხოლოდ წარსულ ხანაში გვხვდება, ხოლო სხვები დღესაც არსებობენ. ასეთებია: ახსართანიშვილი, ქობულიძე, კამკიძე, ხუციასძე, კახაბერიძე, ვარდანელი, ჯავახიძე, სუმათიშვილი, ღოღობერიძე, მორთულაძე და სხვ.

სიტყვამ მოიტანა და აქვე მივუთითებთ სხვა გრაგნილზე, — მისი სიგრძე 5 არშინია, — რომელიც რამდენიმე წლის წინათ გამომიგზავნა სვანეთიდან სვანეთის ყოფილმა ბოქაულმა მამაცოვმა. ეს გრაგნილი თავისი შინაარსით ტბეთისაზე გაცილებით საინტერესოა. იგი, ისევე როგორც სვანეთის ხელნაწერთა უმეტესობა, შეჭვარტლულია, მაგრამ ხუცური ნაწერი, სწორი და საკმაოდ ლამაზი, ადვილად გაირჩევა. მას ეწოდება „მარტიანე“. მასში აღაპები განლაგებულია თემებისა და გვარების მიხედვით. ეს თემებია, ეწერი, ლალავერი, ქვემო ლალავერი, მონასტერი, ზემო უშკული. გვარები:

დადიშქელიანი,[130] რუჩეგიანი, მილდანი და სხვ. რათა სრული წარმოდგენა ვიქონიოთ როგორც თითოეული ჯგუფისათვის წამძღვარებულ ფორმულაზე, ისე სვანურ სახელებზე, რომელთაც თითქმის არაფერი აქვთ საერთო არც ძველ და არც გვიანდელ ქართულ საკუთარ სახელებთან, „მარტიანიდან“ მთლიანად მომყავს ორი ჯგუფი:

1) „ესე არს ყოვლად წმიდაჲ უბიწო კრებაჲ, რომელნი დასხნეს და განაწესნეს წმიდათა მოციქულთა ბრძანებითა ღმრთისაჲ-თა ჰრომს და იერუსალიმს და ყოველთა მონასტერთა და ქალაქთა და სოფელთა და ეკლესიათა. დაიწერა წმიდა ესე მარტიანე სალოცველად ყოველთა სუანეთისა კრებისა შემომწირველთა და შემოვედრებელთათვის. ვინცა ეწერსა ამა კრებასა მოეგება, მათ ყოველთა შეუნდვენ ღმერთმან. ღმერთო აშენე და აკურთხე სახლი და საყოფელი ისლამ დადშგელიანისა...

სულსა ისლამ დადშგელიანისა, სვანეთის ჯუცესთა მალხინებელსა, ახალ კრებისა მოწესესა, შეუნდვენ ღმერთმან. მის მიცვალებულთა ყოველთა შეუნდვენ ღმერთმან.

სულსა მარიხა რეჩუგიანისა შეუნდვენ ღმერთმან.

სულსა ციუყს დადშგელიანისა შეუნდვენ ღმერთმან. სულსა ჯანხუხს შეუნდვენ ღმერთმან. სულსა ქუვარხ შეუნდვენ ღმერთმან.

სულსა ჯეყანს დადშგელიანისა შეუნდვენ ღმერთმან.

სულსა სათვითს შეუნდვენ ღმერთმან.

სულსა ყაზმაქვას დაშგელიანისა შეუნდვენ ღმერთმან. სულსა თამარს ჩარკვიანისა შეუნდვენ ღმერთმან.

სულსა ყაზმს და მირანგუს შეუნდვენ ღმერთმან. სულსა კუკუნილს და კაკუნილს შეუნდვენ ღმერთმან.

სულსა ფრიად ცოდვილსა ისლამს შეუნდვენ ღმერთმან. სულსა ბაგუს და ღშახს შეუნდვენ ღმერთმან.

სულსა მის სიძეთა დადაშის და ნაგუჯუ შეუნდვენ ღმერთმან.

სულსა ისლამას... (სულ)სა ქუეძეს შეუნდვენ ღმერთმან.

სულსა ქალინას და მაქას შეუნდვენ ღმერთმან.

სულსა ისლამს, ათაბუყს, თახუს შეუნდვენ ღმერთმან.

სულსა ისლამის სტუმართა ჯიბერდის, შაობას და ბადრის შეუნდვენ ღმერთმან, ამინ.

სულსა ისლამას და მის დედ-მამასა შეუნდვენ ღმერთმან.

სულსა გურანგუ წიფიანისა შეუნდვენ ღმერთმან.

---

130 მარტო დადიშქელიანები რამდენიმე ჯგუფია. ეს გვარი ხან დადშგელიანად იწერება ,ხან დადიშქელიანად, ან კიდევ დადიჩქელიანად.

სულსა ისლამას და მის მეუღლეს შეუნდვენ ღმერთმან.

სულსა მაციკუას შეუნდვენ ღმერთმან.

სულსა სიოშას მღვდელსა, ისლამის ერთგულსა, შეუნდვენ ღმერთმან.

სულსა კახაბერს შეუნდვენ ღმერთმან.

სულსა ჩართველიანისა გუვას შეუნდვენ ღმერთმან. მის შუვილსა გუგნიას შეუნდვენ ღმერთმან.

სულსა ამის მჩარეკელსა შეუნდვენ ღმერთმან. უყავ, უყავ და უყავ.

2) უფალო ღმერთო, ადღეგრძელე სორთმან დადიშქლიანი და მისი შვილები. ღმერთო, აკურთხე და აშენე სახლი და საყოფელი სორთმან დადიშქელიანისა. კრება შეგყარეს ოც და ათხუთმეტი ჴარი შესწირეს და სჴ~უმრლი. კიდევ სულკურთხეულსა სორთმანს დადიშქლიანსა შეუნდოს ღმერთმან და სულსა მის მამას ილამაზსა დადიშქელს შეუნდოს ღმერთმან. სულსა მის მეუღლესა შგვილიფხს (შეუნდოს ღმერთმან). სულსა მის ძმასა თათარსაუს და ყარაშაას შეუნდვენ ღმერთმან. მის გამზდელს დეკოს დეკანოზიანს... ხუვაშის... სულსა მის მელიქიფეს ბიბუს მახეჯგიანისა.

და ღმერთო, კუალად ამართლე და ადღეგრძელე სორთმან დადიშქელიანი და მისი შვილები და მეტად საღმთო და კრება ქნეს, შეგვყარეს სამოც და ათი ხუცესი. უფალო იესო ქრისტე, გაუღე კარი სამოთხისა. მისა დასა მირანგუს შეუნდოს ღმერთმან. დახაჩირს დეკანოზიანსა შეუნდვენ ღმერთმან. სულსა მის დიასახლიშს ყაზმაქუს".

IV

ჩემი შემდგომი კვლევა-ძიება გუნებისკარში, გომში, ბახვში, ვანისქედში, ბასილეთში, ხიდისთავში, ერკეთში, ხევში, ვანში, სურებში, ნონეიშვილებში, ქვემოხეთში, გამოჩინებულში, უდაბნოში, მაცხოვარში, აცანაში, ნიგოითში, ბაღლებში, ჯუმათში, ბაილეთში, ციხეში, ვაშნარში, ნაგომარსა და ბირკვნალში.

დანართები.

შემოქმედში კვლევას რომ მოვრჩი, ბახვისაკენ გავწიე უმნიშვნელო, ერთმანეთის ახლომდებარე სოფლების — გუნებისკარის, გომის, უხობისა და ბაღდადის გავლით. მათგან მხოლოდ გუნებისკარსა და გომშია ეკლესიები და ისინიც ხისა, გუმბათიანი; პირველი

წმ. გიორგის სახელობისაა, მეორე კი — იოანე ნათლისმცემლისა. გუნებისკარის ეკლესიაში წმ. გიორგის ხატზე იკითხება:

ᲩᲔ ᲥᲜᲥ.

ᲥᲐᲩᲧᲜ ᲨᲘᲜᲔ
ᲫᲝᲜᲧᲫ ᲠᲜᲔ ᲣᲥᲜᲥᲜᲜ ᲐᲨᲘᲠᲗᲣ ᲪᲧᲨᲘᲜᲔ
ᲨᲔ ᲫᲣᲜ
ᲠᲜ ᲘᲔ ᲨᲒᲪᲧᲫᲨᲘᲜᲔ ᲨᲔᲨᲧᲜ ᲫᲣᲜ ᲠᲜ ᲚᲘᲨᲥ-
ᲠᲐᲜᲔ ᲫᲔᲩᲠᲜᲜᲔ
ᲜᲣᲜ ᲘᲔ ᲨᲒᲪᲧᲫᲨᲘᲜᲔ ᲘᲐᲨᲩᲜ ᲫᲣᲜ ᲠᲜ ᲔᲩ...
ᲨᲒᲪᲠᲜᲔ... Ნ ᲫᲣᲜ ᲠᲜ ᲚᲘᲥᲠᲫᲘᲜᲔ ᲜᲧ...
ᲠᲜ ᲠᲜ ᲨᲝᲜ ᲫᲠᲩ ᲠᲜ ᲨᲠ.....

გომის ეკლესიაში ნათლისმცემლის ხატზე იკითხება:

ᲩᲔᲘᲘ- ᲨᲜᲐᲪᲒᲐᲠᲔᲜ ᲠᲐᲜᲜᲜ

ზურგის ვერცხლის გარსამოსზე: „განმიახლებია მე ნათლისმცემლის დეკანოზს მღვდელს გიორგი ბურჭულაძეს და მამა ჩემს იოვანეს ჩყიზ (1817). თვესა მაის(ს)ა დღესა მეათესა. ამისი უსთათი ვასილი“.

საღამო ხანს ბახვში მივედი, გურიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სოფელში. იგი მდებარეობს ბახვისწყლის მარცხენა და ნაწილობრივ მარჯვენა ნაპირზე. აქ სოფლის ცენტრში, ეკლესიის ვრცელ გალავანში ქალებისა და მამაკაცების დიდ თავყრილობას შევხვდი: თურმე ის დღე, 7 აგვისტო, ბახვის ეკლესიის ღვთისმშობლის შობის საეკლესიო დღესასწაულის წინადღე ყოფილა. ეს ეკლესია ნაშენია თლილი ქვით, აქვს ოთხქიმიანი ჯვრის ფორმა და დაგვირგვინებულია გუმბათით. მისი ზომაა: გარედან 15 ნაბიჯი სიგანე და 30 სიგრძე. ეს ეკლესია პატივსა სდებს მშენებელს; მისი გუმბათი სიმეტრიულია, არც მაღალია, არც დაბალი; ქვა უზადოდ არის გათლილი; როგორც კორპუსის, ისე გუმბათის კარ-ფანჯრების საპირეები მოჩარჩოებულია საგულდაგულოდ მოპირკეთებული სვეტებით. ვფიქრობ, იგი კიდევ უფრო ლამაზი იქნებოდა, სამრეკლო სახურავზე რომ არ იყოს აშენებული და ჯვრის ჩრდილოეთის და სამხრეთის მკლავები კორპუსთან შედარებით ვიწრო არ იყოს. ეკლესიას შიგნით აქვს პატონიკე დასავლეთის კედლის ზემოთ და ფართო ფანჯრები, საიდანაც უხვად შემოდის სინათლე. აქ არქეოლო-

გიური თვალსაზრისით ვერაფერი საინტერესო ვერ ვნახე, გარდა ერთი განახლებული, მაგრამ უწარწერო „პალიასტომის ღვთისმშობლის“ ხატისა, რომელიც, როგორც ამბობენ, პალიასტომის ტბის ახლო მდებარე გაპარტახებულ ეკლესიას ეკუთვნოდა.

ბახვის ეკლესიის აშენების თარიღი აღნიშნულია წარწერაში სამხრეთ შესასვლელის ზემოთ: „1867. შეწევნითა ღუთისათა შესრულდა ტაძარი და ესე ჩყჲზ-სა (1867) წელსა აღშენებული საფასითა გაბრიელ იმერეთის ეპისკოპოსისა და სოფლის ბახვის შემწეობითა, ხოლო ხელოვნებითა ლევან და მოსე ბერეკაშვილებისა“. ეპისკოპოს გაბრიელსავე მიაწერენ სასწავლებლის შენობის აგებას ეკლესიის გალავანში. ბახვი მისი სამშობლოა და გაბრიელიც უკეთეს საჩუქარს ვერ უძღვნიდა მას. მარტო ეკლესია, როგორც ვარაუდობენ, მას 8 000 მანეთი დაუჯდა. სკოლის შენობა ჩემსობას ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული; ახლა კი, გაზეთ „დროების“ ცნობით, ამ სკოლას უკვე დიდი სახელი აქვს“.[1]

7 რიცხვში მთელი დღე მოღრუბლული იყო, მაგრამ საღამოს, როცა წირვა მთავრდებოდა, თქეში წამოვიდა და, მცირე შუალედების გარდა, მთელ ღამეს ასხამდა. ამან ხელი შეუშალა ხალხის თავშეყრას. ღამე ეკლესიის მახლობლად გავათიე ერთი ადგილობრივი მღვდლისას, ხოლო მეორე დღეს წირვის შემდეგ სადილად მიმიპატიჟა ბახვისწყლის მარჯვენა ნაპირზე თავად დ. კ. გურიელის მოურავმა ბახუტაძემ, მასთან 60 კაცზე მეტმა მოიყარა თავი. უნდა შევნიშნო, რომ საეკლესიო დღესასწაულების დროს სოფელში თითქმის ვერ ნახავ ისეთ ოჯახს, რომ რამდენიმე ოჯახი არ ესტუმროს, მეტწილად წინადღით მოსული. ჩვეულებრივ, ნასადილევს მლოცველები უკლებლივ თავს იყრიან ერთ ამოჩემებულ ადგილას და ეროვნული ცეკვა-თამაშით ერთობიან. ამ ჩვეულებას ძველთაგან დღემდე იცავენ ქრისტიან ქართველ მოსახლეობაში. ცეკვა-თამაშს სხვადასხვა იერი დაჰკრავს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და ჩვეულებრივ ყოველთვის თან ახლავს საყვარელი „ლეკური“. სამწუხაროდ, წვიმის გამო ბახვში საერთო ცეკვა-თამაში არ ყოფილა, მაგრამ მე იგი ვნახე ბახუტაძის ოჯახში, სწორედ იმ სახით, როგორც იგი წელს აღწერა გურიაში დიდი ხნიდან მცხოვრებმა, გაზეთ „ტიფლისკი ვესტნიკის“ კორესპონდენტმა. ეს ცეკვა-თამაში კარგად ახასიათებს გურულის მკვირცხლ ბუნებას. ყველასათვის განსაკუთრებით საინტერესო უნდა იყოს საშიში ცეკვა ხანჯლებით, რაც, თუ არ ვცდები, მხოლოდ გურიაში იციან. „ტიფლისკი ვესტნიკიდან“

[1] „დროება“, 1875 წ., № 34 და 80.

შემოკლებით მომყავს ის ადგილები, რომლებიც ამ საგანს ეხება. „საეკლესიო დღესასწაულები, ამბობს კორესპონდენტი, როგორც გურიაში, ისე ყველგან საქართველოში სახალხო ზეიმია, რომელსაც არა მარტო ახლო-მახლო სოფლებიდან და ქალაქებიდან ესწრებიან, არამედ სხვა გუბერნიიდანაც და რამდენიმე ათეული ვერსიდან. ადგილობრივი მოსახლეობა მთელი კვირით ადრე იქერს თადარიგს: კლავენ შინაურ ფრინველებს; შეძლებულ ოჯახებში ცხვრებს, ძროხებს და სხვ. ნადიმის შემდეგ იმართება საერთო ცეკვა-თამაში, რაც ასე იწყება: ჩვეულებრივ, შუა ადგილას გამოდის ორი გურული და ცეკვავს ამხანაგების სიმღერის ხმაზე, ორივე იშიშვლებს ხანჯლებს და ოსტატურად და მარჯვედ აკეთებენ სხვადასხვა ილეთს. უწინარეს ყოვლისა მოცეკვავე ელვისებურად იწყებს ტრიალს და იქნევს ხანჯალს შემოჯარულ მაყურებლებში: შეიკვრება დიდი წრე, რომელშიც ვერავინ ვერ შებედავს; შემდეგ სიმღერებს შეუერთდება ეროვნული მუსიკა დაირებით და ტაში მუსიკის ტაქტზე. ამ დროს თითოეულ მოცეკვავეს კიდევ ორ ხანჯალს აძლევენ; ერთი მათგანი სწრაფად იქნევს ხანჯალს და გამალებით ირტყამს პირით გვერდებზე. იღლიებში, მკლავებზე, ნაკვთებზე და ზურგს უკან კისერზე; შემდეგ სამივე ხანჯალს კბილებით იქერს და ყველაფერს ამას ისე აკეთებს, რომ ცეკვას არ წყვეტს. პარტნიორი მის ირგვლივ ტრიალებს, თითქოს თანამოძმის სიმკვირცხლეს სწავლობსო; ხან წინ დაუდგება, ხან ისევ გველივით იკლაკნება და მთელი ამ ხნის განმავლობაში ორივე ხანჯლებით საშიშ ფიგურებს აკეთებენ. შემდეგ ერთი მოცეკვავეთაგანი, თითქოს გააჯავრესო, თავს დაესხმის პარტნიორს და თავისა და ტანის ირგვლივ ხანჯალს დაუტრიალებს. ერთი მათგანი შეჩერდება, ორივე ხელით უჭირავს გაწვდილი ხანჯლები, ხოლო მეორე ზედ გადაახტება ამ ხანჯლებს, თანაც თავის ხანჯლებს ათასნაირად იქნევს. როცა მოცეკვავენი დაიღლებიან, მათ ხმლებს აწვდიან და ორი ძმაკაცი იწყებს ფარიკაობას და ენით აუწერელ სიმკვირცხლეს იჩენს. ბოლოს, როცა ხანჯლებს მათ პატრონებს დაუბრუნებენ, ზედიზედ დაცლიან დამბაჩებსა და შაშხანებს და ამით აძლევენ ნიშანს, რომ ახლა სხვებსაც აქვთ უფლება, ჩაერიონ ცეკვა-თამაშში, შემდეგ ისინი შეჩერდებიან, ტაშს დაუკრავენ და ამით უხმობენ ცეკვის მსურველებს. იმ წამსვე წრეს გამოეყოფიან ქალები, ქალიშვილები და მამაკაცები და წყვილ-წყვილად დაეწყობიან, ე. ი. დამა-კავალრებად. იწყება ცეკვა, რომელსაც საცეკვაოდ გამომწვევნი დირიჟორობენ; იგივენი არიან სიმღერის დამწყებნი. ყოველი დამწყები

ცეკვის დროს კაფიად თხზავს ფრიად მწყობრ და გონებამახვილურ სიმღერებს, თუ რა მოუთმენლობის ცეცხლი წვავს მას გახდეს ახალგაზრდა შავთვალა გურული ქალის მეგობარი; ხანაც ხუმრობითა და კომპლიმენტებით დასცინის უგემოვნო ტანისამოსს; ხანაც ამხანაგს კენწლავს, რომელიც ასევე მოსწრებულად და გონებამახვილურად უპასუხებს. ამასობაში კი მოცეკვავეთა წრე ტრიალებს დამწყებთა ირგვლივ, იტაცებს მათს ბოლო სიტყვებს და ტონით და ტაქტით უმატებს ო ო — ჰო, ამ ცეკვის დროს დაირა და მუსიკა დუმს; მუსიკა მხოლოდ მაშინ იწყებს დაკვრას, როცა დამწყები დამბაჩის გასროლით მისცემს ნიშანს: მაშინ ყველანი ჩერდებიან და ჩამოუშვებენ ხელებს, ხოლო დამწყებნი ცნობილი საერთოეროვნული „ლეკურით“ ჩამოუქროლებენ წრეს. ბოლოს ორივენი შეჩერდებიან ქალიშვილების პირისპირ, ასრულებენ მათ წინაშე „ლეკურის“ ნაირ-ნაირ ილეთებს და თავის დაკვრით იწვევენ წრეში. მუსიკა უკრავს „ლეკურს“, ყველანი ტაშს უკრავენ. ორი გურული ქალი მერცხალივით სწრაფად, მოქნილად და მკვირცხლად ტრიალებს. ღმერთმა დაგიფაროს, რომ ამ ზეიმის დროს თავს ნება მისცეთ და მათთვის შეურაცხმყოფელი საქციელი ჩაიდინოთ...“[2]

ხანგამოშვებით წვიმდა. სტუმრები საღამო-ხანს წავიდ-წამოვიდნენ, ათიოდე კაცი დავრჩით. ვფიქრობდი, მეორე დღეს განთიადისას გავდგომოდი გზას, მაგრამ ღამის 10 საათიდან თავსხმა გაძლიერდა და მთელ ღამეს წუთითაც არ შეჩერებულა. მხოლოდ დილას გადაიღო, მაგრამ გამგზავრებაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა, ირგვლივ ყველაფერი დატბორილი იყო, წისქვილები ან დაზიანდა, ან წყალმა წაიღო; ყანები წალეკა; ბახვის წყალი საშინლად ადიდდა და გზები მოგვიჭრა. ამბობდნენ, ასეთ თავსხმას ჯერ არ მოესწრებივართო; მე მაინც ასეთი რამ არ მინახავს: წვიმა მთელ ღამეს ისე ხმაურობდა, რომ გაბმულ ჭექა-ქუხილს მოგვაგონებდა და გვაკრთობდა. აჭარა-ახალციხის ქედის მწვერვალები თოვლით დაიფარა, რის გამოც საკმაოდ აცივდა. დაახლოებით დილის 6 საათზე სინდიყი თერმომეტრში 11°R იდგა. 7 საათიდან წვიმამ იკლო და 9 საათისათვის გადაიღო. 11 საათზე ბახვისწყლის დონემ სანახევროდ დაიწია, ხოლო დაახლოებით ნაშუადღევის ორ საათზე გამოჩნდა ფონი. საერთოდ, მიუხედავად არაჩვეულებრივად დიდი წვიმებისა, რაც ასე ხშირია შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, იგი არც ისე აძნელებს მგზავრობას, როგორც შეიძლება იფიქროთ. აღმოსავლეთ საქართველოში რამდენადმე ხანგრძლივი წვიმა, განსაკუთრებით შე-

[2] «Тифлисский вестник», 1875 г., № 28.

მოდგომაზე და ზამთარში, ისეთ საფლობს და ტალახს აყენებს, რომ ზოგჯერ რამდენიმე დღით გადაგადებინებს მგზავრობას. აქ კი, პირიქით, რამდენიმე საათს დაიცდით და გზა ხსნილია: მიწა სწრაფად იწოვს წყალს და მდინარეებიც ადვილად კლებულობს.

მე ნაშუადღევის 4 საათზე გავემგზავრე, ღამე ოქროსქედში გავათიე ,და დილას 10 საათზე უკვე სოფელ ასკანაში ვიყავი. ასკანა ბახვისწყლის ვიწრო ხეობის მარჯვენა ფერდობზეა გაშენებული. აქ ორი ეკლესიაა: ერთი ხისა, გუმბათიანი, აშენებულია ფერდობის ზემო ნაწილში; მეორე ქვისაა, ძალზე ვიწრო (7 არშინი და 4 გოჯი სიგრძე და 5 არშინი სიგანე), ცოტა ზევით, ზედ მწვერვალზე. პირველში მხოლოდ ერთი ხატი ვნახე ასეთი წარწერით: „+ოი: წმინდა; ესტატე; მოგიჭედინე; ხატი ესე: სახისა: შენისა: ბეჟან: ასათიძემან: და თანა მეცხედრემან: ჩვენმან: როდამ: ძისა: ჩვენისა: აღზრდისათვის: და მას: დღესა: განკითხვისასა: ჩვენდა: სახსრად: ამინ“: მეორე ეკლესია სულ ერთიან მოხატული აღმოჩნდა. მისი მხატვრობა საკმაოდ ხასხასაა, მაგრამ ტლანქი. შესასვლელთან წარმოდგენილია დედა ღვთისა ყრმით. შიგნით საინტერესოა ორი პორტრეტი ბერმონაზვნის ტანსაცმლიანი მამაკაცისა და ქალისა: მამაკაცს ორივე მხარეს ორად გაყოფილი კაპიშონიანი ბარტყუნა ხურავს, მარჯვენა ხელში არქიმანდრიტის კვერთხი უპყრია; მარცხენა ხელზე, როგორც მას, ისე მონაზონ ქალს, ჰკიდიათ გიშრის პატარა ჯვრებიანი კრიალოსნები. მათი წარწერები გადარეცხილია. ეკლესიას ლავგარდანის მსგავსად ირგვლივ გასდევს ასეთი ლამაზი წერწერა:

ᲠᲘᲮ ᲐᲮᲘ ᲡᲓᲘᲜᲨᲘᲮ ᲙᲐᲮᲘᲐᲨᲘᲮ ᲒᲘᲜᲘᲮᲘᲮ
ᲐᲰᲘᲠᲔᲜᲘᲐ ᲨᲘ ᲪᲘᲐᲮᲘᲜᲘᲡᲘᲮ ᲐᲜᲒᲧᲘᲮᲘᲜᲘᲐ ᲨᲘ
ᲓᲘᲛᲘᲜ ᲘᲜᲐᲠᲔᲐ ᲨᲘ ᲡᲘᲛᲘᲜ ᲙᲘᲗᲮᲘᲜᲘᲜᲘᲮ ᲨᲘᲐᲮᲔᲜ
ᲒᲘᲜᲔᲐ ᲗᲐᲐᲰᲘᲜᲘᲮ ᲚᲘᲔᲮᲗᲐᲨᲘᲜᲘᲡ ᲰᲐᲐᲚᲔᲗᲐᲠ
ᲓᲘ ᲠᲠᲠ.....ᲜᲘᲠᲨᲘᲮᲔᲮᲙᲘᲜᲘᲮᲐ Შ ...
ᲰᲔᲠᲗ ᲰᲘᲠᲗᲐ ᲧᲓᲘᲨ ᲩᲘᲜᲔ ᲐᲰᲠᲔᲠᲓᲔᲐ ᲰᲔᲚᲨᲘᲮ
ᲗᲐᲐ ᲗᲘᲜᲐ ᲙᲘᲚᲨᲐᲙᲔᲐ ᲨᲘᲜᲨᲐ ᲚᲘᲐᲗᲚᲘ
ᲧᲠᲚᲘᲰᲙᲗ ᲨᲘ ᲨᲘᲚᲘᲔᲔᲓᲘᲜᲘᲒᲗᲗ ᲡᲘᲚᲨᲘᲮᲗᲘ ᲩᲘᲚᲘ
ᲮᲘ ᲡᲘᲔᲓᲔᲗ ᲔᲜᲘᲡᲰᲘᲮᲘ ᲚᲔᲒᲘᲰᲘᲮ ᲰᲘᲜᲔᲗᲘᲜᲘᲨᲘᲜᲚ

აქ მე-3 და მე-4 სტრიქონების ნახევრად წაშლილ ფრაზაში

ᲚᲘᲠ უნდა იყოს სიტყვის ᲚᲘᲚᲗᲘᲜᲔ

საერთოდ, წაშლილ ფრაზებში, ვფიქრობ, უნდა ყოფილიყო მინიშნება იმ სიტყვებზე, რომლებიც ახარა გაბრიელ მთავარანგელოზმა ქალწულ მარიამს ნაზარეთს (სახარება ლუკასი, თავი I. მუხლი 24-34).

ჩემს ხელთ არსებულ გურიის სიგელებში ერთხელაც არ გვხვდება მელქისედეკ სახლთუხუცესი; ადგილობრივ მცხოვრებთა აზრი, რომ იგი მაჭუტაძეების გვარისა იყო. სიმართლესა ჰგავს, ვინაიდან იმავე სიგელების მიხედვით სახლთუხუცესობა ერთ დროს ხშირად გვხვდება ამ გვარში; ასე, მაგალითად, მაჭუტაძეები სახლთუხუცესები იყვნენ შემდეგი გურიელების დროს: ვახტანგ I, გიორგი III, მამია III, გიორგი V ძის, ვახტანგის, მამია V და უკანასკნელი გურიელი დავითის დროს. რაც შეეხება ბეჟან ასათიანს, ერთ ასათიანს, რომელმაც თავისი საგვარეულო საბუთები მაჩვენა, ის თავის პაპად მიიჩნია, და მეც ჩავთვლიდი მას იმ ბეჟანად, რომელიც, ასათიანთა სახლის სიგელის ჩვენებით, მამია IV დროს ცხოვრობდა, თუ რომ როგორც მამიას, ისე მისი ძმის გიორგი V სხვა სიგელებში ბეჟანი უძეოდ გადაგებულად არ იყოს მოხსენიებული. ასე, მაგალითად, მამიას მიერ ბეჟანის ძმისათვის — ასკანის ციხის მოურავისათვის ბოძებულ სიგელში ნათქვამია: შენი უბედური ძმა მოკვდა, მე ქრთამი გამოგართვი და შენ მოგეცი მისი მოურავობა, რაც მას ერთგვარ სარგებელს აძლევდა სოფლისაგან; ახლა შენ გაძლევ მისეულ ქონებას, რომელიც არც მე, არც სხვას არა აქვს უფლება გამოგწიროს შენ. თავის მხრივ გურიელი გიორგი აძლევს ასეთ სიგელს: მე შენგან ვითხოვდი საძმოს (იგივეა რაც სეული ან სოული) და შემდეგ შენ ჩემი ნებისამებრ პაატელა ასათიანსა და იოსელას დაუთმე ერთი კომლი გლეხი გაბრიელ ვასაძე მისი ოჯახით, ჭურმამულით (მამული გურიაში ბაღს ჰქვია). ახლა ამ სიგელით გიმტკიცებ შენი ძმის ბეჟანასეულ ქონებას, რომელსაც ვერც მე, ვერც ჩემი შვილი ვერ შეეხება. აქ საჭიროა შევნიშნოთ, რომ ასათიანები აზნაურები არიან. ეს გვარი, გურიის გარდა, გვხვდება ლეჩხუმსა და იმერეთში. გურიაში ისინი მხოლოდ სოფელ ასკანაში ცხოვრობენ და, როგორც ამბობენ, მემკვიდრეობით ჰქონიათ ასკანის ციხის მოურავობა.

ასკანის ციხე მდებარეობს მაღალ, ფრიალო კლდეზე ეკლესიის პირდაპირ, ბახვისწყალსა და მის მარჯვენა შენაკადს შუა. იქ ასვლა

შეიძლება მხოლოდ კარგ ამინდში ბილიკით, რომელიც ჯერ ციცაბო ფერდობს უვლის, შემდეგ ვიწრო ქედს. ეს ციხე, რომელსაც ირგვლივ ტყე აკრავს, მრისხანედ გამოიყურება გადარჩენილი კოშკებითა და მაღალი სათოფურებიანი კედლებით. შიგნით წყლის აუზია, გალავანს გარეთ კი წყაროს წყალი. მას გურიელი კახემატად იყენებდა, სადაც დამნაშავეებს ყრიდა და კედელზე ჯაჭვით აბამდა. იგი აღჭურვილი იყო ქვემეხებით, რომლებიც 30-იანი წლების შემდეგ ოზურგეთში წაიღეს, და საიმედო სახიზნავად ითვლებოდა გარეშე თუ შინაური მტრის წინააღმდეგ. მის ძირში გადის გურიიდან ზემო აჭარაში მიმავალი ყველაზე მარჯვე გზა. იგი ბახვისწყლის ხეობით გადადის სომლიაზე და ნაცადი მგზავრისათვის ზამთარშიც უსაშიშროა, თუ ქარბუქმა არ მოუსწრო მოტიტვლებულ ზეგანზე, რომელიც დიდვაკედ ან კამეჩის სარჩობადაა ცნობილი. წინათ ამ გზიდან ესხმოდნენ თავს უპირატესად დიდ პარტიებად, ასკანის მიმდგომი ადგილების მოსახლეობას და მიჰყავდათ ტყვედ მოტაცებული ქალ-ვაჟები. ერთი ასეთი შემთხვევა შემოგვინახა ოფიციალურმა საბუთმა: ეს იყო დიდი ბრბოს თავდასხმა ასკანაზე ახმედ-ბეგ ხიმშიაშვილის პირადი წინამძღოლობით 1819 წლის 9 აპრილს.[3] ახლა, როცა ორგანიზებული ბრბოების თავდასხმები შეწყდა, ამ გზით აჭარლები ამარაგებენ გურიას რქოსანი საქონლით, ერბოთი, ყველით და ყურძნით, რომელიც აჭარაში არაა დაავადებული, გურიაში და შავი ზღვის მთელ სანაპიროზე კი ძალზე ზიანდება.

ასკანიდან მოვინახულე მეზობელი სოფლის ვანისქედისა და მისგან 5-6 ვერსით დაშორებული ბასილეთის ხის ეკლესიები. ვანისქედის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაში ჩემი ყურადღება მიიპყრო ძველმა საეკლესიო წიგნებმა: „მოკლე ჟამნ-გულანმა“ და „ვრცელმა ჟამნ-გულანმა“. ორივე გადაუწერია ვინმე „ცოდვილ გრიგოლ შუბლაძეს“. ვრცელ ჟამნ-გულანს ახლავს ცალკე „ასწლიანი კვინკლოსი“ და ცალკე ქორონიკონი 1729-დან 1749 წლამდე. ამ ქორონიკონის ბოლოს ასეთი წარწერაა: „ამ ქ~კის დაწერამდი

ᲔᲗ წლის კაცი, მე გრიგოლი: ᲩᲜ წინამძღვარი

მხ~ძე:. ᲩᲝ წლით გურიელი გ~ი:. ᲩᲜ წლით მამია

[3] Акты Кавказской Археографической комиссии, т. VI, ч. I; стр. 669.

გურ~ლ:. Դ წლით ხალი-ფაშაგამოაზახა ხვანთქარმან Ն

ათასი კაცი:. ციხები დაგვიტეხა:. ბათომი მაშინ წაგვერთვა:.

თეროსანი აფხაზმა მაშინ აგვართვა:.[4] Ը წლით ომი:. Ջ

მწიფობის თვეს თოვლი მოვიდა, მფრინველი
მოხვა რო ნახევარი კაცმა ვერ იცნა:. ხისა და მიწის ნამუშერი
გ~ნაქარვა:. ბეჟან დადიანიც იმ წელიწადს მოკლა თათარმა ქუ-
თაის:. ესენი ყ~ლი ამ ქ~კის დაწერამდი იქმნა".

ამ მინაწერებში სიტყვები: Ամ Ը წლით გურიელი გიორგი;

Ամ Ը- წლით მამია გურიელი; Ի Դ წლით ხალი-ფაშა",

მგონია უნდა გავიგოთ როგორც 44 წლის, 41 წლის და 26 წელს, ე. ი. რომ „ამ ქორონიკონის დაწერამდი" წინა წელს გურიელი გიორგი 44 წლისა იყო, გურიელი მამია 41 წლის (?), 26 წელს გამოგზავნეს ხალი-ფაშა. მინაწერი, როგორც მისი შინაარსიდან ჩანს, ყველა აღნიშნულ ფაქტსა და მოვლენას ერთსა და იმავე, ქორონიკონის წინა წელს მიაკუთვნებს. თუ ეს წელი 26-ეა ანუ 1726, მაშინ იგი ემთხვევა მატიანეებში აღნიშნულ წელს, როცა გარდაიცვალა გურიელი გიორგი IV და მისი ადგილი დაიკავა მისმა ძემ მამია IV,[5] ამასთან თუ მამია ამ დროს 41 წლისა იყო, გიორგი, როგორც მამა, 15 წლით უფროსი მაინც უნდა ყოფილიყო, თუ, რა თქმა უნდა, ლაპარაკი მასზეა. უნდა შევნიშნოთ აგრეთვე, რომ იმავე მატიანეების, ასევე შემოქმედის გულანის კვინკლოსის ცნობებით, დადიანი ბეჟანი ახალციხის ფაშის ისაკ-ფაშის ძემ იუსუფ-ფაშამ 1728 წელს მოაკვ-

---

[4] თეთროსანი — ყველაზე სახელგანთქმული ეკლესია ჩურუქ-სუში, ამჟამად დანგრეულია.

[5] Hist. de la Géor., t. II, livr. 1, p. 315, 402.

დინა,[6] რაც უახლოვდება მინაწერის 26 წელს. მინაწერის ხალი-ფაშა, ჩვენი აზრით, ან ისაკ-ფაშის ძე უნდა იყოს, ან იუსუფ-ფაშა. არც რიცხვი ლაშქრისა, რომლითაც იგი შეიჭრა იმერეთში, არც ბათუმის აღება თურქებისაგან, არც თეთროსანის „ართმევა“ აფხაზთაგან, რომლებიც, როგორც ჩანს, ხალი-ფაშის ექსპედიციაში მონაწილეობდნენ, არც უცხო ფრინველთა გამოჩენა არ არის აღნიშნული მატიანეებში.

რაც შეეხება ბასილეთის ბასილი დიდის ეკლესიას, თუმცა იქ მართლაც მოიპოვება რამდენიმე მოოქრული ვერცხლით მოჭედილი ხატი, რომლებიც, ადგილობრივი გადმოცემით, მისი ახლანდელი მღვდლის ჯაშის წინაპრებმა გადმოასვენეს სამცხიდან ჯერ ქობულეთში, ხოლო შემდეგ ბასილეთში იმ დროს, როცა სამცხის მოსახლეობა ისლამზე აცდუნეს, მაგრამ მხოლოდ ორ მათგანზე აღმოჩნდა წარწერები და ისიც უმნიშვნელო. პირველზე, წმ. ბასილის ხატზე იკითხება: ქვედა არშიაზე:

Ⲓ: ⲬⲈ: ⲂⲈⲚⲔⲈⲚ ⲧ: ⲁⲛⲁⲑⲉ
ⲧⲣⲟⲡⲁⲣⲓⲟⲛ: ⲁⲉⲣⲉⲛ: ⲣⲓⲛ, ⲃⲓⲛ, ⲂⲈⲚⲔⲈⲚⲔⲈ, ⲓⲑⲣⲏ
ⲥⲣⲟⲩⲁⲁⲉⲣⲏ: ⲫⲉⲩⲅⲁⲉⲣⲏ, ⲛⲉⲉⲣⲓⲛⲟⲕⲉ, ⲥⲉ ⲓⲣⲁⲁⲉⲣⲏ
ⲅⲑⲓⲛⲉⲁⲁⲉⲣⲏ: ⲁⲉⲣⲑⲣ: ⲃⲉⲕⲓⲛⲉⲣ: ⲥⲉ ⲃⲉⲁⲣⲉⲉⲥ: ⲃⲁ-
ⲣⲉⲛⲕⲉ: ⲓⲑⲣⲏⲛⲕⲉⲣⲑⲑⲛⲕ: ⲥⲉ ⲣⲑⲛⲕⲉⲣⲏⲉ, ⲃⲉⲣⲃⲕⲁⲣⲣⲥⲛ
ⲕⲉⲣⲕⲉⲣⲏ: ⲉⲏ:

მეორეზე, წმ. გიორგის ხატზე იკითხება: „წმიდაო გიორგი, შაუნდე ამისა ოსტატსა ავსთიძესა + ღმერთო და წმიდაო გიორგი, სდგრისო, მოგიჭედინე ხატი წმიდისა გიორგისა მე მამიამან ბარამიძემან ჩემდა გასამართლებელათ“.

სადგერი ჩვენ მხოლოდ ბორჯომის ხეობაში ვიცით. იქვე არსებობს წმ. გიორგის ტაძარიც.[7]

ბასილეთიდან 11 რიცხვში გავემგზავრე ოცხანაში ანუ ხიდისთავში. ეს სოფელი უბანში ერთადერთია, რომელსაც ბაზარი აქვს და ამიტომ იგი გურიაში ცნობილია საერთოდ როგორც ქალაქი. ხიდისთავი, ბასილეთი და მეწიეთი შეადგენს ერთ საზოგადოებას, სადაც 400 კომლი ცხოვრობს. ხიდისთავში, სადაც მე ღამე გავათიე, მეწიეთის წმ. გიორგის ეკლესიიდან მომიტანეს: 1) ამ წმინდანის

---

[6] Ibid., 314-315, 402, 640.

[7] Д м. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства в Актах Кавкз. Археогр. ком. т. V. стр. 1072.

ხატი კუბოთი და ოქროს მოჭედილობით, რომელზეც ასეთი წარწერა იყო: „ამის ოსტ ბეჟან ბულახვაძე. წელსა ჩყმბ (1842) გაკეთდა კუბო ესე პირველი წმინდა გიორგის მეწის“. 2) ჯვარი ორი თვლით, რომლებზეც ამოკვეთილია არაბული სიტყვები და 3) ნუსხახუცურით სქელ ქაღალდზე მშვენივრად გადაწერილი „მარხვანი“, რომელმაც ძალზე დამაინტერესა. იგი სხვათა შორის, შეიცავს „ძეგლის წერას“, რომელიც, როგორც მასშია ნათქვამი, შეუდგენიათ კონსტანტინოპოლის წმიდა ხატების თაყვანისცემად შეკრებილ წმიდა მამებს; მას კითხულობს შემოსილი მღვდელი წმ. სოფიის ტაძარსა და ყველა ეკლესიაში წირვის დროს დიდმარხვის პირველ კვირას. ამას მოსდევს თვით „ძეგლის წერა“ და ბოლოს ჩამოთვლილი არიან აღმოსავლეთის ეკლესიაში ცნობილი საერო და სასულიერო მოღვაწენი მართლმადიდებლობისა. ქართველ სახელოვან ერისკაცთა და სასულიეროთაგან დასახელებული არიან შემდეგი განსვენებულნი და ცოცხალნი:

I. განსვენებულნი:

ბაგრატ (IV) აფხაზთა, ქართველთა მართლმადიდებელი მეფე.

გეორგი (II) კესარიოსი, აფხაზთა, ქართველთა მართლმადიდებელი მეფე.

დავით (II) ყოვლისა აღმოსავლეთისა მართლმადიდებელი მეფე.

დემეტრე (I) ყოვლისა აღმოსავლეთისა მეფე.

გეორგი (III) ყოვლისა აღმოსავლეთისა ჭელმწიფეად მპყრობელი, მეფეთა-მეფე.

თამარ ყოვლისა აღმოსავლეთისა ახლისა მართლმადიდებლისა აფხაზთა, ქართველთა, ჰერთა და კახთა და ყოველთა ქრისტიანეთა მპყრობელი.

ძე მათი, მეფეთ-მეფე, ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთის მტკიცედ მპყრობელი გიორგი (IV).

და მათი რუსუდან მართლმადიდებელი, ყოვლისა აღმოსავლეთისა მტკიცედ მპყრობელი.

დავით (IV) მართლმადიდებელთა მეფეთა-მეფე.

უსხეულოთა მიმსგავსებული წმიდა მამა ჩვენი ეფთჳმე მთაწმიდელი, ახალი ოქროპირი, ქართველთა განმანათლებელი.[8]

---

[8] საღმრთო წერილთა მთარგმნელი, ცხოვრობდა ბაგრატ III დროს, X ს. მიწურულს (Hist. de la Géor., t. I, p. 300); ზემოთ მითითებული ათონის ხელნაწერში იგი იწოდება „აღმაშენებლად“ და „ახალ ოქროპირად“. გვ. 182 და 390.

წმიდანი და მართლმადიდებელნი დედოფალნი მარიამ[9] და მართა.[10]

წმიდანი მამანი იოვანე და იოვანე სჯნგელოზი და გიორგი.

წმიდა მამა ჩუჷნი გიორგი მთაწმინდელი, ქართველთა მნათობი.[11]

ყოველთა ნათესავთა ჩუჷთა მასპინძელი ქართველთა გრიგოლ სევასტოსი, ბაკურიანის ძე და ყოვლისა დასავლისა დიდი დემესტლიკოსი, მართმადიდებელი.

მართლმადიდებელი მეფე ალექსანდრე და მეუღლე მისი პატრონი დედოფალი თამარ.[12]

ძე მათი, დიდი მეფეთ-მეფე ბაგრატი და ძმანი მისნი ღვთისმოყვარენი გიორგი და ვახტანგ.

ღვთისმოყვარე, მართლმორწმუნე პატრონი ყუარყუარე და თანამეცხედრე მისი პატრონი ანა და ძენი მათნი პატრონი მზეჭაბუკ და ქაიხოსრო.[13]

ღვთისმოყვარე პატრონი მამისა და ქრისტეს მოყვარე პატრონი ირინე და მართლმორწმუნე პატრონი აბდულმისე.

ღვთისმოყვარე და მართლმორწმუნე პატრონი ელენე.

ძე მათი ღვთისმოყუარე პატრონი იორამ.

ღვთისმოყუარე მართლმორწმუნე პატრონი თამარ.

ქრისტესმოყუარე და მართლმადიდებელი პატრონი სფირიდონ და მეცხედრე მისი დიდისა მეფისა ალექსანდრეს ასული, ღვთისმოყუარე, მორწმუნე და მართლმადიდებელი პატრონი თინათინ.

II. ცოცხალნი:

ძე მათი, ღვთისმოყუარე და მართლმორწმუნე პატრონი იოსაფატ და მეცხედრე მისი მართლმორწმუნე და ღვთისმოყუარე პატრონი ქეთაონ და ძენი მათნი.

ღვთისმოყუარე და მართლმორწმუნე პატრონი გულქან და ძენი მათნი.*[1]

შემდეგ მოსდევს მინაწერი „ღმერთო, აღამაღლე და მშვიდობით დაიცევ ორთავე ცხოვრებასა შინა მადიდებელი და მსასოებელი

---

[9] ალბათ, ბაგრატ IV დედა, ცნობილი თავისი ღვაწლით (ibid, 314 და ათონის ხელნაწერი, გვ. 390).

[10] იქნებ ბაგრატ IV ასული, რომელიც ცოლად ჰყავდა მიხეილ დუკას (ibid., 330, n. 2).

[11] საღმრთო წერილთა მთარგმნელი, ცხოვრობდა ბაგრატ IV დროს, XI საუკუნეში (ibid., 315, 337-341).

[12] უეჭველია, ეს არის იმერეთის მეფე ალექსანდრე III; გარდაიცვალა 1661 წ. (Hist. de la Géor., II, 2 livr., p. 643).

[13] საათაბაგოს მთავარი, გარდაიცვალა 1500 ან 1507 წ. (ibid., p. 213, 639, chr. géor., p. 5).

შენი ქეთაონი ძეებითურთ, რომლისა ბრძანებითა გარდაიწერა ესე სულთა განმანათლებელი მარხვანი“.

მარხვანს დართული აქვს პასქალური ციკლი (ქორონიკონი) „სრული, დაწერილი შემსგავსებულად იერუსალიმის ქორონიკონისა“.

დასასრულს: „გარდაიწერა და დაესრულა დიდებული მარხვანი ქორონიკონსა სპ3ბ 254 (1566)“. გადამწერია ვინმე „ცოდვილი გაბრიელ“, ხოლო „დამკაზმავი ძე მისი ელეაზარი“. ყდა ძველია სქელი შავი ტყავისა, ზედ მკაფიოდაა ამოტვიფრული წმინდანები. საერთოდ, დაწერილია ლამაზი ნუსხახუცურით; ხელი ერთი და იგივეა როგორც ტექსტის, ისე მინაწერებისა, მხოლოდ არშიებზე პასქალური ციკლის ზოგიერთი წლის პირდაპირ არის გვიანდელი მინაწერები. ასე, მაგალითად, მე-7 ციკლის პირდაპირ 6 ივლისის თარიღით აღნიშნულია მზის დაბნელება; 9-ის პირდაპირ ხელმწიფეთა ომი; 379-1691-ის პირდაპირ: „აქა დადიანმა კაციამ გაიმარჯვა... არიდ... ლ... შემოება... ონს დადიანს რაჭას სძლო დადიანმა და ხო... დაირჩინა“.

კიდევ გვიანდელი მინაწერი: „ჩვენ ყოვლად სამღვდელო ცაგერელ-მიტროპოლიტმან იოანე შემოგწირეთ სულთა განმანათლებელი მარხვანი ესე შენ ლაბეჟინის მთავარ-ანგელოზის ეკლესიას სულისა ჩვენი საოხად“.

მარხვანის მინაწერის გრიგოლ სებასტოსი ბაკურიანის ძე, ვფიქრობთ, სწორედ ის არის, ბაგრატ IV დროს რომ ცხოვრობდა (Hist. de la Géorg., I, 328 n) და რომელიც ათონის ხელნაწერში ორჯერ იხსენიება მის ძმა აბაზასთან ერთად — „გრიგოლ და აბაზა ბაკურიანის ძენი“ (გვ. 381, 408-409). იგივე უნდა იყოს ის Pacurien (on Bacouran) Arménien (?) de petite taille, mais d'un grand Courage grand-domestique d'Occident. (ქართ. დიდი დემესტლიკოსი ყოვლისა დასავლეთისა), რომელიც ფრიად თვალსაჩინო როლს ასრულებდა ბიზანტიის სამსახურში იმპერატორ ალექსი კომნენის დროს (Lebeau, H. du B-E; XV, 85-86, 205). ბაგრატ IV გარდაცვალებიდან რამდენიმე წლის შემდეგ. შემდეგ არც მამიასა, არც სფირიდონი, ალექსანდრე მეფის ასულის თინათინის მეუღლე, არც მათი შვილი იოსაფატი და მისი მეუღლე ქეთაონი, რომლის ბრძანებითაც გადაიწერა მარხვანი, არც ბატონი გულქანი სრულებით არ არიან ცნობილი. თუ, რაშიც მე დარწმუნებული ვარ, თინათინს იმე-

რეთის მეფის ალექსანდრე III ასულად ჩათვლით, რომელიც ერთ-ხანს გოშაძეს ჰყოლია ცოლად, მაშინ, ცნობილია, რომ იგი დადიან ლევან III მიათხოვეს 1663 წ.[14] ასეთ შემთხვევაში მარხვანი უფრო გვიან გადაწერილა და, მაშასადამე, ქრონიკონის წელიწადში 254-1566 დიდი შეცდომა გაპარულა.*[2] გარდა ამისა, 379-1691 წ. ქვეშ მითითებულ კაციად, ვგონებ, დადიანების მეორე დინასტიის დამა-არსებელი კაცია ჩიქოვანი უნდა ვიგულვოთ, თუმცა მატიანეებიდან ვიცით, რომ 1691 წ. იგი აღარ იყო ცოცხალი: მისი გარდაცვალე-ბის თარიღი უცნობია, მაგრამ მისი ქვრივი გიორგი გურიელს მის-თხოვდა 1682 წ.[15] რაც შეეხება ცაგარელ-მიტროპოლიტ იოანეს, იგი უნდა იყოს დადიანი კაცია II ძე, რომელმაც ჭყონდიდლის კა-თედრა დაიკავა 1792 წ. და 1819 წელსაც ცოცხალი იყო.[16] ლაბე-ჭინის მთავარანგელოზის ეკლესიას მე არ ვიცნობ, მაგრამ იგი სად-ღაც სამეგრელოს სამთავროში უნდა იყოს.

ხიდისთავიდან ჩემი გზა აღმა მიუყვებოდა მდინარე გუბაზეუ-ლის მარჯვენა ნაპირს სოფელ ერკეთში, გურული ერისთავების მა-მულში. სადაც გორაკზე გუბაზეულის მარჯვენა ნაპირზევე დგას ერკეთის ეკლესია. აქედან მოჩანს ერთ მხარეზე აჭარა-ახალციხის ქედი, მეორე მხარეზე კავკასიონის მთები; უფრო ახლოს გადაჭიმუ-ლია ჩახატაურის დაბალი ქედი და მის ქვემოთ მდინარე სუფსა კვეთს სუფსის ხეობას, რომელიც საუცხოო მცენარეულობითაა და-ბურული. ერკეთის ეკლესია მიქელ და გაბრიელ მთავარანგელოზე-ბის სახელობაზეა აგებული. იგი არაა დიდი, აგების წესითა და ჩუ-ქურთმებით ნაწილობრივ ლიხაურის ეკლესიას ჩამოჰგავს. სამი კა-რიბჭე აქვს, შიგნით ნათელი საღებავებითაა მოხატული. აქ გამო-სახულია მაცხოვარი თხემზე, ერთი ხელით კურთხევას არიგებს, მეორეში გადაშლილი სახარება უპყრია; მის გვერდით იქით-აქეთ დგანან დედა ღვთისა და იოანე მოციქული. შემდეგ კამარაზე — ამაღლება და სამება მინაწერით უკანასკნელი ფრესკის ქვეშ:

ᲡᲐᲧᲠᲝ ᲧᲣᲧᲠᲔ ᲧᲣᲛᲜᲐᲣ

შემდეგ, დასავლეთის შესასვლელიდან მარცხ-ნივ — დედა ღვთისა კალთაში ყრმით. ხელგანპყრობილი, წარწერით:

---

[14] Hist. de la Géor., t. II, 1 livr., p. 396, 643 და 646.
[15] Hist. de la Géor., t. II, 1 livr., p. 290. Brosset, Voyage archéol., V Rapp., p. 14-15.
[16] Ibid., p. 648.

ԿԾ ԲԱ ՅՂ ՏՆՆ ԿԿԲՆ

მარჯვნივ — მამაკაცი და ქალი, გვირგვინებით, მათ შორის ჯვარი

და მინაწერი: ԿԱԲՆԵԲԲ· ԲՆԲՂ ԾԲ ԿԴՂԲՂ

მათ მოსდევს შემოსილი ბერი, დაბალი ბარტყუულა ხურავს, ხელში კვერთხი უჭირავს. იგი, როგორც მინაწერი გვიჩვენებს, ყოფილა ეიღაც

ՀԱԲԲԸ ՈՆՆԸ ԾԲԴՆԱ ԿԱ-
ՎՆԵՆ ԾԸԲՆՂԵ ԿՂԿՆՀՂ ՀԿԵԱԿՂԵՆ ՀԱՀՈԴԸՀՆ
ԴՆԲԱԸ ՅՂԲԾԿԸ ԿԱԱՄ ՄՓԵԱԸ ՅՂԿՆԲԾԱՆ ԸՀՆԲ.

მარჯვენა კედელზე კვლავ ბერია წარმოდგე- ნილი, მაგრამ უკვე ეპისკოპოსის სამოსელში და თავზე მიტრით. ლამაზი სახე აქვს, ულვაში ორად გაყოფილი, თმა მხრებამდე სცემს. მისი წარწერა:

ՀՆ- ԲՀՆՆԵԲՆ ՔՀԱՄՂԵ ՀԸԴԵՆՆՀՂ

მასზე ბეჟან ბერიძესთან ერთად მოგვითხრობს:

ԲՂԿՆՄԸ· ԾԸ· ՅՂԲՂԲ-
ՆԱ· ՈՀԱՄՆՆԸՄԴ· ԻԴԲ· ԿՂՀՆՀՂՂԱ· ԿՂԿԸԲ·
ԿՀՀԸԲՂԿՆՄԸ· ԿԸԲԱԲՆ· ՔԱՀՄԴՆՆ· ՀԴԵՆՆՀ·
ՄԴ· ՈՊԴՅԲՄ· ԿԸԲԿՆ· ՂԿՂ ԾԸ ԾԸԴԸԿԸԲԲՄ·
ԲՀԾՆ· ԿԸԿՀՄԲԿՆ· ԿԸԵՀԱ· ԸԱԾԴՆԿ· ԿԱԴՆԿ·
ԻԲԿՄ· ԾԸ· ՀՅԱԿԵՄ· ԻԲՄ· ՆԴԿՀ· ԾՆ· ԲՀՆ-
ԲԲԿ·Ա· ՀՎՀԵ· ԿԴԿԸՂ· ԱՀՄԴ· ԸԿՀԿԿ· ՅԲՆ·

ერკეთის ეკლესიაში აღმოჩნდა შემდეგი ხატები წარწერებით:
1) მაცხოვრის მომცრო ხატი და მის ქვემო არშიაზე:

ᲨᲘᲠᲘᲗ: ᲙᲔᲜ: ᲠᲜᲗ: ᲐᲬᲘᲐᲜᲘᲡ: ᲮᲗᲘ: ᲙᲔᲠᲘᲐᲜ:
ᲗᲐᲜᲘᲗᲐᲙ: ᲗᲘᲨᲐᲙ, ᲨᲔᲗᲘᲡ: ᲐᲘᲔᲨᲐᲜᲘᲡ: I...
ᲒᲐᲜ: ᲗᲠᲗᲐᲣ: ᲜᲔᲙᲘᲗᲨ: ᲨᲔ ᲡᲐᲙᲨ: ᲡᲜᲗᲔ:

ᲮᲘᲗᲔᲗᲘ;

2) მთავარანგელოზთა ხატი ვერცხლის მოჭედილობით და მასზე: „ქ. მოვაჭედინე ხატი ესე მთავარანგელოზთა ჩვენ შარვაშიძემან ქაიხოსრო; ძემან ერისთავის ბაგრატისამან და დავასვენეთ სამარხოსა ჩვენსა მონასტერს ერკეთისას. ქორონიკონს უ თ“ (409-1721).

3) წმინდა გიორგის ხატი და მასზე: „წმინდა გიორგის ხატი შემოგწირა თავპანტის ეკლესი(ა)სა გაბრიელ კალანდარიძემან“. სოფელი თავპანტა გუბაზეულის ხეობაშია, სოფელ ხევის ზემოთ. იგი ხშირი თავდასხმების გამო მიატოვეს და ახლა ისევ შენდებაო.

ერკეთის ეკლესიაში არის ორი საფლავის ქვა: ერთი, როგორც მისი ეპიტაფია იუწყება, სამეგრელოს მთავრის ასულისა და გურიის ერისთავის გიორგის მეუღლის ნეშტზე, რომელმაც პატივით და დიდებით იცოცხლა 65 წელიწადს და სამსახური გაუწია რუსთა ლაშქარს. არც მისი, არც მამამისის სახელი, გარდაცვალების წელიც კი არ არის აღნიშნული; მაგრამ მისი ერთი ვაჟის სიტყვით, ეს არის მარიკა ანუ მარიამი, სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის დავითის პაპის გრიგოლ დადიანის ასული და მდივანბეგ გიორგი ერისთავის ცოლი; მეორე ქვა დევს საფლავზე სახელოვანი თავადის ქაიხოსრო მიქელაძის ასულისა და თავად ივლიანე ერისთავის მეუღლის ელისაბედისა, რომელიც გარდაიცვალა 1861 წ. 24 ოქტომბერს.

ერკეთის წარწერებიდან, მხოლოდ ერთს უზის ქორონიკონის წელი, სახელდობრ ქაიხოსროს წარწერას; და მაინც, ჩემი სიგელების დახმარებით არ არის ძნელი განვსაზღვროთ სხვა წარწერების პირთა დრო, გარდა თანდრახისა და მისი მეუღლის თეთროსი, რომელთა შესახებ არავითარი ცნობა არა მაქვს. აქ წინასწარ უნდა ვთქვა, რომ გურიაში ძალზე მაინტერესებდა გურიის ერისთავთა საგვარეულოს ისტორია, რომლებიც როგორც გურიის სიგელებში, ისე წარ-

წერებში ხშირად იწოდებიან შარვაშიძეებად, როგორც ვახუშტი[17] აღნიშნავს, აფხაზეთიდან გადმოსულებად. საკითხი, თუ როდის და რა ვითარებაში მოხვდნენ შარვაშიძეები გურიაში, ჩემთვის დღემდე საიდუმლოდ რჩება. სამწუხაროდ, მათი საგვარეულო საბუთები ჩაკეტილი ჰქონია ერთ ერისთავს, რომელიც ჩემს იქ ყოფნაში გურიაში არ აღმოჩნდა, ახლა კი, მიუხედავად დიდი ცდისა, მათი პირები ვერ მოვიპოვე. ალბათ, ეს საბუთები გაარკვევდა ჩემთვის საინტერესო საკითხს. ჩემი უძველესი სიგელები კი, რომლებიც შარვაშიძეთა გვარს ეხება, ეკუთვნის შემდეგი გურიელების დროს: გიორგი III (+ 1684), მამია III (+ 1714) და გიორგი IV (+ 1726). ორისაგან ერთ სიგელში, რომლებიც მამია III, მის მეუღლეს ელენესა და მათ ძეს გიორგის უბოძებიათ გიორგი ერისთავისათვის, ეს უკანასკნელი წარმოდგენილია დიდ ნამსახურ ადამიანად და ამიტომ მას უბოძებენ გორმაღალის მონასტერს საჯავახოში; მეორე სიგელში იგივე გიორგი მოხსენიებულია მამიას სიძედ; მამია მას და მის შვილებს უბოძებს მთელ საჯავახოს, ვინაიდანო, ნათქვამია სიგელში, საჯავახოელებმა მიღალატეს და დრო რომ იხელთეს, ჩემს თავს მეფე ამჯობინესო. თავის მხრივ, გურიელი გიორგი IV, მისი მეუღლე დადიანის ასული ხვარამზე და ძე მათი მამია უმტკიცებენ ერისთავ გიორგი შარვაშიძეს, მის ძესა და შთამომავლობას ყველაფერს, რაც მამაჩემმა და მე გიბოძეთ მამაშენსა და შენ საჯავახოსა და სურებშიო. ჩვენ არ ვეხებით არც წინანდელ, არც შემდეგ რუსეთის მთავრობის დროს ატეხილ დავას „საჯავახოს თემის გამო",[18] ასევე არაფერს ვამბობთ გურიის საჯავახოს წარსულ ბედსა და საზღვრებზე, — ამაზე ქვემოთ ვილაპარაკებთ, — აქ შარვაშიძეთა საგვარეულოს შესახებ როგორც ერკეთული, ასევე იმ წარწერების განსამარტებლად, რომლებიც შეგვხვდება, ჩემს ხელთ არსებული სიგელებისა და წარწერების მიხედვით წარმოვადგენ გურიელების გენეალოგიურ ტაბულას და ამასთან აღვნიშნავ, თუ რომელი ერისთავი შარვაშიძე რომელი გურიელის დროს ცხოვრობდა. თვით შარვაშიძეთა გენეალოგიისათვის თვალის გადევნება ჯერჯერობით შეუძლებელია.

---

[17] აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 26.
[18] Акты Кавказ. Археогр. ком. т. IV, стр. 440-443.

გურიელი გიორგი III (+ 1684)

მის დროს ცხოვრობდა ერისთავი გიორგი

გურიელი მამია III (+ 1714)

ერისთავი გიორგი შარვაშიძე, სიძე მამიასი, რომელმაც მას ყოველი საჯავახო უბოძა.

გურიელი გიორგი IV (+ 1726)

ერისთავი გიორგი, რომელსაც სამემკვიდრეოდ უმტკიცებენ ყველაფერს, რაც მამამისს ეპირა საჯავახოსა და სურებში. ქაიხოსრო, ერისთავ ბაგრატის ძე (1721 წ.).

გურიელი მამია IV (1726-დან)

ერისთავი ზაალი (1726 წ.) ცოლად ჰყავდა მეფის ასული ანუსია.
ზაალის ძმები:
ა) დავითი და
ბ) ერკეთის წინამძღვარი მაქსიმე ერისთავი ზერაბი

გურიელი გიორგი V (1744)

ერისთავი დავითი, ქრისტეფორეს ძე. ცოლად ჰყავდა ჩიჩუას ასული მარიამი.
ჯუმათელი მაქსიმე შარვაშიძე, ერისთავ გიორგის ძე და გენათელი ეფთვმეს ბიძა. ჯუმათელი მაქსიმეს ძმისწულები: ა) ერისთავი გიორგი. ცოლად ჰყავდა რაჭის ერისთავის ასული ხვარაშენი (1736 წ..) და ბ) ერისთავი მაქსიმე.

გ უ რ ი ე ლ ი ს ვ ი მ ო ნ.

ერისთავი დავითი.

გურიელი ვახტანგ. ერისთავი დავითი (1788).

გურიელი ქ ა ი ხ ო ს რ ო. ერისთავი ვახტანგი

გურიელი მამია V 1810-დან 1826-მდე

ერისთავი ვახტანგი, მოურავი, ბოქაულთუხუცესი, რუსეთის სამსახურის მაიორი, როსტომის ძე (1807, 1810, 1816)

მამია V ცოლი ს ო ფ ი ო

მოურავი, მაიორი ერისთავი ვახტანგი (1828 წ.)

როსტომი

ქაიხოსრო, გიორგის ძე, მისი ძმები: ა) ნიკოლოზ ჯუმათელი (1812), ბ) ზაალი და გ) სვიმონი, ცოლად ჰყავდა იმერეთის მეფე(?) დავითის ასული მარიამი. სვიმონის ძე დათა. სვიმონის ძმისწული გენათელი ეფთვმე.

გიორგი, მდივანბეგი, თავადი, დავითის ძე, ცოლად ჰყავდა გრიგოლ დადიანის ასული მარიკა ანუ მარიამი. მათი ძენი: ივლიანე, თომა და ლავითი. მდივან-

ბეგების გიორგი ერისთავისა და სვიმონ გუგუნავას (1818 და 1822 წლების განჩინებათა ოქმები).

გ უ რ ი ე ლ ი დ ა ვ ი თ ი
(+ 1819 წ.)
ერისთავი ვახტანგი.
მისი ძმა გიგო (1827 წ.).

რაც შეეხება ბეჟან ბერიძეს, სიგელებიდან ჩანს, რომ ბერიძეები, საერთოდ, ერისთავ შარვაშიძეთა აზნაურები იყვნენ და რომ ბეჟანი, ერისთავის უხუცესის გორჯასპის ძე, გვხვდება მამია IV, გიორგი V და მისი ძის ვახტანგის დროინდელ სიგელებში. ჯუმათელი მაქსიმეს შესახებ უნდა შევნიშნოთ, რომ ერკეთის წინამძღვარი მაქსიმე, რომელიც ზემოთ გენეალოგიაში მამია IV დროს არის ნაჩვენები, ვფიქრობ, იგივე პირი უნდა იყოს, რომელიც გიორგი V დროს ჯუმათელად მოიხსენიება.

სანამ ერკეთს დავტოვებდე, ისევ უნდა შევეხო ერკეთის გულანის მინაწერებს, რომელზეც შემოქმედის გულანის გამო ვილაპარაკე. ეს მინაწერები შესრულებულია ნუსხახუცურით და, განმეორებათა ჩაუთვლელად, შემდეგს შეიცავს:

„დიდება ღმერთსა, სრულმყოფელსა ყოვლის კეთილისასა! სრულ იქმნა წმიდა ესე გულანი ბრძანებითა დიდისა აფხაზეთისა კათალიკოზისა პატრონისა ეფთვმე საყვარელისძისათა. აკურთხნეს ღმერთმან ორთავე შინა ცხოვრებათა, ამინ.

დაიწერა და სრულ იქმნა თვესა ᲘᲧ

ღმერთო, შეიწყალე ცოდვილი იოანე ჩხატარაშვილი, ამისი მწერალი.

ღმერთო, შეიწყალე ცოდვილი ამისი მწერალი ნათანაელ კარგარეთელი.

ამის მწერალს ცოდვილს გაბრიელს შეუნდვნეს ღმერთმან.

ღმერთო, შეიწყალე სულით და ჴორცით ფრიად ცოდვილი ამის მწერალი იოანე სჯმონისძე, ამინ.

ამისს შემკრავს ცოდვილს მღვდელმონაზონს მეიერუსალიმელს გრიგოლს შენდობა ჰყოფდეთ და ჩემთა დედა-მამათათვს. ზამთარში გავაკეთე და ბევრი ჭირი და სიცივე ვნახე ჩაქუს.

შენ ცათა უვრცელესო და ქერობინთა უზესთაესო, შვიდთა ცათა უმაღლესო, უხილავო, შენ საშინელო ცაიშისა ღვთის მშობელო, ჩვენ სასოებით ცვაჲ ფარვათაჲ თქვენთაჲ მონაჲ მოსავმან და მონდობილმან თქვენთამან, ჩვენ ქრისტეს ღმერთისა მიერ კურთხეულმან აფხაზეთისა და ჩრდილოეთისა კათალიკოზმან ეფთვმე საყვარელისძემან ვიგულეთ და ვიგულის მოდგინეთ და შემოგწირეთ წმიდაჲ ესე და სულთა განმანათლებელი გულანი, სრული და უნაკლულო და ყოვლითურთ შემკობილი და დავდევით წმიდასა და პატიოსანსა ტაძარსა შენსა ამა სოფლისა სადღეგრძელოდ და მას დღესა დიდსა განკითხვისასა საოხად და სახსრად სულისა ჩვენისათჳს, ამინ, ამინ, ამინ.

დაიწერა და შემოიწირა წმიდა ესე გულანი ეპისკოპოსობასა ცაიშელ მამათ-მთავრისა მაქსიმესასა.

ქრისტე იესო, მეუფეო დიდებისაო და რანიცა წმიდანი ამა პატიოსანსა სჳნაქსარსა შინა სწერიხართ, მათნო მადლო და ძალო და მეოხებანო, აცოცხლე, ადღეგრძელე და გაზარდე ძე ელენე დედოფლისა მანუჩარ და ჩემი ცოდვილი სული გამოიხსენ ჯოჯოხეთისაგან, ტკბილო ღმერთო.

ქ. შენ შვიდთ ცათა უმაღლესო, ქერობინთა უზესთაესო, უხილავო, საშინელო ცაისშავო ღმთის მშობელო, ჩვენ მონდობილმან თქვენმან დედოფალმან ელენე შემოგეხვეწეთ ჩვენის უღირსის ცოდვილის პირით, რათა შემწე და მცველ და მფარველ ექმნათ ძესა ჩვენსა მანუჩარს. თქვენად ფერხ მტვერად და მოსამსახურედ გაგვიზარდე. თქვენის ტკბილის ძის სიყვარულის მადლს, ნურას კაცის დანაშავებას ნუ ჰკითხავ, წმიდაო ღმრთის მშობელო, შენს მოწყალესა ვევედრები, შენ გაზარდე ჩემი მანუჩარ შენად მოსამსახურედ, შენის ტკბილის ძის სიყვარულის მადლს, მე ცოდვილი მიხსენ ცეცხლსა მას გენიასა, ამ სოფელს ნუ მიზამ მტერის გულისას. შენ გეხვეწები, ცაიშის ღვთის მშობელო; მე საბრალო, ამინ, ამინ, ამინ“.

ამ მინაწერში გულანის გადამწერთ შორის აღნიშნულია ჩხატარაშვილი; ეს გვარი ახლაც არსებობს ბათუმის სანჯაყსა და გურიაში; თვით სოფელი ჩაქვი ჩურუქ-სუშია. აქედან უნდა დავასკვნათ, რომ ერკეთის გულანი გადაწერილია სადღაც იმ ადგილას, რომელიც ხან ათაბაგების სამფლობელოში შედიოდა, ხანაც გურიელებისა და აფხაზეთის კათალიკოსის იურისდიქციაში. ცაიშის მონასტერი, რომელსაც შესწირა გულანი „აფხაზეთისა კათალიკოზმან ეფთვმე საყვარელისძემან! „ეპისკოპოსობასა ცაიშელ მამათ-მთავრისა მაქ-

სიმეონსა". დასავლეთ საქართველოს პატივდებულ მონასტერთა რიცხვს ეკუთვნის და სამეგრელოში მდებარეობს.[19] ეფთვმე საყვარელიძის ხანა ცნობილია: იგი ცხოვრობდა XVII ს. მეორე ნახევარში.[20] მაშასადამე, ეს წარწერა უარყოფს დღემდე არსებულ შეხედულებას, რომ უცნობია ცაიშელი მაქსიმეს ცხოვრების ხანა, უკეთუ ჩვენი მაქსიმე იგივეა, რომელიც ცაიშის სახარების მინაწერშია ნახსენები.[21]

ერკეთის გულანის მინაწერში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გვეჩვენება მისი ის ნაწილი, სადაც ლაპარაკია ელენესა და მის ვაჟ მანუჩარზე. სადავო არ არის, რომ ელენე ქართლის მეფის სვიმონ I ასულია, რომელიც ცოლად გაჰყვა ათაბაგ მანუჩარ II, Chronique géorgiene მიხედვით 1581, ხოლო დიდი ქართული ქრონიკის ჩვენებით 1582 წელს. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ერთი უთარიღო სიგელი ანუ ვალდებულება, რომელიც ელენემ და მისმა ძმამ მანუჩარ ათაბაგმა მისცეს ელენეს დედასა და სვიმონის მეუღლეს ნესტან-დარეჯანს.[22] ჩვენს მინაწერში ელენე შეშფოთების გრძნობასა და გულის ამაჩუყებელ სინაზეს იჩენს თავის მცირეწლოვანი ვაჟის მანუჩარისადმი. იგი ეხვეწება ცაიშის ღვთისმშობელს გაუზარდოს და დაიფაროს იგი. ყველაფერი ეს, მგონია საბაბს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მანუჩარი ელენეს ერთადერთი ვაჟი იყო და ობოლიც და ამასთან მათ ორივეს მტრებისაგან საფრთხე ემუქრებოდათ. მართლაც, მატიანეებიდან ვიცით, რომ მანუჩარ II ჰყავდა ერთი ძე მანუჩარ III და ერთი ქალი თინათინი, რომელიც 1597 წელს ცოლად გაჰყვა იმერეთის მეფეს როსტომს, რომ საქართველო იმ დროს აშლილი იყო თურქების მიერ, რომლებიც ისწრაფოდნენ ხელში ჩაეგდოთ უბედური ქვეყანა და იქ ისლამი გაევრცელებინათ და ამისათვის გაძლიერებულ ინტრიგებს აწყობდნენ სუსტი მეფეებისა და მმართველების წინააღმდეგ, მათ წინააღმდეგ ამხედრებდნენ ახლო ნათესავებსაც კი. ამ ინტრიგების ნაყოფი იყო სხვათა შორის ისიც, რომ ელენეს შიში გამართლდა: მანუჩარ მესამე თუმცა გაიზარდა და საათაბაგოს მთავარი გახდა 1614 წ., მაგრამ 11 წლის შემდეგ 42 თუ 43 წლისა მოწამლა ღვიძლმა ბიძამ,

---

[19] Дм. бакрадзе. Кавказ в древних памятниках христианства. Актах Кавкз. Археогр. Ком. т. V, стр. 1096.

[20] Hist. de la Géor., t. II, livr. 2, p. 438 და CCIV.

[21] Brosset, voyage archéol., VII Rapp., p. 27.

[22] Акты Кавк. Археогр. Ком. т. I, стр. 51-52.

ბექა III, რომელიც საათაბაგოს პირველი მუსლიმანი მმართველი გახდა საფარ-ფაშის სახელით.[23]

14 სექტემბერს გუბაზეულის ხეობაში დავეშვი და გავწიე სოფელ ხევისაკენ, რომელიც ჩვენს რუკებზე უმართებულოდ არის აღნიშნული იქ მცხოვრები ერთი გვარის მამალაძის სახელით. ამ გვარის ერთ წარმომადგენელზე, ბუღარაზე, აქ შესანიშნავ საგმირო ამბებს ჰყვებიან. ბუღარა უკანასკნელი გურიელების დროს ცხოვრობდა, როცა ხევში სულ 6 კომლი იყო, ახლა კი 100 კომლამდე ცხოვრობს, და როცა მას გამუდმებით ესხმოდნენ თავს, იტაცებდნენ გოგო-ბიჭებს და თურქეთში ყიდდნენ, ამბობენ, მაშინ გოგო 100 მარჩილამდე ფასობდა, ბიჭი კი — 200-300 მარჩილამდეო. ბუღარამ თავის სიცოცხლეში ბევრი მეკობრე გაჟლიტა, ხოლო დიდი ბრბოს ერთი ასეთი თავდასხმისას ახმედ-ბეგ ხიმშიაშვილის წინამძღოლობით. გურია ბუღარას სიმარჯვესა და მამაცობას უნდა უმადლოდეს ამ უკანასკნელის მოსპობას. შეიძლება, ეს სწორედ ის ამბავი იყოს, ზემოთ რომ ვახსენეთ.

ხევში მე მხოლოდ ორი ძველი დაშლილი წიგნი ვნახე. სახელდობრ: 1) სახარება სხვადასხვა ხელით შესრულებული შემდეგი მინაწერებით:

„ნებითა ღვთისათა ვიგულისმოდგინე მე მღვდელმონაზონმან მამალაძემან მაკარიოზ, ღარიბობით ვიყიდე წმიდაჲ ესე სახარებაჲ და დავდე შენს საყდარში. ღმერთო და წმიდაო გიორგი, შენ ეყავ მფარველ ჩემს სულს დღესა მას დიდსა განკითხვისასა, ამინ.

„ქრისტე, შეიწყალე ცოდვილი ბაღდადელიძე ბედისმწერლის შვილი ნათანაელ.

„ოთხნო თავნო სახარებანო, მათე, მარკოზ, ლუკა და იოანე, მეოხ ეყავ მღვდელსა ჯღენტს გიორგის, ამინ.

„ღმერთო, შეიწყალე ფრიად ცოდვილი იასე.

ქ. ფრიად ცოდვილმან, ყოველთა უცოდვილესმან მუხრანისბატონის შვილმან დარეჯანმა და მეცხედრემა ჩვენმა ციცისშვილის ნოდარი ძემან ფარსადან შემოგწირე ჩვენს მფარველსა და სიქადულსა ჯვარსა ქრისტესა წმიდაჲ ესე სახარებაჲ ცოდვათა ჩვენთა შესანდობლად, სულისა ჩვენისა სახსრად. ძეთა ჩვენთა წარსამართებლად. ცხოველმყოფელო ჯვარო ქრისტესო, მეოხ გვეყავ ორსავე ცხოვრებასა“.

დარეჯანი მატიანეებში დასახელებული არ არის, მაგრამ იგი უნ-

---

[23] Chronique géorg., 13-25. Hist. de la Géor., II, 1 livr., p. 226-228, 626, 640.

და იყოს ასული მუხრანის თავადის დავითისა, კახეთის მეფის ირაკლი I მამის, საქართველოს წინაუკანასკნელი მეფის ირაკლი II პაპისა. მისი ქმარი ფარსადან ციციშვილი ცნობილია თავისი საგმირო საქმეებით ლეკთა წინააღმდეგ. მას მართლაც ჰყავდა შვილი ნოდარი.[24] ჯვრის ეკლესიაზე, რომლისადმიც შეწირულია სახარება, ჩვენ ვერაფერს ვიტყვით. ხომ არ არის იგი ამავე სახელით ცნობილი ბერძნული ეკლესია ტფილისში? (V. Archéol., V, 21).

2) უსათაურო წიგნი, მისი ფიცრის ყდის შიგა გვერდზე იკითხება: „ქ: შეიწირე: შენ:... ებაო: ღმერთო: მცირე: ესე: შესაწირავი“: წმინდა: ესე: სამოციქულო: მოსახსენებელი: ქართველთ: მეფის: იესესი: და კახთ: მეფის: საჴელოვანის: ერეკლეს: ასულის: ღვთის: მოყვარისა და სულითა: განათლებულის: ქართველთ: დედოფლის: ელენეს:... ამათ: ორთა: მეფეთა: დედოფალთ: ასული: ბატონიშვილის: მარიამის: საფლავზედ: დავდვეთ: წმინდა: ესე: სამოციქულო: და პარაკლიტონი: ვინც: ამ საყდრიდამ:... მასმცა: რისხვას...“

ამ მინაწერის აზრი მთლად ნათელი არ არის, მაგრამ მასში, უეჭველია, ლაპარაკია როგორც კახეთის მეფის ირაკლი I ასულ ელენეზე, სხვანაირად ჯანბანუმ-ბეგუმზე ანუ ელისაბედზე, რომელიც 1715 წ. ქართლის მეფეს მაჰმადიან იესეს მისთხოვდა და შემდგომში რუსეთში ცნობილი იყო მონაზონ ნინას სახელით, ასევე იესეს ასულ მარიამზე, რომელიც, ვგონებ, ადრეულ ასაკში გარდაიცვალა.[25]

ხევიდან უკანვე დავბრუნდი, გამოვიარე იანოულში, რომელიც თამბაქოს უხვი პლანტაციებით გამოირჩევა, ჩავუარე ბუკისციხის ნანგრევებს და ღრმად შეეედი სუფსის ხეობაში. როგორც ამ დღეს, 15 სექტემბერს, ისე მომდევნო დღეებში წვიმა თითქმის გამუდმებით თან მდევდა. სუფსის ხეობა ბუკისციხიდან სულ უფრო და უფრო ვიწროვდებოდა; აქაური გზები ძალზე ცუდი აღმოჩნდა, განსაკუთრებით ფერდობებზე; სამაგიეროდ მისი მცენარეულობა დიდებულია. ეს ხეობა სახელგანთქმულია თაფლით, რისგანაც აქ გემრიელ, სურნელოვან და ძვირად ღირებულ არაყს ხდიან. მას ზოგნი ავადმყოფობის სამკურნალო თვისებას მიაწერენ. სოფლები ვანი და სურები დიდ მანძილზეა გაფანტული შეფენებაზე და თითქმის ჩაფლულია უღრან ტყეებში. მარტო სურებში 300 კომლზე მეტი მოსახლეა. ვანის წმინდა გიორგის ეკლესიაში ამ წმინდანის ვერცხლით მოჭედილ ხატზე წავიკითხე: „წმინდა გიორგი ვანისა“, ხოლო

---

[24] Hist. de la Géor., t. II, 1 livr., p. 93, 635; livr. 2, p. 107.

[25] Hist. de la Géor., t. II, 1 livr., p. 628, 635.

ზურგზე: „ღმერთო და ღვაწლით შემოსილო მხნეო და მხედარო და დიდო წმინდაო გიორგი სურებს-ვანისაო, შამოგწირეთ და მოგიჭედინეთ ხატი ესე მე მამუკამან რამიძემან შათირმან, ქობულეთის მეგაჟემან და თანამეცხედრემან ჩვენმან სანიგიძის ქალმან თუთამან ჩვენთვის და ჩვენის შვილების გიორგისა და პეპნაისა გასაზრდელად და წასამართებელად და მეორედ მოსვლაზე და სულისა ჩვენთვის შესანდობლად და ცოდვისა ჩვენისათვის დასადნობად. ამინ, კირიელაისონ. ვინც შენდობა გვიბრძანოთ, თქვენცა შეგინდოს ღმერთმან. მომიჭედია მე პ ა (ა) ტ ა ბოლქვაძეს“. ამ გვარებიდან მხოლოდ ბოლქვაძეები არიან გურიაში, დანარჩენები უცნობია. ეს წარწერა, როგორც მისი შინაარსი გვიჩვენებს, იმ დროისაა, როცა ქობულეთი ანუ ახლანდელი ჩურუქ-სუ ჯერ კიდევ გურიელების ხელში იყო.

აქვე დაშლილი კონდაკის ანუ ხელნაწერი ლიტურგიის დასასრულს იკითხება: „ღმერთო, მოიხსენე ამის მწერალი სასუფეველსა შენსა სიმონ ქორიძე, ამინ, კირიელეისონ. განსრულდა ესე კონდაკი თვესა ოკნდებრსა, რიცხვს ერთსა, დღეს პარასკევს“. ქორიძეები ახლა საჯავახოში ცხოვრობენ.

რაც შეეხება სურებს, აქ, სახელდობრ, მის ზემო ნაწილში, არის მხოლოდ ჯვარი და წმ. გიორგის ხატი წარწერებით. პირველზე, წმ. გიორგი ლომისკარელის ჯვარზე იკითხება: „ქ. ღმერთო, დაიცევ ანიზდარ რაპაიძე“, რომელიც სრულიად უცნობია, და კიდევ: „ქ. ამის ოსტატს, ღმერთო, შეუნდევ“; მეორეზე

ᲩᲔ: ᲥᲜ: ᲐᲜᲘᲜᲔ:

ქვემოთ:

ᲐᲮᲔᲛᲘᲐ: ᲐᲐᲩᲔᲠᲐᲢ:
Ჩ: ᲠᲐ: ᲫᲔ: ᲩᲐ: ᲥᲜ: ᲥᲔᲐᲐᲠᲘᲐᲠᲯᲮᲢ, ᲥᲐ
ᲘᲜᲢᲔᲜᲔ: ᲥᲔᲩᲐᲩ... ᲜᲐᲩᲜ:

ამ წარწერის პირი უნდა იყოს გურიელი სვიმონ, ძე და მემკვიდრე გურიელი გიორგი V. ესე ხატი, როგორც ჩანს, სურებში სოფელ ციხიდან მოხვდა, რომელიც ბუკის ციხეს ესაზღვრება. რამდენიმე საბუთიდან, რომლებიც სურებში მაჩვენეს, ორი გაცემულია გურიის ერისთავის ბატონ შარვაშიძე დავითისა და მისი ძმის ზაალისაგან. ერთი საბუთით ისინი წმ. გიორგი ლომისკარელის შემავალს სამწყსოს უბოძებენ ტრაპაიძეებს, ხოლო ყველას მათ მიერ დაკავებულ

ტყესა და წყალს. მეორე საბუთით კი ლომინეიშვილებსა და ხუციშვილებს საჩუქრად აძლევენ გოილიშვილისეულ მამულს და ორივე შემთხვევაში მათგან იღებს ქრთამს.

როცა სურებიდან ციხეში დავბრუნდი, მის ხის ეკლესიაში ვნახე მხოლოდ ერთი მოოქრული ვერცხლით მოჭედილი ხატი წარწერით:

ՀԱՏԵՍԱՅՆ ՍԱՆԻՇՈՅ

და ზედა არშიაზე: „პორფილ მღვდლის იოვანე ცინცაძის ძემ მოყვითლა ხატი ესე თავისი ფულით“. იოანე ციხის ახლანდელი მღვდლის მამა ყოფილა. კიდევ ქვედა არშიაზე: „ქ. მოვჭედეთ ხატი ესე ციხის ნათლისმცემლისა შემავალმან მზრუნველობითა და ზედამხედველობითა ბლაღოჩინის ეოქროპირ მეგრელიძისათა. ღმერთო, აცხოვნე ამისი შემწე...“ ამ წარწერის სიტყვა „შემავალი“ საკმაოდ ხშირად გვხვდება გურიის წარწერებსა და სიგელებში. იგი სიტყვასიტყვითი თარგმანით ნიშნავს „приход“ და საყოველთაოდ იხმარება დასავლეთ საქართველოში, მაგრამ უცნობია ქართლ-კახეთში, სადაც მას ცვლის სიტყვა მრევლი.

ციხიდან სოფელ საყვავისტყეზე გავლით სოფელ ნონეიშვილებში გავემგზავრე. ჩემი გზა საწაბლიოს ქედის ქვემოთ გადიოდა. ეს ქედი ორი უბნის — საერისთაოსა და საჯავახოს საზღვარია. საჯავახოს მფლობელნი დიდი ხანია გადაეგნენ და მიუხედავად იმისა, რომ საჯავახო თითქმის მთლიანად გადავიდა ერისთავ შარვაშიძეთა ხელში, დღემდე არ დაუკარგავს თავის ძველი სახელწოდება. საერისთაოს სახელით ცნობილია ადგილი გუბაზეულსა და საწაბლიოს ქედს შორის, ხოლო საჯავახოს სახელით — მიწის ნაკვეთი საწაბლიოსა და ვახუშტის საჯავახოსწყალს, ახლანდელ ხევისწყალს ანუ, როგორც მას აქ ეძახიან, ხეისწყალს შორის. წარსულში საჯავახო ხევისწყალს გაღმაც ვრცელდებოდა და თვით რიონის ნაპირებამდე უწევდა.[26] საჯავახო მთელ იმერეთსა და გურიაში ცნობილია საუკეთესო ღვინოებით. აქ მრავალი ჯიშის ვაზი ხარობს. მე ჩემს დღიურში მხოლოდ რამდენიმე სახელის ჩაწერა მოვასწარი. ასეთებია: მსხილათობანი, საშუალო სიდიდის შავმარცვლიანი; მტევანდიდი, შავი, მსხვილმარცვლიანი; მას ფიდოს ეძახიან; კამური, თეთრი და შავი, მსხვილმარცვლიანი, გრძელ მტევნიანი; კაბისტონი, თეთრი, მრგვალმარცვლიანი; სხვაგან გურიაში მას თეთრყურძენას ეძახიან; ჩხავერი, იშვიათი ჯიშია, განსაკუთრებით ხარობს ლიხაურ-

[26] აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 149.

სა და შემოქმედში; კლარჯული, თეთრი და მსხვილი; ამბობენ, ქვემო გურიაში არ არისო. ამ სახელმა, რომელიც პირველად ჩურუქსუში გავიგონე, განმაცვიფრა: იგი გვიჩვენებს, რომ ვაზის ეს ჯიში ჩურუქ-სუსა და გურიაში შემოტანილია ჭოროხის აუზიდან უძველეს დროში, როცა იგი ცნობილი იყო კლარჯეთის სახელით, და ეჭვი არ არის, რომ მას შემდეგ ვაზის ეს ჯიში ინარჩუნებს თავისი სამშობლოს სახელს; ჯაინი, შავი; წვრილმარცვლიანი; საკმეულა, იშუიათია. აი საჯავახოს ვაზის მთავარი ჯიშები. საუკეთესო ღვინოს იძლევა ჯაინი, მსხილათობანი და ჩხავერი.

სოფელი ნონეიშვილები შეფენილია მაღლობზე, საიდანაც იშლება ჩახატაურის ქედის და შემდეგ რიონისა და მთელი ოდიშის ვრცელი ხედი. ნონეიშვილების საზოგადოებაში (140 კომლი) შედის კიდევ სოფლები ქვემო ხეთი (117 კომლი) და ბურნათი (58 კომლი). ნონეიშვილებში არის ძველი ქვის ეკლესია რვაწახნაგიანი გუმბათით. მისი შესასვლელი მოჩუქურთმებულია. მისი სიგრძე შიგნით 22, ხოლო სიგანე 10 ნაბიჯია. ადგილობრივი მცხოვრებნი მის აშენებას მიაწერენ ვინმე „ქობულიძეს, რომელიც აქ მემამულე ყოფილა ჭილაძეებზე დიდი ხნით ადრე". ეკლესია იოანე ნათლისმცემლისაა. მისი საეკლესიო საგნები, რომლებზეც წარწერები ვნახე, შემდეგია:

1) ვერცხლის ფეშხუმი: „ქ. ნათლისმცემელო მაცხოვრისაო, შემოგწირე მცირე ესე მსხვერპლი მეფის პირველის სოლომონის შვილის შვილმან, ქაიხოსრო აბაშიძის ასულმან ანნა ერისთავისამან საოხად გამზრდელისა გამდლისა ჩემისა მარიამისათვის, რომელმან ნათელ ეც ქრისტეს, მეოხ ექმენ მას".

ქაიხოსროს მართლაც ჰყავდა ცოლად სოლომონ I ასული დარეჯანი.[27] არ ვიცი, რა ერქვა ანას ქმარს, მაგრამ მისი შვილი მიხეილ ერისთავი იმით არის ცნობილი, რომ მან 6-7 წლის წინათ სასტიკი წამებით დალია სული თავისსავე ოჯახში მისივე გლეხების მიერ განგმირულმა.

2) ვერცხლის ბარძიმი და მასზე: „ღმერთო, შეიწყალე უშვერიძე მღვდელი გიორგი დეკანოზი. წელსა ჩყლბ (1832)".

3) იოანე ნათლისმცემლის დიდი ხატი მოოქრული ვერცხლის ჩარჩოში. მის ქვემო არშიაზე: „დროსა დიდისა ხელმწიფის ნიკოლაოს პავლეს ძისა პატრონთა ჩვენთა ვახტ(ანგ) ერისთავის და მათთა მოძმეთ ღვაწლითა სოფლისათა გაკეთდა ხატი ესე ნათლისმცემლისა დროსა მას დეკანოზისა უშვერიძის მღვდლების გიორგის, და-

[27] Hist. de la Géor., t. II, livr., 2, p. 644.

ვითის და გიორგის, რომლისათვის ვითხოვთ აღმომკითხველთაგან შენდობით მოხსენებას. ღმერთი თქვენ სიცოცხლეს მოგცემს, სულით განათლებას. წელთა უფლისათა ჩყლგ (1833)".

ეკლესიაში არის აკლდამები: 1) ანასი, მიხეილ ერისთავის დედისა, უქვაო და უეპიტაფიო და 2) თავად იოსებ გიორგის ძე წულუკიძისა, რომელი გარდაიცვალა შობიდან 15 წლისა. დაიბადა 1845; გარდაიცვალა 1869 წ. 19 ნოემბერს.

ნონეიშვილებიდან სოფელ ქვემო ხეთში მიმავალს ამ უკანასკნელის ახლოს, საწაბლიოს ქედის ჩრდილო ძირობთან, ჭყორენჯუისწყლის შენაკადზე, რომელსაც ჭილაძის წყალს ეძახიან, მაჩვენეს თლილი ქვით ნაგები კვადრატული აუზი, სადაც საჯავახოს აწ უკვე გადაგებულ მფლობელთა — ჭილაძეთა დროს ყოველთვის ჰყავდათ თევზი მათი ოჯახისათვის. აუზი კარგად შენახულა, მას დღემდე ჭილაძის სათევზავი ჰქვია. ქვემო ხევის წმ. გიორგის ახალ ქვის ეკლესიაში, რომელიც საკმაოდ დიდია და ლამაზი კანკელი აქვს, მხოლოდ ერთი წმ. გიორგის ხატი ვნახე, ვერცხლით მოჭედილი და წარწერიანი: „გავაახლე მე აზნაურმა ბესო და ალექსანდრე დუდუჩავამ წმიდა გიორგი ესე მამა ჩემის ეგნატეს სულის საოხად". გარდა ამისა, ერთ ძველ დაშლილ საეკლესიო წიგნში, რომელიც მცირე კვინკლოსს შეიცავდა, წავიკითხე ზოდიაქოს ნიშანთა სახელები, რომლებიც იწყება მარტიდან, ქრისტიანობის ძველ ხანაში საქართველოში საერო წელიწადის პირველი თვიდან. იგი ასეა დასათაურებული: „საეტლო მართალი და ჭეშმარიტი". საკუთრივ ეტლი პლანეტას ნიშნავს. ზოდიაქოს სახელები ძველია და რადგან ისინი ბევრ ახლანდელ ქართველს არ ესმის, სასარგებლოდ მიმაჩნია მათი გადმოწერა:

ეტლი	ⲓ	მარტი ვერძი
ეტლი	ⲕ	აპრილი კურო
ეტლი	ⲗ	მაისი ტყუპი
ეტლი	ⲙ	ღვინობისთვე*3 კირჩხიბი
ეტლი	ⲛ	კვბისთვე(?)*4 ლომი
ეტლი	ⲡ	ჰარიამობისთვე ქალწული
ეტლი	ⲝ	ენკენისთვე სასწორი
ეტლი	ⲟ	მწიფობისთვე ღრიანკელი
ეტლი	ⲣ	გიორგობისთვე მშვილდოსანი

ეტლი	١	ქრისტეშობისთვე თხის რქა
ეტლი	١٤	იანვარი წყლის საქანელი
ეტლი	١٤.	თებერვალი თევზი*5

ამავე სახელებს ვხვდებით XIII საუკუნის სომეხ მწერალთან მხითარ აირავანცისთან (Les Ruines d'Ani, p. 167).

არქეოლოგიური თვალსაზრისით უფრო საინტერესო აღმოჩნდა ზემო ხეთის კვირიკეს და ივლიტეს ეკლესია, ისიც ახალია, ქვისა. აქ ძველ მომცრო ვერცხლის ჯვარზე იკითხება: „მოვაჭედინეთ ცხოველსმყოფელი ჯვარი ჩვენ დედოფალმან გოშაძის ქალმან ბატონმან ხ(ვ)არამზე ჩემის გურიელის ბატონის გიორგის საცხონებელათ და წასამართებელათ და ჩემდა...“

ქართული მატიანეებიდან ვიცით, რომ გოშაძეებს მაღალი მდგომარეობა ეჭირათ, რადგან „იმერეთის მეფემ ბაგრატ IV, ნათქვამია მათში, 1663 წ. ლევან დადიანს წაჰგვარა ცოლი და შერთო თავისი და, რომელიც მანამდე გოშაძეს ჰყავდა.[28] ზემო ხეთის წარწერის ხვარამზე ხომ არ იყო სწორედ ამ გოშაძის ახლო ნათესავი? ყოველ შემთხვევაში თუ ვივარაუდებთ, რომ დადიან-გურიელი გიორგი III (გარდაიცვალა 1684 წ.) ერთ სიგელში ნახსენები უკანასკნელის დედა ხვარამზე გოშაძის ქალი იყო, მაშინ მისი ცხოვრების ხანა უახლოვდება მატიანის გოშაძის ცხოვრების დროს. ამასთან წარწერის

---

[28] Hist, de la Géor., livr, 1, p. 281, 396. ვახუშტი თავისი დროის ოდიშის წარჩინებულ გვართა შორის იხსენიებს გოშაძესაც (აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 26). ჩვენს დროში მათი არაფერი ისმის, მაგრამ ამას წინათ რ. დ. ეროსთავის ოჯახში შემთხვევით წავაწყდი თავად ნიკოლოზ დადიანის ხელნაწერს „ქართველთ ცხოვრებას“, რომელშიც გოშაძეებზე ნათქვამია: „გარნა დღეს დამდაბლებულ არ“. ეს ხელნაწერი შეიცავს 158 ფურცელს in-8 და, როგორც ერთი მისი მინაწერი გვაცნობს, ჰკუთვნებია აფხაზთა არქიმანდრიტს ანტონის 1834 წ. მასში მოთხრობილია საქართველოს ისტორია საერთოდ უძველესი დროიდან თვით ავტორის დრომდე. იგი ძიძაყვება ვახუშტის სისტემას: საქართველოს ცალკეულ სამეფოებად და სამთავროებად დაყოფიდან მოკიდებული თითოეული მათგანის ცალკე ისტორიას წამძღვარებული აქვს მისი მოკლე გეოგრაფიული მიმოხილვა. როგორც ისტორიულ, ისე გეოგრაფიულ ცნობებს საქართველოს წარსულზე ავტორი ვახუშტის დასესხებია. და ამიტომ „ქართველთ ცხოვრების“ პირველი ნაწილი არაფერს განსაკუთრებულს არ შეიცავს; ხოლო რაც შეეხება მეორე ნაწილს, სახელდობრ სოლომონ I მეფობიდან იმ დრომდე, როცა ავტორი ცხოვრობდა (31 ფურცელი), იგი ბევრ ახალ და საინტერესო ცნობას შეიცავს იმერეთის, სამეგრელოსა და აფხაზეთის ისტორიისათვის. აი რას ამბობს თვით ავტორი:... „ხოლო პირველის სოლომონ მეფიდამ წყებული ვიდრე აქამომდე და ესე შემდგომნი ამისა წარწერილნი ისტორიანი ანუ მოთხრობანი

შინაარსიდან უნდა დავასკვნათ, რომ ხვარამზე გოშაძის ასული გიორგის დედა იყო და არა ცოლი ან ასული.

იმავე ეკლესიის მეორე, გაცილებით დიდ ჯვარზე იკითხება: „ხატვარი ამისი აზნაური ჩხარში ცხოვრებული ვერულაშვილი მერაბ".

აქვეა ძველი საეკლესიო წიგნი მცირე კვინკლოსით, რომელსაც თავი და ბოლო აკლია. ერთი ქორონიკონის გასწვრივ, რომლის გარკვევა შეუძლებელია, მიწერილია: „ამა ქორონიკონსა გურიელმა მამია გაიმარჯვა, იმერეთი იშოვა, სეკნებერსა. იანვარს გარდაიცვალა ამიერ სოფლით. ღმერთმან შეუნდოს. დიდი ‡ელმწიფე იყო".

ეს წარწერა, ალბათ, გურიელს მამია III გულისხმობს, რომელიც რამდენჯერმე მეფობდა იმერეთში. იმ შემთხვევას, რომელზეც მინაწერი მიგვანიშნებს, უდგება მატიანეში აღნიშნული მამიას ბრძოლა გიორგი მეფესთან 1713 წ.[29] უცნობია, რომელ თვეში მოხდა ეს ბრძოლა, მაგრამ ვიცით, რომ ამის შემდეგ მამია მალე გარდაიცვალა, სახელდობრ 1714 წ. 5 იანვარს.[30]

ზემო ხეთიდან უკან გავბრუნდი და ქვემო ხეთის შუა გზიდან მარჯვნივ გავუხვიე ობუთვანისაკენ; გორმაღალიდან, სადაც ღამე გავათიე და სადაც ვერაფერი ვნახე, 18 სექტემბერს დილით გამოჩინებულის მონასტრისაკენ გავწიე. მანამდე, ე. ი. 17 რიცხვში, არ წვიმდა, მაგრამ მთელი დღე არემარეს ხშირი ნისლი ეფინებოდა. 18-ში ნისლი დილიდანვე გაიფანტა და ნათელი დღე დადგა. მონასტრის გზა ფერდობის მარჯვენა მხარეს მიჰყვება მშვენიერ მცენარეებს შორის. მონასტერი ჩახატაურის ქედის ერთ-ერთ მაღლობზე დგას და ჯუმათის შემდეგ ყველაზე ვრცელი გადასახედი აქვს, ამი-

---

ქართველთა და შემდგომთა მისთანი ჯერეთ არღა აღწერილ არიან არცა ძველსა და არცა ახალსა ქართველთ ისტორიასა შინა, ვინათგან არა იყო ჯერეთ საქმენი ნამყო სრულად. ამისთვის მე თანამდებად შევრაცხე თავი ჩემი ვითარცა შვილმან მამულისამან და ესე შემდგომნი მოთხრობანი ანუ ისტორიანი, რომელნიმე სმენილნი, და რომელნიმე თვით ჩემგან ხილულნი, აღვსწერე სახსოვრად და საკარგებლო ყოველთა მოყვარეთა მეისტორიეთა"... უნდა აღინიშნოს, რომ ხელნაწერს „ქართველთ ცხოვრების" ავტორი დადიანი ლევან V დედოფალ ნინოს დროს ცხოვრობდა, უშუალოდ მონაწილეობდა ფოთის აღებაში, რუსეთის მთავრობის მოლაპარაკებაში მამია V-თან გურიის საქმეებზე, ნინოს მიერ გაგზავნილი იყო პეტერბურგს სამეგრელოს საქმეებზე და თავის წიგნს ამთავრებს 1823 წლის იანვრის 28 რიცხვით, ე. ი. „გენერალ-მაიორისა და კავალერის, იმერეთის სახლთუხუცესის, ლეონ დადიანის სიმამრის ზერაბ ქაიხოსროს ძე წერეთლის" გარდაცვალების დროით.

[29] Hist. de la Géor., II, livr., 1, p. 308.

[30] Ibidem, p. 400.

ტომაც ჰქვია გამოჩინებული. და მართლაც ყველაფერი ისე მოჩანდა, როგორც ხელისგულზე. ჩრდილოეთით კავკასიონის ქედი მისი თოვლიანი გოლიათებით, ხოლო ძირობში იმერეთის, სამეგრელოსა და აფხაზეთის დიდი ვაკე, კოდორით, ენგურით, რიონითა და მათი შენაკადებით დასერილი; უფრო ახლოს ჩრდილო-აღმოსავლეთით ქართლ-იმერეთის ქედის ნაწილი; დასავლეთით შავი ზღვის ნათელი ზოლი; სამხრეთით აჭარა-გურიის დაბალი ქედი და ახალი თვალისმომჭრელი თოვლით დაფარული მისი მწვერვალები სომლია და ზოტიმერია; მის ქვემოთ გურიის უსწორმასწორო ზედაპირი და მასზე ჩემ ქვემოთ ნაცნობი საჯავახოს სანახები, მთის ჭიუხებით რგოლისებურად შემორკალული. გამოჩინებულის მწვერვალზე დაახლოებით სამი საათი დავყავი; ჰაერი გრილი იყო, საღი. წმ. გიორგის ეკლესიას ირგვლივ აკრავს თხილისა და ჭადრის ტევრი, რომელიც წმინდად ითვლება და ხელს არავინ ახლებს. ეკლესიის შენობა არაა დიდი, კვადრატის ფორმა აქვს. უგუმბათოა. ეკლესიის შესასვლელში ქვაზე აღმაშენებლის სახელი წერიაო, ამბობენ, მაგრამ სიძველის გამო იგი სრულიად არ გაირჩევა, სამაგიეროდ ახალი წარწერა ზედ შესასვლელის თავზე ტაძრის განმაახლებლად თვლის ერისთავის შვილს ქრისტეფორეს. წარწერა ამბობს:

ᲗᲣᲮᲔ ᲧᲠ ᲐᲮᲜᲔᲗᲗᲜᲐ
ᲐᲔᲗᲨᲔᲛᲐ ᲐᲛᲘᲜᲔᲡᲐ ᲨᲘᲨᲐ ᲐᲠᲔᲛᲐᲜᲐ ᲣᲜ ᲧᲗ ᲠᲨ
ᲘᲐᲨᲨᲘᲜᲘᲡ ᲗᲐᲜᲘᲡᲗᲘᲡ ᲫᲨᲘᲜᲘ ᲮᲛᲘᲡᲠᲐᲛᲗ ᲡᲧᲨᲛᲘ-
ᲜᲔ ᲔᲐᲜᲘ ᲣᲔᲠᲬᲮᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲠ ᲐᲗᲐᲜᲘᲗᲨ ᲜᲘᲜᲐᲜ-
ᲜᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲩᲔᲛᲘᲗᲘᲨᲔ.

თუ ეს იგივე ქრისტეფორეა, რომელიც ზემოთ გენეალოგიურ ტაბულაში ვაჩვენეთ, მაშინ მას XVII საუკუნის მეორე ნახევარში ან XVIII საუკუნის დამდეგს უცხოვრია.

ეკლესიის შიგნით სინესტე და სიბნელეა. წარწერები მხოლოდ ღვთისმშობლის ხატსა და ჯვარზეა. პირველზე იკითხება: „ქ. ღმერთო და ყოვლად წმიდაო, გურიელი მამია აცხოვნე“.

ჯვარი, რომელზეც აგრეთვე არის წარწერები, მოოქრული ვერცხლისაა, ძვირფასი თვლებით, ერთი ისეთი ჯვართაგანია, რომელსაც ჩვეულებრივ მრევლში გამოასვენებდნენ ხოლმე. მისი წარწერებია:

ა) ზეგოთ:

ᲩᲐᲥᲜᲐ᲼ ᲜᲗᲐ᲼ ᲩᲐᲩᲗ᲼ ᲠᲐᲗᲐ᲼ ᲠᲐᲠᲔᲐ᲼
ᲪᲗᲒᲗ᲼ ᲪᲗ
ᲜᲒᲗᲗ᲼ ᲫᲔ
ᲔᲨᲘᲗᲗ᲼ ᲚᲐ
ᲬᲜ᲼ ᲬᲔᲜᲔᲗᲗ: ᲒᲜᲒᲩᲜᲚ᲼ ᲒᲜᲠᲐᲗᲚ᲼[1] ᲩᲐᲨᲔᲔ᲼
ᲪᲚᲚᲐ᲼ ᲠᲗᲜ᲼ ᲗᲚᲗ᲼ ᲜᲔᲒᲚᲒᲜ᲼ ᲒᲐᲫᲗᲜᲚ᲼ ᲗᲜᲜᲚ
ᲗᲔᲐᲐ᲼ ᲩᲗᲒᲗᲚᲗ᲼ ᲚᲔᲒᲫ᲼ ᲚᲐᲬᲔᲔ᲼ ᲩᲗᲗᲐᲩᲔ᲼
ᲔᲐᲒ:

ბ) ქვემოთ ბურთულაზე:

Ჩ. ᲠᲔᲗᲔᲔ᲼ ᲪᲜᲜᲚᲔᲐᲗᲚ᲼ ᲬᲔ ᲪᲗᲬᲔᲒᲚ᲼ ᲪᲗᲐᲒ
ᲬᲐᲚ᲼ ᲠᲐᲗᲐᲩᲐᲔᲒ᲼ ᲔᲗᲩᲔᲚᲜᲐᲜ᲼ ᲐᲜᲜᲩᲔᲐᲗᲚ᲼
ᲘᲐᲬᲗᲔᲒᲜ᲼ ᲐᲜᲚᲜ᲼ ᲪᲗᲐᲒᲬᲐᲚ᲼ ᲠᲐᲗᲐᲩᲐᲔᲒ᲼
ᲗᲜᲒᲘᲔ᲼ ᲪᲗᲒᲬᲜᲔ᲼ ᲩᲩᲚ᲼ ᲪᲗᲘᲔ᲼ ᲪᲗ
ᲜᲜᲒᲬᲚ᲼ ᲠᲐᲗᲐᲩᲐᲔ᲼

გ) კიდევ უფრო ქვემოთ იმავე ბურთულაზე:

Ჩ᲼ ᲜᲐᲩᲜᲗᲜᲚᲔ᲼ ᲜᲔᲩᲐᲐᲒᲚᲔ᲼ ᲨᲐᲜᲔᲚ᲼
ᲪᲒᲚ᲼ ᲠᲒ᲼ ᲘᲐᲬᲗᲔᲒᲜ᲼ ᲐᲜᲚᲒᲜ᲼

თუმცა ღვთისმშობლის ხატის წარწერა მხედრულია, ჯვრისა კი ხუცური, მე მაინც ვფიქრობ, რომ ორივე ერთ დროს განეკუთვნება, რომ ორივე წარწერის გურიელი მამია ერთი და იგივე პირია და რომ, ბოლოს, წინამძღვარი ლაზარე, აფრასიონ მიქაძე, შედან და ჯავახ ჭილაძეები მისი თანამედროვენი იყვნენ. თუ ეს უკანასკნელი იგივე ჯავახ ჭილაძეა, რომელიც შესამჩნევ როლს ასრულებდა იმერეთის მეფე გიორგი II (1548-1585) დროს და რომელიც მისი ღალატისათვის მოაკვდინეს, ხოლო მის მამულს ჯერ კონფისკაცია უყვეს, შემდეგ კი გურიელმა და დადიანმა გაინაწილეს, მაშინ მას XVI საუკუნეში უნდა ეცხოვრა. მაშასადამე, ჩვენი წარწერების გურიელი მამიაც მამია I უნდა იყოს.[31] ეგევე პირი უნდა იყოს ის ჯა-

[31] Hist. de la Géor., II, livr, I, p. 259-261, 343-345.

ვახ ჭილაძე, რომელიც დასახელებულია კათალიკოს მალაქიას[32] დროს იმ სიგელში, რომელსაც აღნიშნავს ბროსე Hist. de la Géorg., t. II, livr. 2, p. CXXXIII ასევე ის ჯავახ ჭილაძე, რომელიც იხსენიება ბიჭვინთის სიგელ-გუჯრების კრებულში, უზარმაზარი ტომრით რომ ჩამოიტანეს იმერეთიდან ტფილისის გუბერნიის საჩელმწიფო ქონების სამმართველოში. „შენ, ნათქვამია კრებულში, ცათა მობაძავსა, დიდსა ღვთისმშობელსა ბიჭვინთისასა შემოგწირე მე, ჯავახ ჭილაძემან ჩემი სამკვიდრო ქორეთის-უბანი მისი სახნავ-სათესით ნაფხეკსა და იმ ადგილს შორის, სადაც ხევისწყალი მიერთვის რიონს, საოხად სულისა ჩემისათვის“.

სოფელში რომ დავეშვი, ვგონებ მოწყობილის მონასტრის მნათესთან მოვისვენე. აქ მანახეს სამი საბუთი, რომლებიც გამოჩინებულს ეხება. მათგან:

პირველი მონასტერს უბოძა ხინოწმინდელ ეპისკოპოსმა იოანემ. ამ საბუთზე ჩვენ ვილაპარაკეთ ამ თხზულების II თავში, ხინოწმინდის აღწერისას. იგი იმდენად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რომ არ შეგვიძლია აქ არ მოვიყვანოთ:

„ქ. ეჰა შენ, შვიდწილ უძლეველო მხედარო მთავარო და სათნოო უფლისაო, დიდო ღვაწლით შემოსილო მოწამეო გიორგი:

მე ყოვლად უღირსმან მონამან უფლისამან და ფრიადითა სასოებითა მსასოებელმან და მოსავმან სიწმინდისა შენისამან ხინოწმინდელ ეპისკოპოსმან იოანე შევსწირე წმიდასა ეკლესიასა შენსა გამოჩინებულს ერთი მოსახლე კაცი მოწყობილი გაბრიელ და მისი შვილი იობა! ესე და ესევითარად, რომ

პირველ ჩვენსა ყოფილი ხინოწმინდლისაგან დახსნილი იყო და მერე, როდესაც ჩვენ ხინოწმინდლათ დავიდგინეთ, ის ხინოწმინდა და მისი შემავალი ერი თათართ მიიმძლავრეს და ქრისტიანობას განუდგენ და სრულიად ოათარი შეიქმნენ და მის ძლით ჩვენს ეკლესიაზედ მისვლა ვეღარ უძლეთ.

და ბატონი მეფის სოლომონის წყალობით გამოჩინებულს ამ შენს წმინდას ეკლესიაზედ დავიდგინეთ და რაოდენ შესაძლებელ იყო, აქ ვსცხოვრებდით:

და ეს გაბრიელ მოწყობილი, რათგან უსჯულოს შიშით იქ დგომის შემძლებელი არ იყო, აქ ჩვენთან იმყოფებოდა: და აწ ამ ეკლესიის ადგილ-მამულზე დამისახლებია და ამ ეკლესიისთვის შემიწირავს.

---

[32] უეჭველია, ეს ის მალაქიაა, რომელიც აბაშიძეების გვარიდან იყო და რომელსაც ისტორია ახსენებს 1533 და 1535 წლებს შუა. Hist. de la Géor., II, livr, I, p. 255, 339.

და ბეგარად ეს დამიცს. რომ ყოველ წელიწადს თითო მარ-ჩილის სამთელს და ორი რუბის[33] საკმელს ამ ეკლესიაზე მდგომი სამღვდელო კაცი ვინც იქნებოდეს, იმას მიართმიდეს და სხვა სამსა-ხურს, რომელიც შემძლებელი იყოს, არ დააკლებდეს:

ამას გარდა, კიდევ იესე ჯაფოძეს და მის ძმას მახარობელს ჩვე-ნი ნაქურდალი დაედვათ და ბატონმა მეფე სოლომონმა ჭელათ-მქმნელათ მიბოძა, და ესეც ამ ეკლესიისათვის შემიწირავს და მო-ჯალაბეთ დამისახლებია...

დაიწერა წელთა ქრისტეს აქეთ ათას შვიდას ოთხმეოცსა".

სიგელს დასმული აქვს ბეჭდები: ხინო-წმინდელ მღვდელმთავა-რი იოანესი და აფხაზეთისა, იმერეთისა და ჩრდილოეთისა კათა-ლიკოზი მაქსიმესი, უეჭველია, კათალიკოსი მაქსიმე სწორედ ის მაქსიმეა, რომელიც კიევში გარდაიცვალა 1795 წ.[34]

მ ე ო რ ე ს ი გ ე ლ ი, რომელიც 1783 წ. უბოძეს წმ. გიორგი გამოჩინებულის ეკლესიას იმერეთის მეფე სოლომონ I და მისმა მეუღლემ წულუკიძის ასულმა დედოფალმა გულქანამ.[35] ამ სიგე-ლით სოლომონი უღვთო მაჰმადიანთა წინააღმდეგ წმ. გიორგი გა-მოჩინებულის ცხადი შემწეობის სამადლობელად, ეკლესიისათვის წართმეული გლეხების მამულების შესახებ ცნობების წინასწარი შეგროვების შემდეგ, კუთვნილებისამებრ უბრუნებს მათ. და შენი საჯავახოელი გლეხებიც, დასძენს სოლომონი, რომელიც გურიის ერისთავებს მიეტაცათ, ჩვენ ჩამოვართვით მას და შემოვწირეთ შენს წმინდა ეკლესიასო. სიგელის მოწამენი: ბოქაულთუხუცესი ზურაბ წერეთელი და სარდალი გიორგი წულუკიძე.

მ ე ს ა მ ე ს ი გ ე ლ ი ოტია, სეხნია და სოსია წულუკიძეებს 1810 წ. 6 თებერვალს უბოძეს იმერეთის მეფე სოლომონ II და დედოფალმა დადიანის ასულმა მარიამმა[36] სახლთუხუცესის სვიმონ წერეთლის ძის სარდალ ქაიხოსრო წერეთლის, გრიგოლ ერისთავი-სა და მოურავ ლორთქიფანიძის მოწმეობით. ამ სიგელით, წულუკი-ძეების თხოვნით, და თავისუფალი მიწების უქონლობის გამო სო-ლომონი მათ დროებითი სარგებლობისათვის უბოძებს საჯავახოში „გამოჩინებულის საწინამძღვრო ადგილ-მამულს და შემავალს", რომელიც ეკავა მათ გარდაცვლილ ძმას ბერ წინამძღვარს ნიკო-ლოზს, და რომელიც არ უნდა გამოეწიროს მათ არც მისგან, სოლო-მონ მეფისაგან, არც მით უმეტეს მისი მემკვიდრეებისაგან, სანამ

---

[33] მარჩილი 4 რუბია, რუბი კი 13 ფარა.
[34] Hist. de la Géor., II, livr., 439.
[35] Hist. de la Géor., II, livr. 1, 644.
[36] ibid., p. 644.

სანაცვლოს არ მიიღებენ. უნდა ვივარაუდოთ, რომ აქ აღნიშნული მონაზონი ნიკოლოზი სწორედ ის არის, რომელიც იხსენიება გამოჩინებულის რჯულის კანონის შემდეგ მინაწერში: „ქრისტე ღმერთო, ადიდე ორსავე ცხოვრებასა შინა წინამძღვარი ნიკოლოზ ამის დამწერინებელი, ამინ", და რომ, ალბათ, სიგელის ბოძების დროიდან დღემდე გამოჩინებული თავად წულუკიძეების მფლობელობაშია.

გამოჩინებულიდან 19 სექტემბერს საღამოს დიდი სოფლების გოგოლეისუბანსა და ამაღლებაზე გავლით უდაბნოსაკენ გავემართე. უდაბნო მდებარეობს ამაღლების მთის ერთ-ერთ ციცაბო კალთაზე, სოფელ ამაღლების ზემოთ და ორპირიდან ოზურგეთს მიმავალი საფოსტო გზის მახლობლად. უდაბნოს აღმართი დამრეცი და ძნელია. იქიდან მშვენიერი სანახაობა იშლება: აქ თქვენ წინ გადაშლილია მთელი სამხრეთი გურია მისი ლენტისებურად დახვეული მდინარეებით ბჟუჯითა და სუფსით და მათი მთის შენაკადებით, ხოლო ნაწილობრივ მოლურჯო ზღვით, აჭარა-გურიის ქედი, რომლის მწვერვალებიდან განსაკუთრებით მკაფიოდ ინაკვთება უხვსაძოვრიანი თაგინური, მის ქვემოთ დაკბილული ხინოს მთა, კიდევ უფრო ქვემოთ კონუსისებრად აღმართული ჭახათი მისი მრისხანე ელიას ციხით. უდაბნოში უხვადაა ტყე და გემრიელი წყალი; ჰავაც მშვენიერია. მე აქ ვნახე 7 ბერი და ათამდე ბიჭი, რომლებიც ქართულ წერა-კითხვას სწავლობდნენ.

უდაბნოში ორი ეკლესიაა: ძველი მცირე, კლდეში ნახევრად გამოკვეთილი, და ახალი, ლამაზი, საკმაოდ ვრცელი, თლილი ქვისა, უგუმბათო, როგორც წარწერა გვიჩვენებს, 1858 წელს აგებული იოანე ნათლისმცემლის სახელობაზე. უდაბნოს წინამძღვართაგან განსაკუთრებით ცნობილია მხოლოდ ერთი იოსები გვარად ტუსკია.[37] მის მემკვიდრეებად ითვლებიან: არსენი გამყრელიძე, გაბრიელ ტუსია, ახლა გურიის ეპისკოპოსი და, ბოლოს, ახლანდელი წინამძღვარი პორფილე ქოჩაკიძე. ადგილობრივ მცხოვრებთა მოწმობით, იოსებ ტუსია უდაბნოს დამაარსებელი და პირველი წინამძღვარი იყო; მაგრამ აქ მას არც ერთი წარწერა არ ახსენებს. ერთად ერთი წარწერა, რომელიც იოანე ნათლისმცემლის საეკლესიო ხატზეა, გაბრიელ ტუსიას ეკუთვნის. იგი ამბობს: ჩყმ (1848) წელსა ივნისისა თვესა მე ჯუმათის მონასტრის გამგებელმან და იოვანე ნათლისმცემლის უდაბნოს იღუმენმა ტუსიამ გაბრიელ მოვაჭედინე ხატი ესე ორმოცის მანათის შემწეობითა თამარ დავით ნეფის ასუ-

---

[37] ამ გვარს ხან ასე წერენ — ტუსკია, ხან — ტუსია.

ლისათა და ორასი დრემის ვეცხლის შეწირვითა მთავრის დადიანის ასულის მარიამის გამდლის ასტანდარისათა, და შეიწირე, ნათლისმცემელო, საცხონებლად სულთა მათთა". მთავრის გრიგოლის ასულის მარიამის შესახებ იხ. ზემოთ გენეალოგიური ტაბულა, ხოლო თამარ დავით II ასულის შესახებ Hist. de la Géorg., II, Iivr, 1, p. 644.

მიუხედავად იმისა, რომ უდაბნოში სრულიად არ მოიპოვება მითითება იოსებ ტუსიას შესახებ, ჩვენ ვიცით, რომ იგი გურიელების მამია IV, გიორგი V და ვახტანგის დროს ცხოვრობდა, და რომ თავისი ცხოვრებითა და ღვაწლით ყველაზე ცნობილ პიროვნებად ითვლებოდა. იმერეთსა და გურიაში. ამ თხზულების III თავში ჩვენ ვამბობდით, რომ იგი იყო შემოქმედის გულანის ერთ-ერთი გადამწერი. გარდა ამისა, გვაქვს ორი საბუთი, რომლებიც უბოძეს მას — ერთი 1744 წ. გენათელმა ეფთვიმემ, ხოლო მეორე 1767 წ. გურიელმა გიორგი V. ამ საბუთებით იოსებ ტუსია აღიარებულია „ხელმწიფე გურიელის კარის მოძღვრად" და ამასთან „საჯუმათლოს მომწყსოდ, ქორეპისკოპოსად და მეომოფრედ", და როგორც ასეთს საქადაგოდ უნდა მოევლო სამწყსო — ჯუმათის ეპარქია, ამასთან მის, ანუ, უფრო სწორად, მისი უდაბნოს სასარგებლოდ შემოსავლის მეათედ ნაწილს ახდევინებდნენ. ჩვენ მხედველობაში გვაქვს აგრეთვე აფხაზეთის კათალიკოსის მაქსიმეს 1777 წ. ინსტრუქცია „უდაბნოს მამა იოსებისა" და ერკეთის წინამძღვარ ბესარიონისადმი. ამ ინსტრუქციით მათ ეკისრებათ მოიხილონ გურიის ეკლესიები და თვალყური ადევნონ მათ კეთილსახიერებას, ასწავლონ მღვდლებს მათი მოვალეობა და სხვ. ამ ინსტრუქციას ვათავსებთ ამ ნაშრომის V თავის II დანართში.

უდაბნოში არის ძველი ხელნაწერების პატარა ბიბლიოთეკა. ხელნაწერთა შორის აღმოჩნდა: სახარების თარგმანები იოანე ოქროპირისა და მეტაფრასი ანუ წმინდანთა ცხოვრება, ორივე სქელ ეტრატზე ნაწერი. ასომთავრულის დაწერილობა ცხადყოფს, რომ ხელნაწერები ძალზე ძველია, მაგრამ, სამწუხაროდ, მათ არც თავი აქვთ და არც ბოლო, ასე რომ, არ შემიძლია განვსაზღვრო მათი გადაწერის დრო; მაგრამ ყველაზე საინტერესო ხელნაწერია დავთარი ანუ უდაბნოს 29 გუჯარის კრებული. მასში ჩამოთვლილია გურიელების, ერისთავებისა და სხვა სამღვდელოთა თუ ერისკაცთა შემოწირულობანი უდაბნოსადმი. უპირატესად სწორედ ამ კრებულის ცნობების მიხედვით შევადგინე ერისთავ შარვაშიძეთა ტა-

ბულა. ეს კრებულივე სხვა სიგელებთან ერთად იქნება ჩემი მასალა ამ ნაშრომის V და უკანასკნელი თავისათვის.

მეორე დღეს, 21 სექტემბერს, შევუდექი გურიის ამ კუთხეში მეორე პატივცემული საწინამძღვრო მაცხოვრის ეკლესიის დათვალიერებას. იქ გავემგზავრე უდაბნოდან ამაღლებისა და სამების გავლით. მაცხოვარი სოფელ აკეთშია, სუფსის მარჯვენა შენაკადის აცაურას ნაპირას. იგი ოდნავ შემაღლებულ ბაქანზე დგას, ავლია ქვის გალავანი, აქვს საკმაოდ მაღალი ახალი კვადრატული სამრეკლო, გადახურულია ოთხ სვეტზე დაყრდნობილი ქვის ჩარდახით. ტაძარი პატარაა: გარედან 17 არშინი სიგრძე, 14 არშინი სიგანე. ნაშენია ტლანქად ეათლილი ქვით, აქვს ჯვრის ფორმა სამწახნაგოვანი აფსიდით ანუ საკურთხევლის ნაწილით და რვაწახნაგიანი გუმბათით, რომელშიც დატანებულია რვა ვიწრო სარკმელი. ჩრდილოეთით მიშენებული აქვს მცირე ეგვტერი. მაცხოვარი მეტად ძველი შენობა უნდა იყოს: ქვა, რითაც მოპირკეთებულია გარედან, სიძველისაგან მნიშვნელოვნად გამოფიტულა; ჩუქურთმები არა აქვს. შიგნით ფილაქნის იატაკი აქვს; კანკელი ქვისაა, ჩუქურთმიანი. კედლები მოხატული ყოფილა, მაგრამ შეუთეთრებიათ და ახლა მხატვრობიდან დარჩენილია ფრესკები გუმბათში; მაცხოვრისა წელზევით, ირგვლივ ანგელოზებით და თხემზე შემოსილი იესო ქრისტესი.

ამბობენ, მაცხოვრის ეკლესია მდიდარი იყო განძეულობითო, მაგრამ იგი სამჯერ გაუძარცვავთ: 1853, 1859 და 1873 წ. ყველაფერი, რაც პირველ ორ წელიწადს ¿ იტაცეს. დაიკარგა, მაგრამ 1873 წ. მძარცველებს წაასწრეს და ნივთები დაატოვებინეს. ამჟამად მაცხოვრის ეკლესიაში ყურადღების ღირსია:

1) მრევლში სატარებელი ვერცხლის ჯვარი წარწერით: „ქ. ᲨᲘ, ცისა და ქვეყნის შემოქმედო და უფალო და შენ მისო იესო ქრისტე ღვთაებაო, მეოხ გვეყავნ ჩვენ ცოდვილსა მანველიშვილს იესეს და მეუღლესა ჩვენსა მაჟუტაძის ქალს ბატონს მარეხს მეორედ მოსვლისა თქვენისასა და წილ გვყავ დადგომად მარჯვენისა თქვენისასა და თქმად: მოვედით, კურთხეულნო მამისა ჩემისანო, და დაიმკვიდრეთ სასუფეველი ცათა, და ძენი ჩემნი ჯუმათელი ნიკოლოზ, მამუკა და რამაზ გვიდღეგრძელე მეოხებითა თქვენითა, ამინ“.

2) ღვთისმშობელის მცირე ხატი, ირგვლივ მრავალი ძვირფასი თვლით შემკობილი. წარწერა ირგვლივ უვლის არშიაზე: „ეს პატიოსანი და ყოვლად უზესთაესი თვალი და მარგალიტით შემკობილი ხატი ყოველად წმინდისა მე, თამარ დედოფალს, დეისმამ

ჯოლიამ მომართვა: აწე ჩვენის კარის სასვენებლად დაგვისვენებია: ჰი, შენ წმინდაო ღვთისმშობელო, შეგვეწიე ჩვენ და შეგუედრე ძესა შენსა სადღეგრძელოდ და საოხად და მას განკითხვისა დღესა ცოდვათა ჩვენთა შენდობისათვის, ამინ".

3) მცირე ვერცხლის ჯვარი და მის ზურგზე: „ქ.: ღმერთო და მაცხოვარო ქრისტე, შეიწყალე ცაფუთაი და მეუღლე მისი ორსავე ცხოვრებასა და მიეც ძე ივანე. მოწყალეო ღმერთო, მომჭედელი..."

4) წმ. გიორგის ხატი, გარსამოსი შეძარცვულია, გარდა ერთი ნაგლეჯისა, რომელზეც წარწერილია:

. ᲩᲔ: ᲥᲜ: ᲐᲮᲐ: ᲐᲩᲐᲝ: ᲫᲛ:
ᲡᲜᲜ: ᲠᲝᲐᲜᲜ: ᲐᲫᲐᲜᲔ: ᲮᲩ: ᲐᲪᲫᲮᲐᲜᲜ: ᲐᲜᲔ:
ᲝᲠᲝᲜᲜ: ᲮᲔ: ᲐᲜᲩᲜ: Ქ... Ქ... ᲐᲩᲐᲜᲝ: ᲫᲛ: ᲘᲝᲠᲝᲜ:
ᲫᲜᲜᲔᲩ: ᲐᲫᲐᲜᲜ: ᲮᲩᲔ: ᲐᲪᲫᲮᲐᲜᲜ.....

5) წმ. გიორგის ხატი წარწერით:

ᲩᲔ: ᲥᲜ ᲥᲠᲔᲐᲜᲜ:
ᲮᲔᲠᲜᲜᲔ: ᲫᲜᲫᲮᲔ: ᲮᲔᲠᲠᲔᲮᲔᲐᲔᲚᲔᲮᲔᲐᲔᲜᲔᲜᲔᲜ

ცა ჩვენთვის შენდობა ბრძანოთ, თქვენცა შეგინდოს ღმერთმან, ამინ".

ქვის ირგვლივ არშიაზე: „ესე არს განსასვენებელი ჩვენი უკუნითი უკუნისამდე, ამას დავემკვიდრო, რამეთუ მთნავს მე".[38]

არც ერთ აქ მოყვანილ წარწერას არ უზის ქრონიკონი და ამიტომ არ ვიცით, ვინ არის ღვთისმშობლის წარწერის თამარ დედოფალი. რაც შეეხება დანარჩენ პირებს, სხვა ცნობების საფუძველზე ძნელი არ არის გავარკვიოთ, ვინ არიან ისინი და როდის ცხოვრობდნენ. მარეხ მანველიშვილი, უეჭველია, იმ ჯუმათელი ნიკოლოზ მანველიშვილის დედაა, რომელმაც შემოქმედის გულანის მინაწერის მიხედვით ჯუმათის კათედრა დაიკავა 1641 წ. გიორგი და მირზა-ბეგ თაგდირიძეებზე ცნობებს ვნახულობთ გურიის რამდენიმე სიგელში, მათი ჩვენებით, ისინი ცხოვრობდნენ გურიელების ქაიხოსრო I, გიორგი III და თვით მამია III დროს. ორ სიგელში იმათგან, რომლებიც გიორგი III და მისმა დედამ ხვარამზემ უბოძეს — ერთი თაყა სალუქაძეს, ხოლო მეორე ბოქაულთ უხუცესს მირზა-ბეგ თაგდირიძეს. გიორგი თაგდირიძე იხსენიება გიორგი გურიელის სიძედ;[39] ამასთან ერთად მეორე სიგელით მირზა-ბეგს ებოძა გლეხები, სხვათა შორის, ჩაქვში, აჭყვისა და ქობულეთის შესასველელთან, რომლებიც ახლანდელ ჩურუქ-სუში მდებარეობენ.

თაგდირიძეების გვარეულობა ძველ და საპატიო გვარად ითვლება. ვახუშტის აზრით, ისინი სამცხიდან ჩავიდნენ გურიაში.[40] ამ პირს ადასტურებს ამ თხზულების II თავს დართული სიგელიც „კათალიკოსის სამწყსო სამცხე-საათაბაგოს", რომლის მიხედვითაც თაქთირიძე სამცხის სახელოვან საგვარეულოთა რიცხვს ეკუთვნის. ახლა ისინი ორ შტოდ იყოფიან: ერთი ჩურუქ-სუში ცხოვრობს, თურქეთის ფარგლებში და მუსლიმანურ სარწმუნოებას აღიარებს, მეორე კი გურიაში მკვიდრობს. ღვთისმშობლის ხატი, ადგილობრივი გადმოცემით. ეკუთვნოდა სახელგანთქმულ თეთროსანის ეკლესიას გვარაში, ჩურუქ-სუში, მაგრამ ცოტა ხნის წინათ ნანგრევებად აქცია ადგილობრივმა მუსლიმანმა მოსახლეობამ. ხატი კი მაცხოვრის ეკლესიაში მოიტანა ერთ-ერთმა ჩურუქსუელმა თაგდირიძემ. აწ თავდგირიძემ, რომელმაც არ უარყო ქრისტე და საცხოვრებლად ახლანდელ გურიაში გადავიდა. ამბობენ, ამ ხატს ისეთ პატივსა სცე-

---

[38] ფსალმუნნი, 131, 14. „ესე არს განსასუენებელი ჩემი უკუნითი უკუნისამდე, ამას დავემკვიდრო, რამეთუ მთნავს ესე".

[39] თუ გიორგი თაგდირიძის ეპიტაფიის მიხედვით იგი ქაიხოსროს სიძე იყო, ხოლო სიგელის მიხედვით გიორგის სიძე, მაშინ დარეჯანი ქაიხოსროს ასული და გიორგის და ყოფილა.

[40] აღწ. სამეფ. საქ., გვ. 26.

მენ ჩურუქსუელი თავდგირიძეები, და ბევრი იქაური მუსლიმანი, რომ ხშირად მიდიან აკეთში, რათა თავის წინაპართა სალოცავს შეევედრონო. ამასთან მათ მოაქვთ სხვადასხვა შესაწირავი, კლავენ ცხვარსა და ხარს.

მაცხოვარი თავისი ადგილ-მამულით XVII საუკუნის დამდეგიდან ბიჭვინთის საპატრიარქო კათედრის საკუთრებაში გადავიდა. ამ საკითხზე ამას წინათ ზემოთ ხსენებულ ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონების სამმართველოს „სიგელ-გუჯრების კრებულში“ მივაგენი ერთ, ჩემი აზრით, ფრიად საინტერესო სიგელს, რომელიც ავსებს მისი დროის მატიანეს და ამასთან ახასიათებს საუკუნეს. ამიტომ მომყავს მისი ტექსტი:

„წყალობითა და შეწევნითა ღვთისათა და მეოხებითა ყოვლად წმიდისა ბიჭვინტისა ღვთისმშობლისათა ჩვენ, მონამან და მოსავმან ღვთისამან, აფხაზეთისა დედაქალაქისა კათოლიკე სამოციქულო ეკლესიისა ბიჭვინტისა საჭეთ-მპყრობელმან კათალიკოზმან ქვარიანმა ზაქარია, მას ჟამსა, ოდეს დაჯდა დადიანად იმავ დადიანის სახლის კაცი ლიპარტიანი ვამეყ, მეფეთ მეფისა ალექსანდრეს მიდგომითა გაბატონდა და ამასობაშიგან მრავალი საკანონო საქმე გამოერია და ჩვენ დაველაპარაკენით დადიანს ვამეყს და გურიელის ასულს დედოფალსა ელენეს და დიდის ხვეწნითა საკანონოდ დავადებინეთ და შევაწირვინეთ ბიჭვინტისა ღვთისმშობლისათვის სენაკს საყდარი მაცხოვრისა ორის მისის სასახლითა, ლეჯის ტყითა და ოღუაციკითა, მისის შეწირულის მამულითა და რაც მის გუჯარსა და დავთარში ეწეროს, ყოვლის ფერითა. აგრევენ სვიმონ გურიელი გააბატონა მეფეთ მეფემან და გურიელის შვილი ბერი დიმიტრი აშვილა და გაპარსეს და სადამდის აკეთი საკანონოდ არ დავადებინეთ, მანამდის ჩვენ შენდობა არ მივეცით და არც ნება დავრთეთ და აკეთის საყდარი მისის სასახლებითა და ყოვლის ფერითა გურიელს სვიმონს და დიმიტრის შევაწირვინეთ. აწ ესე ორი პატიოსანი საყდრები მე ჩემს დროში გამირიგებია და შემიწირვინებია მათის მამულებითა და მათის გამოსავლითა ყოვლის ფერითა და სასახლეებითა. დადიანს სენაკის შესაწირავი წყევა-კრულობით სიგლები დავადებინეთ და აგრევე გურიელს აკეთის წყევა-კრულობით შესაწირავი საფიცარი სიგლები დავადებინეთ, რომ ეს ორი საყდარი ბიჭვინტის ღვთისმშობელს არაოდეს არ მოეშალოს. აწ ვინცა და რამანცა კაცმან...“

ამ სიგელში აღნიშნულ პირთა და გარემოებათა შესახებ იხ. Hist. de la Géor., II livr, I, p. 278-279.

მაცხოვრიდან სოფელ აცანაში გადავედი. აცანაში 169 მოსახლეა, მათ შორის აზნაური ტუსიები. აქ მეზობელი სოფლიდან — ძიმითიდან, თავად გუგუნავების საცხოვრებელი ადგილიდან, ორი წარწერა მომიტანეს. ორივე სამწყსოში ახალი ეკლესიებია ხის, გუმბათიანი. ძიმითის ეკლესია წმ. კვირიკესია, აცანისა კი — მაცხოვრისა. მათი წარწერები ასეთია:

1) ძიმითის წმ. გიორგის ხატის ბუდეზე: „წმინდა გიორგი ჯიხანჯირისა, შენ დიდო მხნეო მხედარო და ღვაწლით შემოსილო და ხვარასანთა ტყვეთა მხსნელო, სასწაულთ მოქმედო, ახოვანო და წმინდაო მოწამეო გიორგი, შეგამკეთ და შემოგწირეთ კუბო ესე მე გუგუნავამ ვახუშტიმ და თანამეცხედრემან ჩემმან ბატონის გურიელის სახლის შვილმა დადიანის ქალმა ლელამ ძეთა ჩვენთა აღსაზრდელად, სულთა ჩვენთა საოხად. დღეთა ჩვენთა სადღეგრძელოდ საუკუნოდ, ამინ და ᲙᲘᲠᲘᲔᲚᲔᲘᲡᲝᲜ“.

2) აცანის მაცხოვრის ხატზე:

Ⲧ Ⲟ Ⲡ Ⲁ Ⲁ Ⲁ Ⲛ Ⲓ Ⲥ Ⲑ Ⲏ Ⲩ Ⲓ Ⲛ Ⲓ Ⲛ Ⲓ Ⲛ Ⲓ Ⲛ

Ⲟ'Ⲓ Ⲛ Ⲕ Ⲁ Ⲓ Ⲕ'Ⲏ Ⲁ Ⲛ Ⲁ Ⲕ Ⲁ Ⲛ Ⲁ Ⲕ Ⲁ Ⲛ Ⲁ Ⲕ

მოპარსული. გრძელულვაშიანი. თავზე ხურავს ბოხოხი, აცვია რა-
ღაც ახალუხის მსგავსი და ქუჩქი ჩამოშვებული სახელოებით. მათი
ვინაობა უცნობია. ოქონის წარწერებია:

1) კედელზე ნიშში საკურთხევლის მარჯვნივ:

ᲥᲜ: ᲘᲣᲗᲧᲐ:
ᲰᲡᲘᲐᲜᲫᲘᲐ: ᲐᲮᲩᲜᲜᲐ: ᲰᲗ: ᲒᲡᲨᲜᲣᲮᲔ: ᲧᲗ-
ᲧᲘᲜᲔᲐᲜᲰᲩ: ᲩᲜᲩᲰᲐᲰᲘᲣᲮᲰᲩ: ᲮᲐᲜᲡᲗᲜᲗ: ᲰᲐᲩᲧᲗᲜᲗ-
ᲰᲗᲜᲩ: ᲧᲰᲩᲧᲣᲮᲔ: ᲧᲗᲩᲜᲣᲮᲔ: ᲰᲐᲨᲗᲗᲜ: ᲨᲗᲨᲗᲗᲮ:
ᲣᲮᲮᲣᲗᲩᲜᲩ: ᲡᲧᲨᲔᲮᲡ: ᲰᲗ: ᲗᲜᲨᲔᲗᲗ: ᲨᲩᲜ: ᲩᲧᲗᲜ-
ᲧᲔ: ᲰᲜᲧᲐᲰᲡᲗ: ᲨᲗᲮ: ᲡᲩᲔ: ᲩᲜᲩᲔᲰᲰᲡᲮᲜᲜ:
ᲔᲮᲔ: ᲧᲐᲨᲗᲜᲜᲧᲐ: ᲧᲗᲐᲨᲗᲩᲗ ᲨᲔᲗᲩᲔᲗᲩᲗᲩᲗ:
ᲩᲧᲨᲮᲜ: ᲨᲔᲗᲩᲨᲗᲨᲗᲐᲮ: ᲧᲮᲮᲰᲜ: ᲧᲗᲨᲩᲧᲐᲰ: ᲧᲰᲨᲗᲩᲗ:

ᲧᲐᲧᲜᲜ: ᲩᲧᲐᲧᲜ: ᲡᲒᲗᲒᲩᲐᲰᲜ: ᲨᲗᲜᲨᲗᲩᲮ: ᲡᲩᲮ-
ᲧᲔ: ᲨᲔᲡᲰᲐᲒᲩᲮᲐᲗᲩᲐᲩᲜᲐ: ᲩᲔᲗᲩᲮᲜᲔ: ᲐᲮᲜ: ᲧᲗᲰᲜ:
ᲧᲒᲜ: ᲡᲩᲮᲜᲜᲡᲐᲮ: ᲮᲰᲜ: ᲒᲐᲨᲗᲩᲗᲜᲡ: ᲡᲐᲨᲜᲡᲮᲩᲮᲡ:
ᲧᲐᲮᲰᲧᲜ: ᲐᲮᲩᲩᲰᲗᲩ: ᲰᲨᲜᲮ: ᲜᲮᲩᲮᲜᲩ: ᲮᲩᲜᲩᲮᲩᲩᲩ:
ᲨᲔ: ᲰᲜᲡ: ᲰᲰᲜ: ᲰᲰᲐᲩᲜᲩ: ᲰᲡᲜ: ᲒᲜᲧᲮᲩᲜᲩᲮ: ᲨᲐᲨᲜᲩ:
ᲮᲰᲜᲒᲔᲮ: —ᲧᲨᲮᲰᲜᲔ ᲧᲐᲧᲩᲩᲔᲔ ᲨᲔᲒᲩᲩᲩ

4) ვერცხლისავე სასაყდრე ბარძიმზე: „შენ, საშინელსა ღთაებასა მაცხოვრისა ოქონისასა, გაგიუედინე მე, წინამძღვარმა მაჭუტაძემა, ბარძიმი, კამარა, კოვზი და ტაკუკი. ვინცა მომიხსენოთ, თქვეცა მოგიხსენოთ ღმერთმა“.

5) დიდ არშინნახევრიან ჯვარზე: „ამის მომჭედელსა ათანდილეს კოპალაძეს შეუნდე და მეუღლესა ქეთევანს მაჭუტაძის ქალს“.

6) მომცრო ვერცხლის ჯვარზე:

ᲰᲘᲠᲐᲚᲘᲡ ᲐᲮᲝ-
ᲩᲜᲡᲠᲐ: ᲫᲗ: ᲭᲡᲘᲡᲩᲗ: ᲘᲜᲫᲗᲜ: ᲚᲝᲰᲗᲜᲜ: ᲫᲮᲜᲗᲜ:
ᲜᲩᲰᲩᲜ: ᲰᲡᲗᲩᲮᲜᲡ: ᲩᲩ:

ვფიქრობ, ეკლესიის კედელზე დახატული ბერი თვითონ ქრისტეფორე კობალაძე ანუ კოპალაძე უნდა იყოს. არც მისი, არც გვიანდელი, როგორც უნდა ვივარაუდოთ, წინამძღვარ მაჭუტაძის ცხოვრების დრო არ არის ცნობილი; ასევე უცნობი არიან წარწერების სხვა პირნი, გარდა ცაიშელი მალაქიასი: იგი იყო შვილი გურიელი გიორგი II-ისა, რომელიც XVII საუკუნის მიწურულს ცხოვრობდა. აქ საჭირო არ არის გავიმეოროთ, რაც უკვე ითქვა მის შესახებ ამ თხზულებაში, აღვნიშნავ მხოლოდ მისი ცხოვრების ახალ ფაქტს. ჩვენ უკვე ვახსენეთ დასავლეთ საქართველოს საეკლესიო გუჯრები, რომლებიც ამას წინათ მიიღეს ტფილისში. მათში არის გუჯარის პირების ორი ცალკე აკინძული „ნუსხა“ ერთი ხონის ეკლესიისა 121 ფურცელზე, ხოლო მეორე ბიჭვინთის, ცაიშისა და ხონის ეკლესიებისა 204 ფურცელზე. ეს მეორე „ნუსხა“ გადაწერილია ჩვენი წარწერის ცაიშელი მაქსიმეს დროს, როგორც ეს „ნუსხის“ ბოლოს მინაწერიდან ჩანს: „ღმერთო და შვიდ ცათა უმაღლესო ბიჭვინტისა და ცაიშისა ღვთისმშობელო და მთავარანგელოზო ჯუმათისაო და შვიდ წილ უძლეველო მხედარო დიდო მოწამეო გიორგი ხონისაო, შეეწიეთ ორთავე შინა სუფევათა აქა და უმეტეს საუკუნეთა ყოვლისა ჩრდილოეთისა და აფხაზეთისა კათალიკოზი, ცაიშელ-ჯუმათელისა, ხონელი მთავარეპისკოპოზი გურიელის გიორგის ძესა ბატონის მალაქი(ა)სა. მისითა ბრძანებითა აღიწერა ნუსხა ესე მეფეთ მეფობასა კონსტანტინეს ძისა ბატონის გიორგისასა და დადიანობასა მანუჩარის ძისა ბატონის ლეონისასა და გურიელობასა

გიორგის ძისა ბატონის მამიასასა, ქორონიკონსა ᲫᲜ.

გათავდა თვესა ნოემბერსა რვასა, დღესა ხუთშაბათსა“.

მატიანეთა მოწმობით იმერეთის მეფე გიორგი III, კონსტანტინე მეფის უკანონო შვილი, მეფობდა 1605-1639 წლებში[41] ლევან II მანუჩარ I ძე — 1611-1657 წლებს შორის,[42] ხოლო მამია II, გიორგი II ძე და თვითონ მალაქიას ძმა, 1600-1625 წლებში.[43]

აცანიდან ჩემი გზა ჩახატაურის ქედის მეორე მხარეზე სოფელ ნიგოითში გადიოდა. თავდაპირველად შარაგზაზე გასვლამდე ძალზე ცუდი გზით ვმგზავრობდი. ეს გზა ამას წინათ გაიყვანეს ოზურგეთიდან. იგი უღრან ტყეში გადის. ამ ნაწილში ქედი არ არის მაღალი, მაგრამ უღელტეხილზე ავედით თუ არა, თვალწინ გადაგვეშალა რიონის ხეობა მისი გაუვალი ჭაობებით, მალარიას რომ ავრცელებს მთელ რიონისპირა გურიაში. მე შევედი სამაჭუტაძეოში, ე. ი. თავად მაჭუტაძეების სამფლობელოში, რომელიც მდ. ფიჩორამდე ვრცელდება. დაბლობში დავეშვი, ნიგოითში, სადაც 180 კომლია, არ გავჩერებულვარ, მარჯვნივ გავუხვიე და მიუხედავად კოკისპირული წვიმისა და საშინელი საცალფეხო გზისა, ბამბის ნათესებისა, ქართლურ-კახური წესით გაშენებულ ვენახებზე გავედით. ავედით წმ. გიორგის ძველ ეკლესიაზე, რომელიც მთის კალთაზე დგას. რაკი სოფელს საგრძნობლად მოშორებულია და ვიწროცაა, განზრახულია ეს ეკლესია ახლო ხანში სულაც დახურონ. მის სანაცვლოდ შუაგულ ნიგოითში თლილი ქვით აშენებენ მშვენიერ ვრცელ ეკლესიას. იგი ჩემსობას თითქმის დამთავრებული იყო, ჩემი აზრით, იგი საუკეთესო იქნება მთელ გურიაში.

წმ. გიორგის ეკლესია პატარა ბაქანზე დგას, ქვის გალავანი ავლია, შესასვლელი ქვის სამრეკლოს ქვეშაა დატანებული. ეკლესია მაღალი კვადრატული შენობაა, უგუმბათო, პირქუში, დახურულია ყავრით, გარეთ აღმოსავლეთ ფასადზე ლავგარდანის ქვეშ შემონახულია პატარა ბარელიეფი, რომელზეც გამოსახულია უკანა თათებზე შემდგარ ლომთან მებრძოლი კაცის ფიგურა. აქვს წარწერა:

ᲪᲗᲘ ᲰᲚᲘᲠᲗ ხოლო უფრო ქვემოთ: ᲰᲜ

Ⴑ.ᲜᲰᲚᲗ დასავლეთ ფასადზე კი: ᲮᲚ ᲣᲚ ᲩᲣᲪᲘᲔ ᲩᲫ

---

[41] Hist. de la Géor., II, 1 livr., p. 265.
[42] Ibid., 647.
[43] Ibid., 651.

ეკლესიაში გალავნიდან შევედი, რომელიც დასავლეთიდან ეკვრის მას და ხუთ მსხვილ ტლანქ სვეტს ეყრდნობა. ეს გალერეა თვით ეკლესიიდან გამოყოფილია პატარა კარიბჭით, რომლის კედელზე დაჩხაპნილია, როგორც ჩანს, ძველი წარწერა (იხ. დანართი I № 2), რომელზეც მხოლოდ ზოგი ცალკეული სიტყვა გაირჩევა, მაგრამ შეუძლებელია მთელი წარწერის აზრის აღდგენა.[44]

შიგნით ეკლესიას 7 ნაბიჯი სიგანე და 11 ნაბიჯი სიგრძე აქვს. კედლები დაფარულია ჭრელი მხატვრობითა და ძლიერ დაზიანებული ფრესკებით. კანკელი უბრალო ფიცრისაა. ხატებს არავითარი წარწერა არა აქვთ, სამაგიეროდ, არის კედლებზე. დასავლეთის შესასვლელის მარცხნივ უკვე ჩამოცვივნული პორტრეტის ქვეშ. ბათქაშის ნაჭერზე შემორჩენილია შემდეგი ასოები:

ᲠᲓᲘᲠ ᲢᲘ ᲨᲘᲜᲘᲜ
ᲨᲨᲘ ᲨᲘᲠᲗᲘ

შემდეგ ამ წარწერის გასწვრივ: ᲨᲘᲮᲚᲗᲐᲘᲢᲔ

ᲘᲠᲓᲘᲐ
ᲜᲐᲮᲘᲪᲘᲐ
ᲯᲘᲠᲐᲜᲘ
ᲧᲘᲠ ᲘᲠ

დასავლეთის შესასვლელის მარჯვნივ მამაკაცის თავი წელზევით, დიდი ულვაშებით, აცვია ახალუხი თუ ელეღი, ყელთან შეკრული; თავზე გუმბათისებრი მაღალი, თვლებით მოოჭვილი ქუდი ხურავს; ირგვლივ, წარწერილია:

ᲜᲐᲜᲔ ᲮᲘᲪᲘᲐᲯᲘᲜ
ᲘᲔᲐᲡᲘ ᲐᲠᲗᲘ ᲧᲘᲠ

[44] ამ წარწერაში, როგორც ზოგიერთი სიტყვის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ, ლაპარაკია ვიღაც კალატოზ იოანეზე, რომელსაც ამოუკვეთია წარწერა. მოუხატავს ეკლესია(?) და დაეწესებია აღაპი... (სახელითა იესოსითა მე ი~ემ კალატოზმან დავწერე, შევღებე სახლნი, გავიკეთე აღაპი... რათა შეყრაი... განცხადისი... ვინ ესე მიქს აკურთხოს ღ ნ.).

კიდევ წარწერა სამხრეთის კარის თავზე:

ᲥᲐᲥᲘᲡ ᲫᲘᲗᲘᲡᲔ ᲫᲘ ᲘᲠ ᲐᲪᲘᲠᲯᲘᲗᲘ ᲗᲘᲡᲘᲡ ᲫᲘ ᲘᲠ ᲔᲡᲗᲔᲔᲚᲘᲐ ᲥᲐᲥᲐᲗᲘᲯᲘᲗᲘ ᲫᲘ ᲘᲠ ᲜᲔᲗᲔᲡᲘᲗᲔᲑᲘᲗᲘᲗᲘᲗᲘᲗᲘᲡ ᲯᲘᲠᲘᲗᲘᲗᲘᲡ ᲫᲘ ᲘᲠ ᲗᲔ ᲯᲘᲡᲔ ᲫᲘᲗᲘᲗᲔᲡᲔ

სამხრეთის კარის მახლობლად შეიმჩნევა ისეთივე ქუდი, როგორიცაა „ამილახორის“ ზემოთ და შუბლის ზემო წილი წარწერით:

ᲠᲐᲜ
ᲜᲔ
ᲐᲜᲘ ᲜᲐᲓ

თვით საკურთხეველზე საყდრის პირდაპირ იკითხება:

ᲐᲦᲔᲠᲜᲘᲗᲔᲠᲘᲡᲜᲔ: ᲒᲘ
ᲩᲐᲜᲔᲑᲘᲐᲜᲐᲡᲔ ᲗᲔ ᲥᲚᲘᲡ: ᲗᲔ
ᲥᲗᲘᲛᲔᲠᲔᲗᲡ: ᲗᲔ ᲯᲘᲠ ᲘᲠᲐᲜᲘᲗ
Შ..... ᲨᲘᲐᲥᲐᲜᲘᲝ.
ᲒᲘᲐᲠᲔᲜᲘᲡᲔ: ᲗᲔ ᲪᲗᲐ
ᲘᲗᲗᲘᲡ ᲪᲘᲡᲡᲔ ᲠᲗᲘᲠᲔᲠᲐ
ᲗᲔᲠᲘᲜᲔᲡ...: ᲯᲘᲠ: ᲘᲠ: ᲨᲘᲠ
ᲗᲔ ᲐᲗᲗᲔ ᲪᲘᲡᲗᲔ ᲔᲪᲘᲠ
ᲗᲔᲠᲔᲐᲨᲘ: ᲗᲔ ᲐᲪᲔᲠᲗᲔᲨ...
ᲘᲠ ᲯᲘᲠ.

კარგა გვიანი იყო, როცა ნიგოითში ჩავედი, სადაც ღამე გავათიე ადგილობრივ მოხუც მღვდელთან, რომელიც აღმოჩნდა მამა ჩემის ძველი ნაცნობის და მეგობრის გერასიმე კალანდარიშვილისა, რომელმაც კიევის სასულიერო აკადემია დაამთავრა, იყო ქუთაისის 4-კლასიანი სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი, საუკეთესო ქართველი პედაგოგთაგანი, ავტორი ერთადერთი სახელმძღვანელოსი «Руководство для грузин, обучающихся русскому языку». სამწუხაროდ, იგი უკვე წარიტაცა სიკვდილმა 1874 წ. მეორე დღეს, 23 სექტემბერს, ადგილობრივ მემამულე თავად მაჭუტაძესთან შევიარე, რომლის კარის ეკლესიაში მხოლოდ ერთი ხატი ვნახე ღვთისმშობლისა წარწერით:

ქ:. შევამკევით ხატი ესე ყოვლად
წმიდისა სახელსა ზედა ცაიშისა
ღთის მშობლისასა ჩვენ გურის
(გურიელის) ქალმა დაუხტარ მე-
ლიქ ჩვენდა სადღეგრძელოდ და
ცოდვათა შენდობისა თვის ჩვენ
და ჩვენის ქმარ-შვილებისათვის,
ამინ.

საკუთარი სახელი, უკეთ, მეტსახელი მელიქ ახლაც გვხვდება იმერეთში; სახელი დაუხტარ კი, მე არ გამიგონია.

ნიგოითის წმ. გიორგის ეკლესია ძველი რომ უნდა იყოს, ამას თვით მისი შესახედაობა ცხადყოფს, ხოლო თუ მისი წარწერების შინაარსს გავითვალისწინებთ, უეჭველი გახდება, რომ იგი ძალზე ძველ ეკლესიად უნდა ჩაითვალოს გურიაში, რადგან ფრესკების ასეთი ძველი წარწერები მე არსად შემხვედრია გურიელების სამთავროში. ქორონიკონის უქონლობის გამო, რასაკვირველია, შეუძლებელია ზუსტად გავარკვიოთ ვინ არის დავით მეფე, რომელიც ეკლესიის აღმოსავლეთის ფასადის ბარელიეფზეა წარმოდგენილი; მაგრამ როდესაც გავიხსენებთ, რომ საქართველოს განყოფის ან რუსუდან მეფის ძის დავით ნარინის (1294-1337)[45] შემდეგ იმერეთს არ ჰყოლია ამ სახელის მატარებელი მეფე. ალბათ, შეიძლება ვთქვათ, რომ წმ. გიორგის ეკლესია და თვით მისი ბარელიეფი XIV საუკუნის გვიანდელი არ უნდა იყოს. რაც შეეხება ამ წარწერების სხვა პირებს, შემიძლია მხოლოდ დავადასტურო, რომ არც ერთი მათგანი არ გვხვდება ჩემთვის ცნობილ გურიის მრავალრიცხოვან სიგელ-გუჯრებში XVI საუკუნიდან მოკიდებული; არც ბეროზ მაცუტაძე ანუ მაჭუტაძე, არც, ვგონებ, მისი ძე ამილახორი, და არც „გურიელის ქალი დაუხტარ მელიქი" ღვთისმშობლის ხატის წარწერისა არსად არ არის დასახელებული. თვით სახელწოდება ამილახორი მხოლოდ ერთხელ გვხვდება და ისიც ჩემს ყველაზე ძველ, სახელდობრ გურიელი როსტომის (+ 1564) სიგელში.

უცნაურია, რომ მაჭუტაძეების საგვარეულოზე მეტ-ნაკლებად ადრინდელი ქართული მატიანეები არას იტყვიან; ვახუშტიც არ იხსენიებს მათ გურიის არც ძირძველ და არც ახალ საგვარეულოთა შორის.[46] ეს მაშინ, როცა გურიის სიგელებისა და წარწერების მიხედვით იგი გურიის ყველაზე საპატიო და ძველი გვარია. ასე, მა-

---

[45] Hist. de la Géor., II, 1, livr., 245.
[46] აღწერა სამეფ. საქ., 20, 24-26.

გალითად, ვიღაც სერაპიონ მაჭუტაძე ცნობილია XVI ს. დამდეგს როგორც შემოქმედის წინამძღვარი. მაჭუტაძეები გურიის უძველესი სახლთუხუცესები არიან გურიელთა ხანისა: ვახტანგ I XVI საუკუნეში, გიორგი III XVII და მამია III-XVIII საუკუნეში. ამ გვარის ახლანდელ წარმომადგენლებს საგვარეულო სიგელები არა აქვთ და თუ მართალია, რაც მათ მიამბეს, რომ მათი ყველა საბუთი თითქოს დაწვა მათმა ერთმა სახლიკაცმა თურქეთში ემიგრაციის წინ, არ შეიძლება სინანული არ გამოვთქვათ ამის გამო.

სიტყვა ანზილაღი პირველად შემხვდა ნიგოითის ეკლესიის წარწერაში. ხომ არ ერქვა მას თავდაპირველად ანზილაღის ეკლესია? გარდა ამისა, გვარი მაჭუტაძე მის სამ წარწერაში იწერება არა

 Տ. -არით, არამედ Ն. -ანით-მაცუტაძე. შემდეგ ხომ არ

შეცვლილა იგი მაჭუტაძედ. როგორც[35] თაგდირიძე შეიცვალა თავდგირიძედ?

ნიგოითიდან დასავლეთით გავწიე ჩახატაურის სამხრეთ ფერდობის გაყოლებით. მე მიმეჩქარებოდა სახელგანთქმულ ჯუმათის ტაძარში, რომელიც ფრიად მნიშვნელოვანია არქეოლოგიური თვალსაზრისით. ჩემი გზა მეტწილად ჭაობიან ადგილებში გადიოდა, სოფლებზე — შუხუთი, ლანჩხუთი, ჯუნჯუათი, ზემო ჩიბათი, ბაღლები, ყელა, ჩოჩხათი და ბულუხვაური. ამ სოფლებში, ბაღლების გამოკლებით, არც ძველი ეკლესიებია, არც ძველი ხატები, საინტერესო წარწერებით, თუ საინტერესოდ არ ჩავთვლით ჯუნჯუათის მაცხოვრის ხატის წარწერას, რომელშიც მოხსენიებულია „გურიელი მამია“, არ ვიცით, რომელი. ბაღლებში მაცხოვრის პატარა ძველი ეკლესია მოხატული აღმოჩნდა. აქ დასავლეთის შესასვლელში იკითხება:

⁜ ԾԷՆԱԷՏԷԷ։ ՊՆՊ.....ՆԷ ԱԷՏԱԼԱՄ... ԱԷՏԲԱՊԵՆՆ ՆԱՄԱ... ԷԲՊՆՆ ԱՊՊ ...

ამ შესასვლელის მარცხნივ არის მოხუცის პორტრეტი, მას ახურავს ბეწვმოვლებული ქუდი, აცვია მწვანე ქურქი. წარწერა წაშლილია.

სამხრეთის შესასვლელის მარცხნივ მეორე პორტრეტია, მაგრამ ახალგაზრდა მამაკაცისა, მრგვალი ქუდი ხურავს, უსახელოებო

ელეღი აცვია, წელამდე; ელეღის ქვეშ ახალუხი. მის ზემოთ არის წარწერა:

...ᲜᲮᲭᲐ: ᲐᲪ ᲐᲜᲜᲔ
...ᲐᲖᲝᲜ: ᲨᲔ ᲐᲪᲐᲒᲘᲪ:
...!ᲚᲪᲣᲫᲮᲪᲒᲘᲜᲔ: ᲐᲔᲩᲐᲜᲔᲐ

ეს პირნი ჯუძათში შეგვხვდებიან და ამიტომ მათ აქ აღარ შევეხები.

გურიის ამ ნაწილში ჩახატაურის ქედის გადასავალი სამხრეთ ფერდობზე ძალზე ადვილი აღმოჩნდა. სუფსის ხეობაში დაეშვი საურმე გზაზე, რომელიც ჯუმათს მიდიოდა. ჯუმათის ტაძარი ჩახატაურის დაბალი ქედის ერთ-ერთ თხემზე დგას. ეს მწვერვალი სიმაღლით ახლო-მახლო მწვერვალებიდან მხოლოდ სამებას ჩამოუვარდება: პირველი აღმართულია 1644, ხოლო მეორე 1704 ფუტზე ზღვის დონიდან. ჯუმათის ტაძარი 18 ვერსითაა დაშორებული ოზურგეთს, საიდანაც იქით მიმავალ გზას კვეთს მდინარეები ნატანები, სკურდები და სუფსა, საიდანაც ასე რვა ვერსი საკმაოდ საგრძნობი აღმართია. ეს აღმართი ჯუმათის ძირობიდანვე დაფარულია ხშირი მცენარეულობით, რომელთა შორისაც ადიხარ ზევით ახლახან გაჭრილი დაკლაკნილი გზით. აქ ჩემი წინსვლის კვალობაზე ფოთლოვანში თანდათან ინაკვეთებოდა აჭარა-გურიის ქედი. შემდეგ ზღვა, და, ბოლოს, ზედ მწვერვალზე ჩემ წინაშე გადაიშალა დიდებული სანახაობა, რასაც არ ველოდი. ყოველ შემთხვევაში მე თითქმის მთელი მხარე მომივლია და უნდა გამოგიტყდეთ, რომ არსად მთელ კავკასიაში არ შემიძლია დაგისახელოთ ისეთი ფართო ჰორიზონტი, როგორსაც აქედან ვეჭვრეტდი ორი დღის განმავლობაში. საბედნიეროდ, ჯუმათში სწორედ ჩემი მისვლის წინ ჰაერი გაიწმინდა ყოველგვარი ანაორთქლისაგან, რაც წინა დღეებში ამძიმებდა მას. ჩემ წინ გადაშლილიყო, ასე ვთქვათ, კავკასიის მთელი დასავლეთი ნაწილი: ჩრდილოეთით — გიგანტური ცენტრალური ქედი ყველა მისი მარად ჭალარა მწვერვალით იალბუზით დაწყებული და ყაზბეგით დამთავრებული, ქედი, რომელზეც მე ადვილად ვარჩევდი ყოველ ჩემთვის ნაცნობ მწვერვალს ყველა ნაცნობ ხეობას, ხოლო ქვემოთ კიდევ უფრო ცხადად ვხედავდი ენგურის, ხობის, ტეხურის, ცხენისწყლისა და რიონის ხეობებს: აღმოსავლეთით — „ქართლ-იმერეთის დაბალ ქედს, სამხრეთით — აჭარა-ახალციხის ქედს მისი თოვლიანი მეფის წყაროთი, ზოტიმერიითა და სომლიით, ხოლო მათ ქვემოთ გურიის მთელ ტალღოვან ზედაპირს;

შემდეგ ბათუმის უბეს; შორს ბათუმის იქით ტრაპიზონის სანახებს, ხოლო უფრო შორს თეთრად შემოსილ პონტოს ანუ ლაზისტანის მთებს; დასავლეთით — შავი ზღვის მთელ აღმოსავლეთ ნაწილს მისი კონცხებითა და ყურეებით და მისი ახალი ზღვისპირა ქალაქ ფოთით და მის მეზობლად გადაშლილ პალიასტომს. ეს ქალაქი ისე ნათლად ინაკვთებოდა, რომ შეიძლებოდა ყველა მისი ქუჩისა და სახლების დათვლა. შავი ზღვა შორ მანძილზე ჩანდა და მის გლუვ მოლურჯო ზედაპირზე არც ერთი გემი და ბარკასი არ ეპარებოდა თვალს. ასეთია ჯუმათის პანორამა. აქ დღისით მოწმენდილ დარში განცდილ მომხიბლაობას მზის ჩასვენებისას და ღამით ცვლის სხვა მომხიბლაობა. ჯერ მთის მწვერვალებს თვალისმომჭრელი მეწამული ფერი დასციმციმებს, რომელიც ნაირ-ნაირ ელფერს იღებს და ზღვაც თავის ხრიკ ალივით ბრწყინავს, სანამ მზის უკანასკნელი სხივები ჩაქრებოდეს; მაშინ ირგვლივ ყველაფერს ხშირი წყვდიადი დაეფარება, მაგრამ მალე, ამოვა თუ არა ღამის მნათობი, თანდათან იღვრება მქრქალი ნათელი და ამ ნათელში მთის მწვერვალები კიდევ უფრო მაღალი და პირქუში ჩანან, ხოლო ზღვა კიდევ უფრო უკიდეგანო; ზღვა ალაგ-ალაგ მქრქალ-ვერცხლისფრად ბზინავს. ირგვლივ ყველაფერს გამჭვირვალე ბურუსი ეფინება, მაგრამ იგი ხელს არ გიშლით ხედავდეთ გარემოს, ახლო და შორეულ საგნებს. ჰაერში ისეთი მყუდროება ისადგურებს, რომ მწერების Lampyris italica გაფრენაც კი ისმის, რომლებიც ძაფისებრ ნათელ კვალს ტოვებენ. მე მითხრეს, რომ ასეთი დარი და ასეთი მყუდროება ჯუმათის მწვერვალზე ძალზე იშვიათია და იგი ხშირად სტიქიონთა ბრძოლას მოასწავებს, რომელიც წამლავს თქვენ მიერ განცდილ მთელ სიამოვნებასო.

ჯუმათს წყალი აკლია. მისი, როგორც ზემო ნაწილი, ისე ქვემო, სადაც ირგვლივ 278-კომლიანი სოფელია მიმოფანტული, მწირი ქვიანი ნიადაგია. აქ ვაზი ცუდად ხარობს; ღომსა და სიმინდს ზედიზედ 2-3 წელიწადს ვერ დათესავ ერთსა და იმავე ადგილზე, თუ ანეულად არ დატოვე. ჯუმათის ტაძარი მიქელ და გაბრიელ მთავარანგელოსების სახელზეა აგებული. იგი ჯუმათის სამრევლო ეკლესიაა. მის სენაკებს შორის, რომლებიც ტაძრის სამხრეთით არის განლაგებული, წაგრძელებულ ბაქანზე მთის ჩრდილო-აღმოსავლეთის კალთაზე დგას არქიელის უბრალო ხის სახლი, სადაც ზაფხულობით ცხოვრობს გურიის ახლანდელი ეპისკოპოსი გაბრიელი გურული აზნაურების ტუსიების საგვარეულოდან. ჯუმათი შემოქმედის შემდეგ ყველაზე თვალსაჩინო როლს ასრულებდა გურიის ის-

ტორიაში: იგი ჯუმათელ ეპისკოპოსთა მდიდარი და პატივდებული კათედრა იყო; ჰქონდა დიდძალი უძრავი ქონება და ძვირფასი ხატები. საეპისკოპოსო კათედრის დაარსებამდე, ამბობენ, ჯუმათი მონასტერი იყოო. ჯუმათზე დღემდე ჩვენ თითქმის არაფერი ვიცოდით. ვახუშტის ცნობით, „...ლანჩქუთის სამჴრით წარმოვალს მთა საჯავახოს მთიდამ დასავლეთად, და სადაცა დასწყდების მთა ესე, არს ამ მთის მაღალს თხემსა ზედა ეკლესია ჯუმათს, დიდი, გუმბათიანი, დიდშენი... ზის ეპისკოპოზი, მწყემსი სუფსეის მდინარისა და რიონს შორისის ადგილთა“.[47] 1842 წელს ჯუმათი არ მოუხილავს აკადემიკოს ბროსეს და ამიტომ ჩვენ არ ვიცოდით, რა ხუროთმოძღვრულ სიმდიდრეს შეიცავდა იგი. ჩვენ მხედველობაში გვქონდა მხოლოდ აბისის მიერ გადმოღებული მისი ერთი წარწერა, რომელშიც ლაპარაკია გიორგი გურიელსა, დედოფალ ელენესა და მათ შვილ მამიაზე. ჩემ მიერ ადგილზე შეკრებილმა უახლესმა ცნობებმა შემდეგი გვიჩვენა:

ჯუმათის ტაძარი სულ ზედა ბაქანზე დგას და გარს ავლია დაბალი, მიწის პირამდე ამოყვანილი ქვის გალავანი. გალავნის შესასვლელი დატანებულია ნახეთქი ქვით ნაშენ ძველ კვადრატულ სამრეკლოში, რომელსაც აქვს 6-სარკმლიანი გუმბათი, კარი და ქვის კიბე. თვითონ ეკლესია უგუმბათოა. კონსტრუქციით მოგვაგონებს შემოქმედის ტაძარს, თუმცა მასზე უფრო ლამაზია. ცოტა ხნის წინათ, სახელდობრ 1846 წ., რუხი პორფირით მოუპირკეთებიათ. სამხრეთის მხრიდან იმავე წელს მიუშენებიათ ეკვდერი ღვთისმშობლის სახელზე; დასავლეთიდან კი — ძველი კარიბჭე, რომელიც ახლა სადარაჯოდ უქცევიათ. შიგნით ეკლესიის სიგრძე 18 ნაბიჯია, სიგანე — 8. იატაკი თლილი ქვისაა. ჯუმათელთაგან აქ, როგორც ამბობენ, დაკრძალულია მხოლოდ ნიკოლოზი, გურიელებიდან კი ვახტანგი და მისი მეუღლე მართა, ორბელიანის ასული და მათი ვაჟი დათა. ეპიტაფია მხოლოდ ამ უკანასკნელის საფლავზეა: „გურიის მთავრის ვახტანგის ძე დავით გურიელი. იშვა ჩყბ (1802) ნოემბრის ა-სა (I), ხოლო მიიცვალა ჩყნვ (1856) ნოემბრის დ-სა (4)“. ჯუმათის ძველი მხატვრობა ზედა ნაწილზე შეთეთრებულია, ხოლო ქვემო ნაწილში ხელუხლებელია. მისი ფრესკებიდან განსაკუთრებით საინტერესოა ორი პორტრეტი: პირველზე სამხრეთის შესასვლელის მარჯვნივ წარმოდგენილი უსიცოცხლო, მსუქანი სახის მოხუცი, ულვაშიანი, მრგვალი ქუდითა და ქურქით. მას ხელთ

[47] აღწ. სამეფ. საქ. გვ. 174.

უპყრია ბურთულიანი კვერთხი. მისი წარწერაც შეთეთრებულია და ამიტომ არ იციან, ვინ არის იგი. მეორე პორტრეტზე ჩრდილოეთის შესასვლელის მარჯვნივ გამოსახულია გვირგვინიანი და ქათიბიანი ქალი. ოვალური სახე აქვს, გამომეტყველი თვალები და მაღალი დიდი წარბები. მარჯვნივ წარწერაა:

ᲐᲓᲐᲛᲘᲗ
ᲐᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ
ᲐᲜᲓ.

ჯუმათში ხატები ცოტაა, მაგრამ ფრიად ძვირფასი. აი ისინიც:

1) წმ. გიორგის ნაჭედი ხატი ოქროს მოჭედილობითა და ამ წმინდანის რელიეფური გამოსახულებით. წარმოდგენილია მთელი ტანით; ხუჭუჭმიანია; ჯაჭვის პერანგი აცვია, მარცხენა ხელში ფარი უპყრია, მარჯვენაში — ლახვარი; უკან ჰკიდია გრძელი მახვილი. ხატის სიგრძეა 16 გოჯი, სიგანე — 9, არშიაზე წმინდანებია. საერთოდ, როგორც მთელი ნამუშევარი, ასევე წარწერის ასოებიც ლამაზია. მისი წარწერებია:

ა) ზემოთ დ ᲚᲜ

ბ) მარჯვნივ ისეთივე ასოებით:

ᲔᲥ	Ბ ᲢᲧᲔ	Ტ ᲦᲜ Უ
ᲣᲠ	Უ ᲐᲨ	ᲨᲨᲠ
ᲨᲐᲧ	ᲩᲜᲔ	ᲣᲨᲨ
ᲨᲨᲣ	ᲫᲩᲜ	ᲩᲜᲡ
ᲦᲜᲫᲐ	Ე	ᲨᲨᲢ
		ᲜᲔ
		ᲔᲩ

გ) ქვედა არშიის ნაგლეჯზე:

ᲩᲨᲔᲐ ᲘᲨᲡ..... ᲐᲦᲨᲣᲬ ᲢᲣᲐᲢᲩ
ᲥᲢᲫᲣᲢᲩᲜ : ᲚᲕᲨᲜᲢᲢᲜᲔ : ᲨᲔᲐᲢᲜᲔ ᲐᲔᲨᲜᲔ :
ᲜᲣᲢᲢᲬᲜᲔ : ᲩᲢ ᲘᲨᲜᲔ :

2) მიქელ მთავარანგელოზის დიდი რელიეფური ხატი ($1^1/_2$ არშ. სიგრძე, 1 არშ. სიგანე). მოქედილობა სულ ერთიანად ოქროსია: მისი ქვემო ნაწილი სიძველის გამო ნაფლეთებადაა ჩამოკიდებული. მთავარანგელოზს მარჯვენა ხელში ამოწვდილი მახვილი უპყრია, მარცხენაში ქარქაში. თმა ხუჭუჭი აქვს. ტანთ ჯაჭვი აცვია; მხრებზე ყაბალახის მაგვარი რამ აქვს მოგდებული, მკერდზე შეკინძული. დიდებული ჭედურობაა. არშიებზე 10 მინანქრის მედალიონია ნაირფერი ფონით. წარწერები ქართულია, ძალზე წვრილი ოქროს სირმებით შესრულებული. მთავარანგელოზს თავს შარავანდი ადგას, მასში სამი მსხვილი თვალი ზის: ფირუზი და ორი მარგალიტი.

შარავანდის გვერდებზე ორი მოზრდილი მინანქარის მედალიონია ცისფერ ფონზე ოქროს სირმით შესრულებული წარწერით. ასეთია მედალიონები და მათი წარწერები. (იხ. დანართი I № 4) პირველზე

ა) Ք՝
Ֆ՝Ի Ֆ՝Ա՝
Ի՝Ն՝Ն՝

Ֆ՝Ղ՝
Ն՝Ն՝Վ՝Ի՝Դ
Ղ՝Ն՝

ბ) ქვედა არშიის ორ ნაფლეთზე (იხ. დანართი I, № 5). ამ წარწერაში:

პირველში:

Ա՝Գ՝Ն՝Ա՝Ի՝ Ֆ՝.
Ի՝Ն՝Ն՝Ա՝Ի՝ Ճ՝Ա
Ն՝Ճ՝Ի՝ Ա՝Ի՝Ճ՝Ն՝
Ն՝Ն՝Ի՝

მეორეში:

Ի՝ Ի՝Ա՝Ղ՝Ի՝ Ի՝Ֆ՝Ֆ՝Ղ՝Ն՝
Ի՝Ի՝ Ն՝Ա՝Ի՝ Ֆ՝Ա՝Ի՝ Դ՝Ա՝
Դ՝Ա՝Ղ՝Ն՝Ն՝Ի՝Վ՝Ն՝Ի՝
...Ն՝Ի՝ Ա՝Ն՝Ա՝Ն՝Ա՝

მეორე მათგანში, ვგონებ, იკითხება „ქალი მთავრისა ელისაბედ“.

გ) ზურგზე გაშავებულ ვერცხლის ფირფიტაზე:

ՀԻ. ԽԵՎԻՆ ԱՐՔԵՊԻԱ ԱՓԵՆ ԱՂՕԷ ՊԵՓԱՂԲԻՈՒ
ԲՐԱԿԱՎԼՆԻ ՅՂԲԼՆԻ ՊՂՊԻՈՒ ՊՂՊԼՆԻ ՇՐ ԼՕԷԲՈՒ Ռ
ՓՆԼՈՒԵՊԼՆԻ
ՂՂՆ ՂԱԻՆՂՊԼՆԻ ԶՕԱԲԼՆԻ ՇՐ ԱՂԱՈՊԼՂ.... ՇՔՈՒ
ՇՔԼՆԻ... ԷՇԱԼ ԲԼ...

დ) გაბრიელ მთავარანგელოზის ხატი, სიგრძე 1 არშ. 8 გოჯი, სიგანე 8 გოჯი, თავიდან ბოლომდე გაპობილია. მის მოჭედილობაზე ასეთივე 10 მინანქრის მედალიონია, როგორიც მიქელ მთავარანგელოზის ხატზე. ხელობა ისეთივეა, წარწერაც, რაც ამტკიცებს, რომ ორივე ხატი ერთი და იმავე დროისაა. მედალიონების წარწერები ბერძნულია. შარავანდის ირგვლივ შემოვლებულ ისეთსავე ორ წრეში, როგორიც ჩვენ დავინახეთ, ოქროს სიმებით ისეთივე ნაწერი იკითხება:

Բ՝ Ղ Կ ԽԵՎԻԹ
Դ ՈՒՆ

მის ქვედა არშიის ნაფლეთზე იკითხება:

ԼՕԷԲՈՒ ՊԱՒԼՆԻՊԼՆԻ ՇՐ ԱԷԲՇ
ԶՕԱՒՈՒ ԻՇԼԼ ՆՊԲ ԱԼԿԱԱՒՈՒ ԱԿՇԼ
ԱՐԵ ՆՆ ՊԼՊ ԿԶՆ ԱԱՆՅՊ
....ԱԿԷԼՆԻ ՅՆՂԷԲ ՇՊԿԷԲԱՆՆԼՆԻ ՇԷՎԻՊԼՆԻ ՅՊԱԲ-
ՇԱՈՈԲ

ამ ხატის ზურგის მოჭედილობა შედგება გაშავებული ვერცხლის ფირფიტებისაგან, რომელზეც ამოტვიფრულია დიდი რელიეფური ჯვარი და მის ქვეშ წარწერა ყოვლად ღვარჭნილი ხელრთვით, რომელიც, როგორც მითხრეს, ჯერ არავის არ ამოუკითხავს. ასოების სიმაღლეს გოჯს არაფერი უკლია. მე გადმოვიღე იგი ისეთივე სახით, როგორიც იყო. აი ისიც:

ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ..ᲜᲔᲜᲔ ᲐᲛᲐᲜ ᲣᲙᲐᲠᲘᲜᲔᲚᲘ ᲒᲘᲜᲔᲜ
ᲠᲘᲜᲔᲜ ᲜᲔᲠᲘᲜᲔᲜ ᲛᲔᲜᲘᲛᲐ ᲨᲔᲚᲘᲜᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲛᲐᲠᲘ
ᲨᲔᲜ ᲐᲠᲐᲛᲘᲜᲘᲗᲔ ᲛᲘᲐᲜᲐᲚᲘᲗᲔᲚᲘᲜᲔᲜᲘᲗᲔᲚᲘᲜᲔᲜᲘᲗᲔᲚᲘᲜᲔᲜ

გილზე. ქართულ ჩართულ ხელში ასეთი გადახვევა ორთოგრაფიიდან იშვიათი არ არის, რასაც ეს ხელრთვაც ადასტურებს.

4) გაბრიელ და მიქელ მთავარანგელოზების ოქროს ხატი, სიგრძე 13 გოჯი, სიგანე 9 გოჯი, გამოსახულების ქვეშ იკითხება:

ⲧ. ⲫⲓⲁ: ⲁⲅⲓⲟⲥ: ⲁⲣⲭⲁⲅⲅⲉⲗⲟⲥ: ⲅⲓⲱⲣ: ⲅⲓ. ⲣ.
ⲅⲓⲗ: ⲁⲅ:

ამ წარწერის ქვემო არშიაზე:

„ქ:. მოგჳედე:. და:. შეგამკევ:. ხატი:. ესე:. მიქელ:. და:. გაბრიელ:. მთავარანგელოზისა:. მე:. ბატონისა:. გურიელის:. გიორგის:. შვილმან:. მამია:. და:. თანამეუღლემან:. ჩუჱნმან:. ათაბაგისა:. ქალმან:. თინათინ:.... შემოგწირეთ:. საყდარსა:. ჯუმათისასა:. ჩუჱნისა:. ამ:. სოფლის . . . ლისათვის:. და:. საუკუნოსა:. წაწყმედისა:. სნისათვის:. ამინ:.“

5) მიქელ მთავარანგელოზის ხატი ამობურცული ოქროს მოჭედილობით. მისი სიგრძეა $7^1/_2$, სიგანე $5^1/_2$ გოჯი, ზედ ბევრი ძვირფასი თვალია. ვერცხლის კუბოს ზურგის მხარეზე:

ⲁⲣⲭⲁⲅⲅⲉⲗⲟⲥ: ⲁⲅⲁⲑⲟⲥ: ⲁⲛ
ⲑⲣ ⲁⲫⲁⲧⲉ: ⲧⲓⲁⲛ. ⲟⲁⲥⲓⲧⲓ: ⲅⲓⲣⲁⲅ
ⲛⲓⲣ: ⲛⲟⲁⲁⲛⲅⲏⲛ: ⲛⲓⲛ ⲑⲣ
ⲑⲑⲟⲫⲣⲓⲓⲣ: ⲅⲏⲓⲅⲁⲅⲏ: ⲑⲣⲁⲅⲫⲣ:
ⲁⲣⲫⲟⲫⲣ: ⲁⲁⲛⲣⲓ: ⲑⲁⲛ: ⲅⲁⲛ: ⲅⲓⲁⲛⲓⲑⲛ:

იმავე ხატის ზურგზე ვერცხლის ფირფიტაზე:

ⲧ: ⲗⲓⲣ: ⲁⲛ: ⲁⲛⲑⲁⲛⲛⲟ: ⲛⲅⲏⲁⲁⲏⲑⲣ: ⲁ:ⲓⲏⲑⲣ: ⲁⲟ
ⲛⲅⲓⲟⲛⲣ: ⲁⲛ: ⲫⲁⲛⲣ: ⲅⲓⲣⲣ: ⲟⲗⲛⲛⲣ: ⲁⲟⲅⲏⲑⲟ
ⲛⲛⲅⲁⲁⲟⲛⲣ: ⲛⲟⲅⲏⲛⲛⲣ: ⲁⲅⲏⲅⲛⲛⲣ: ⲑⲣ: ⲛⲁⲁ:
ⲁⲫⲅⲛⲛⲟ: ⲣⲃⲛⲣⲁⲅⲛⲟ: ⲛⲟⲛⲛⲣ: ⲛⲟⲅⲏ
ⲛⲛⲣ: ⲁⲛⲛⲛⲁⲟⲛⲅⲏⲛⲛⲟⲣ: ⲟⲁⲅⲏⲅⲫ: ⲑⲛⲑⲅ
ⲛⲟⲅⲏⲣ: ⲫⲣⲁⲅⲏⲣ: ⲟⲁⲅⲏⲫⲟⲣ: ⲁⲅⲏⲑⲣ: ⲁⲟ
ⲫⲑⲟⲛⲛⲅⲏⲁⲁⲣⲫ: ⲅⲟⲁⲁⲛⲅⲏⲁⲁⲣⲫ: ⲣⲛⲛⲫⲁⲟⲫ
ⲁⲣ: ⲅⲛⲅⲁ: ⲅⲛⲛⲫⲅⲛⲅⲏ: ⲑⲣ: ⲅⲅⲏⲅⲅⲛⲛⲟ: ⲑⲅ
ⲁⲛⲅⲟⲛⲅⲣ: ⲛⲁⲫⲛⲛ: ⲟⲁⲅⲏⲅⲫⲛⲛ: ⲟⲁⲅⲟⲛⲛ: ⲟⲅⲣⲣⲛⲁⲁ
ⲅⲁⲅⲛⲛⲫⲟ: ⲣⲁⲛⲛⲟⲟ: ⲅⲁⲅⲅⲅⲑⲁⲅⲅⲛⲛⲟ: ⲁⲅⲟⲫ:

ᲐᲦᲧ,
Თ: ᲩᲐᲨᲦ: ᲘᲗᲜᲡ, ᲐᲐᲜᲡ: ᲨᲮ: ᲨᲦᲨᲜᲡ: ᲮᲦᲐᲜᲡ: ᲬᲐ
ᲗᲜ: ᲨᲦ: ᲐᲦᲐᲘᲗᲦ: ᲨᲮ: ᲐᲦᲒᲜ: ᲮᲦᲐᲒᲜ: ᲨᲮᲜᲠ
ᲮᲦᲒ: ᲮᲒ:

6) მიქელ მთავარანგელოზის ოქროს ხატი, კარედი, სიგრძე 14, სიგანე 8 გოჯი, ფაქიზი ნახელავია. კარედზე რელიეფურად გამოსახულია მიქელ და გაბრიელ მთავარანგელოზების სხვადასხვა ღვაწლი. შარავანდის ირგვლივ ჩასმულია 7 ძვირფასი თვალი და 12 მარგალიტი. ქვედა არშიაზე წარწერა:

Ჩ: ᲮᲦᲒ: ᲣᲐᲮᲜᲦᲬᲐᲮᲒ: ᲣᲜ: ᲨᲮᲗᲘᲮ ᲐᲦᲢᲘᲫᲮᲦᲮᲐᲮᲮᲠ
ᲮᲦᲒᲐᲒ: ᲨᲦᲨᲐᲠᲮᲦ ᲐᲘ
ᲦᲬᲦᲒᲦ: ᲧᲦᲗᲮᲐᲧᲦᲗᲘᲗ:
ᲫᲮᲠᲔᲜ
ᲦᲜᲦ: ᲐᲗᲗᲘᲮᲒᲣᲬᲐᲜᲗᲮ: ᲐᲦᲐᲫ: ᲣᲦᲮᲐᲒᲦᲜ: ᲩᲜᲒ-
ᲧᲦ: ᲘᲜᲡ: ᲐᲜ: ᲗᲐᲐᲮᲗ:
ᲮᲦᲒᲜᲗᲮ: ᲐᲮᲐᲜᲮᲗᲮ ᲮᲒ:

7) მოოქრული ვერცხლის მომცრო ხატი მაცხოვრისა და მიქელ და გაბრიელ მთავარანგელოზების რელიეფური გამოსახულებებით მასზე:

Ხ · ᲘᲐ: Შ: ᲐᲗᲮᲬᲮᲮᲮᲒᲣᲦᲬᲐᲜᲐ:
ᲧᲦᲜᲮᲫᲮᲗᲦ: ᲐᲮᲮᲦᲫ, ᲮᲒᲗᲮᲐᲜᲜ: ᲮᲮᲦᲜ:

8) საწინამძღვრო ჯვარი, ვეებერთელა, მძიმე, ვერცხლისტარიანი, დიდი ბურთულით. ჯვრის სიგრძე ერთი საჟენია. ბურთულა ბაჯაღლო ოქროსია, გუმბათიანი ეკლესის ფორმა აქვს. ბურთულის სიგრძე 7 გოჯია, დიამეტრი 1/4 არშინი. ჯვრის ოთხ მკლავზე რელიეფურად გამოსახულია წმინდანები. ყოველი მკლავი ირგვლივ (ქვედა არშიის გამოკლებით) წვრილი ძვირფასი თვლებითაა მოოჭვილი. ეკლესიის თავზე ბურთულაა და მასზე პატარა ჯვარი. ჯვრის მკლავებზე:

ᲯᲘᲐ ᲮᲚᲐ Შ ᲐᲛᲗᲘᲡᲔᲚᲜᲬᲔᲚᲐ ᲐᲩᲣᲑ ᲨᲔ ᲣᲔᲜᲐ
ᲔᲨᲘᲨᲗ ᲐᲘᲗᲔᲡᲗᲗᲘ ᲫᲔ
ᲘᲔᲘᲘᲣᲔ ᲣᲘᲗᲜᲘ ᲣᲜ ᲨᲔᲨᲗᲗᲜᲘ ᲔᲗᲘᲘᲜᲗᲘ ᲘᲜᲚᲔ
ᲣᲘᲘᲘᲜᲔ ᲐᲐ
ᲜᲨᲗᲨᲔ ᲯᲜ ᲣᲚᲗ ᲯᲐᲔᲨᲜᲚᲔ

ᲯᲕᲠᲘᲡ ᲖᲣᲠᲒᲖᲔ:

ᲗᲚᲔ ᲘᲜᲘ
ᲘᲔᲔ ᲣᲨ ᲐᲗᲔ
ᲜᲘᲘᲐᲔᲔ ᲨᲐᲔᲗᲔ
ᲗᲜᲘᲨᲔᲨ ᲗᲜᲘ
ᲚᲨᲔ ᲚᲜᲚᲔ
ᲗᲔ. ᲐᲔᲐᲘᲔ Უ
ᲥᲐ ᲥᲨ.ᲨᲥᲚᲐ.ᲐᲗᲚᲐ.ᲥᲨᲘ.ᲧᲨᲔ.ᲒᲘᲘᲘᲥᲜᲚ.ᲐᲜᲜ Ა.
ᲔᲔ.ᲨᲨ.ᲒᲘᲨᲗᲜᲨᲔ.ᲔᲥᲘᲨ.ᲐᲘᲐᲐᲚᲥᲨ ᲨᲔᲐᲐᲔ ᲐᲔᲨ-
ᲥᲚᲐᲐᲔ ᲯᲐᲨᲗᲚ

ᲯᲐᲨ ᲜᲚᲔ

ᲐᲔᲘᲜᲗᲔᲔᲐᲔ:
ᲨᲘᲗᲔᲨᲘᲐᲐᲔ: Ა
ᲮᲚᲐᲗ · ᲨᲗᲔᲡ
ᲨᲗ · ᲯᲜ ᲨᲜ · ᲘᲔ
ᲨᲔ ᲜᲔ : ᲒᲘᲨᲒᲘᲐᲗᲐ
Ე · ᲮᲔ · ᲚᲨᲗᲜᲚ · ᲨᲜ
ᲚᲔ · ᲐᲜᲜᲔᲘᲨᲐᲚ · ᲨᲨᲐᲨ
ᲐᲗᲔ ᲨᲜ · ᲒᲘᲔᲗᲚᲚᲨᲨᲔᲔ
ᲔᲔᲗᲚᲔ ᲨᲐᲒᲘᲔᲐᲔᲔ.

ᲯᲣᲛᲐᲗᲘᲡ წარწერებში მოხსენიებულ პირთაგან ჩვენ მხოლოდ ზოგიერთებს ვიცნობთ: ასე, მაგალითად, გურიელი ბეშქენ და მისი შვილი მიქელი ბაღლების წარწერაში გვხვდებიან; გურიელი გიორგი და მისი ცოლი ელენე ლიხაურის წარწერაში ჩანან 1422 წლის ქვეშ. მათვე ვხვდებით შვილებით მამიათი და ქეიყობადით ლიხაურის, შემოქმედისა და ბაილეთის წარწერებში. გურიელი მამია გიორგის ძე და მისი მეუღლე თინათინი იგივე მამია (II) და თინათინი უნდა იყვნენ, რომლებიც 1572 წელს აღმშენებლებად არიან მოხსენიებულნი შემოქმედის ზარზმაში. გურიელი გიორგი და მი-

სი მეუღლე ხვარამზე, უეჭველია, გიორგი IV (+ 1726) და მისი მეუღლე, დადიანის ასული ხვარამზეა. მაქსიმე შარვაშიძე ერისთავ გიორგის იმ შვილად მიგვაჩნია, რომელიც მოხსენიებულია ერკეთის წარწერებში და ზემოთ მოკლე ტაბულაში. იგი XVIII ს. პირველ ნახევარში ცხოვრობდა.

ჯუმათის წარწერების დანარჩენ პირებს არ ვიცნობთ, მაგრამ, მგონი, ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს, რომ ისინი ისტორიულად ცნობილ ყველა გურიელზე ადრე ცხოვრობდნენ. მე-3 მუხლში მოხსენიებული წარწერის პირები, სახელდობრ „დადიანი გიორგი და ძენი მათნი მანდატურთუხუცესი ვამეყი და გურიელი კახაბერ? მოგვაგონებს ხობის[48] წარწერას დადიან გიორგი II და მის შვილს ვამეყს, რომლებიც XIV ს. მეორე ნახევარში ცხოვრობდნენ.[49] ხომ არ არის ჯუმათის წარწერის გიორგი სწორედ ეს გიორგი II? თუ ამასთან გავითვალისწინებთ, რომ დადიანების პირველი დინასტიის წარმოშობა დღემდე არ არის ცნობილი,[50] რომ ერთი და იგივე სახელი — მამია ძველად მხოლოდ გურიისა და სამეგრელოს ორ მთავართა საგვარეულოში გვხვდება და რომ, ბოლოს, წარწერებსა და სიგელებში, ისევე როგორც საქართველოს ქრონიკებში სამეგრელოს მთავრები ზოგჯერ დადიან-გურიელის ტიტულით იხსენიებენ თავის თავს, ხოლო გურიის მთავრები — გურიელ-დადიანებად, მაშინ, ჩვენი პირადი რწმენით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ, როგორც გურიელები, ისე დადიანების პირველი დინასტია წარმომავლობით ერთსა და იმავე ვარდანიძეების საგვარეულოს უნდა მივაკუთვნოთ, რომლებიც სვანეთის ერისთავები იყვნენ ჯერ კიდევ საქართველოს მეფე გიორგი II (1072-1086) დროს.[51]

თვით ჯუმათის შესახებ უნდა შევნიშნო, რომ ეს სახელწოდება მის უძველეს წარწერებში სულაც არ გვხვდება და, თუ ამ წარწერების მიხედვით ვიმსჯელებთ, ჯუმათის ტაძარი შემოქმედის მონასტერზე ძველი უნდა იყოს. ვფიქრობ, როგორც ეს საკითხი, ისე სვანი ვარდანიძეებისაგან გურიელებისა და დადიანების წარმომავლობის საკითხი საბოლოოდ გაირკვეოდა შემოქმედისა და ჯუმათის ძველი სიგელ-გუჯრების დახმარებით, მაგრამ ჩემდა დიდად სამწუხაროდ, მე ისინი ჯერ კიდევ არ მინახავს.

ღამე გავათიე სუფსის პირას მდებარე სოფელ ბაგირში, რომელიც წინათ ჯუმათელების საზამთრო სამყოფელი იყო. მეორე

---

[48] Brasset, Voyage archéol., VII Rapp., p. 38-40.
[49] Hist. de la Géor., t. II, livr. 1, p. 247 et 646.
[50] Ibid., p. 646.
[51] Ibid., t. I, p. 342.

დღეს, 29 სექტემბერს, შევიარე სოფელ ბაილეთში, რომელიც თავად იესე გიორგის ძე გურიელს ეკუთვნის. იესეს სახლი გორაკზე დგას ძველი ციხის ნანგრევების პირდაპირ, ხოლო ძველი ეკლესია დაბლობშია. იგი აშენებულია აგურითა და ნახეთქი ქვით, აქვს თლილი ქვის ახალი გუმბათი. მისი აღმოსავლეთი ნაწილი სამწახნაგოვანი ნახევარწრის ფორმისაა. შიგნით მთლიანად მოხატულია. ფრესკებიდან განსაკუთრებით საინტერესოა: დასავლეთის შესასვლელის მარჯვნივ ეროვნულად ჩაცმული მამაკაცისა და ქალის პორტრეტი ბავშვითურთ, ხოლო სამხრეთ ნახევარწრის კედელზე ორი მამაკაცისა და ერთი ქალის სამი პორტრეტი. პირველის ქვეშ იკითხება: „ლეონ ბატონიშვილის ძე გიორგი. ჩყკ (1827) წელსა“. მეორის ქვეშ: „თანამეცხედრე მისი ანჩაბაძის ასული ელისაბედ“. ლეონი, ელისაბედ ანჩაბაძის ქმარი, ეს არის მთავარ სვიმონ გურიელის ძმა და ბაილეთის ახლანდელი მფლობელის იესეს მამის — ბაილეთის წარწერის გიორგის მამა.

ბაილეთის ეკლესიაში აღმოჩნდა შემდეგი წარწერებიანი ხატები:

1) ღვთისმშობლის კარედი ხატი მოოქრული ვერცხლის მოჭედილობით და მასზე:





2) წმ. თევდორეს ხატი ვერცხლის მოჭედილობით, მასზე:



3) ვერცხლის ჯვარი და მის ზურგზე:

ՀԻԱ։
ԻՆԱ։
ՅՊ։ Պ
ԱՄԻՆ։
ՊՆ։ Ճ
ՃՔՊՆ
ՊԵՊՐՊ։
ՃԸ։ ՀՊՐՆ։ ՀՇՄՐՆ։ ԱՄՄԴՊ։ ՅԸ։ ԱԷՄԿԷՆԸ։
ԸՐ։ Պ՝ՆՆ։ ՃԸ։ Կ՝ԿՆԸ։ ՆԻՄՄՆ։ ՌԿՅՀՆԸ։ ՅՆ։ ՈՐ։
ՃԿՐՆՆԸ։ ՃՄՆ։

ԻՌԲԻՆ
ԵՀՆԸ։
ՅՆ։ ՈՌ։
ԸՀՆՆԸ։
ՀՀՏՃ
ԵՆԸ։ Ա
ՀՌՆ։ ՅՆ։
ՈՌ։ ԸՌ։
ԸՆՆՄԴԻՆ
ՅՆ։ ՈՌ։

4) Միքել Մտավարանգելոզեան խաչ Մոսքրուլ ՎԵՐՑԽԼՈՒՍ. Մեն ՀՎԵՄՈ ԱՐՄԻԱՅԵ։

Ի ՆԱՆՆԸ։ ՀԷՃՄԱ։ ՀԻԳՊ։ ՀՄԴՄԸՌԲՊԵԱ։ ՆԱ։ ՀԴՏՃՆԲՊ։ ԷՌՆ։ ՏԷՆՆԸ։ ՅՊԲՆՆԸ։ ԻԴՌ ՄՆԲՄՆԲ ՔԿՊՊՆՆ։ ԻԴԵՀԲ։ ՀՊՄԸ։ ԻՆՄԸՄԴՊՆ։ ՏՃՈՊՊՄՀՊԴՄ։ ՏԱԴՆՆԸ։ ԻԴՊԲՆՆԸ ՏԷՆՀՃՄՃ ԸՀՆԲ։

5) ღვთისმშობლის მომცრო ხატი მოოქრული ვერცხლისა. მის ქვემო არშიაზე:

ᲮᲐ ᲧᲓᲗᲪ: ᲩᲐᲜᲪᲐ: ᲘᲪᲡ· ᲐᲡᲧᲣᲢᲔᲐ: ᲐᲣᲜᲪᲜᲘ-
ᲩᲗ· ᲫᲔᲜ: ᲡᲔᲜᲡ: ᲡᲣᲗᲩᲜᲘᲠ: ᲮᲓᲩ: ᲝᲜᲩᲝᲜᲩ: ᲟᲧᲣᲢᲔᲜᲡ:
ᲮᲓᲐᲩ: ᲧᲐᲐᲮᲝᲫᲐᲓᲜᲔᲜ ᲩᲡᲫᲔᲜᲪ: ᲐᲩᲓᲣᲗᲔᲜᲡᲓᲜᲔᲜᲡ:
ᲡᲐᲓᲜᲔᲜ: ᲡᲫᲡᲮᲪ ᲐᲣᲝᲩ ᲮᲣᲗᲩᲝᲝᲓᲮᲡ: ᲡᲪᲘᲣᲡᲮᲐ-
ᲓᲐᲪ.

6) მაცხოვრის ხატი, მომცრო, მოოქრული ვერცხლისა და მასზე: „მოვკვდეთ ხატი მაცხოვრისა ნასხიდმან მანველისშვილმან და თანაპეცხედრემან თინათინ და ძემან ჩვენმან სადღეგრძელოდ, საუკუნეს ჩვენის სულის საოხად“.

7) წმ. თევდორესა და წმ. გიორგის ხატი, გამოსახული არიან მთელი ტანით, მხედრულ ტანსაცმელში, ხელში შუბითა და მუზარადით. ქვემო არშიაზე:

ᲩᲐ ᲝᲮᲣ ᲪᲔ ᲫᲐ ᲣᲜ ᲨᲣ ᲐᲐᲐᲡᲗᲣᲪᲣᲢᲔᲜᲝᲔ ᲨᲣᲩᲝᲔ

ბაილეთის წარწერების პირთაგან ცნობილი არიან მხოლოდ „გურიელი და დედოფალი ელენე“. მათზე ზემოთ ვილაპარაკეთ, ჯუმათის წარწერათა გარჩევისას. დანარჩენებს ჩვენ არ ვიცნობთ.

ბაილეთის შემდეგ მოსახილავი დამრჩა გურიის ორი ძეგლი, სახელდობრ, ციხე და ვაშნარი, რომელთაგან პირველი გურიანთად წოდებულ უბანში მდებარეობს. ორივე თავად ნაკაშიძეს ეკუთვნის. გურიანთა მდ. სუფსის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს, მთაგორიანი ადგილია, არა აქვს ხეირიანი გზები. მე გავემართე სამხრეთ-აღმოსავლეთით, გადავედი მდ. სუფსაზე და ავედი მთაზე ციხის ძველ ქვის ეკლესიაზე, რომელიც ღვთისმშობლის სახელზეა აშენებული. იგი სულ ერთიანად მოხატულია, მაგრამ ძალიან ვიწროა — მისი სიგრძეა 9 და სიგანე 6 ნაბიჯი. მისი ეკვდერი თავად ნაკაშიძეების აკლდამაა. ფრესკებიდან საინტერესოა სამი პორტრეტი მინაწერებით:

1) ᲐᲠᲐᲝᲧᲠ ᲩᲠᲧᲠᲣᲜᲐᲧ.

2) ᲞᲘᲜᲘ ᲐᲧ ᲧᲣᲧᲠᲩ. 3) ᲫᲣᲗᲜᲣ

აქ ვნახე სამი მომცრო ხატი მოოქრული ვერცხლის მოჭედილო-

ბით: ღვთისმშობლის, მთავარანგელოზის და წმინდა მარინესი და წმ. გიორგისა. მათი წარწერები ასეთია:

პირველზე

ᲨᲘ ᲐᲜᲓᲠᲔᲨᲘᲗ ᲛᲔᲜ ᲙᲣᲠᲘᲨᲜᲔ
ᲘᲡ ᲜᲐᲨᲘᲚᲘᲐᲜᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲜᲘᲡᲐᲜ ᲛᲝᲛᲜᲘᲜᲔ ᲘᲡᲜᲘᲜᲔ

ᲜᲔᲛᲡᲐᲠᲔᲨ ᲨᲔ ᲜᲔᲛᲝᲛᲔᲨ ᲫᲚᲐᲜ ᲡᲒ ᲐᲨᲚᲔᲨ ᲐᲠᲔᲜ
ᲨᲝᲚᲜᲔ ᲓᲔᲡᲙᲝᲜᲘᲛᲘᲜᲔᲜᲔᲜ ᲔᲠᲗ

მეორეზე: „ქ:. მოგვეცა ხატი მთავარანგელოზისა და წმიდისა მარინესი ბატონიშვილმან მამია და მეუღლემან მისმან თინათინ. იხსენით წაწყმედისაგან“.

ᲐᲜᲒᲔᲚᲝᲖᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲜᲘᲡ ᲛᲘᲜᲐᲬᲔᲠᲘ
ᲬᲝ ᲬᲘ ᲡᲒᲐᲜᲘᲐ ᲫᲐᲛᲘᲐᲛᲘ ᲐᲜᲬᲘᲠᲘ ᲛᲘᲜᲐᲬᲔᲠᲘ ᲫᲐᲛᲐ
ᲜᲘᲐᲜᲘ ᲛᲘᲛᲘᲜ ᲫᲐᲛᲘᲡ ᲛᲔᲣᲦᲚᲔᲛᲐᲜ ᲗᲘᲜᲐᲗᲘᲜᲘᲗ ᲘᲡᲔᲜᲘᲗ
ᲬᲐᲬᲧᲛᲔᲓᲘᲡᲐ�გᲐᲜ ᲨᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲐᲜᲒᲔᲚᲝᲖᲘᲡ ᲐᲠᲥᲐᲜᲓᲔᲚᲘᲡ
ᲨᲔᲛᲬᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲜᲐᲬᲔᲠᲘᲡ ᲐᲠᲥᲐᲜᲓᲔᲚᲘᲡ ᲒᲘᲠᲒᲘᲡᲘᲡ
ᲨᲔᲛᲬᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲜᲐᲬᲔᲠᲘᲡ ᲐᲠᲥᲐᲜᲓᲔᲚᲘᲡ ᲒᲘᲠᲒᲘᲡᲘᲡ
ᲘᲡᲜᲘᲜᲔ ᲜᲘᲜᲐᲨᲘᲫᲔᲡ ᲨᲘᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲜᲘᲡ

მესამეზე:

როგორც ვიცით, მამია გურიელებიდან თინათინი ცოლად ჰყავდა მამია II, რომელიც XVII ს. პირველ ნახევარში ცხოვრობდა. არა მგონია, მეორე წარწერა მათ გულისხმობდეს. ოთხმეზურები ამჟამად დვაბზუში ცხოვრობენ. ფრესკებზე და მესამე წარწერაში წარმოდგენილი ნაკაშიძეები, ვფიქრობ, სწორედ ისინი უნდა იყვნენ, რომლებიც ნახსენები არიან ციხის გულანის მინაწერსა და გურიის ზოგიერთ სიგელში.

ციხის გულანი ისეთივე ფორმატისაა, როგორც შემოქმედისა. კვინკლოსი აღარ გააჩნია, მაგრამ ალაგ-ალაგ მას აქვს მინაწერები, რომლებიც გვიხსნიან მისი შექმნის ისტორიასა და დროს და ამავე დროს აღნიშნავენ ვისი ბრძანებით და ვინ გადაწერა. ეს მინაწერებია:

„აღიწერა ნაკაშიძის ბეჟანის ბრძანებით:

ღმერთო, დაიცევ ნაკაშიძე ბეჟან, მეუღლე მისი თეთრუა ნიკა-

რაძის ქალი, ძე მისი გიორგი და მამუკა. პატარა მისი ხვაზანაჲ გაუზარდე.

ღმერთო და ამ გულანის მადლო, მოიხსენე შენსა ზეცისა სასუფეველსა ნაკაშიძე გიორგი, ამ გულანის აღმასრულებელი და მეუღლე მისი ერისთავის ქალი ზილიხან.

მე ცოდვილმან ტუსკია იოსებ გადმოვსწერე ამ გულანიდგან აღდგომის, ამაღლების, სულის წმინდის მოსვლის და ფერისცვალების მეტაფრასი ბრძანებითა გურიელის მამიასითა.

სახელითა ღვთისათა და ყოველთა წმინდანთა ღვთისათა მე ცოდვილმან მღვდელმან საბაჲ ჴელვყავ პატიოსნისა გულანისა ამის აღწერა ბრძანებითა პატიოსნის ნაკაშიძის ბეჟანისათა და პირმშოსა ძისა მისისა გიორგისათა ესე წმინდა, პატიოსანი სრული გულანი ჩემის ცოდვილის ხელით დამიწერია. . . . ამის წერაშიდ ჯუმათის გულანი გავაკეთე მე და ჩემმა თაბუნმა, კიდევ ღმთაების გულანი ჩავიგდე ჴელათ, მარტომ გავაკეთე ისიც, თვრამეტს წელიწადს განვასრულე...“

ჩემი სიგელ-გუჯრებით ჩანს, რომ გიორგი ნაკაშიძე, ძე მისი ბეჟანი და ვიღაც მამუკა ნაკაშიძე, ალბათ, წარწერითა და მინაწერით ნახსენები, მამია III და გიორგი IV გურიელების დროს ცხოვრობდნენ, ხოლო ბეჟანის ძე გიორგი — მამია IV დროს, როცა პირველად გამოჩნდება იოსებ ტუსკია, ჩვენთვის ცნობილი დამაარსებელი და პირველი წინამძღვარი — გურიის უდაბნოს მონასტრისა და მის დროს გადაიწერა შემოქმედის გულანი, რომელიც, უეჭველია, იგივეა, ამ მინაწერში მაცხოვრისად რომ არის წოდებული. ყოველ შემთხვევაში მღვდელი საბა შემოქმედის გულანის მინაწერებში დასახელებულია ამ უკანასკნელის გადამწერად. ჯუმათის გულანი აღარ არსებობს და მის არსებობაზე მე არაფერი მსმენია.

მოყვანილი ფაქტებიდან უნდა დავასკვნათ, რომ ციხის წარწერათა პირნი იგივენი არიან, რომლებზეც მოგვითხრობს ციხის გულანის მინაწერები, და რომ ისინი ცხოვრობდნენ XVII ს. პირველ ნახევარში და რომ, ბოლოს, ციხის გულანი შემოქმედისაზე ადრინდელია.

რაც შეეხება ვაშნარს, შეუძლებელია მას განსაკუთრებული ყურადღება არ მივაქციოთ. იქ გავემართე გრძელი, მაგრამ დაბალი უღელტეხილით, გზად შევიარე სოფელ ზედაუბანში, სადაც მომცრო ქვის გაბზარულ მთავარანგელოზის ეკლესიაში სამი ხატის წარწერებში იხსენიებიან უცნობი „იოანე კაჭაყმაძე“, „პაპუნა სვიმონიშვილი“, „გიორგი ჟვანიძე და მანელიშვილი“.

აქ საკმარისად მიმაჩნია მოვიყვანო ამონაწერი ჩემი ბარათიდან, რომელიც გურიაში ჩემი არქეოლოგიური ექსკურსიიდან დაბრუნების შემდეგ, 1874 წ. 4 იანვარს, წარვუდგინე „კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოებას“ ვაშნარში გათხრების წარმოების აუცილებლობის შესახებ. „... უწინარეს ყოვლისა ნება მიბოძეთ აღვნიშნო, რომ ვაშნარი პირველად 1833 წ. მოიხილა ფრანგმა მეცნიერმა დიუბუა დე მონპერემ, რომელმაც მის უღრან ტყეში აღმოაჩინა ძველი ციხე-სიმაგრის ნანგრევები და განსაკუთრებული სიზუსტით და საფუძვლიანად აღწერა.[52] დიუბუა ამ ადგილს შეცდომით უწოდებს უჯენარს ნაცვლად ვაშნარისა (ვაშლის სიმრავლის გამო), რა სახელითაც ცნობილია იგი. ეს ნანგრევები მას მიაჩნია ქალაქ პეტრას ნაშთად. ეს ქალაქი ცნობილია იმ ომის ისტორიიდან, რომელიც VI საუკუნეში ქ. შ. წარმოებდა ბიზანტიელებსა და სპარსებს შორის ლაზიკის ანუ ახლანდელი დასავლეთ საქართველოს დასაპყრობად. ამ ომში პეტრა უაღრესად თვალსაჩინო როლს ასრულებდა: ბიზანტიელების მიერ 541 წ. დაარსებული, იგი სპარსთა ხელში ექცევა და 551 წ., გაიფთრებული ბრძოლის შემდეგ, კვლავ ბიზანტიელთა ხელში გადადის, რომლებიც საძირკვლითურთ თხრიან მას. აკადემიკოსი ბროსე ერთ-ერთ თავის Additions à l'Istoire de la Géorgie-ში ერთგვარი ეჭვით მოეკიდა დიუბუას აზრს ვაშნარისა და პეტრას იგივეობის შესახებ.[53] აი ამიტომ იყო, რომ, როცა შარშან გურიის არქეოლოგიური შესწავლისათვის მიმავლინეს, მეცნიერებათა აკადემიის მიერ ჩემთვის გადასაწყვეტად დასახულ საკითხებში პეტრას საკითხიც იყო. პეტრას დათვალიერებისას, როცა ხელთ მქონდა ლაზიკისათვის ომის თანამედროვისა და ისტორიკოსის პროკოპის ცნობები პეტრაზე, დავრწმუნდი, რომ დიუბუა პოეტურმა გატაცებამ აცდუნა. თუმცა პეტრას ადგილს ზოგი ზღვასა და მდ. რიონის მარცხენა ნაპირს შორის მიუთითებს, სხვები იმ პუნქტის მახლობლად, სადაც ევქსინის პონტო სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ უხვევს, მესამენი კიდევ ქობულეთიდან ერთი საათის სავალზე,[54] მაგრამ ყოველ შემთხვევაში სწორია ის, რომ „პეტრას ერთი მხრიდან ზღვა ეკრა, მეორე მხრიდან — ფრიალო კლდეები, რაც მას მიუვალს ხდიდა, და რომ მასში შეღწევა შეიძლებოდა მხოლოდ ორ მთას შორის არსებული ვიწრობით და ამ ხეობას კეტავდა სქელი კედელი, რომლის ბოლო-

[52] Voyage... III, p. 86-94.
[53] Addit. et Éclaircis. à l'Hist. de la Géor., 1851, p. 86.
[54] Ibid.

ებში დატანებული იყო ორი კოშკი".[55] ვაშნარის ადგილმდებარეობა კი სრულიად არ უდგება ამ აღწერას. ვაშნარი მდებარეობს ზღვიდან 20 ვერსზე, ოდნავ შემაღლებულ ბაქანზე, მდ. ნატანების ორი უმნიშვნელო შენაკადის — საცივეს და სკურდების შესაყართან. იგი ყოველი მხრიდან გაშლილია: ახლომახლო არც ხეობაა, არც მთები, არც კლდეები.

ჩვენ არ ვიცით, არის თუ არა 541 წ. დაარსებული ბიზანტიელთა პეტრა ის პუნქტი, რომელიც შემდგომში ლაზიკის ოთხი საეპისკოპოსოდან ერთ-ერთის კათედრა იყო,[56] თუ იყო კიდევ სხვა პეტრა, ჩვენთვის უცნობი. ასეა თუ ისე, ვაშნარის ნაგებობანი, რომლებიც ორმაგ თუ სამმაგ კვადრატულ ფორტს ჰგვანან, რომელსაც, გარდა საცხოვრებლების შუაგულში, მრავალი კოშკი აქვს დატანებული, როგორც ამას აქ დართული ნახაზი გვიჩვენებს (დანართი II), არაფრით არ მოგვაგონებს სახელდახელოდ აღმართულ სიმაგრეს, როგორიც პეტრა იყო, მტრული მოსახლეობით გარშემორტყმულ ქვეყანაში ომის დროს აგებული. ვაშნარში საშენ მასალად თითქმის მეტწილად გამოყენებულია გურიანთიდან 7-8 ვერსიდან მოზიდული ბაზალტის ქვა. ვაშნარი წყალს იღებდა რამდენიმე ვერსიდან ალაგ-ალაგ ახლაც შემორჩენილი მიწისქვეშა მილებით. წყალსადენი გალავნის შიგნით ორ ტოტად იყოფა; ერთი მათგანი მიემართება უცნაური ხუთწახნაგოვანი შენობისაკენ, რომელსაც დიუბუა სპარსულ ათეშგაგს, ანუ საცეცხლეს უწოდებს, ნამდვილად კი იგი აბანო უნდა ყოფილიყო, სადაც აღმოსავლეთის მხრიდან ეშვებოდა დღემდე შემორჩენილი ქვის კიბე, შიგნით კი ირგვლივ საჯდომები იყო მოწყობილი და ორივე მხარეს ბოლოვდებოდა ნახევარწრის ფორმის ორი განყოფილებით. ვაშნარი, უნდა ვივარაუდოთ, ერთ-ერთი ბერძნული ახალშენი იყო, რომლებიც VI საუკუნიდან ქ. წ. მოფენილი იყო შავი ზღვის ჩვენს სანაპიროზე. მისი არშინნახევარი სისქის კედლების გეგმა და განლაგება ძალზე მკაფიოდ ჩანს, გარდა სამხრეთის ნაწილისა, რომელიც მეტწილად დაუნგრევია ამ მხარეზე გადმოვარდნილ მდ. საცივეს. კოშკებისა და საცხოვრებლის დიდი ნაწილი და აბანოს შენობა კარგად შენახულა: ჩამოქცეულა მხოლოდ მათი ზემო ნაწილი და არც ძალად დანგრევისა და არც ცეცხლის კვალი არ ეტყობა. შიგნითა ფასადები და განსაკუთრე-

---

[55] Lebeau, Histoire du Bas-Empire, t. IX, p. 44-47.

[56] In eparchia Lazicae habet metropolis Phasis sub se urbes aut episcopos quatuor: Rhodopoleos, Saesinorum, Petrorum, Ziganeorum (Stritter, Macmoriae Populorum, t. IV, p. 151).

ბით კვადრატული კოშკების კარების საპირეები მოპირკეთებულია საგულდაგულოდ გათლილი ქვით, რომელიც ბერძნული წესით ენაცვლება აგურების მწკრივს. განსაკუთრებით კარგად არის მოპირკეთებული აბანო, რომლის გარეთა მხარე თლილი ქვითვეა შემოსილი. ვაშნარის ნანგრევებში ნაპოვნია: სხვადასხვა ზომისა და ფორმის კერამიკულ ნაკეთობათა უამრავი ნამტვრევები; ყურიანი და უყურო შუშის ნაკეთობათა ნაშთები; სახურავი აგურის ფილები, კიდეგადაკეცილი, სწორედ ისეთი, სამთავროს სამარხებში რომ აღმოჩნდა მცხეთაში; კირისა და დაფხვნილი აგურისაგან შემზადებული ცემენტი, რომლითაც, ალბათ, შელესილი იყო კედლები, და რომელიც ძალიან ჰგავს იმ ბათქაშს, რამდენიმე წლის წინათ „გორგასლანის ციხეში“ რომ ვნახე უჯარმის მახლობლად ნდ. იორზე; ნაირ-ნაირი ჟანგმოდებული საგნები რკინისა და ბრინჯაოსი, თვით აბანოში ამოთხარეს: თეთრი მარმარილოს სვეტები; ამოღარული მარმარილოს ფილა (დანართი III); ფუძე, რამდენადაც მახსოვს, კორინთული სვეტისა და სხვ. ამ ნაშთებიდან ბევრი ადგილობრივ მემამულესთან, თავად დიმიტრი გიორგის ძე ნაკაშიძესთან ინახება. საგულისხმოა, რომ ზოგიერთ აგურზე, რომლებიც ნანგრევებიდან ამოიღეს, ისეთივე ნიშნები იყო, როგორიც ბ-ნ ბაიერნის მიერ 1872 წ. სამთავროში ნაპოვნ ფილებზე (დანართი IV).

„აქ აღნიშნული ნაპოვნები შემთხვევითია. ნუ დაგვავიწყდება, რომ ყველა კოშკი და საცხოვრებელი ვაშნარში თავამდე ამოვსებულია ჩამოქცეული ქვებით. მარტო მათი გაწმენდაც კი აღმოგვიჩენს ბევრ რამეს და ,ალბათ, წარწერებსაც. ვაშნარში არქეოლოგიური მუშაობის დროს გვერდს ვერ ავუქცევთ თავად დიმიტრი ნაკაშიძის დახმარებას, რომელსაც ძალიან აინტერესებს ეს ნანგრევები. მან უკვე გაწმინდა იგი ტყისაგან, დასახლდა იქ და აღადგინა შიგა კვადრატის სამხრეთის კედელი, სადაც ხეხილის გაშენებას აპირებს. მან მითხრა, თუ დამეხმარებიან, თვითონ მოვკიდებ ხელს ვაშნარის გაწმენდასა და გათხრასო. აქვე დავძენ, რომ ვაშნარისაგან ცოტა დაშორებით მან მიმითითა ძველ სასაფლაოზე, რომელიც მე არ მინახავს და რომელიც მას წარმართულად მიაჩნია“.

დასასრულ, უნდა ვთქვა, რომ „კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოებამ“ წელს ზაფხულში ვაშნარში გათხრების საწარმოებლად მოავლინა ბ-ნი ბაიერნი. შედეგი ჯერ არ არის ცნობილი.

ვაშნარიდან ოზურგეთს მივედი, სადაც ერთი კვირით გავჩერდი, რათა ძალა მომეკრიბა და შემეგროვებინა ეთნოგრაფიული

ცნობები, რასაც ოდესმე გამოვიყენებ; დამეთვალიერებინა პალიასტომის მიდამოები და ფოთი-ტფილისის რკინიგზით შემევლო ქუთაისში და მომეძებნა ჯუმათის სიგელ-გუჯრები, მაგრამ ამ გეგმას განხორციელება არ ეწერა, ვინაიდან ოჯახურმა მდგომარეობამ ტფილისს მიმიხმო. საფოსტო გზით გავემგზავრე და ნაგომარში, გაბრიელ, გურიის ეპისკოპოსის, საზამთრო რეზიდენციაში გავჩერდი. თუმცა მას უკვე შევხვდი ოზურგეთში, მაგრამ თავს მოვალედ ვრაცხდი გამოთხოვებისას დიდი მადლობა გადამეხადა ჩემს საქმეში. ერთხელ კიდევ ვიმეორებ: ჩემს წარმატებას გურიაში უპირატესად ამ სანდომიან მოხუცს უნდა ვუმადლოდე: მისი განკარგულებით მე მუდამ თან დამყვებოდნენ ბლაღოჩინები; ყველა თავის სამწყსოში, და მივყავდი საყურადღებო ადგილებში. მათსავე გავლენას უნდა ვუმადლოდე, რომ გურიაში ხანმოკლე ყოფნის დროს დიდძალი საერო სიგელები მოვაგროვე, რომლებიც შუქს ჰფენენ როგორც გურიის არქეოლოგიური საგნების წარწერებს, ასევე გურიის წარსულს. გაბრიელ ეპისკოპოსმა ფრიად მოწყალედ მიმიღო. მასთან ვნახე ორი საბუთი, რომლებიც გურიელმა გიორგი V და გენათელმა ექვთიმემ უბოძეს უდაბნოს წინამძღვარს იოსებ ტუსკიას, რომელიც, თუ არ ვცდები, იმავე გვარს ეკუთვნის, რომელსაც გაბრიელ ეპისკოპოსი. მე გზა განვაგრძე და ღამის გასათევად გავჩერდი ჩახატაურის სადგურში. ვისარგებლე ამ შემთხვევით და შევიარე თავად თომა გიორგის ძე ერისთავთან — იქნებ რამე საინტერესო ვნახო-მეთქი. იგი ახლოს ცხოვრობს სოფელ ბირკნალში. სამწუხაროდ, საგვარეულო საბუთები, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მის ძმას ივლიანეს ჰქონია ჩაკეტილი, რომელიც იმ დროს გურიაში არ იმყოფებოდა. მაინც მასთან ყოფნას ფუჭად არ ჩაუვლია: მე მისას რამდენიმე საინტერესო ნივთი ვნახე:

ჯერ ერთი, ჯვარცმის მომცრო ხატი, ბაჯაღლო ოქროსი მრავალი ძვირფასი თვლით, მაგრამ უწარწერო.

მეორეც, წმ. გიორგის მომცრო ხატი მოოქრული ვერცხლის მოჭედილობით. მას ასეთი წარწერა ჰქონდა: „ქ. შევამკვეთ ხატი ესე წმიდის გიორგისა წმიდათ ნაწილებით ჩვენ ერთისთავმან შარვაშიძემ გიორგი და თანამეცხედრემან ჩვენმან რაჭის ერისთავის ასულმა ხვარაშან სახსრად და საოხად სულისა ჩვენისა, ძეთა და ასულთა აღსაზრდელად და წარსამართებელად, ამინ. ქრისტეს აქეთ ჩ ღ ლ ვ (1736 წ.).

ამ გიორგის შესახებ იხ. ზემოთ მოკლე ტაბულა.

მესამედ, ვერცხლის ფეშხუმი წარწერით. „ოდიშის დედუფალი ნინა“.

მეოთხედ, ბეჭდური ქართული სახარება in 4, დიდებულ ხავერდის ყდაში ოქროს გამოსახულებებით. გურიის ეკლესიებში ბევრია ძველი ნაბეჭდი საეკლესიო წიგნი, მაგრამ ამ ნაბეჭდის ეგზემპლარები არსად არ გვხვდება არამცთუ გურიაში, მთელ საქართველოშიც კი. ყოველ შემთხვევაში მე ისინი ჯერ არ მინახავს და ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ვთვლით. მისი წინასიტყვაობა ასეთია:

„სადიდებელად წმიდისა სამებისა ჟამსა დიდად ამაღლებულის სრულიად რუსეთის და თვითმპყრობელის კეთილ-მორწმუნისა იმპერატრიცა ანნა იოანესითა, ბრძანებითა მეფის ბაქარის ვახტანგის ძისათა, შენდობითა და კურთხევითა წმიდათა მართლმადიდებელთა სინოდთა, საფასითა და წარსაგებელითა არქიეპისკოპოზის იოსებისათა გაკეთდა საბეჭდავი ესე და დაიბეჭდა წმიდა ესე სახარება დიდსა სამეუფოსა ქალაქსა მოსკოვს დასაბამითგან ვიდრე აქამომდე ᲩᲡᲛᲖ (7247), ქრისტეს აქეთ. ᲩᲦᲚᲖ (1737), ქორონიკონსა ᲣᲫᲗ (426), თვესა ივნისსა ᲘᲔ (15).

ჟამსა დიდად ამაღლებულის თჳთ სრულიად რუსეთის მპყრობელის და კეთილმორწმუნის იმპერატრიცა ანნა იოანესსა მე მდაბალმან არქიეპისკოპოსმან და კახეთის მწიგნობართ უხუცესის ქვაბულისძის თამაზის ძემან იოსებ ვიღაწე და გავაკეთებინე საფასითა ჩემითა სტამბა ესე ფრიადით შრომითა და თანა შემწეობითა გურამის შვილის მღვდელ-მონაზონის ქრისტეფორესითა“.

აქ ლაპარაკია ვახტანგ VI ძე ბაქარზე, რომელიც მამასთან ერთად გაემგზავრა რუსეთს 1724 წ.[57] და მოსკოვს გარდაიცვალა 1750 წ.[58] აღსანიშნავია, რომ როგორც ბაქარის მამამ ვახტანგმა, ისე თვით მან და მისმა ძმამ ვახუშტიმ, მიუხედავად მათი ცხოვრების ყოვლად არახელსაყრელი ვითარებისა, სახელი გაითქვეს მეცნიერების სიყვარულით და განსაკუთრებული ღვაწლით მშობლიური სიტყვიერების სასარგებლოდ. ვახტანგისა და ვახუშტის შრომა ცნობილია. რაც შეეხება ბაქარს, ვიცით, რომ მის მიერ მოსკოვში დაარსებულ ქართულ სტამბაში მისი ზედამხედველობით ქართულ ენაზე დაიბეჭდა ბიბლია, რომელიც ახლა ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა. ქორონიკონი 426, თუ მის დასაწყისს 1312 წლიდან ვიანგარიშებთ, 1737 წელს კი არა, 1738-ს შეესაბამება.

აქ ხსენებულ სახარებას ასეთი მინაწერი აქვს: „ესე სახარება

---

[57] Hist. de la Géor., t. II. livr. 1, p. 402, 592.
[58] Ibid., p. 628.

ბატონის დედუფლის ნინოს ნამზითვი ღმერთმან სიცოცხლეშიდ მოახმაროს, ამინ და კირიელეისონ".

თვითონ ნინო გამოსახულია დიდ სურათზე, რომელიც ზეთის საღებავითაა დახატული. იგი ნინოსათვის უჩუქებია იმპერატორ ალექსანდრე I. სურათზე წარმოდგენილია ფოთის ციხე-სიმაგრის აღება რუსთა ჯარების მიერ იმერეთ-სამეგრელოს ლაშქრის მონაწილეობით. ლაშქარს წინ უძღვის ცხენზე ამხედრებული ნინო; იგი ხმალამოწვდილი მიდის საიერიშოდ. ალყაშემორტყმული ციხე იწვის. ნინოს სახე აღფრთოვანებული და ენერგიული აქვს. საერთოდ, სურათი ოსტატურად არის შესრულებული.

ეს ნინო სხვა არავინაა, თუ არა საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის ასული, რომელიც 1791 წ. ცოლად გაჰყვა სამეგრელოს მთავარს გრიგოლს და სანქტ-პეტერბურგში გარდაიცვალა 1847 წ.[59] იგი დიდედად ერგება თომა ერისთავს, ვინაიდან დედამისი მარიამი ანუ ჩემი სიგელით ცნობილი გურიის მდივანბეგ გიორგი ერისთავ-შარვაშიძის ცოლი, თომას სიტყვით, გრიგოლ დადიანისა და ნინოს ასული იყო.

მეორე დღეს, 12 ოქტომბერს, დილით, როცა გასამგზავრებლად გავემზადე, ვიღაც ჩამოძონძილი გურული მოვიდა ჩემთან და გადმომცა ჭუჭყიან ჩვარში გახვეული გრაგნილი. ამ გურულს, როგორც გამოირკვა, თურმე ჰგონებია, რომ მე ძველ სიგელ-გუჯრებს ვაგროვებდი, რათა მთავრობისათვის განმემარტა ამ სიგელებით მინიჭებული უფლებები მათი აღდგენის მიზნით. მის მიერ მოტანილ გრაგნილს, ანუ საბუთს მან საგვარეულო სიგელი უწოდა. ასეა თუ არა, არ ვიცი, მაგრამ საბუთი კი ყველა იმათზე ძველი აღმოჩნდა, რაც გურიაში შევაგროვე. იგი ეკუთვნის XVI საუკუნეს, დაწერილია სქელ ეტრატზე. საინტერესოა თავისი შინაარსითაც, და ამიტომ სიტყვა-სიტყვით მომყავს:

„. . . . ღვთივ დამყარებულმან იესიან დავითიან სოლომონიან აღმოცენებულმან გურიელმან პატრონმან როსტომ და თანამეცხედრისა ჩვენისა ღვთივ გვირგვინოსანის ნეფისა ასულის დედოფლისა ბატონისშვილისა ბატონის თინათინისა და ძისა ჩვენისა ბატონის გიორგისთანა . . . . , ესე წყალობის წიგნი . . . . შეგიწყალეთ და გიბოძეთ ჩვენ მიზეულს ერთგულს ყმას იაშვილს მწიგნობარს გალობლებს მღვდელს ნასყიდა, ხოსიასა . . . გიბოძეთ იოთამ ფარხანიძისოული სასახლე თორმეტი კვამლი კაცებითა და შინა მოსამსახურითა, მისის მარნითა, ჭურმამულითა, ტყითა, წყლითა, საყდრის კარითა

[59] Hist. de la Géor., II, livr. 1, p. 634, 648.

სასაფლოიანათ, საყანითა, მისით უძებარ-საძებრითა. ასე რომე ისკურდას გამოღმა ჭინკაძის კარავს[60] მოღმა განძის ყვაურის თავს რომ წყალი ჩამოსჩქერის, იმას დაღმა და ბზვანის კიდესა კეჭიეთის საზღვარს და თუვაის ციხეს გადმოღმა, სამების სათაყვენეს ამოღმა თქვენთვის გვიბოძებია ნახევარი ბოხვაძის და ქობულიასი არის მოგვიცემია. ნადირიც რაც რამე მოკვდეს ამ ტყეში, ნახევარი თქვენ გერგებოდეს და ნახევარს ნურას დაიკლებთ შენ იმისი ნახევარი არ გეყვის ამაშიდ და იმათ თქვენი ნამეტნავი არ ეყვის. დღეს ასე გაგვირიგებია შეუშლელად. ამ ტყის ბაჟი, რაც დიდი ბაჟი არის, ის სჩვენოთ იყოს და დიდს ბაჟს გარეთ ბაჟი რაც მოვიდეს... ნახევარი შაუცილებლად თქვენ გქონდეს. ტყის მცველი თქვენთვის მოგვიცემია, ყოლოფერ სარჩენშიდ მოგვიცემია ტყის რუბი[61] სახლისი წესი ნახევარი ტყის მცველი ჭარმაკაძე, გოგრაჭაძე, ბოხვაძისა და ქობულიის არ არის და ემგენიძე და გოლიათიძე თქვენი ტყის მცველი არიან, ესე გაგვირიგებია. თუ ამ ტყის მცველმა თქვენი ნების არ ქნან და არ გაამონ რა, თქვენი კაცი დააყენეთ. წა~გ~ი გორის[62] საყდარიც თქვენთვის მოგვიცემია და მისი შემავალი კაცებით თქვენთვის მოგვიბარებია. სხვა მის დღეში გვარჩამომავლობით დიდი აზნაურიშვილი ხართ და ვინც ძალა და უსამართლობა გიყოს და ან რაც ფერით საქმით უპატიურობა და უკადრისი საქმე რამე გკადროს, ჩვენც დიდათ მიგიკითხოთ და რაც დიდებულს დიდს აზნაურიშვილს სისხლი და საუპატიო გასჩენოდეხ, თქვენც ისე დაგეურვებოდეს; თუ ვინმემ საყდარი ან სახლი გაგიტეხოს, ჯერ ღვთისა და ხატის შეცოდება დავსდვათ თავსა და რაც ღმერთი და ხატის კარის მყოფელის უნდოდეს, ის საქმე დაემართოს, თუ ვისმემ ღალატით და სიკვდილით დაგიმარცხოს ანუ თუ ვინმემ ქალი გაგილახოს და თქვენც უკადრისი საქმე გიყოს, სამასი საღბავი[63] ფლური, ერთი ჩაფხუნი საღარი[64] ულაყი ეკითხებოდეს და არაც თქვენს სახლის კაცს ეკადრებოდეს, ის სისხლი დაგეურვებოდეს:. აწ ამის მოღმა არც მოძმის სეული გეთხოვოს, არც სამქვრიო და არც მთასა ზღვასა შვა ბაჟი გეთხოვოს, არის ამისი მოწამე... ეპისკოპოსი ჯუმათელი, ჩხეიძე სიმონ, სახლთუხუცესი კვერღელიძე, გოგიბთეჯი ერისთავი, კობალაძე სეხნია, ქალაქთ უხუცესი გოჯასპი მახაძე და გიორგი მახაძე, ბახუტა და სეხნია მეოქია, ამილახორი თვითან ბახ-

---

60 კარავი გურიაში დღემდე ნიშნავს ყანის სადარაჯოს.
61 რუბი, ალბათ, ფულადი გადასახადია.
62 გორ-მაღალის ეკლესია ხომ არაა?
63 სიტყვა „საღბავი" აქ პირველად შემხვდა, მისი მნიშვნელობა არ ვიცი.
64 ჩაფხუნი საღარი ულაყი — ესეც არ ვიცი.

სათარ ბოხვაძე, ლოენინში კორშოლაძე... დამიწერია მე მდივანს ქარაზანიძეს დავითს". ხელს აწერენ: „გურიელი როსტომ, დედოფალი თინათინ".

ეს სიგელი საკმაოდ ნათლად აღნიშნავს იმ უფლებებს, რომლებითაც ძველთაგანვე სარგებლობდნენ გურიაში აზნაურთა გვარეულობანი. შესაძლებელი რომ იყოს გურიის უფრო მეტი ძველი სიგელ-გუჯრების შეგროვება, მაშინ, იქნებ, მათი ცნობების საფუძველზე შეგვედგინა გურიის მაღალი წოდების უფლებათა და პრივილეგიათა დაწვრილებითი კოდექსი, პრივილეგიებისა, რომლებიც, როგორც ჩანს, არაფრით არ განსხვავდებოდა დანარჩენი საქართველოს, როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის, თავად-აზნაურთა პრივილეგიებისაგან. სამწუხაროდ, როსტომის სიგელი ჯერჯერობით გურიის ერთადერთი ძველი სიგელია. გურიელი როსტომ, მამიას ძე, XVI საუკუნეში ცხოვრობდა. მატიანის მიხედვით, იგი გურიის მთავრობას შეუდგა 1534 წ., ხოლო გარდაიცვალა 1564 წ. და გურია თავის ვაჟს გიორგის გადასცა.[65] რომელი მეფის ასული იყო მისი ცოლი თინათინი, არ არის ცნობილი. ჯუმათელი სიმონ ჩხეიძე აქ პირველად გვხვდება. მეოქია ამილახორს არ ვიცნობთ. კობალაძეების გვარი, როგორც აცანის მაცხოვრის მონასტრის წარწერებიდან ჩანს, საპატიო საგვარეულო იყო გურიაში. ვფიქრობთ, თუ გავითვალისწინებთ, რომ ყველა მაღალი თანამდებობა გურიაში, ისე, როგორც ყველგან საქართველოში, ძველთაგან სამემკვიდრეო იყო, მაშინ იმ ფაქტიდან, რომ როსტომის დროს ერისთავობა კობალაძეთა გვარს ეკუთვნოდა, უნდა დავასკვნათ, რომ შარვაშიძეები მაშინ არ ცხოვრობდნენ გურიაში, ან ერისთავები არ ყოფილან.

ტფილისი. 1875 წლის 25 სექტემბერი.

V

გურიის სიგელ-გუჯრების გარჩევა. ამ თავის დანართები:

I. გურიელებისა და გურიის ერისკაცთა და სამღვდელოთა ბეჭდებისა და ხელმოწერათა ფაქსიმილეები;

II. კათალიკოს მაქსიმეს 1777 წ. ინსტრუქცია უდაბნოსა და ერკეთის წინამძღვრებს;

III. გურიის მდივანბეგების 1818 და 1822 წლების განჩინებათა ოქმები.

---

[65] Histoire de la Géor., t. II, livr. 1, p. 255-258.

I

წინამდებარე უკანასკნელ თავში მე განვიხილავ გურიის ძველ სიგელ-გუჯრებს. ამ სიგელ-გუჯრებს რომ ვაგროვებდი, მხედველობაში მქონდა მათი დახმარებით გამერკვია, როგორც გურიის ტაძრებისა და ხატების წარწერები, რომლებიც თავისთავად მეტწილად არ განსაზღვრავენ არც თავისი დაწერის და არც მათში აღნიშნულ პიროვნებათა და ამბავთა დროს, ისე მთავართა დროინდელი გურიის ინსტიტუტებისა და ცხოვრების ხასიათი. სწორედ ამ მიზნით გადმოვიღე ყველა იმ სიგელ-გუჯრის პირი, რომლებიც ხელში ჩამივარდა. ისინი ძალზე ბევრი აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ გურიის ყველაზე მნიშვნელოვანი ქარტიები, რომლებიც მითითებულია ჩემს სიგელ-გუჯრებში და რომლებიც, ჩემი აზრით, შეიძლებოდა გურიის ადრინდელი ეპოქების გასარკვევად გამოგვეყენებინა, ეგრეთ წოდებული დავთრები გურიის უპირველესი მონასტრებისა — შემოქმედისა და ჯუმათისა, ისე როგორც ამ მხარის ორი მთავარი გვარის — თავდგირიძისა და ერისთავ-შარვაშიძის საგვარეულო საბუთები, ნაწილობრივ გაქრა, ნაწილობრივ ჩემთვის ხელმიუწვდომელი აღმოჩნდა, მე მაინც მოვასწარი გადმომეღო ორასზე მეტი მათი ხელმოწერისა და ბეჭდის ფაქსიმილეთი.

ამ სიგელებს ქრონოლოგიური რიგით ვალაგებ, რამდენადაც შესაძლებელია ასეთი რიგის დაცვა მეტწილ საბუთებში ქრონიკონის უქონლობის გამო, რადგან უძველეს სიგელებს, ერთის გარდა, ქრონიკონი სულაც არ უზის, და უფრო გვიანდელებშიც ყოველთვის არ გვხვდება; ამ შემთხვევაში მე მშველის სიგელ-გუჯრების დალაგების ძველთაგანვე მიღებული წესი: ყოველ მათგანში სახელდებით არის აღნიშნული სიგელის ბოძების მოწმეები. ისინი ჩნდებიან ერთმანეთის მომდევნო სხვადასხვა სიგელში და ამით შესაძლებლობას გვაძლევენ დავადგინოთ საბუთების ქრონოლოგიური რიგი. ამასთან უნდა შევნიშნო, რომ ჩემ მიერ შეგროვებულ სიგელებში იშვიათია ისეთი, რომ მოხსენიებული არ იყოს იმდროინდელი რომელიმე ერისკაცი თუ სამღვდელო, როგორც მნიშვნელოვანი, ისე უმნიშვნელოც კი. ასეა თუ ისე, მათმა მოხსენიებამ სიგელებში ნათელი მოჰფინა გურიის მონასტრებისა და ეკლესიების წარწერათა თითქმის ყველა პირსა და მოვლენას. რაკი მოწმეებსა და სიგელ-გუჯრებს ასეთი მნიშვნელობა აქვთ, იმედი მაქვს პედანტობაში არ ჩამომართმევთ იმ წესს, რომელსაც მე მივდევ, — ყოველი სიგელის შინაარსის გადმოცემის შემდეგ ჩამოვთვალი ყველა მოწმეს, რომელიც ამ სიგელის ნამდვილობას ადასტურებს.

გარდა ამისა, გურიის სიგელ-გუჯრები საუკეთესო მასალაა გურიის მთავართა საგვარეულოს გენეალოგიური ტაბულის შესადგენად. ჯუმათისა და შემოქმედის წარწერებში მოხსენიებული ადრინდელი გურიელების შესახებ მე არც ერთი სიგელ-გუჯარი არ გამაჩნია; ჩემი სიგელებიდან უძველესი მხოლოდ XVI ს. მეორე ნახევარს ეკუთვნს, 1564 წელს გარდაცვლილი გურიელი როსტომის დროს, ხოლო უგვიანესი — დავით გურიელისას, რომელიც ახულგოსთან მოკლეს 1839 წ. აღსანიშნავია, რომ როსტომიდან დავითამდე გენეალოგიური კავშირი ჩემ მიერ შემთხვევით შეგროვებულ სიგელებში ერთხელაც არ წყდება. სიგელებისა და წარწერების მიხედვით შედგენილი გურიელთა გვარის გენეალოგიური ტაბულა თან ერთვის ამ თავს როგორც გურიელების, ისე გურიის ყველაზე გავლენიან სამღვდელოთა და ერისკაცთა ხელმოწერისა და ბეჭდების ფაქსიმილეთურთ.

რაც შეეხება ამ სიგელების მნიშვნელობას იმ საუკუნეთა გურიის ცხოვრებისათვის, რომლებსაც განეკუთვნებიან, ისინი ისეთსავე შუქს ჰფენენ ამ ცხოვრებას, როგორიც აღმოსავლეთ საქართველოს ცხოვრებას მოჰფინა აკადემიკოს ბროსეს მიერ დამუშავებულმა საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორის გუჯრებმა. მათში, მისივე სიტყვით რომ ვთქვათ, ნათლად ისახება კერძო პირთა სოციალური ცხოვრება, მხარის რელიგიური, სამოქალაქო და სამხედრო ინსტიტუტები; საკუთრების, ყიდვა-გაყიდვის, მემკვიდრეობისა და გასხვისების ჩვეულებითი სამართალი; გადასახადების სისტემა; სულისკვეთება, რომლითაც გამსჭვალული იყო ხალხის მასა; ურთიერთობა წოდებებს შორის და ხელისუფლებისადმი" და სხვ. (Voyage archéol. dans la Géor. ét dans l'Arménie, IV-e, Rapp., p. 2.). ამიტომ, შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ, რომ როცა შევაგროვებთ და გულდასმით გავაანალიზებთ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ყველა სიგელ-გუჯარს, რომლებმაც ასე უხვად მოაღწიეს ჩვენამდე, უხვი მასალა გვექნება საქართველოს სარწმუნო და დამახასიათებელი ისტორიის შესადგენად.

XVI ს.

გურიელი როსტომ

წყალობის წიგნი, რომელიც როსტომ გურიელმა და მისმა მეუღლემ, ბატონისშვილმა დედოფალმა თინათინმა და მათმა ძმამ გიორგიმ უბოძეს მღვდელ იაშვილს, „ჩვენ მზითეულს" ამ სიგელით როსტომი მას უწყალობებს იოთამ ფარხანაძის სოულ მამულს, ტყის

ბაჟის ნაწილს და სხვ. სიგელის მოწმენი: ეპისკოპოსი ჯუმათელი ჩხეიძე სვიმონ, სახლთუხუცესი კვერღელიძე გოგიბთეჯი, ერისთავი კობალაძე სეხნია, ქალაქთუხუცესი გოჯასპი მახაძე და გიორგი მახაძე, ბახუტა და სეხნია, მეოქია, ამილახორი თვითან ბახსათარ ბახვაძე, ლოენიში კორშოლაძე. სიგელი დაწერილია მდივან დავით ქარაზანიძის ხელით. ხელს აწერენ როსტომი და თინათინი.

გურიის ყველა სიგელიდან, რომლებიც ჩემს ხელთაა, როსტომის სიგელი, როგორც ზემოთ აღვნიშნე, უძველესია. მისი ტექსტი მთლიანად მოყვანილია ამ თხზულების IV თავში. ქართული მატიანეების ჩვენებით როსტომი გარდაიცვალა 1564 წ. და დაკრძალულია შემოქმედში (Hist. de la Géor., II, livr. I, p. 343). საგულისხმოა, რომ მხოლოდ ეს სიგელი მიაწერს გურიელებს ბაგრატიონებთან საერთო წარმოშობილობას (იესიან-დავითიან-სოლომონიან აღმოცნებულმან). თუ იაშვილი იმ იაშვილთა გვარს ეკუთვნოდა, რომლებიც ძველთაგანვე იმერეთში ცხოვრობენ, მაშინ როსტომის ცოლი იმერეთის მეფეთა სახლიდან უნდა იყოს. სიგელის მოწმეები და ზოგი მათგანის წოდება — ქალაქთუხუცესი და ამილახორი გვიანდელ სიგელებში აღარ გვხვდება; თუმცა წოდება ამილახორი გვხვდება ნიგოითის წმ. გიორგის ძველი ეკლესიის წარწერებში. ამასთან უნდა ვიფიქროთ, რომ ერისთავი კობალაძე ერისთავ შარვაშიძეთა წინამოადგილე იყო და რომ ეს უკანასკნელნი როსტომის დროს ჯერ კიდევ არ იყვნენ გურიაში.

ტიტული დედოფალი ძველად მხოლოდ მეფის მეუღლეს ეკუთვნოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც საქართველო წვრილ სამეფოებად და სამთავროებად დაიყო, მას განურჩევლად ხმარობდნენ როგორც დედოფლები, ისე მთავრის მეუღლეები, — ეს უკანასკნელნი თავიანთი ქმრების მიბაძვით, რომლებიც თავს ხელმწიფედ იხსენიებდნენ. მომდევნო სიგელების გარჩევისას, როცა საქმე ტიტულებს ეხება, სიგელების სიტყვა-სიტყვითს მნიშვნელობას ვიცავ.

სიტყვა სოული ანუ სეული — ბაითალმანი — თუ არ ვცდები, უპირატესად დასავლეთ საქართველოს სიგელებში გვხვდება; აღმოსავლეთ საქართველოს სიგელებში კი მის ნაცვლად მეტწილად იხმარება სიტყვები — ამოწყვეტილი, ამოვარდნილი, ბეითალამი.

გურიელი ვახტანგ I

სიგელი, რომელიც გურიელმა ვახტანგ გიორგის ძემ უბოძა ზარზმის ეკლესიას შემოქმედში და მის წინამძღვარს მათე გოგიტიძეს, მასში მოცემულია ცნობები ისლამის გავრცელების შესახებ საათა-

ბაგოში, ზარზმის მონასტრის მოშლისა და მოოხრების (ახლანდელ ახალციხის მაზრაში) და ზარზმის მონასტრიდან ჩამოსვენებული ფერისცვალების ხატის სახელზე, შემოქმედში ზარზმის ეკლესიის აშენების შესახებ. სიგელის მოწმეები: შემოქმედელი ეპისკოპოსი ბესარიონი, სახლთუხუცესი მაჭუტაძე რამაზ, ართუმელაძე ისაკ და ნაკაშიძე მამუკა. ვახტანგის ხელრთვა (იხ. დამატება I № 1).

ამ სიგელის ტექსტი იხ. შემოქმედის აღწერაში, სიგელის ჩვენებით ზარზმის ეკლესია აუშენებიათ ქორონიკონსა 260-სა (1572), გურიის მთავრის ვახტანგის ძმის მამიას დროს. ასე უნდა გავიგოთ სიგელის სიტყვები: „გურიელის ჩემის ძმის პატრონის მამიას გასამარჯვებლად“. ამასვე ამტკიცებს შემოქმედის ერთი წარწერაც. შემოქმედელი ბესარიონი და სიგელის სხვა პირნი უცნობი არიან.

XVII ს.

გურიელი ქაიხოსრო

სიგელი, რომელიც ვახტანგის ძემ ქაიხოსრო გურიელმა უბოძა ზარზმის კანდელაკს გოგიტიძეს. ამ სიგელით მან განაახლა „სიგელი ბოძებული ჩვენთა ძველთაგან“, ხოლო სიგელის მოშლისათვის ჯუმათელ-შემოქმედელ მალაქიას წყევლას მოუხმობს. ქაიხოსროს ხელრთვა. (დამატ. I, № 2).

მისივე სიგელი, რომელშიც დასახელებულია მისი ძე გიორგიც და რომელიც აჭის წმ. გიორგის მიეცა. მასში ქაიხოსრო ოდიშარებზე, ვამეყ დადიანზე, ლიპარტიანზე, ჭილაძეზე, მიქელაძეზე, ჯიჯავაძეებსა და ანჩაბაძეებზე ჯუმათელი სესეიშვილის სარდლობით (ჯუმათელი სესეიშვილი სარდალი იყო) გამარჯვების გამო სწირავს თავის სასაფლაოს, აჭის მონასტერს, რამდენიმე კომლ გლეხს და „ჩვენის სასაფლაოს წინამძღვარი დაგვისვამს იოსებ მეიერუსალიმე ჩვენის სასაფლაოს მეტოქად იყოს“.

ეს სიგელი იხილეთ აჭის ეკლესიის აღწერაში. შემოქმედის გულანის კვინკლოსის მინაწერის ჩვენებით ქაიხოსრო ჩამოუგდია ალექსანდრე იმერეთის მეფეს და მის ნაცვლად 1660 წ. გურიელად დაუსვამს დიმიტრი. პირველ სიგელში მოხსენიებული მალაქია გიორგი გურიელის ძე უნდა იყოს, ე. ი. ქაიხოსროს ბიძა, სწორედ ის, რომელიც შემოქმედის ერთ წარწერაში ნაჩვენებია 1658 წლის ქვეშ.

ჩემი აზრით, იოსებ მეიერუსალიმეზეა ლაპარაკი „ჩრდილოსა და აფხაზეთისა კათალიკოზი შემოქმედელი ნევსაძის“ ანუ ნემსაძის

მიერ (1661-1680 წ. Hist. de la Géor. II, livr. 2, p. 339) თაყა სალაქაძისა და მისი ძის მონაზონ ნიკოლოზისათვის ბოძებულ სიგელში, რომლითაც ნათ უწყალობებს აჭის წინამძღვრობას. აჭის წინამძღვრობა, ნათქვამია სიგელში, ძველთაგანვე თქვენთვის უბოძებიათ გურიელებს, ახლა წინამძღვარ იოსებს უჭირავს, მის გარდაცვალების შემდგომად ამ მონასტრის წინამძღვრობა შენთვის და შენი შვილისათვის — მონაზონ ნიკოლოზისათვის მიბოძებია, როგორც იგი პატრონ გურიელს უბოძებია საფიცით.

ათაბაგის ასული დედოფალი პატრონი თეკლე თაყა სალაქაძისა და მისი ძის ლიპარის სახელზე გაცემულ სიგელში ამბობს: თქვენ ჩვენი რისხვა დაგატყდათ თავს და ჩვენ წაგართვით ერთი კომლი გლეხი ლომკაცაი გობრონიძე და ჩვენ დავიკავეთ; მაგრამ შემდეგ ჩემი გურიელის შუამდგომლობით თქვენგან ქრთამი ავიღეთ და კვლავ დაგიბრუნეთ „ჩვენსა და ჩემის გურიელის გიორგის ერთგულობასა და სამსახურშიდ“ გობრონიძე მისი ოჯახით, ადგილ-მამულით, ტყით, წყლით და ეკლესიის კარით. სიგელის მოწმეები: აქაური უხუცესი თაგდირიძეს ქალი თამარ, მისი ძე ბეჟანი, თამარის კარის მოძღვარი წინამძღვარი ლაზარე, მამუკაი ცინცაძე, გიორგი თაგდირიძე, იმერიდაი სხალაძე და მოხელე ივანე ნაკაშიძე. სიგელი დაიწერა ბეჟუნა დალენძინშვილის ხელით. ორი ხელრთვა და ბეჭედი გაირჩევა.

სიტყვა „ქრთამი“ ძალზე ხშირად გვხვდება გურიის სიგელებში „საფასის, საჩუქრის, გამოსასყიდის“ მნიშვნელობით.

საგულისხმოა, რომ გურიის სიგელებში მხოლოდ ორ-სამგან ნანს ქალი მოწმედ. გამოთქმა „უხუცესი თაგდირიძის ქალი“ უნდა ნიშნავდეს „უხუცესის ქალს“, ან უნდა ვივარაუდოთ, რომ თამარს მართლაც ეკავა უხუცესის თანამდებობა თეკლეს კარზე. ის გარემოება, რომ თეკლეს სიგელში მოხსენიებულია მხოლოდ „ჩემი გურიელი გიორგი“, გვაფიქრებინებს, რომ სიგელის ბოძებისას იგი ქვრივი იყო და თვითონ გიორგი — ჯერ კიდევ მცირეწლოვანი. ხომ არ არის ეს თეკლე ვახტანგ გურიელის ცოლი, ქაიხოსროს დედა და გიორგი III-ის დიდედა, რომელიც თამარის სახელით (შეიძლება მონაზვნობაში თეკლე) იხსენიება შემოქმედის ერთ წარწერაში და აკადემიკოს ბროსესთან (Hist. de la Géor., II, livr. 1, p. 268 n. 2)? თვითონ თამარ თაგდირიძე, ეს სავსებით უეჭველია, ის თამარია, რომელიც ერთ სიგელში მოხსენიებულია როგორც „თაგდირიძის ასული ბატონი თამარ, მონაზვნობაში თეკლე“. ეს სიგელი მას უბოძებია ზედუბანის მთავარანგელოზთა ეკლესიისათვის. ამ სიგელით

თამარი ეკლესიას სწირავს მისი ცოდვების შესანდობლად და შვილის ბეჟანის გასაზრდელად ერთ კომლ გლეხს, რომელიც ვალდებულია, ეკლესიის სასარგებლოდ ჩვეულებრივი გადასახადის გარდა, ყოველ წელიწადს 8 ნოემბერს მისი სულისთვის აწირვინოს ოთხ მღვდელს და ამისთვის გადაიხადოს გარკვეული ბეგარა (ნატურალური გადასახადი), და ეკლესიას მისცეს ერთი ლოღარიკი ($^1/_2$ ოყა, ანუ $1^1/_2$ გირვანქა) ცვილი.

ცინცაძეები, ჩანს, ბათუმის მემამულეები იყვნენ. იხ. ჩვენი ნარკვევების I თავში მოყვანილი სიგელი. ცინცაძის ბეჭედი. (დანართი I, № 3).

გურიელი გიორგი III

სიგელი, რომელიც გურიელმა გიორგიმ უბოძა თაყა სალაქაძესა და მის ძეს ლიპარს. ამ სიგელით იგი მათ ათავისუფლებს ხეობასა და ციხეებში სამსახურისაგან. „სამისდღესოდ ხეობა და საციხიონე გარდაგვიწერია. ვერას დროს ვერც ხეობაზედ გიმსახუროთ და ვერც საციხიონე გთხოვოთ“. სიგელის მოწმეები: მისი, გიორგის, სიძე გიორგი თაგდირიძე, სახლთუხუცესი რამაზ მაჭუტაძე და ოთარ გუგუნავა. გიორგის ხელრთვა.

მისივე და მისი დედის ხვარამზეს სიგელი (ხელმწიფე გურიელი პატრონი გ~ი და დედა ჩემი დედოფალი ბატონი ხვარამზე). ამ სიგელით ბოქაულთუხუცეს მირზაბეგ თაგდირიძეს ებოძება მაჭუტაძისა და მელიმონაძისეული გლეხები ჭახათში, ჩაქვში, აჭყვის მისადგომთან, აცანასა და ქობულეთში მათი ჯალაბით, „ჭურ-მამულით“, მარნით, ეკლესიის კარით, სახნავ-სათესითა და ყოველი „უძებრით და საძებრით“. სიგელის მოწმეები: მისი, გიორგის, სიძე გიორგი თაგდირიძე, სახლთუხუცესი ოთარ ბერიძე, მესტუმრეთუხუცესი გიორგი ბერიძე; მეღვინეთუხუცესი მამუკა ნაკაშიძე, მეჯინიბეთუხუცესი გიორგი მახაძე, მოლარეთუხუცესი გიორგი კვერღელიძე, კარის მესტუმრე ვახუშტი სარჯვაძე, ერისთავი გიორგი, მიტროპოლიტ-ჯუმათელი მაქსიმე, ხინოწმინდელი მაქსიმე, გიორგისა და ხვარამზეს ხელრთვა.

გიორგის დედა ხვარამზე უნდა იყოს გოშაძის ასული, მოხსენიებული ზემო ხეთის ეკლესიის წარწერაში. ჯუმათელი მაქსიმე, მგონი, ის შერვაშიძე უნდა იყოს, რომელიც შემოქმედის გულანის კვინკლოსის წარწერით, 1685 წ. გარდაიცვალა და რომლის მონაცვლე გახდა იოანე ბერიძე 1687 წ. იხ. ზემოთ შემოქმედის აღწერაში. ხინოწმინდელი მაქსიმე ამის მეტად აღარ გვხვდება და უცნობია, რაც

შეეხება მირზაბეგსა და გიორგი თაგდირიძეს, მათ ვხვდებით — პირველს აკეთის მაცხოვრის ეკლესიის წარწერაში, ხოლო მეორეს იქვე გრძელ ეპიტაფიაში, რომელშიც იგი მოხსენიებულია ქაიხოსრო გურიელის სიძედ; მაშასადამე, მას ცოლად ჰყოლია გურიელი გიორგი III-ის და. მისგან გვაქვს თაყასათვის ბოძებული საინტერესო სიგელი. ამ სიგელში ნათქვამია: გიორგი ხოსროიშვილი და ბუში ივანე ღალატისათვის დავიჭირეთ, „დასაშავებელად გვინდოდა, კიდეც ვაშავებდით", მაგრამ შენი თხოვნით ორივე ძმა მოგყიდეთ მათი ჯალაბობით.

მისივე სიგელში იგი თავის თავს დადიან-გურიელს უწოდებს, ხოლო თავის ძეს ქაიხოსროს — პირმშოს. იგი ამ სიგელში სეხნია გოჩარიკიძეს ეუბნება: შენ ვაჟი არ გყავდა, ქალი კი შენს ნაშვილებს იოანე სალუქაძეს მიათხოვე. ახლა მას ვუწყალობებთ ყველაფერს, რაც შენ გაქვს: ტყეს, წყალსა და ეკლესიის კარს. მოწმეები: სახლთუხუცესი იოანე მაჭუტაძე და ბოქაულთუხუცესი... დადიან გურიელი. გიორგის ხელრთვა.

XVIII ს.

გურიელი მამია III

გურიელი მამია და მისი მეუღლე, აბაშიძის ასული ელენე სოფელ შემოქმედის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის სახელზე გაცემულ სიგელში ამბობენ: ვწირავთ ერთ კანდელაკს „სასაყდრეთ", რადგან ძველიდან ჩვენი სახლის გურიელებსა და დედოფლებს გარდაცვალების შემდეგ ერთ ღამეს ამ ეკლესიაში დაასვენებდნენ. მერე ჩვენ ეს ჩვეულება მოვშალეთ და მის სანაცვლოდ თქვენს დეკანოზს იოანე ჩხატარეიშვილს ვალად დავდეთ წიროს ჩვენი დღეგრძელობისათვის, ჩვენი პირმშოს გურიელი გიორგის გაზრდისა და წარმატებისათვის და ჩვენთა ძეთა და ასულთა სახსენებლად; შენს დეკანოზს, მის ძესა და შთამომავლობას პირობას ვაძლევთ, რომ არც მთავრები და არც ჩვენი სახლის კაცები არ გაყიდიან მათ, არც უსამართლოდ დაესხმიან თავს, და არ გაყიდიან მათ გლეხებს და უკანონო გადასახადებს არ მოსთხოვენ. სიგელის მოწმეები: შემოქმედელი იაკობ დუმბაძე, ერისთავი გიორგი შარვაშიძე, ბოქაულთუხუცესი მირზაბეგ თაგდირიძე, სახლთუხუცესი იოანე მაჭუტაძე, მეღვინეთუხუცესი ბეჟან ნაკაშიძე და ქალაქთუხუცესი მამუკა ნაკაშიძე. მამიას ხელრთვა და ბეჭედი არ გაირჩევა.

შემოქმედელი იაკობ დუმბაძე ყველაზე ცნობილ შემოქმედელ-

თაგანია. მასზე მოგვითხრობენ შემოქმედის წარწერები. იქვეა დღემდე დაცული მისი კუთვნილი ხელნაწერი „ფუთკარი“, რომელიც შემოქმედის აღწერაში გავარჩიე. გარდა ამისა, შემონახულია იაკობ დუმბაძის ნასყიდობის წიგნი, რომლის მიხედვითაც მოწმეებისა და შუაკაცის თანდასწრებით ყიდის მიწის ნაკვეთს „შუბალაურს ზარდას დაღმა“.

იგივე მამია თავის ყოვლად გულმოდგინე და ერთგულ გიორგი ერისთავის სახელზე გაცემული სიგელით უბოძებს მას საჯავახოში გორმაღალის მონასტერს მისი „შემავლით“, სამწყსოს გარე გლეხებს და ყოველივეს, რაც მის წინამძღვარს აქვს. მოწმეები: ბოქაულთუხუცესი გიორგი თაგდირიძე, სახლთუხუცესი იოანე მაჭუტაძე, ქეშიკთუხუცესი მამუკა ართუმელაძე და მოლარეთუხუცესი ერდაშელ შალიკაშვილი. მამიას ხელრთვა.

გურიელი მამია (ხელმწიფე ბატონი გურიელი), თავის მეუღლე (დედოფალი ბატონი) ელენესა და ბატონიშვილ გიორგისთან ერთად თავის სიძეს გიორგი შარვაშიძეს უბოძებს ყოველ საჯავახოს. ამის საბაბად აღნიშნული ის არის, რომ „საჯავახოელებმა მიღალატეს და ჩემს თავს მეფე არჩიეს, გიორგი კი ჩემი ერთგული დარჩაო“. სიგელის მოწმეები: ბეჟან ნაკაშიძე და როსტომ გოგიბერიძე. სიგელი დაწერილია გაბრიელ მდივნის ხელით. მამიას ხელრთვა.

დედოფალ ელენეს წიგნი გაბრიელს თაყათურთ და მის ძმას იოანეს. მასში ნათქვამია: პატარა რამისათვის გავურისხდი შენს შვილს თაყას და ამან ჩვენში უსიამოვნება ჩამოაგდო, მაგრამ თქვენი ვედრებით ჩვენ პირობა მოგეცით, კვლავ კეთილმოწყალედ შეგხედოთ შენ და შენს შვილს. ჩვენ ზიანს არ გიზამთ, ჩვენი ძე არ წაგართმევს ნაწყალობევ მამულს, და თუ ვინმე გაბედავს და თავს დაგესხმის, ჩვენ დაგიფარავთ. სიგელს ადასტურებენ: ელენეს ძე შემოქმედელი ნიკოლოზი, ბატონიშვილი ბესარიონი, ალექსანდრე კვერღელიძე, ტიმოთე ჭყონია და კვერღელიძის ასული თამარი. სიგელი დაწერილია ხინოწმინდელი ექვთიმე ართუმელაძის ხელით. ელენეს ხელრთვა.

მამია III, ქართული მატიანეების სიტყვით, 1717 წელს გარდაიცვალა (Hist. de la Géor., II, livr. 1, p. 65). ჩვენ ხელთა გვაქვს სიგელი, რომელიც ამ მამიას სვიმონ იმერთა მეფემ (+ 1700 წ.) უბოძა. ამ სიგელში სვიმონი ჰყვება, თუ როგორ მოკლეს იმერლებმა და აბაშიძემ მამამისი ალექსანდრე, ასევე როგორ ჩამოაგდეს ტახტიდან სულთნის დასმული ბიძამისი გიორგი. სიგელს ამოწმებენ სვიმონის სიმამრი გიორგი აბაშიძე, ერისთავი შოშიტა, გიორგი ლი-

პარტიანი, . . . ხუცესი მირზაბეგი, ერისთავი გიორგი, კათალიკოსი გრიგოლი და გენათელი ნიკოლოზი. უკეთუ მამიას ცოლი ელენე ამ სიგელში მოხსენიებული გიორგი აბაშიძის ასული იყო, მაშინ სვიმონ მეფე, მამია III და გიორგი აბაშიძე ახლო მოყვრები ყოფილან. გურიელი გიორგი IV-ის დროინდელი სიგელებიდან ცხადი გახდება, რომ ელენე ქმრის სიკვდილს მოსწრებია, მაგრამ მისი გარდაცვალების დრო უცნობია.

გურიელი გიორგი IV

სიგელი, რომელიც ხელმწიფე გურიელმა გიორგიმ, მისმა მეუღლემ, შარვაშიძის ასულმა ბატონმა მარიამ, პირმშომან მათმან მამიამ და ბატონმა დედოფალმა, გიორგის დედამ, აბაშიძის ასულმა ელენემ უბოძეს ერთგულ შინაყმას თაყას. ამ სიგელით თაყას ებოძა ლიხაურში ხარაზი შავისშვილი და მისი ძმა ხუცესი ოჯახით, სახლკარით, მამულით, ეკლესიის კარით და ყოვლითურთ. სიგელის მოწმეები: გიორგის დედა ელენე, გიორგის ძმა შემოქმედელი ნიკოლოზ, იოანე მაჭუტაძე და კაცია, მამუკა ნაკაშიძეები და „სრულ ჩვენი დარბაზის ერნი უზენაესნი და უქვენაესნი. ხელიც გულის მართლით ჩაგვირთავს, ქრთამიც აგართვით, რითაც ჩვენი გული შეგვჯერდებოდა". სიგელი დაწერილია არქიეპისკოპოს ხინოწმინდელ ექვთიმეს ხელით. უზის გიორგის ბეჭედი (დანართი I, № 4).

მისგანვე და დედამისის ელენესაგან გაბრიელ თაყაშვილისათვის ბოძებული სიგელი. მასში ნათქვამია: რადგან შენ ჩვენი ნებით მიათხოვე შენი ქალი შენს შვილობილს ბაბუა-ამაღლებელს, მე ფიცით აღგითქვი და ამიტომ მთელ ჩაბიას სოულ მამულს შენს სიძეს ვაძლევ. სიგელს ადასტურებენ: ჭყონდიდელ-გენათელ-ჯუმათელი გაბრიელი, შუა და მოწამე არის ბეჟან ნაკაშიძე და სხვა ჩვენი დარბაზის ერნი. სიგელი დაიწერა გაბრიელ მდივნის ხელით. ხელრთვა: ხელმწიფე გურიელი გიორგი (დანართი I, № 5 (1).

ამ სიგელში ნახსენებ ჩაბიასოულზე ჩვენ მოგვეპოვება „გადაწყვეტილობის წიგნი", რომელიც ბეჟან ნაკაშიძეს მიუცია გაბრიელ თაყაშვილისა და მისი ძმისათვის. ამის წინაზე, ნათქვამია სიგელში, კურთხეულმა ბატონმა შენ მოგაქრთამა ჩაბიასოული, შემდეგ ერთი მიზეზით მანვე წაგართვა და მისცა მემკვიდრე ბატონიშვილს, „ჩემს დის წულს", რომელიც ძმამ სტამბოლში ჩაიყვანა, იგი ადგილი კი დარჩა (უპატრონოდ). დასასრულ ბეჟანი ამ ხელწერილით ისევ უბრუნებს მამულს გაბრიელს.

გიორგი გურიელის, მისი მეუღლის დადიანის ასულის დედო-

ფალ ბატონ ხვარამზეს და მათი ძის მამიას სიგელი ერთგულ და სანდო მსახურს ერისთავ გიორგი შარვაშიძეს სამემკვიდრეოდ. ამ სიგელით გიორგის ებოძა ყველაფერი, რაც მამამისს ეჭირა საჯავახოსა და სურებში. სიგელში ნათქვამია: მამაჩემისაგან და ჩემგან მამაშენსა და შენ ნასყიდობით და წყალობით გქონდათ მამული საჯავახოსა და სურებში. ახლა რადგან გავრიგდით და სიგელის განახლებისათვის წინასწარ გამოგართვით ქრთამად 500 მარჩილი, ისევ გიბოძეთ . . . და სხვ. სიგელის მოწმეები: ბოქაულთუხუცესი გიორგი თაგდირიძე, შემოქმედელი იოანე, ბეჟან ნაკაშიძე და გაბრიელ თაყაშვილი. სიგელი დაიწერა ბოქაულთუხუცესი მდივნის... ხელით. გიორგის ხელრთვა და ბეჭედი. (დანართი № 6).

მარჩილი აღმოსავლეთ საქართველოში შეესაბამებოდა ახლანდელ 60 კაპიკს ვერცხლით. (Hist. de la Géorg., II, livr. 2, c. LXXIX). ძნელია გარკვევით ითქვას, თუ რა ფასი ჰქონდა მას ძველად დასავლეთ საქართველოში. გურიის ზოგიერთი სიგელისა და განჩინების ოქმიდან, რომლებსაც ამ თავის ერთ-ერთ დანართში განვიხილავთ, ჩანს, რომ იმერულ და გურულ მარჩილს შორის განსხვავება იყო, თუმცა არ ვიცი როგორი. გარდა ამისა, ოქმები ასხვავებენ ძველ და ახალ გურულ მარჩილს. გურიაში მითხრეს, რომ ძველ მარჩილში თითქოს 52 ფარა იყო (ფარა — 1/4 კაპ.). ყოველ შემთხვევაში, ბოლო დროს იმერეთში მარჩილი შეესაბამებოდა 52 ფარას. (Актъ. Кавк. арх. кон; т. V, стр. 475). ახალში კი 40 ფარაა.

დედოფალ დადიანის ასულ ხვარამზესაგან ჩვენ გვაქვს განსაკუთრებული სიგელი, რომლითაც იგი ღვთისმშობლის(?) ეკლესიას სწირავს ორ დეკანოზს — გაბრიელსა და იორდანეს (ტრაპეზად შემოგვიწირავს) მისი დღეგრძელობისა და წარმართებისათვის. ისინი კისრულობენ ხვარამზესათვის წირონ „ცხრასა/ჟამსა". ხვარამზესა და მისი ქმრის გიორგის პორტრეტები მოიპოვება ჯუმათის ტაძრის ფრესკებს შორის. ხვარამზეს ბეჭედი. (დანართი № 7).

გიორგისავე სიგელი ქაიხოსრო მახარაძეს, რომელსაც უმტკიცებს მისსავე ყოფილ გლეხს ნიგარეიშვილს, ამასთან, მან, გიორგიმ, ქრთამად მიიღო ორი ცხენი და 20 მარჩილი. მოწმეები: გიორგი გურიელის ძმა ლევანი, მამუკა ართუმელაძე და თაყა. გიორგის ხელმოწერა და ბეჭედი. (დანართი № 4).

მოგვეპოვება ლევან გურიელის ორი სიგელი, რომლებიც მას უბოძებია ბეჟან ნაკაშიძისათვის. პირველით ნაკაშიძეს ებოძა ორი დეკანოზი მათი ოჯახებითა და ყოველითურთ გამოჩინებულში, რაც ძველთაგან, ნათქვამია სიგელში, შენი იყო და ბოძებული გქონდა ჩემი ძმისაგან. მოწმეები ბოქაულთუხუცესი გიორგი თაგდირიძე,

ბეჟან ნაკაშიძის ძე გიორგი, ქეშიკთუხუცესი ხოსია ჭყონია და გაბრიელ თაყაშვილი. (დანართი I, № 8). მეორე სიგელით მას ებოძა მესტუმრეთუხუცესობა, რაცო, ამბობს ლევანი, მამაშენს ძველთაგანვე ჰქონდა და შენვე დაგიტოვა ჩემმა ძმამ გიორგი გურიელმა, ახლა მე გიმტკიცებ და სანამ ჩემი სახლის კაცნი გურიელები იქნებიან, შენს სახლს ნუ წაერთმევა ეს სახელიო. შუაკაცი და მოწმე წასულა — ფაშა თაგდირიძე, გიორგი მაჭუტაძე და იოანე ნაკაშიძე. ლევან-ხანის ხელრთვა და ბეჭედი. (დანართი I, № 8).

ამ სიგელის შინაარსი გვიჩვენებს, რომ ამ დროს გიორგი გურიელი აღარ იყო ცოცხალი და ლევანი თითქოს გურიის გამგებელია. ძმისწულის უასაკობის გამო ხომ არა?

გიორგისავე სიგელი „ჩემსა გაზრდილსა ნაპატივებსა" თაყა სალუქაძესა და მის შთამომავლობას. ამ სიგელით მას უბოძებს რამდენიმე გლეხს, რომლებიც უნაშიეროდ გადასულ ჯავახს ეკუთვნოდნენ. მოწმეები: გიორგის ძმა შემოქმედელი ნიკოლოზი, ერისთავი გიორგი, გიორგი ნაკაშიძე და ბახუტა ართუმელაძის ძე ბეჟანი. სიგელი დაწერილია გიორგის მდივნის ხელით. გიორგის ხელმოწერა. (დანართი I, № 5-2).

გიორგისავე სიგელი, რომლითაც იგი იმავე თაყას საშვილიშვილოდ უბოძებს საკუთარ მამულს აჭის ტყეში შემოსავლითა და წყლით. მოწმე ბახუტა ნაკაშიძე. სიგელი დაწერილია გიორგის მდივნის ხელით. გიორგის ხელრთვა. (დანართი I, № 9).

შემოქმედელი ნიკოლოზი, „ძე მამიასი", შემოქმედის ერთ-ერთ წარწერაში მოხსენიებულია 1713 წლის ქვეშ. შემონახულა მისი ორი სიგელი, ერთი ბახუტა ნაკაშიძისა, ხოლო მეორე წინამძღვარ იოსებ თაყაშვილისათვის ბოძებული.

პირველში ნათქვამია: თქვენ „მამა ჩვენის მამებული ბრძანდებოდით და ჩვენი კეთილისმსურველი, ამიტომ წყალობა გიქენით და გიბოძეთ საშემოქმედლოს უხუცესობა ჩვენი მამულიდან კუთვნილი შემოსავლის მიღების უფლებით. მეორე სიგელით იგი (ბატონიშვილი შემოქმედელ მიტროპოლიტი ბატონი ნიკოლოზი) იოსებს ქრთამათ უბოძებს ერთგული და დაკარგული იოანე რუსიშვილისეულ მიწის ნაკვეთს. ნიკოლოზის ბეჭედი. (დანართი I, № 10).

გურიელი მამია IV

გურიელი მამია ამტკიცებს ვახტანგ გურიელის მიერ წინამძღვარ მათე გოგიტიძის ძმისწულისათვის ბოძებულ სიგელს, რომელშიც, სხვათა შორის, ლაპარაკია შემოქმედში ზარზმის მშენებლობაზე.

ამიერიდანო, ამბობს მამია, ჩვენ ხელქვეითთაგან ნუ გეშინიათ ნურც სიკვდილის, ნურც დევნის, ნურც გაყიდვისა. თუ ვინმესაგან ეს შეგემთხვათ, მას თავს დაატყდეს ჩვენი ცოდვა და წყეულიმც იყოს ღვთისაგან და ყველა წმინდათაგან. მამიას და დედამისის მარიამის ხელრთვა. (დანართი I, № 11).

მამია თავის მეუღლე როდამთან ერთად ჯუმათს სწირავს იაკობ სარიშვილს. წინათაც, ნათქვამია სიგელში, იგი თქვენ გეკუთვნოდათ, შემდეგ ჩემს ხელში მოხვდა და ჩვენში რომ აშლილობა იყო, იმის მიზეზით თქვენ ბევრი უსამართლობა შეგემთხვათ. თქვენ მიერ წარმოდგენილი ძველი დავთარი გაგიახლეთ და კვლავ გწირავთ სარიშვილს ჯალაბობით, სახლ-კარითა და მამულით. მისი გაყიდვის შიში ნუ გექნებათ. სიგელის მოწმეებად დასახელებული არიან: კანდელაკი იოანე, ჯვარისმტვირთველი ლიპარ კუპრაძე, ბახუტა ნაკაშიძე, ნიკოლოზ ჭყონია, მოურავი მამია რუსიძე და ოთარ თავართქილაძე. სიძველის გამო ბეჭედი არა ჩანს.

მამია და მისი ცოლი როდამი მოხსენიებული არიან გრიგოლ მესვეტე ტუღუშის მიერ ჯუმათისათვის მიცემულ სიგელში. მასში ნათქვამია: გლეხი მახარობელი ნაკაშიძე, რომელიც მთავარანგელოზს (მთავარანგელოზის ეკლესიას) ეკუთვნოდა, მოკვდა და მისი შვილი მამია გურიელმა ნიკოლოზ კობალაძეს მისცა, მაგრამ თქვენი შუამდგომლობით მამიამ და მისმა მეუღლემ როდამმა ნება მოგვცეს გამოგვეყიდა და შეგვეწირა ძალთა არხისტრატიგისათვის, თანაც ისინი თვითონ შეგვეწიენ ფულს.

ჩემი აზრით, მამია IV ეკუთვნის დიდი ბეჭედი, რომელიც აღნიშნულია I დანართში მე-12 ნომრით და რომელიც უცნაური შემთხვევის გამო შემორჩა ჩვენს დრომდე, რადგან საყოველთაო ჩვეულებით გურიელების გარდაცვალების შემდეგ მათს ბეჭდებს სპობდნენ. მე ეს ბეჭედი დიმიტრი ქაიხოსროს ძე გურიელის ოჯახში ვნახე.

გურიელი მამია ასკანის ციხის მოურავს იოანე ასათიანსა და მის შთამომავალთ წყალობის წიგნით აძლევს რვალისშვილის სოულ მამულში მოსახლე ერთ კომლ გლეხს მთელი მისი ქონებით. სიგელის მოწმეები: საყვარელ ნაკაშიძე, ბეჟან ბოლქვაძე, ზაალ ჯაყელი, ხელოსანი: ბეჟია კვაჭანტირაძე, გაბრიელ თალაქვაძე, იესე მჭედლიძე და კარის ყველა უზედაესნი და უქვედაესნი. სიგელი დაიწერა კარის წინამძღვრის იოსების ხელით. მამიას ბეჭედი. (დანართი I, № 13).

მისივე სიგელი იმავე იოანე ასათიანსა და მის შვილს გლეხის

გაბრიელა დოლიძისა და ძმისწულების წყალობის შესახებ მთელი მათი ქონებით. სიგელის მოწმეები: ხინოწმინდელი იოანე, წინამძღვარი იოსები, ზაალ ჯაყელი, საყვარელი ნაკაშიძე და იესე იორამიშვილი. მამიას ბეჭედი. (დანართი I, № 13).

ეს სწორედ ის ხინოწმინდელია, რომელმაც კინტრიშის ხეობაში ისლამის გავრცელების გამო იმერეთის მეფე სოლომონ I დროს პირველმა დატოვა თავისი კათედრა ხინოში და გურიაში გადასახლდა. იხ. მისი სიგელი ამის თაობაზე ხინოწმინდისა და გამოჩინებულის აღწერაში.

მამია გურიელისავე სიგელი, რომლითაც იგი ერთგულ მსახურს ბახუტა ნაკაშიძესა და მის შვილებს უწყალობებს გადაშენებულ გლეხს ხონელია ლესელიძეს მისი ჯალაბობითა და მამულით. სიგელის მოწმეები: გაბრიელ ღლონტი, როსტომ მაჭუტაძე, გიორგი გოგიტიძე და იოანე თაყაძე. სიგელი დაიწერა იესე შალიკაშვილის ხელით. მამიას ხელრთვა და ბეჭედი.

მისივე სიგელი წინამძღვარ იოსებ თაყაიშვილს. შენი თხოვნითაო, ამბობს მამია, სამარადისოდ „გადაგვიწერია საქვეყნო მოსავალი სალიანი". სიგელის მოწმეები: წინამძღვარი იოსები, საყვარელი ნაკაშიძე, ზაალ ჯაყელი, გიორგი ბერიძე და ბერი კვერღელიძე. სიგელი დაიწერა იესე მდივნის ხელით. მამიას ბეჭედი. (დანართი I, № 13).

ამ სიგელში მოხსენიებული ორი იოსებიდან, პირველი ჯერ აჭის წინამძღვარი იყო, შემდეგ შემოქმედის მიტროპოლიტი. თუ სწორია იმ ერთი შენიშვნის მითითება, რომელიც 1782-დან 1853 წლამდე იმერეთში მომხდარ მნიშვნელოვან ამბებს ჩამოთვლის, იგი გარდაიცვალა 1794 წ. მეორე იოსები გვარად ტუსკია იყო, იგი გურიელი მამია IV დროს დაწყებული და მისივე მთავრობაში 1749 წელს დამთავრებული შემოქმედის გულანის მინაწერებში მის ერთ-ერთ გადამწერად არის მოხსენიებული.

მომყავს აქ შინაარსი ერთი სიგელისა, რომელიც მამია IV დროს გენათელმა ექვთიმემ უბოძა იოსებ ტუსკიას: შენ, ნათქვამია სიგელში, ხელმწიფე გურიელი მამიას კარის წინამძღვარს იოსებ ტუსკიას და ყველა შენს სახლეულს, რომ შენ გაგზარდა და გაგაბედნიერა ჩემმა ბიძამ მაქსიმემ (ჯუმათელმა) და თვითონ ჩვენ ბევრი სამსახური გაგვიწიე, რის გამო და გურიელის ნებართვით როცა ჩვენს და ჩვენი მოადგილე ჯუმათელების დროს, „როდესაც საჯუმათლო მოიმწყსოდეს", გაძლევს მის ქორეპისკოპოზობას და ომოფორობას და ოქროს, ვერცხლის, სპილენძის, სანთლისა და ყოველივეს მეათედს. თქვენ უნდა ახლდეთ მღვდელმთავარს და უთქვენოდ ეპარ-

ქია არ უნდა მოიმწყსოდეს. სიგელი დაიწერა 1744 წელს და დაამტკიცა ყოველი იმერეთის კათალიკოსმა ბატონიშვილმა იოსებმა. მისი ბეჭედი (დანართი I, № 14).

უეჭველია, ამ სიგელში ნახსენები ექვთიმეს „ბიძა ჯუმათელი მაქსიმე" იგივე უნდა იყოს, რომელზეც შემოქმედის გულანის კვინკლოსის მინაწერში 1706 წლის ქვეშ ნათქვამია: „ამა ქორონიკონსა აფხაზი და მეგრელი მოუხდა ჩოჩხათს და ჯუმათელს შარვაშიძეს მაქსიმეს გაემარჯვა. გურიის სიგელებში ექვთიმე, როგორც ჯუმათელი, მხოლოდ ერთხელ იხსენიება 1767 წ. სიგელში. იგი, როგორც ჩანს, ერთ დროს გენათელიც იყო და ჯუმათელიც. თუ ექვთიმე მაქსიმეს ძმისწული იყო, მაშინ იგი გურიის ერისთავების შარვაშიძეთა საგვარეულოს ეკუთვნოდა.

მისივე სიგელი მამუკა ბერიძეს, რომელსაც ერისთავის შუამდგომლობით უბრუნებს მამიას მიერ წართმეულ რამდენიმე კომლ გლეხს. „მე გაგირისხდი, ნათქვამია სიგელში, და დაგიჭირე ისინი (გლეხები), მაგრამ შენ შემოგვეხვეწე და ერისთავის შუაკაცობით 12 ფრული მომართვი და ამიტომ გლეხებს ისევ გიბრუნებ და თუ შენ ვინმეს იშვილებ და მას გადასცემ გლეხებს, მე დამშლელი არა ვარ". სიგელს ადასტურებენ: შუაკაცი ერისთავი ზაალი, გიორგი და საყვარელი ნაკაშიძეები, გორჯასპ და გიორგი ბერიძეები, როსტომ მაჭუტაძე, ზაალ ჯაველი და გაბრიელ ღლონტი. სიგელი დაიწერა მდივან იესეს ხელით, უზის მამიას ბეჭედი (დანართი I, № 13).

ამ სიგელის განსამარტებლად ჩვენ მოგვეპოვება მამუკა ბერიძისა და მისი ცოლის, ვანელი ჩხატარაშვილის ასულის „მამაშვილობის წიგნი" საყვარელ ნაკაშიძისადმი. წერილში ნათქვამია: მე წინათაც მქონდა მამაშენის იმედი (ძუძუზე კბილდანადგი ვიყავი) და თანაც ნაკაშიძის „სახლის შვილობით", და მამული მაქვს დვაბზუში. მერე ბატონი გურიელი ცოტა გამიწყრა, მაგრამ ისევ წყალობა მიყო და დამიბრუნა ჩემი ქონება. იგი ქრთამს მთხოვდა, მაგრამ მე ვერ ვიშოვე; ამასთან ძე არ მყავდა და თქვენ დაგესესხეთ, მაგრამ ამაოდ. გურიელმა ნება დამრთო, ვინც გინდა იშვილეო, მე თქვენგან ავიღე მისი მისაცემი და მან თქვენ ჩემი ქონების მემკვიდრედ გიცნათ.

ორ ვალდებულების წიგნში, რომელთაგან ერთი ვინმე დათუნა (ალბათ დავითმა) შარვაშიძემ მამუკა ბერიძეს მისცა, ხოლო მეორე — ბეჟან ჯაველმა — საყვარელ ნაკაშიძეს, ნათქვამია: პირველში, რომ მამუკასაგან ისესხა $9^1/_2$ მარჩილი და დაუგირავა თავისი წილი საერთო მამულისა, ხოლო მეორეში, რომ ბეჟან ჯაველმა ნაკაშიძი-

საგან 15 დღით ისესხა 40 მარჩილი იმ პირობით, რომ თუ თავნს ვერ დაუბრუნებს ვასხით, საკუთრებად მისცემს თავისი გლეხის უფროს შვილს მღვდელ იოანე ცხომელიძეს.

ერისთავი დავითი და მისი ძმა ზაალი ლომისკარელი წმინდა გიორგის ეკლესიის სახელზე გაცემული სიგელით მის მრევლს ტრაპაიძეებს და საერთოდ მთელ მრევლს აძლევს მათ სარგებლობაში მყოფ ტყესა და წყალს მისი ნადირ-ფრინველითა და თევზით.

გორჯასპ ბერიძე უდაბნოს სიგელთა კრებულში იწოდება, როგორც „ერისთავის უხუცესი და ერკეთის სატახტო მამულის მოურავი". მან 60 მარჩილად გამოისყიდა ერისთავ მაქსიმესათვის დაგირავებული ბიჭი კაკალაიშვილი და შესწირა უდაბნოს მონასტერს. გორჯასპი კი მოიხსენიება მოწმედ სოლომონ მეფის (1) დროს ერისთავ ზაალის სიგელში, რომლითაც იგი უდაბნოს მამა იოსებს გირაოდ აძლევს ერთ კომლს, ვიდრე არ გადაიხდის 20 ფრულს სარგებლით.

მისივე სიგელი ხუცეს ივანე ახალაძეს, რომელსაც სამარადისოდ „გადაგიწერე საქვეყნო მოსაკრეფი თეთრი". მოწმეები: წინამძღვარი იოსები, საყვარელი ნაკაშიძე, როსტომ შალიკაშვილი, იესე მანელაშვილი, ამაღლების მღვდელი სვიმონი, დალაქი იესე და ხელოსანი პაპუნა ხუნდაძე. სიგელი დაიწერა იესე მდივნის ხელით. მამიას ბეჭედი. (დანართი I, № 13).

მისივე სიგელი ლანჩხუთის წმ. გიორგის მონასტერს. მასში ნათქვამია: ჩვენ მამა-პაპათაგან სიგელი გქონიათ, რომ დეკანოზი სვიმონ ცინცაძე „მეტრაპეზეთ" არის და ყოველ წელიწადს ოქტომბერში ჩვენთვის წირვას აღასრულებს. ამიტომ როგორც მისთვის, ისე მისი ძმისწულების ნიკოლოზისა, იორდანესა და ესესათვის და მათი შთამომავლობისათვის „ქვეყნის მოსაკრეფლობა თეთრისაგან გადაგვიწერია". მათ არ მოვთხოვთ არც...., არც ღომს, არც ღვინოს, არც საუდიეროს, არც საქვეყნო შემოსავალს, არც ლაშქრობასა და მგზავრობას. სიგელის მოწმეები: საყვარელ ნაკაშიძე, როსტომ მაჭუტაძე, პეტრე ჟორდანია, შავარდენ თალიყაყა და ხახუტა ებრელიძე. სიგელი დაწერა წინამძღვარმა იოსებმა 1762 წ. (დანართი I, № 13).

მისივე სიგელი ხახუტელა ბარამიძეს, რომელსაც წინანდებურად ათავისუფლებს სალიანისა და საუდიეროსაგან. მოწმეები: ვახტანგ გუგუნავა და მისი ძე ჩატი, ლაზარე ნაკაშიძე და გიორგი ბერიძე. დაწერა წინამძღვარმა იოსებმა. მამიას ბეჭედი. (დანართი I, № 13).

მისივე სიგელი, რომლითაც გიორგი თაგდირიძეს უბოძებს იესე

კერდინსა და მის ძმა რამშას ჯალაბობითა და მთელი ქონებით. მოწმეები: ერისთავი ზურაბი, მამუკა ართუმელაძე, ბახუტა და გიორგი ნაკაშიძეები, გაბრიელ თაყაიშვილი და ნიკოლოზ კობალაძე. დაწერა მდივანმა სვიმონმა.

მისივე სიგელი საყვარელ ნაკაშიძეს. წინათაც, ნათქვამია სიგელში, გლეხი იესე ჯავახი თქვენს მამა-პაპათ ეკუთვნოდათ. მერე იგი რაღაც საწყენის გამო გაგექცა და გმტრობდა, ახლა გული შეეცვალა და მოინანია. ჩვენ ისევ გიმტკიცებთ მას, ბედნიერებაში გემსახუროს. სიგელის მოწმეები: მამიას ბიძა შემოქმედელი ნიკოლოზი, როსტომ შალიკაშვილი, იესე გოგიტიძე და გიორგი ღლონტი. მამიას ბეჭედი. (დანართი I, № 13).

შემოქმედელ მიტროპოლიტი გიორგი საბაშვილის სახელზე გაცემულ სიგელში ამბობს: გიორგი საბაშვილს დაჭერილი ჰყავდა თავის კაცი შავიშვილი მისი ოჯახით. იგი ფულს სთხოვდა და ჩვენი პატივისცემით გაუშვა, მაგრამ მისი თავმდები ვერ იშოვა და ჩვენ გვთხოვა შეჩვენების წიგნი. ახლა თუ გაბრიელ შავიშვილი ოჯახით გაექცეს გიორგი საბაშვილს, ან ღირსად არა ემსახუროს, შეჩვენებულ იყოს ჩემგან, შეაჩვენოს ჩემმა მაცხოვარმა, ჩემმა ომოფორმა, ჩემმა ხატმა და ჯვარმა და ჩემმა კრებულმა; კრულ იყოს და წყეულ გაბრიელ შავიშვილი ოჯახითურთ; ვინც იგი შეიფაროს, მისი ბედისა იქნეს; ვინც სასმელი და საჭმელი მისცეს, ვინც ეკლესიაში შეუშვას და წირვა მოასმენინოს, ან სიკვდილის წინ აზიაროს, ან მკვდარი ნაკურთხ მიწას მიაბაროს, წყეულ იყოს ოჯახითურთ, დღე შეუმოკლდეს და წარწყმდეს საიქიოს. ქვა და მიწა დადნეს და მისი გვამი არ გაიხრწნას მიწაში.

მისივე საიმედო წიგნი სოფელ შემოქმედის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიას. ძველთაგანვე, ნათქვამია სიგელში, თქვენი კანდელაკი ჩხატარაიშვილი ჩვენი ოჯახისათვის ილოცვიდა. ახლა ჩვენ შენს დეკანოზს იესეს აღვუთქვამთ, რომ თუ იგი კვლავ ილოცავს ჩვენთვის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაში, ჩვენ ისევ ვამტკიცებთ მის სიგელს და პირობას ვაძლევთ მთელ მის სახლს, რომ ნურც გაყიდვის, ნურც აკლების, ნურც დევნის შიში ნუ ექნება, თუ ვინმე ჩემმა მორჩილმა რაიმე უსამართლო უქნას ჩხატარაიშვილის სახლს, მე ვაზღვევინო და დავიფარო ჩხატარაიშვილი. სიგელს ადასტურებენ: მახვა ნაკაშიძე, იოანე ჯაყელი და გაბრიელ ღლონტი. სიგელი დაიწერა სვიმონის ხელით.

ასეთსავე სიგელს აძლევენ იოანე ნათლისმცემლის ეკლესიას კანდელაკ იესეს თაობაზე გურიელი გიორგი და მისი მეუღლე მეფის ძის ასული დედოფალი მარიამ.

გურიელ მამიას უკანასკნელ დღეებზე ხელნაწერი „ქართველთ ცხოვრების“ ავტორი ნიკოლოზ დადიანი ამბობს: გურიელი მამია მოხუცებისაგან მოუძლურდა, უარი თქვა მთავრობაზე და ბერად აღიკვეცა; გურიელობა იპყრა მისმა ძმამ გიორგიმ.

გურიელი გიორგი V

სიგელი, რომელიც ბატონიშვილმა გიორგიმ და მისმა მეუღლემ დედოფალმა მარიამმა მიართვეს ჯუმათს. სიგელში ნათქვამია: იაკობ სარიშვილი წინათაც შენი კაცი იყო, მერე ჩემმა ძმამ ბატონმა გურიელმა მამიამ შენვე შემოგწირა. მეც ჩემი მხრივ ვაახლებ ჩემი ძმის სიგელს და შემოგწირავ სარიშვილს. ნურც ვინმე მოსთხოვს მას ნურც სალიანსა და ნურც სხვა ბეგარას. მოწმეები: ბეჟია და ოთარ თავართქილაძეები, ჯვარისმტვირთველი გიორგი კუპრაძე, ხელოსნები: გიორგი გუმბარაძე, იაკობ და ივანე ჯიჯიეიშვილები. გიორგის ბეჭედი (დანართი I, № 15).

გურიელი გიორგი და მისი შვილები სვიმონი და ვახტანგი სიგელს აძლევენ საყვარელ ნაკაშიძესა და მის შვილებს და უბოძებენ მამუკა ბერიძის სოულ მამულს. ამ სიგელის მიხედვით, ჯერ კიდევ ჩემმა ძმამ აიღო შენგან ქრთამი და მოგცა მამუკა ბერიძისოული მამული, ჩვენ ეს არ ვიცოდით და სხვას მივეცით, მაგრამ როცა შევიტყვეთ, რომ შენ შვილად ჰყავდი მამუკას და ის მამული უკვე შენ გქონდა ნაბოძები, და სხვ... სიგელის მოწმეები: გიორგი მაქსიმეიშვილი, გაბრიელ თაყაიშვილი, ბებური თიკანაძე, გიორგი ყიფიანი და ხოსია. სიგელი დაიწერა მდივან იესეს ხელით. გიორგის ხელრთვა. (დანართი I, № 16).

იგივე შვილებთან სვიმონთან და ვახტანგთან ერთად აძლევს სიგელს ერისთავის კარის მოძღვარს გიორგი ჟღენტსა და მის შვილებს და აღუთქვამს, რომ საერისთაოს საზღვართან მათ არავინ არ წაართმევს ხარსა და ძროხას და სხვა რაიმეს. მოწმეები: ერისთავები დავითი და როსტომი, ქრისტეფორეს ძე გიორგი მაქსიმეიშვილი, ბიჭია შალიკაშვილი და როსტომ მაჭუტაძე. სიგელი დაწერა წინამძღვარმა იოსებმა. გიორგის ხელრთვა. (დანართი I, № 16).

ამ სიგელში მოხსენიებული ერისთავი როსტომი სწორედ ის უნდა იყოს, რომელზეც ლაპარაკია უდაბნოს სიგელ-გუჯრების კრებულში. ჩვენ, ნათქვამია მასში, ერისთავის შვილი როსტომ შარვაშიძე ამ ნასყიდობის წიგნს მივართმევთ უდაბნოსა და თქვენს კრებულს, რომ ჩვენ რვა მარჩილად მოგყიდეთ გლეხი მოლარესშვილის სოული მამულის ჩვენი წილის ერთი მეოთხედი.

იგივე შვილებთან სვიმონთან, ვახტანგთან და ქაიხოსროსთან ერთად იაკობ გოგიტიძესა და მის გიორგის შვილებს გაბრიელსა და სხვებს: ძველთაგანვე, ნათქვამია სიგელში, შემოქმედის საწინამძღვრო თქვენ და თქვენს სახლს ჰქონდა ბოძებული და ჩემმა ძმამ თქვენ მოგანდოთ. ჩვენ განვაახლეთ თქვენი სიგელი და გიბოძეთ საწინამძღვრო სასენაკით, მამულით და საყანით. სიგელის მოწმეები: მისი, გურიელი გიორგის, ბიძა შემოქმედელი ნიკოლოზი, საყვარელ ნაკაშიძე, გიორგი თიკანაძე, სიგელი დაიწერა ბეჟან ჭყონიას ხელით.

გურიელი გიორგი იმავე შვილებთან ერთად წინამძღვარ იოსებ თაყაიშვილის სახელზე გაცემული სიგელით ათავისუფლებს მას სალიანისაგან: მოწმეები: საყვარელ ნაკაშიძე, გაბრიელ თაყაიშვილი, სვიმონ მაჭუტაძე, როსტომ თაყაიშვილი, ბუჭუ და ბეჟან შავარდენი. სიგელი დაიწერა გიორგი მაქსიმეიშვილის ხელით. გიორგის ხელრთვა. (დანართი I, № 16).

იგივე მეუღლე დედოფალ მარიამთან და შვილებთან — სვიმონთან, ვახტანგთან და ქაიხოსროსთან ერთად გურიამთის ღვთისმშობლის ეკლესიას სწირავს მღვდელ ივანე ცერცვაძესა და მის შვილებს გიორგისა და გაბრიელს, რომლებიც ძველი დავთრის მიხედვით თურმე ეკუთვნოდნენ ამ ეკლესიას. ამ სიგელის მიხედვით ცერცვაძეს არ უნდა გადახდეს „არც რა ბეგარა, არც ხარჯი, არც ლაშქრობა, არც უმართებულო გარდასახადი", ოღონდ ღვთისმსახურებისას უნდა მოიხსენიოს გურიელი.

იგივე იმავე შვილებთან ერთად აახლებს მისი ძმის მამიას მიერ დეკანოზ გიორგი ცერცვაძისათვის ბოძებულ სიგელს. მას, ნათქვამია სიგელში, არ მართებდა „საქვეყნო" ბეგარა, რასაც ჩვენც ვადასტურებთ, ამიტომ მას, მის ძმასა და შვილებს არ გადახდეს არც საუდიერო, არც ფულადი გამოსაღები. ყოველივე ეს გარდაგვიწერია. სიგელის მოწმეები: „შენი ბატონი" გიორგი ნაკაშიძე, საყვარელ ნაკაშიძე, როსტომ მაჭუტაძე, გიორგი თიკანაძე, პაატა მამულაშვილი და ლაზარე თოიძე. 1767 წ. გიორგის ბეჭედი. (დანართი I, № 16).

საუდიეროს სახელით დასავლეთ საქართველოში საერთოდ ცნობილი იყო ნატურალური გადასახადი (Акты Кавк. Археогр. Комиссии, т. V, стр. 475).

გურიის სამთავროს მთავარი გიორგი და მისი მეუღლე მეფეთა ასული მარიამი უდაბნოს მონასტერსა და მის წინამძღვარს იოსებს სწირავენ მდივან გიორგი კომახიძეს ცოლ-შვილითურთ. სიგელის მოწმეები: ხინოწმინდელი იოანე, გერმანე მესვეტე, ერისთავი და-

ვითი, მამუკა თავდგირიძე, საყვარელ ნაკაშიძე, ერდიშელ შალიკაშვილი, ზაალ ჯაყელი, შავარდენ და ნიკოლოზ ყორდანიები და სვიმონ ჭყონია. სიგელი დაიწერა გურიელის კარის წინამძღვრის იოსების ხელით 1771 წ. 7 აგვისტო. გიორგის ბეჭედი. (დანართი I, № 16).

იგივე შვილებთან სვიმონთან, ვახტანგთან, ქაიხოსროსა და მამიასთან ერთად მამუკა სალუქაძეს აძლევს სიგელს, რომელშიც აღნიშნულია, რომ გურიელის მიერ გურიაში სალიანის მოკრეფის დროს მან მამუკა გაათავისუფლა ქრთამით, რადგან მისი ძველი სიგელით აღმოჩნდა, რომ იგი არასოდეს არ იხდიდა სალიანს და ამიტომ, ნათქვამია სიგელში, გურიელებმა, მიტროპოლიტებმა და მემამულეებმა არც მომავალში გადაახდევინონ. მოწმეები: ოტია ჭყონია, მისი ძენი სვიმონ და დიმიტრი, ოთარ და ბეჟან თავართქილაძეები, გიორგი ჭყონია და გიორგი გიგინეიშვილი. სიგელი დაწერა ბეჟან ჭყონიამ 1772 წ. გიორგის ბეჭედი (დანართი I, № 16).

იგივე იმავე შვილებთან ერთად ბახუტა ნაკაშიძეს საშვილიშვილოდ უბოძებს შემოქმედის მოურავობას. სიგელში ნათქვამია: ბიძაჩემმა შემოქმედის მოურავობა შენ გიბოძა, მაგრამ მისი გარდაცვალების შემდეგ შემოქმედი მე დავიჭირე და მის მოურავად ჩემი ძე დავაყენე. მერე შენი ვედრება შევისმინე და შენ და შენს შვილებს მოგეცი . . . სიგელის მოწმეები: გიორგი მაქსიმეიშვილი, გაბრიელ თაყაიშვილი, ბებურ და ზაალ ჯაყელები, მამუკა დუმბაძე, ხოსია ყიფიანი, გიორგი მამიეშვილი. სიგელი დაიწერა მდივან იესეს ხელით 1775 წ. 13 ნოემბერს. გიორგის ბეჭედი. (დანართი I, № 16).

უეჭველია, ამ სიგელში მოხსენიებული „გიორგის ბიძა" არის შემოქმედელი ნიკოლოზი, გურიელი მამია III-ის ძე. თუ შემოქმედის წარწერის მიხედვით იგი ამ კათედრას 1713 წ. განაგებდა და თუ ამასთან დავუშვებთ, რომ იგი გარდაიცვალა ამ სიგელის დაწერამდე (1775 წ.) რამდენიმე წლით ადრე, მაშინ იგი შემოქმედლად ძალიან დიდხანს ყოფილა და ღრმა მოხუცი გარდაცვლილა. შეიძლება ასეთი დღეგრძელობა უცნაური გვეჩვენოს გურიის უაღრესად ნესტიან ჰავაში, მაგრამ ამის საწინააღმდეგოდ მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ აქაურ სამღვდელოთა შორის მე შევხვედრივარ მოხუცებს, რომელთაც კარგად ახსოვდათ XVIII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის ამბები.

მისივე სიგელი ბაილეთის ეკლესიას: ჩვენ, — ნათქვამია სიგელში, — ამ ტაძრის აღმშენებელთა მემკვიდრე, გურიელის ძე „მპყრობელი გურიისა", გურიელი გიორგი, ჩვენი მეუღლე ბაგრატიონის

ასული დედოფალი მარიამი, პირმშო სვიმონი და ვახტანგი, უმცროსები ქაიხოსრო და მამია". ეს სიგელი აახლებს ბაილეთის მთავარანგელოზთა ეკლესიისათვის მირთმეულ გუჯარს „ძველთა ჩვენთაგან შეწირული" მამულის შესახებ მის და მის გარდაცვლილ სახლეულთა სალოცავად. ნურავინ, განაგრძობს სიგელი, ნუ გაბედავს შეეცილოს ეკლესიასა და მის მღვდელს, რომელმაც ჩაუგდებლად უნდა ვვიწიროს ჩვენ და ჩვენს სახლეულს. ცოცხალთა და განსვენებულთა. ამ სიგელით ბაილეთის ეკლესიას სწირავს: 1) გვარამაძის სოულ მამულს ჩოჩხათში პარტახებითურთ, ამასთან ამ მამულზე ყველა მცხოვრებმა უნდა გადაიხადოს ოთხი ლოღარიკი სანთელი, გარდა ეკლესიისა და მისი დეკანოზის სხვა სამსახურისა; 2) რუსიძის სოულ მამულს, მისმა მცხოვრებლებმა ეკლესიას უნდა მიართვან ორი ლოღარიკი სანთელი და ამასთან სხვაფრივაც ემსახურონ ეკლესიასა და მის დეკანოზს; 3) გარდა ამ ნაკვეთებისა, მიწა, ტყე, წყალი და საყანე ოთარას — ტყე, რუხმელას წყლის ზემოთ და ქვემოთ, ღალისთვალის შესართავიდან კოტოროსღელის ქვემო წელამდე: 4) კიდევ საყანე საპურე და საღომე მამულეიშვილის საზღვრიდან თომნის ღელემდე და 5) კიდევ გოგერიყულის მერე, რომელიც 18 გოდრის მოსავალს იძლევა. სიგელს ამტკიცებენ: კათალიკოსი ქუთათელი მაქსიმე, გენათელი მიტროპოლიტი ეფთვიმე, ხინოწმინდელი იოანე, ცაიშელი მიტროპოლიტი ქრისტეფორე. გიორგის ხელრთვა (დანართი I, № 16). ბეჭდები: მაქსიმესი (№ 17), ეფთვიმესი (№ 18), ქრისტეფორესი (№ 19) და იოანესი (№ 20).

მნიშვნელობა სიტყვისა „მერე" იხ. ზემოთ „შედარებითს ლექსიკონში".

იგივე მეუღლე მარიამთან და იმავე ოთხ შვილთან ერთად შემოქმედის მამულს ათავისუფლებს სალიანისაგან. „შენს შემავალს, — ნათქვამია წყალობის წინაშე ნახევრად მდაბიური ენით, — საშემოქმედლოს სალიანს ვახდიებდით და თქვენმა მამულის კაცმა საშემოქმედლომ ყველამ ერთობით სალიანის გარდაწერა შემოგვეხვეწენ. მერმე ჩვენც გავშინჯეთ და საშემოქმედლოს სალიანი გარდაგვიწერია სამიდღენჩიოთ, რომ არც მე და არც შვილმა ჩვენმა და მომავალმან საშემოქმედლოს სალიანი ვერ სთხოვოს. ჩვენ ასე ამოგვიკვეთია და სიგელი დაგვიმტკიცებია. ან შენ შეიწირე მთასა მთაბორსა განბრწყინვებულო ხატო ღმთაებისა შემოქმედისაო. ჩვენდა სადღეგრძელოთ და ძეთა და ასულთა ჩვენთა აღსაზრდელთა. მას საუკუნესა სულისა ჩვენისა საოხად და საცხონებლად შეგვიწირავს რაც აჯა და შეძლება ჰქონდათ თქვენს მამულს. თქვენი მონას-

ტერი კარგად აშენონ და აკეთონ. სიგელის მოწმეები: ჭელმწიფის სოლომონის ქეშიკთუხუცესი ციხის თავი კაცი აგიაშვილი ქაიხოსრო, ჩვენი თავადი ერისთავი დავით, თავდგირიძე მამუკა, ნაკაშიძე კაცო, ბეჟან და გიორგი, მაქსიმეიშვილი ლომკაცი, ჯაყელი ბებურ და ზაალ. 1776 წ.

სიტყვა სალიანი თურქებისაგან არის შეთვისებული, თურქეთში ნიშნავს გადასახადს გუბერნიის, მაზრისა და უბნის ადმინისტრაციის შესანახავად. იქ სალიანის რაოდენობას საერთო ციფრით განსაზღვრავს მთავრობა და შემდეგ სოფლებზე ანაწილებს კომლთა რაოდენობის პროპორციულად. (г. Казбек. Три месяца в турецкой Грузии, Тифлис, 1875, стр. 37).

იგივე „ხელმწიფე ბატონი გურიელი გიორგი" უდაბნოს წინამძღვარ იოსების სახელზე გაცემული სიგელით მას აძლევს სამწყსოდ ჯუმათს. ჯერ კიდევ ჩემმა ძმამ, — ნათქვამია სიგელში, გიბოძა ეს მოწყალება. ჩვენც ჩვენდა თავად გაგიახლეთ ჯუმათელი მაქსიმეს და მისი შემდგომი გენათელი ექვთიმეს დამტკიცებული სიგელი. ეს სახელო შენ გეკუთვნის და შენს შემდგომად შენს სახლეულს; ამასთან შენს სასარგებლოდ მოიკრიფება ოქროს, ვერცხლის, სპილენძის, სანთლისა და ყოველივეს ათისთავი. ამის გარდა, შენვე მოგეცეს საბჭოს ნახევარი, რომელიც ჩვენს სახლში შემოვიდეს, „როდესაც ჩემმა გამოვიცვალო, ისიც შენთვის გვიბოძებია"; საძოვარი მთიდან დაბრუნებული ჯოგის ათისთავი: „ზუთხის სალამაზო (ბოლო) რამდენჯერ გაიჭრას ჩემთვის". „კალმახის მეათედი". სიგელის მოწმეები: ერისთავი მაქსიმე, მამუკა თავდგირიძე, საყვარელ ნაკაშიძე, გიორგი მაქსიმეიშვილი, ვახტანგ შალიკაშვილი, როსტომ მაჭუტაძე, ოტია და სვიმონ თავართქილაძეები. სიგელი დაწერილია 1776 წ. 22 ოქტომბერს. შემდგომში გვერდზე მიუწერიათ: როდესაც წინამძღვარი მიიცვალა, მისი ძმა და ძმისწული შემოგვეხვეწენ დაგვემტკიცებია ეს სიგელი, რაც შევუსრულეთ. ვახტანგის ბეჭედი. (დანართი I, № 21).

საბჭოს, ანუ სასამართლო გამოსაღების შესახებ, რასაც იმერეთში ახდევინებდნენ მდივანბეგთა სასარგებლოდ, იხ. (Акты Кавк. Археогр. Комиссии, т. V, стр. 490).

თუ რა ეკისრებოდა წინამძღვარ იოსებს ჯუმათის სამწყსოს შემოვლისას, ეს დაწერილებით არის გადმოცემული ინსტრუქციაში, რომელიც 1777 წელს უბოძა მას აფხაზ-იმერთა კათალიკოსმა მაქსიმემ. ამ ინსტრუქციის ტექსტი მომყავს II დანართში.

ზემოთ მოყვანილ სიგელში მოხსენიებული ერისთავი მაქსიმე უდაბნოს მონასტრის „სიგელ-გუჯრების კრებულში" იწოდება ჯუ-

მათელ მაქსიმეს ძმისწულის ძედ. იმავე კრებულში 1762 წლის ქვეშ მეფეთა ასულის ანუსიას ქმრის“ ერისთავ ზაალ შარვაშიძის ძმა მონაზონი მაქსიმე დასახელებულია ერკეთის მონასტრის წინამძღვრად. აქ ლაპარაკია ოთხ კომლ გლეხზე, რომლებიც ვახუშტის უყიდია 900 მარჩილად, შემდეგ 1000 მარჩილის ანგარიშში დაუკავებიათ ვახუშტისათვის ერისთავ გიორგისა და მის ბიძას მაქსიმეს და შემდეგ მონაზონ მაქსიმესათვის მიუციათ. იმავე „კრებულის“ მეორე ადგილას ერისთავ გიორგის ძე, მონაზონი მაქსიმე, რომელიც ერკეთს ზის, და უდაბნოს წინამძღვარი ადგენენ, რომ ერკეთის წინამძღვარს ირჩევდეს უდაბნოს და ერკეთის მღვდელმსახურთა დასი. მაშასადამე, პირველი მაქსიმე ერისთავი გიორგის ბიძა იყო, მეორე კი შვილი.

პირველის დასამტკიცებლად მოგვეპოვება საინტერესო სიგელი, რომელიც ერკეთის მონასტერს უბოძეს ერისთავმა გიორგი შარვაშიძემ და მისმა მეუღლემ ერისთავის ასულმა ხვარაშანმა (ბირკნალის 1736 წლის წარწერით იგი რაჭის ერისთავის ასული იყო). სიგელში ნათქვამია: ეს მონასტერი, რომელსაც გურიელები ძველთაგანვე ამკობდნენ, მერმე ჟამთა ვითარებისა და ჩვენი ქვეყნის გაუკაცრიელებისა გამო უგლეხოდ დარჩა. იმ დროს ჩემი ბიძა ჯუმათელი მაქსიმე ორ წელიწადს ქართლში იყო, რომ დაბრუნდა და ჩვენი დაქვეითება შეიტყო, მომელაპარაკა და ჩვენ, როგორც შევძელით, მოვკრიბეთ ჩვენი გლეხები და თქვენვე დაგიმტკიცეთ. ერისთავ გიორგის ბეჭედი. (დანართი I, № 22).

ეს მონაზონი მაქსიმე სწორედ ის ჯუმათელი ხომ არ არის, რომლის შემდეგაც ჯუმათის კათედრა ერისთავმა ნიკოლოზმა დაიკავა და „ქილილა და დამანას“ ხელნაწერის მინაწერი შეცდომით რომ მიაკუთვნებს მას ნიკარაძეების გვარს? იხ. ქვემოთ.

ერთი სიგელი, რომელიც მისი ბეჭდის (№ 22) მიხედვით ამ ერისთავ გიორგის გაუცია, ცხადყოფს, რომ ამ გიორგის სხვა ვაჟებიც ჰყოლია — ქაიხოსრო და ზაალი. ამ სიგელში იგი ამბობს:

მე, ერისთავი გიორგი, გაძლევ შენ, ჩემს შვილს ქაიხოსროს, ვალდებულების წიგნს, რომ შენი ძმა ზაალი მძევლად იყო თათრებთან ხუთ ქისაში (ქისა, ჩანს, 50 მანეთს უდრიდა). მე არ შემეძლო მისი გამოყიდვა და შენ გთხოვე შეწევნა: გამოგართვი ხუთი ქისა და შენ მის საზღაურად მთხოვე მამული. მე ჩემი ქონებიდან შენი კუთვნილი წილის ზევით გაძლევ ბერეჟულის სახლს მის მოჯალაბეებით, ამ სახლზე მიწერილ დოლიძეებს და აზნაურებს გიორგი, გორჯასპ და ბეჟან ბერიძეებს და სხვებს...

მისივე სიგელი უწმინდეს კათალიკოს მაქსიმეს სიგელში ნათ-

ქვამია: „ჩვენს ქვეყანაში ეპისკოპოზი არ იჯდა და ეკლესიები ოხრად იყო“ და თქვენ ჩვენი ერთგული მსახურის ჩვენგან ამორჩეული შვილი შემოქმედელად აკურთხეთ. შემოქმედის იარაღი — ომოფორი, მიტრა და სასანთლეები თქვენის ბრძანებით სამალავიდან გამოვიღეთ და უკლებლათ ჩავაბარეთ შემოქმედელს. სიგელი დაწერილია 1778 წ. 9 იანვარს, გიორგის ბეჭედი. (დანართი I, № 16).

სიგელი არ ასახელებს შემოქმედელს, მაგრამ უეჭველია, იგი იოსები (თაყაიშვილი) უნდა იყოს, რომელიც ჩვენი სიგელების მიხედვით ნიკოლოზის, „გურიელი გიორგის ბიძის“ შემდგომი იყო. უნდა შევნიშნოთ, რომ ნიკოლოზი მხოლოდ ერთხელ გამოჩნდება ამ უკანასკნელის სიგელებში. 1775 წლის სიგელით ვიცით, რომ ნიკოლოზის გარდაცვალების შემდეგ საშემოქმედლო თვითონ გურიელმა გიორგიმ დაიჭირა.

რაც შეეხება კათალიკოს მაქსიმეს, იგი სწორედ ის მაქსიმეა, რომელიც იმერეთის მეფემ დავითმა, გიორგის ძემ, ელჩად გაგზავნა იმპერატრიცა ეკატერინესთან და რომელიც 1775 წ. გარდაიცვალა კიევში. მისი სიკვდილის შემდეგ იმერეთში კათალიკოსობა გაუქმდა (Hist. de la Géorg., II, livr. 2, p. 439, 440).

იგივე და მისი შვილები — პირმშო სვიმონი და ვახტანგი აძლევენ სიგელს დეკანოზ სვიმონ ცინცაძესა და ძმისწულებს ნიკოლოზსა და იორდანეს და იესეს ძეს მახარობელს, რომლებიც „ჩვენი ძველი და ახალი მეტრაპეზე ყოფილხართ და ყოველს ზაფხულს გიორგობას ცხრა მღვდელი გვიწირვიდეთ თქვენი სანთელ-საკმეველით“ და ამიტომ თავისუფლდებიან გადასახადისაგან. არც თქვენ, ნათქვამია სიგელში, არც თქვენს მომავალს არ გადახდეს ქვეყნის მოსაკრეფლობა საური თეთრი, არც საუდიერო — ღომი, ღვინო და ხორცი, არ გთხოვოთ არც ლაშქრობა, არც მდგმურის დაყენება. მოწმეები: ლანჩხუთის მოურავები და მოხელეები დავით, გაბრიელ და პაატა ცინცაძეები, უხუცესები: შავარდენ ჟორდანია, თალიკაკი და ნიკოლოზი. სიგელი დაიწერა წინამძღვარ იოსების ხელით 1779 წ. გიორგის ბეჭედი. (დანართი XV).

იგივე შვილებთან ერთად „ერთგულ მსახურს“ იოანე ასათიანსა და მის შვილებს: მე, ნათქვამია, სიგელში, საძმო მამულს გთხოვდი და ჩემი ბრძანებით ერთი კომლი გლეხი გაბრიელ ვასაძე მისი „სახლ-კარით, ჭურ-მამულით“ დაუთმე იასელა ასათიანს; მაგრამ ახლა ამ წყალობის წიგნით პირობას გაძლევ, რომ არც მე, არც ჩემმა შვილმა არაფერი არ გთხოვოთ შენი ძმის ბეჟანის სოული მამულიდან. სიგელის მოწმეები: გიორგი, ბებურ და ზაალ ჯაყელები.

სიგელი დაიწერა მდივან იესეს ხელით. გიორგის ბეჭედი (დანართი I, № 16).

მისივე სიგელით მამუკა დოლიძეს, მამუკა აბუსერიძესა და გაბრიელ ჯიბუტს ებოძათ „გადაღმა ჭილაძის სოული ჯიჯავას ქვას და ნათორნალის დაღმა თათრის შარას და როჭიკას ღელეს ზეით მთა და ბარი". მოწმეები: ბერი ლევანიშვილი, გიორგი ჯაჯიკაძე, ამაღლების მოურავები: სვიმონ და შაქარ კალოიანები, ოტია ამაღლებელი,*1 ერისთავი გიორგი, ხახუტა ნანიძე, მამუკა მაჭუტაძე, პატარა ართუმელაძე, ბახუტა ნაკაშიძე და იოანე ჯაყელი.

მისივე სიგელი ხოსია და პაატა ტუღუშებს. თქვენი ბიძა, ნათქვამია სიგელში, უშვილოდ გადაეგო, მე გამოვიკითხე რაც მას დარჩა, შევიწყნარე თქვენი ვედრება და გიბოძეთ ყველაფერი, რაც მას ჰქონდა. მოწმეები: მოურავი ბეჟია თავართქილაძე, საყვარელ, გიორგი, მამუკა და სვიმონ თავართქილაძეები, ოტია ნაკაშიძე, მეღვინე გუმბარაძე და გოგია მოისწრაფეშვილი. სიგელი დაიწერა ბეჟან ჭყონიას ხელით. გიორგის ბეჭედი (დანართი I, № 16).

XVIII-XIX ს.

გურიელი სვიმონი

სიგელი, რომელიც „სრულიად გურიის მპყრობელმან გურიელმან ბატონმან სვიმონ" უბოძა მეწიეთის დეკანოზს, გაბრიელ კალანდაძის ძეს ივანეს. სიგელში ნათქვამია: თქვენ გვაჩვენეთ კათალიკოსისა და გურიელი მამიას სიგელი და წყალობა გვთხოვე და ჩვენ შეგიწყალეთ და გაგიახლეთ... და არ გადაგხდეს „ჩვენგან და ჩვენი მაგიერი კაცისაგან" არც სალიანი, არც ბეგარა, არც საუდიერო. ხევის სამსახური არც წინათ გემართა, და არც ახლა გემართოს. სიგელის მოწმეები: ალექსანდრე მაჭუტაძე, მოურავები: ივანე გოგიბერიძე, იესე და ქაიხოსრო კალანდაძეები და ხელოსანი დავითი. სიგელი დაიწერა 1789 წ. 11 აპრილს გიორგი მაქსიმეიშვილის ხელით. სვიმონის ხელმოწერა და ბეჭედი (დანართი I, № 23) და მამიას ბეჭედი (№ 24).

სიგელი, რომლითაც სრულიად გურიის მპყრობელმა, მისმა მეუღლემ, წერეთლის ქალმა დედოფალმა მარიამმა და მათმა ძემ სამუელმა მგალობელს აზნაურ გაბრიელ გოგიტიძეს საშვილიშვილოდ უბოძეს შემოქმედის მაცხოვრის ეკლესიის კანდელაკობა. სიგელს ადასტურებენ შემოქმედელი მიტროპოლიტი იოსები, გურიელის ძმა ვახტანგი, ოზურგეთის მოურავი როსტომ ნაკაშიძე, ხელოსნები:

ქაიხოსრო ღლონტი და გაბრიელ არობელიძე. 1790 წ. ბეჭდებიდან გაირჩევა მხოლოდ მარიამისა (№ 25) და იოსებისა (№ 26).

სვიმონ გურიელის სხვა სიგელები არ მოგვეპოვება. როდის გარდაიცვალა, არ ვიცით, მაგრამ მისი გარდაცვალების გამო ხელნაწერი „ქართველთ ცხოვრების" ავტორი ნიკოლოზ დადიანი ამბობს: „მას ჟამსა შინა (ე. ი. როცა გიორგის ძე დავითი იმერეთის ტახტისათვის ებრძოდა არჩილის ძეს დავითს) მოკვდა გურიელი სვიმონ და მემკვიდრე გახდა მისი მცირეწლოვანი ვაჟი მამია, მაგრამ გურიას განაგებდა დედამისი, ზურაბ წერეთლის და მარინე და მამიას ბიძა, გურიელის ძე ქაიხოსრო. მაშინ მამიას მეორე ბიძამ, გურიელის ძემ ვახტანგმა, რომელსაც შეშურდა მისი, მეფის (სოლომონ II) დახმარებით წარუღო მას გურია. ასე რომ, სოლომონის დახმარებით მამიას ხან ერთი ართმევდა გურიას და ხან მეორე; ბოლოს გურია დარჩა მამიას, რომელიც აქამომდე მთავრობს.

ერთი შენიშვნის მიხედვით, რომელიც ჩამოთვლის დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვან ამბებს 1784 და 1853 წლებს შორის, მარინე, „წერეთლის ქალი დედოფალი", გარდაიცვალა 1814 წ. 4 მარტს.

რაც შეეხება სვიმონ გურიელის შვილს, რომელიც ჩვენს უკანასკნელ სიგელში სამუელად არის წოდებული, ეს კალმისმიერი შეცდომა უნდა იყოს, რადგან სამუელი ამის მეტად აღარ გვხვდება და გურიაშიც მას სრულიად არ იცნობენ.

გურიელი ვახტანგ

სიგელი, რომელიც გურიელის ძემ ბატონიშვილმა ვახტანგ უბოძა „ჩვენს პირველს ეკლესიის მღუდელ-მთავრად დადგინებულს უფალს შემოქმედელ მიტროპოლიტს იოსებს". სიგელში ნათქვამია: უღმრთოთა აგარიანთა მძლავრობამ ისე შეაჭირვა მთავარი საყდარი და ტაძარი, რომ უბრალოცა მონაზონი და მღვდელი ვერ იცხოვრებდა შიგ: ჩვენი ქვეყანა ისე გაუკაცრიელდა, რომ თქვენ აქ არ გაგეძლებოდათ, ჩვენ გურიიდან ვერ გაგიშვით და ჯუმათის ეკლესიაში დაგადგინეთ და თქვენ გიბოძეთ. თუ ჩვენი ნებისა იქნებით და ერთგული, თქვენი სამწყსოს მიწასა და ეკლესიას არ გამოგწირავთ. სიგელს ადასტურებენ: ერისთავი დავითი, მისი ცოლი ჩიჩუას ასული მარიამი, უდაბნოს წინამძღვარი იოსები, ბერი (სახელია, მთარგმნ.) შალიკაშვილი, მოურავები: თიკანა ჟორდანია და ნიკოლოზი, მდივანბეგი ჭყონია, როსტომ ნაკაშიძე, კანდელაკი (სახელია, მთარგმნ.) გაბრიელი. სიგელი დაიწერა 1788 წ. 3 მაისს. ვახტანგის

ბეჭედი და ხელრთვა (№ 27). მარიამ ჩიჩუა (№ 28) და დავითის (№ 29) ბეჭდები.

იგივე „ხელმწიფის გურიელის ძე ბატონის შვილი“ ვახტანგ სიგელს უბოძებს იოანე ართალაყვას და მის ძეს გოგიას შთამომავლითურთ. შენო, ამბოს ვახტანგი, ჯუმათის ეკლესიის მკვიდრი გლეხი ხარ და ჯერ კიდევ მამაჩემმა გადაგიწერა სალიანი, ამიტომ გიმტკიცებ მის ბოძებულ სიგელს და ჩემი მხრივ გადამიწერია შენთვის როგორც „სახვანთქრო და საქართველო სალიანი“, ისე ლაშქრობა. სიგელის მოწმეები: ჯუმათის კანდელაკი გაბრიელი, ბეჟია, იესე და გიორგი თავართქილაძეები, საყვარელ ჭყონია, ბეჟან და ჟორდანია ზუბაიდელი, ბაილეთის ციხის მოურავი კაცია გოგინეიშვილი, მისი ძმა პაატა, როსტომ კუპრაძე და იესე ჯორბენაძე. ამის მომშლელი, ამთავრებს სიგელი, წყეულიმც იყოს შემოქმედელ მიტროპოლიტ იოსებისაგან. ხელმოწერა და ბეჭედი ვახტანგისა (№ 27), ლევანისა (№ 30) და იოსების ბეჭედი (№ 26).

ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ ნიმუში წყევლისა, რასაც ასე გულუხვად აფრქვევდნენ გურიის სასულიერო ხელისუფალნი, როგორც საერთოდ მთელ საქართველოში. ამ წყევლის ფორმულა თითქმის ერთი და იგივე იყო. აი კიდევ მისი ნიმუში: ყოვლად სამღვდელო შემოქმედელ მიტროპოლიტი იოსები „ჩემს მგალობელს გაბრიელ გოგიტიძეს და მის შვილებს“ სიგელით უბოძებს შემოქმედის მეომოფორობას. თუ ვინმე, განაგრძობს იოსები, ჩემს მოცემულ უფლებას გამოგწირავს, დასწყევლოს ჩემმა მაცხოვარმა, ჩემმა ხატმა და ჯვარმა და ჩემმა ომოფორმა; კრულ და წყეულ იყოს ხორცითა და სულითა; რომელმან დაამტკიცოს, ღმერთმან აკურთხოს.

ხელმწიფე ბატონი გურიელი ვახტანგ ბუჭუ ჟორდანიასათვის ბოძებულ წყალობის წიგნში ამბობს: „ბეჟან ჟორდანიას შვილი გოგია ჟორდანია მოკვდა და იმისი სოული ყმები გურიელმან გიორგი ბატონმა მამაჩემმა მისთვის დაიკავა და მერმეთ ბატონმა დედოფალმან დედა ჩემმან მეფის ასულმან გურიელს მოახსენა და მისი შუობით თამაზა ჟორდანიას მიაქრთამეს და წყალობად მისცეს და მას ხვდა. მერმეთ ბატონი გურიელი და დედოფალი რომ მიიცვალა, გურია მე დავიკავე და თამაზა ჟორდანია მე მახლდა და საწყალი ისიც მოკვდა და მისი წყალობა კაცები მე დავიკავე და სხვას ვაძლევდი, მაგრამ შენ შემომეხვეწე და წყალობა გიყავი და ქრთამიც აგართვი, რითაც გული შემიჯერდებოდა და გიბოძეთ... სიგელის მოწმეები: ჩემი ძმა ბატონისშვილი ლევან და დავით ბატონიშვილი, ალექსანდრე და სულა მაჭუტაძეები, მოურავი ჟორდანია ზუბაიდე-

ლი, ნოლმან შალიკაშვილი, ლომინ და ოთარ ნაკაშიძეები, ჟორდანია, ალექსანდრე და როსტომ ბუჭუკაიშვილი...“ სიგელი დაიწერა ბეჟან ჭყონიას ხელით 1796 წ. 9 მაისს. ვახტანგის ბეჭედი (№ 27).

იგივე „ჩვენს ერთგულს, ნათქვამია სიგელში, მსახურს როსტომ და ქაიხოსრო ერისთავებს. ჩვენ და თქვენ ერთი საეჭველი საქმე მოგვიხდა; ახლა ჩვენ ერთმანეთში პირობა დავდევით, რომ თუ ჩვენი ერთგულნი იქნებით; თუ ჩემს მეტს სხვა ბატონს არ ინდომებთ და ჩემს სამსახურს ამჯობინებთ სხვა ბატონის სამსახურს; თუ ძალისაებრ თქვენი შეწევნით ჩემს გაძლიერებას, თუ ჩემი მტრის მტერი იქნებით; თუ არ დაუმოყვრდებით ჩემს ძმას, არ მიათხოვებთ მას თქვენს ასულს, მაშინ თქვენ ჩემის კაცებისაგან ნურც სიკვდილის, ნურც დაკოდვის, ნურც მამულის წართმევის შიში ნუ გექნებათ. თუ მეფე ან დედოფალი თქვენი ოჯახის საქმეს ჩამაბარებს, თქვენს შეუტყობინებლად არაფერს ვიმოქმედებ. თუ მე მოვშალო ეს პირობა და გიღალატოთ, წყეულ ვიყო შვიდთა კრებათაგან, ათორმეტთა მოციქულთაგან და ოთხა პატრიარქთაგან, ამინ და კირიელეისონ. ვახტანგის ბეჭედი (დანართი I, № 27).

ქაიხოსრო ერისთავისა და მისი ძმის სვიმონისაგან მათი ბიძის როსტომ ერისთავისა და მისი ძმის ვახტანგისათვის მიცემულ პირობის წიგნში ნათქვამია: ჩვენ ერთმანეთში დიდი დავა გვქონდა მიუხედავად იმისა, რომ გვქონდა განჩინება და მისი უმაღლესობის სოლომონ მეფისა და გურიელი ვახტანგის ბრძანებით ეს დავა მშვიდობით გავათავეთ. განჩინება დავხიეთ და თქვენ სამართლით გვიბოძეთ საუფროსო და თქვენ წაიღეთ საუმცროსო; დანარჩენი მამული ძმურად გავიყავით ერთმანეთში თანასწორად. კიდევ მისმა უმაღლესობამ დაინარჩუნა ნანეიშვილის სოული და თუ მისი უმაღლესობა მოწყალებას მოიღებს და დამიბრუნებს, ნანეიშვილის სოული ძმურად გავიყოთ ერთმანეთში გასავალთან ერთად, რაც იმ დროს დაგვჭირდება. ქაიხოსროს ბეჭედი (№ 31).

მისივე სიგელი ჯუმათს. მასში ნათქვამია: როდესაც კეთილმორწმუნე სოლომონ II მეფემ, არჩილის ძემან, მოწყალე თვალით მოგვხედა და გვიწყალობა ჩემი მამა-პაპის სამკვიდრებელი და გურიელად დამადგინა, ჩვენი ქვეყანა ძალიან შეჭირვებული იყო შეჩვენებულ მაჰმადის მსახურთაგან და ჯუმათის მამულს ჩვენ ვსარგებლობდით, როგორც სახაზინო ქონებას და რამდენჯერაც არ მოვიწვიეთ მღვდელმთავარი, იგი ადგილზე ვერ დადგა; ჩვენს ხორციელ ტანჯვას შეეძინა სულიერი მწუხარებაც, რამეთუ უმწყესოდ ვიყავით და ბევრი ღვთის საწყენი საქმე მოხდა ჩვენს ქვეყანაში. ახლა როგორც ღმერთსა და წმინდა უხორცო მთავარანგელოზთა აღვუ-

თქვი, ყველა იმ სოფელსა და მამულს, რომელიც ძველთაგანვე ჯუმათს იყო შეწირული, კვლავ ვიბრუნებთ: სოფელი ჯუმათი და საჯუმათლო ლესის წყლის გაღმა ჩოჩხათში, მთელ მათ სოფლებსა და მამულებს ტყითა და წყლითა. ისინი ძველებურად უნდა ერჩდენ და მსახურებდენ მათზე დადგინებულ მღვდელმთავარს. სიგელი დაიწერა 1797 წლის 1 ივლისს. სიგელს ადასტურებენ: ქუთათელ მიტროპოლიტი დოსითეოსი, გენათელ მიტროპოლიტი ეფთვიმე. ბეჭდები: ვახტანგისა (№ 27,) დოსითეოსისა № 32) და ეფთვიმესი (№ 33).

ამ სიგელში მოხსენიებული ეფთვიმე, ვფიქრობ, ის ეფთვიმე არ უნდა იყოს, რომელიც მამია IV დროს ცხოვრობდა. იხ. ზემოთ. მეორე ეფთვიმე, როგორც ცნობილია, გარდაიცვალა 1822 წ. 21 აპრილს. აკადემიკოს ბროსეს იგი რაჭის ერისთავის როსტომის ძედ მიაჩნია, იმ ქართული ქრონიკის ავტორი კი, რომელიც Hist. de la Géorg. II ტომის მე-2 ლივრეზონში შევიდა, გვ. 264, 311 და 314, მას გურიის ერისთავის ძედ თვლის. ამ აზრს იზიარებს ეფთვიმეს თანამედროვე ნიკოლოზ დადიანიც თავის ხელნაწერ „ქართველთ ცხოვრებაში", რომელიც რამდენჯერმე მოვიხსენიეთ ამ თხზულებაში.

იმავე ოზურგეთის მოურავის როსტომ ნაკაშიძის სახელზე გაცემული სიგელით მას საშვილიშვილოდ უბოძებს თავის სახაზინო გლეხს გიორგი ცისკარაძეს შვილებითა და მთელი საბადებლით. მოწმეები: კაცო და ბეჟან ნაკაშიძეები. ვახტანგის ხელრთვა და ბეჭედი (№ 27).

გურიელი ვახტანგ ბატონიშვილ ქაიხოსროსა და ყოვლად სამღვდელო შემოქმედელ მიტროპოლიტ ჯუმათელ იოსებთან ერთად აძლევს სიგელს გაბრიელ და გიორგი მითაიშვილებს: იგი აახლებს წინანდელ სიგელს, რომლითაც ისინი შესწირეს ჯუმათს და ბეგარაც დაადვეს, რომ მთავარანგელოზთა ეკლესიისათვის წელიწადში ხუთი ლოღარიკი სანთელი ეხადა. სიგელი მოწმეები: კანდელაკი (სახელია. მთარგმნ.) გაბრიელ და მისი ძე იოანე, კაცია გოგინეიშვილი, ოტია კუპრაძე და მგალობელი გაბრიელ გოგიტიძე. სიგელი დაიწერა ბეჟან ჭყონიას ხელით. ვახტანგისა (№ 27) და იოსების (№ 26) ხელმოწერა და ბეჭედი.

იგივე ბუჭუ მოისრიფეშვილის სახელზე გაცემული სიგელით უბოძებს მას და მის შვილებს პეტრე ბოლქვაძის სოულ მამულს. სიგელის მოწმეები: ბერი (სახელია. მთარგმნ.) შალიკაშვილი, გულვანი ჭყონია, ომაინ თავართქილაძე, იესე გიგინეიშვილი, კაცია კომახიძე და ხელოსანი ივანე ჯიჯინეიშვილი. სიგელს ამტკიცებს გუ-

რიელის ძე დათა. დაიწერა 1806 წელს ლევან გიგინეიშვილის ხელით. ვახტანგის ბეჭედი (№ 21).

იგივე თავის პირმშო დავითთან და კონსტანტინესთან ერთად აძლევს სიგელს „ჩვენს საყვარელს ყოვლად სამღვდელოს ჯუმათელ მიტროპოლიტ ერისთვიშვილს ნიკოლოზს“. მასში ნათქვამია: ეშმაკის ჩაგონებით მე და ჯუმათელი მაქსიმე წავეკიდეთ, მან წამართვა ჩემი კარის მღვდელი. ამან შეურაცმყო მე და სანაცვლოდ წავართვი აფხასავენი და ბეჟან ჭყონიას ყოფილი გლეხები. მერე შევრიგდით და მე ვიკისრე წართმეულის დაბრუნება, მაგრამ ჯუმათელი გარდაიცვალა და აღთქმული ერთხანს ვერ შევასრულე. ჩვენ შეეხვდით ერთმანეთს და ჯუმათელი გლეხები აფხასავენი და ექვსი კომლი ბეჟან ჭყონიას ყოფილი გლეხები, დავთარით შეწირულნი, მივეცი შენს ყოვლად სამღვდელოებას. სიგელის მოწმეები: ვახტანგის სიძე მდივანბეგი დავით მიქელაძე, ნარიმან მაჭუტაძე, გორჯასპი ნაკაშიძე, საყვარელ ჭყონია, ბაილეთის მოურავი ნიკოლოზ შალიკაშვილი, გიორგი კუპრაძე და მღვდელი გიორგი ჯიჯაიშვილი. სიგელი დაიწერა 1812 წლის 12 ივლისს ჭყონდიდელის მდივანბეგ მონაზონ იოსელიანის ხელით. სიგელის მინაწერში ნათქვამია, რომ ჯუმათელისა და ვახტანგის შესარიგებლად გენერალმა სიმონოვიჩმა გურიაში გამოგზავნა მდივანბეგი დავით მიქელაძე.

ძნელი სათქმელია, ჯუმათელი ნიკოლოზი იყო თუ არა უშუალო მონაცვლე ჯუმათელის მაქსიმე შარვაშიძისა, რომელზეც გურიელი გიორგი V სიგელების გარჩევისას ვილაპარაკეთ, თუ მასსა და ნიკოლოზს შორის ჯუმათის კათედრა ეჭირა მაქსიმე ნიჟარაძეს, რომელზეც ლაპარაკობს სამეგრელოს მთავრის ბიბლიოთეკის „ქილილა და დამანას“ ხელნაწერის მინაწერი: 1811 წლის (?) 11 სექტემბერს ქუთაისს გარდაიცვალა მიტროპოლიტი ჯუმათისა მაქსიმე ნიჟარაძე.

იმის თქმაც ჭირს, თუ ვისი შვილი იყო ჯუმათელი ნიკოლოზი, უდაბნოს სიგელ-გუჯრების კრებულში რომელიღაც ნიკოლოზი ნახსენებია ერისთავ გიორგის ძის ქაიხოსროს ძმად. ის ხომ არ არის? თუ ასეა, მაშინ იგი თვით ჯუმათელი მაქსიმეს ძმა უნდა იყოს.

ერთ სიგელში, რომელიც 1810 წლის 31 ოქტომბერს უბოძებია ჯუმათელ მიტროპოლიტ ნიკოლოზს იოანე მჩხატიშვილისათვის, ნათქვამია: მღვდელი გიორგი სალუქაძე პირველად ჯუმათის მთავარანგელოზთა ეკლესიისა იყო, მერე ბეჟან ჭყონიას მფლობელობაში გადავიდა. ბეჟანი უძეოდ გადაეგო და მისმა ბრწყინვალებამ მთავარმა გურიელმა მამიამ, დედოფალმა ბატონმა წერეთლის ასულმა და ბატონიშვილმა ქაიხოსრომ ბეჟანის სოული მამული გიორგი სა-

ლუქაძითურთ ჯუმათს შესწირეს. სალუქაძეს შვილი არ ჰყავდა და ჯუმათელის ბრძანებით შენ იშვილე იოანე მჩხატიშვილი, მიათხოვე შენი ქალი და მიეცი „თავისი ადგილ-მამული და ყოველივე მისი ტყე და წყალი სადეკანოზო“. მერე ჯუმათელი მაქსიმე რომ მიიცვალა, შენ ვერ მიიღე იმ მამულის სიგელი და მე შემომეხვეწე ამაზე. მე გიბოძე სიგელი, რომ ეკლესიას ემსახურო, როგორც შენი ძმები და სახლიკაცები ემსახურებოდნენ, უხადო ეკლესიას და ჯუმათელის ხელოსნებსა და მოურავებს ბეგარა. ნიკოლოზის ბეჭედი და ხელმოწერა (დანართი I, № 34).

იგივე. მისი მეუღლე ორბელიანის ასული მარიამი, შვილები დავითი და კონსტანტინე 1812 წელს ამტკიცებენ არქიმანდრიტ ათანასიოსის მიერ მღვდელ ბლაგიძის, მახარობელ კუპრაძისა და იოანე ბერიძისათვის ბოძებულ სიგელს. ამ სიგელში ათანასიოსი თავის თავს ასე იხსენიებს: „უწმინდესის პატრიარქის ვექილი იერუსალიმელი არქიმანდრიტი ჯვარის მამა“, ამათ, როგორც თვითონ შემწირველი ამბობს დავთარში, ნათქვამია სიგელში, არაფერი გადახდეს, გარდა უფლის საფლავის გამოსაღებისა, „არც სალიანი, არც საუდიერო, არც შინა სადგომი, არც ცხენის ჩაბმა, არც საქვრივო და არც საბაზიერო“... სხვა ბეგარა, რომელიც უფლის საფლავის გლეხებს ედოთ, ჩაწერილი იყო ძველ დავთარში; მაგრამ ისინი შეცვალა გურიელმა გიორგიმ და მათ დააკისრა მიიტანონ „ქრისტეს აღდგომის პური“, ერთი ქათამი, ერთი დოქი ღვინო, რასაც ჩვენც ვამტკიცებთ. თუმცაო, ამბობს თვითონ ვახტანგი, სალიანი ჩვენ გვეკუთვნოდა, მაგრამ უფლის საფლავის პატივისცემით მასზე ხელს ვიღებთ და არა რომელმა ბატონმა არ გადაახდევინოს. ბეჭდები: ათანასიოსისა (№ 35), ვახტანგისა (№ 27), მარიამისა (№ 25), დავითისა (№ 36) და ლევანისა (№ 30). გვერდზე მინაწერი: მათი ბეგარა კომლზე რვა ყურუში „ჯვარის მამის სამსახური...“

გარდა ათანასიოსისა, ბერძენი არქიმანდრიტია იოაკიმე 1817 წლის 15 მაისის სიგელში, რომელიც ებოძათ უფლის საფლავის გლეხებს, ყველა ბლაგიძეს. სიგელს ამტკიცებენ: გურიის ერისთავი გიორგი, ბატონიშვილი დავითი, დედოფალი ორბელიანის ასული მარიამი, ჯუმათის არქიმანდრიტი იოსები და მღვდელ-მონაზონი გრიგოლი ჯიჯინეიშვილი. ბეჭდის მიხედვით ეს იოაკიმე სწორედ ის პირი უნდა იყოს, რომელიც 1784 წლის სიგელში მოხსენიებულია გიკოსის მონასტრის პროტოსინგელოსად (Акты Кавк. Арх. Ком., т. I. стр. 59-60).

იოაკიმეს უწინარეს ვხვდებით არქიმანდრიტ სვიმონს, რომელიც

ოთხი პატრიარქისა და ხუთი კათალიკოსის წყევლა-კრულვას უთ-ვლის ყველას, ვინც ბლაგიძეების ობლებს დაჩაგრავს. დასმული აქვს იოაკიმეს ბეჭედი.

გურიელი ქაიხოსრო

ბატონიშვილ ქაიხოსროს სიგელი მგალობელ გოგიტიძესა და მის შვილებს. შემოქმედის კანდელაკი, ნათქვამია სიგელში, უძეოდ გადაეგო და მთელი მისი ქონება ყოვლად სამღვდელო შემოქმედელ მიტროპოლიტმა იოსებმა ბატონის სვიმონ გურიელის თანხმობით, ქრთამით და დავთრით შესწირა შემოქმედის მაცხოვრის ეკლესიას; და მაშინ გურიელმა სვიმონ შენ გიბოძა კანდელაკობა. ქაიხოსრო უმტკიცებს ამ კანდელაკობას. ქაიხოსროს ხელმოწერა და ბეჭედი (№ 37/1).

ჩვენ მოგვეპოვება მამია V დედის მხრივ ღვიძლი ბიძის ზურაბ წერეთლის ფრიად საინტერესო წერილი ბატონიშვილის, გურიელის ძის ქაიხოსროსადმი. ეს წერილი შუქსა ჰფენს ამ უკანასკნელის დაძაბულ ურთიერთობას მისი ძმისწულის, ახალგაზრდა მამია გურიელისადმი. წერილში ნათქვამია: თქვენ შორის, საყვარელ ბიძას და ძმისწულს შორის უცნაური ურთიერთობის თაობაზე მე ამას წინათაც მოგახსენებდით და მივმართავდი თქვენ კეთილგონიერებასა და სათნოებას. მე ვევედრებოდი თქვენს მაღალ გონებას აღმოეფხვრა ღვარძლი, რომელსაც წყეული მთესვარი თესავს და თქვენ შორის მშვიდობა დაგემყარებინათ. მე ველოდი პასუხს, მაგრამ არ შევიქენი მისი ღირსი. ახლა ისევ იმას გეხვეწები მუხლმოყრილი. რასაკვირველია, თქვენ ჩემგან ჭკუა არ გესწავლებათ: ვიცი ღმერთმა სიბრძნე მოგმადლათ და თქვენ უმართებულოს არას იკადრებთ; მაგრამ მაინც მოგახსენებთ: ვინც რას უნდა შთააგონებდეს გონიერ და განათლებულ ჭკუას, იგი ამ შთაგონებას სასარგებლოდ მოიხმარს. ამიტომ ვბედავ და მოგახსენებთ: თქვენ იცით, რომ როგორც თქვენი ძმისწული, ისე მისი მრჩეველნი ყმაწვილნი და უგუნურნი არიან, ამიტომ თუ ისინი სცოდავენ თქვენს წინაშე და ბევრს უსიამოვნებას შეგამთხვევენ, ამას მხოლოდ სიყმაწვილისა და რეგვნობის გამო სჩადიან. თქვენ თქვენი სიბრძნითა და ღვთისმოსაობით „ეგ სოფელი", რომელსაც ბატონი არა ჰყავდა და გაშვებული იყო, მოათვინიერეთ და მორჩილ ყავთ; ყველა მისი ციხე აიღეთ და ნებასა თქვენსა დაუმორჩილეთ; უსამართლო საქმეები მოსპეთ და თქვენს სოფელში წესი და რიგი დაამყარეთ, რომელსაც დღემდე იცავთ ღვთის შეწევნით. გამოიყენეთ თქვენი საკადრისი კეთილმოქმედი

გავლენა ყმაწვილ უგუნურ ახალგაზრდაზე; მიუტევეთ მას შეცოდებანი მისნი; სიყვარულით მოაქციეთ იგი თქვენკენ და ამით დაუბრმავეთ თვალი მტერს და განამხნევეთ თქვენი კეთილმოსურნენი; მაშინ ღმერთიც თქვენი შემწე იქნება. თუ არა თქვენივე ხელით მოისპობთ თავს და საკუთარ სახლს, ხოლო ეს არ შეეფერება კეთილგონიერ კაცს. წინასწარ გაცნობებ, რომ სოლომონ მეფეც (II) მოკლე დროში მოემგზავრება საჯავახოს; იგი ეცდება ერთად შეგყაროთ თქვენ. თუ თქვენ, ჩემო ბატონო, ჩემს საქმეს იკითხავთ, როსტომ ნიჟარაძე მოვიდა ჩემთან მოფიცრიანათ და ახლა ფიცზე ვიწვევ მეფეს. თავად ზურაბის ბეჭედი.

ქაიხოსროს ვინაობისა და მამიასთან მისი დამოკიდებულების შესახებ იხ. (Акты Кавк. Арх. Ком., т. 6, ч. 1, стр. 667-679).

იგივე გურიელის ძე ქაიხოსრო ამტკიცებს სიგელს, რომელიც 1800 წლის 16 აპრილს ჯუმათელ მიტროპოლიტმა ნიკოლოზმა უბოძა მღვდელს გაბრიელ გოგიტიძეს და მის იმ შვილს, რომელიც მღვდელი გახდება. ამ სიგელით, გურიელის ბრძანებისამებრ, მას ენიჭება ჯვარმტვირთველობა. მოწმეები: ბატონიშვილი ლევანი, ერისთავი ვახტანგი, დავით მაჭუტაძე, მდივანბეგი სვიმონ გუგუნავა, ოზურგეთის მოურავი როსტომ ნაკაშიძე და მღვდელ-მონაზონი იოსებ დონდოლაძე, სიგელი დაიწერა მღვდელ-მონაზონ არსენიოს ხელით. სიგელს ადასტურებენ: გარდა ქაიხოსროსი (№ 37/2), ჭყონდიდელი ბესარიონი (№ 38) და თვითონ ნიკოლოზი, „ჯუმათელ მიტროპოლიტი და შემოქმედელი მიტროპოლიტი“ (№ 34).

მღვდელ-მონაზონი იოსებ დონდოლაძე სწორედ ის პირია, რომელიც 1821 წლის 15 თებერვლისა და 1825 წლის 12 მარტის ორ სიგელში უკვე არქიმანდრიტის წოდებით გვევლინება. პირველ სიგელში, რომელიც ბესია ჟორდანიამ, მისმა შვილმა და ძმებმა არქიმანდრიტ იოსებსა და მის ძმას გიორგი დონდოლაძეს და მათ შვილებს მისცეს, ნათქვამია: ბუჭუა ორაგველიძე და მისი შვილები შენ გირაოდ გყავდა. იგი გაგექცა და ჩემს ძმა სოსიასთან და ჩემთან მოვიდა. საქმე სამართალში მივიდა: 24 კაცმა დაიფიცა; ჯერ ფიცი იოსიამ ჩამოართვა. მერე ჯუმათელ მიტროპოლიტი ნიკოლოზი, სახლთუხუცესი დავით მაჭუტაძე და გურიელის კაცები მობრძანდნენ. იმათ შეგვარიგეს. რაც ფიცამდე და სამართლამდე ხარჯი იქნა, ჩვენ მივითვალეთ, ამასთან თქვენ აგართვით კიდევ 200 მარჩილი ბუჭუა ორაგველიძისათვის. რომელიც თქვენ დაგრჩათ.

მეორე სიგელში, რომელიც მათვე უბოძა იმერელმა თავადმა სიკო წულუკიძემ, ნათქვამია: ჟამიანობაზე ჩემი კაცის ცოლი და ძუძუთა ბავშვი გოგია დაიკარგნენ; მერე შევიტყვეთ, რომ ის ბავ-

შვი ელიავა გოგინეიშვილს თქვენთვის მიეყიდა 100 მარჩილად, დედაკაცი კი მძევლად გყავდათ გლახონიას ვალში; ბიჭი წაგგვარეთ და მერე თქვენი სურვილით და მთავარანგელოზთა ეკლესიის ხათრით, რომელსაც თქვენც ეკუთვნით, თქვენ მოგყიდეთ 400 მარჩილად, რაც ძველი 300 მარჩილია.

მოგვეპოვება კიდევ ორი ნასყიდობის წიგნი 1825 წლის 17 ივნისის და 1828 წლის 8 ოქტომბრისა იოსების ძმის გიორგი დონდოლაძის სახელზე. პირველით სვიმონის ვაჟმა ბერო წულუკიძემ გიორგი დონდოლაძეს 400 იმერულ მარჩილად მიჰყიდა ერთი თავისი გლეხთაგანი, რომლებიც ჟამიანობის დროს უნდა დაფანტულიყვნენ და რომელიც მან, გიორგი დონდოლაძემ, იპოვა. მეორე ნასყიდობის სიგელში მღვდელი ჯიჯინეიშვილი წერს: შენ ფარულად, უჩემოდ, იყიდე ოთარ თავართქილაძე; შენ გაგიზრდია და დაგიქორწინებია. მე აღვძარი სარჩელი: წარმოვადგინე გირავნობა, შენ ნასყიდობა. მე გავაბათილე შენი ნასყიდობა (ყიდვის უფლება) მოწმეებით — „ოთხის შეგდებულის კაცით და თორმეტით სხვა კაცით", მერე შენი გადახდილი ფული დაგიბრუნე და კაცი მე დავიკავე. მერე შენი თხოვნით ფიცი ამხადე, უკან წავიღე გადახდილი ფული და ისევ დაგიბრუნე ოთარ თავართქილაძე მის ჯალაბით.

გურიელი ლევან

სიგელი, რომელიც ჯუმათს უბოძეს ბატონიშვილმა ლევანმა, მისმა მეუღლემ ანჩიბაძის ასულმა ელისაბედმა და მისმა ძემ გიორგიმ. ამ სიგელით იგი ჯუმათს უბოძებს მღვდელ იოსებ სარიშვილსა და მის ვაჟებს მათი ქონებითურთ, ამასთან ათავისუფლებს მას სალიანისა და ყოველი ფულადი გადასახადისაგან იმ პირობითო, რომ „ყოველს ორშაბათს უნდა მიწირო და თუ არ მიწირო, ქრისტეს მეორეს მოსვლაში ჩემი ცოდვის მაგიერი პასუხის მიმცემი იყო". წინათ, დაასკვნის სიგელი, მღვდელი იოსები თქვენი იყო და მერე ჩემმა მამამ გურიელმა ბატონმა გიორგიმ ამნაირადვე გიბოძათ თქვენ. ბეჭდები: ლევანისა (№ 30) და დავითის (№ 40).

მისივე სიგელი ბუჟუ მოისრაფეშვილს, რომელსაც უბოძებს გძელიძის სოულ მამულს. მოწმეები: მოურავი თავართქილაძე, გიორგი გიგინეიშვილი . . . ." და სულ ჯარი დარბაისელნი დიდნი და მცირენი". სიგელი დაიწერა ლევან გიგინეიშვილის ხელით 1804 წელს. ლევანის ბეჭედი (№ 39).

ზემოთ მოყვანილ ერთ-ერთ სიგელში გურიელი ვახტანგი ამ-

ბოპს, რომ მან დაიპყრო გურია. როგორც ჩანს, ამ დაპყრობით მან აიმხედრა კანონიერი მემკვიდრის მომხრეები, რომელთა წინააღმდეგ მას, თავდაცვის მიზნით, უნდა დაერაზმა გურიის ძლიერი ადამიანები. ამ უკანასკნელთა რიცხვს, ცხადია, ეკუთვნოდა როსტომ ერისთავიც, რომელზეც უკვე ვილაპარაკეთ. როგორც ეტყობა, გურიელი ვახტანგი მოუსვენარი და მტაცებლური ზნის კაცი იყო, თავისიანებსაც კი ჩაგრავდა. მას ბევრ სიგელში უჩივიან. ქვემოთ მოყვანილ სიგელებში აღნიშნულია, ვახტანგის ურთიერთობა მის ძმა ლევანთან.

დედოფლის წერეთლის ასულ მარინეს, მისი ვაჟის გურიელი მამიასა და ბატონიშვილის ქაიხოსროს მიერ ბატონიშვილ ლეონისათვის მიცემულ სიგელში ნათქვამია: შენ ფრიად შეგავიწროვა გურიელი ვახტანგ•ს უსამართლობამ. ჩვენ გითხარით, განსდგომოდი მას და ბაილეთის ციხეს დაგპირდით. შემდეგ დედოფალი მარინე აღუთქვამს, იმ ციხეს მოგცემ, თუ ჩემს ხელში მოხვდებაო. სიგელი დაწერილია ბატონიშვილის ქაიხოსროს საკუთარი ხელით. მამიას (№ 41) და ქაიხოსროს (№ 42) ბეჭდები.

სრულიად იმერეთის მეფის სოლომონის სიგელი იმავე ლევანს: შენ შემატყობინე, რომ კაცია და ბეჟან ნაკაშიძეები ვახტანგის საქმეში შენს მხარეზე არიან. თუ ღმერთი შეგეწევა ამ საქმეში, შენ მოგეცემა(?). სოლომონის ბეჭედი (№ 43).

კაცო და ბეჟან ნაკაშიძეების, მათი ვაჟებისა და ერისთავის ასულ ეფემიას წერილი ლევანს. მასში ნათქვამია, რომ გურიელი ვახტანგი შეიპყრეს და მხოლოდ მისი, ლევანის, თანხმობით შეეძლოთ გაეთავისუფლებინათ. ისინი სიტყვას აძლევენ, რომ ვახტანგის განთავისუფლებით მას არაფერი ევნება და არაფერი არ წაერთმევა. თუ ასე არ იქნება, მის წინაშე პასუხს ისინი აგებენ. კაცოს (№ 44), ბეჟანის (№ 45) და ეფემიას (№ 46) ბეჭდები.

მათივე წერილი იმავე ლევანს. თქვენ და თქვენს ძმას (ვახტანგს), ნათქვამია წერილში, უსიამოვნება გქონდათ. თქვენ დათანხმდით მშვიდობაზე ჩვენი შუაკაცობით, ახლა ჩვენი სიტყვით გარწმუნებთ, რომ თუ მასთან არ იშუღლებთ, არამედ გულწრფელად იქნებით მისი კეთილმოსურნე, ნურც მისი და მისი კაცების ღალატის, მოკვლის, მამულის წართმევის შიში ნუ გექნებათ. თუ არა, ჩვენ მუდამ თქვენს მხარეზე ვიქნებით. მათივე ბეჭედი.

ლევანის რძლის დედოფლის წერეთლის ასულ მართას წერილი მისდამი. წერილში ლაპარაკია ლევანისა და ვახტანგის უთანხმოებაზე, რომელიც მისი, მართას, შუამავლობით მოგვარდა. ახლაო,

განაგრძობს წერილი, თუ თქვენ არ განიზრახავთ ჩვენს დამცრობასა და ვნებას, ჩვენგანაც შიში ნუ გექნებათო... მართას ბეჭედი (№ 47).

გურიელი ვახტანგის წერილი სოლომონ მეფეს. ჩემი ძმის თხოვნით. ნათქვამია წერილში, მას ჩემგან ვნებლობა აღუთქვით. თუ ჩემი ძმა ჩემს წინააღმდეგ ავ ზრახვებს მოიშლის და ჩემი კეთილმოსურნე იქნება, პირობას გაძლევთ, ჩემი შიში ნუ ექნება. თუ ჩემს წინააღმდეგ ბოროტს განიზრახავს, ჩემს ვალად ვრაცხ შეგატყობინოთ ეს. ვახტანგის ბეჭედი (№ 27).

ლევანის წერილი უცნობი პირისადმი. იგი შეიცავს მთელ საბრალდებო აქტს ვახტანგის წინააღმდეგ. მას შემდეგ, ამბობს ლევანი, რაც სოლომონ მეფემ ჩვენ შორის მშვიდობა ჩამოაგდო, მან მაშინვე ორი ფარეში წამგვარა; ჩემი აზნაურის გლეხს ცოლი წაართვა და თავის მოჯალაბეს მიათხოვა. მერე კიდევ ჩვენ საზიაროდ გვყავდა ცხენების რემა და ბატონი სოლომონ მეფე თავდებად დამიყენა, რომ ამ რემის ნახევარს დამიბრუნებდა, მაგრამ სიტყვა გატეხა. მეფის სიცოცხლეში იგი იმედს მაძლევდა, რემის შენს ნაწილს დაგიბრუნებო, მეფის თავდებობას არ გავაცუდებ, ოღონდაც კვლავ ნუ მიჩივლებო. მაგრამ რა გამოვიდა? მეფე მიიცვალა და არც რემა დამიბრუნა და ბევრიც წამართვა. ამის შემდეგ ლევანი ჩამოთვლის თავის აზნაურებს, გლეხებსა და მოჯალაბეებს, რომლებიც ვახტანგმა წაართვა. იგი საერთოდ, დასძენს ლევანი, ყოველგვარ უსამართლობას შემამთხვევს. ჩემთან მოვიდა ჩემი ცოლის, წერეთლის ასულის . . . იგი ციხე-დარბაზში დავაბინავე, ჩემი ოჯახი კი, რადგან იქ ვიწროდ ვიყავით, სოფელში დავაყენე. ვახტანგმა „შეყარა საჯავახული თემი", თავს დაესხა ჩემს ცოლს, აიკლო ჩემი ოჯახი და წამართვა მამული. მან თოფით დაჭრა ჩემი აზნაური, წაართვა თოფი და თვითონ დაინარჩუნა. მან გადაიბირა ჩემი კაცი ბრეკიანი და აჭარაში გაგზავნა, რომ ავაზაკები შეაგროვოს და თავს დამესხას: მან ფიცით აღუთქვა ბრეკიანს წყალობას გიზამო. ბრეკიანმა მოასწრო აჭარელთა ბრბოს შეკრება და ჩემზე წამოვიდა, მაგრამ ღმერთმა იხსნა ჩემი ოჯახი; ამასთან ტყვედ ჩაიგდო გურიელისა და შალიკაშვილის 23 კაცი....

გურიელი დავით

გურიელი გიორგის ძის, ბატონიშვილის დავითის სიგელი ჯუმათს. ჩვენ, ნათქვამია სიგელში, ხვედრებულითა წილითა დავიმკვიდრეთ ჩოჩხათი და ჩიბათი, ჯუმათის ახლოს, ძალით და უსამართლოდ წაგართვით ზოგი აზნაური და პარტახნი გლახნი და კიდევ

თქვენი საყანენი და სამოდენი. ამით ვაწყინეთ მიტროპოლიტ მაქსიმეს; მაგრამ ოდეს მაქსიმეს სიკვდილის შემდეგ მისი ადგილი დაიჭირა „ბრწყინვალისა სქესისა მიერ შთამოსმან“ ერისთავის ძემან ნიკოლოზ, ჩვენ იგი ფრიად შევიყვარეთ. მისი სიყვარულით და თქვენი ცვა-ფარვის მოიმედე გიბრუნებთ წართმეულ გლეხებს, სამოდეს და საყანეს, რომელიც განსვენებულ ჯუმათელ მაქსიმეს ეჭირა. ისინი წერია ჩემი უფროსი ძმის უგანათლებულესი გურიელი ვახტანგის დამტკიცებულ დავთარში. ამის მეტად აღარ მოვთხოვთ მათ არავითარ ბეგარას, არ გავიყვანთ სამუშაოზე; არც ჩვენს მოურავს, არც ჩვენს ხელისუფალს ხელი არა აქვთ მათთან. სიგელი დაიწერა მღვდელ-მონაზონ მიხეილ ჭალაკაძის ხელით 1817 წ. ოთხშაბათს.

გურიელი მამია

სიგელი, რომელიც გურიელმა მამიამ უბოძა ბიძამის ლევანს, ჩვენ წაგიღეთ, ნათქვამია სიგელში, ჩოჩხათი, მაგრამ სოლომონ მეფემ მისი დაბრუნება გვიბრძანა. ჩვენ გვინდოდა მისი ბრძანების აღსრულება, მაგრამ აქამომდე ვერ აღვასრულეთ. ახლა სიტყვას გაძლევთ, თუ არავინ განიზრახავს ჩემი სამთავროს წართმევას, „და გურიის მპყრობელი მე ვიქმენი“, ჩოჩხათი დაგიბრუნო წლევანდელ ზამთარში. თუ არა, მრისხავდეს ქრისტე, ღვთისმშობელი და ყველა წმინდანნი ღმრთისანი. მამიას ბეჭედი. (№ 41).

ამ თავში მოყვანილი სიგელები ნათლად წარმოგვიდგენენ, თუ როგორ დაეცა ზნეობა გურიაში. თუ არა გურიის წარსული ცხოვრების ეს უტყუარი წყაროები, ძნელი იქნებოდა წარმოდგენა მისი საზოგადოებრივი ორგანიზმის ასეთი მოშლისა. ამ მხრივ, სხვათა შორის, გურია გამონაკლისი როდია: ასე იყო მთელ დასავლეთ საქართველოში. ვერც ნათესაობა, ვერც რელიგიური გრძნობა, ვერც ამ ქვეყნად ღვთის რისხვისა და საიქიოში საუკუნო ტანჯვის შიში, გრძნობა, რომელიც, ალბათ, ახასიათებდა გურიის საზოგადოების ყველა წევრს, ვერ აოკებდა ბოროტებისადმი მიდრეკილებას; პატივს არ სცემდნენ არც პიროვნების თავისუფლებას, არც საკუთრების უფლებას. დაწყებული თვით მთავრით და დამთავრებული სუსტი გლეხით, ყველა სარგებლობს ხელსაყრელი შემთხვევით, რათა დაიჭიროს მოყვასი თვისი და რაღაც 50-100 მარჩილად მიჰყიდოს თავის მეზობელს ან გადამთიელს; იგი უსირცხვილოდ ძარცვავს ძმას, მოკეთეს, პატივსაცემ ეკლესიას. თუ ამხილეს, წერილობით პირობას იძლევა, რომ აღარ ჩაიდენს ცოდვასა და დანაშაულს, თუ პირობას

დაარღვევს, საჯაროდ მოუხმობს თავის თავზე ღვთისა და ყველა წმინდანის წყევლა-კრულვას, მაგრამ ამაოდ...

პირობის წიგნი, რომელიც გურიელმა მამიამ და ბატონმა დედამისმა მარინემ უბოძეს, „ერდგულ ყმას მოურავს ჟორდანიას სოსიას“ და მის ძმებს. სიგელში ნათქვამია: „თუ თქვენ ჩვენი ერდგული და მაამებელი იქმნეთ, ჩვენს მტერსა და წინააღმდგომს არ მიუდგეთ, არც ჩვენგან არც სიკვდილით, არც ღალატით, არც სახელოს გამორთმევით რამე გაგიჭირდესთ, არც ლანჩხუელი ჩვენს სიცოცხლეში მაჭუტაძეს მივსცეთ“. სიგელის მოწმეები და შუამდგომლები: „თვით ქრისტე და დედამისი. ყოვლად წმინდა დედოფალი მარიამ და ყოველნი მისნი წმინდანი. კაცთაგან: ბოქაულთუხუცესი მოურავი ერისთავი ვახტანგ, მოურავი გუგუნავა სვიმონ, ოზურგეთის მოურავის შვილი ნაკაშიძე ლაზარე, თაყაიშვილი სვიმონ, სხვა ყველა ჩვენი დარბაისელნი. აღიწერა 1807 წ. 4 სექტემბერს. მამიას ბეჭედი. (№ 41), მარინეს ხელმოწერა (№ 48).

მისივე და ბატონიშვილ ქაიხოსროს წყალობის წიგნი იმავე ჟორდანიას სახელზე, იმავე შინაარსისა, როგორც ზემორე. ბეჭდები: მამიასი (№ 49) და ქაიხოსროსი (№ 50).

ნიხრ-ნუსხა, რომელიც მამიას შეუდგენია სოლომონ მეფის ბრძანებითა და გურიის სამღვდელოთა და თავადთა თანადგომით და რომელიც ვაჭართა ბოროტმოქმედების აღმოსაფხვრელად და მთელი მოსახლეობის საკეთილდღეოდ აწესებს ნიადაგსახმარი საქონლისა და ამ მხარის პროდუქტების მუდმივ ფასს. ეს ნიხრი დათარიღებულია 1808 წლის 25 ივლისით. იგი შეიცავს საინტერესო ცნობებს როგორც გურიაში ყიდვა-გაყიდვის საგნების მიახლოებითი ფასის შესახებ, ამ საუკუნის დამდეგს, ასევე მაშინ ამ მხარეში ხმარებულ საწონ-საწყაოთა შესახებ. ამიტომ ეს დოკუმენტი მთლიანად მოვყავს.

... ეს ფასები, ნათქვამია დოკუმენტში, შემდეგია: საწყავი 5 დოქი კარგი ღვინო 1 რუბი; ბათმანი პური 1 რუბი; ქილა ქერი 15 ფარა; ბათმანი ლობიო და ცერცვი 15 ფარა; დიდი ნასუქი ხარი 20 ძველი მარჩილი; უფრო პატარა 15; ნახედნი ხარი 12; კიდევ უფრო პატარა 11; სამი წლისა 10; უფრო ნაკლებისა 8-6; ერთი წლისა 4 მარჩილი; დიდი ნასუქი ხბოიანი ძროხა 10 ძველი მარჩილი; უფრო პატარა 9-6; უშობელი 6; ერთი წლის ნასუქი ხბო 4 მარჩილი; უფრო პატარა 10 რუბი; ორი წლის ნასუქი ცხვარი 1 ფრული, ხოლო ერთი წლისა 2 ყურუში; ბატკანი 3-4 თვისა 1 მარჩილი; უფრო პატარა 1 ყურუში; დიდი ნასუქი ვაცი 1 ფრული; დიდი ნასუქი ნეზვი თხა 2 ყურუში; უფრო პატარა 1 მარჩილი და 1 ყურუში: დიდი

ნასუქი ტახი 10 რუბი; დიდი ნასუქი ნეზვი ღორი 1 ფრული; გოჭი 2-3 თვისა 1 რუბი; უფრო პატარა 10-8 ფარა; დაკოდილი 8 ფარა; ([illegible]) 4 ფარა; უფრო პატარა 1 ფარა; ორი თავი დამარილებული ([illegible]) 1 ფარა; კარგი საქალამნე ტყავი 1 ფრული; უარესი 2 ყურუ-ში; კარგი ქალამანი 10 ფარა; ოყა სოფლური ერბო 1 ყურუში, ვაჭ-რისა— 1 მარჩილი; წყვილი რჩეული დოში 1 ყურუში; უარესი 2 რუბი; კუდა ზურგიელი 1 რუბი; წყვილი წკენალა(?) 20 ფარა; უფრო ქვემოთ 1 აბაზი; დიდი კარგი ორაგული 3 მარჩილი; უარესი 1 ფრული; კიდევ უარესი 1 მარჩილი; რჩეული ფარგა 10 ფარა; უარესი 5 ფარა; ჩარექი ფიჩხული 1 რუბი; ჩარექი კალმახი 1 აბა-ზი; ექვსდოქიანი საწყავი 4 ფარა; ფიჩხაური 2 ფარა; დოქი 1 ფა-რა; 2 ლიტრა 1 ფარა; 30 კოკიანი ჭური 4 ყურუში; 15-კოკიანი 2 ყურუში; უფრო პატარა 5 რუბი, 1 მარჩილი და 1 ყურუში; დიდი გობი 3 ფარა; პატარა 2 ფარა; ოთხი თიხის ლამბაქი 1 ფარა; 2 აფხა-ზური ბაწარი 2 ფარა; გურული ბაწარი 1 ფარა; ოყა ძროხის, ხბოს, თხის და ღორის ხორცი 1 შაური; ჩარექი ხიზილალა 1 რუბი; წყვი-ლი კარგი ქონის სანთელი 1 ფარა; რჩეული ჩექმა 2 ყურუში; უა-რესი 1 მარჩილი; იმერული კარგი ჩექმა 1 ყურუში; კარგი ლანჩა 1 რუბი; ბათმანი ხახვი 6 ფარა; კარგი სახნისი 5 რუბი; კარგი დიდი ([illegible]) 5 რუბი; კარგი ბარი 1 ყურუში; წალდი 1 რუბი; ოყა ხამი ([illegible]) 20 ფარა; ნალუსმანი ერთი ჭედა რკინა 1 ყურუში; ბათმანი ([illegible]) 1 ძველებური მარჩილი; კარგი ტილო 1 ყურუში, უარესი 2 რუბი და 20 ფარა; ბადე მოსადები თითო ფხარი 1 რუბი და 1 ფარა; სასროლი 1 ყურუში; კარგი ბადე მტრედის საჭერი 1 ძველე-ბური მარჩილი; სასირე კარგი ერთი ძველებური მარჩილი; პეტაკე (([illegible]) ბადე) 6 ფარა; ხოლიხი 1 რუბი; ხელბადე 1 შაური; კარგი ([illegible]) 10 ფარა; უარესი და უმცროსი 6-8 ფარა; ბათმანი მძაღე ([illegible]) 1 რუბი; ქილა ნიგოზი 6 ფარა; 9 ცალი მსხალი 1 ფარა; ერ-თი დოქი არაყი ჩვენი 8-6 ფარა; ერთი გვერდი დაცეხვილი ღომი 1 რუბი.

ნიხრ-ნუსხის ბოლოს ნათქვამია: ვინც ამაზე ძვირად გაყიდის, შან ([illegible]) ვინთარცა გურიელისა და ხალხის მოღალატეს, დაე-ღოს ჯარიმა 100 მარჩილი გურიელის სასარგებლოდ. კიდევ ვინც ([illegible]) დაწერილი საქონელი გურიიდან გაიტანოს გასაყიდად, საქონელი ([illegible]) ერის იყოს და ჯარიმა 100 მარჩილი გურიელისა.

გვერდზე მიწერილია; თუ ვაჭარმა სოფლის კაცს ოყა მატყლი 1 ყურუშად მიყიდოს და ოყა მარილი 3 ფარად, იგიც მოვალეა მას ოყა სანთელი მიყიდოს 60 ფარად და ბათმანი თაფლი 20 ფარად; თუ ეს მოშალოს, ორივემ გადაიხადოს ჯარიმა, როგორც ზეით წე-

რია. თუ ვაჭარმა ამ ფასად არ მიყიდოს სოფლის კაცს მატყლი და მარილი, მანც იაფად არ მისცეს და როგორც ზეით წერია, ისე მიყიდოს სანთელი და თაფლი. დასმული აქვს მამიას (№ 41) და ქაიხოსროს (№ 37/2) ბეჭდები.

სამწუხაროდ, გურიაში ყოფნისას შემთხვევა დავკარგე შემეგროვებინა დაწვრილებითი ცნობები გურიაში სხვადასხვა დროს მიმოქცევაში მყოფი ფულის ნამდვილი ფასისა და საწყაოსა და საზომის შადარებითი სიდიდის შესახებ. მამიას „ნიხრი" ცხადყოფს, რომ ფრული მარჩილზე მეტი იყო, მარჩილს, რომელიც ძველებურიც იყო და ჩვეულებრივიც, მეტი ფასი ჰქონდა, ვიდრე ყურუშს, ყურუშს მეტი, ვიდრე რუბს. გურიის ახლანდელი საწყაოსა და საწონის განსაზღვრა, რაც მოყვანილია ნ. ხანიკოვის სტატიაში „О весах и мерах Закавказского края, Кавк. Календарь на 1854 г., стр. 557-558, ჩემს ხელთ არსებულ არასრულ ცნობებთან შედარებისას სავსებით სწორი აღმოჩნდა და ამიტომ „ნიხრის" ჩვენებათა განმარტებისათვის ამ სტატიას დავესესხე გურიის ანუ ოზურგეთის მაზრის შესახებ ცნობებს: 1. სითხის საწყაო: მანერკა $2^1/_2$ ბოთლია; დოქი — 22 მანერკა; ჩაფი — 3 დოქი; საწყაური — 2 ჩაფი; საპალნე — 6 საწყაური. 2. საწონი: დრამა 76 დ. 750; სტილი — 50 დრამა; ქსანი — 2 სტილი; ლოღარიკი — 2 ქსანი; ოყა — 2 ლოღარიკი; ბათმანი 6 ოყა; ქილა 2 ბათმანი; საპალნე — 10 ქილა.

სრულიად გურიის მპყრობელის მამიას სიგელი მახარობელ ურუშაძესა და მის ძმებს, რომლებსაც უბოძებს ლანჩხუთის ხელოსნობას ზუბაიდელოს სუოლ მამულთან და გლეხებთან ერთად. სიგელის მოწმეები: თქვენი მოურავი დავით მაჭუტაძე, მდივანბეგი სვიმონი, მამუკა და ვახუშტი გუგუნავები (ვახუშტის ცოლი დადიანის ასული ძიმითის წარწერაში), „ჩვენი მაგიერი" პაატა ღლონტი, ხელოსნები: ივანე და გაბრიელ ცინცაძეები, „მოურავის მაგიერი კაცი" მახარობელ ფიცხელაიშვილი, ლევან ებრაელიძე და მელვინე ხუცესა წილოსანი. სიგელი დაიწერა 1810 წ. 14 აპრილს მოურავის ბოქაულთუხუცესის ერისთავ ვახტანგის ხელით. მამიას ბეჭედი (№ 41).

მისივე სიგელი იმავე ურუშაძეს... ხელმოწერა: გენერალ-მაიორი და ქავალერი, გურიისა და ზღვათა მპყრობელი გურიელი მამია. დავით მაჭუტაძის ბეჭედი (№ 51).

გურიელი სვიმონის ძის გურიელი მამია II სიგელის მის გაზრდილს, მღვდელ იოანე ბარამიძეს. მოწმეები: ყოვლად სამღვდელო ჯუმათელ მიტროპოლიტი ნიკოლოზი, ბატონიშვილი ლეონტი, მოურავი სახლთუხუცესი დავით მაჭუტაძე, ბოქაულთუხუცესი ერისთავი ვახ-

ტანგი, ერისთავი გიორგი, მდივანბეგი სვიმონ გუგუნავა, ოზურგეთის მოურავი როსტომ ნაკაშიძე, კარის მღვდელმსახური მღვდელმონაზონი ბესარიონ ჯაველი, ერისთავ ვახტანგის კარის მღვდელი პეტრე ჯაში. ხელმოწერით ამტკიცებს სახლთუხუცესი დავით მაჭუტაძე. 1814 წ. 16 ნოემბერი. მამიას ბეჭედი (№ 41).

მისივე ნერილი უგანათლებულეს ლაზარე და გიორგი ნაკაშიძეებს. ჩვეულებრივი მისალმების შემდეგ (მრავალს მოკითხვას მოგვახსენებ) სთხოვს „ჩემი სიყვარულით" შეკრიბონ თავისი კაცები, 40-დან 60-მდე და მასთან ერთად წავიდნენ გურიანთაში (გურიაშია). იქიდან კი შეკვეთილში მაიორის(?) განკარგულებაში. მამიას ხელმოწერა (№ 52).

სრულიად გურიის, ზღვათა და სხვათა მპყრობელისა და მემკვიდრის მამიას, მისი მეუღლის, დიდის თავადის წულუკიძის ასულის დედოფლის სოფიოს სიგელი როსტომ ნაკაშიძის სახელზე. ამ სიგელით გურიელი ნაკაშიძეებს უბოძებს სოფელ შემოქმედის მოურავობას. შენ მოვალე ხარ, ნათქვამია სიგელში, იზრუნო მოსახლეობის სიმშვიდისათვის და შეძლებისამებრ დაიცვა იგი უწმინდური მტრებისაგან. ერთი სიტყვით, სანამ მღვდელმთავარი დაჯდებოდეს. შენ უნდა იზრუნო ამ საეკლესიო სოფელზე, როგორც მას შეეფერება; თუ ამ ეკლესიას მღვდელმთავარი ეყოლება, მისი ბრძანება უნდა შეასრულო. სიგელის მოწმეები: ბოქაულთუხუცესი ერისთავი ვახტანგი, სახლთუხუცესი თავადი დავით მაჭუტაძე, მდივანბეგი თავადი გიორგი ერისთავი, მდივანბეგი სოლომონ (სვიმონ) გუგუნავა, ომაინ ნაკაშიძე. სიგელი დაიწერა თავად ალექსანდრე თავდგირიძის ხელით 1823 წ. 3 მაისს. ხელმოწერა: მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის გენერალ-მაიორი, წმ. ანას პირველი ხარისხის, წმ. მოციქულთა სწორის ვლადიმირის, დიდი ჯვრის მეორე ხარისხის და სხვა ორდენთა (კავალერი) გურიელი მამია.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, შემოქმედის კათედრა იოსებ თაყაიშვილის შემდეგ, რომელიც ერთი შენიშვნის მიხედვით 1794 წელს გარდაიცვალა, აღარასოდეს არავის დაუკავებია.

მდივანბეგების გიორგი ერისთავისა და სვიმონ გუგუნავასაგან ჩვენ მოგვეპოვება 1818 და 1822 წლების განჩინებათა ოქმების დედნები. იხ. დანართი II.

გიორგი გოგიტიძის მიერ ომაინ ნაკაშიძისათვის 1820 წლის 1 მარტს მიცემულ ვალდებულების წიგნში ნათქვამია: მე ფული მიჭირდა და შენგან ვისესხე 37 ყურუში და 17 ფარა. სანამ ეს თეთრი ჩემს ხელში იქნება, თვეში 100 ფარა უნდა მოგცე. შენ ჩემი ხვეწნა შეისმინე და ამ ვასხს დასჯერდი.

სრულიად გურიის მთავრინას, წულუკიძის ასულის დედოფალ სოფიოს სიგელი გაბრიელ ებრაელიძეს. ამ სიგელით მას ეძლევა მისი ბიძაშვილის ესიკა ებრაელიძის სოული „მამული“ ტყე და წყალი და რისაც მქონებელი იყო“. მოწმეები: გურიის თავადი სახლთუხუცესი დავით მაჭუტაძე, „ჩემ მაგიერი“ ბესია ჟორდანია და მოურავის მაგიერი კაცი მახარობელ ფიცხელაიშვილი და ლანჩხუთის ყველა ხელოსანი — მეღვინე. სიგელი დაწერილია 1826 წ. 6 აგვისტოს მდივან ნიკოლოზის ხელით. სოფიოს ხელმოწერა (№ 53). ამტკიცებს სახლთუხუცესი დავით მაჭუტაძე.

მისივე სიგელი დათიკა ცინცაძეს, რომელსაც უბოძებს მის „ბიძანების“ ივანესა და ბეჟიას სოულ მამულს. მოწმეები: მისი ბრწყინვალება მოურავი სახლთუხუცესი დავით მაჭუტაძე, ბატონის მაგიერი მისი კეთილშობილება ბესია ჟორდანია, მისი კეთილშობილება ქაიხოსრო თაყაიშვილი, მოურავის მაგიერი კაცი მახარობელ ფიცხელაიშვილი და „ამ ქვეყნის“ ყველა ხელოსანი. სიგელი დაიწერა სოფიოს ბრძანებით ნიკოლოზის ხელით. სოფიოს ხელმოწერა (№ 53).

პირობის წიგნი, რომელიც ერისთავ ვახტანგს მისცა მისმა ძმამ გიგომ. პირობის წიგნი მოგვითხრობს მათი გაყრის თაობაზე, რასაც განხეთქილება მოჰყოლია. თქვენმა გლეხმა, ნათქვამია მასში, გაბედა და მესროლა; მერე ჩვენ შევრიგდით; მაგრამ გურიელმა რომ ჩვენი გაყრის წილი წაიღო, ჩვენ ისევ უსიამოვნება გვქონდა. ამ საქმეში შუაკაცად ჩამოდგა მისი უგანათლებულესობა დედოფალი ჩვენი სოფიო; მისი ბრძანებით; გურიელი დავითის თანდასწრებით ჩვენი შუღლი გათავდა და შენმა გლეხებმა ბეჟან ბერიძემ და მისმა შვილებმა გოგიამ და ალექსანდრემ მე ხატზე შემომფიცეს, ჩემმა გლეხებმა ბერი ბერიძემ, კონსტანტინე ბერიძემ და ვახტანგ მგალობლიშვილმა შენ შემოგფიცეს. თუ ეს პირობა მოვშალო, ბატონი დედოფლის სოფიოს და მპყრობელი გურიელი დავითის, აგრეთვე რუსეთის მთავრობის მოღალატე ვიყო. შუაკაცი გურიელის ძე ბატონიშვილი დავითი, სახლთუხუცესი მაიორი დავით მაჭუტაძე, სარდალი ბოქაულთუხუცესი თავადი გიორგი თავდგირიძე, კაპიტანი და კავალერი მდივანბეგი თავადი გიორგი ნაკაშიძე და ანტონ ნაკაშიძე. პირობა დაიწერა 1827 წ. 13 ნოემბერს აზნაურ იოანე ჟორდანიას ხელით. ხელმოწერა: ერისთავი გიგო (№ 54), დედოფალი სოფიო (№ 53) და გურიელი მპყრობელი დავითი (№ 55).

გურიელის ძე ბატონიშვილი დავითი. მგონი, გურიელი გიორგი V-ის ძე უნდა იყოს, მოხსენიებული წინა სიგელებში.

სიგელი, რომელიც უბოძეს აზნაურს მღვდელ იოანეს და მის ძმას იესე გოგიტიძეს და მათ ძმისწულს და „ძმანებს". სიგელში სრულიად გურიის, ზღვათა და სხვათა მთავრინა, დიდის თავადის წულუკიძის ასული დედოფალი სოფიო და მთავარი (ჩემმან მთავარმან), მამიას ძე დავითი I ამბობენ: ჩემს განსვენებულ მეუღლეს, გურიის მთავარს მამიას და ზოგ ჩვენს წინანდელ გურიელს თქვენთვის სიგელი ებოძებინათ და თქვენ მის განახლებას შემოგვეხვეწეთ. ჩვენ გაგიახლეთ და სამკვიდროდ გიბოძეთ შემოქმედის მაცხოვრის კანდელაკობა და მისი ყველა უფლება და შემოსავალი. ეს უფლებებია: მაცხოვრის მონასტრის გასაღებისა და გვირგვინის შენახვა; ჯვარის გამოსვენება შემოქმედის სამწყსოში; სამწყსოს შემოსავლის ათის თავი; საკანდელაკო წყლის ხმარება; ერთი ბარკალი შემოქმედის ტყეში ნანადირევისა და ყველა სხვა შემოსავალი, იმავე მონასტრის სოფლისაგან. სიგელის მოწმეები: მაიორი სახლთუხუცესი დავით მაჭუტაძე, სარდალი ბოქაულთუხუცესი გიორგი თავდგირიძე, მოურავი მაიორი თავადი ვახტანგ ერისთავი, მოურავი მდივანბეგი თავადი სვიმონ გუგუნავა, მდივანბეგი კაპიტანი თავადი გიორგი ნაკაშიძე. სიგელი დაიწერა 1828 წ. 8 მაისს ქილიფთართუხუცესის აზნაურ იოანე ჟორდანიას ხელით. სიგელს ხელს აწერენ: დედოფალი სოფიო (№ 53). გურიის, ზღვათა და სხვათა მთავარი გურიელი დავითი. ამოწმებს სახლთუხუცესი მაიორი თავადი დავით მაჭუტაძე.

* * *

აქვე ვურთავ გურიელ-ვარდანიძეების საგვარეულოს გენეალოგიას, რომელიც გურიის წარწერებისა და სიგელების მიხედვით შევადგინე. ამ საგვარეულოს უძველეს წარმომადგენელთა გენეალოგიური კავშირი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, XVI საუკუნის მეორე ნახევრამდე უცნობია; მაგრამ ისინი არიან:

ერისთავთ ერისთავი ვარდან ვარდანიძე (ჯუმათ. წარწ.).

მარუშიან ვარდანიძე, მისი ცოლი თუ ასული ხათუთა (ლიხაურ. წარწ.).

ლიპარიტ ვარდანიძე (ჯუმათ. წარწ.).

სვანთა ერისთავი და მანდატურთუხუცესი იოანე, მსახურთუხუცესი... (ჯუმათ. წარწ.).

გურიელი ბეშქენ, ცოლი მარიამი, შვილი მიქელი (ჯუმათ. და ბალლებ. წარწ.).

ერისთავთ ერისთავი, სვანთა ერისთავი, დადიანი გიორგი, მეუღლე რუსუდანი, შვილები: მანდატურთუხუცესი ვამეყი და გურიელი კახაბერი(?) (ჯუმათ. წარწ.).

ერისთავთ-ერისთავი, სვანთა ერისთავი გურიელი კახაბერი და მისი მეუღლე ანა, ლიხაურის ეკლესიის მაშენებლები 1352 წ. (შემოქმ. და ლიხაურ. წარწ.).

გურიელი გიორგი, მისი მეუღლე ელენე, შვილები: მამია და ქეიყუბადი. ისინი აშენებენ ლიხაურის სამრეკლოს 1422 წელს და შემოქმედს აქცევენ საეპისკოპოსო კათედრად მისი წინამძღვრის სერაპიონ მაჭუტაძის დროს (შემოქმ., ჯუმათ., ლიხაურ. და ბაილეთ. წარწ.).

ᲓᲐᲜᲐᲠᲗᲘ II

ᲐᲤᲮᲐᲖ-ᲘᲛᲔᲠᲗᲐ ᲙᲐᲗᲐᲚᲘᲙᲝᲡᲘᲡ ᲛᲐᲥᲡᲘᲛᲔᲡ ᲛᲪᲜᲔᲑᲐᲜᲘ

ᲣᲓᲐᲑᲜᲝᲡ ᲛᲐᲛᲐᲡ ᲓᲐ ᲔᲠᲙᲔᲗᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲦᲕᲐᲠᲡ

ამ ინსტრუქციის რუსული თარგმანი დაბეჭდილი იყო კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტებში, ტ. I, გვ. 46-47. როცა იგი შევადარე ქართულ ტექსტს, რომელიც კომისიაში ვიპოვე, აღმოჩნდა, რომ თარგმანში ორი უხეში შეცდომა გაპარულიყო: ერკეთის ნაცვლად წერია ერვეთი, ხოლო იოსების ნაცვლად — იობი. იოსების ნაცვლად იობი თვითონ დედნის ბრალია, სადაც სიტყვაზე „იობს“ გამრტოვებულია ქარაგმა, რის გამოც მართლა „იობი“ გამოდის და არა „იოსები“. ამ ინსტრუქციას მე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებ და ამიტომ აქ ვათავსებ მის ქართულ ტექსტს და ახალ თარგმანს.

„აფხაზ-იმერთა კათალიკოსი მაქსიმე ჩუᲦნს სულიერს შვილს უდაბნოს მამას იობს და კუალაც ერკეთის წინამძღვარს ბესარიონს უფლისა ჩუᲦნისა იესო ქრისტეს მიერ ლოცუა კურთხევით გიკითხავ და შემდგომად ამისა გარწმუნებ სამწყსოსა ჩემსა საკათალიკოსა..... და ვითა შენდობისა ჩუᲦნისა მორჩილ იყვნეთ ეგრეთ კეთილად მოძღურიდეთ ასწავლიდეთ და ზედას-ზედა სულიერითა

გურიელი როსტომ (+ 1584)[42]
ცოლი მეფის ასული თინათინი
გურიელი გიორგი (II, + 1600)
შემოქმედის გულანის კვინკლოსის მინაწერის მიხედვით გარდაიცვალა 1592 წ.

გურიელი მამია (II, + 1625)
მემკვიდრე თანახმად Hist. de la Géorg. II, livr. 1., 264. იმავე კვინკლოსის მინაწერის მიხედვით მთავარი გახდა 1598 წ. მისი ცოლია ათაბაგის ასული (ჯუმათ. წარწ.). იგი აშენებს ზარზმას შემოქმედში 1572 წ. იმავე კვინკლოსის მინაწერის მიხედვით ღალატით მოკლეს 1628 წ.

გურიელი ვახტანგ (I, 1583, + 1587)
მისი ცოლი ათაბაგის ასული თამარი, შვილი ქაიხოსრო (შემოქ. წარწ.).

მალაქია
ჯუმათელ-შემოქმედელი. ერკეთის გულანის მინაწერის მიხედვით პატრიარქად დაჯდა 1616 წ.
შემოქმედის წარწერაში მოხსენიებულია 1658 წლის ქვეშ.

გურიელი ქაიხოსრო (I, + 1658) ცოლი ხვარამზე, გოშაძის ასული (ზემო ხეთის წარწ.) შემოქმ. გულანის მინაწერის მიხედვით 1660 წ. მის მაგიერ დასვეს დიმიტრი.

გურიელ-დადიანი გიორგი (III, + 1684)
ცოლი ჩიჯავაძის ასული თამარ

დარეჯანი
გათხოვილი იყო გიორგი თაგდირიძეზე მაცხოვრის ეკლესიის ეპიტაფია.

გურიელი ქაიხოსრო (+ 1689)

გურიელი მამია (III, + 1717) ცოლი აბაშიძის ასული ელენე.

გურიელი გიორგი (IV, 1711, 1714, 1717 + 1726)
ცოლები : 1) შარვაშიძის ასული მარიამი, 2) დადიანის ასული ხვარამზე. ჯუმათში არის გიორგისა და ხვარამზეს ფრესკები.

შემოქმედელი ნიკოლოზი შემოქმედის წარწერაში იგი მოხსენიებულია 1713 წლის ქვეშ.

ლევანი

გურიელი გიორგი IV

- **გურიელი მამია (IV)** 1826-დან) მისი ცოლი როდამი ერთ სიგელში იკი მოხსენიებულია 1762 წლის ქვეშ.
- **გურიელი გიორგი (V, 1744)** მისი ცოლი მეფის ასული მარიამი სიგელებში გიორგი დასახელებულია 1767, 1771, 1772, 1775, 1776, 1778 და 1779 წლების ქვეშ.

  - **გურიელი სიმონ** ცოლი წერეთლის ასული მარიამი ან მარინე, რომელიც გარდაიცვალა 1814 წლის 4 მარტს. ორ სიგელში სიმონი მოხსენიებულია 1789 და 1790 წლების ქვეშ.
    - **გურიელი მამია (V, 1810-1826)** ცოლი ყურეთლის ასული სოფიო. მამია გარდაიცვალა 1826 წ. 20 ნოემბერს (По Акт.. Ар; ком. т. VI, ч. I. стр. 667. 20 нояб.) მოხსენიებულია 1807, 1808, 1810, 1814, 1823, წლების სიგელებში. სოფიო მარტო იხსენიება 1826 წლის სიგელებში.
      - **გურიელი დავითი** (+ 1839 წ. 20 ნოემბერი). იხსენიება 1827 და 1828 წ. სიგელებში.
      - **ეკა** მისთხოვდა თავად ნინაძეს
      - **ეკატერინა** გათხოვილი იყო თავად ერისთავი ლეონის ძე ლეონიზე. + 1871 წ. მარტში.
  - **გურიელი ეპატანე** ცოლი ორბელიანის ასული მარიამი. ორივე დაკრძალულია ჯუმათში. სიგელებში მოხსენიებულია 1788., 1796, 1797, 1806, 1812 წლების ქვეშ.
    - **დავითი** დაკრძალულია ჯუმათში ეპიტაფიის მიხედვით დაიბადა 1802 წ. 1 ნოემბერს, გარდაიცვალა 1859 წ. 19 ნოემბერს. მოხსენიებულია 1812 და 1817 წლების ქვეშ.
      - **მამია** ჯამბაკური ეპატანეი ალექსანდრა ეკატერინა
    - **ანუ დათა**
    - **კონსტანტინე** პატარაობისას გარდაიცვალა. მოხსენიებულია 1812 წლის საბუთში.
  - **გურიელი ქაიხოსრო** ცოლი ერისთავი ქაიხოსროს ასული ელისაბედი (ეპიტაფია შემოქმედში). გარდაიცვალა ტფილისში 1844 წ 6 მაისს. ქაიხოსრო ერთ სიგელში მოხსენიებულია 1800 წლის ქვეშ.
    - **ანა** (1810-1826) ცოლი ... ... 1826 წ. 20 ... (По Акт.. Ар; ... 667. 20 нояб.) ... 1807, 1808, 1810, 1814, 1823, ... 1826 ...
    - **ანა** ... 1812 ...
    - **ანა** ... 1812 ...
    - **ანა** ... 1812

სწავლითა ამხილებდეთ და განამტკიცებდეთ. და უკეთუ ვინმე სამღუდელო კაცი უწესოდ იქცეოდეს ანუ ნაყროვანებითა, ანუ მთვრალობითა და სხვითა რომლითამე ბოროტითა, ამხილეთ, შერისხეთ და უკეთუ არა შეიკდიმოს და არცა განიშოროს უწესო იგი ქცევა, დასცხერინ მღუდელობისაგან და კუალად რომელსაცა მღუდელს წირვისა და ნათელის სრულებით აღსრულება არ ძალედვას, თქუჱნ ასწავეთ გულსმოდგინეთ და უკეთუ კეთილად ვერ ისწავოს, იგიცა დააყენეთ მღუდელობისაგან და რომელმასაც მღუდელსა მეცნიერება და შიში ღუთისა აქუნდეს და შეეძლოს საიდუმლოების აღსრულება, მან იმღუდელმოქმედოს, ხოლო უმეცარი და უშიში ღუთისა და უკრძალველი გონებითა ყოვლადვე ნუ იკადრებნ მსახურებად წმიდისა მის წმიდათასა და ეგრეთვე რომელსაც ძალედვას სწავლად და მოძღურებად, მოძღურიდეს და რომელსაცა არა, ნუ იმოძღურებს. კვალად ამას გამცნებ და გასწავებ რომ ეკკლესიებს განიხილვიდეთ და მას ზედა დადგინებულთა მღუდელთა განაკრძალებდეთ და ასწავებდეთ, რომ ეკკლესია წმიდად და სუფთად შეინახონ; ბარძიმ-ფეშხუმი და მათი დაფარნიები და წმიდის ტრაპეზის გადასაფარებელი სადაცა ჰპოვოთ, რომ ძველი იყოს ან დამწვარი ან დახეული, გამოაცვლევინეთ და განაახლებინეთ, და იმ ეკკლესიაზედ მიმავალს ერსაც აუწყეთ რომ ეკკლესიის სამსახურებელს საქმეზედ მღუდელს შეეწყოდენ და მორჩილ იქმნებოდენ. და ესეცა ამცენით: რომელიცა საყოველთაო უქმი დღე იყოს, კეთილად დაიმარხევდენ და ერი სრულებით ყრმით და დედებითურთ ეკკლესიად მიისწრაფედენ და წირვა-ლოცვას არ დააკლდებოდენ. და კვალად ამასაც განაკრძალებდეთ, რომ მკითხავი*3 არ შეიწყნარონ, შეჩვენებული არის. და ვინცა მკითხავი სახლად მიიყვანოს და აკითხვინოს, მკითხავი იგი და სახლად მიმყვანებელიცა და შემწყნარებელი მისი, ორნივე ერთბაშად განკვეთეთ და განაყენეთ ყოვლისავე ქრისტიანეთა წესისაგან, ზიარებისა და ეკკლესიად მისვლისაგან. და ნურცა მკვდარს დამარხვენ მკითხავს, არამედ ვითარცა ძაღლი განცოფებული, ეგრეთ შერაცხონ. ესე მცნებანი ყოველნივე კეთილად აუწყეთ და განამტკიცეთ და დღითი დღე ნუ დაიყოვნებთ სწავლად ერისა, თორემ სასჯელსა დიდსა თანამდებ ხართ. დაიწერა წელთა ქრისტეს აქეთ ჩღოზ. უზის მაქსიმეს ბეჭედი (იხ. ზემოთ დანართი I, № 56).

დანართი III

გურიის მდივანბეგების განჩინებათა ოქმები

გურიის მდივანბეგების სვიმონ გუგუნავასა და გიორგი ერისთავის განჩინებათა ოქმები ამ უკანასკნელის შვილის დათო ერისთავის სახლში ვიპოვე გადასაყრელად გამზადებულ ძველმანებში. ზოგი ოქმი დაწერილია სრული თაბახის ფორმატის ლურჯ, ზოგიც რუხ ქაღალდზე და განეკუთვნება 1818 წლის ივლისს, აგვისტოს, სექტემბერს, ოქტომბერს, ნოემბერსა და დეკემბერს, ხოლო მცირე ნაწილი 1822 წლის აგვისტოს. ყოველი ოქმი დათარიღებულია იმ რიცხვით, როცა შეადგინეს. მათ ახლავს თვითონ მდივანბეგების სვიმონ გუგუნავასა და გიორგი ერისთავის ხელმოწერა, ერთს კიდევ ხელს აწერს მდივანბეგი ბეჟან გუგუნავა, რომელიც ჩემს საბუთებში არ იხსენიება. მათი განჩინებანი საინტერესოა როგორც პროცესუალური ფორმით, ისე შინაარსითაც. მათში, სხვათა შორის, ნათლად ჩანს ხალხის უმთავრესი მიდრეკილება, მისი ჩვეულებრივი გადაცდომა და დანაშაული. ეს ოქმები ავსებენ და ზოგჯერ განმარტავენ ზემოთ გარჩეულ გურიის სიგელ-გუჯრებს.

განჩინებაში დაწერილია მოკლედ, მაგრამ საკმაოდ მკაფიოდ. ერთი და იგივე ოქმი ხშირად შეიცავს რამდენიმე საჩივარს, მაგრამ მხოლოდ ერთ და იმავე მოდავეთა. იშვიათი როდია, როცა მოსარჩლე მოპასუხედ იქცევა, ე. ი. მოპასუხე ახსნა-განმარტებას იძლევა სარჩელის წინააღმდეგ და შემდეგ მოსარჩლეს უყენებს შეგებებულ სარჩელს, და მსაჯულს უხდება ერთი და იგივე მოდავე ერთ საკითხში გაამართლოს, ხოლო მეორეში გაამტყუნოს. ოქმების ფორმა თითქმის ყოველთვის ერთი და იგივეა; მაგ., „თავართქილაძე გიორგი და თავართქილაძე ლევან გავაბჭვეთ. ივანემ უჩივლა“ და სხვ. შემდეგ გადმოცემულია თვით სარჩელის საგანი. მოპასუხის მიერ ბრალდების უარყოფა ასეთი ფორმით გამოითქმის: „ლევანმა აშორო უთხრა“, რასაც მოსდევს მისი ახსნა-განმარტება და თვით სასამართლოს დადგენილება: „ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოიყვანოს ლევანმა ორმოცდა რვა კაცი, ნახევარი გლეხი და ნახევარი ამავალი კაცი და ასე შეაფიცოს“. ნაფიც მოწმეებს აძლევენ შეკითხვებს, რომლებიც სარჩელისა და შესაგებელის არსიდან გამომდინარეობენ; კითხვების ამა თუ იმ მხრივ გადაწყვეტაზე დამოკიდებულია მოპასუხის გამართლება ან გამტყუნება.

მტკიცების ხერხი გურიაში, ისე როგორც მთელ საქართველოში, იყო თვით მოდავეთა ან მოწმეთა ჩვენება ფიცის ქვეშ. მხოლოდ

ყოვლად უმნიშვნელო საქმის გარჩევისას არ მიმართავდნენ დაფიცებას; ასეა თუ ისე, მხოლოდ ორ-სამ განჩინებაში ვხვდებით ასეთ განსაზღვრას, მაგალითად, ლობიოს ქურდობის თაობაზე: „ჩვენ ასე გავაჩინეთ: თოხაძემ ცოდვის ხელი ჩამოართვას (ხუხუნაიშვილს); შენ რომ ლობიოს მეწამები, მე არ მომეპაროს; თუმც ასე გაუმართლდეს, არას ემართლება და თუმც ვერ გაუმართლდეს, რაც წაეღოს, გარდუხადოს ხუხუნაიშვილს“. თვით მოდავეთა დაფიცებაც საკმაოდ იშვიათი შემთხვევაა. ფიცი თითქმის ყოველთვის მოწმეებს ეკისრებოდათ. მათი რიცხვი სხვადასხვაა: 1-დან 8-მდე, და დავის მნიშვნელობის კვალობაზე 12, 24 და 48. ჩვეულებრივ, სასამართლოს დადგენილებით, მოწმეებს მეტწილად ასახელებდა მოპასუხე თავის ხეობიდან ან გარეშე პირებიდან: „თორმეტი გლეხი თავის ხეობისა და ანუ ამავალი სხვა კაცი; თორმეტი კაცი და თუ დასჭირდეს, ნახევარში ამავალი უფროსი“. ისეც მოხდებოდა ხოლმე, რომ მოსარჩლე კისრულობდა მოპასუხისათვის დაესახელებინა გარკვეული რაოდენობის კეთილსინდისიერი მოწმე; მათგან მოპასუხეს უნდა ამოერჩია ამდენი და ამდენი და შემდეგ დანარჩენი მოწმეები თავის მხრიდან დაესახელებინა: „იესელამ თავის ხეობის უმტერ-უმოყვრო რვა კაცი დაუსახელოს და იმ რვისაგან დავითელამ ორი უშოვნოს და იმ ორს ექვსი სხუა კაცი ამოაყოლოს“. მამულზე ცილობისას მის ყოველ 10 მარჩილად ღირებულ ნაკვეთზე საჭირო იყო ერთი მოწმე, „რამთენს ათ მარჩილად ღირდეს მამული, იმდენი კაცი შეაფიცოს; რამთენს ათ ძველს მარჩილზე შეედაოს, ათი მარჩილის თავზე თითო კაცი შეაფიცოს: ერთმანეთს ხატი მოუსვენონ და რამთენს ათ მარჩილათ დაიფასოს ადგილი, იმდენის კაცით ერთმანეთს გაუმართლდენ“.

რაც შეეხება თვით საქმის არსს, მდივანბეგთა ოქმებში გარჩეული დავა ზოგი სამოქალაქო და ზოგი სისხლის სამართლისა, როგორც, მაგალითად; სარჩელი სესხის, ანდერძის, უძრავი ქონების საკუთრების ან მფლობელობის, ზარალის მიყენების, შეურაცხყოფის, დაჭრის, მკვლელობის და სხვათა თაობაზე, მათგან განჩინებათა უმეტესობა ზარალის მიყენებას ეხება. მოსარჩლეები და მოპასუხეები მეტწილად გლეხები და წვრილი აზნაურები არიან; მხოლოდ ორ-სამჯერ გამოჩნდებიან სასამართლოში უმაღლესი საერო და სამღვდელო პირები. გურიის ოქმებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ ორი განჩინება საგსებით ადასტურებს იმ ფაქტს, რომელიც შემოქმედის მღვდელმა დუმბაძემ მაცნობა (იხ. შემოქმედის აღწერაში), სახელდობრ ტყვეთა გაყიდვაში საჯაროდ მხილებულია ცოცხლად დაწვის ფაქტი.

გურიის მდივანბეგები განჩინებათა გამოტანისას ვახტანგ მეფის „სამართლის წიგნით“ ხელმძღვანელობდნენ. მართალია, ისინი ერთხელაც არ მიუთითებენ მასზე, მაგრამ ჩვენი აზრი უდავო აღმოჩნდება, თუ გავითვალისწინებთ, ჯერ ერთი, ზოგიერთი განჩინების შემდეგ გამოთქმებს: „სამართლის წიგნი უბრალო დასმენას სიკუდილის მსგავსათ აცხადებს; როგორც სამართლის წიგნში სწერია, ერთი მსახურის სისხლი მისცეს; სამართლის წიგნიც ასე ამტკიცებს — სულის და ხორცის სისხლი მისცეს“, რაც ცხადად გულისხმობს ვახტანგის „სამართლის წიგნს“, და, მეორეც, თვითონ წესი, რომელსაც იცავენ მდივანბეგები განჩინების გამოტანისას: სამოქალაქო — სისხლის და წმინდა სისხლის საქმეებში სასამართლო სასჯელს კი არ ადებს, სისხლის საფასურს შეაწერს. ვახტანგ მეფის კანონებით სისხლი (უკეთ რომ ვთქვათ, სისხლის საფასური), დაზარალებულის წოდებრივი და იერარქიული მდგომარეობის კვალობაზე, ასევე დანაშაულის სიმძიმის შესაბამისად, სხვადასხვანაირად განისაზღვრებოდა: მთელი სისხლი, ნახევარი სისხლი, მეოთხედი სისხლი და სხვ. ამ წესით იზომებოდა თითქმის ყველა გადაცდომა და დანაშაული: შეურაცხყოფა (უპატიობა), დაჭრა, მკვლელობა და სხვ. მდივანბეგთა ზოგიერთი განჩინებიდან ჩანს, თუ როგორ განისაზღვრებოდა საერთოდ გურიაში სისხლის ფასი. ასე, მაგალითად, ერთი განჩინება ცხადყოფს, რომ მთელი სისხლი 240 მარჩილი ღირდა, ხოლო მეორე განჩინებიდან ჩანს, რომ ნახევარი სისხლი 120 მარჩილი ღირებულა. ამასთან უნდა შევნიშნოთ, რომ ამ შემთხვევაში გურიის მდივანბეგთა ოქმები ყოველთვის არ იცავენ მითითებულ მასშტაბს: ისინი, მაგალითად, სრულ სისხლს უფარდებენ სხვადასხვა დანაშაულს — მკვლელობას, მოსაკლავად ჩასაფრებას (უალატად დაჯდომა), დაჭრასა და სხვ. „კაცის სიკუდილში სრული სისხლი მისცეს; სამართლის წიგნი უბრალოთ დასმენას სიკუდილის მსგავსათ აცხადებს და მისთვს ორას ორმოცი მარჩილი სისხლის ნაცვლად მისცეს, ღალატათ დაჯდომისათვის სრსლი სისხლი მისცეს; ჩახმახის დაკვრისათვის სრული სისხლი მისცეს; დღესასწაულზე შინ მოხდენის და მისთვს მთელი სისხლი მისცეს; რადგანაც სატევარის დაკვრა აღარ ეტყობა და შინ მიხდენისათვის ნახევარი სისხლი მისცეს, რომელიც იქს ას ოც მარჩილს“.*[4]

I. ირჩოდა მაქსიმენა ღლონტის საჩივარი აკოფა მეფისაშვილზე. საჩივარი იმაში მდგომარეობდა, რომ ღლონტის შუაკაცობით მისმა მოკეთემ სტეფანე ხანუმაშვილმა იყიდა ცხენი, მაგრამ მყიდველს წაართვა მოპასუხემ. ამ უკანასკნელმა განაცხადა, ცხენი 104 მარჩილად ვიყიდე დგებუაძისაგანო. ცხენი დაიკარგა და მან დიდხანს

ეძება იგი; ბოლოს „მთხრობელის“ მითითებით იპოვა, მას გადაუხადა 40 მარჩილი და ცხენი წაიყვანა კამანდათის ნებართვით. სასამართლომ დაადგინა: ღლონტმა „ერთი კაცი თან დაიტანოს“ და ფიცით დაამტკიცოს, რომ აკოფა მეფისაშვილს არც დგებუაძისაგან და სხვა ვინმესაგან ცხენი არ უყიდია და ცხენი მას არასოდეს არ ჰყოლია და ხანუმაშვილს წაართვა. თუ ღლონტი ასე დაიფიცებს, მაშინ მეფისაშვილს ძალად წაურთმევია ღლონტის გაყიდული ცხენი და მან ზედნადებით უნდა დაუბრუნოს ცხენი ხანუმაშვილს. თუ არ დაიფიცებს, დამტკიცდება მეფისაშვილის ჩვენება და ღლონტმა დაუბრუნოს ხანუმაშვილს მიცემული ფული. რაც შეეხება საპოვნელ ფულს (სამთქმელო), ამის თაობაზე ცალკე მოელაპარაკოს მეფისაშვილს.

მაქსიმენა ბერიძე უჩივის ქაიხოსრო სეხნიეიშვილს, რომ მამამისმა ქაიხოსროს მამას მისცა მოჯალაბე და სამაგიეროდ უნდა მიეღო. ერთი კარგი თოფი და რამდენიმე თეთრი. სეხნიეიშვილი არც თოფს აძლევს და არც მოჯალაბეს უბრუნებს.*5 სასამართლომ სეხნიეიშვილს დაავალა ექვსი მოწმით — გლეხით „და ანუ ამავალი სხვა კაცით“ უარყოს სარჩელი. თუ არ დაიფიცებს, ბერიძემ „აჯით შეატყობინოს თოფის ფასი და ფულის რაოდენობა, რომელიც სეხნიეიშვილმა უნდა გადაიხადოს ზედნადებით.

პეტრე ბოლქვაძემ უჩივლა პეტრე მიქანაძეს, როგორც მისი ბატონის თავართქილაძის ჭირის უფალს (გამრიგეს), მასზე, რომ თავართქილაძემ მოსარჩლისაგან 800 მარჩილად იყიდა ერთი თათარი ბიჭი და 100 ძველ მარჩილად ერთი კარგი თოფი. თავართქილაძეს სიღარიბისა და სხვა გარემოების გამო ფულის გადახდა არ შეეძლო და ხელწერილი მისცა, მაგრამ ბოლქვაძის სახლს ცეცხლი გაუჩნდა და ხელწერილი დაიწვა და თავართქილაძემ უარი თქვა ვალზე.*6 სასამართლომ დაადგინა: თუ მიქანაძემ 24 მოწმის ფიცით ვერ უარყო ბოლქვაძის სარჩელი, მაშინ ბოლქვაძემ აჯით შეატყობინოს, რამდენს ძველ მარჩილად მიჰყიდა თავართქილაძეს თათარი და თოფი, ამასთან მან ათას მარჩილის თავზე თითო კაცი უნდა შეაფიცოს და მიქანაძემ ამ თეთრში რამდენიც შიაფიცოს ათას მარჩილის თავზე, ისე იმდენი თეთრი გადაუხადოს.

როსტომ ბოლქვაძე უჩივის სიმონ სიამაიშვილს, რომ ამ უკანასკნელმა 200 მარჩილად მიჰყიდა მას გოგო, მაგრამ მოპასუხე ფულს არ ღებულობს და გოგო წაართვა. სასამართლომ დაავალა სიამაიშვილს სამი კაცი თან დაიტანოს და ფიცით უარყოს მოსარჩლის ჩვენება ან შეასრულოს ვალდებულება.

II. გიორგი ხუხუნაშვილმა უჩივლა ანანია ქიქოძეს, რომ მოპასუხის ავადმყოფი ბაბუა 16 წელიწადს იწვა მის ოჯახში, .მის კმაყოფაზე იყო და სიკვდილის წინ წერილობითი ანდერძით დაუტოვა მას თავისი მონაგარი (თავის ხელად ნაშოვარი) მამული. ხუხუნაშვილმა თავისი ხარჯით დამარხა იგი და შეძლებისამებრ აღაპიც გადაუხადა. ქიქოძემ ანდერძი არ შეასრულა. მოსარჩლემ წარადგინა ანდერძი. სასამართლომ დაადგინა: ქიქოძემ ანდერძის მიცემისა და მასზე გარდაცვლილი ხელმოწერის უარსაყოფად მისი მოძღვრის თანდასწრებით წამოაყენოს მოწმეები — რამდენს ათ მარჩილად ღირდეს ის მამული, იმდენი კაცი. თუ იგი მოწმეებით ვერ გააბათილებს ანდერძს. მაშინ უარს ვერ ეტყვის ხუხუნაშვილს ამ მამულსა და მოსარჩლის სხვა ხარჯებზე.

III. როსტომ უჯმაჯურიძემ უჩივლა სახლისკაცებს, რომ ჯერ კიდევ ბაბუამისს და მერე მამამისს დავა ჰქონდა მათთან საზიარო მამულის წილზე, მაგრამ მოპასუხეები დღემდე უარს ეუბნებიან. სასამართლომ დაადგინა: მოპასუხეებმა წამოაყენონ 24 მოწმე. თუ ღასჯირდეს ნახევარი სხვა ამავალი კაცი და თუ ისინი მათი მეშვეობით ვერ უარყოფენ მოსარჩლის საჩივარს მამულის მოზიარობაზე, მამული ძმურად გაიყონ.

ხუტუ ჯღენტის*7 საჩივარი პაატა მეჯინიბიშვილზე. ხუტუ თავისი „სიმაურის“ „ნამზითვის წიგნით“ ამტკიცებდა, რომ მას ეკუთვნის ის მამული, რომელიც მოპასუხემ მიიტაცა. სასამართლომ მეჯინიბიშვილს დაავალა წამოაყენოს იმდენი მოწმე. რამდენს ათ მარჩილად ღირდეს ის ალაგი, და თუ იგი თავს ვერ გაიმართლებს, „როდესაც გამოსდევებია მას, მერმენდელის ნაცთურიანათ მისცეს ის ალაგი“.

დავითელა კეკელიძის საჩივარი მის სახლისკაც იესელაზე. დავითელა ჩივის, იესელამ ბაბუის სოული მამულიდან მეტი წილი მიითვისაო. ამის უწინაც, განაგრძობს იგი, საქმე სამართალში იყო და 12 კაცით დაშაფაცდაო. შემდეგ. დავითელას სიტყვით, მოპასუხეს „ფიცმა უწია და ამახსწევია“, რისთვისაც იესელას მისთვის მათი საერთო მამული გაუზიარებია. მოსარჩლის წარდგენილი ხელწერილი მოპასუხემ უარყო. სასამართლომ იესელას დაავალა დაასახელოს რვა მოწმე, რომელთაგან მოსარჩლე ამოირჩევს ორს და დაუმატებს ექვს თავის მოწმეს. თუ ისინი დაადასტურებენ, რომ ფიცი მართლაც ცრუ იყო, რომ მოსარჩლემ მას ფიცი ახსნა და ამისთვის მას ხელწერილი მისცა, ეს ხელწერილი აღსრულდეს, იესელას გადახდეს მისთვის ფიცის ახდიდან მამულის ნაწილის სარგებლობისათვის.*8

ჯუმაჯურიძეთა სარჩელი. საქმის ვითარებიდან ჩანს, რომ მათ ერთმანეთში დავა ჰქონიათ მამულის გამო. სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩლეებმა ერთმანეთს ხატი მიუსვენონ და რამდენს ათ მარჩილა დაფასდეს მამული, იმდენი მოწმე მოიყვანონ და ერთმანეთის წინაშე თავი იმართლონ.

ჯუმათელ მიტროპოლიტ ნიკოლაოზის არხიმანდრიტ იოსების სარჩელი ივანე ჭყონიას. ეს უკანასკნელი, მოსარჩლის განცხადებით, როგორც პირადად თვითონ, ისე თავისი გლეხებით ჯუმათს ეკუთვნოდა. გარდა ამისა, მისი უშვილოდ ამოვარდნილი ძმის ბეჟან ჭყონიას შემდეგ დარჩენილი მთელი მამული მისი გლეხებითურთ მისმა უგანათლებულესობამ მთავარმა გურიელმა მამიამ ჯუმათის ეკლესიას შესწირა. ბეჟანის ერთი გლეხი, რომელიც სარჩელთან ერთად წარდგენილ დავთარში იხსენიება, ივანეს მფლობელობაშია.*9 მოპასუხე სარჩელის წინააღმდეგ ამტკიცებდა, ეს სადავო გლეხი ერთ გოგოსთან ერთად ძმას რომ გავეყარე, მაშინ მერგოო;*10 იმ გლეხმა ის გოგო, მოპასუხის მოახლე, მის სხვადასხვა ნივთებთან ერთად, წაართვა, ერთხელ გზაში ჩაუსაფრდა მოსაკლავად; ამიტომ ბატონ გურიელის ნებართვით იმ გლეხის ძმა დაჭერილი ჰყავდა, მაგრამ იმ გლეხმა მოასწრო ძმის განთავისუფლება. სასამართლომ დაავალა არქიმანდრიტს წამოიყვანოს 24 მოწმე — ნახევარი გლეხი და ნახევარი ამავალი სხვა კაცი — და უარყოს ჭყონიას ჩვენება. თუ ჭყონიას ჩვენება ცრუ აღმოჩნდება, მან ეკლესიას უნდა დაუბრუნოს ის კაცი „ნაცთურით“, თუ არა და სადავო კაცმა ჭყონიას ჩასაფრებისათვის გადაუხადოს ორი სისხლი, დაუბრუნოს მოტაცებული გოგო წაღებულ ნივთებთან ერთად, ხოლო სახლში მიხდომისა და გაძარცვისათვის „ცოლისა და ქმრის სისხლი მისცეს“. ჭყონიამ ჯუმათელს კიდევ მეორე შეგებებული სარჩელი წარუდგინა, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: წინანდელი ჯუმათლების დავთრის მიხედვით მას და მის სახლს ქორეპისკოპოსობა ეკუთვნოდა, ახლა კი ეს ხელობა წართმეული აქვს და სხვებს მისცეს. არქიმანდრიტმა აღიარა მოსარჩლის განცხადების სისწორე, მაგრამ ამასთან უარყო მისი უფლება ქორეპისკოპოსობაზე იმის საფუძველზე, რომ ჭყონია ახლა აღარ ეკუთვნის ჯუმათის ეკლესიას. სასამართლომ გაარჩია ეს სარჩელი და დაასკვნა: ვინაიდან აღნიშნული უფლება ჭყონიას მიცემული ჰქონდა დავთრით, თუმც ერთი შვილი ჯუმათელს აახლოს ჭყონიამ, ხელობა სამართლისაებრ ისევ არგონ. თუ არა ჯუმათელს უფლება აქვს ეს სადავო ხელობა ვისაც ნებავს, მას მისცეს.

IV. არქიმანდრიტ იოსების სარჩელი ბესია ჟორდანიას. მოსარ-

ჩლე ამტკიცებდა, რომ მან, როგორც მოპასუხის ძმის სისოფიას მოძღვარმა, მას ფიცი ახსნა, რისთვისაც ერთი კაცი მისცა, მაგრამ ბესია არ აძლევს. მოპასუხემ უარყო სარჩელი. სასამართლომ დაადგინა: ბესიამ ერთი თავისი ტოლი კაცი მოიყვანოს და მასთან ერთად ფიცით უარყოს სარჩელის ყველა მუხლი. თუ სარჩელი დამტკიცდებოდა, ბესიას მოსარჩლისათვის უნდა დაებრუნებინა კაცი.

ოთარა გოგიბერიძე უჩიოდა ქაიხოსრო სეხნეიშვილს, რომ გურიაში ლაშქრის შეგროვების დროს მას მოპპარეს ცხენი მოპასუხის „მოძღომით". სასამართლოს განჩინებით სეხნეიშვილმა ორი მოწმით უნდა უარყოს სარჩელი, თუ არა აუნაზღაუროს გოგიბერიძეს ზარალი, რომელიც გამოანგარიშებული იქნება ცალკე აჯაში.

ონისიმამ ბეჟანას (გვარები არაა დასახელებული) უჩივლა. მოპასუხის მამამ გურიელ ქაიხოსროს „ჩაასმინა", რომ მისი ძმა ვითომ ტყვეს ყიდდა, და საწყალი დაწვეს. ამისათვის იგი, მოსარჩლე, მოითხოვს დაკმაყოფილებას. სასამართლომ დაადგინა: რადგანაც ბატონმა გურიელმა ჯუმათელთან ერთად „ქვეყნის გამოცხადებით" ტყვის გაყიდვისათვის დაწვეს მოსარჩლის ძმა, სარჩელი უშედეგო დარჩეს.

იმავე ონისიმამ რამდენიმე საჩივარი შეიტანა იმავე ბეჟანაზე. I. მოპასუხის მამა როსტომ თავართქილაძესთან ერთად გზაზე ჩამისაფრდა*[11] და მესროლა, მაგრამ ღმერთმა გადამარჩინაო. 2. მამაჩემმა თათარი დაიჭირა და ბეჟანის მამას მიაბარა, იგი კი არ გვიბრუნებსო. 3. ბეჟანას ბიძა თათრის ტყვეობიდან მამაჩემმა გამოიხსნა 500 ყურუშად და ამ ფულს არ იხდისო და 4. „ჩემი ძმანები" თათრიდამ მოვიდოდენ ქრისტიანობისათვის", მე ბეჟანას გავენდე' და შევიზიარე, მაგრამ ჩემი ძმები თათრებთან ერთად რომ გამოჩნდნენ და რომ უნდა დაგვეჭირა, ბეჟანამ თოფი ესროლა, ჩემი ძმა დაჭრა*[12] და თათრებს ანიშნა გაიქეცითო.

სასამართლომ დაადგინა: თუ ბეჟანა 14 კაცის ჩვენებით ვერ უარყოფს ონისიმას სარჩელს, მაშინ სროლისათვის მთელი სისხლი გადაუხადოს, ხოლო მიბარებული თათრისა და გამოხსნისათვის მისი ღირებულება. რაც შეეხება იმას, რომ ბეჟანმა ხელი შეუშალა ონისიმას ქრისტიანობაზე მოექცია თათრები, ეს საქმე გურიელმა და ჯუმათელმა „მოკითხონ", ონისიმამ კიდევ ბეჟანას მოსთხოვოს ზარალის ანაზღაურება.

ბეჟანამ უჩივლა ონისიმას, რომ როცა აბდულ-აღა (აჭარელი ბეგი ხიმშიაშვილი) „აკეთს მოიშალა", მოსარჩლის მამამ მოპასუხის მამასთან ერთად სამი თათარი „იშოვა", რომლებიც 1000 მა-

ჩილად ღირდეს და რომლებიც მან მიითვისა. სასამართლომ გადაწყვიტა: რომ ონისიმამ დაასახელოს ერთი მოწმე მოსარჩლის მიერ ნაჩვენები თათართა ღირებულების ყოველ 20 მარჩილზე, და თუ სარჩელის სამართლიანობა დამტკიცდება, ბეჟანას გადაუხადოს მათი ფასის ნახევარი.*13

V. ბეჟანა უჩივის იმავე ონისიმას, ჯერ ერთი იმას, რომ მათ თიანეთის საზიარო მამული ჰქონდათ, სადაც დედამისმა საბალახოდ გარეკა ხბოები, ონისიმა მიუხვდა მას, სცემა და მოკვლასაც უპირებდა. მაგრამ მან გამოასწრო, და, მეორეც, იმას, რომ იგი, მოპასუხე, ჩვენს მხარეზე იტყუებდა თათრებს, მან თან წაიყვანა იგი, მოსარჩლე, და 40 მარჩილს დაჰპირდა, თუ საქმე კარგად გათავდებოდა. ბეჟანამ თვითონ დაიჭირა ონისიმასათვის ერთი თათარი, მაგრამ ონისიმა დაპირებულ ფულს არ იხდის. სასამართლომ გადაწყვიტა: თუ ონისიმა ორი მოწმის ფიცით ვერ უარყოფს ბეჟანას საჩივარს, დაპირებული 40 მარჩილი გადაუხადოს, ხოლო დედის ცემისათვის საუპატიო მისცეს.

ბეიხოსრო სეხნიეიშვილი უჩივის ბეჟან ბერიძეს,*14 რომ როცა იგი მოპასუხე, ბოქაული იყო მათს უბანში, ყანაში მივიდა და მისი კაცი გალახა იმისათვის, რომ მან ყანის წახდენა არ დაანება. მოპასუხემ ცემაზე უარი თქვა, ამტკიცებდა, ვიხუმრეო. სასამართლომ გადაწყვიტა: თუ ბერიძე სამი კაცის ფიცით არ გაიმართლებს თავს, მოსარჩლეს ცემის საუპატიო მისცეს.

იესელა კეკელიძე უჩივის თავის სახლისკაცს დავითელას: მე და ჩემს ძმებს ბეგარად გვადევს ხატით მივიდეთ ბერიძესთან ახალ წელს და მივულოცოთ. ოჯახში ხატი დავასვენე და ბერიძესთან წასასვლელად ვემზადებოდი, რომ დავითელა მომიხდა ახალ წელს და ყველას გვცემაო. სასამართლომ დაადგინა: თუ დავითელა 12 კაცის მოწმობით ვერ გაიმართლებს თავს, მაშინ იმისათვის, რომ დღესასწაულზე შინ მიუხდა და ჯალაბს სცემა, სრული სისხლი უზღოს.

ოტიელა და კაკაბა კანდელაკიშვილები უჩივიან გოგიტა ხავთასს, რომ მან მათი ნამზითვი გოგო გადაიბირა, „ბოზობით წაუხდინა“ და მერე გაუყიდა. სასამართლომ დაადგინა: თუ გოგიტა 24 მოწმით ვერ უარყოფს საჩივარს, გადაუხადოს ერთი გლეხის საუპატიო და გოგოს სანაცვლოდ სხვა მისცეს ზედნადებით.

ივანე ჩანტლაძე უჩივის იესელა რამისშვილს, რომ მოპასუხის შვილმა გაბრიელამ, როცა ვერ მოასწრო ივანეს გოგოს გატყუება თელჩქეთში მოპასუხესთან, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ იესელას ხელის შეწყობით მოიტაცა ის გოგო და სათათრეში წაიყ-

ვანა. სასამართლომ რამისშვილს დააკისრა 24 მოწმით უარყოს მოსარჩლის საჩივარი, თუ არა მოსარჩლეს მისცეს ისეთივე გოგო ან უზღოს მისი ფასი „და სულის სისხლი". თუ გადახდა არ შეეძლოს, დამნაშავე ყოელად სამღვდელოს გადაეცეს და „მღვდელმთავარმა უწყის და მან განაკანონოს".

მაქსიმენა ბერიძემ უჩივლა ქაიხოსრო სეხნიეიშვილს, რომ ზაალ ერისთავმა შალიკაშვილს კუდა ცხენში გაუცვალა ბიჭი ოსეფაშვილი. ამან დაორსულა მისი მოსარჩლის, გოგო, შეშინდა და მოპასუხესთან გაიქცა. გოგოს ბუში ეყოლა, რომელიც ჯუმათელმა წაიყვანა. მისი დედა გაიქცა და დაიკარგა. ამით მოპასუხემ მოსარჩლეს ზარალი მიაყენა და კაცსაც აღარ აძლევს. სასამართლომ დაადგინა: თუ სეხნიეიშვილი 48 მოწმით ვერ უარყოფს სარჩელს, დაბრუნოს კაცი და უზღოს ზარალი, რაზეც ბერიძემ ცალკე უნდა იაჯოს.

ბერიძე უჩივის სეხნიეიშვილს, მამა დამიჭრა და მისი მხლებელი ჩემი კაცი მოკლაო. სასამართლომ სეხნიეიშვილს დაავალა 24 მოწმით იმართლოს თავი. თუ არა და უზღოს მამის დაჭრის საუპატიო და მთელი სისხლი კაცის მოკვლისათვის იმის მიხედვით, თუ რა გვარისაა მოკლული.

კობალაძე ბრალად სდებს ქაბჯარაძეს თავისი კაცის მოკვლას. სასამართლომ დაადგინა: მოპასუხემ თავი იმართლოს 12 მოწმის ჩვენებით, თუ არა მოსარჩლეს მოკლულის სწორი კაცი მისცეს, ან მთელი სისხლი გადაუხადოს.

მხედრული	მრგლოვანი	მხედრული	მრგლოვანი
ა	ⵓ	ⵓ	ⵓ
ბ	ⵔ	ⵔ	ⵔ
გ	ⵗ	ⵗ	ⵗ
დ	ⵙ	ⵙ	ⵙ
ე	ⵚ	ⵚ	ⵚ
ვ	ⵛ	ⵛ	ⵛ
ზ	ⵜ	ⵜ	ⵜ
თ	ⵝ	ⵝ	ⵝ
ი	ⵞ	ⵞ	ⵞ
კ	ⵟ	ⵟ	ⵟ
ლ	ⵠ	ⵠ	ⵠ
მ	ⵡ	ⵡ	ⵡ
ნ	ⵢ	ⵢ	ⵢ
ⵓ	ⵣ	ⵣ	ⵣ
პ	ⵤ	ⵤ	ⵤ
ჟ	ⵥ	ⵥ	ⵥ
რ	ⵦ	ⵦ	ⵦ
ს	ⵧ	ⵧ	ⵧ
ტ	⵨	⵨	⵨
უ	⵩	⵩	⵩
ფ	⵪	⵪	⵪
ქ	⵫	⵫	⵫
ღ	⵬	⵬	⵬
ⵗ	⵭	⵭	⵭
ⵙ	⵮	⵮	⵮
ⵚ	ⵯ	ⵯ	ⵯ
ⵛ	⵰	⵰	⵰
ⵜ	⵱	⵱	⵱
ⵝ	⵲	⵲	⵲
ⵞ	⵳	⵳	⵳
ⵟ	⵴	⵴	⵴
ⵠ	⵵	⵵	⵵
ⵡ	⵶	⵶	⵶
ⵢ	⵷	⵷	⵷
ⵣ	⵸	⵸	⵸
ⵤ	⵹	⵹	⵹
ⵥ	⵺	⵺	⵺
ⵦ	⵻	⵻	⵻
ⵧ	⵼	⵼	⵼
⵨	⵽	⵽	⵽
⵩	⵾	⵾	⵾
⵪	⵿	⵿	⵿
⵫	ⶀ	ⶀ	ⶀ
⵬	ⶁ	ⶁ	ⶁ
⵭	ⶂ	ⶂ	ⶂ
⵮	ⶃ	ⶃ	ⶃ
ⵯ	ⶄ	ⶄ	ⶄ
⵰	ⶅ	ⶅ	ⶅ
⵱	ⶆ	ⶆ	ⶆ
⵲	ⶇ	ⶇ	ⶇ
⵳	ⶈ	ⶈ	ⶈ
⵴	ⶉ	ⶉ	ⶉ
⵵	ⶊ	ⶊ	ⶊ
⵶	ⶋ	ⶋ	ⶋ
⵷	ⶌ	ⶌ	ⶌ
⵸	ⶍ	ⶍ	ⶍ
⵹	ⶎ	ⶎ	ⶎ
⵺	ⶏ	ⶏ	ⶏ
⵻	ⶐ	ⶐ	ⶐ
⵼	ⶑ	ⶑ	ⶑ
⵽	ⶒ	ⶒ	ⶒ
⵾	ⶓ	ⶓ	ⶓ
⵿	ⶔ	ⶔ	ⶔ
ⶀ	ⶕ	ⶕ	ⶕ
ⶁ	ⶖ	ⶖ	ⶖ
ⶂ	⶗	⶗	⶗
ⶃ	⶘	⶘	⶘
ⶄ	⶙	⶙	⶙
ⶅ	⶚	⶚	⶚
ⶆ	⶛	⶛	⶛
ⶇ	⶜	⶜	⶜
ⶈ	⶝	⶝	⶝
ⶉ	⶞	⶞	⶞
ⶊ	⶟	⶟	⶟
ⶋ	ⶠ	ⶠ	ⶠ
ⶌ	ⶡ	ⶡ	ⶡ
ⶍ	ⶢ	ⶢ	ⶢ
ⶎ	ⶣ	ⶣ	ⶣ
ⶏ	ⶤ	ⶤ	ⶤ
ⶐ	ⶥ	ⶥ	ⶥ
ⶑ	ⶦ	ⶦ	ⶦ
ⶒ	⶧	⶧	⶧
ⶓ	ⶨ	ⶨ	ⶨ
ⶔ	ⶩ	ⶩ	ⶩ
ⶕ	ⶪ	ⶪ	ⶪ
ⶖ	ⶫ	ⶫ	ⶫ
⶗	ⶬ	ⶬ	ⶬ
⶘	ⶭ	ⶭ	ⶭ
⶙	ⶮ	ⶮ	ⶮ
⶚	⶯	⶯	⶯
⶛	ⶰ	ⶰ	ⶰ
⶜	ⶱ	ⶱ	ⶱ
⶝	ⶲ	ⶲ	ⶲ
⶞	ⶳ	ⶳ	ⶳ
⶟	ⶴ	ⶴ	ⶴ
ⶠ	ⶵ	ⶵ	ⶵ
ⶡ	ⶶ	ⶶ	ⶶ
ⶢ	⶷	⶷	⶷
ⶣ	ⶸ	ⶸ	ⶸ
ⶤ	ⶹ	ⶹ	ⶹ
ⶥ	ⶺ	ⶺ	ⶺ
ⶦ	ⶻ	ⶻ	ⶻ
⶧	ⶼ	ⶼ	ⶼ
ⶨ	ⶽ	ⶽ	ⶽ
ⶩ	ⶾ	ⶾ	ⶾ
ⶪ	⶿	⶿	⶿
ⶫ	ⷀ	ⷀ	ⷀ
ⶬ	ⷁ	ⷁ	ⷁ
ⶭ	ⷂ	ⷂ	ⷂ
ⶮ	ⷃ	ⷃ	ⷃ
⶯	ⷄ	ⷄ	ⷄ
ⶰ	ⷅ	ⷅ	ⷅ
ⶱ	ⷆ	ⷆ	ⷆ
ⶲ	⷇	⷇	⷇
ⶳ	ⷈ	ⷈ	ⷈ
ⶴ	ⷉ	ⷉ	ⷉ
ⶵ	ⷊ	ⷊ	ⷊ
ⶶ	ⷋ	ⷋ	ⷋ
⶷	ⷌ	ⷌ	ⷌ
ⶸ	ⷍ	ⷍ	ⷍ
ⶹ	ⷎ	ⷎ	ⷎ
ⶺ	⷏	⷏	⷏
ⶻ	ⷐ	ⷐ	ⷐ
ⶼ	ⷑ	ⷑ	ⷑ
ⶽ	ⷒ	ⷒ	ⷒ
ⶾ	ⷓ	ⷓ	ⷓ
⶿	ⷔ	ⷔ	ⷔ
ⷀ	ⷕ	ⷕ	ⷕ
ⷁ	ⷖ	ⷖ	ⷖ
ⷂ	⷗	⷗	⷗
ⷃ	ⷘ	ⷘ	ⷘ
ⷄ	ⷙ	ⷙ	ⷙ
ⷅ	ⷚ	ⷚ	ⷚ
ⷆ	ⷛ	ⷛ	ⷛ
⷇	ⷜ	ⷜ	ⷜ
ⷈ	ⷝ	ⷝ	ⷝ
ⷉ	ⷞ	ⷞ	ⷞ
ⷊ	⷟	⷟	⷟
ⷋ	ⷠ	ⷠ	ⷠ
ⷌ	ⷡ	ⷡ	ⷡ
ⷍ	ⷢ	ⷢ	ⷢ
ⷎ	ⷣ	ⷣ	ⷣ
⷏	ⷤ	ⷤ	ⷤ
ⷐ	ⷥ	ⷥ	ⷥ
ⷑ	ⷦ	ⷦ	ⷦ
ⷒ	ⷧ	ⷧ	ⷧ
ⷓ	ⷨ	ⷨ	ⷨ
ⷔ	ⷩ	ⷩ	ⷩ
ⷕ	ⷪ	ⷪ	ⷪ
ⷖ	ⷫ	ⷫ	ⷫ
⷗	ⷬ	ⷬ	ⷬ
ⷘ	ⷭ	ⷭ	ⷭ
ⷙ	ⷮ	ⷮ	ⷮ
ⷚ	ⷯ	ⷯ	ⷯ
ⷛ	ⷰ	ⷰ	ⷰ
ⷜ	ⷱ	ⷱ	ⷱ
ⷝ	ⷲ	ⷲ	ⷲ
ⷞ	ⷳ	ⷳ	ⷳ
⷟	ⷴ	ⷴ	ⷴ
ⷠ	ⷵ	ⷵ	ⷵ
ⷡ	ⷶ	ⷶ	ⷶ
ⷢ	ⷷ	ⷷ	ⷷ
ⷣ	ⷸ	ⷸ	ⷸ
ⷤ	ⷹ	ⷹ	ⷹ
ⷥ	ⷺ	ⷺ	ⷺ
ⷦ	ⷻ	ⷻ	ⷻ
ⷧ	ⷼ	ⷼ	ⷼ
ⷨ	ⷽ	ⷽ	ⷽ
ⷩ	ⷾ	ⷾ	ⷾ
ⷪ	ⷿ	ⷿ	ⷿ
ⷫ	⸀	⸀	⸀
ⷬ	⸁	⸁	⸁
ⷭ	⸂	⸂	⸂
ⷮ	⸃	⸃	⸃
ⷯ	⸄	⸄	⸄
ⷰ	⸅	⸅	⸅
ⷱ	⸆	⸆	⸆
ⷲ	⸇	⸇	⸇
ⷳ	⸈	⸈	⸈
ⷴ	⸉	⸉	⸉
ⷵ	⸊	⸊	⸊
ⷶ	⸋	⸋	⸋
ⷷ	⸌	⸌	⸌
ⷸ	⸍	⸍	⸍
ⷹ	⸎	⸎	⸎
ⷺ	⸏	⸏	⸏
ⷻ	⸐	⸐	⸐
ⷼ	⸑	⸑	⸑
ⷽ	⸒	⸒	⸒
ⷾ	⸓	⸓	⸓
ⷿ	⸔	⸔	⸔
⸀	⸕	⸕	⸕
⸁	⸖	⸖	⸖
⸂	⸗	⸗	⸗
⸃	⸘	⸘	⸘
⸄	⸙	⸙	⸙
⸅	⸚	⸚	⸚
⸆	⸛	⸛	⸛
⸇	⸜	⸜	⸜
⸈	⸝	⸝	⸝
⸉	⸞	⸞	⸞
⸊	⸟	⸟	⸟
⸋	⸠	⸠	⸠
⸌	⸡	⸡	⸡
⸍	⸢	⸢	⸢
⸎	⸣	⸣	⸣
⸏	⸤	⸤	⸤
⸐	⸥	⸥	⸥
⸑	⸦	⸦	⸦
⸒	⸧	⸧	⸧
⸓	⸨	⸨	⸨
⸔	⸩	⸩	⸩
⸕	⸪	⸪	⸪
⸖	⸫	⸫	⸫
⸗	⸬	⸬	⸬
⸘	⸭	⸭	⸭
⸙	⸮	⸮	⸮
⸚	ⸯ	ⸯ	ⸯ
⸛	⸰	⸰	⸰
⸜	⸱	⸱	⸱
⸝	⸲	⸲	⸲
⸞	⸳	⸳	⸳
⸟	⸴	⸴	⸴
⸠	⸵	⸵	⸵
⸡	⸶	⸶	⸶
⸢	⸷	⸷	⸷
⸣	⸸	⸸	⸸
⸤	⸹	⸹	⸹
⸥	⸺	⸺	⸺
⸦	⸻	⸻	⸻
⸧	⸼	⸼	⸼
⸨	⸽	⸽	⸽
⸩	⸾	⸾	⸾
⸪	⸿	⸿	⸿
⸫	⹀	⹀	⹀
⸬	⹁	⹁	⹁
⸭	⹂	⹂	⹂
⸮	⹃	⹃	⹃
ⸯ	⹄	⹄	⹄
⸰	⹅	⹅	⹅
⸱	⹆	⹆	⹆
⸲	⹇	⹇	⹇
⸳	⹈	⹈	⹈
⸴	⹉	⹉	⹉
⸵	⹊	⹊	⹊
⸶	⹋	⹋	⹋
⸷	⹌	⹌	⹌
⸸	⹍	⹍	⹍
⸹	⹎	⹎	⹎
⸺	⹏	⹏	⹏
⸻	⹐	⹐	⹐
⸼	⹑	⹑	⹑
⸽	⹒	⹒	⹒
⸾	⹓	⹓	⹓
⸿	⹔	⹔	⹔
⹀	⹕	⹕	⹕
⹁	⹖	⹖	⹖
⹂	⹗	⹗	⹗
⹃	⹘	⹘	⹘
⹄	⹙	⹙	⹙
⹅	⹚	⹚	⹚
⹆	⹛	⹛	⹛
⹇	⹜	⹜	⹜
⹈	⹝	⹝	⹝
⹉	⹞	⹞	⹞
⹊	⹟	⹟	⹟
⹋	⹠	⹠	⹠
⹌	⹡	⹡	⹡
⹍	⹢	⹢	⹢
⹎	⹣	⹣	⹣
⹏	⹤	⹤	⹤
⹐	⹥	⹥	⹥
⹑	⹦	⹦	⹦
⹒	⹧	⹧	⹧
⹓	⹨	⹨	⹨
⹔	⹩	⹩	⹩
⹕	⹪	⹪	⹪
⹖	⹫	⹫	⹫
⹗	⹬	⹬	⹬
⹘	⹭	⹭	⹭
⹙	⹮	⹮	⹮
⹚	⹯	⹯	⹯
⹛	⹰	⹰	⹰
⹜	⹱	⹱	⹱
⹝	⹲	⹲	⹲
⹞	⹳	⹳	⹳
⹟	⹴	⹴	⹴
⹠	⹵	⹵	⹵
⹡	⹶	⹶	⹶
⹢	⹷	⹷	⹷
⹣	⹸	⹸	⹸
⹤	⹹	⹹	⹹
⹥	⹺	⹺	⹺
⹦	⹻	⹻	⹻
⹧	⹼	⹼	⹼
⹨	⹽	⹽	⹽
⹩	⹾	⹾	⹾
⹪	⹿	⹿	⹿
⹫	⺀	⺀	⺀
⹬	⺁	⺁	⺁
⹭	⺂	⺂	⺂
⹮	⺃	⺃	⺃
⹯	⺄	⺄	⺄
⹰	⺅	⺅	⺅
⹱	⺆	⺆	⺆
⹲	⺇	⺇	⺇
⹳	⺈	⺈	⺈
⹴	⺉	⺉	⺉
⹵	⺊	⺊	⺊
⹶	⺋	⺋	⺋
⹷	⺌	⺌	⺌
⹸	⺍	⺍	⺍
⹹	⺎	⺎	⺎
⹺	⺏	⺏	⺏
⹻	⺐	⺐	⺐
⹼	⺑	⺑	⺑
⹽	⺒	⺒	⺒
⹾	⺓	⺓	⺓
⹿	⺔	⺔	⺔
⺀	⺕	⺕	⺕
⺁	⺖	⺖	⺖
⺂	⺗	⺗	⺗
⺃	⺘	⺘	⺘
⺄	⺙	⺙	⺙
⺅	⺚	⺚	⺚
⺆	⺛	⺛	⺛
⺇	⺜	⺜	⺜
⺈	⺝	⺝	⺝
⺉	⺞	⺞	⺞
⺊	⺟	⺟	⺟
⺋	⺠	⺠	⺠
⺌	⺡	⺡	⺡
⺍	⺢	⺢	⺢
⺎	⺣	⺣	⺣
⺏	⺤	⺤	⺤
⺐	⺥	⺥	⺥
⺑	⺦	⺦	⺦
⺒	⺧	⺧	⺧
⺓	⺨	⺨	⺨
⺔	⺩	⺩	⺩
⺕	⺪	⺪	⺪
⺖	⺫	⺫	⺫
⺗	⺬	⺬	⺬
⺘	⺭	⺭	⺭
⺙	⺮	⺮	⺮
⺚	⺯	⺯	⺯
⺛	⺰	⺰	⺰
⺜	⺱	⺱	⺱
⺝	⺲	⺲	⺲
⺞	⺳	⺳	⺳
⺟	⺴	⺴	⺴
⺠	⺵	⺵	⺵
⺡	⺶	⺶	⺶
⺢	⺷	⺷	⺷
⺣	⺸	⺸	⺸
⺤	⺹	⺹	⺹
⺥	⺺	⺺	⺺
⺦	⺻	⺻	⺻
⺧	⺼	⺼	⺼
⺨	⺽	⺽	⺽
⺩	⺾	⺾	⺾
⺪	⺿	⺿	⺿
⺫	⻀	⻀	⻀
⺬	⻁	⻁	⻁
⺭	⻂	⻂	⻂
⺮	⻃	⻃	⻃
⺯	⻄	⻄	⻄
⺰	⻅	⻅	⻅
⺱	⻆	⻆	⻆
⺲	⻇	⻇	⻇
⺳	⻈	⻈	⻈
⺴	⻉	⻉	⻉
⺵	⻊	⻊	⻊
⺶	⻋	⻋	⻋
⺷	⻌	⻌	⻌
⺸	⻍	⻍	⻍
⺹	⻎	⻎	⻎
⺺	⻏	⻏	⻏
⺻	⻐	⻐	⻐
⺼	⻑	⻑	⻑
⺽	⻒	⻒	⻒
⺾	⻓	⻓	⻓
⺿	⻔	⻔	⻔
⻀	⻕	⻕	⻕
⻁	⻖	⻖	⻖
⻂	⻗	⻗	⻗
⻃	⻘	⻘	⻘
⻄	⻙	⻙	⻙
⻅	⻚	⻚	⻚
⻆	⻛	⻛	⻛
⻇	⻜	⻜	⻜
⻈	⻝	⻝	⻝
⻉	⻞	⻞	⻞
⻊	⻟	⻟	⻟
⻋	⻠	⻠	⻠
⻌	⻡	⻡	⻡
⻍	⻢	⻢	⻢
⻎	⻣	⻣	⻣
⻏	⻤	⻤	⻤
⻐	⻥	⻥	⻥
⻑	⻦	⻦	⻦
⻒	⻧	⻧	⻧
⻓	⻨	⻨	⻨
⻔	⻩	⻩	⻩
⻕	⻪	⻪	⻪
⻖	⻫	⻫	⻫
⻗	⻬	⻬	⻬
⻘	⻭	⻭	⻭
⻙	⻮	⻮	⻮
⻚	⻯	⻯	⻯
⻛	⻰	⻰	⻰
⻜	⻱	⻱	⻱
⻝	⻲	⻲	⻲
⻞	⻳	⻳	⻳
⻟	⻴	⻴	⻴
⻠	⻵	⻵	⻵
⻡	⻶	⻶	⻶
⻢	⻷	⻷	⻷
⻣	⻸	⻸	⻸
⻤	⻹	⻹	⻹
⻥	⻺	⻺	⻺
⻦	⻻	⻻	⻻
⻧	⻼	⻼	⻼
⻨	⻽	⻽	⻽
⻩	⻾	⻾	⻾
⻪	⻿	⻿	⻿
⻫	⼀	⼀	⼀
⻬	⼁	⼁	⼁
⻭	⼂	⼂	⼂
⻮	⼃	⼃	⼃
⻯	⼄	⼄	⼄
⻰	⼅	⼅	⼅
⻱	⼆	⼆	⼆
⻲	⼇	⼇	⼇
⻳	⼈	⼈	⼈
⻴	⼉	⼉	⼉
⻵	⼊	⼊	⼊
⻶	⼋	⼋	⼋
⻷	⼌	⼌	⼌
⻸	⼍	⼍	⼍
⻹	⼎	⼎	⼎
⻺	⼏	⼏	⼏
⻻	⼐	⼐	⼐
⻼	⼑	⼑	⼑
⻽	⼒	⼒	⼒
⻾	⼓	⼓	⼓
⻿	⼔	⼔	⼔
⼀	⼕	⼕	⼕
⼁	⼖	⼖	⼖
⼂	⼗	⼗	⼗
⼃	⼘	⼘	⼘
⼄	⼙	⼙	⼙
⼅	⼚	⼚	⼚
⼆	⼛	⼛	⼛
⼇	⼜	⼜	⼜
⼈	⼝	⼝	⼝
⼉	⼞	⼞	⼞
⼊	⼟	⼟	⼟
⼋	⼠	⼠	⼠
⼌	⼡	⼡	⼡
⼍	⼢	⼢	⼢
⼎	⼣	⼣	⼣
⼏	⼤	⼤	⼤
⼐	⼥	⼥	⼥
⼑	⼦	⼦	⼦
⼒	⼧	⼧	⼧
⼓	⼨	⼨	⼨
⼔	⼩	⼩	⼩
⼕	⼪	⼪	⼪
⼖	⼫	⼫	⼫
⼗	⼬	⼬	⼬
⼘	⼭	⼭	⼭
⼙	⼮	⼮	⼮
⼚	⼯	⼯	⼯
⼛	⼰	⼰	⼰
⼜	⼱	⼱	⼱
⼝	⼲	⼲	⼲
⼞	⼳	⼳	⼳
⼟	⼴	⼴	⼴
⼠	⼵	⼵	⼵
⼡	⼶	⼶	⼶
⼢	⼷	⼷	⼷
⼣	⼸	⼸	⼸
⼤	⼹	⼹	⼹
⼥	⼺	⼺	⼺
⼦	⼻	⼻	⼻
⼧	⼼	⼼	⼼
⼨	⼽	⼽	⼽
⼩	⼾	⼾	⼾
⼪	⼿	⼿	⼿
⼫	⽀	⽀	⽀
⼬	⽁	⽁	⽁
⼭	⽂	⽂	⽂
⼮	⽃	⽃	⽃
⼯	⽄	⽄	⽄
⼰	⽅	⽅	⽅
⼱	⽆	⽆	⽆
⼲	⽇	⽇	⽇
⼳	⽈	⽈	⽈
⼴	⽉	⽉	⽉
⼵	⽊	⽊	⽊
⼶	⽋	⽋	⽋
⼷	⽌	⽌	⽌
⼸	⽍	⽍	⽍
⼹	⽎	⽎	⽎
⼺	⽏	⽏	⽏
⼻	⽐	⽐	⽐
⼼	⽑	⽑	⽑
⼽	⽒	⽒	⽒
⼾	⽓	⽓	⽓
⼿	⽔	⽔	⽔
⽀	⽕	⽕	⽕
⽁	⽖	⽖	⽖
⽂	⽗	⽗	⽗
⽃	⽘	⽘	⽘
⽄	⽙	⽙	⽙
⽅	⽚	⽚	⽚
⽆	⽛	⽛	⽛
⽇	⽜	⽜	⽜
⽈	⽝	⽝	⽝
⽉	⽞	⽞	⽞
⽊	⽟	⽟	⽟
⽋	⽠	⽠	⽠
⽌	⽡	⽡	⽡
⽍	⽢	⽢	⽢
⽎	⽣	⽣	⽣
⽏	⽤	⽤	⽤
⽐	⽥	⽥	⽥
⽑	⽦	⽦	⽦
⽒	⽧	⽧	⽧
⽓	⽨	⽨	⽨
⽔	⽩	⽩	⽩
⽕	⽪	⽪	⽪
⽖	⽫	⽫	⽫
⽗	⽬	⽬	⽬
⽘	⽭	⽭	⽭
⽙	⽮	⽮	⽮
⽚	⽯	⽯	⽯
⽛	⽰	⽰	⽰
⽜	⽱	⽱	⽱
⽝	⽲	⽲	⽲
⽞	⽳	⽳	⽳
⽟	⽴	⽴	⽴
⽠	⽵	⽵	⽵
⽡	⽶	⽶	⽶
⽢	⽷	⽷	⽷
⽣	⽸	⽸	⽸
⽤	⽹	⽹	⽹
⽥	⽺	⽺	⽺
⽦	⽻	⽻	⽻
⽧	⽼	⽼	⽼
⽨	⽽	⽽	⽽
⽩	⽾	⽾	⽾
⽪	⽿	⽿	⽿
⽫	⾀	⾀	⾀
⽬	⾁	⾁	⾁
⽭	⾂	⾂	⾂
⽮	⾃	⾃	⾃
⽯	⾄	⾄	⾄
⽰	⾅	⾅	⾅
⽱	⾆	⾆	⾆
⽲	⾇	⾇	⾇
⽳	⾈	⾈	⾈
⽴	⾉	⾉	⾉
⽵	⾊	⾊	⾊
⽶	⾋	⾋	⾋
⽷	⾌	⾌	⾌
⽸	⾍	⾍	⾍
⽹	⾎	⾎	⾎
⽺	⾏	⾏	⾏
⽻	⾐	⾐	⾐
⽼	⾑	⾑	⾑
⽽	⾒	⾒	⾒
⽾	⾓	⾓	⾓
⽿	⾔	⾔	⾔
⾀	⾕	⾕	⾕
⾁	⾖	⾖	⾖
⾂	⾗	⾗	⾗
⾃	⾘	⾘	⾘
⾄	⾙	⾙	⾙
⾅	⾚	⾚	⾚
⾆	⾛	⾛	⾛
⾇	⾜	⾜	⾜
⾈	⾝	⾝	⾝
⾉	⾞	⾞	⾞
⾊	⾟	⾟	⾟
⾋	⾠	⾠	⾠
⾌	⾡	⾡	⾡
⾍	⾢	⾢	⾢
⾎	⾣	⾣	⾣
⾏	⾤	⾤	⾤
⾐	⾥	⾥	⾥
⾑	⾦	⾦	⾦
⾒	⾧	⾧	⾧
⾓	⾨	⾨	⾨
⾔	⾩	⾩	⾩
⾕	⾪	⾪	⾪
⾖	⾫	⾫	⾫
⾗	⾬	⾬	⾬
⾘	⾭	⾭	⾭
⾙	⾮	⾮	⾮
⾚	⾯	⾯	⾯
⾛	⾰	⾰	⾰
⾜	⾱	⾱	⾱
⾝	⾲	⾲	⾲
⾞	⾳	⾳	⾳
⾟	⾴	⾴	⾴
⾠	⾵	⾵	⾵
⾡	⾶	⾶	⾶
⾢	⾷	⾷	⾷
⾣	⾸	⾸	⾸
⾤	⾹	⾹	⾹
⾥	⾺	⾺	⾺
⾦	⾻	⾻	⾻
⾧	⾼	⾼	⾼
⾨	⾽	⾽	⾽

მთარგმნელის შენიშვნები

I ნინასიტყვაობის მაგიერ

*1 სვანური და მეგრულ-ჭანური ქართულის მონათესავე ენებია.

II

*1 ავტორს ადრე სწორად აქვს აღნიშნული გურიელის სიძიხ ვინაობა (ახმედ ფაშის ძმა). აქ კი უნებლიეთ სელიმის ძეს ძმად აცხადებს.

III

*1 უფრო ზუსტად 1772 წელს.

*2 ორივე ეპიტაფია მოყვანილია მხოლოდ რუსულად.

*3 რამდენიმე კვერღელიძე ახლაც ცხოვრობს გურიანთაში.

*4 ავტორი რუსულ თარგმანში გვარებს არ ხსნის. ჩვენი აზრით წარწერა ასე წაიკითხება: „გიორგი მოწყობილი, ღვდელი დავით ვერულიძე... გავაკეთებიე“.

*5 წარწერა შეცდომითაა გადმოწერილი და ამიტომ ჭირს წაკითხვა. ქარაგმების გახსნით იქმნება: მარცხნივ — ქრისტე ადიდე ბახტიშორ ხუასრო მეფე. ხოლო მარჯვნივ — ქრისტე შეიწყალე სასლისაჲ მეჭურჭლე (Г. Н. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство, текст, Тбилиси, 1959, стр. 105-106).

*6 ამ წარწერაში, იმ სახით, როგორც ის დ. ბაქრაძეს მოჰყავს, საეჭვოდ გვეჩვენება უკანასკნელი წინადადების ბოლო: „შვქმნეს ეს მწბნის ლცვდ ჩემ და შვლთა ჩემთათს“. რაკი წარწერაში პირველი პირი ლაპარაკობს, ცხადია, არ შეიძლება „შევქმნეს“, არამედ უნდა იყოს „შევქმენ“. საეჭვო ჩანს ჩვენებითი ნაცვალსახელი „ეს“, მოსალოდნელი „ესე“-ს ნაცვლად. ხოლო, რაკი ის, რაც შევქმენ, პირდაპირი დამატებაა, სახელობითი ბრუნვით უნდა იყოს წარმოდგენილი. ასე რომ, „შვქმნეს ეს მწბნის ლცვდ“ სიტყვებად ასე უნდა დაიყოს: „შვქმნ ესე სმწბნი სლცვდ“. დ. ბაქრაძისათვის გაუგებარი სიტყვა „მწბნის“ გაქრა, მის ნაცვლად მივიღეთ „სმწბნი“. ეს კი იქნება სამწერობელნი. წინადადება ასე გაიმართება: შევქმან ესე სამწერობელნი სალოცავად ჩემ და შვილთა ჩემთათვის“.

მაშასადამე, წარწერა ჯვარზე კი არ ყოფილა შესრულებული, არამედ სამწერობელზე. მართლაც, გიორგი ჩუბინაშვილის ალბომში „ქართული ოქრომჭედლობა VII—XVIII საუკუნეებისა“ წარმოდგენილია სწორედ ეს საეკლესიო იარაღი (ტაბ. 21, 22). მაგრამ

ოქ წარწერა არაა მოყვანილი. სამაგიეროდ იგი მოიპოვება ამავე მეცნიერის რუსულად გამოცემულ ნაშრომში „Грузинское чеканное искусство, текст". როგორც მკითხველი დარწმუნდება, ბაქრაძეს წარწერის ამოკითხვისას სხვა უზუსტობაც მოსვლია: დასაწყისი პოლოში გადმოუტანია (წარწერა წრიულად არის შესრულებული და იმიტომ). მოგვყავს წარწერა გ. ჩუბინაშვილის აღნიშნული ნაშრომის მიხედვით: „ქ. სახელითა ღმრთისაჲთა მე ფარსმან ერისთავმან, ძემან კოჴრთხეოვლისა ოვფლისა ივანე ლაკლაკისამან, შეჴ̣ᲫᲛᲔᲜ ესე სამწერობელნი სალოცველად ჩემ და შვილთა ჩემთათვის. ყოველთა Ⴑახლისა ჩოჴ̣ენისათა, და მოსაჴ̣სენებლად სოჴ̣ლ-კოჴ̣რთ ხელვლთა მშობელთა და ძმათა ჩემთათვის, და ყოველთა Ⴑახლისა ჩოჴ̣ენისა გარდაცვალებოჴ̣ლთათვის, და დავასხენ წმიდასა საყდარსა ზარზმას, მამულსა ჩემსა, წინაშე ხატსა ფერისცვალებისასა. აწ წმინდანო მღოჴ̣დელნო და დიაკონნო, რომელნი იმსახოჴ̣რებდეთ ჴ̣ორცსა და სისხლსა ოვფლისა ჩოჴ̣ენისა ᲫᲔᲡᲝᲕ ქრისტესა. მოგვიჴ̣სენენით წმიდასა ლოცვასა თქოჴ̣ენსა. (გვ. 128).

*7 ეს წარწერა უადგილოა, თანაც ქარაგმები არ არის გახსნილი. ჴ̣ვარი კი არა სამწერობელია. წარწერა მოგვყავს გ. ჩუბინაშვილის დასახელებული ნაშრომიდან. გვ. 134-135.

ეს წარწერა უფრო სრულყოფილად ამოიკითხა გ. ჩუბინაშვილმა. წ ო: დ ფ ლ ო: მ ხ ყ ვ: წ ე: ძ ი ს[ა შ ე ს] ა: და: ღ ი ს ა: ჩ ნ ი ს: ყ ლ თ ლ ლ კ თ ე ე მ რ ნ ს და ხ კ ს ძ თ ა ხ კ მ რ ნ ს ს ნ ქ დ ხ ჴ̣ მ ე გ ლ ხ კ მ ე პ რ ქ ს ა დ ე დ მ ნ ხ კ ს ა დ ა მ რ ნ ს მ ნ შ ვ კ ზ მ ნ ...ს ე ს ლ ც ლ დ ყ ლ თ: ღ ლ კ თ: ს ჴ ნ ბ ლ დ: ს ლ ი: ჩ ი ს.

წმიდაო დედოფალო, მეოხ ეყავ წინაშე ძის (ა შ) — ნისა და ღმრთისა ჩუენისა ყოველთა ლაკლაკთა: ერისთავთ ერისთავსა მირიანს და ხურციკს, ძეთა ხუციკისთა: მირიანს. სასანს (ანს სვმიონს). ქ̣ერდიას (?) ხჴ̣-ს (?). მე გლახაკმან ეპრაქსია, დედამან ხურციკისა და მირიანისამან, შევკაზმე [ე ხატი ესე] სალოცაველად ყოველთა ლაკლაკთა, საჴ̣სენებელად სულისა ჩემისა (გ. ჩუბინაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 195-196.).

დამატება I

რუსული შესატყვისობანი გამოვტოვეთ, არ გვითარგმნია ის შენიშვნები, რომლებიც რუსი მკითხველისათვისაა განკუთვნილი.*9

*9 რუსულ შესატყვისად გამოყენებულია сени.

*10 რუსული შესატყვისი: канавка кругом дома для стока с крыши дождевой воды.

*11 რუსულ შესატყვისად მოყვანილი — мельничное колесо.

*12 რუსული შესატყვისი — железная лопатка.

*13 რუსული შესატყვისი — брус, в котором утверждена ось.

*14 რუსული შესატყვისი — ножка оси:

*15 რუსული შესატყვისი — чаша под ящиком.

*16 ბაღის რუსულ შესატყვისად მოყვანილია — фруктовый сад.

*17 ლიტერატურულია იფანი.

*18 ლიტერატურულია ურთხელი.

*19 კურკანტელი ასკილისა კი არა, კუნელის გურული შესატყვისია.

*20 ლიტერატურულია მოლაღური.

*21 რუსულ შესატყვისად მოყვანილია лес расчищенный под посев.

თავი IV

*1 დ. ბაქრაძეს მარხვანის მოსახსენებლებში ჩამოთვლილი პირთსახელები და ტიტულატურა რუსულად მოჰყავს. ჩვენ ქართული დედნის მიხედვით გავმართავთ (იხ. სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს.), ტექსტების პუბლიკაცია, გამოკვლევები და საძიებლები ქრ. შარაშიძისა, თბ., 1961, გვ. 20-23.).

*2 დ. ბაქრაძემ უმართებულოდ ალექსანდრე მეფე და მისი ძე ბაგრატი XVII საუკუნის იმერეთის მეფეებად მიიჩნია. ამიტომ „მეწიეთის მარხვანის“ თარიღი — 1566 წ. დღეს სანდოდ არის მიჩნეული (იხ. ქ. შარაშიძის დასახ. ნაშრომი, გვ. 66.).

*3 უნდა იყოს ივანობისთვე.

*4 უნდა იყოს კვირკობისთვე.

*5 უნდა იყოს თევზნი.

*6 სწორედ ასე წერია — რნ (უნდა იყოს რომელი).

*7 ამ სიტყვას „ნიჯარაძედ“ ვკითხულობ, მიუხედავად იმისა, რომ მასში ნაცვლად ძ-სა წერია მ, რაც კალმის შეცდომად მიმაჩნია.

*8 ამ სიტყვას დ. ბაქრაძე რუსულად თარგმნის სიტყვით — блюдо. ს. ს. ორბელიანის განმარტებით: ტაკუკი — მომცრო ჭურჭელი საღვინე.

*1 ჯლათ-ჯუმლათ, ე. ი. მთელი ადგილ-მამულითა და ოჯახით, ამ მნიშვნელობით არის ნახმარი ეს სიტყვა მომდევნო სტრიქონში.

*8 როგორც რუსული თარგმანიდან ჩანს, დ. ბაქრაძე ამ წარწერაა ასე კითხულობდა: „მიქელ გურიელი, ძე მისა ბეშქენ და მეუღლე ბეშქენისა მარიამ“.

*10 უნდა იყოს: „წ. დიდო ღვთის მხედარო, მფარველ ექმენ ბეშქენს გურიელსა და ძესა მათსა მიქელსა წინაშე ღვთისა“. (იხ. გ. ჩუბინაშვილის დასახ. ნაშ., გვ. 246.).

V

*1 ასე წერია.

*2 ფრჩხილებში ნაჩვენები წლები ამოღებულია მატიანეებიდან.

*3 რუსულ თარგმანს ავტორი ურთავს შენიშვნას: „სიტყვა მკითხველი ნიშნავს гадальщик-საც და гадальщица-საც, მაგრამ რაკი ამ საქმეს საქართველოში უპირატესად ქალები მისდევენ, სიტყვა მკითხველს მდედრობითი სქესით ვხმარობ“ (ტექსტი გამოცემულია „ქართული სამართალის ძეგლების“ III ტომი, გვ. 916.).

*4 ამას მოსდევს ამონაწერები ზოგიერთი განსაკუთრებით დამახასიათებელი განაჩენიდან. რადგანაც „გურიის მდივანბეგთა განაჩენები“ ამჟამად სრულადაა გამოქვეყნებული (იხ. ქართული სამართლის ძეგლები. ტექსტი გამოსცა პროფ. ი. დოლიძემ. თბილისი, 1977, გვ. 515-586). მათი დაბეჭდვა ზედმეტად მივიჩნიეთ (სარედ. კოლეგია).

*5 საქმე პირიქით იყო (იხ. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, თბილისი, 1977 წ. გვ. 531.).

*6 პირიქით, ბოლქვაძე ამბობს, თავართქილაძეს უარი არ უთქვამს. მაგრამ გადახდამდე გარდაიცვალაო (დასახ. ნაშრ. გვ. 537.).

*7 უნდა იყოს ღლონტი (დას. ნაშრ. გვ. 528.).

*8 საქმის ვითარება ზუსტად არ არის გადმოცემული (იხ. დასახ. ნაშრ. გვ. 566.).

*9 ეს კაცი კი არა, მისი ვაჟი (დასახ. ნაშრ. გვ. 552.).

*10 ეს გოგო იმ სადავო გლეხის და იყო. ჭყონიას ის მოახლედ ჰყოლია, ამ გოგოს ძმა კი მას არ რგებია (იქვე).

*11 ონისიმას კი არა, მამამისს ჩაუსაფრდნენ (დასახ. ნაშრ. გვ. 581.).

*12 არ დაუჭრია, თათრებთან ერთად გაიქცა (იქვე.).

*13 საქმის ვითარება ვერაა ზუსტად გადმოცემული (დასახ. ნაშრ. გვ. 583.).

*14 ეს მაქსიმელა ბერიძეა და არა ბეჟანა ბერიძე (დასახ. ნაშრ. გვ. 533.).

[1] რძლობით.

[1] ამჟამად ეს დროშაკი დაკარგულად ითვლება. შემორჩენილია მხოლოდ დ. ერმაკოვის მიერ გადაღებული ფოტოსურათები. იხ. Г. Н. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство, текст, Тбилиси, 1959, стр. 390.

[2] ან კუდრისა, ან კიდევ შეიძლება, კოდორისა.

*[2] „კეღლიძეს“ დ. ბაქრაძე ასე კითხულობს: კეღლიძე, ან შეიძლება კერღელიძე“. იქნებ მართებული იყოს წავიკითხოთ „კვერღელიძედ“?

*[3] დ. ბაქრაძეს ქარაგმით უწერია ხრტი. აქ ან რ მეტია და მაშინ სწორად კითხულობს, ან ტ-ს ნაცვლად ც უნდა იყოს და ხატის ნაცვლად გაიხსნება როგორც ხორცი. ვფიქრობთ, ეს უკანასკნელია მართებული.

*[4] უნდა იყოს: დაადგრა.

*[5] უნდა იყოს: დაიდგინა.

*[6] დ. ბაქრაძე თარგმნის „Церкви“. აქ საყდარი არის რუსული престол.

[3] აღსანიშნავია, რომ ეს წარწერა მეორდება კიდევ ერთ ხატზე, რომელიც რამდენიმე წლის წინათ იპოვა ფოტოგრაფმა ერმაკოვმა სვანეთის სახუნდარის ეკლესიაში: Mélanges Asiatques, tirés du Bullet. de l'Acad. des sciences, t. VIII, p. 475.

[4] ვგონებ, ხურციძის სახელი განმეორებულია ზარზმის მონასტრის ახლო მდებარე ჭულების ეკლესიის წარწერაში. ეს წარწერა voyage archeol., II ასეა მოყვანილი: ქო ჩოხძები — კოხაძე ან ჩონაძე ბი. მე კი ასე წავიკითხე: ქ. დი ხძე: ბი — ქრისტე, ადიდე ბატონი ხურციძე ბასილი.

რედაქტორისაგან

დიმიტრი ზაქარიას ძე ბაქრაძე დაიბადა 1826 წელს, საგარეჯოს რაიონის სოფელ ხაშმში. დაამთავრა თბილისის სასულიერო სასწავლებელი, შემდეგ — მოსკოვის სასულიერო აკადემია (1850 წ.). 1851 წელს საქართველოში დაბრუნდა. 1852-1857 წლებში დ. ბაქრაძე მუშაობდა გორის სამაზრო სკოლაში. 1858-1861 წლებში მსახურობდა ქუთაისის გუბერნატორის კანცელარიაში, შემდეგ კი ცხოვრობდა ქ. თბილისში და თანამშრომლობდა კავკასიის არქეოლოგიურ კომისიაში.

დიმიტრი ბაქრაძე დიდად დაინტერესებული იყო სამხრეთ საქართველოს, კეოძოდ, აჭარის ისტორიის შესწავლით.

მარი ბროსეს შუამდგომლობით, მეცნიერებათა აკადემიამ დააკმაყოფილა დ. ზ. ბაქრაძის თხოვნა და ნება დართო ემოგზაურა სამხრეთ საქართველოში.

1873 წლის ივლისში იგი ჯერ ოზურგეთში (ახლა ქ. მახარაძე) ჩავიდა, იქიდან კი ქობულეთზე გავლით ბათუმს ესტუმრა.

დ. ბაქრაძემ მრავალმხრივი გამოკვლევები ჩაატარა აჭარაში, თუმცა რუსეთის მთავრობამ, მას სამხრეთ საქართველოს მხოლოდ არქეოლოგიური შესწავლა დაავალა. ამდენად მისი მოგზაურობა იმ დროისათვის მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო და დიდი ეროვნული ეღერადობა გააჩნდა. ეს იყო პერიოდი, როდესაც საქართველოს ამ ძიოძველი კუთხის მოსახლეობა ოსმალთა ბატონობის მძიმე უღლის ქვეშ გმინავდა.[1]

დიმიტრი ბაქრაძემ 1873 წელს და შემდგომ პერიოდში მთელი სამხრეთ საქართველო შემოიარა და მკითხველს გააცნო ამ მხარის ბუნება, მოსახლეობა და მისი ყოფა.

დ. ბაქრაძე ეხება აჭარის მცხოვრებთა ძიოძველ კულტურასა და განათლებას, ადარებს მას საქართველოს მთის სხვა რეგიონებს და წერს: „თუ ახლანდელ აჭარლებს შევადარებთ ჩვენს მთიელ თვისტომებს რუსეთის საქართველოში, სახელდობრ სვანებს, ფშავებს, თუშებს და მთიულებს, არ შეგვიძლია კულტურის მხრივ უპირატესობა არ მივანიჭოთ პირველთ უკანასკნელთა წინაშე... ეს ცხადყოფს, რომ აჭარლებს ჰქონდათ თავისი კულტურა, რომლის მსგავსი არ გააჩნდა ქართველი მთიელებით დასახლებულ მთებს“.[2]

სხალთის ეკლესიის შესახებ იგი წერს: „საერთოდ უნდა შევნიშნოთ, რომ სხალთის ეკლესია ერთ-ერთ შესანიშნავ ტაძრად მეჩვენა საქართველოში“-ო.

აჭარის მოსახლეობა ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ თავი დაეხსნა ოსმალებისაგან, — ამბობს დ. ბაქრაძე. როცა იგი აჭარელ ბეგებს ცუდი გზების შესახებ შეეკითხა უპასუხეს: „გზების განგებ არ ვაკეთებთ, რომ ოსმალებმა საბოლოოდ არ ჩაიგდონ ხელში ჩვენი ქვეყანა“-ო.

---

[1] მ. დუმბაძე, ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე, თბილისი, 1950, გვ. 7.

[2] დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, 1878 წ., გვ. 78.

ჯ. ბაქრაძის მოღვაწეობით დიდად კმაყოფილი იყო აკად. მარი ბროსე: „მეორეთ მადლობა, ბატონო, რომ საქართველო გიყვართ და მისი ისტორიის და სიტყვიერების მაძიებელი ბრძანდებით“,[4] — წერდა იგი.

მასვე მეცნიერებათა აკადემიის სხდომაზე უთქვამს: „ნიჭით, ცოდნით და მეცადინეობით დ. ბაქრაძემ სრულიად დააკმაყოფილა სურვილი მეცნიერებათა აკადემიისა; ამის გამო იმედი მაქვს, რომ აკადემია მიანდობს თავის მუდმივ მდივანს, გამოუცხადოს აკადემიის სახელით დ. ბაქრაძეს მადლობა ჩინებული შრომისათვის, გადასცეს, რომ აკადემიის წევრები უცხადებენ მას თავის პატივისცემას და სრულ კმაყოფილებას, იმ სიამოვნებისათვის, რომელიც მე მივიღე ამ მშვენიერი წიგნის წაკითხვისას, ვსიამოვნებ ახლა იმით, რომ აკადემია დაფასებს და დააჯილდოვებს ღირსეულის შრომას და მეცადინეობას...“[5]

დ. ბაქრაძე საქართველოს დიდი პატრიოტი იყო და როგორც ისტორიკოსი — მკვლევარი, თავდადებით იცავდა მის წარსულს.

დ. ბაქრაძე გარდაიცვალა 1890 წლის 10 თებერვალს ქ. თბილისში. გაზეთი „ივერია“ წერდა: — „არ დაგივიწყებთ იმიტომ, რომ ჭსოლოდ წარსულის ცოდნით დაუცავს ყოველ ერს თავისი ეროვნება, თავისი ვინაობა და ეგ წარსული შენ მოგვეცი“. მ. დუმბაძის თქმით, ეს სიტყვები ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნოდა.

აკაკი წერეთელი დ. ბაქრაძისადმი მიძღვნილ ლექსში წერდა:

„მშვიდობით ძმაო! ნეტარება შენ,
რომ შეასრულე ამ სოფლის ვალი!..
შენს ნაყოფიერ წარსულს და აწმყოს
ძეგლად დაიდგამს თვით მომავალი“.[6]

ილია ჭავჭავაძე დ. ბაქრაძის ღვაწლს ასე აფასებს:

„ზემოხსენებულისაგან ცხადად დაინახავს ჩვენი მკითხველი, თუ რა ,ღიდსა და სახელოვან ღვაწლსა და სამსახურს სდებს ბ-ნი ბაქრაძე ჩვენს ერს, ჩვენს ქვეყანას. კიდევ ვიტყვით, აღდგენა ისტორიისა ერის გამოცოცხლებაა, აწმყოს გაგება და წარმართვა, მერმისის გამოკვლევაა სიბნელისაგან. ყოველი ამ დიდი სიკეთის მომნიჭებელი იქნება ჩვენი პატივცემული ბატონი ბაქრაძე, რომელსაც მადლობელი ერი და დავალებული ქვეყანა თავის დღეში არ დაივიწყებს თვისთა სახელოვანთა კაცთა შორის“.[7]

დიმიტრი ბაქრაძის ნაშრომი დიდი ხანია იმსახურებდა განმეორებით გამოცემას, ამაზე ფიქრობდა აჭარის სახელმწიფო მუზეუმიც, მაგრამ დღემდე ვერ მოვახერხეთ.

ვფიქრობთ, ამ წიგნის ქართულად გამოცემით ფართო მკითხველისათვის ხელმისაწვდომი გავხადეთ მეცხრამეტე საუკუნის გამოჩენილი ქართველი მოაზროვნის მეცნიერული მემკვიდრეობის ერთი ნაწილი.

ხარიტონ ახვლედიანი

---

[4] მ. დუმბაძე, ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე, გვ. 21.
[5] დასახ. ნაშრომი, გვ. 42.
[6] „ივერია“, 1890 წ. № 33.
[7] ი. ჭავჭავაძე, ერი და ისტორია, თხზ., სრული კრებული ორ ტომად, ტ. I, თბილისი, 1841, გვ. 512.

დ. ბაქრაძის შრომები, რომლებიც სამხრეთ საქართველოს შეეხება:

1. ზოგიერთი რამ ჩვენს ისტორიაზე, არქეოლოგიაზე, ყოფა-ცხოვრებაზე და სხვა. ოსმალოს საქართველო, ანუ მესხეთი. („ივერია", 1877 წ. № 10. 11).
2. ბათუმი. „დროება", 1873 წ., № 166.
3. ბათუმის მაზრა, გეოგრაფიული, ისტორიული, ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური მიმოხილვა („დროება", 1880 წ. №№ 74, 78, 80, 82).
4. Археологическое путешествие по Грузии и Аджаре, СПб., 1878 г. — Атлас с 1 картой и 4-мя чертежами.
5. Краткий очерк Гурии, Чуруксу и аджарцы. Предварительный отчет (Изв. Кавк. отд. имп. РГО, 1874 г., т. II, № 5).
6. Месхети или нынешний Ахалцихский уезд с турецкой Грузией (газ. «Кавказ», 1855, № 23—27).
7. Колхида или Лазика и борьба за нее персов с византийцами 455—560 гг. по р. х. («Кавказ», 1856 г., №№ 51—54, 56, 57, 59, 67).
8. Краткий отчет об археологической поездке в Гурию в 1873 г., в (Записки ИМП. АНТ XXIII, СПб, 1874 г.).
9. Три месяца в Турецкой Грузии Г. Н. Казбега («Кавказ, 1877 г., №№ 1, 3, 4, 7, 8, 16, 19, 31 32, 38, 39).
10. Заметка о Батумской области (Изв. КОИРГО, т. VI, 1879—1881 г.).
11. Об археологической поездке, совершенной в 1879 г. по поручению Акад. Наук в Чорохский бассейн, Батуми, Артвин и Арданук (Записки имп. Акад. наук, т. 37, кн. 1, СПб., 1802).
12. Историко-этнографический очерк Карской области (Изв. Кавк. отд. РГО, т. VII, № 1, 1882—1883, стр. 192—202).
13. О землевладении по турецким законам («Юридическое обозрение», 1844 г., № 150—151).
14. Краткий свод законов по земельному вопросу из дустура («Юридическое образование», 1884 г., № 153, 156, 157).
15. Исторический очерк турецкой системы землевладения (приложение к протоколу Кавказского юридического общества, № 9, 1889, стр. 1—33).
16. Акты КАК, т. VI, ч. II, 1875 г., стр. 896—897.

მის მიერ შეგროვებული უამრავი მასალა ქართულ და რუსულ ენებზე, მათ შორის აჭარა-ქობულეთის შესახებ ჯერ კიდევ არ არის გამოქვეყნებული.

შინაარსი

წინასიტყვაობის მაგიერ I
ჩურუქ-სუ, აჭარა და გურია 1873 წელს 7
დამატება 75
დამატება I 145
დანართი II 163
დანართი III 164
გურიელი როსტომ 240
გურიელი ვახტანგ I 241
გურიელი ქაიხოსრო 242
გურიელი გიორგი III 244
გურიელი მამია III 245
გურიელი გიორგი IV 247
გურიელი მამია IV 249
გურიელი გიორგი V 255
გურიელი სვიმონი 262
გურიელი ვახტანგ 263
გურიელი ქაიხოსრო 269
გურიელი ლევან 271
გურიელი დავით 273
გურიელი მამია 274
გურიელი დავით 279
დანართი II
ახფაზ-იმერთა კათალიკოსის მაქსიმეს მცნებანი 281
დანართი III
გურიის მდივანბეგების განჩინებათა ოქმები 285
მთარგმნელის შენიშვნები 295
დამატება I 297
თავი IV 298
რედაქტორისაგან 301
დ. ბაქრაძის შრომები, რომლებიც სამხრეთ საქართველოს შეეხება 306

Дм. Бакрадзе
АРХЕОЛОГИЧЕСКОЕ ПУТЕШЕСТВИЕ
ПО ГУРИИ И АДЖАРЕ
(На грузинском языке)
Издательство «Сабчота Аджара»
Батуми, ул. Гогебашвили, 24
1988

ს. ბ. — 483

გამომცემლობის რედაქტორი ა. შ ო ნ ი ა
მხატვარი რ. ლ ო მ ა ძ ე
მხატვრული რედაქტორი შ. მ უ რ ვ ა ნ ი ძ ე
ტექნიკური რედაქტორი ნ. კ ყ ო ნ ი ა
კორექტორი გ. ფ ა ღ ა ვ ა

გადაეცა წარმოებას 20.IV.87. ხელმოწერილია დასაბეჭდად 9.XII.87. ქაღალდის ზომა 60×90¹/₁₆. № 1. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 21,25. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 17,69. პირობითი საღებავგატარება 21,5.

შეკვ. № 419. ტირაჟი 20 000.

ფასი 4 მან.

გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა", ბათუმი, გოგებაშვილის, 24.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის № 1 სტამბა, ორჯონიკიძის ქ. № 50.

Типография № 1 Государственного комитета Грузинской ССР
по делам издательств, полиграфии и книжной торговли,
Тбилиси, ул. Орджоникидзе № 50.

АРХЕОЛОГИЧЕСКОЕ ПУТЕШЕСТВІЕ

ПО

ГУРІИ и АДЧАРѢ

с

Дм. БАКРАДЗЕ.

(Атласъ, съ одной картой и четырьмя чертежами.)

САНКТПЕТЕРБУРГЪ.
Типографія Императорской Академіи Наукъ (Пас. Остр., 9 линія, № 12).
1878.

Напечатано по распоряженію
Императорской Академіи Наукъ.
Непремѣнный Секретарь *К. Веселовскій.*

С.-Петербургъ, Іюнь 1878 года.

ОБЪЯСНЕНІЕ ТАБЛИЦЪ.

Карта къ Чурукъ-Су, Адчара и Гурія въ 1873 году.

I. 1) Три первыя строки письма адчарской женщины, со вставочною буквою «і» при каждой буквѣ слова.

2) Начало надписи изъ *Лихаурской церкви;* стр. 108 текста, внизу.

3) Надпись стр. 109 текста, въ серединѣ.

4) Изъ надписи стр. 110 внизу.

5) Надпись грубаго шрифта, *въ Нигоити;* стр. 253.

6) Начало надписи изъ *Джуматской церкви;* стр. 263.

II. 1) Видъ *Опизской церкви,* на С. отъ Артануджи, въ новопріобрѣтенномъ краѣ; стр. 195.

2) 4) Видъ и внутренность *Тбетской церкви,* на С. В. Артацуджи; стр. 195.

3) Видъ *Пархальской церкви,* на Ю. З. отъ Артвини; стр. 195.

5) Видъ *Схалтской церкви* въ Адчарѣ; стр. 195.

Всѣ эти рисунки уменьшены въ $^1/_4$ противъ оригинальныхъ эскизовъ, снятыхъ, *безъ маштаба,* полковникомъ Казбекомъ.

III. Подписи и печати разныхъ лицъ; поименованныхъ въ гл. V[ая] текста.

IV. Планъ мѣстности *Вашнари;* стр. 275 — 278 текста.


КУТАИСЪ
УѢЗ ШОРАПАНСКІЙ
УѢЗ КУТАИССКІЙ
ЕРНОЕ МОРЕ
ГУРІЯ
АДЖАРА
ЗАЗНСТАНЪ
САНДЖАКЪ
КАРСЪ
САНДЖ. КАРСЪ
САНДЖ. ЭРЗЕРУМЪ
КАРТА
ИЗЪ
„ЧУРУКЪ-СУ, АДЧАРА И ГУРІЯ
ВЪ 1873 ГОДУ"

1

2

3

4

ЦЕРКВИ.

2



ТБЕТЪ (внутри).

1



ОПИЗА.



ПАРХАЛЪ.

4



ТБЕТЪ.

5



СХАЛТА.

ЛИТ. И ТИП. А. Э. МЮНСТЕРА, МОЙКА № 40.


1
2
3
4
5.1
5.2
6
7
8
9
10

ЛИТ. И ТИП. А. Э. МЮНСТЕРА, МОЙКА, № 40


Таб. IV.
Приложение II
Приложение III
Приложение IV